ილია ჭავჭავაძე 170

გურამ თავართქილაძის სასწავლო
უნივერსიტეტი

ნიკო ნიკოლაძე

170

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის
შრომათა კრებული

თბილისი
2013

სარედაქციო საბჭო

საბჭოს თავმჯდომარე - პროფესორი **გიორგი მათიაშვილი**

შემადგენლობა:

პროფესორი **დალი ჩიკვილაძე** - **მთავარი რედაქტორი**

პროფესორი **ინგა დიაკონიძე**

პროფესორი **ვალერი ვაშაკიძე**

პროფესორი **მარინე ვეკუა**

პროფესორი **ამირან თავართქილაძე**

პროფესორი **გივი ლობჟანიძე**

პროფესორი **შალვა ქურდაძე**

პროფესორი **ლალი ჩაგელიშვილი**

ტექნიკური რედაქტორი: **ლია შენგელია**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ზვიად საჯაია**

© გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-05933-9

Guram Tavartkiladze Teaching University

Niko Nikoladze

170

The Proceedings of International Scientific Conference

Tbilisi
2013

Editorial Board

Professor **Giorgi Matiashvili** – Head of Editorial Board

Professor **Dali Chikviladze** – Chief Editor

Professor **Inga Diakonidze**

Professor **Valeri Vashakidze**

Professor **Marine Vekua**

Professor **Amiran Tavartkiladze**

Professor **Givi Lobzhanidze**

Professor **Shalva Kurdadze**

Professor **Lali Chagelishvili**

Lia Shengelia – Technical editor

Zviad Sajaia – Computer providing

შინაარსი
Contents

წინათქმა 7

INTRODUCTION 8

ცირა ბაქრაძე 9
ბავშვთა აღზრდისას დაშვებული შეცდომების ნეგატიური შედეგები

TS. BAKRADZE 9
Negative Outcomes of the Mistakes Made in Family Education

И. Л. БАГРАТИОН-МУХРАНЕЛИ 18
НИКО НИКОЛАДЗЕ И ПОЛЕМИКА О ПРОВИНЦИАЛЬНОЙ ПЕЧАТИ

I. BAGRATION-MUKHRANELI 18
Niko Nikoladze and controversy on press in the provinces

ლია ბიბილეიშვილი 25
ნიკო ნიკოლაძე რიონზე ნაოსნობის შესახებ

L. BIBILEISHVILI 25
Niko Nikoladze about Navigation on the River Rioni

გიზო გორგოძე 32
ყურძნის ზეთის ექსტრაქციის პროცესის ოპტიმიზაცია

G. GORGODZE 32
Grape Oil Extraction Process Optimization

ნინო გრიგოლაია 41
ზოგიერთი საკითხი კორუფციის, ეკონომიკური შედეგებისა და მისი საზოგადოების განვითარებაზე გავლენის შესახებ

N. GRIGOLAIA 41
Corruption: Causes, Economic Results end Influence on the Development of Society

ალექსანდრე დაუშვილი 52
ნიკო ნიკოლაძე და ფოთის საზღვაო პორტი

AL. DAUSHVILI **52**
Niko Nikoladze and Poti Sea Port

კლარა ელჩიბეგაშვილი **70**
ნიკო ნიკოლაძის ზოგიერთი ფილოსოფიური შეხედულება

K. ELCHIBEGASHVILI **70**
Philosophical Views of Niko Nikoladze

მერაბ ვანიშვილი, გაგა ნიქაბაძე, ნინო ვანიშვილი **77**
აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმები საქართველოში

M. VANISHVILI, G. NIKABADZE, N. VANISHVILI **77**
Macroeconomic Regulation Mechanisms of Agribusiness in Georgia

მზია ზარნაძე, ლია გაბუნია **91**
დაუვიწყარი სახეები

M. ZARNADZE, L. GABUNIA **91**
Unforgettable Faces

ამირან თავართქილაძე **101**
ნიკო ნიკოლაძის ორი ნარკვევი: "ოცნება და ცხოვრება", "ჩემ პოლიტიკაზე" და დღევანდელობა

A. TAVARTKILADZE **101**
Two Essays by Niko Nikoladze: “Dream and Life”, “On my Politics” and Modernity

მამუკა თორია **119**
სიღარიბე და მოსახლეობის სოციალური დაცვა

M. TORIA **119**
Poverty and Social Defense of the Population

ნუგზარ იაშვილი, ციური ანთაძე **131**
ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის საინფორმაციო-საკონსულტაციო კომპიუტერული სისტემა

N. IASHVILI, TS. ANTADZE **131**
Youth Professional Orientation Informational and Consultation Software System

დავით კბილაძე **140**
ნიკო ნიკოლაძე და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მთავარი ინდიკატორები

D. KBILADZE **140**
Niko Nikoladze and Main Indicators of Economic Conditions of the Country

ლაურა კუტუბიძე-ზუბაშვილი..... **146**
ნიკო ნიკოლაძის „ფრანგული პრესის დეკადანსის“ თანამედროვე დისკურსი

L. KUTUBIDZE - ZUBASHVILI **146**
Modern Discourse of ‘French Press Decadence’ by Niko Nikoladze

ზურაბ ლაოშვილი..... **155**
ტურიზმის უსაფრთხოების გეოინფორმაციული სისტემა

Z. LAOSHVILI **155**
Tourism Security Geo-information System

გივი ლობჟანიძე..... **165**
ნიკო ნიკოლაძის ზოგიერთი მოსაზრება სასამართლოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ

G. LOBZHANIDZE **165**
Nicko Nikoladze on courts and local self-administration

გივი ლობჟანიძე..... **173**
არჩილ ჯორჯაძე ნიკო ნიკოლაძის შესახებ

G. LOBZHANIDZE **173**
Archil Jorjadze‘s views on niko nikoladze

დავით ლობჟანიძე..... **181**
პოლიტიკურ-სამართლებრივი აზრი და თვითმმართველობა საქართველოში

D. LOBZHANIDZE **181**
Georgian political and legal thinking and self-administration in Georgia

მარინე ლომიძე **189**
პოლემიკური ოსტატობა ნიკო ნიკოლაძის ზოგიერთ პუბლიცისტურ წერილში

M. LOMIDZE 189
Polemic Mastery in Niko Nikoladze's Several Journalistic Letters

ЭЛЬЗА ЛОМИДЗЕ 203
Личные письма с посланием в вечность

E. LOMIDZE 203
Private Letters with the Message 'Eternity'

პაატა ნაცვლიშვილი 210
გიორგი ჭალადიდელის კალამბურები და-ძმა ნიკოლაძეებისადმი მიძღვნილ ლექსებში

P. NATSVLISHVILI 210
Giorgi Chaladideli's Puns In the Poems Devoted to the Nikoladzes (Sister and Brother)

ვ. რაძიევსკი, მ. მიქელაძე, ნ. ჯალიაბოვა, მ. ხაჩიძე, დ. რაძიევსკი 226
გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის დიაგნოსტირების, პროგნოზირების და ანალიზის ინტელექტუალური სისტემა

V. RADZIEVSKI, M. MIKELADZE, N. JALIABOVA, M. KHACHIDZE, D. RADZIEVSKI 226
Intellectual System for Diagnostics, Forecasting and the Causal Analysis of an Ecological State of Environment

გელა საითიძე 236
ებრაული თემა ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკაში

G. SAITIDZE 236
Jewish Issue in Niko Nikoladze's Social and Political Journalism

ზეინაბ სარია 246
ნიკო ნიკოლაძე სწავლების მშობლიურ ენაზე დაწყების შესახებ

Z. SARIA 246
Niko Nikoladze on Starting Teaching Children in Native Language

ალექსანდრე სიჭინავა 254
ნიკო ნიკოლაძის ბრძოლა ეროვნისა და საქალაქო თვითმმართველობის შემოღებისათვის საქართველოში

AL. SICHINAVA 254
Niko Nikoladze's Battle for the Introduction of Russian 'Zemstvo' (local government body) and the Municipal Government in Georgia

CHARLES MORGAN STROMME 260
Niko Nikoladze: Georgia Is a Sea Country

შენგელი ფიცხელაური 267
კრიმინალისტიკის განვითარება ქართულ სამართლებრივ სივრცეში ნიკო ნიკოლაძიდან დღემდე

SH. PITSKHELAURI 267
Criminology development in georgian legal space

დავით შავიანიძე 277
ქართველთა ძველთაგან ჩვეულებითად შემოღებული სჯული

D. SHAVIANIDZE 277
The Religion Introduced by Georgians from Ancient Times (According to the Okriba ethnographic material)

შალვა შუბლაძე 286
ნიკო ნიკოლაძე განიარაღების სოციალურ-ეკონომიკური და სამოქალაქო თავდაცვის მნიშვნელობის შესახებ

SH. SHUBLADZE 286
N. Nikoladze about meaing of social-economic and civil defense disarmament

ვაჟა შუბითიძე 294
ნიკო ნიკოლაძის ადგილისათვის ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში

V. SHUBITIDZE 294
Niko Nikoladze's Place in the History of Georgian Political Thinking

ლალი ჩაგელიშვილი -აგლაძე, კობა ჩაგელიშვილი 300
განათლების განვითარების თანამედროვე მიდგომები

L. CHAGELISHVILI-AGLADZE, K. CHAGELISHVILI 300
Modern Approaches to Educational Development

დალი ჩიკვილაძე **317**
ნიკო ნიკოლაძის „მოგონებათა“ პარადიგმები

D. CHIKVILADZE **317**
Paradigmes of ‘Reminiscences’ by Niko Nikoladze

ვარდენ ხვედელიძე **328**
ჩაის ფოთლის კატექინების კომპლექსის პრეპარატის ტექნოლოგიის შემუშავება და ფარმაკოლოგიური შეფასება

V. KHVEDELIDZE **328**
Development of Technology and Pharmacological Evaluation of the Preparation of the Complex of Catechins from Tea Leaves

ოთარ ჯანელიძე **340**
ნიკო ნიკოლაძე და პოლიტიკური დისკურსი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

O. JANELIDZE **340**
Niko Nikoladze and Political Discourse in Democratic Republic of Georgia

ქეთი ჯიჯეიშვილი, გიორგი ჩხიკვიშვილი **353**
ნიკო ნიკოლაძე - ლიბერალური ნაციონალიზმის თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენელი

K. JIJEISHVILI, G. CHKHIKVISHVILI **353**
Niko Nikoladze as One the Outstanding Representative of Liberal Nationalism

პუბლიკაცია PUBLICATION

გივი ლობჟანიძე **360**
ერთი გამოუქვეყნებელი დოკუმენტის თაობაზე

G. LOBZHANIDZE **360**
On One Unpublished Document

დეკანოზი მიქაელ ჭაბაშვილი **367**
დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილის ერთი უცნობი ქადაგება

ARCHPRIEST MICHAEL CHABASHVILI **367**
One Unknown Preach by Archpriest Polyevktos Karbelashvili

წინათქმა

თავისი ხანგრძლივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე ნიკო ნიკოლაძე ეროვნული, საქვეყნო საქმეების არამხოლოდ აქტიური მონაწილე, არამედ ბევრი მათგანის ინიციატორი, სულის ჩამდგმელი და განმახორციელებელი იყო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თუ საქართველომ დღეს განვითარების გარკვეულ საფეხურს მიაღწია და სასიკეთო ტენდენციებიც იკვეთება, ამაში თავისი წვლილი, უდავოდ, ნიკო ნიკოლაძესაც მიუძღვის.

ნიკო ნიკოლაძის ერთ-ერთი მთავარი ღირსება, ბევრი თეორეტიკოსისგან განსხვავებით, იყო სიტყვის საქმედ ქცევა, თეორიული შეხედულებების პრაქტიკული ხორცშესხმა. კონკრეტულ მაგალითებს აღარ მოვიტანთ, რადგან კრებულში გამოქვეყნებული ნაშრომების დიდი უმრავლესობა სწორედ ამ ფაქტებს ასახავს და არჩილ ჯორჯაძისეული შეფასება დიდი მოღვაწისა - „ულმობელი საქმის კაცი“, - ზემოთქმულის დასტურია.

ნიკო ნიკოლაძის ნააზრევი და პრაქტიკული საქმიანობა ადასტურებს ისტორიის თეორიაში დამკვიდრებულ შეხედულებას: „ისტორიული ცოდნა, პირველ რიგში, თანამედროვეობის შეცნობის საშუალებაა... ცოდნა წარსულის შესახებ არის თანამედროვეობაზე ზეგავლენის ეფექტური მეთოდი.“ მართლაც, როდესაც ნიკო ნიკოლაძის ინტელექტუალურ მემკვიდრეობას, განვლილი ცხოვრების გზას კიდევ ერთხელ გადავავლებთ თვალს, ვრწმუნდებით რაოდენ პროგრესული და თანამედროვეა მისი კონცეპტუალური შეხედულებები ჩვენი ქვეყნის განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

ამდენად, წინამდებარე კრებული არამხოლოდ წარსულის მოვლენების, ისტორიული ფაქტების განხილვა და შეფასებაა, არამედ, გარკვეულწილად, თანამედროვე საქართველოს აქტუალურ პრობლემებზე მსჯელობაც.

გიორგი მათიაშვილი

Introduction

Niko Nikoladze devoted the whole life to the welfare and development of Georgia. He was not only the participant of national development projects, but the author and initiator of majority of them.

It can be said without exaggeration that if Georgia has reached the certain stage of development, it is due to Niko Nikoladze's great efforts and tireless work among other public figures fighting for the welfare of their motherland.

Niko Nikoladze's one of the main priorities, in difference from many theorists, was to transform the word into action, to put theoretical approaches into practice. We won't cite here the real facts, because the majority of the works published in this book are devoted to those from his life and work.

Niko Nikoladze's viewpoints and practical work support the dominating attitude in the Theory of History: 'Historic knowledge, first of all, is the tool for recognition of modernity… knowledge of the past is the efficient method for influencing the modernity'.

Indeed, if we look through Niko Nikoladze's life and intellectual heritage once more, we understand how progressive and up-to-date his conceptual viewpoints are about the main trends for development of our country.

Therefore, presented proceedings not only analyze and evaluate past events and historic facts, but discuss actual problems of modern Georgia.

Giorgi Matiashvili

ცირა ბაქრაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ბავშვთა აღზრდისას დაშვებული შეცდომების ნეგატიური შედეგები

ნიკო ნიკოლაძე ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ადამიანში ემოციების, შეხედულებების, მორალის, მსოფლმხედველობის, მრწამსისა და სხვ. ჩამოყალიბების მთავარი საშუალება ოჯახური აღზრდაა (ნიკოლაძე, 383).

აღზრდა, ყოველი ეპოქისათვის აქტუალური თემაა. ბავშვი ჩნდება და განვითარებას იწყებს ოჯახში, რომელიც მისი პირველი საარსებო გარემოა. ამ გარემოს ძვირფასი ადამიანები – დედა, მამა, და–ძმა და სხვა პერსონები ქმნიან, რომელთა ურთიერთობის ხასიათი, კულტურის დონე, იდეალები და მისწრაფებები დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ფორმირებაზე.

საოჯახო აღზრდას, სამწუხაროდ, მხოლოდ პოზიტიური მხარე როდი აქვს, მის შედარებით გავრცელებულ სახეს ნეგატიური ფორმა წარმოადგენს. ბავშვი, რომელმაც სრულად ვერ მიიღო მშობლიური სიყვარული, ხშირად იზრდება უხეში, ბოროტი, გულგრილი სხვათა განცდების მიმართ, არ არის კომუნიკაბელური, ან კიდევ ჩაკეტილი, უკარება და ზედმეტად მორცხვი ხდება. გ. თავზიშვილი აღნიშნავდა, რომ არის შემთხვევები, როცა დიდის სიყვარულის გარემოში გაზრდილ, ნალოლიავებ და ნაპატიებ „პატარა ადამიანში'' ადრე ვითარდება ეგოიზმისა და ეგოცენტრიზმის, უდარდელობის, ნებიერობის, პატივმოყვარეობისა და პირმოთნეობის მონაცემები (თავზიშვილი, 218).

თუ ოჯახში არ არის ჰარმონია, თუ ბავშვი განიცდის არაზნეობრივი გარემოცვის გავლენას, აგრესიას, მის მიმართ უარყოფით ემოციურ დამოკიდებულებას, ასეთ ოჯახში ხშირია გართულებები ბავშვის განვითარებაში.

<u>ერთიან მოთხოვნათა უქონლობა</u>

ბავშვის აღზრდაზე ცუდად მოქმედებს უფროსების მხრივ არაერთიანი მოთხოვნა. ერთი ბავშვს რაღაცას უკრძალავს, მერე ნებას რთავს, ერთი – უწყრება, მეორე – ეფერება, ამიტომ, ერთი მშობლით ნაწყენი შვილი მეორეს აფარებს თავს. ზოგჯერ გარკვეულ პრობლემას ქმნის ბებიების, პაპების და ოჯახის სხვა წევრების მონაწილეობა ბავშვის აღზრდაში. მათზე ძალიან დიდი შრომა მოდის, ხოლო იქ სადაც დედ–მამა მუშაობს, მათი როლი კიდევ უფრო იზრდება. მადლობის მეტი რა ეთქმით, მაგრამ არის ერთი გარემოება, ზოგჯერ

ისინი თავის დროზე საკმაოდ მკაცრნი იყვნენ საკუთარი შვილებისადმი, უაღრესად დამთმობნი კი ხდებიან შვილიშვილების მიმართ. მათ ჰგონიათ, რომ მხოლოდ ამ გზით შეუძლიათ მოიპოვონ მათი სიყვარული.

მოუცლელობა

სამწუხაროდ, ბევრ ბავშვს აკლია მშობლის მზრუნველობა, მისი სისტემური ზემოქმედება, როგორც იტყვიან, „მისი ხელი“, გამოწვეული მშობლების მოუცლელობით. ცხადია, მშობლის არყოფნაში ბავშვზე ვიღაც ზრუნავს, მეტწილად ბებიები, პაპები ან ძიძა. როგორი ორგანიზებულიც არ უნდა იყოს ბავშვის მოვლა, რომელშიც ცოტას მონაწილეობენ მშობლები, ა. ზახაროვი აღნიშნავდა, რომ მას არ შეუძლია აღმზრდელობითი მოქმედების კომპენსირება, ვერ ცვლის დედის და მამის განსაკუთრებულ როლს შვილის აღზრდაში (ზახაროვი, 208). ოჯახის წევრები და ახლობლები მხოლოდ უნდა ეხმარებოდნენ მშობლებს შვილების აღზრდაში. მთელი ამ ფუნქციის მათზე დაკისრება შეცდომაა, საქმე შვილის გაზრდა კი არა, მისი აღზრდაა და ამ საქმეში მშობელი შეუცვლელია.

სამწუხარო ისაა, რომ საკმაოდ დიდი ნაწილი ახალგაზრდა მშობლებისა დამოუკიდებლად იმისა, არსებობს ამის საჭიროება თუ არა, შვილის აღზრდის მთელ საქმეს ოჯახის უფროს წევრებს გადააბარებენ. თვითონ კი სტუმარივით დროდადრო თუ მოეფერებიან საკუთარ შვილებს.

მოუცლელობა ორგვარია: ნამდვილი მოუცლელობაა, როცა ორივე მშობელი მუშაობს და იძულებულნი არიან სახლში არყოფნისას შვილი სხვებს ჩააბარონ. მშობლიური სითბო, ალერსი და სიყვარული ასეთ ბავშვსაც აკლია, მაგრამ ის მაინც ერთგვარი იძულებითაა გამოწვეული. სამაგიეროდ, ზოგჯერ მოუცლელის როლში გამოდის მშობელი, რომელსაც მშვენივრად შეუძლია დღის უდიდესი ნაწილი შვილთან გაატაროს და მის აღზრდაზე იზრუნოს, თუმცა ბავშვი მომვლელთან ჰყავს. მაგრამ ჰყავს კი მას ისეთი აღმზრდელი, როგორიც მშობელი უნდა იყოს?! ერთი რამ ცხადია, მშობლის როლს შვილის აღზრდაში ვერავინ შეცვლის და მოდად ქცეული ბავშვის აღზრდის საქმის ძიძისთვის გადაბარება, ხშირად ბავშვის მომავალს პრობლემებს უქმნის.

მშობლების გაყრის შედეგი

კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ მშობლების გაყრის შემთხვევაში ბავშვები ხშირად ნევროზულები ხდებიან. განსაკუთრებით ბიჭები განიცდიან უმამოდ დარჩენას. შ. ნადირაშვილი

მიუთითებდა, რომ შვილის აღზრდა მშობელთა სისტემური, უწყვეტი კონტაქტის გარეშე უფრო სერიოზული პრობლემაა, ვიდრე ამის შესახებ ბევრი მშობელი ფიქრობს. თანაც რაც უფრო ადრეულ ასაკში ხდება ეს, მით უფრო უარესია (ნადირაშვილი, 27).

როგორც მკვლევარები მიუთითებენ, თუ შვილი გარემოსილია მუდმივი მზრუნველობითა და სიყვარულით, მაშინ მშობლიური სიყვარულის ასეთი გამოვლენა ბავშვში იწვევს საკუთარი მე–ს ღირებულების განცდას. როცა ბავშვები ამაყობენ იმით, რომ ცხოვრობენ დედასთან და მამასთან ერთად, ისინი ბევრ რამეში ბაძავენ მათ, ღებულობენ მათგან მაგალითს. ასეთ ოჯახებში ბავშვები გაუცნობიერებლად ემსგავსებიან საყვარელ მშობლებს და შედეგად თავად ხდებიან მოსიყვარულენი.

ბავშვში სიყვარული ვითარდება იმ სიყვარულის წილ, რაც მათ მშობლებისგან მიიღეს. ვერაფერი შეცვლის მშობლის უშუალო კონტაქტს შვილთან, მის პირად მაგალითს. მშობლის გონივრული ნათქვამი, კარგი დარიგებები დიდად არაფერს ნიშნავს, თუ შვილი მასთან ახლოს არ არის, არ სურს შეიძინოს ის, რასაც ურჩევენ.

<u>ნეიტრალიზმი აღზრდაში</u>

არის მშობელთა ერთი ნაწილი, რომელიც ყველანაირ მატერიალურ პირობებს უქმნის შვილს ნორმალური ზრდა–განვითარებისათვის: კარგი კვება, ჩაცმა, კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება, მაგრამ გულგრილად ეკიდება ბავშვის აღზრდის საკითხს, მასში ხასიათის დადებითი თვისებების ჩამოყალიბებას, ყურადღებას არ აქცევს მის აკადემიურ მოსწრებას, დისციპლინას და როცა სკოლაში იბარებენ გაკვირვებული საყვედურობს პედაგოგებს – ბავშვის სწავლება და აღზრდა თქვენი სკოლის საქმეა, ამიტომ კეთილი ინებეთ და მოუარეთ მას. ო. რულიე აღნიშნავდა, რომ ბავშვის აღზრდის საქმეში სრული უპასუხისმგებლობა ერთ–ერთი მიზეზია ოჯახის მარცხისა (რულიე, 203). თუ დედ–მამა გულგრილნი არიან შვილის სწავლისა და საზოგადოებრივი საქმიანობის, მისი სულიერი აღზრდის მიმართ, ეს აუცილებლად გამოიწვევს ბავშვის მისწრაფებას, წარმოშობილი „სულიერი ვაკუუმი“ შეავსოს ოჯახის გარეთ, შემთხვევითი, საეჭვო ნაცნობების საშუალებით. ბავშვის სწავლებისა და აღზრდის საქმეში სკოლასა და ოჯახს შორის მტკიცე კავშირის შესახებ, რასაც ასე დიდი ხნის ისტორია აქვს, სწორედ იმას გულისხმობს, რომ მშობლებიც ისევე აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ ამ საქმეში, როგორც სკოლა.

აპოლოგია აღზრდაში

ძალიან ცუდია, როცა ბავშვის სიყვარულით „დაბრმავებული“ მშობლები აზვიადებენ ბავშვის ნიჭსა და უნარს. ისეთ თვისებებს მიაწერენ, რაც მას არ გააჩნია, თანაც ყველაფერი ეს ხდება შვილის თანდასწრებით, თანდათანობით კი ბავშვს მართლაც უყალიბდება გადაჭარბებული შეხედულება საკუთარ თავზე, ხდება პრეტენზიული და როცა სინამდვილეში ეს არ მართლდება, მოსდის კონფლიქტი, უჭირს შეეგუოს იმ სოციალურ გარემოს, სადაც მის უნარ–ჩვევებს სწორად აფასებენ. ო. რულიე აღნიშნავდა, რომ: ბავშვი, რომელსაც დასაწყისში ყოველივე ამისა სჯერა, თანდათანობით იქცევა თავმომწონე, თავდაჯერებულ პრანჭიად ან უსირცხვილო, გონებაშეზღუდულ მკვეხარად, რომელიც იმდენად სასაცილოა თავის თავზე შეხედულებაში, რამდენადაც უსიამოვნო საკუთარ თავდაჯერებულობასა და ბაქიაობაში (რულიე, 215).

მშობლები ხშირად უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ სტუმარს, რომელმაც უნდა მოისმინოს მათი შვილის სიმღერები, ლექსების დეკლამირება, თანაც უნდა გამოიჩინოს აღტაცება ყოველივე ამის გამო, მაგრამ ხშირად გასაოცარი და აღტაცებაში მოსაყვანი არაფერია. წარმოვიდგინოთ, რომ ბავშვს მართლაც საუცხოო სმენა აქვს, მუსიკალური ნიჭის კარგ მონაცემებს ამჟღავნებს, ან კარგი მეხსიერება აქვს და ბევრ ლექსს იმახსოვრებს, ეს ძალიან კარგია, მაგრამ მშობელი გარეშე პირთა თანდასწრებით არ უნდა ახდენდეს შვილის ნიჭის აფიშირებას, ერთია ზრუნვა ბავშვის ნიჭის განვითარებაზე, მეორეა მისი გაზვიადება, აპოლოგია, ბავშვისათვის თავის თავზე დიდი წარმოდგენის შექმნა. პირველი კარგია, მეორე – ცუდი, რასაც უნდა ერიდოს ყველა, ვისაც სურს, რომ მისი შვილისგან კარგი პიროვნება დადგეს.

ზოგჯერ მშობელი შეუგნებლად უვითარებს ბავშვს მიუღებელ ჩვევას, რომელიც შემდეგ ხასიათის თვისებად იქცევა. გ. ვეიმერი წერდა, რომ მახსენდება დედა, რომელსაც უხაროდა, როცა მისი პირმშო პაწია ხელებით სცემდა ლოყაზე მასაც და გარეშეებსაც. ის ამაში ხედავდა ბავშვის ცნობიერებაში თავისი ძალის შეგნების გაღვიძების ნიშანს და სიამაყით ფიქრობდა, რომ მისი ბიჭი თავს არავის დააჩაგვრინებდა და მართლაც, ის არავის აჩაგვრინებდა თავს, ექვსი წლისა ის სცემდა და ეჯიკავებოდა დედას, როცა სურვილს არ უსრულებდა (ვეიმერი, 344).

ბავშვის აღზრდაში ბევრი ისეთი „წვრილმანია“, რომლის მნიშვნელობა ზოგჯერ არ გვესმის, მაგრამ ცხოვრებაში ხშირად

ვიყენებთ. ასე მაგალითად, ბავშვი მაგიდას დაეჯახა, ან სკამი გაუცურდა და იატაკზე დაეცა. ის რომ დაამშვიდონ, მუშტით სცემენ მაგიდას, სკამს, „დაზარალებული“ მშვიდდება კიდეც, მაგრამ ცუდი საქმე გავაკეთეთ, – ბავშვს ამით უვითარდება შურისძიების მოთხოვნილება. სჯობდა მისთვის გვეთქვა: – ფრთხილად იყავი, ნახე როგორ წაიქეცი, ეცადე, მომავალში არ მოგიხდეს ასეთი რამ. თუ ბავშვი იტირებს, მალე დამშვიდდება, სამაგიეროდ გაფრთხილდება და შურისძიების გრძნობა არ განუვითარდება.

<u>შვილის გამორჩევა</u>

უაღრესად ცუდია, როცა მშობლებს შვილებიდან ერთ–ერთი გამორჩეული ჰყავთ და განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენენ მის მიმართ, კიდევ მეტი, მშობლები ზოგჯერ სხვა შვილების თანდასწრებით ამბობენ, რომ გამორჩეული შვილი განსაკუთრებით უყვართ და ასე შემდეგ. შვილებისადმი ასეთ დამოკიდებულებას ორი სახის ცუდი შედეგი მოსდევს. ჯერ ერთი, „გამორჩეული“ შვილი იზრდება განებივრებული, ეგოისტი, რომელიც მხოლოდ საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებაზე ზრუნავს, ხოლო და–ძმების და გარეშეთა სურვილებსა და მოთხოვნებს არაფრად აგდებს. მეორე მხრივ, უნდობლობა, შუღლი და ზოგჯერ სიძულვილიც კი ღვივდება შვილებს შორის. და–ძმა რომ ერთმანეთს გადაჰკიდონ, ამაზე ცუდი რა უნდა გაუკეთოს მშობელმა შვილებს? მშობელს არა აქვს გაცნობიერებული საკუთარი ქცევის მოსალოდნელი ცუდი შედეგი. მან უნდა უკუაგდოს აზრი იმის შესახებ, რომ ერთ–ერთი შვილი უფრო უყვარს, თანდათანობით შვილებისადმი მისი დამოკიდებულებაც წონასწორდება. ის თანაბრად გაუნაწილებს მათ სიხარულსა და სიტკბოს. მშობელსაც შეუძლია აღიზარდოს შვილების მოვლის პროცესში.

<u>ბავშვის განებივრება</u>

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბავშვი უდიდესი სიხარულის მომტანია მშობლებისათვის და სრულიად გასაგებია მათი განსაკუთრებული ალერსი, მზრუნველობა და ყურადღება შვილებისადმი, მაგრამ ყველაფერს თავისი ზღვარი აქვს. გადაჭარბებული მზრუნველობა, ბავშვის ყველა მოთხოვნისა და სურვილის შესრულება, არ არის მიზანშეწონილი. ბავშვზე მზრუნველობა მისი ასაკის შესაბამისად უნდა იცვლებოდეს. არ შეიძლება ერთნაირად მიუდგეთ სამი, შვიდი და თორმეტი წლის ბავშვსა და მოზარდს. მათი პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭიროა, ისინი ვაზიაროთ სულიერ, ფიზიკურ და სოციალურ

აღზრდას. ხშირია შემთხვევა, როცა დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გადის ახალგაზრდა, რომელსაც სახლში არაფრისთვის მოუკიდია ხელი, რადგან მშობლებმა ისე გაზარდეს, „ნიავიც კი არ მიუკარებიათ“. შედეგიც სახეზეა, უსუსური, ცხოვრებისათვის მოუმზადებელი მუქთახორა შეეძინა საზოგადოებას. ასეთი ახალგაზრდა ისევ მშობლების ”თავსატეხია”. საკმარისია რაიმე საქმეში ვერ აღმოუჩინონ დახმარება, რომ მთელი მათი ნაამაგარი წყალშია ჩაყრილი. მათ, შეიძლება, სიბერის ჟამს არც მიხედონ თავიანთ მშობლებს. სამწუხაროდ, ასეთი მაგალითები ცოტა როდია. ზოგჯერ მშობელს, ვინც ანებივრებს თავის შვილს, სმენია ბავშვის ასეთი აღზრდის მავნებლობის შესახებ, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, თავს ვერ იკავებს და ცუდად ზრდის შვილებს. უფრო ხშირად განებივრებულები დედისერთა შვილები გამოდიან. გ. შუკინი აღნიშნავდა, რომ მარტოხელა შვილის აღზრდა გაცილებით უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე რამდენიმე ბავშვისა (შუკინი, 208). ამბობენ, მარტოხელა ბავშვები ხშირად ეგოისტები იზრდებიანო. ეს სწორია, მაგრამ თვითონ „მარტოხელობა“ არ არის ამისი მიზეზი, ეგოიზმის ჩამოყალიბება არასწორი აღზრდის შედეგია. მარტოხელობა ქმნის იმის პირობას, რომ მშობლებმა დაკარგონ ზომიერების გრძნობა და გაანებივრონ შვილი, შედეგი ხშირად სავალალოა. კარგი მატერიალური პირობები და ფული ცხოვრების საშუალება უნდა იყოს და არა ამპარტავნული ყოყოჩობისა. ასეთი ოჯახებიც მოუწესრიგებელ ოჯახთა კატეგორიას ეკუთვნიან, რომლებიც ძნელად აღსაზრდელ შვილებს უხსნიან გზას ცხოვრებაში.

როცა მშობელი ხვდება თავის შეცდომას, უკვე გვიანია და უსულგულო, უმადური, არც ისე იშვიათად უსაქმური შვილის სწორ გზაზე დაყენება თუ შეუძლებელი არა, ძნელია. ბევრი მშობელი ჩივის შვილის აღზრდაში დაშვებულ შეცდომებზე. ამას კი ყოველთვის ასეთი შედეგი მოყვება.

როგორც ვხედავთ, გადაჭარბებული ზრუნვა და განებივრება ფსიქიკურად ამახინჯებს ბავშვს. მას უნდა ავუხსნათ, რატომ და რისთვის ვუკრძალავთ რაღაცას, რატომ არ ვასრულებთ ყველა მის მოთხოვნას, ვიყოთ ობიექტურები შვილის ამხანაგთან კონფლიქტის განსჯისას. ხელი შევუწყოთ ბავშვის ემპათიურ ადამიანებად ჩამოყალიბებას. ნ. ნიკოლაძეს აღზრდა მიაჩნდა ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბების უდიდეს ფაქტორად, ამასთან, იგი იმ აზრსაც იცავდა, რომ მარტო აღზრდას ყველაფრის მოცემა არ შეუძლია (ნიკოლაძე, 192).

ამდენად, სხვადასხვა კონტექსტში ზოგადად შევეხეთ ოჯახურ აღზრდაში დაშვებულ შეცდომებს. ეს, რა თქმა უნდა, მიზეზთა სრული ჩამონათვალი არ არის. აღზრდა ყველაზე რთული პროცესია, შეცდომის დაშვება კი ყოველთვის ნეგატიური შედეგით მთავრდება. მართალია, ვისაც შვილი ჰყავს, ყველა მშობელია, მაგრამ ყველა მშობელი, აღმზრდელი როდია. აღზრდა ყველაზე უფრო მრავალმხრივი, რთული, საპასუხისმგებლოა, ვიდრე ადამიანის მიერ ნებისმიერი სხვა საქმიანობა. ხშირად ბავშვებს ოჯახური ძალადობა, მშობლებთან კონფლიქტი და არაჯანსაღი ცხოვრება ქუჩისკენ უბიძგებს. ისინი იწყებენ ქუჩის კანონებით ცხოვრებას და ქუჩა ხდება მათი თავშესაფარი. გაუსაძლის ყოფას ისინი სამყაროს სიძულვილამდე მიჰყავს. ნუ გავწირავთ ქუჩისთვის ბავშვებს!

მითითებული ლიტერატურის სია:

1. Веймер Г. Семейное воспитание. Москва. 1968
2. Захаров А. И. Семейное воспитание и его дефекти. Ленинград. 1974
3. თავზიშვილი გ., რჩეული ნაწერები, ტ. 3, თბილისი 1979
4. ნადირაშვილი შ., სკოლაში სააღმზრდელო მუშაობის აქტუალური პრობლემები, თბილისი, 2000
5. ნიკოლაძე ნ., ახალგაზრდობის აღზრდა, ჟურნალი, „კრებული“, №5–6, 1873
6. Рюлье О. Воспитание детей, Москва, 1999
7. Шукин Г. И. Педагогока школы, Москва, 1977

ც. ბაქრაძე

ბავშვთა აღზრდისას დაშვებული შეცდომების ნეგატიური შედეგები

რეზიუმე

აღზრდა ყოველი ეპოქისათვის აქტუალურია. ბავშვი ჩნდება და განვითარებას იწყებს ოჯახში, რომელიც მისი პირველი საარსებო გარემოა. ამ გარემოს ძვირფასი ადამიანები დედ–მამა, და–ძმა, სხვა ახლობლები ქმნიან, რომელთა ურთიერთობის ხასიათი დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ფორმირებაზე.

ბავშვის აღზრდაზე ცუდად მოქმედებს უფროსების მხრივ ერთიან მოთხოვნათა უქონლობა.

ზოგჯერ მშობელი აზვიადებს შვილის უნარსა და ნიჭს, შვილს უქმნის შთაბეჭდილებას, რომ ის განსაკუთრებულია, უყალიბებს გადაჭარბებულ შეხედულებას საკუთარ თავზე. ბავშვის ფსიქიკაზე უარყოფითად აისახება მშობლების გაყრის შემთხვევებიც. ბავშვი სიყვარულით ვითარდება, ამ სიყვარულის ზეგავლენას, რასაც ისინი მშობლებისგან იღებენ, ვერაფერი შეცვლის.

ცუდია ბავშვის განებივრება. ის ცხოვრების გზაზე, უმეტესწილად, უსაქმურად, მუქთახორად ყალიბდება.

შვილის გამორჩევა უდიდესი შეცდომაა მშობლისა.

ნაშრომში ზოგადად განხილულია აღზრდაში დაშვებული ზოგიერთი შეცდომა, რაც სრული ჩამონათვალი როდია.

აღზრდა ყველაზე რთული პროცესია, შეცდომის დაშვება კი ყოველთვის სავალალო შედეგით მთავრდება. ბავშვის აღზრდაში მარტო სკოლა ვერაფერს გახდება, თუ მშობლების მხარდაჭერას არ ექნება ადგილი. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება სასურველი შედეგის მიღწევა.

Ts. Bakradze

Negative Outcomes of the Mistakes Made in Family Education

Summary

The education is an actual issue in any age of human being. The child is born and begins to develop in his/her family, which is his first living environment. This environment is made up from his dearest people such as: mother, father, sisters and brothers and other close relatives. The level of the culture, behavior, ideals and characters of these people have a great influence on the formation of the teenager.

The different demands from parents have bad effects on their education.

Sometimes parents exaggerate the skills and abilities of their children. The children are made a false imagination on themselves. Their parents' divorce also has a suffering effects on the child's psychology. In order to develop a healthy human being with strong personal character, it is necessary for children to be brought up in the environment of love and care. The love and care that children get from their parents are indispensable.

Parents should not spoil the children. It has regrettable outcomes for their future lives. Such a child is formed as an idler, lazy-bones and afterwards he/she again requests special care and is completely dependent on his/her parents.

Education is the most difficult process and any mistake ends up with poor result. In education of children the only role of school is not enough if it has not got a support of parents. School and family must work together in order to achieve desirable outcomes.

И. Л. Багратион-Мухранели
Московский Городской Психолого-Педагогический Университет

НИКО НИКОЛАДЗЕ И ПОЛЕМИКА О ПРОВИНЦИАЛЬНОЙ ПЕЧАТИ

В статье рассматривается дискуссия, возникшая в русской печати в связи с публикацией статьи Д.Л.Мордовцева «Печать в провинции». Эта статья поставила вопросы о распределении функций центра и провинции. Николадзе принял участие в полемике и выразил свою концепцию государства, обосновал роль прессы в дальнейшем развитии провинции в составе империи.

Ключевые слова: Николадзе, печать, политическая концепция, Кавказ, провинция, центр империи.

В 70-80 годах XIX века Нико Николадзе все больше склонялся к необходимости совершать государственные преобразования мирным путем. Важную роль в этой деятельности влияния на администрацию и, с другой стороны, пробуждению народа от спячки, публицист возлагал на печать. Размышляя о необходимости экономических преобразований и улучшении жизни народа, Николадзе приходил к выводу о необходимости развивать провинцию. Вскоре ему представился случай отстаивать публично все эти положения, поскольку Николадзе принял участие в полемике, затронувшей ряд столичных и провинциальных изданий, таких как «Отечественные записки», «Дело», «Санкт-Петербургские ведомости», «Дневник писателя» Ф.М. Достоевского, «Первый шаг: Провинциальный литературный сборник» (Казань, 1876).

Начало полемике положила опубликованная в 1875 году в журнале «Дело» (№ 9, 10) статья известного писателя Д.Л.Мордовцева «Печать в провинции», где он доказывал, что у печати в провинции нет никаких перспектив и достичь уровня столичных изданий и журналистов им никогда не удасться.

Это выступление со стороны Мордовцева было странным и неожиданным. Он начинал как украинский писатель, - в «Малорусском литературном сборнике», изданном в 1859 году в Саратове, Мордовцев напечатал поэму «Казаки и море», переводил повести Н.В.Гоголя на украинский. Там же в Саратове сблизился с историком Костомаровым, на чьих концепциях он основывался в своих исторических романах. Писателя интересовала история русского народа, которую он изображал в серии произведений из разных веков, «квази-исторических», как их называет современный исследователь творчества Мордовцева А.Ю.Сорочан [Сорочан, 222]. Мордовцев принадлежал к демократическому лагерю, находился в кругу Т.Шевченко и придерживался радикальных идей. Его исторический роман «Самозванцы и понизовая вольница» (1867), монография «Политические движения русского народа», «Русские политические деятели и Пугачев», «Русские исторические женщины.

Популярные рассказы из русской истории. Женщины допетровской Руси» и другие сочинения Мордовцева никак не предвещали проимперских выступлений. Рассматривая основные архетипы русского характера Мордовцев приходил к выводу, что это Святой подвижник и Бунтарь, а Дикая вольница является следствием деспотизма.

Сходные мысли о влиянии деспотизма на возникновение радикальных настроений молодежи высказывал Н.Николадзе в «Письме князю А.П.Щербатову», отчасти в «Письме исполнительного комитета «Народной воли» Александру III". Однако выводы, к которым приходили Мордовцев и Николадзе, были прямо противоположными.

Мордовцев считал, что все сколько-нибудь яркое и значительное в провинции стремится к центру — Петербургу и Москве. «... везде монополия крупной единицы, везде преобладание выдающейся силы над массами и полное отрицание в жизни идеального принципа равенства. Эта же страшная сила налагает свою руку и на будущее провинциализма во всех его видах — провинциализма национального, сепаративно-этнографического, сепаративно-политического и литературного. В свою очередь и печать — отражение нравственного роста человечества — неизбежно должна пойти туда, куда поведет ее человек, а человека неотразимая сила ведет из «глуши», из «Деревни», из «Саратова» к центрам, к большим городам, и влечет с поражающей быстротой. Ясно, что и печать будет тяготеть к центрам, городам, а провинции должны остаться вдовствующими во всех отношениях» [3, с.50]. Следствием этого, Мордовцев считает, должны стать «кропотливое собирательство» сведений из жизни провинции, поскольку «пока еще не пришло время говорить о правах ея (печати — И.Б.-М.), «протест мирный, ...протест неимеющий ничего общего с оппозиционным ворчанием» [Мордовцев, 65]. Во второй части статьи Мордовцев рассматривает провинциальную печать, дает свои характеристики тому, что сделано, явно умаляя значение нестоличных изданий, в первую очередь Нижнего Новгорода. Касаясь «кавказской фракции» Мордовцев отмечает «широкий культурный рост» грузин, приобщающиеся к общечеловеческим ценностия, «а упрямые горцы — без сомнения погибнут, если не вступят в союз с цивилизацией», поскольку «национализм — месть цивилизации». В конце статьи, говоря об украинской фракции Мордовцев предлагает отказаться от любования прошлым, пересать быть «археологическим, могильным, гробокопательским» и «разбудить население для разумной экономической борьбы за обладание тем добром, которое одно осталось от … славного прошлого. Вот те скромные задачи провинциальной печати, … чуждые всяких политических и иных тенденций — изучать жизненные нужды страны, доводить о них до общественного сведения, стараться поставить население в возможность предъявить экономическую и нравственную конкуренцию с центрами, с большими городами» [Мордовцев, 21, 32] .

Статья эта противоречивая по сути — с одной стороны Мордовцев сочувственно относится к идее общественного движения в провинции, с другой — ограничивает ее характер собиранием фактов и неполитической деятельностью. За этой двойственностью стояла концепция взаимоотношений центра и окраин, центробежной тенденции государства и центростремительной — окраин. В обществе она была воспринята чуть ли не как проправительственная.

Нико Николадзе еще до начала полемики, за несколько месяцев предвидел эти споры и выступал со статьями о печати в провинции, которую публицист рассматривал как составную часть его концепции государства, развития провинции в составе империи. Позиция Николадзе была подготовлена и продумана заранее. Еще в 1871 году, во время посещения Кавказа Императором Александром II, Николадзе сформулировал свое отношение к развитию будущего края и напечатал ряд статей. «На совещании о содержании адреса, который должен был быть подан Царю, - вспоминал Николадзе, - я доказывал, что нужно домогаться только земства. Местные тузы стояли за кадетский корпус, а интеллигенция высказывалась за университет. Видя, что в ней мало кто имел понятие о земстве и его необходимости, я составил статьи, помещенные в грузинской «Сельской газете» и изданные затем два раза отдельной брошюрой. В «Кребули» я, впрочем, дал место и статье Г.Церетели об Университете, подчиняясь, как всегда, решению большинства, высказавшегося против моего предложения, никем не признанного не только тогда, но и много лет спустя, несмотря на всевозможные мои доказательства, что это неизбежно первый шаг, первая ступень развития страны, что без него, до него, никакого улучшения народного быта достигнуть невозможно, так как нельзя народу расти без дорог, школ, врачей, кредита, организации, а все это дается только земством, к тому же дисциплинирующим его, приучающим исподволь к самоуправлению, самостоятельности. Все было всуе.» [Канделаки, 354-355]

О земстве Николадзе писал и в «Тифлисском вестнике» (1876, №143), и в журнале «Современность» - «Высочайшее разъяснение земской компетентнос-ти» (1876, № 2), «Первые шаги нашего земства» (1876, №5). Кроме того, находясь по делам в Париже в 1874-1875 годах, он анализирует деятельность французской печати и публикует брошюру «La presse de la décadance” («Пресса упадка», P. 1875), где рассматривает положение французской печати после Парижской Коммуны. С таким серьезным «багажом» Николадзе вступил в полемику с Мордовцевым по поводу задач провинциальной печати.

Позция Николадзе была сбалансирована. Он предостерегал от того, чтоб отождествлять официоз типа газеты «Кавказ» или нужды чиновников с Россией в целом. Николадзе рассматривает двусторонние аспекты коммуникации России о Грузии и Грузии о России. Местная печать «...обязана знать основательно и изучать с полнейшим беспристрастием положение, характер и нужды местного населения и знакомить с ними

русское общество. С другой стороны, она должна быть знакома, не менее основательно, с русским характером, с прошедшим и настоящим России, с ее литературой и цивилизацией, для того, чтобы знакомить с ними местное общество. Имея целью возбудить между этими двумя элементами вполне дружелюбные чувства взаимной любви и взаимного содействия, печать окраин должна в особенности заботиться о 2-х вещах: 1 — о том, чтобы интересы и нужды местных жителей становились известны русскому обществу в их истинном виде, и 2 — о том, чтобы ошибочные или эгоистические действия тех или других представителей русского общества не принимались в крае, как необъемлемая и существенная принадлежность русской цивилизации» [Николадзе, 1875, № 104].

Полемика Николадзе с Мордовцевым получила отражение в статьях «К вопросу о провинциальной печати» и «Новые силы. К вопросу о роли провинциальной печати», которые были опубликованы в «Тифлисском вестнике» (Николадзеб 1876, № 18 и №№ 133, 134, 135). Вера в возможности развития экономической и политической жизни на местах, высказанная Николадзе в этих статьях, вызвала горячую поддержку деятелей провинциальной печати. А.Гацисский, журналист из Нижнего Новгорода, также полемизировавший с Мордовцевым, восторженно приветствовал выступления Николадзе. В архиве публициста, опубликованном В.С.Шадури, содержатся свидетельства единомыслия, которое проявляли наиболее думающие журналисты в противодействию официозной печати [Николадзе, Шадури, 69]. К «Тифлисскому вестнику» присоединились наиболее влиятельные провинциальные издания, такие как «Одесский вестник» и «Новороссийский телеграф».

Н.Николадзе рассматривал, что обеспечивает успех любого издания, сочетая большой фактический материал прессы с теоретическими положениями. Читающая публика, справедливо писал он, заинтересована в оперативном знакомстве с современными событиями. И в правильном «дельном» их освещении. У провинциальной печати есть преимущества в быстром получении сведений, происходят на местах и если у провинциальных изданий будет допуск к иностранной информации, то преимущества не будут на стороне журналистики центра. Что же касается освещения и анализа современных событий, Николадзе отмечает явный регресс российской журналистики. Кроме того, Николадзе не разделяет увлечения крестьянской общиной, которое имело место в народнических кругах. Понимая ее утопичность он критикует также промышленное направление журналистики, справедливо заключая, что общество напрасно ждет «нового слова» от прессы. «Где теперь в столичных изданиях кроются Пушкины, Полевые, Белинские, Добролюбовы и пр., ум которых, в былые дни, шевелил и покорял все струнки читающей публики, «от хладных невских берегов до гор пылающей Колхиды»?» [Николадзе, 1876, № 134].

Отнюдь не только бедный стиль современных изданий критикует Николадзе. Для него журналистика неразрывно связана с конкретной

деятельностью по устройству экономики, социальной организации, просвещения и культуры. Системный подход отличает его взгляд публициста . Николадзе увязывает в своих выступлениях состояние международной политики с местными потребностями. С началом русско-турецкой войны он выезжает на театр военных действий в качестве военного корреспондента «Тифлисского вестника» и агенства «Гавас». Его «Походные письма» и «Походный дневник» необычайно поднимают тираж газеты, но Николадзе уходит из нее, поскольку его не устраивает позиция газеты по национальному вопросу и он начинает печататься в газете «Голос».

Получив, возможность переехать в Тифлис, Николадзе начинает издавать на русском языке газету «Обзор» (1878-1883). Здесь, помимо военных корреспонденций, Николадзе ведет «Воскресные беседы», которые охватывают самый широкий круг тем. На страницах этого издания появляются его очерки о Пушкине, Некрасове (некролог), Чернышевском, Гоголе, Лермонтове. «Обзор» становится самой популярной провинциальной газетой, как о том свидетельствуют «Материалы для характеристики положения русской печати», изданные в Женеве в 1898 году (стр. 17).

В статье «Кесарево кесареви» Николадзе объяснял читателям: «Мы имеем честь принадлежать к тому направлению русской печати, которое не удовлетворяется либеральными этикетами, а добивается существенного прогресса в экономическом и нравственном положении народа» [Николадзе, 1878, № 173]. Добивался Николадзе своей цели всеми возможными средствами, порой крайне не стандартными — от разоблачения взяточников из окружения наместника, до вызова на дуэль цензора, судебных разбирательств, отказом печатать газету до тех пор, пока не будет выведена полиция. Обозначив высокую ценность местной печати в споре с Мордовцевым, Николадзе доказывал свою правоту не только словом, но и делом. Когда в 1880 году «Обзор» был запрещен цензурой, а Николадзе выслан в Ставрополь под надзор полиции, он продолжил свою деятельность в качестве члена Литературного фонда в Петербурге, выпускал по одному номеру «Обзора» в год, чтоб не терять прав на издание. Обстоятельства не заставили его отказаться от журналистской деятельности, которую он сочетал с широкой разносторонней практикой.

Справедливость его программы подтвердила дальнейшая жизнь этого удивительного человека в качестве экономиста, политического деятеля, промышленника и организатора края. Четкость теоретических положений этого европейски образованного и мыслящего человека позволяла Николадзе ориентироваться в современности и отстаивать роль печати, в частности, местной провинциальной печати, в воссо здании будущего страны.

Указанная Литература:

1. Джавахишвили Г.Д. Николадзе и русская журналистика. Тбилиси, 1978.
2. М.Канделаки. Из переписки Н.Николадзе. //Вопросы теории и истории журналистики. Труды Тбилисского Государственного Университета, том 145, серия Журналистика, 2, 1971.
3. Мордовцев Д.Л.Печать в провинции. «Дело», 1875, № 9, № 10.
4. Н.Я.Николадзе. К вопросу о провинциальной печати. «Тифлисский вестник», 1876, № 18.
5. Н.Я.Николадзе. Новые силы. К вопросу о провинциальной печати. «Тифлисский вестник», 1876, №№ 133, 134, 135.
6. [Н.Я.Николадзе]. Назначение официальной печати. «Тифлисский вестник», 1875, №№ 103, 104.
7. [Н.Я.Николадзе]. Независимая печать в окраинах. «Тифлисский вестник», 1875, № 104.
8. Н.Я.Николадзе. Кесарево кесарю. «Обзор», 1878, № 173.
9. Письма русских литературно-общественных деятелей к Н.Я.Николадзе п/р В.С.Шадури, «Заря Востока», 1949.
10. Сорочан А.Ю. «Квазиисторический роман» в русской литературе XIX века. Д.Л.Мордовцев. Тверь. 2007.

ი. ბაგრატიონ-მუხრანელი

ნიკო ნიკოლაძე და პოლემიკა პროვინციული პრესის შესახებ

რეზიუმე

სტატია მოგვითხრობს მორდოვცევის სტატიის ,,პრესა პროვინციებში“ ირგვლივ რუსულ ბეჭდურ მედიაში გამართულ დებატებზე.

ავტორი აყენებდა საკითხს ცენტრსა და პროვინციებს შორის ფუნქციების გადანაწილების აუცილებლობის შესახებ.

ნიკო ნიკოლაძე ჩაება პოლემიკაში მორდოვცევთან და გამოხატა საკუთარი მოსაზრება პრესის როლის თაობაზე. კერძოდ, იგი დიდ როლს აკისრებდა ბეჭდურ მედიას სახელმწიფოს და განსაკუთრებით პროვინციის, როგორც იმპერიის სოციალური სტრუქტურის, განვითარების საქმეში.

I. Bagration-Mukhraneli

Niko Nikoladze and controversy on press in the provinces

Summary

The article deals with the debates in the Russian press devoted to Mordovtsev's article ‘the press in the provinces’. This article raised a question of distribution of some functions between the center and the provinces.

Niko Nikoladze entered into polemics with Mordovtsev and expressed his conception on state, essential role of press in the future development of the provinces as a social structure of the empire.

ლია ბიბილეიშვილი
ნიკო ნიკოლაძის სახლმუზეუმის დირექტორი

ნიკო ნიკოლაძე რიონზე ნაოსნობის შესახებ

მდინარე რიონზე ნაოსნობის საკითხი არაერთხელ დასმულა და განახლებულა. უკანასკნელად გასული საუკუნის 80-იან წლებში ინგლისელი მეცნიერისა და მოგზაურის ტიმ სევერინის საქართველოში ჩამოსვლისას კიდევ ერთხელ გაიხსენეს, თითქოს გზებიც დასახეს ნაოსნობის, ტვირთბრუნვის, სპორტული, ტურისტული და სხვადასხვა მიზნით ჩვენი მდინარეების გამოყენების თვალსაზრისით. სამწუხაროდ, როგორც ხდება ხოლმე, არავის გახსენებია ჩვენი დიდი თანამემამულის ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი და დამსახურება ამ საქმეში.

ჩვენ ამ წერილით გვსურს საზოგადოებას შევახსენოთ ნ. ნიკოლაძის ღვაწლი რიონის გამოყენების საქმეში, აგრეთვე ის, რომ ქუთაისის საპორტო ქალაქად მოხსენიება არასოდეს ყოფილა დღემდე ქილიკის საგანი. მას მუდამ სერიოზულად განიხილავდნენ (გაზ. “კომუნისტი”; 1985 წლის 16 ივნისი, №118; გაზ. “ახალგაზრდა კომუნისტი”; 1988 წლის 2 ივლისი, №80; გაზ. “ქუთაისი”; 1989 წლის 18 თებერვალი, №38 და ა. შ.).

1926 წელს გამოვიდა ნიკო ნიკოლაძის ბროშურა “მდინარე რიონზე ნაოსნობის ეკონომიკური მნიშვნელობა”, რომლის შესავალში – “წინასიტყვაობის მაგიერ” – ვიგებთ, რომ 1926 წლის 11 იანვარს ჩატარდა პირველი თათბირი საქართველოს საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სამდინარო მეურნეობის, ამიერკავკასიის სამდინარო მიმოსვლის სამმართველოს, პორტების განყოფილების წარმომადგენლებისა და მიწვეულ ნ. ი. ნიკოლაძის მონაწილეობით, რომელზეც შედგა საგანგებო კომისია მდ. რიონზე ნაოსნობის დასაწყებად ყველა საკითხის შემუშავებისათვის (კომისიის შემადგენლობის ჩამოთვლა აქ საინტერესოდ არ მიგვაჩნია). ამ მიზნით საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ გაცემული 3,000 მანეთით სსრკ სამდინარო მიმოსვლის სამმართველოსა და პორტების განყოფილების მიერ ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები სამტრედიის ხიდიდან მდინარე რიონის შესართავამდე, რამაც აჩვენა ამ მონაკვეთზე ნაოსნობის გახსნის სრული შესაძლებლობა. ამავე დროს კომისიის წევრმა ნ. ი. ნიკოლაძემ, ცნობილმა ეკონომისტმა და ადგილობრივი პირობების მცოდნემ, განაცხადა თანხმობა, უსასყიდლოდ შეედგინა

ეკონომიკური გამოკვლევა მდ. რიონზე ნაოსნობის მნიშვნელობის შესახებ.

ნ. ნიკოლაძემ დაუყოვნებლივ შეადგინა ეკონომიკური დასაბუთება მდ. რიონზე ნაოსნობის ორგანიზაციის აუცილებლობაზე, რისი წყალობითაც რიონზე ნაოსნობის დაწყების ორგანიზაციული საკითხების მოგვარება დაჩქარდა – გამოიყო ნაოსნობის უზრუნველსაყოფად საჭირო აუცილებელი თანხები, შემუშავდა სააქციო საზოგადოების წესდება, შერჩეულ და მოძიებულ იქნა სამდინარო ტრანსპორტის ოპტიმალური სახეობები და დაიწყო მთელი მხარისა და განსაკუთრებით მდ. რიონის ხეობის სასოფლო სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლებისათვის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის მოგვარება (რიონზე ნაოსნობა სხვადასხვა დანიშნულებით 1936 წლამდე არსებობდა).

რიონზე ნაოსნობის აღდგენის მნიშვნელობაზე საუბარს ნ. ნიკოლაძე ამ თემის ისტორიული მიმოხილვით იწყებს, რაშიც ჩანს ჩვენი დიდი თანამემამულის ღრმა ცოდნა საკითხის ისტორიული მხარისა და ისიც, რომ ნიკოს კარგად ესმის ამ ნაოსნობის მნიშვნელობა არამარტო სამეურნეო მხრივ, იგი მის სტრატეგიულსა და პოლიტიკურ დატვირთვასაც ასაბუთებს. მიმოიხილავს რიონის აუზის სხვა დიდ თუ მცირე ზომის მდინარეების დამხმარე ფუნქციასაც, რიონთან ერთად ამ მდინარეებში წყლის აუცილებელი დონეების რეგულირების საკითხს, ამისათვის არჩევს გამოსადეგი საზღვაო თუ სამდინარო ტრანსპორტის სახეებს, მოძრაობის მარშრუტის გრაფიკს, აქვე იძლევა ცნობებს მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებამდე ფოთი-ორპირის მარშრუტის ღირებულებაზე.

1873 წლიდან რიონზე ნაოსნობა და ვაჭრობა შეწყდა ფოთი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის აშენების გამო, რადგან რკინიგზამ ნაოსნობიდან მიიტაცა ყველა სატრანსპორტო ტვირთი, თუმცა, როგორც ნ. ნიკოლაძე წერს, - “ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის მცირე ნაწილსღა შეეძლო გაეკვლია გზა თავისთვის და თავისი ნაღვაწისთვის ახალგახსნილი რკინიგზის სადგურებისკენ.” მართალია, ამან ხელი შეუწყო ამ ადგილებში მეურნეობის განვითარებას, მაგრამ ეს იყო მოსახლეობის მცირე ნაწილი. დანარჩენი – რიონის ხეობის მარჯვენა სანაპიროს თითქმის მთელი მოსახლეობა კი იძულებული გახდა დაბრუნებოდა პირველყოფილ საშუალებებს, პროდუქცია უფასოდ გაესაღებინა კულაკებთან, ან ტივებით ჩაეზიდა ფოთში.

ნ. ნიკოლაძე ეჭვქვეშ აყენებს ნაოსნობის ფუნქციონირებისათვის ხელის შემშლელად მდინარის ხერგილებისაგან გაწმენდის შეწყვეტას მთავრობის მიერ, რადგან თუნდაც 1877 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების წინ, ნაოსნობისა და ვაჭრობის რუსულმა საზოგადოებამ რიონზე ზევით, ფოთიდან ორპირამდე ორთქმავლის ბუქსირით აიყვანა ორი ბარჟა, მდინარის ხერგილებისაგან წინასწარი გაწმენდის გარეშე. 5 წლის გაუწმენდავ მდინარეში ბარჟებსა და ორთქლმავალს მდინარის მთელ გაყოლებაზე არანაირი დაბრკოლება არ შეხვედრია.

მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, - წერს ნიკოლაძე, - რიონზე ნაოსნობის შეწყვეტის დროიდან რომ გაიარა, ქვეყნის ეკონომიური განვითარება წავიდა წინ გიგანტური ნაბიჯებით. ყოველგვარი სიძნელეების მიუხედავად, რიონის ხეობის აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ტეხურას შესართავის ზემოთ, მოსახლეობამ გაიკვალა გზა რკინიგზის სადგურებისკენ შარაგზების ფართო ქსელით, რაც მოსახლეობამ მოაწყო, მაგრამ ამ მარჯვენა სანაპიროს დასავლეთი ნაწილი, განსაკუთრებით მდ. ცივის შესართავიდან დაწყებული, ასევე, თითქმის რიონის მთელი მარცხენა სანაპირო, მოწყვეტილი იყო სრულყოფილ საგზაო მიმოსვლას. მხოლოდ რიონზე ნაოსნობის აღდგენას შეეძლო ამ დიდი რაიონის ეკონომიკური აღორძინების გამოწვევა. კლიმატური პირობები და ნიადაგი არამხოლოდ სოფლის მეურნეობას, არამედ წარმოების სხვა დარგებსაც ინტენსიურად განავითარებს.

ნ. ნიკოლაძე დაწვრილებით აღწერს კოლხეთის დაბლობისა და კავკასიონის ქედის ამ მონაკვეთის მთისწინეთს კოდორის აუზის ჩათვლით, მდინარეთა განლაგებას ამ სივრცეზე, მხარის კლიმატურ პირობებს, ჰავას, წყლის შეფარდებით დონეებს ამ მდინარეებში, მდინარეების ერთმანეთში გადადინების პროცესებს ადიდებისას სეზონურად და ამის შედეგებს, ნალექების წლიურ და სეზონურ რაოდენობას, მდინარეების მიერ მთებიდან წამოღებულ დანალექებს და ამ დანალექების გავლენას მდინარეებსა და ზღვის სანაპირო ზოლში ნიადაგზე, მიწის საფარის ცვლილებებზე, მდინარეთა სეზონური ადიდების შედეგად სხვადასხვა ბუნებრივი პირობებით გამოწვეულ მდინარეთა კალაპოტების, მიმართულებების ცვლილებებს, მოსახლეობის განსახლებას მდინარეთა გასწვრივ, მათ სამეურნეო და სავაჭრო საქმიანობას, მცენარეულ საფარს და სხვა.

თავისი ნაშრომის მეორე ნაწილში (“სტატისტიკური მიმოხილვა”) ავტორი იძლევა მდ. რიონის ხეობის სამივე რეგიონის (“მაზრების”) – იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს - სოფლის

მოსახლეობის განსახლების სიმჭიდროვისა და სამეურნეო საქმიანობის დახასიათებას, სახეობების, მოცულობების გათვალისწინებით; ჰექტარზე სხვადასხვა კულტურის მოსავლიანობასა და გლეხების მიერ ხე-ტყითა და სხვადასხვა სახის პროდუქციით ვაჭრობის მოცულობას, ტვირთის სავაჭროდ გადაზიდვის საშუალებებს რკინიგზით, მდინარეში შეცურებით, მდინარეზე ნაოსნობით და ა.შ. ნ. ნიკოლაძე იქვე დასძენს: - "ზუსტი მონაცემების უქონლობის მიუხედავად, უეჭველია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის სოფლის მეურნეობის დამხმარე დარგების პროდუქტები, როგორიცაა მებოსტნეობა, მებაღეობა, მეფრინველეობა, მეაბრეშუმეობა, მეცხოველეობა და ა.შ. მისცემენ რიონის ნავიგაციას ათეულ ათასზე არანაკლები რაოდენობის კარგად ანაზღაურებულ ტვირთს."

სარკინიგზო სადგურებამდე მდინარეებით პროდუქციის გადაზიდვის სიძნელეების მოცულობის აღწერის შემდეგ, ნიკოლაძე დაასკვნის: - „უკვე მსოფლიო ომის წინ იყო სახეზე მონაცემები რიონზე რეგულარული ნაოსნობის მოსაწყობად. იქამდე მაშინ არსებული სავაჭრო-სამგზავრო მოძრაობის ერთი მესამედი ნაწილი სავსებით კმაროდა არა მარტო ასეთი დაწესებულების ხარჯების დასაფარავად, არამედ დახარჯული კაპიტალის პროცენტების ჭარბად გადასახდელადაც."

მესამე თავში – „დაწესებულების (ალბათ, აქ უნდა იგულისხმებოდეს - „სააქციო საზოგადოება", ან სსრკ სამდინარო მიმოსვლის სამმართველო და პორტების განყოფილება) სქემა", ნიკო ნიკოლაძე წერს, რომ „რიონის სანაოსნო რაიონის სტატისტიკური მიმოხილვა გვაძლევს იმის გამოთვლის საფუძველს, რომ ამ „დაწესებულების" წლიურმა ბრუნვამ, შეიძლება, მისი მუშაობის პირველ წლებში მიაღწიოს სავაჭრო-სამგზავრო მოძრაობის მესამედს იმისა, რაც არსებობდა ამ რაიონში 1913 წელს, ე.ი. 250.000 მგზავრის გადაყვანას და 4.870.000 ფუთი ტვირთის გადაზიდვას. მგზავრ-კილომეტრის 1,5 კაპ. და ფუთ-კილომეტრ 0,15 კაპ. ტარიფის დროს საშუალოდ 60 კილომეტრ გზის სიგრძეზე წარმოებას შეუძლია მოგვცეს ყოველწლიურად 225,600 მანეთი მგზავრთა მოძრაობიდან და 438,300 მანეთი – სატვირთოსაგან. 663,300 მანეთი შენახვისა და გადატვირთვისათვის დამატებითი ანაკრეფების ჩაუთვლელად. ამ შემოსავალს ადვილად გავზრდით, კლიენტებისათვის ზარალის გარეშე, თუ საქონლის მექანიკური გადაზიდვისათვის სანაოსნოს თბომავლებსა და ბარჟებს მოვამარაგებთ თანამედროვე მოწყობილობით და ტრანსპორტიორებით, სანაოსნოს ნავმისადგომებს

მოვამარაგებთ მცირე ზომის ბეღლებით და მოვაწყობთ ტრანსპორტიორებს ხორბლის გადასაზიდად ფოთის პორტში მდგარ საზღვაო გემებზე, ანდა სანაოსნოს ხაროებსა და შეშის ვაგონებში, ან რკინიგზის საწყობებში. დროთა განმავლობაში ეს ოპერაციები მნიშვნელოვნად გაზრდის და შეამსუბუქებს სიმინდისა და ტყის მასალების გატანას, ადგილობრივი მოსახლეობისა და მისი მომსახურე ნაოსნობისათვის დიდი სარგებლით. ცნობილია, რომ ფოთის გავლით სიმინდის გადაგზავნის არსებითი ხელის შემშლელი ყოველთვის იყო მისი იქ შენახვა საზღვაო ტრანსპორტის მოსვლამდე და მათი მოსვლისთანავე მარცვლის ხელახლა გადაყრა ბეღლებიდან სარკინიგზო ვაგონებით გემამდე მისატანად, რომლის საცავებში (ტრიუმებში) იგი იყრებოდა ხელით და არა ელევატორის საშუალებით.

ნ. ნიკოლაძის გაანგარიშებით, "დაწესებულების (სანაოსნოს) შემოსავალი საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა გაიზარდოს ორჯერ, სამჯერ და მეტჯერაც და მაინც არ მიაღწევს მდინარისპირა მოსახლეობისათვის ახლანდელი გადაზიდვების ღირებულებას. მაგრამ დაბალი განაკვეთის დროსაც კი გამოდის, რომ რიონის ტრანსპორტის საერთო შედეგი წელიწადში მოგვცემს:

შემოსავალი . . . . . 476.250 მანეთს

გასავალი . . . . . 368.159 მანეთს

ან, დაწესებულებაში ჩადებული და ათეული პროცენტიანი ზრდით ანაზღაურებული, კაპიტალზე ოცი პროცენტით მეტს.

კომენტარის სახით დავამატებდი (და იქნებ კიდევ ვინმეს გაუჩნდეს სურვილი ამ საკითხთან დაკავშირებით აზრის გამოთქმისა)."

ნ. ნიკოლაძის ეს ნარკვევი ჩვენთვის საინტერესოა არა მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით, არამედ ორპირამდე მდინარე რიონის სანაოსნოდ და სავაჭრო მიმოსვლისთვის გამოყენების კუთხით, ამ პროექტს თუ ტექნიკის მაშინდელ პირობებში შეეძლო მოგების მოტანა ქვეყნისათვის და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, დღეს, დამოუკიდებლობის პირობებში, მით უფრო საშურ საქმედ ჩანს რიონის და სხვა დიდი მდინარეების გამოყენება სანაოსნოდ, ტვირთის გადასაზიდად, სპორტული და ტურისტული მიზნებისათვის. რაც შეეხება ქუთაისის საპორტო ქალაქობას, მოგეხსენებათ, ორპირი შორს როდია ქუთაისიდან. ორპირიდან ტვირთის გადაზიდვა, მგზავრების გადაყვანა (ტურისტებისაც). მდინარე რიონით ტრანსპორტირებას გააიაფებდა, გააიოლებდა მიმოსვლას, რიონზე ნაოსნობა მიმზიდველი იქნებოდა ტურისტებისთვისაც. ეს, ალბათ, ცოტა გვერდზეც

გაგვახედებდა, - მეტ ყურადღებას მივაქცევდით მდინარეთა კალაპოტების სისუფთავეს (ხშირად მდინარის ნაპირები ნაგავსაყრელადაა ქცეული), იაფფასიანი მსუბუქი სანაოსნო (სამგზავრო), ან თუნდაც ტვირთის გადასატანი სამდინარო ტრანსპორტის ადგილზე დამზადება და შესაბამისი საწარმოების გახსნა მცირე ბიზნესის სახით, ადგილობრივ მუშახელს დაასაქმებდა, მდინარეთა გასწვრივ არსებული ჭაობების დაშრობის პრობლემაზეც დავფიქრდებოდით, რაც საძოვრებისა და ნოყიერი სახნავ-სათესი ფართობების პრობლემასაც მოაგვარებდა...

ოცნებას კაცი არ მოუკლავსო, - ამბობენ. შეუძლებელიც არაფერია! ევროპაში თუ ყველა ეროვნულ რესურსს პოტენციურად მერკანტილური კუთხით აფასებს და იყენებს, ჩვენ რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ღვთით ბოძებული ბუნებრივი სიმდიდრე და რეზერვები გონივრულად და მაქსიმალურად?! როგორც დიდი ნიკო ამბობდა: - "ბრმაც კი უნდა მიხვდეს, რომ ყოველი საშუალება, რომელიც ამ საზოგადოებას განავითარებს და გააძლიერებს, რომელიც მას გულში იმედს ჩაუნერგავს, ან მხარში ძალას მისცემს, სასარგებლო იქნება ჩვენი ხალხისათვის", ან "ხალხი მაშინ არის ძლიერი და ბედნიერი, როცა მთელი მისი ძალა თანამედროვე მეცნიერების იარაღით არის აღჭურვილი, მის სასარგებლოდ იხმარება და მოქმედებს… სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მეწველი ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა, შეუძლებელია, რომ ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი ძმობა ან ხეირიანი განწყობილება. მაშასადამე, ყველაფერი, რაც ეკონომიურ სამართლიანობას გვაახლოებს, ჩვენის მამულის სასარგებლოდ უნდა მიგვაჩნდეს და ნიადაგ იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ხალხის უმრავლეს ნაწილს გავუადვილოთ თავის გათავისუფლება ეხლანდელის დამოკიდებულ მდგომარეობისაგან…".

მითითებული ლიტერატურის სია:

1. Нико Николадзе "Экономическое значенье пороходьство на реке Риони", Тбилиси, 1926.
2. ნ. ნიკოლაძე. "ჩემ პოლიტიკაზე"; ქართული მწერლობა; ტ. 14; თბ.; 1997.

ლ. ბიბილეიშვილი

ნიკო ნიკოლაძე რიონზე ნაოსნობის შესახებ

რეზიუმე

1926 წელს ნ. ნიკოლაძემ შეადგინა მდ. რიონზე ნაოსნობის ორგანიზაციის ეკონომიკური დასაბუთება, რომელშიც ნაოსნობის არა მხოლოდ სამეურნეო მნიშვნელობაა ასახული, არამედ რიონის აუზის სტრატეგიული და პოლიტიკური დატვირთვაც.

1873 წლიდან მდ. რიონზე ნაოსნობა და ვაჭრობა შეწყდა ფოთი – თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანის გამო. ნ. ნიკოლაძის მიერ შედგენილ ეკონომიკურ გაანგარიშებაში ჩანს მისი, როგორც გამოცდილი ეკონომისტის ხედვა, ამასთან, რიონისპირა მხარის ზედმიწევნითი ცოდნა და იმის დასაბუთება, თუ რა ეკონომიკურ სიკეთეს მოუტანდა სამდინარო მიმოსვლის აღდგენა ქვეყანას.

L. Bibileishvili

Niko Nikoladze about Navigation on the River Rioni

Summary

In 1926 Niko Nikoladze made up the economic justification of navigation on the river Rioni. The work presents not only economic importance of the navigation on the river Rioni, but strategic and political role of Rioni basin.

Since 1873 navigation and trade has been stopped due to the building of Poti-Tbilisi mainline.

Niko Nikoladze in his economic calculations expresses his views, as that of the experienced economist. Moreover, it becomes clear that he knew the region very well and came to the conclusion that the restoration of the navigation on the river Rioni would bring the economic welfare to the country.

გიზო გორგოძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ყურძნის ზეთის ექსტრაქციის პროცესის ოპტიმიზაცია

ნიკო ნიკოლაძე ახალი თაობის იდეური მეთაური და გზის გამკვალავი იყო. ახალმა დრომ ახალი ამოცანები დააყენა ქვეყნისა და ხალხის წინაშე. "ხალხმა და საზოგადოებამ იგრძნო და დაინახა, რომ საზოგადოებრივი წესი და წყობა ადამიდან შეუცვლელი და ხელუხლებელი კი არ ყოფილა, ის, თურმე, კაცის ხელით შექმნილა და კაცის ხელითვე შეიცვლება. ქართველობის მიზნები მარტო ზომიერების გზით მიიღწევნება", გვმოძღვრავდა დიდი დემოკრატი და იმასაც ამატებდა, რომ "გონიერი კაცი და ერი თავისუფლებას თუ ავტონომიას მით იძენს, რომ ანგარიშიანი მართვით ჯერ თავის შინაურ, მერე სამრეწველო, შემდეგ საზოგადო, ბოლოს პოლიტიკური საქმეების საშუალებით იგვარებს უმაღლეს სახელმწიფო საკითხს".

მეღვინეობის მეორადი ნედლეულის უტილიზაციის პრობლემა აქტუალურია ყველა ღვინის მწარმოებელ ქვეყანაში. ერთი ტონა ყურძნის გადამუშავებით წარმოიშვება მეორადი ნედლეული, რომლისაგანაც კომპლექსურად შესაძლებელია მივიღოთ მნიშვნელოვანი ღირებულების ფასეული პროდუქტები, მათ შორის ყურძნის ზეთი.

ზეთის მიღების კომბინირებული ხერხი: ჯერ ჭენჭოდან ზეთის გამოწნეხვა, ხოლო დარჩენილი ბურბუშელას ექსტრაქცია პრაქტიკულად ზეთის მაქსიმალური გამოწვლილვის საშუალებას გვაძლევს, მაგრამ დიდია მატერიალური დანახარჯებიც. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა წიპწიდან ზეთის პირდაპირი ექსტრაქციით წარმოების აუცილებლობა. **შესაბამისად, პირდაპირი ექსტრაჰირებით ზეთის წარმოების პროცესების ოპტიმიზაციის ამოცანის გადაწყვეტა აქტუალურია,** მითუმეტეს, რომ ორგანული გამხსნელის და საწარმოო რეჟიმების რაციონალურად შერჩევის შემთხვევაში ზეთის გამოსავლიანობამ, შესაძლებელია, წიპწაში არსებულის 90-95%-ს გადააჭარბოს.

ნაშრომის მიზანია წინასწარ დამუშავებული და ვალცებში გატარებული ყურძნის წიპწის ორგანული გამხსნელებით ექსტრაქციის პროცესის შესწავლა და ოპტიმიზაცია.

გამშრალ ყურძნის წიპწას ვაქუცმაცებდით 1–2 მმ ფრაქციამდე ჩაქუჩებიან წისქვილში. დაქუცმაცების ძირითადი მიზანი იყო უჯრედული სტრუქტურის შესაძლო მაქსიმალურად დაშლა და

ნედლეულისათვის ისეთი სტრუქტურის მიცემა, რომ გაადვილდეს შემდგომი ოპერაციები: ჰიდროთერმული დამუშავება, ვალცებზე ბურბუშელას მიღება და ზეთის პირდაპირი ექსტრაქცია. დაქუცმაცების კარგი ხარისხი მიიღწევა ყურძნის წიპწის არაუმეტესი 10% ტენიანობის დროს. სხვადასხვა ზეთოვანი მარცვლეული კულტურების ჰიდროთერმული დამუშავებისას იყენებენ ტემპერატურას, არაუმეტესი 105°C-ს. ჰიდროთერმული დამუშავების ხანგრძლივობა არ აღემატება 30–40 წამს. ვალცებში გატარებისას ტემპერატურა დაგვყავს 70–80 °C-მდე.

ექსტრაქციისათვის გამოიყენებოდა ვალცებიდან მიღებული ბურბუშელა, რომელიც ექსპერიმენტში ყოველი ცდისათვის გამოიწნეხებოდა იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც ცდისათვის იყო საჭირო. როგორც წესი, თითოეული ცდისათვის ვიღებდით 120 გ ვალცებზე ახლად გამოწნეხილ წიპწის ბურბუშელას.

წინასწარ დამუშავებული ყურძნის წიპწის ბურბუშელადან ზეთის ექსტრაქციის პროცესის ოპტიმიზაციის ძირითად პარამეტრად ვღებულობთ ერთეული ნედლეულიდან ზეთის გამოსავლიანობას B_0, კგ/ტ.

ოპტიმიზაციის მეორე კრიტერიუმად მივიღეთ ერთეული ნედლეულიდან ზეთის წარმოებაზე გაწეული სრული ენერგოდანახარჯები (ექსტარქცია, გამხსნელის რეკუპერაცია) - **E**, დოლ/ტ (აქ 1 კვტ*სთ ენერგიის ღირებულებად მივიღეთ 0,1 დოლარის ტოლი).

მესამე, წარმოებულ ეკონომიკურ კრიტერიუმად ვღებულობთ ენერგოთვითღირებულებას, როგორც ერთეული მიზნობრივი პროდუქტის (ზეთის) წარმოებაზე დახარჯული რეალური ენერგიის ღირებულება D, დოლ/კგ.

ლაბორატორიული ექსპერიმენტის შედეგებისა და სხვადასხვა მცენარეული ზეთოვანი ექსტრაქტების წარმოების მრავალწლიანი გამოცდილების გათვალისწინებით ექსპერიმენტის დაგეგმვის მატრიცაში შევიტანეთ ოთხი ფაქტორი:

- ექსტრაქციის ხანგრძლივობა **m**, წთ;
- ექტსრაქციის ტემპერატურა **t**, ^{0}C;
- ექსტრაგენტისა და ყურძნის წიპწის ბურბუშელას მასური თანაფარდობა **n**, ლ/კგ;
- პულსაციისას რხევების სიხშირე **T**, წ$^{-1}$. ამ დროს დავეყრდენით ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგებს და რხევის ამპლიტუდა მივიღეთ მუდმივი 1 მმ-ს ტოლი. რხევებს ვახორციელებთ პერიოდულად ყოველ 10 წუთში 1 წუთის განმავლობაში.

ცხრილი 1

ყურძნის წიპწის ბურბუშელადან ზეთის პირდაპირი ექსტრაქციის საწარმოო ექსპერიმენტის პირობები

ფაქტორები და დონეები	ექსტრაქციის ტემპერატურა t , °C	ექსტრაქციის ხანგრძლივობა m , წუთი	გამხსნელი/ ნედლეული n, ლ/კგ	ვიბრაციის სიხშირე T, 1/წმ
კოდირებული აღნიშვნა	X_1	X_2	X_3	X_4
ძირითადი დონე	65	120	10	3
ვარირების ინტერვალი	10	10	1	1

ყურძნის წიპწის ბურბუშელადან ზეთის პირდაპირი ექსტრაქციის საწარმოო ექსპერიმენტის პირობები მოყვანილია ცხრ.1–ში.

ექსპერიმენტის დაგეგმვის მატრიცად გამოვიყენეთ ცენტრალური კომპოზიციური როტატაბელური გეგმა, რომელიც ყველაზე მოხერხებულია დასახული მიზნების რეალიზაციისათვის, ვარსკვლავური მხარი ამ შემთხვევაში **±2**-ის ტოლია. ექსტრაგენტად გამოვიყენეთ ტრიქლორეთილენი, რომლის დუღილის ტემპერატურაა **87 ^{0}C,** რაც სავსებით მისაღებია საქართველოს კლიმატური პირობებისათვის, ერთის მხრივ, და პროცესის ინტენსიფიკაციისათვის, მეორეს მხრივ (ექსტრაქცია მიმდინარეობს დუღილის ტემპერატურის ახლოს). მივიღეთ შემდეგი სახის ადეკვატური რეგრესიის განტოლებები:

წითელი ყურძნის წიპწისათვის:

$$(B_0)Y1 = 165 + 10\,X_1 + 14X_2 + 15X_3 + 3X_4 + 6X_1X_4 - 3X_1^2 - 4X_2^2 - 5X_3^2 - 2X_4^2; \quad (1)$$

$$(E)\ Y_2 = 185 + 12X_1 + 10X_2 + 14X_3 + 3X_1X_3 - 4X_1^2; \quad (2)$$

თეთრი ყურძნის წიპწისათვის:

$$(B0)Y1 = 145 + 9\,X1 + 12X2 + 14X3 + 2X4 + 5X1X4 - 3X12 - 3X22 - 4X32 - 2X42; \quad (3)$$

$$(E)Y2 = 180 + 10X1 + 8X2 + 12X3 + 3X1X3 - 3X12; \quad (4)$$

ორივე სახის ყურძნისათვის

$$D = Y2/Y1. \quad (5)$$

მიღებულ რეგრესიის განტოლებებში X_i ცვლადები კოდირებულ მასშტაბშია მოცემული. მათ ნატურალურ მასშტაბში გადაყვანას

მოვახდენთ ექსპერიმენტის პირობების გათვალისწინებით) შემდეგი ფორმულებით:

$$X_1 = (t - 60)/10;\ X_2 = (m - 60)/10;\ X_3 = n - 7;\ X_4 = T - 3$$

მიღებული ადეკვატური რეგრესიის განტოლებების ერთზომადი კვეთების

ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. ექსპერიმენტის პირობები ორივე სახის ყურძნის წიპწისათვის სწორადაა შერჩეული;
2. ერთდროულად მიზნობრივი პროდუქტის მაქსიმალური გამოსავლიანობის მიღწევა ორივე სახის წიპწისათვის მინიმალური ენერგოდანახარჯების პირობებში შეუძლებელია კომპრომისული ოპტიმიზაციის ამოცანის გადაწყვეტის გარეშე;
3. ფაქტორების გარკვეული მნიშვნელობებისათვის შესაძლებელია მინიმალური ენერგოთვითღირებულების მიღწევა მიზნობრივი პროდუქტის გამოსავლიანობისა და ერთეული ნედლეულის გადამუშავებაზე გაწეული ენერგოდანახარჯების ხარჯზე;
4. პროცესის რეალური ოპტიმალური რეჟიმის დასადგენად მიზანშეწონილია ოპტიმიზაციის კომპრომისული ამოცანის გადაწყვეტა, რისთვისაც ვიყენებთ ლაგრანჟის განუსაზღვრელ მამრავლთა კლასიკურ მეთოდს.

ოპტიმიზაციის B_0 პარამეტრისათვის ორმაგი ეფექტების ზედაპირების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყველა ეფექტს გარდა $Y_1(X_1X_4)$ ეფექტისა, ორივე სახის ყურძნის წიპწისათვის აქვს ამოზნექილი პარაბოლოიდის ფორმა ექსპერიმენტის არეში, (პიკების კოორდინატები მოცემულია ცხრ.2–ში). $Y_1(X_1X_4)$ ეფექტების ზედაპირებს როგორც წითელი (ნახ.1), ისე თეთრი ყურძნის წიპწისათვის აქვთ უნაგირის ფორმა ექსტრემალური წერტილების გარეშე.

მიღებული შედეგების წინასწარი ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიზნობრივი პროდუქტის მაქსიმალური გამოსავლიანობა უნდა ვეძებოთ, როცა $X_i \geq 1$, რაც სრულ შესაბამისობაშია ოპტიმიზაციის B_0 პარამეტრისათვის რეგრესიის განტოლების ერთზომადი კვეთების ანალიზისას გაკეთებულ დასკვნებთან.

ცხრილი2

ორმაგი ეფექტების ლოკალური ექსტრემალური წერტილების კოორდინატები

ორმაგი ეფექტები	წითელი ყურძნის წიპწა			თეთრი ყურძნის წიპწა		
	X_i	X_j	შენიშვნა	X_i	X_j	შენიშვნა
Y_1 (X_1X_2)	X_1=1,68	X_2=1,75	–	X_1=1,5	X_2=2	–
Y_1 (X_1X_3)	X_1=1,68	X_3=1,5	–	X_1=1,5	X_3=1,75	–
Y_1 (X_1X_4)	–	–	არ იძებნება	–	–	არ იძებნება
Y_1 (X_2X_3)	X_2=1,75	X_3=1,5	–	X_2=2	X_3=1,75	–
Y_1 (X_2X_4)	X_2=1,75	X_4=0,75	–	X_2=2	X_4=0,5	–
Y_1 (X_3X_4)	X_3=1,5	X_4=0,75	–	X_3=1,75	X_4=0,5	–

მიზნობრივ ფუნქციად ვღებულობთ ერთეული ნედლეულიდან (ყურძნის წიპწის წინასწარ დამუშავებული ბურბუშელა) ყურძნის წიპწის ზეთის პროცენტულ გამოსავლიანობას (1) და (3) რეგრესიის განტოლებების სახით, ხოლო შეზღუდვის სახით ვღებულობთ ერთეული ნედლეულიდან ზეთის მისაღებად საჭირო სრულ ენერგოდანახარჯებს რეგრესიის (2) და (4) განტოლებების სახით, რომლებსაც ვანიჭებთ ჩვენთვის მისაღებ მნიშვნელობებს: 165 დოლარი/ტონა – წითელი ყურძნის წიპწისათვის და 145 დოლარი/ტონა – თეთრი ყურძნის წიპწისათვის, ანუ Y_2(Xi) ფუნქციის მნიშვნელობებს ექსპერიმენტის ცენტრში. აღნიშნული შემდეგნაირად ჩაიწერება:

$$\mathbf{Y1\ (Xi) \rightarrow \text{მაქსიმუმი},}\ (6)$$

შემდეგი შეზღუდვებისათვის

Y_2 (X_i) = 165 დოლარი/ტ - წითელი ყურძნის წიპწისათვის;

Y_2 (X_i) = 145 დოლარი/ტ -თეთრი ყურძნის წიპწისათვის;

$$\mathbf{-2 \leq X_i \leq 2;\ i=1,2,3,4.}\ (7)$$

შემოგვაქვს დამხმარე Φ ფუნქცია და პირობითი ექსტრემუმის ამოცანა დაგვყავს უპირობო ექსტრემუმამდე, ანუ შეზღუდვების გარეშე ექსტრემუმის ამოცანამდე. ეს ფუნქცია შემდეგნაირად ჩამოყალიბდება.

$\Phi = B_0(X_i)+\lambda_1[E(X_i)-165]$ – წითელი ყურძნის წიპწისათვის; (8)

$\Phi = B_0(X_i)+\lambda_2[E(X_i)-145]$ – თეთრი ყურძნის წიპწისათვის, (9)

სადაც λ_1 და λ_2 - ლაგრანჟის განუსაზღვრელი მამრავლია და გამოდის როგორც დამოუკიდებელი ცვლადები X_i ფაქტორების მსგავსად.

თუ ავიღებთ $\partial\Phi/\partial X_i$ და $\partial\Phi/\partial\lambda$ წარმოებულებს და გავუტოლებთ მათ ნოლს, მივიღებთ 5 განტოლებიან და ხუთუცნობიან ორ სისტემას როგორც წითელი, ისე თეთრი ყურძნის წიპწისათვის.



$$Y_1 = 165 + 10X_1 + 3X_4 + 6X_1X_4 - 3X_1^2 - 2X_4^2$$

ნახ.1. წითელი ყურძნის წიპწისათვის ექსტრაქციის ტემპერატურის (X_1) და ვიბრაციის სიხშირის (X_4) დამოკიდებულების გრაფიკი ზეთის გამოსავლიანობაზე (B_0, კგ/ტ)

ამ სისტემების ამონახსნი, რომელიც ექსპერიმენტის ფარგლებში ოპტიმალურთან ახლოსაა, შემდეგია:

– წითელი ყურძნის წიპწისათვის

X_1= 1,4608; X_2= 0,2670; X_3= - 0,1394; X_4= 1,6589; λ= -1,1864.

– თეთრი ყურძნის წიპწისათვის

X1= 1,5048; X2= 0,4165; X3= - 0,4016; X4= 2,1810; λ= 1,1876.

როგორც ვხედავთ, ფაქტორების ოპტიმალური სიდიდეები წითელი და თეთრი წიპწისათვის ახლოსაა ერთმანეთთან, რაც შესაძლებლობას გვაძლევს მივიღოთ მათი გასაშუალებული მნიშვნელობები.

ზეთის წარმოების ენერგო თვითღირებულება: **D**=0,991 დოლ/კგ (წითელი ყურძნის წიპწა); **D**=1,161 დოლ/კგ (თეთრი ყურძნის წიპწა)

ყურძნის წიპწის კოპტონის ექსტრაქციის მიღებული ოპტიმიზაციის შედეგები შევამოწმეთ საწარმოო პირობებში. ცდების შედეგები მოყვანილია ცხრ.3–ში.

ცხრილი 3

ოპტიმალურ პირობებში ყურძნის წიპწის კოპტონიდან ზეთის მიღების საწარმოო გამოცდების შედეგები

პარამეტრები / ცდების №	წითელი წიპწა B_0, კგ/ტ	თეთრი წიპწა B_0, კგ/ტ	წითელი წიპწა Д, დოლ/კგ	თეთრი წიპწა Д, დოლ /კგ
1	180.7	155,5	0.99	1,25
2	182.3	156.9	1,04	1.24
3	182,0	159,1	1,03	1.19
4	183.3	154.2	1.00	1.06
5	180,0	155.7	0.98	1.19
საშუალო არითმეტიკული	181,7	156,8	1,01	1,19
ცდომილება ოპტიმიზაციის შედეგებთან, %	0,35	0,60	1,95	2,52

ამრიგად, საწარმოო პირობებში ოპტიმალურ რეჟიმზე მივიღეთ ოპტიმიზაციის პარამეტრების თანხვედრი შედეგები. ცდომილება მათ შორის 2–3%-ს არ აღემატება.

ოპტიმიზაციის შედეგები გვარწმუნებენ, რომ ყურძნის წიპწის სათანადო დამუშავების შემდეგ მიღებული ბურბუშელას ექსტრაქციით შესაძლებელია პრაქტიკულად უმნიშვნელო დანახარჯებით მივიღოთ საშუალოდ 156–158 კგ თეთრი ყურძნის წიპწის და 181–182 კგ წითელი ყურძნის წიპწის ძვირფასი ზეთი. ყურძნის წიპწის ექსტრაქტოვანი ზეთის წარმოების პროცესის ოპტიმიზაციის შედეგები პრაქტიკულად რეალიზებადია და

ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგებს აქვთ საწარმოო პირობებში რეალიზაციის საფუძველი.

თეთრი და წითელი ჯიშების ყურძნის წიპწის ზეთები უმნიშვნელოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, შეესაბამებიან ტრადიციულად საკვებ პროდუქტებში გამოყენებულ მაღალხარისხოვან მცენარეულ ზეთებს. ყოველივე კი გვაძლევს ყურძნის წიპწის ექსტრაქტოვანი ზეთის კოსმეტიკურ საშუალებებსა და ფუნქციონალურ საკვებ პროდუქტებში გამოყენების შესაძლებლობას, რაც მიუთითებს მსოფლიო ბაზარზე მასზედ მზარდ მოთხოვნილებას (1 კგ ფასი ევროპასა და ამერიკაში, ხარისხის მიხედვით, 7–15 დოლარია).

გ. გორგოძე

ყურძნის ზეთის ექსტრაქციის პროცესის ოპტიმიზაცია

რეზიუმე

ნაშრომში შერჩეულია ყურძნის ზეთის ექსტრაქციის პროცესის ოპტიმიზაციის პარამეტრები, მათზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები, მათი დონეები და ვარირების ინტერვალები. რეალიზებულია ცენტრალური კომპოზიციური როტატაბელური დაგეგმვის მატრიცა და მიღებულია სხვადასხვა სახის ყურძნის წიპწის ზეთის ტრიქლორეთილენით ექსტრაქციის პროცესის აღსაწერი ადეკვატური რეგრესიის განტოლებები. ლაგრანჟის განუსაზღვრელ მამრავლთა მეთოდით გადაწყვეტილია კომპრომისული ამოცანა და დადგენილია ექსტრაქციის პროცესის ოპტიმალური რეჟიმები.

G. Gorgodze

Grape Oil Extraction Process Optimization

Summary

Optimization parameters, their levels, factors affecting them and their variability intervals have been selected. A central compositional rotatable mapping out matrix has been realized and an adequate regression equation describing various types of grape-stone oil extraction processes using trichloroethylene has been produced. A compromise problem has been solved using Lagrange’s method of undetermined multipliers and optimal modes of the extraction process have been determined.

ნინო გრიგოლაია
თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

ზოგიერთი საკითხი კორუფციის, ეკონომიკური შედეგებისა და მისი საზოგადოების განვითარებაზე გავლენის შესახებ

მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები ცდილობენ ახსნან კორუფციის ფენომენი. ამ საკითხზე საუკუნეების განმავლობაში სწუხდა გონიერი, წარჩინებული საზოგადოება. სიტყვა კორუფცია უფრო გვიანდელი, XX საუკუნის პროდუქტია. ადრე მას უბრალოდ უზნეობას, სიმდაბლეს და ამგვარს უწოდებდნენ. ნ. ნიკოლაძე თავის ნაშრომში „ჩემ პოლიტიკაზე“ წერს: „სულ სხვაა უკიდურესობის ატანა საზოგადოების მაღალ წრეებში, რომელთა დანიშნულებაა ქვეყანას ჭკუით, ცოდნით, ზნეობით ემსახურონ, და არა მუსკულებით. ამ წრეების უკიდურესობის ნიშანია, რომ ღირსი არ ყოფილან მაღალი დანიშნულებისა, ხალხს უთავოდ სტოვებენ. მათი უკიდურესი უზნეობა ერს ამდაბლებს. კიდეც რყვნის, რადგანაც პოზა, ტყუება, მალვაა საკუთარი უვარგისობის“.

არაერთმა ეკონომისტმა შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი ამ მოვლენის არსის შესწავლაში. ამასთანავე სხვადასხვა ეკონომიკური სკოლების წარმომადგენლებს შორის მუდმივად მიდის პოლემიკა კორუფციის მექანიზმის შესახებ, მასში მონაწილეთა მოტივებზე, შედეგებზე საზოგადოებისათვის და მასთან ბრძოლის მიზანშეწონილობასა და საზღვრებზე.

კორუფციის ეკონომიკური ანალიზი აქტიურად დაიწყო 1970 წლიდან, მისი მეთოდოლოგიური ლიდერი გახდა ნეოკლასიკური დოქტრინა, რომელიც დაფუძნებული იყო ინდივიდუალიზმის და უტილიტარიზმის პრინციპებზე. ეკონომისტ-კლასიკოსების ნაშრომებში კორუფციის კვლევა დაფუძნებულია ლიბერალური მეთოდოლოგიის საერთო ლოგიკაზე: სუბიექტები ცდილობენ მოძებნონ ოპტიმალური საშუალება თავიანთი ინტერესების რეალიზაციისათვის რესურსების შეზღუდულობის პირობებში. ამ შემთხვევაში პოლიტიკოსის, ჩინოვნიკის, ბიზნესმენის ქცევებს არ აქვს არსებითი განსხვავებები. ყოველი მათგანი ცდილობს შეზღუდული რესურსები საკუთარი სარგებლისათვის გამოიყენოს. ერთნი ოპერირებენ პოლიტიკური კაპიტალით, მეორენი- ადმინისტრაციულით, მესამენი - ეკონომიკურით. ამასთანავე კორუფციული გარიგების მონაწილეების მიზანი არ არის მხოლოდ მატერიალური სარგებლის მიღება. ის შეიძლება იყოს დაპირება

საკანონმდებლო ორგანოში ხელახალი არჩევის თაობაზე ან ადმინისტრაციულ იერარქიაში თანამდებობის შენარჩუნება, ახალი ბიზნეს შესაძლებლობები. მაღალი რანგის ბიუროკრატების ქცევა დაფუძნებულია, მის მიერ წარმოდგენილი ორგანიზაციის გავლენის, მის რენომესა და ატიურობის დონეზე.

ეკონომისტები კორუფციული ურთიერთობების არსისა და მიზეზების ასახსნელად ჩვეულებრივ იყენებენ მოდელს „პრინციპალი (გარანტი)-შემსრულებელი (აგენტი)-მიმღები (კლიენტი)".

ამ მოდელში ძირითადი მოქმედი სუბიექტი არის ცენტრალური ხელისუფლება: ის ადგენს წესებს; ნიშნავს შემსრულებელებს, საშუალო და დაბალი რანგის ჩინოვნიკებს; ანაწილებს დავალებებს. ჩინოვნიკები წარმოგვიდგებიან, როგორც შუამავლები ცენტრალურ ხელისუფლებასა და კლიენტებს: ცალკეულ პირებსა და ფირმებს შორის.

ეს ნიშნავს, რომ ჩინოვნიკი (აგენტი) ასრულებს სამთავრობო სუბიექტის ნებას, კერძო პირთან თუ ფირმასთან ურთიერთქმედებისასა. პრინციპალი აწესებს პირობებს, რომლის ფარგლებშიც აგენტი ახორციელებს ოპერატიულ მართვას. მაგალითად, საგადასახადო სამსახურის ფარგლებში პრინციპალს წარმოადგენს სახელმწიფო, როგორც საგადასახადო სამსახურის ხელმძღვანელი, აგენტები-არიან გადასახადების ამკრეფები, კლიენტებს კი წარმოადგენენ გადასახადის გადამხდელები.

პრინციპალის და აგენტის ინტერესები არ არის იდენტური. კორუფცია ეს პროცესია, როცა აგენტი შესაბამისი საზღაურის ფასად მოქმედებს კლიენტების ინტერესების შესაბამისად, პრინციპალის მიერ მინიჭებული მმართველობითი შესაძლებლობის საზღვრებში. მაგალითად, საგადასახადო სამსახურის მუშაკს, ფირმის საქმიანობის შემოწმებისას ქრთამის სანაცვლოდ შეუძლია „არ დაინახოს", რომ ეს ფირმა თავს არიდებს გადასახადების სრული მოცულობით გადახდას.

პრინციპალს არ აქვს შესაძლებლობა გაუწიოს წინააღმდეგობა კორუფციას სამი მიზეზის გამო:

1. კომპლექსური გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება სტანდარტიზაციას, შესაბამისად, არ არსებობს მათი შეფასების კრიტერიუმები. ამასთან კორუმპირებული აგენტები ხშირად მხარს უჭერენ პროგრამებს, რომლის ამოსავალი ელემენტები ეწინააღმდეგება კონკურენტულ ბაზარს;

2. კონტროლის ეფექტიანობა შეზღუდულია ინფორმაციის ასიმეტრიულობით (აგენტი ყოველთვის ფლობს უფრო მეტ ინფორმაციას, ვიდრე პრინციპალი);
3. აგენტის კორუმპირებულობა სრულებითაც არ ნიშნავს პრინციპალის მიზნების ბლოკირებას, ის შეიძლება რეალიზებულ იქნას ერთდროულად. უფრო მეტიც, უღირს რა ძვირად ის ადგილი, რომელსაც მოაქვს კორუფციული შემოსავალი, აგენტი ოპერატიულად და ეფექტიანად ასრულებას პრინციპალის ყველა მითითებას.

კლიენტს შეუძლია, აგენტის გვერდის ავლით პირდაპირ დაამყაროს კონტაქტი პრინციპალთან, რაც იწვევს კორუფციის დაყოფას პოლიტიკურად (კანონების მიღების ეტაპზე) და ადმინისტრაციულად (მათი გამოყენების ეტაპზე). მაგალითად, მსხვილი ფირმას, რომელიც ცდილობს გადასახადების თავის არიდებას, შეუძლია, არა მოისყიდოს საგადასახადო სამსახურის ჩინოვნიკი, არამედ „გაუწიოს სამსახური“ მხარის გუბერნატორს (მაგალითად, შეიტანოს მსხვილი შესაწირი მისი პარტიის საარჩევნო ფონდში), რათა მან გაუწიოს ლობირება საგადასახადო განაკვეთების კანონს.

ამგვარად, ნეოკლასიკოსების მიერ კორუფცია განიხილება, როგორც თავისებური, კერძო სექტორის ჩრდილოვანი გადასახადი, რომელსაც ღებულობენ პოლიტიკოსები და ჩინოვნიკები გამომდინარე ბიზნესისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენიდან.

მოდელი „პრინციპალი-აგენტი-კლიენტი“ ნათლად გვიჩვენებს, რომ ბიუროკრატიულ გარემოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა მდგომარეობს, არა პოლიტიკური ნების არ არსებობაში ან კანონების მოქნილობაშიო, არამედ კონკურენციის საბაზისო პირობების პრინციპულ აღმოფხვრაში. საუბარია ჩინოვნიკების თავისუფლებაზე, მოახდინონ თავიანთი გადაწყვეტილებების ვარირება საკუთარი შეხედულებისამებრ. სადაც ასეთი წესი არ არსებობს. (მაგალითად, პასპორტის გაცემა 14 წლის ასაკში, ფორმალური მოთხოვნილების დაცვისას არ აღიქმება კორუფციად).

თუ მიზნად დავისახავთ ჩინოვნიკის ნებისმიერ ქმედების ოფიციალურ ჩარჩოებში მოქცევას, მაშინ კორუფცია მთლიანად თუ არ აღმოიფხვრება, მნიშვნელოვნად შემცირდება. ამასთან გაიზრდება მმართველობის არაადეკვატურობა, რომ არაფერი ვთქვათ მაკონტროლებელი აპარატის შენახვის მაღალ ხარჯებზე.

საზოგადოებას მოუწევს მნიშვნელოვნად მაღალის ფასის გადახდა კორუფციასთან ბრძოლისათვის. ამიტომ სახელმწიფოს ამოცანა მდგომარეობს არა კორუფციის განადგურებაში (რაც შეუძლებელია), არამედ მის შეზღუდვაში საზოგადოებისათვის ოპტიმალურ დონეზე. კორუფციასთან ბრძოლისას მსგავსი ფუნქცია აქვს სამართალდამცველებსაც.

კრიმინალური ოპტიმუმი საკმაოდ ცვალებადია და დამოკიდებულია როგორც სამართალდამცველი ორგანოების მიერ მათთვის განკუთვნილი რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე, ასევე დამნაშავეთა საქმიანობის „ეფექტურობაზე“.

არსებობს აგრეთვე კორუფციის და მასთან ბრძოლის ეკონომიკური მოდელირების მიკროეკონომიკური მიდგომა. ის დაფუძნებულია ამერიკელი ეკონომისტის გ. ბეკერის მიერ შემუშავებულ დანაშაულის ეკონომიკურ თეორიაზე, რომელიც აგებულია დანაშაულის მოსალოდნელი სარგებლის და შესაძლო ხარჯის შედარებაზე.

კორუფცია (როგორც ნებისმიერი სხვა დანაშაულებრივი საქმიანობა)-ესაა მაღალრისკიანი საქმიანობა, როდესაც იღებ ან აძლევ ქრთამს, არსებობს რისკი იყო დაკავებული და გასამართლებული. თუკი შევეცდებით გამოვხატოთ ფორმულით დამნაშავის წმინდა მოგებისა სხვა ფაქტორების დამოკიდებულება, ის გამოიყურება ასე:

$$R=(1-p)S+ p(s-D)=s-pD$$

სადაც,

R - დამნაშავის შემოსავალია;

p - დამნაშავის დაკავებისა და გასამართლების ალბათობა;

S - ქრთამის მიმღების /გამცემის სარგებლის სიდიდე;

D- დასჯისას, კორუფციულ ურთიერთობის მონაწილის დანაკარგის სიდიდე.

ამ ფორმულის საფუძველზე, შეიძლება მტკიცება იმისა, რომ ბიუროკრატიულ გარემოში კორუფციასთან ბრძოლის ორ საყრდენს წარმოადგენს:

1. მოტივაცია იმსახურო პატიოსნად;
2. კორუფციული ქცევისთვის დაწესებული სანქციები.

სანქცია ფასდება მოსალოდნელი პირდაპირი ხარჯების (ჯარიმები, საკუთრების კონფისკაცია) და არაპირდაპირი ხარჯების (დაკავებისა და სამუშაოს დაკარგვით გამოწვეული დანაკარგი) ერთობლიობად. სანქციის სიდიდეში გაითვალისწინება დაკავების ალბათობაც. ამასთანავე კორუფციული ქმედების მხოლოდ ნაწილია

შეზღუდული სასჯელთა სისტემით. არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს არაკორუმპირებული ქმედების წახალისება, რომელიც ზრდის ლეგალური შემოსავლების, საზოგადოების პატივისცემის, ხელისუფლების წარმომადგენლის პრივილეგიების დაკარგვით გამოწვეულ არაპირდაპირ ხარჯებს.

რისკის შეფასება დამოკიდებულია ჩინოვნიკის მიერ დაკავებულ თანამდებობასა და მის მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. კორუფციული საქმიანობის გამოვლენის ზრდა ამაღლებს რისკის სუბიექტურ შეფასებას. ამასთან, სასჯელის სიდიდის განსაზღვრა ქრთამის ოდენობის შესაბამისად, ამცირებს მის ოდენობას, მაგრამ ზრდის კორუფციული გარიგებების რიცხვს. პირიქით, მაღალი ალბათობა იმისა, რომ შეიძლება დაგაპატიმრონ, ამცირებს კორუფციული გარიგებების რიცხვს, მაგრამ ზრდის ერთდროული ქრთამის სიდიდეს.

მიუხედავად კორუფციის ნეოკლასიკური მოდელების მრავალფეროვნებისა, მათ აქვთ გამაერთიანებელი საერთო მახასიათებელი კორუფციის წამოწყების პროცესის სახით. მათში ფაქტობრივად იგნორირებულია ეკონომიკური სუბიექტების და ინდივიდების სოციალური როლი. საზოგადოების ზეწოლის მოდელი მართალია განიხილება ერთ-ერთ მეთოდად, მაგრამ პრაქტიკულად სათვალავში არ მიიღება. ასეთ მიდგომას გადაჭრით ეწინააღმდეგებიან ეკონომისტ -ინსტიტუციონალისტები.

კორუფციის შემსწავლელი ინსტიტუციონალისტების მთავარი გზავნილია-შევხედოთ კორუფციას მასში მონაწილეთა თვალით. მათ ნაშრომებს აერთიანებს კორუფციის მოდელების კრიტიკული აღქმა.

ნამდვილად, ეკონომიკურმა ისტორიამ იცის ბევრი მაგალითი როდესაც სოციალური ნორმები ზღუდავენ კორუფციას, ან პირიქით, აძლევენ მათ რთულად ასახსნელ საზღვრებს. ეთნოკულტურული სპეციფიკა, სარწმუნოება, ოჯახის სტრუქტურა, კონფლიქტები, კორპორაციული კულტურა, პროფესიული ეთიკა, იდეოლოგია, წეს-ჩვეულებები და სხვა „სოციალური თავისებურებები“ წარმოადგენს ინდივიდის ქმედების შემზღუდველს, არსებითად ახდენს მის წარმოდგენის ტრანსფორმაციას სწორად და საჭიროდ.

მაგალითად, კორუფციის დონე საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის არსებითად განსხვავდებოდა, რაც გამოწვეული იყო კულტურული თავისებურებებით. ჩილე და მექსიკა ეკონომიკური განვითარების დონით ძალიან გვანან ერთმანეთს, თუმცა კორუფციის დონით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან (ჩილე „სუფთაა“).

კონფუცისეული კულტურის (სინგაპური, იაპონია) ქვეყნები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან კორუფციის დონით იმავე რეგიონის ისლამურ (პაკისტანი, თურქეთი) და ინდო -ბუდისტურ (ინდოეთი, ინდონეზია) ქვეყნებს, რომლებმაც ისტორიულად არ მიიღეს კონფუციონიზმი, როგორც სუფთა და ჭკვიანი ჩინოვნიკის ღირსების კოდექსი.

სოციუმის მნიშვნელობაზე მიგვითითებს ის, რომ კორუფციის იურიდიული განმარტება შეიძლება არ ემთხვეოდეს განსახილველი ქცევის მორალურ შეფასებას. სოციალური ნორმები უკიდურესად ინერტულია, მაშინ როცა კანონები იცვლება ელიტის საჭიროების შესაბამისად. მთავრობას შეუძლია კანონების შეცვლით შექმნას გამდიდრების ლეგალური გარემო, მაგრამ უძლურია გახადოს ეს კანონები ლეგიტიმური. ამ მიზეზით საზოგადოებრივი აზრი ჩვეულებრივ "აბუქებს“ კორუფციის მასშტაბებს, ხოლო მმართველი ელიტა მიისწრაფის კორუფციაზე არსებული შეხედულების გაქარწყლებისკენ.

რაც შეეხება კორუმპირებულის სარგებელს, ის არ შემოიფარგლება „საქმიანი წინადადებით“ და მოიცავს ქრთამის აღების აღქმას, როგორც გარკვეული წრის ადამიანთა ჯგუფური ეთიკის ელემენტს. კორუფცია შეიძლება აღმოცენდეს არა როგორც ანგარებითი პროდუქტის ვარანტი, არამედ როგორც ჩინოვნიკის ლოიალობის აქტი ნათესავების, პოლიტიკური პარტიების, ყოფილი კოლეგების და სხვათა მიმართ.

სუბიექტური აღქმით, რისკი მცირდება მაშინ, როცა ჩინოვნიკი ქრთამს აძლევს ხელმძღვანელობას. იქმნება კორუფციული გარიგების მონაწილეთა ქსელი და რაც უფრო მრავალრიცხოვანია ის, მით უფრო მცირეა დანაშაულის გრძნობა და რეპუტაციის შელახვის რისკი გარიგების ჩაშლისას.

ქსელური მიდგომა უარყოფს ინდივიდუალური რაციონალურობის მეთოდოლოგიას-მიუხედავად იმისა, რომ ქრთამის აღების გადაწყვეტილებას ღებულობს ინდივიდი, ის ითვალისწინებს ამ ნაბიჯის არა მხოლოდ პირადი სარგებლისა და დანახარჯების ბალანსს, არამედ ქსელური სტრუქტურის ქცევის წესებს.

სოციალური ქსელები ფლობს ურთიერთდახმარების და სოლიდარობის პოტენციალს. ქსელის წევრების უფლებები და მოვალეობები შეიძლება იყოს უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ინდივიდის უტილიტარული ინტერესი და მისი ვალდებულებები ორგანიზაციის წინაშე.

ამდენად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ბევრ ქვეყანაში არსებობს ინსტიტუციონალური კორუფცია, სახელმწიფოს მართვის ისეთი ორგანიზაცია, როცა გადაწყვეტილების მიღება, როგორც წესი, დაკავშირებულია არა მარტო ჩინოვნიკის/პოლიტიკოსის სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებასთან, არამედ პირად ინტერესებთან.

დღეს კონკურენციის თემის აქტუალურობა უკავშირდება მისი შედეგების მრავალმხრივობას. ეკონომიკურ პროცესებზე პირდაპირი გავლენის გარდა, კორუფცია აღწევს სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეში. რაც შეეხება იმას, თუ რაში გამოიხატება ეს გავლენა, არსებობს სხვადასხვა თვალსაზრისი.

შვედი ეკონომისტი გ. მიურდალმა კორუფციის ეკონომიკური კვლევის ფუძემდებელმა, „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნების მოდერნიზაციის გამოცდილების განვრცობით, 1960 წელს დაგმო კორუფცია, როგორც ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლება.

ამ პოზიციას იზიარებს მრავალი თანამედროვე მკვლევარი, უყენებენ რა ბრალს კორუფციას შემდეგი უარყოფითი შედეგების გამო:

- ქრთამის დახმარებით აკუმულირებული სახსრები, ხშირად გადის აქტიური ეკონომიკური ბრუნვიდან და ინახება ძირითადად უძრავის ქონების ფორმით, ამცირებს დანაზოგებს (მათ შორის უცხოურ ბანკებშიც);
- მეწარმეები იძულებულნი არიან დაკარგონ დრო განზრახ შარიან ჩინოვნიკებთან დიალოგში;
- მხარს უჭერენ არაეფექტურ პროექტებს, აფინანსებენ გაბერილ ხარჯთაღრიცხვას, ირჩევენ არაეფექტურ კონტრაქტორებს;
- კორუფცია ასტიმულირებს გადაჭარბებული რაოდენობით ინსტრუქციების შემუშავებას, რათა შემდეგ დამატებითი საზღაურის ხარჯზე გაუწიონ „დახმარება“ მათ დაცვაში;
- საჯარო სამსახურიდან მიდიან კვალიფიციური კადრები, რომელთათვისაც მორალურად მიუღებელია ქრთამების სისტემა;
- წარმოიქმნება დაბრკოლებები სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციისას, რადგან მმართველობის საშუალო და ქვედა რგოლის ჩინოვნიკები მთავრობას გადასცემენ დამახინჯებულ ინფორმაციას და დასახული მიზნის რეალიზაციას უქვემდებარებენ საკუთარ ინტერესებს;

- კორუფცია ახდენს სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურის დეფორმირებას, რამდენადაც კორუმპირებული პოლიტიკოსები და ჩინოვნიკები ისწრაფვიან მიმართონ სახელმწიფო რესურსები საქმიანობის ისეთ სფეროებში, სადაც შეუძლებელია მკაცრი კონტროლი და სადაც მაღალია ქრთამის გამოძალვის შესაძლებლობა;
- იზრდება დანახარჯები მეწარმეებისათვის (განსაკუთრებით მცირე ფირმებისათვის, რომლებიც უფრო დაუცველნი არიან გამომძალველებისაგან);
- ქრთამი გადაიქცევა თავისებურ დამატებით გადასახადად.

კორუფცია და ბიუროკრატიული გაჭიანურება საქმიანი დოკუმენტების გაფორმებისას ხელს უშლის ინვესტიციების მოზიდვას (განსაკუთრებით უცხოურის). ამერიკელმა ეკონომისტმა პაულო მაურომ 1990 წელს შეიმუშავა მოდელი, რომელმაც მას შესაძლებლობა მისცა გაეკეთებინა სავარუდო დასკვნა, რომ „ბიუროკრატიული ეფექტიანობის“ ზრდა 2,4 ქულით (ინდექსი ახლოსაა საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის აღქმის ინდექსთან) ამცირებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას 0,5%-ით.

სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე კორუფციის ნეგატიური გავლენა მდგომარეობს შემდეგში:

- იზრდება სოციალური უსამართლობა ფირმის არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სახით და ხდება მოქალაქეთა შემოსავლების გაუმართლებელი გადანაწილება, რამდენად სოლიდური ქრთამის მიცემა შეუძლია არაეფექტურ ფირმას ან თუნდაც კრიმინალური ორგანიზაციას, შედეგად იზრდება ქრთამის გამცემთა და მიმღებთა შემოსავლები, კანონმორჩილი მოქალაქეები შემოსავლების შემცირების ხარჯზე;
- კორუფცია გადასახადების აკრეფის სისტემაში მდიდრებს აძლევს მისგან თავის არიდების შესაძლებლობას და საგადასახადო ტვირთი მთლიანად აწვება ღარიბ მოქალაქეებს;
- კორუფცია ხელისუფლების მაღალ ეშელონებში, ხდება საჯარო, ძირს უთხრის მისადმი ნდობას, ეჭვქვეშ აყენებს მის ლეგიტიმურობას;
- კორუმპირებული მმართველობითი პერსონალი ფსიქოლოგიურად არ არის მზად ხელი აიღოს პირად ინტერესებზე საზოგადოების განვითარების საკეთილდღეოდ;

- კორუფცია ახდენს სამართალდამცველი ორგანოების დისკრედიტაციას, რადგან თემიდა იჭერს იმის მხარეს, ვისაც მეტი ფული აქვს;
- კორუფცია საფრთხეს უქმნის დემოკრატიას, რადგან მოსახლეობას ართმევს არჩევნებში მონაწილეობის სტიმულს;
- კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით შეიძლება მოხდეს დიქტატურისკენ შემობრუნება და საბაზრო რეფორმებზე უარის თქმა; კორუმპირებულ რეჟიმები არ სარგებლობენ მოქალაქეების „სიყვარულით", ამიტომაც ისინი პოლიტიკურად არასტაბილურნი არიან. საბჭოთა ნომენკლატურის რეპუტაციამ, როგორც კორუმპირებული ფენისა, მნიშვნელოვანწილად განაპირობა საბჭოთა სისტემის დაშლა.

კორუფციის შესახებ დისკუსიის მონაწილეებმა წამოაყენეს შეხედულება, რომ კორუფციას აქვს, არა მარტო ნეგატიური, არამედ პოზიტიური ეფექტი. პირველმა ამაზე ისაუბრა ცნობილმა გერმანელმა სოციოლოგმა მაქს ვებერმა მე-20 საუკუნის დასაწყისში, მან მიუთითა კორუფციის როლზე რაციონალური ბიუროკრატიის ფორმირებაში, როგორც მართვის გარდამავალ ფორმის წყაროზე. ამით საფუძველი ჩაეყარა ფუნქციონალურ მიდგომას, რომელიც კორუფციას განიხილავდა, როგორც მოძველებულ და განვითარებად ნორმებს შორის დაძაბულობის მოხსნის მექანიზმს.

ინსტიტუციონალურ მიდგომის მომხრე თანამედროვე ეკონომისტები ცდილობენ, ფუნქციონალური თვალსაზრისით, კონკურენციის ნაწილობრივ გამართლებას-როგორც ძველ და ახალ ელიტას შორის რესურსების გადანაწილების შესაძლებლობას, ისე რომ თავიდან აცილებული იყოს მათ შორის პირდაპირი დაპირისპირება. კორუფცია მათ მიერ განიხილება, როგორც ძალაუფლებისათვის შეიარაღებული ბრძოლის რაციონალურ ალტერნატივა. თავიდან განვითარებად, შემდეგ განვითარებული ქვეყნების მაგალითზე, ჩანს, რომ კორუფციამ გარკვეული დადებითი წვლილი შეიტანა დაწესებულებების ელასტიკურ და უკონფლიქტო ტრანსფორმაციაში.

ამდენად, კორუფციის გავლენა ეკონომიკური ზრდაზე დამოკიდებულია მის მასშტაბებზე. მცირე დონის კორუფცია, როგორც ჩანს, დასაშვებია და დადებით გავლენასაც კი ახდენს, მაგრამ მისი გავრცელება გარკვეულ ზღვარზე ზევით ბლოკავს ეკონომიკურ განვითარებას.

ნ. გრიგოლაია

ზოგიერთი საკითხი კორუფციის, ეკონომიკური შედეგებისა და მისი საზოგადოების განვითარებაზე გავლენის შესახებ

რეზიუმე

მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები ცდილობენ ახსნან კორუფციის ფენომენი. არაერთმა ეკონომისტმა შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი ამ მოვლენის არსის შესწავლაში. ამასთანავე სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლებს შორის მუდმივად მიდის პოლიტიკა კორუფციის მექანიზმის შესახებ, მასში მონაწილეთა მოტივებზე, შედეგებზე საზოგადოებისათვის და მასთან ბრძოლის მიზანშეწონილობასა და საზღვრებზე.

ეკონომისტები კორუფციული ურთიერთობების არსის და მიზეზების ასახსნელად ჩვეულებრივ იყენებენ მოდელს „პრინციპალი (გარანტი)-შემსრულებელი (აგენტი)-მიმღები (კლიენტი)“. ამ მოდელში ძირითადი მოქმედი სუბიექტი არის ცენტრალური ხელისუფლება: ის ადგენს წესებს; ნიშნავს შემსრულებელებს, საშუალო და დაბალი რანგის ჩინოვნიკებს; ანაწილებს დავალებებს. ჩინოვნიკები წარმოგვიდგებიან, როგორც შუამავლები ცენტრალურ ხელისუფლებასა და კლიენტებს, ცალკეულ პირებსა და ფირმებს შორის.

კორუფციის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე დამოკიდებულია მის მასშტაბებზე. მცირე დონის კორუფცია, როგორც ჩანს, დასაშვებია და დადებით გავლენასაც კი ახდენს, მაგრამ მისი გავრცელება გარკვეულ ზღვარზე ზევით ბლოკავს ეკონომიკურ განვითარებას.

N. Grigolaia

Corruption: Causes, Economic Results end Influence on the Development of Society

Summary

The representatives of various branches of science try to explain the phenomenon of corruption. Many economists made important contribution to study the essence of this phenomenon. Moreover, representatives of the different economic schools often argue about the mechanism of corruption, the participants' motives, on the result and necessity of fighting and its borders.

The economists, to understanding main reasons and motive for corruption, usually use model "principal (guarantor) - performer (agent)-Receiver (client)". In this model, main character is central government: It sets rules, nominates performers, middle and lower rank officials, distributes tasks. The officials are mediators among the central government and client, among individuals and the firm.

The impact of corruption on economic development depends on its scale. Low-level corruption, as it seems, is acceptable and has a positive influence, but its spreading above a certain limit blocks an economic development.

ალექსანდრე დაუშვილი
ისტორიის, ეთნოლოგიის და რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი

ნიკო ნიკოლაძე და ფოთის საზღვაო პორტი

ფოთის აკვატორიის უდიდეს გეოსტრატეგიულ და ეკონომიკურ მნიშვნელობას მუდამ გრძნობდნენ რეგიონში პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების მქონე დიდი და ძლიერი სახელმწიფოები. თურქეთის პორტა, რუსეთის იმპერია, დიდი ბრიტანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ჩრდილო კავკასიის ხალხებიც კი სხვადასხვა მიზეზებითა თუ სხვადასხვა მიზნით ამ უმნიშვნელოვანესი არტერიის ხელში ჩაგდებას ან რეალურად ცდილობდნენ, ან პერსპექტიულ გეგმებში მასზე ზეგავლენის დამყარებას მოიაზრებდნენ. ფოთის უმნიშვნელოვანეს გეოსტრატეგიულ მდგომარეობას ქართველი მამულიშვილებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ქართველი ერის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების საქმეში მუდამ მის ჩაყენებას ცდილობდნენ. მართლაც, ეს ისტორიული ქართული ტერიტორია, მისი ეკონომიკური პოტენციალი, ევროპასთან დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანესი მაგისტრალი მათ საქართველოს ეკონომიკური აღორძინების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად მიაჩნდათ. ქართველი მამულიშვილები ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდნენ, რომ დამოუკიდებელ საქართვლოში ფოთის პორტის კუთვნილების საკითხი სადავო გახდებოდა და მისი მფლობელი ქართველი ხალხი აღარ იქნებოდა. დღეს ფოთის პორტის დამცრობილი მდგომარეობა განსაკუთრებით აქტუალურ ხდის კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის მზრუნველი დამოკიდებულება ფოთის პორტის მიმართ, რასაც ქართველი მამულიშვილები ქვეყნის აღორძინების საქმეში მას ანიჭებდნენ.

ამ ქართველ მამულიშვილებს შორის ნიკო ნიკოლაძეს გამორჩეული მდგომარეობა აქვს: ღრმად განათლებული, პროგრესულ იდეებზე გაზრდილი, ეკონომიკური პრობლემების ჩინებული მცოდნე, დიდი ერუდიტი და პროგრესული საზოგადო მოღვაწე ხომ წლების განმავლობაში იყო ფოთის ქალაქის თავი და უდიდესი ღვაწლიც დასდო ქალაქის სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების, მისი ეკონომიკის აღორძინებას, ფოთის პორტის მნიშვნელობის განმტკიცება-განვითარებას.

წინამდებარე მოხსენების მიზანია ფოთის პორტის მდგომარეობა და მის მიმართ ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულება გავაანალიზოთ

საქართველოს პირველი რესპუბლიკის დრამატულ პერიოდში და ვაჩვენოთ ის საყურადღებო გეგმები და მათი შესაძლო შედეგები, რაც ნიკო ნიკოლაძის პროექტების რეალიზაციას შეიძლება მოჰყოლოდა ფოთის პორტისათვის.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოცხადება, პოლიტიკური და ეკონომიკური იმედები, რომლებიც უმალვე ჩამოყალიბდნენ და მოითხოვდნენ რეალიზაციას, ნიკო ნიკოლაძის ყურადღების გარეშე არ დარჩენილა. მართალია, ის უდიდესი მნიშვნელობის ამოცანებით იყო დაკავებული, მაგრამ ფოთის პორტის მომავალზე ზრუნვა, მისი იმჟამინდელი ფიქრისა და განსჯის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა.

რა ვითარებაში შეხვდა ფოთის საზღვაო პორტი საქართველოს დამოუკიდებლობას და როგორ ახერხებდა საქართველოს დემოკრატიული მთავრობა მისი დახმარებით იმ ეკონომიკური ამოცანების შესრულებას, რასაც ქვეყნისთვის სწრაფი სოციალური განვითარების საფუძველი უნდა შეექმნა?

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, პირველ ხანებში, ფოთის მშრომელებზე პოლიტიკური ჰეგემონიის მისაღწევად ძირითადად ორი პოლიტიკური ძალა იბრძოდა: ბოლშევიკური და მენშევიკური. ამ უკანასკნელთ დიდი გავლენა ჰქონდათ ქალაქის ინტელიგენციაში, რკინიგზის ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალში. ბოლშევიკებს თანაუგრძნობდნენ ნავსადგურის დოკერები, რკინიგზის მუშები, ქალაქის რადიკალურად განწყობილი ინტელიგენცია.

ფოთელი მშრომელის რადიკალურ შეხედულებებს აპირობებდა გაუსაძლისი ეკონომიკური ყოფა, შექმნილი და მუდამ მზარდი სიძვირე, ხელფასების დაგვიანება და ხშირი გაუცემლობა. ეს იწვევდა სოციალურ პროტესტს, გაფიცვებს, დემონსტრაციებს. უკვე მარტის თვეში გაიფიცნენ ფოთის კონკის მუშა-მოსამსახურეები. მათ სოლიდარობა გამოუცხადეს ნავსადგურის დოკერებმაც. ქალაქში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა ვითარებამ რიგი საწარმო-დაწესებულების მუშა-მოსამსახურეები აიძულა დაეწყოთ სოციალური ბრძოლის ახალი ტალღა. მაგალითად, გაიფიცნენ ფოთის "რუსეთის სანაოსნო საზოგადოების" კანცელარიის მოსამსახურეები (“ერთობა”, 1917).

ეკონომიკურმა კრიზისმა, მოსახლეობის უკმაყოფილებამ 1917 წლის სექტემბერში გარკვეულწილად გააძლიერა ქალაქში ბოლშევიკების ზეგავლენა. ეს, სავარაუდოა, უშუალოდ დაკავშირებული იყო პეტროგრადში ბოლშევიკური პარტიის

ლიდერების გააქტიურებასთან. ფოთელმა ბოლშევიკებმა მიიმხრეს მოსახლეობის ერთი ნაწილი და ქალაქში მოაწყვეს გამოსვლები, მანიფესტაციები.

ოქტომბრის გადატრიალებამ საქართველოს პოლიტიკური ძალების უფრო მეტი პოლარიზაცია და დაპირისპირება გამოიწვია. თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია გაემიჯნა ამ ძალადობის აქტს. მიუხედავად ამისა, ფოთის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ მოახერხა ნავსადგურისა და რკინიგზის მუშების პოლიტიკური აქციის მოწყობა ოქტომბრის გადატრიალების მხარდასაჭერად ("მგზნებარე კოლხიდელი", 1959).

პირველი მსოფლიო ომის გამო ნავსადგური ნორმალურად აღარ ფუნქციონირებდა. შემთხვევიდან შემთხვევამდე ხდებოდა კომერციული ოპერაციები, ტვირთბრუნვა კატასტროფულად დაეცა. სერიოზულ სიძნელეებს ქმნიდა ისიც, რომ უკვე დიდი ხანია რაც ნავსადგურში ვეღარ ატარებდნენ სარემონტო-ჰიდროტექნიკურ სამუშაოებს, რამაც ზღვის სიღრმე ნაპირთან 32 ფუტიდან 22 ფუტამდე შეამცირა. ამის გამო საოკეანო გემები ვეღარ ახერხებდნენ ნავსადგურში შემოსვლას (ჩარკვიანი, 87).

ამ მძიმე ვითარებაში ნავსადგურის უფროსად დაინიშნა პირველი ქართველი, ინჟინერი ჯავახიშვილი. მის კვალიფიკაციაზე, საქმისადმი შემოქმედებით დამოკიდებულებაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ როგორც თბილისელი ხელმძღვანელები, ისე ფოთის საქალაქო თვითმართველობის წარმომადგენლები.

იმჟამად ნავსადგურის ძირითად პრობლემას ტვირთბრუნვის მასშტაბების კატასტროფული შემცირება წარმოშობდა. ანტანტის სახელმწიფოების მიერ ბოსფორის სრუტეების ბლოკირებამ, თურქეთის სამხედრო გემების თარეშმა, რუსეთის დამარცხებამ იმპერიალისტურ ომში და იმპერიის დაშლამ, მარგანეცზე მოთხოვნილების დაცემამ ფოთის პორტს ტრადიციული ეკონომიკური ფუნქცია დაუკარგა. უკვე 1915 წელს საქართვლოში მარგანეცის მოპოვება შემცირდა თითქმის 61 პროცენტით, ხოლო 1918 წელს 1915 წელთან შედარებით მადნის მოპოვება განახევრდა (ამოიღეს 7 583 ათასი ფუთი). შემცირდა ტრადიციული პროდუქციის: ხე-ტყის, სიმინდის დამზადება და გატანა (მარგიანი, 419).

I მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ, უკვე 1918 წლის 25 დეკემბერს ფოთში შემოვიდა ინგლისის საექსპედიციო კორპუსი. მეორე დღესვე ფოთის ნავსადგური დატოვა გერმანიის სამხედრო ეშელონმა. ინგლისელებმა შემოსვლისთანავე ყველას

დაანახეს, რომ ისინი გამარჯვებული ბანაკის წარმომადგენლები არიან და მოითხოვეს უპირობო მორჩილება.

3 იანვარს ფოთში, დამატებით, კიდევ შემოვიდა ინგლისელების 600 კაციანი რაზმი. ინგლისელებმა დაათვალიერეს და თავისთვის მოინდომეს ნავსადგურის პროფკავშირების სახლი. ამ შენობაში განთავსებული იყო კავშირის იაფი სასადილო, სამკითხველო და გამგეობა. ქართული მხარის არავითარმა პროტესტმა არ გაჭრა, ინგლისელებმა ქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელებთან საუბარი არც კი ისურვეს.

საგარეო პოლიტიკურ გართულებებთან ერთად, ფოთის პორტის მშრომელების გუნება-განწყობაზე სერიოზულად მოქმედებდა ის დანაშაულებრივი ვითარება, რაც დამკვიდრდა რუსული ადმინისტრაციის გათავისუფლების შემდეგ. გაირკვა, რომ თანამდებობაზე ყოფნის რამდენიმე თვის განმავლობაში პორტის მეორე, უკვე ახალი უფროსი, ეწეოდა საფინანსო სახსრების განიავებას, ყავდა „მკვდარი სულები“, გემებისა და კატარღების იჯარას კანონმდებლობის სრული იგნორირებით ახდენდა, ხშირად საჯარო გარიგებები ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლების მონაწილეობის გარშე, საქმის წარმოების გვერდის ავლით ხდებოდა. ამავე დროს, პორტის ახალი უფროსი თანამშრომელთა მიმართ ავლენდა დესპოტიზმს, ხშირად არასასურველ პირებს უსაფუძვლოდ აპატიმრებდა, ითხოვდა სამსახურიდან, იყო ტიპიური გამომძალველი, ნავსადგურში „ნათლიმამობისა“ და „მმაბიჭობის“ ატმოსფერო ჰქონდა დამკვიდრებული (“ერთობა”, 1919, 5).

ასეთი სერიოზული დარღვევები, პორტსა და ქალაქში შექმნილი გაუსაძლისი ეკონომიკური ვითარება, ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის მკვეთრი ცვლილებები გარკვეულ არგუმენტებს აძლევდა ფოთის ბოლშევიკურ ორგანიზაციას ანტისამთავრობო პროპაგანდის გასაძლიერებლად.

როგორც თვითმხილველები ამტკიცებდნენ, ბოლშევიკების ამ აგიტაციამ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ფოთის რიგითი მშრომელების ერთ ნაწილზე. ფოთის ბოლშევიკური ორგანიზაცია აქტიურ ანტისამთავრობო მუშაობას ეწეოდა - გააძლიერეს ბოლშევიკური აგიტაცია და პროპაგანდა, შექმნეს სტამბა, ავრცელებდნენ პროკლამაციებს და ა.შ.

მაგრამ, ამასთანავე დაიწყო საინტერესო ძვრებიც: ფოთში ინგლისის საექსპედიციო კორპუსის შემოსვლისთანავე საქართველოსაკენ დაიძრნენ ანტანტის სახელმწიფოების კომერციული

წარმომადგენელები. ერთ-ერთი პირველები იყვნენ ფრანგი კომერსანტები (სფსა, ფ, 1891, ს.202). მათმა ჩამოსვლამ ფოთში დაბადა სურსათ-სანოვაგის დიდი პარტიის შემოტანის იმედი.

საქართველოს მთავრობას, საზღვაო ტრანსპორტის განვითარების მიზნით, სერიოზული კომერციული წინადადებით მიმართა ამერიკელი ბიზნესმენების ერთმა ჯგუფმა (ფირცხალავა, 19).

იტალიის მოქალაქე - ალბერტო კორსი, იტალიის კოლონიათა სამინისტროს ყოფილი დირექტორი, სპეციალური მემორანდუმით სთხოვდა საქართველოს მთავრობას ფოთის პორტის ბაზაზე დაემყარებინა რეგულარული საზღვაო კავშირი იტალიასთან ("ერთობა", 1919, 1). საყურადღებოა, რომ ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების კომერციული პერსპექტივებით დაინტერესდა ისეთი არასაზღვაო სახელმწიფო, როგორიც იყო ჩეხოსლოვაკია (სფსა, ფ, 1891, ს. 31).

შემოსულ წინადადებებს შორის საყურადღებო იყო ამერიკელთა კომერციული წინადადება: ამერიკის სატრანსპორტო სამსახური სთავაზობდა საქართველოს ხელისუფლებას 3500-4000 ტონა წყალწყვის ხის გემების შეძენას. თითო გემი 30 მილიონი მანეთი ღირდა.

პოლიტიკური ვითარების გამო 1919 წელს მაინც ვერ მოხერხდა ფოთის პორტში ეკონომიკური ცხოვრების აღორძინება. იმ წლებში მძიმე და გაუსაძლისი იყო ფოთელი მშრომელების ცხოვრება. გაზეთების კორესპონდენტები იტყობინებოდნენ, რომ ნავსადგურის ყაზარმული ტიპის საცხოვრებლები გადაჭედილი იყო ადამიანებით. სიბინძურე საშიშროებას წარმოშობდა ათასგვარი გადამდები ავადმყოფობის გასავრცელებლად; არ იყო სასმელი წყალი, მუშები იყენებდნენ რიონის მღვრიე წყალს. წვიმის დროს მუშათა უბნები ძლიერ იტბორებოდა, წყალი აორთქლებას ვერ ასწრებდა და საშინელი ანტისანიტარია ვრცელდებოდა. ამიტომაც იყო, რომ 1918 წლის ზაფხულში ქალაქში ხოლერის ეპიდემიამ იფეთქა.

ასეთი სოციალური ვითარება ზრდიდა მემარცხენე რადიკალურ შეხედულებებს. 1919 წლის შემოდგომაზე, გაძლიერებული ბოლშევიკური პროპაგანდის წყალობით, მოხერხდა საქართველოში შეიარაღებული აჯანყებისათვის პირობების შემზადება. ინგლისის საექსპედიციო კორპუსის ევაკუაციამ ბოლშევიკურ ორგანიზაციაში დაბადა იმედი, რომ ოქტომბრის რევოლუციის მეორე წლისთავზე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას დაამყარებდნენ. მოსკოვი, როცა საქართველოში ამ აჯანყებას გეგმავდა, ამით ცდილობა სამხრეთში დენიკინის საიმედო ზურგის დეზორგანიზაციას. მათი მოსაზრებით, ეს აქცია თეთრგვარდიელ გენერალს აიძულებდა

რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სასიცოცხლო ცენტრებზე შეტევის დროს თავისი შეიარაღებული ძალების ნაწილი საქართველოს საზღვრებზე გადმოესროლა თუ კი, რა თქმა უნდა, საქართველოში ბოლშევიკები გაიმარჯვებდნენ (სფსა, ფ, 1981, ს. 630).

ქართველმა კომუნისტებმა დიდი მუშაობა გაშალეს ადგილებზე აჯანყების კერების მოსამზადებლად. განსაკუთრებით დიდ იმედებს ფოთის ბოლშევიკურ ორგანიზაციაზე ამყარებდნენ, რადგან აჯანყებულთა ხელში ფოთის ნავსადგურის გადასვლას უდიდესი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მნიშვნელობა ექნებოდა. თავის მხრივ ფოთის პორტის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამაც დიდი მუშაობა ჩაატარა აჯანყების სარეალიზაციოდ. აჯანყების საქალაქო შტაბის გეგმით, დიდი სამხედრო ამოცანები ეკისრებოდა ფოთის პორტში დისლოცირებულ გემს „ჭოროხს“ - მისი ეკიპაჟი მთლიანად ბოლშევიკური იყო. აჯანყების შემთხვევაში „ჭოროხის“ ეკიპაჟს დაევალა გასულიყო ზღვაში და იქიდან გაენადგურებინა მთავრობის საცეცხლე წერტილები.

მაგრამ თბილისში ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეძლო აჯანყების ხელმძღვანელობის დაპატიმრება. მთავრობამ ადგილებზეც დროულად შეატყობინა მოსალოდნელი აჯანყების შესახებ. ფოთშიც მივიდა დაშიფრული დეპეშა სამთავრობო შეტყობინებით, მაგრამ ბოლშევიკებს ფოთის ფოსტაში თავისი აგენტი ჰყავდათ. მან ადგილობრივი შტაბის ხელმძღვანელს გ. სტურუას დროულად აცნობა თბილისში აჯანყების დამარცხების შესახებ. ამ უკანასკნელმა მოახერხა ძალების გადაჯგუფება და ქალაქის დატოვება.

აი, სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში ნიკო ნიკოლაძემ, დიდი დატვირთვის მიუხედავად, დაწერა რამდენიმე წერილი, რომელშიც ავლენს საქართველოს საზღვაო ჭიშკრის ეკონომიკური შესაძლებლობების ღრმა ცოდნას და ეს ცოდნა გაჯერებულია რეგიონის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და იმჟამინდელი მსოფლიოს ეკონომიკური პერსპექტივების საკმაოდ ობიექტური და ღრმა ანალიზით. ეს წერილები არ არის დიდი, მათ შორის ყველაზე ვრცელი – სამი ნაბეჭდი გვერდია, მაგრამ მათში ჩანს ავტორის ერუდიცია, საქმის ცოდნა, სამშობლოს უდიდესი სიყვარული, მის ეკონომიკურ აღორძინებაზე ზრუნვა.

წერილების ანალიზი აშკარად მიუთითებს, რომ ისინი მარტო „შინაური“ მოხმარებისათვის არ არის გამიზნული, ავტორი მათ გამოქვეყნებას საზღვარგარეთულ პრესაშიც აპირებდა. მთავარი – რაც ასე ძალუმად არის წარმოდგენილი – ეს არის სოციალური ოპტიმიზმი,

წერილების ავტორის დიდი რწმენა, რომ I მსოფლიო ომის შედეგად დანგრეული მსოფლიო ეკონომიკური ცხოვრება ძალიან მალე ფეხზე დადგება და საქართველოც, ამ მსოფლიოს ორგანული და მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, ფენიქსივით აღდგება და წელში გაიმართება.

მეორე მნიშვნელოვანი თავისებურება ამ წერილების არის ის, რომ ნიკო ნიკოლაძე არ იკეტება ვიწრო ნაციონალისტურ ჩარჩოებში და გამოდის როგორც მთელი კავკასიის, მთელი რეგიონის ეკონომიკური აღორძინების მოჭირნახულედ.

როგორ მრავლისმეტყველია მისი შემდეგი ფრაზები: „ჩვენი მხარე – კავკასია, თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებით წარმოადგენს აურაცხელ საგანძურს, ეს გარემოება იმდენად ცნობილია, რომ არ წარმოადგენს საჭიროებას ამაში ვინმე დავარწმუნოთ. ასევე აქსიომურ ფაქტს წარმოადგენს ისიც, რომ მათი წარმოუდგენლად სუსტი ექსპლოატაცია აიხსნება არა მარტო ამ ბუნებრივი სიმდიდრეების არასათანადო შესწავლით, არამედ ადგილობრივი საქმის მწარმოებელთა ინერტულობითაც, და ეს გარემოება, უდავოდ, წარმოადგენს საფრთხეს... - სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრებაში უცხოური კაპიტალის მიერ ადგილობრივის გამოდევნის საფრთხეს“ (სფსა, ფ, 1891, ს. 314).

ეს დასკვნა, გაკეთებული თითქმის ასი წლის წინ, დღესაც ცხოველმყოფელია: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბუნებრივი რესურსები ჩინებულად არის შესწავლილი და გამოვლენილი, ადგილობრივი მწარმოებლების ინერტულობისა და პოლიტიკური ელიტის უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების გამო საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები ნიავდება, მას ხელში იგდებენ სხვადასხვა ჯურის „მეწარმეები“, ხოლო ამგვარი „ეკონომიკური ურთიერთობებით“ საქართველო წაგებული რჩება.

უნდა აღინიშნოს, რომ დამანგრეველი I მსოფლიო ომის შემდეგ, როცა მთელი მსოფლიო ეკონომიკურ სტაგნაციაში იყო ჩავარდნილი და ძალიან ჭირდა ომამდელი ეკონომიკური ურთიერთობების აღორძინება, ნიკო ნიკოლაძე საოცარ ოპტიმიზმს ავლენს. ის წერს: „ამრიგად, მხარის ეკონომიკური პოლიტიკის საკითხის გადასაწყვეტად წინა პლანზე წამოიწევს ორი ძირითადი ამოცანა. პირველი არის მხარის ეკონომიკური აღორძინების საშუალებები, რაშიც მოვიაზრებთ მისი ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპლოატაციის ინტენსიფიკაციას და სხვადასხვა ტექნიკური გაუმჯობესებების დანერგვას, განსაკუთრებით ისეთის, რომელსაც საზოგადოებრივი

მნიშვნელობა ექნება; და, მეორე ამოცანაა, დავიცვათ სახალხო-სამეურნეო ცხოვრება საზღვარგარეთელი კაპიტალისაგან. ეს ორივე ამოცანა, რომელთაც ყოველთვის აქვს გონიერი საფუძველი, მოიპოვებენ განსაკუთრებულ ძალას ომის დასრულების შემდეგ, როცა მთელი რიგი ფაქტორები: ეკონომიკური, ფინანსური და ფსიქოლოგიური ერთობლივად მისცემენ მძლავრ, თითქმის ყუმბარის აფეთქების მსგავს სტიმულს საყოველთაო მწარმოებლურობას. პროდუქტებისა და ყოველგვარი მატერიალური სიკეთეების უკიდურესი შემცირება, ერთი მხრივ, ხალხში ფულადი რესურსების დიდი მარაგის დაგროვება, ომის წარმოების დიდი პერიოდი, და აქედან გამომდინარე მწარმოებლური ურთიერთობების განვითარების შეკავება – ყველაფერი ეს შექმნის უდიდეს სტიმულს, რაც მჩქეფარე მდინარესავით იმძლავრებს ნორმალური ცხოვრებისეული რიტმის აღსადგენად და გადმოყრის ბაზარზე უამრავ კაპიტალს, რომლებიც მოითხოვენ გამოყენებას“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 666).

ჩვენ სპეციალურად მოვიტანეთ ასეთი დიდი ამონარიდი ნიკო ნიკოლაძის ამ წერილიდან, რადგან მეტად თვალსაჩინოა მისი სოციალური ოპტიმიზმი, რაც შეიძლება ყველამ არ გაიზიაროს და დღეს, ასი წლის შემდეგ, შეიძლება ისიც ვამტკიცოთ, რომ ამ ოპტიმიზმში ნ. ნიკოლაძე შეცდა, რადგან I მსოფლიო ომი დასრულდა, მაგრამ ევროპა მაინც ეკონომიკური პრობლემების გადაუჭრელობის გამო იტანჯებოდა, განსაკუთრებით გერმანია, სადაც ამ ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ფაშიზმის ბატონობამდე მიიყვანა ქვეყანა. ვერ გადაიჭრა ეკონომიკური პრობლემები ამერიკის შეერთებულ შტატებშიც – სადაც ეკონომიკური კრიზისი და დიდი დეპრესია სერიოზულ პრობლემად გადაიქცა.

შეიძლება, ამის მიზეზი – ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის – რუსული სოციალიზმის დამკვიდრებაც იყო, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ღერძი. თუმცა, თუ XX ს. 20-30-იან წლებში საქართველოს ეკონომიკურ განვითარების ისტორიას გავიხსენებთ, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეს ეკონომიკური ზრდა (მატერიალური გამოხატულებით და კომუნისტური რეჟიმის მიერ თავსმოხვეული ეკონომიკური სისტემებით) გარკვეულწილად მაინც მოხერხდა.

არ შეიძლება თვალში არ მოგვხვდეს ისიც, რომ ამ მსოფლიო ეკონომიკურ აღორძინების ნიკოლაძისეულ პროექტში უდიდესი მნიშვნელობა უკავია ფოთის საზღვაო პორტს და მის აკვატორიას. წერილის ავტორი ჩინებულად გრძნობს საქართველოს საზღვაო

აკვატორიის უდიდეს გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას. ის წერს: „თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შავ ზღვას მსოფლიო ვაჭრობაში, ამაზე მიუთითებს ის მწველი და ავადმყოფური დამოკიდებულება დიდი ქვეყნებისა იმ საკითხის მიმართ - თუ ვის ექნება ხელში ამ ზღვის გასაღები, ვისი დროშა აღიმართება ბოსფორზე და დარდანელზე“ (საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, ფ 1, დოკ.40/1345, ფურც. 1).

ამ შეფასებას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ამაზე მეტყველებს ბოლო 20 წლის საქართველოს ისტორია, როცა უკიდურესად გამწვავდა საკითხი საქართველოს პორტების გავლით, ან საქართველოს ტერიტორიის გავლით, ნავთობსადენის, გაზსადენის ახალი მაგისტრალების მშენებლობისა, რამაც უკიდურესად დაძაბა ვითარება ევროპის სახელმწიფოებსა და რუსეთის ფედერაციას შორის და ამ დაპირისპირების ეპიცენტრში ძალაუნებურად საქართველოც აღმოჩნდა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ დღესაც ფასეულია ნიკო ნიკოლაძის შემდეგი ანალიზიც: „შავი ზღვის რომელი პორტებით მიმდინარეობდა საქონელგაცვლა ევროპასა და რუსეთის ყოფილ იმპერიას შორის? რუსეთის სამხრეთი მიიდრიკებოდა ოდესისაკენ, სევასტოპოლისა და აზოვის ზღვისაკენ. სამხრეთ-აღმოსავლეთი, ვოლგისპირეთი – ნაწილობრივ როსტოვისა, ნაწილობრივ ნოვოროსიისკისკენ, ხოლო მთელი აღმოსავლეთი – კავკასიის ზღვისპირეთის პორტებისაკენ“ (საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, ფ 1, დოკ.63/291, ფურც. 554). ამ კონტექსტში ნიკო ნიკოლაძე ფოთსა და ბათუმს გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს.

თავის წერილებში ნიკო ნიკოლაძე ასაბუთებს ფოთისა და ბათუმის გამორჩეულ მნიშვნელობას, რადგან, მისი აზრით, რუსეთის არსებული პორტები გადატვირთულია, რაც ფოთსა და ბათუმს ჩინებულ პერსპექტივას უხსნის, რომ მათ გაატარონ სამხრეთ კავკასიის, კასპიისპირეთისა და ჩრდილოეთ სპარსეთის ტვირთებიც კი.

პორტების ეკონომიკური შესაძლებლობების გასაფართოებლად ნიკო ნიკოლაძე სახელმწიფოს მესვეურებს სთავაზობს ტრანზიტული ვაჭრობის შემაფერხებელი ბუნებრივი ბარიერის მოხსნასაც კი – იგი წერს: „ტვირთების ასეთი განაწილება, გამოწვეული ბუნებრივი ჯებირით, კავკასიის ქედით, საგრძნობლად შეიცვლება, როცა ეს ქედი გადაიკვეთება შესაბამისი მაგისტრალით“ (საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, ფ 1, დოკ. 63/291, ფურც. 554). ნიკო ნიკოლაძე ასახელებს მაგისტრალის გატარების ადგილსაც და ასაბუთებს ამ ადგილზე გვირაბის გაყვანის აუცილებლობას. მისი

მიხედვით ეს არის „პროხლადნაია – ფოთის“ მონაკვეთი, რაც იმითაა კარგი, რომ კავკასიის ქედის ორივე მხარეს ამ ადგილზე დაახლოებით ერთნაირი სიგანეა და ნაკლებია დაქანებულობა. მისი აზრით ასეთი მაგისტრალი ფოთს გაუხსნის პერსპექტივას, რომ აქედან გაიტანონ ევროპაში საქონელი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებმა, ვოლგისპირელებმა, ციმბირელებმაც კი.

ამრიგად, ნიკო ნიკოლაძე ვარაუდობს, რომ საქართველოს საპორტო ქალაქების ეკონომიკური ინტენსიფიკაციისათვის საჭიროა კავკასიის ქედის გავლით სატრანსპორტო არტერიის გაყვანა, რაც მას დასაბუთებული აქვს გროზნოს ნავთობის აუზის ევროპაში უმოკლესი გზით გატანის აუცილებლობით. ის წერს: „გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ ნავთობსადენის გაყვანა ფოთამდე უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე ნოვოროსიისკამდე, რადგან გროზნოდან ნოვოროსიისკამდე 750 ვერსია, ხოლო ფოთამდე – 430“ (საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, ფ 1, დოკ. 63/291, ფურც. 554).

ასეთი პერსპექტივების დანახვასთან ერთად, ნიკო ნიკოლაძე პროფესიული ცოდნით იძლევა საქართველოს პორტების შესაძლებლობების დახასიათებას და განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს ფოთს: „ფოთის პორტი წარმოადგენს სრულიად განსხვავებულ სურათს. ის აშენებულია მდინარე რიონის შესართავთან, ამ მდინარის ჩამორეცხილ ქვიშნარზე. უკვე არსებული ნაგებობები შესაძლებლობას იძლევა პორტში შევიდნენ გემები, რომელთა კაბოტაჟი 24 ფუტია და რამდენადაც არ უნდა გაიზარდოს პორტის ტვირთბრუნვა, ახალი ნაგებობების აგება საჭირო აღარ იქნება“. ნიკო ნიკოლაძის აზრით, უკვე არსებული „შიდა ბასეინი“ ნავმისადგომს ოთხჯერ ზრდის, ეს კი ხელს შეუწყობს დიდი ტონაჟის გემებს კომფორტულად განთავსდნენ ფოთის აკვატორიაში.

მეტად ფასეულია ნიკო ნიკოლაძის დასკვნა: „ყველაფერი ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება კონსტატაცია გავაკეთოთ, რომ ბუნებამ თითქსოსდა შექმნა რიონის დელტა საქონელის აღმოსავლეთიდან დასავლეთში გასატანად. ახლა რიგი სამეწარმეო ინიციატივაზეა, რომ ამ ადგილას შეიქმნას შავ ზღვაზე პირველი პორტი“ (საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, ფ 1, დოკ. 63/291, ფურც. 556).

ამრიგად, ნიკო ნიკოლაძე უკვე XX საუკუნის დასაწყისში ჭვრეტდა საქართველოს პორტების უდიდეს ეკონომიკურ მნიშვნელობას აღმოსავლეთ-დასავლეთის ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში. მისი ეს დასკვნა ეფუძნება საქართველოს გეოსტრატეგიული მდგომარეობის ზუსტ ანალიზს და ითვალისწინებს საქართველოს

ისტორიული განვითარების გამოცდილებას. ტრანზიტული ვაჭრობა, სატრანზიტო ფუნქცია – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ეკონომიკური თვალსაზრისით საჭირო და ეფექტიანი ფუნქციაა. ამ ფუნქციის ამოქმედებას ცდილობს საქართველოს ხელისუფლება უკვე 20 წელია – მაგრამ უშედეგოდ.

მაგრამ ნიკო ნიკოლაძის ეპისტოლარული მემკვიდრეობის უდიდესი მნიშვნელობა მარტო საქართველოს პორტების სატრანზიტო მნიშვნელობის წარმოჩენა არ არის. ნიკო ნიკოლაძე კარგად ხედავს რომ ფოთის ეკონომიკური პოტენციალი შეიძლება წარმატებით გაიზარდოს ქალაქში ძლიერი, თანამედროვე ტექნოლოგიების დონეზე გამართული თევზჭერისა და თევზის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებით.

ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს ნიკო ნიკოლაძის არქივში შემონახული ერთი სამ გვერდიანი ხელნაწერი, რომელსაც ჰქვია „თევზჭერა და თევზის წარმოება ფოთში“. დოკუმენტი რუსულ ენაზეა შედგენილი და უფრო ინტერვიუს ჰგავს, ვიდრე პირად წერილს. როგორც ჩანს, რუსულენოვანი კორესპონდენტი ესაუბრება ნიკო ნიკოლაძეს და ცდილობს გამოარკვიოს მისი დამოკიდებულება ფოთში თევზის მრეწველობის განვითარების საკითხისადმი.

საყურადღებოა, რომ დოკუმენტი საფუძველს იძლევა ვამტკიცოთ, რომ ჯერ კიდევ I მსოფლიო ომამდე ნიკო ნიკოლაძე ფოთში თევზის რეწვის დაწყებას ფიქრობდა და საზღვარგარეთ წასვლასაც აპირებდა, რათა დეტალურად შეესწავლა თევზის რეწვისა და მისი გადამუშავების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები. ომმა მას ხელი შეუშალა ამ მიზნის განხორციელებაში, მაგრამ ახლა, ახალ ვითარებაში, ის კვლავ დაუბრუნდა ამ, მისთვის საინტერესო იდეას და უკვე მის რეალიზაციასაც აპირებდა. ნიკო ნიკოლაძე კორესპონდენტს უმტკიცებს, რომ ფოთი უაღრესად მდიდარია გასტრონომიული ღირსებით აღჭურვილი თევზის სხვადასხვა სახეობით, აქ მოიპოვება: ზღვის თართი, ქამბალა, სარდინელას მსგავსი სახეობები და სხვადასხვა წვრილი თევზები.

ნიკო ნიკოლაძის მტკიცებით, ამ თევზებიდან მომზადებული კონსერვები, განსაკუთრებით ძმარში გამოყვანილი თევზის სახეობა, მეტად ფასობს და კომერციულად საინტერესო იქნება მისი რუსეთში გატანა. (საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, ფ 1, დოკ. 63/289, ფურც. 549).

ასევე საინტერესო ჩანს ნიკო ნიკოლაძის გამოთქმული მოსაზრებები ფოთში თევზჭერის რაციონალურ საფუძვლებზე

დაყენებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, არადაუგეგმავი, თავისუფალი ჭერა, რამაც უკვე თითქმის განადგურებამდე მიიყვანა ეს დარგი და სერიოზულად შეამცირა თევზის რაოდენობა ფოთის აკვატორიაში, არამედ თევზის გასამრავლებლად რიონის აკვატორიაში სპეციალური სამუშაოს განხორციელება იქნება უპირველესი მიზანი. ნიკო ნიკოლაძის აზრით, საჭიროა ბუნებრივი ბარიერების შემცირება, რაც აუცილებელია ქვირითობისას თევზის თავისუფლად გადაადგილებისათვის. ეს კი, ნიკო ნიკოლაძის აზრით, რიონის დელტას თევზის წარმოების მნიშვნელოვან ცენტრად გადააქცევს.

ნიკო ნიკოლაძის მტკიცებით, ყოველწლიურად ფოთში მზადდება 30 ათასი ფუთი ცოცხალი თევზი, ხოლო დამარილებული თევზის რაოდენობას თვლა არა აქვს. მაგრამ მისი აზრით, ეს არ არის ის მასშტაბი, რაც შეიძლება განხორციელდეს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე. ფაქტობრივად ნიკო ნიკოლაძე ინტერვიუში აყალიბებს თავის ბიზნეს-გეგმას: „შავი ზღვის ამ ნაწილში საერთოდ არ არის განვითარებული დელფინების ჭერა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს. დელფინებისა და სხვა სახეობების თევზის ქონი, თანამედროვე ფაბრიკული მეთოდების გამოყენებით, შეიძლება გარდაიქმნას საკვებად ვარგის ცხიმებად, ხოლო ამ ზეთის გადამუშავებისას მიღებული დაბალი ხარისხის პროდუქტი შეიძლება გამოვიყენოთ საპნის წარმოებაში. ორივე პროდუქტს აქვს მაღალი ღირებულება. თევზის ქონი ასევე შეიძლება გამოვიყენოთ თევზის წვრილი სახეობის კონსერვირების დროს. ასევე შეიძლება გამოვიყენოთ ზეითუნის ზეთიც, რაც შეიძლება მოპოვებულ იქნეს შავიზღვისპირეთის ზეთისხილით მდიდარ სანახებში (განსაკუთრებით სოხუმსა და ართვინის მიდამოებში)“ (საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, ფ 1, დოკ. 63/289, ფურც. 550).

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ნიკო ნიკოლაძე ფოთში თევზის ბიზნესის განვითარებას მტკიცედ უკავშირებს თანამედროვე ტექნოლოგიებს და ვარაუდობს არა მცირე და საშუალო, არამედ მსხვილი წარმოების ორგანიზაციას, რომელიც უწყვეტი რეჟიმით იმუშავებდა. სწორია ნიკო ნიკოლაძის დასკვნა, რომ „თევზის რეწვას ჭირდება თანამედროვე საშუალებები და დიდი თევზჭერა“ (საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, ფ 1, დოკ. 63/289, ფურც. 550).

დოკუმენტში ისიც მითითებულია, რომ ნიკო ნიკოლაძე ამ პროექტის რეალიზაციას გერმანული კაპიტალის მოზიდვით აპირებს, რაც აშკარად მიუთითებს, რომ ეს ინტერვიუ ჩაწერილი უნდა იყოს 1918 წლის ნოემბრამდე, როცა გერმანია ჯერ კიდევ საქართველოს

მოკავშირე იყო და მასთან იგეგმებოდა სხვადასხვა სამრეწველო პროექტებს განხორციელება.

როგორც ჩანს, ამ ეტაპისათვის ნიკო ნიკოლაძეს ზუსტად არ ჰქონდა განსაზღვრული თავისი ბიზნეს-გეგმის კონკრეტული პარამეტრები, მისი ხარჯთაღრიცხვა, ეკონომიკური გაანგარიშებები, მაგრამ როგორც კორესპონდენტი ამტკიცებს: „ის დარწმუნებულია, რომ არ იქნება შეფერხება საჭირო თანხების მოპოვების საქმეში“ (საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, ფ 1, დოკ. 63/289, ფურც. 551).

სამწუხაროდ, ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური პროექტების რეალიზაცია არ მოხერხდა. საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ დიდი ხნით შეაფერხა ამ და სხვა პროექტების რეალიზაცია. რაც შეეხება თევზჭერას ფოთის აკვატორიაში, ის მუდამ გრძელდებოდა და საბჭოთა რეჟიმის პერიოდში გარკვეულ დონესაც კი მიაღწია, მაგრამ თევზის წარმოების დიდი ინდუსტრია ფოთში ვერ შეიქმნა და ნიკო ნიკოლაძის ეს გეგმა აშკარად თავის რეალიზატორს ელის. ამ თვალსაზრისით ნიკო ნიკოლაძის მოსაზრებები ფოთის პორტთან დაკავშირებით საკმაოდ თანამედროვედ გამოიყურება.

დღეს, როცა ფოთის პორტი ხელიდან ხელში გადადის, როცა უმუშევრობამ ლამის წალეკოს ქვეყანა, როცა საბჭოთა ინდუსტრიალიზაციიდან თითქმის აღარაფერი გადარჩა და მოსახლეობა დაუსაქმებელია, ფოთის სამრეწველო პოტენციალი, არამარტო სატრანსპორტო, არამედ კვების მრეწველობის განვითარების შესაძლებლობები, რომლის შესახებაც თითქმის ასი წლის წინ ასე გულმხურვალედ საუბრობდა ნიკო ნიკოლაძე, დღეს შეიძლება საქართველოს ხელახალი ინდუსტრიული აღორძინების ერთ-ერთ საყურადღებო რგოლად გადაიქცეს.

მაგრამ მარტო ამ ეკონომიკურ პროექტებსა და გაანგარიშებებში არ არის ამ ეპისტოლარული მემკვიდრეობის ღირებულება.

ჩვენი აზრით, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ნიკო ნიკოლაძის შეხედულებას, რომ საქართველოში, მთლიანად კავკასიის რეგიონში დაწყებულ ეკონომიკურ აღორძინებას, განსაკუთრებით ასეთ მრავალეთნიკურ კუთხეში აშკარად ექნება უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობაც. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ნიკო ნიკოლაძე: „ნაციონალური დაპირისპირების ის პერსპექტივები, რაც იკვეთება ეროვნული თვითგამორკვევის პროცესში მთავარ ერებს შორის, რომლებითაც დასახლებულია ამიერკავკასიის მხარე, კიდევ უფრო გამოკვეთენ საერთაშორისო სოლიდარობის აუცილებლობას მთელი რიგი ერთობლივი ინტერესის საფუძველზე: ეკონომიკურის,

კულტურულის და პოლიტიკურის. ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტორთა შორის უნდა ვაღიაროთ ამ სოლიდარობის განმტკიცების საქმეში მხვადასხვა ერის წარმომადგენელთა საერთო საქმის ხელმძღვანელობაში ერთობლივი მუშაობა. სწორედ ეს ერთობლივი ძალისხმევა და საერთო საქმით დაინტერესება იქნება კავკასიის ხალხებს შორის ის ერთ-ერთი ცოცხალი კავშირი, რაც ყველაზე უფრო მდგრადი და საიმედოა.

საჭიროა ყველა საშუალებით განვავითაროთ საერთო რეალური ინტერესების ერთობის შეგნება სამეზობლო ურთიერთობაში და უდავოდ, ნაციონალური დაპირისპირება, როგორც გამწვავებული შედეგი საუკუნეების მანძილზე მთავრობის ჩაგვრისა, სწრაფი ტემპით შესუსტდება. ის შესუსტდება და ადგილს დაუთმობს ადამიანების დაახლოების ბუნებრივ გრძნობას მშვიდობიან, კეთილმეზობლურ ურთიერთობებში; და ეს მოხდება არა მარტო იმ ზეგავლენის შედეგად, რასაც გამოიწვევს ადამიანთა მასებში იმ თვალსაზრისის განმტკიცება, თუ რაოდენ შეზღუდულია კულტურული ჰორიზონტი პატარა ეთნოსებისა და რა ძლიერია მოთხოვნილება ამ ვიწრო ჩარჩოებიდან გასვლის, და ამავე დროს გახდება თვით ყველა მათი როგორც მატერიალური, ისე სულიერი ინტერესებით იძულებითი ჩაბმის საფუძველი უდიდეს საერთო სამოქალაქო მსოფლიო ცხოვრებაში“(საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, ფ 1, დოკ. 40/1345, ფურც. 3).

აი, აქ იგრძნობა ნიკო ნიკოლაძის სიდიადე, მისი მსოფლიო მოქალაქის პოზიცია, ის არასოდეს არ იფარგლებოდა ვიწრო ნაციონალური ჩარჩოებით, მისი აზროვნების ჰორიზონტი მუდამ ფარავდა პროგრესულ იდეებსა და შეხედულებებს. დღეს, თითქმის ასი წლის შემდეგაც, ნიკო ნიკოლაძის ეს სიტყვები მეტად თანამედროვედ ჟღერს, თითქოს ის ჩვენთან ერთად იყოს და ჩვენთან ერთად აკვირდებოდეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს.

რა თქმა უნდა, დღეს ბევრი რამ შეიცვალა, ბევრ ადრინდელ იდეას დაეკარგა ხიბლი და რეალური საფუძველი, მაგრამ ეს მოსაზრება, რომ ძლიერი ეკონომიკური განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ძლიერ სულიერებას, ხოლო ისინი ერთად შექმნიან ხალხთა დაახლოებისა და ურთიერთთანამშრომლობისათვის ნაყოფიერ საფუძველს, დღესაც ჩვენს მოწონებას იმსახურებს და, ამ თვალსაზრისით, ნიკო ნიკოლაძე კვლავ ჩვენი თანამედროვეა.

ამრიგად, ნიკო ნიკოლაძე მთელი თვისი ცხოვრებით დაკავშირებული იყო ფოთის საზღვაო პორტთან და მასზე ზრუნვა თავის უპირველეს მოვალეობად ესახებოდა.

ფოთის საზღვაო პორტის ნორმალური ფუნქციონირება ვერ მოხერხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში და ამის მიზეზი იყო როგორც არსებული საგარეო პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარება, ასევე რთული სოციალურ-ეკონომიკური გარემო როგორც ქალაქში, ასევე საზღვაო პორტში.

ნიკო ნიკოლაძე ფოთის პორტისთვის ასეთ რთულ ვითარებაში წერს წერილებს, რომლებშიც მოცემულია არამარტო ფოთის პორტის ეკონომიკური აღორძინების გეგმა, არამედ მთელი სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური განვითარების კონკრეტული ამოცანა, რაც აერთიანებდა როგორც ქალაქის სატრანსპორტო შესაძლებლობებს, ასევე თევზჭერის განვითარების აუცილებლობას, რასაც უდიდესი სოციალური შედეგი ექნებოდა არამარტო ქალაქისათვის, არამედ მთელი ქვეყნისათვის.

თანამედროვედ ჟღერს და მთლიანად მისაღებია ნიკო ნიკოლაძის თვალსაზრისი, რომ ძლიერი ეკონომიკური განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ძლიერ სულიერებას, ნაყოფიერ საფუძველს შექმნიან სამხრეთ კავკასიის ხალხების დაახლოებისა და ურთიერთთანამშრომლობისათვის.

მითითებული ლიტერატურის სია:

1. „ერთობა“, 1917 წ, 12 დეკემბერი;
2. „ერთობა“,1919 წ, 1 იანვარი;
3. „ერთობა“, 1919 წ. 5 იანვარი;
4. „მგზნებარე კოლხიდელი“, 1959 წ. 11 ნოემბერი;
5. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, იშვიათ გამოცემათა განყოფილება, ფ.1, დოკ.40/1345, ფურც.1;
6. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, იშვიათ გამოცემათა განყოფილება, ფ.1, დოკ. N 63/291, ფურც. 554.
7. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, იშვიათ გამოცემათა განყოფილება, ფ.1, დოკ. N 63/291, ფურც. 556.
8. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, იშვიათ გამოცემათა განყოფილება, ფ.1, დოკ. N 63/289, ფურც. 549.
9. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, იშვიათ გამოცემათა განყოფილება, ფ.1, დოკ. N 63/289, ფურც..550.

10. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, იშვიათ გამოცემათა განყოფილება, ფ.1, დოკ. N 63/289, ფურც.551.
11. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, იშვიათ გამოცემათა განყოფილება, ფ.1, დოკ.40/1345, ფურც. 3.
12. სცსა, ფ. 1891, ს.202, ფურც.1;
13. სცსა; ფ. 1891, ს. 31. ფურც. 1;
14. სცსა; ფ. 1891, ს. 630, ფურც. 122
15. სცსა; ფ. 1891, ს. 314, ფურც. 7კ.
16. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1972, ტ. VI;
17. მარგიანი გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917 წწ. თბილისი, 1976;
18. ფირცხალავა ი. ახლო წარსულიდან, თბილისი, 1931;
19. ჩარკვიანი კ. ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ, თბილისი, 1962;

ალ. დაუშვილი

ნიკო ნიკოლაძე და ფოთის საზღვაო პორტი

რეზიუმე

ნიკო ნიკოლაძე მთელი თავისი ცხოვრებით დაკავშირებული იყო ფოთის საზღვაო პორტთან.

ფოთის საზღვაო პორტის ნორმალური ფუნქციონირება ვერ მოხერხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში და ამის მიზეზი იყო როგორც საგარეო პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარება, ასევე რთული სოციალურ-ეკონომიკური გარემო ქალაქში და უშუალოდ საზღვაო პორტში. ასეთი სოციალური დაძაბულობა ფოთის პორტში ბოლშევიკურ გავლენას ზრდიდა.

ნიკო ნიკოლაძე ამ რთულ ვითარებაში წერს წერილებს, რომლებშიც მოცემულია არამარტო ფოთის პორტის ეკონომიკური აღორძინების გეგმა, არამედ მთელი სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური განვითარების კონკრეტული ამოცანა, რაც აერთიანებს როგორც სატრანსპორტო შესაძლებლობებს, ასევე თევზჭერის განვითარების აუცილებლობას, რასაც უდიდესი სოციალური შედეგი ექნებოდა არამარტო ქალაქისათვის, არამედ მთელი ქვეყნისათვის.

თანამედროვედ ჟღერს და მთლიანად მისაღებია ნიკო ნიკოლაძის თვალსაზრისი, რომ ეკონომიკის ეფექტური განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ძლიერ სულიერებას, ნაყოფიერ საფუძველს შექმნის სამხრეთ კავკასიის ხალხების დაახლოებისა და ურთიერთთანამშრომლობისათვის.

Al. Daushvili

Niko Nikoladze and Poti Sea Port

Summary

Niko Nikoladze, with his entire life, was connected with Poti sea port and considered his main duty to take care of it.

A proper performance of the sea port wasn't achieved during the first democratic republic of Georgia. The reason was poor foreign, economic and political situation, as well as difficult social and economic situation in Poti and its sea port. Such social tension was increasing Bolshevik influence on the town.

In this tough condition of Poti sea port, Niko Nikoladze wrote letters where he laid out not only the plan of economic resurgence of Poti port, but the explicit task of economic development of South Caucasus, that incorporated transport capabilities of town and the necessity of fishery development. This would have an enormous social impact not merely on the town but on the whole country.

Niko Nikoladze's views sound quite modern and acceptable, implying that strong economic development provides solid basis for spirituality, their combination creates solid basis for rapprochement and collaboration of South Caucasus nations.

კლარა ელჩიბეგაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიკო ნიკოლაძის ზოგიერთი ფილოსოფიური შეხედულება

ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტურ და ლიტერატურულ-კრიტიკულ მემკვიდრეობაზე ჩვენში საკმაოდ ბევრია დაწერილი. ამ მემკვიდრეობის საფუძვლად ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებები ჯერ კიდევ კვლევისა და ძიების საინტერესო სფეროს წარმოადგენს, იმის გამო, რომ ნიკო ნიკოლაძეს სპეციალური ფილოსოფიური და ესთეტიკური ტრაქტატები არ დაუწერია. მისი ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებების გამოვლინება საკმაოდ რთული საქმეა, იგი მოითხოვს მთელი მემკვიდრეობის შესწავლას, კრიტიკულ ანალიზს და მათ შედარებას სხვა მოაზროვნეთა შეხედულებებთან, რომელთაგანაც ნიკო ნიკოლაძე დიდად იყო დავალებული (განსაკუთრებით ნ. ჩერნიშევსკისაგან). ყოველივე ამის შემდეგ მკვლევარმა შეიძლება გაბედოს ნიკო ნიკოლაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებების დადგენისა და ინტერპრეტაციის საინტერესო ცდა. დიდი რუსი მოაზროვნე გერცენი ამბობდა „ჩვენ ვცხოვრობდით ყველა მიმართულებით“. იგივე ფრაზა შეგვიძლია მივუსადაგოთ ნიკო ნიკოლაძის შემოქმედებასაც. მისი ენციკლოპედიური ცოდნა სავსებით უპასუხებდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების იმდროინდელ მოთხოვნებს. ნიკო ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან და გიორგი წერეთელთან ერთად, XIX საუკუნის სოციალური და პოლიტიკური მოძრაობის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი იყო. ამიტომაც წერდა ილია ჭავჭავაძე ნიკო ნიკოლაძეს კერძო ბარათში: „შენ ჩვენი რაზმის ფალავნად გვეგულები.“ (ხუნდაძე, 47).

ნიკო ნიკოლაძე თავისი დროის კულტურული და მეცნიერული განვითარების ზენიტში მყოფი, მრავალმხრივ განსწავლული, ღრმად ერუდირებული მოაზროვნე და დიდი ორგანიზატორული ნიჭის მქონე პიროვნება იყო. ამიტომ ნიკო ნიკოლაძის ღვაწლის შეფასება არ შეიძლება მისი მოღვაწეობის რომელიმე ცალკე სფეროს დახასიათებით. ის იყო პიროვნება, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა უბანს წვდებოდა და ყოველ უბანზე თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის წარუშლელ კვალს ტოვებდა.

ღრმა და მრავალმხრივი იყო ნიკო ნიკოლაძის თეორიული კვლევა. იშვიათია ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში

ისეთი მოაზროვნე, რომელსაც ასეთი დიდი მემკვიდრეობა დაეტოვებინოს თეორიული აზროვნების სფეროში. ეს მემკვიდრეობა წლებია ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიის ინტენსიური შესწავლის საგანი გახდა. ეს პროცესი ამჟამადაც წარმატებით გრძელდება.

ნიკო ნიკოლაძის ფილოსოფიური ესთეტიკა არაა ჩამოყალიბებული შეხედულებათა ერთიან მწყობრ სისტემად. იგი თანამედროვეობისათვის საინტერესოა, უპირველეს ყოვლისა, როგორც პუბლიცისტის, კრიტიკოსის, ჟურნალისტის ესთეტიკა, რომელმაც თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვა ქართული ესთეტიკური აზრის განვითარებაში. ნიკო ნიკოლაძის კრიტიკული წერილების სერია- ,,ჩვენი მწერლობა“ და სტატია ,,კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“ წარმოადგენს ქართული ლიტერატურული კრიტიკის განვითარებისა და ესთეტიკური პრინციპების დამკვიდრების უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მისი შეხედულებანი არ აღმოცენებულა მსოფლიო კულტურისა და მეცნიერებისაგან იზოლირებულად. მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა XIX საუკუნის 60-იანი წლების რუსეთის პროგრესულმა საზოგადოებრივმა აზრმა. თუ თვალს გავადევნებთ ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიოგრაფიისა და ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებას, შევამჩნევთ, რომ XIX საუკუნის პროგრესულ მოღვაწეთა, კერძოდ ,,თერგდალეულთა“ საქმიანობის შესასწავლად დიდი შრომა აქვთ გაწეული ქართველ მეცნიერებს.

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ნიკო ნიკოლაძის პროგრესულ შეხედულებათა ისტორიული მნიშვნელობა შესწავლილი და გაანალიზებულია როგორც სახელოვანი პუბლიცისტის, სოციოლოგის, ესთეტიკოსის, კრიტიკოსის შემოქმედებითი გზა. მისი პუბლიცისტური მოღვაწეობა ასევე გაშუქებულია ,,სოვრემენიკში“, ,,ისკრაში'', გერცენის ,,კოლოკოლში“. 1875 წელს ნიკო ნიკოლაძემ ფრანგულ ენაზე დაწერა და პარიზში გამოსცა თავისი საკმაოდ პოპულარული ბროშურა ,,დეკადანსის პრესა“ (La Press de la Decadance). ლუი ბლანი მაღალ შეფასებას აძლევდა ამ შრომას და კერძო ბარათში ნიკო ნიკოლაძეს წერდა: ,,თქვენი წიგნი ერთი იმ ნაშრომთაგანია, რომელიც ყველა ფრანგმა ჟურნალისტმა უნდა წაიკითხოს და კარგადაც ჩაუკვირდეს მას.“ (ლუი ბლანის ბარათი ნიკო ნიკოლაძისადმი).

ნიკო ნიკოლაძის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ შეხედულებათა ფორმირება დიდადაა დავალებული ჩერნიშევსკის იდეებით. თავის მხრივ, მისი ფილოსოფიურ-ესთეტიკური შეხედულებანი მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს ტრადიციებთან. თავისი მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში ნიკო ნიკოლაძე გატაცებული იყო პოზიტივიზმით. იგი დარწმუნებული იყო, რომ პოზიტივიზმი მეტაფიზიკით არ იყო გაჯერებული. მაშინ იგი ვერ ამჩნევდა, რომ პოზიტივიზმი სხვა არაფერი იყო, თუ არა იდეალიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობა.

ნიკო ნიკოლაძე განიხილავდა კანტის ფილოსოფიურ სისტემას და მის უდიდეს ნაკლად თვლიდა გნოსეოლოგიურ დუალიზმს. იგი აღიარებდა, რომ კანტის ფილოსოფია შეიცავს შინაგან წინააღმდეგობებს: ,,თუ ,,ნაროდნოე დელოს“ ფილოსოფოსები ნებას მოგვცემენ შევავსოთ მათი ფილოსოფიური ცოდნა-წერდა ნიკო ნიკოლაძე-გავახსენებთ მათ შემდეგ ფაქტს, კანტი, რომელიც გამომდინარეობდა იმ აზრიდან, რომ ჩვენთვის მიუწვდომელია თვით ნივთები თავისით (რომელთა არსებობაც, ვიტყვით აქვე, კანტს დასაშვებად მიაჩნდა) და მისაწვდომია მხოლოდ მათი გარეგანი გამოაშკარავება, ე.ი. ის, რასაც მათ ჩვენი ოცნება და ჩვენი გრძნობები მიაწერენ-აი, კანტი ,,წმინდა გონების კრიტიკაში“ მივიდა ღვთის უარყოფამდე, ადამიანის ყველა რელიგიური და ზნეობრივი წარმოდგენის უარყოფამდე, მაგრამ შემდეგ ,,პრაქტიკული გონების კრიტიკასა“ და ,,განსჯის უნარის კრიტიკაში“ კანტმა გამოსავალ წერტილად დასახა ის აზრი, რომ ადამიანებში არსებობს ,,ზნეობრივი კანონი“ (აბსოლუტური და ჰიპოთეტური იმპერატივი), აქედან ლოგიკურად დაასკვნა ღვთის და სხვადასხვა მისი ატრიბუტების არსებობა.“(ნიკოლაძე, 1931, 300)

ნიკო ნიკოლაძე უარყოფდა მოწოდებას ,,უკან კანტისაკენ“. მას კანტის მოძღვრება სამართლიანად მიაჩნდა განვითარების განვლილ საფეხურად, თუმცა კი ისტორიისათვის დადებითად აფასებდა კანტის ფილოსოფიურ სისტემას.

ნიკო ნიკოლაძე დიდ პატივს სცემდა ჩერნიშევსკის, თავს მის ორთოდოქსალურ მიმდევრად თვლიდა. შეუდგა რა ჩერნიშევსკის შრომების შესწავლას, მან ისინი თავისებურად აითვისა, მისი აზრით, საჭირო არ იყო იერიში, არამედ ზომიერების დაცვა, კეთილგონიერება პოლიტიკაში, თანდათანობით ნიადაგის მომზადება, განათლების შეტანა საზოგადოებაში და ამ გზით მაღალი იდეების გავრცელება.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ნიკო ნიკოლაძე წინ სწევს ქვეყნისათვის საარსებო სოციალურ-ეკონომიკურ მომენტებს: ,,როცა ქართულ მწერლობაში ჩავები, მის თარს მარტო ერთი სიმი ება, შიგ მარტო ერთი, დიახაც სწორი, მაგრამ ერთობ ცალმხრივი დედააზრი სუფევდა. ჩვენს განვითარებაში ის ,,კეისრისა კეისარსა“ 1830 წლის მოძრაობას შემოეტანა და გრიგოლ ორბელიანს დაემყარებინა: დედაენის დაცვა. 1860 წლის მოძრაობამ ამ საქმეს ახალი მსახურები მიაშველა: სტამბა, სკოლა, სახელმძღვანელო. ჩემმა დამზადებამ დედა-ენა მიზნად კი არა მარტო ერთ იარაღთაგანად მაჩვენა ერის კეთილდღეობისა. მესმოდა, არამარტო ენით, იკვებება ხალხი... არამარტო ენა აღადგენს ამ ეროვნებას მეთქი. საჭიროდ ვთვლიდი შემეძრა ის ცხოველმყოფელი ძალები, რომლის მოქმედება და ურთიერთობა ერს ზრდის, ამაღლებს, აძლიერებს. შევეხე ეკონომიკას, კრედიტს, მრეწველობას, მიწათმფლობელობას და თვითმმართველობას“ (ნიკოლაძე, 1913, 31-32). მისი აზრით, ეს საკითხები უნდა გადაჭრილიყო სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად, რაც ქართველი ხალხის გამარჯვების აუცილებელ პირობად ესახებოდა.

ნიკო ნიკოლაძე ასაბუთებს, რომ არამარტო ბუნება ზემოქმედებს ადამიანის ბუნებაზე, არამედ ადამიანი შეიცნობს რა ბუნების კანონებს, გარდაქმნის ბუნებას საზოგადოების საკეთილდღეოდ - ,,არაფერი ხდება უეცრად და უმიზეზოდ“. მეცნიერების დანიშნულებაა ,,მარტივად, რელიეფურად და ყოველთვის სწორად დაგვიხატოს და გვიჩვენოს არა მარტო ფაქტები, არამედ ამ ფაქტების წარმომშობი მიზეზებიც.“ (ნიკოლაძე,1931, 192). მას კარგად ესმის: თუ გარკვეული მიზეზი წარმოშობს თავის შედეგს, არც უკანასკნელი რჩება მუდმივად პასიურ მდგომარეობაში პირველის მიმართ და, თავის მხრივ, ზემოქმედებს მასზე. იგი ამტკიცებს, რომ ბუნება და საზოგადოება მოძრაობის კანონის მიხედვით არსებობს, ,,ცხოვრება ნიადაგი, ბრძოლა და მოძრაობაა“. (სკანდელი, გაზ. ”დროება”).

საგულისხმოა ფაქტი, რომ ნიკო ნიკოლაძე გამონაკლის შემთხვევაში მოძრაობას განიხილავს, როგორც დაპირისპირებულ ტენდენციათა ბრძოლას. მისი აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა ანალიზისათვის საჭიროა ყურად ვიღოთ ის მაცოცხლებელი შინაგანი ბრძოლა, რომელიც არსებითად ქვეყნის წარმატების, მისი ცხოველუნარიანობის თავდებს წარმოადგენსო. ეს, რა თქმა უნდა, იყო ცალკეული გამონაკლისი; ნიკო ნიკოლაძე თავად აღიარებდა თავს ევოლუციონისტად. ამიტომ იყო, რომ მას ცხოვრების

გაუმჯობესება შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ თანდათანობითი განვითარების გზით.

როდესაც საზოგადოების განვითარების პროცესში პიროვნების როლზე მსჯელობს, ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ ხალხი გაჰყვება იმ პირებს, რომელთა შეხედულებანი უფრო ზუსტად ასახავენ ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. მას კარგად ესმის, რომ პიროვნება, რომელიც ისტორიის კანონზომიერების წინააღმდეგ იმოძრავებს, უსათუოდ დამარცხდება. ,,ვისაც ზედმიწევნით არ შეუსწავლია ისტორიის ფილოსოფია, მას ყოველთვის გონია, რომ რასაც მე დღეს ვშვრები, იმას საკუთარი ჭკუით ვშვრები, ჩემი გონებით ვმოქმედებ და სხვებს ვამოქმედებო. დიდი შეცდომაა ეს, დიდი სიბრიყვეა. კერძო პირი ცხოვრებაში უბრალო პაიკია, რომელსაც ისტორიული ძალა და ჩარხი ატრიალებს ან ათამაშებს.“ (ნიკოლაძე, 1914, 41-42).

მითითებული ლიტერატურის სია:

1. ხუნდაძე ს. მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის. 1949 წ.
2. ლუი ბლანის ბარათი ნიკო ნიკოლაძისადმი. დათარიღებული 1875 წ-ის 20 მაისით. ინახება ნინო ნიკოლაძის პირად არქივში №13 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
3. ნიკოლაძე ნ. რჩეული ნაწერები. ტ 1, თბ., 1931 წ.
4. ნიკოლაძე ნ. ჩემ პოლიტიკაზე. 1913 წ.
5. სკანდელი ნ. ,,მიზანტროპის დღიურიდან. გაზ. ”დროება” 1872 წ. №11
6. ნიკოლაძე ნ. რჩეული ნაწერები. წიგნი-2 ,,მამულის სიყვარული და მსახურება“. ქუთაისი. 1914 წ.

კ. ელჩიბეგაშვილი

ნიკო ნიკოლაძის ზოგიერთი ფილოსოფიური შეხედულებები

რეზიუმე

ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტურ და ლიტერატურულ-კრიტიკულ ნააზრევზე საკმაოდ ბევრია დაწერილი. მისი მემკვიდრეობის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებები ჯერ კიდევ კვლევისა და ძიების საინტერესო სფეროს წარმოადგენს იმის გამო, რომ ნიკო ნიკოლაძეს სპეციალური ფილოსოფიური და ესთეტიკური ტრაქტატები არ დაუწერია. მისი ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებების გამოვლენა საკმაოდ რთული საქმეა, იგი მოითხოვს მთელი მემკვიდრეობის შესწავლას, კრიტიკულ ანალიზს და ამ შეხედულებათა შედარებას სხვა მოაზროვნეთა შეხედულებებთან. ყოველივე ამის შემდეგ მკვლევარმა შეიძლება გაბედოს ნიკო ნიკოლაძის ზოგიერთი ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებების დადგენისა და ინტერპრეტაციის ცდა. ნ. ნიკოლაძის ენციკლოპედიური ცოდნა სავსებით პასუხობდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების იმდროინდელ მოთხოვნებს. იშვიათია ქართულ სინამდვილეში ისეთი მოაზროვნე, რომელსაც ასეთი დიდი მემკვიდრეობა დაეტოვებინოს. ეს მემკვიდრეობა წლებია ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიის ინტენსიური შესწავლის საგანი გახდა. ეს პროცესი ამჟამადაც წარმატებით გრძელდება, რაც იმის მანიშნებელია, რომ ნ. ნიკოლაძის თეორიული ნააზრევი უკვდავია.

K. Elchibegashvili

Philosophical Views of Niko Nikoladze

Summary

Quite a lot have been written about Niko Nikoladze's publicistic, literary and critical heritage. According to this heritage the philosophical and aesthetical views are interesting spheres of research and studies as Niko Nikoladze hadn't written special philosophical and aesthetical treatises. Showing his philosophical and aesthetical views is quite difficult. It requires studying all his works, its critical analyses and comparing all these views to the views of other thinkers, to whom Niko Nikoladze was beholden (especially to N. Chernishevski). After all this, the researcher may venture the establishment and interpretation of philosophical and aesthetical views of Niko Nikoladze. A Great Russian thinker Gertsen said: "We've lived in all directions". We can use the same phrase for Niko Nikoladze's works, too. His omniscience suited the demands of public life of that time. Niko Nikoladze together with Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli and Giorgi Tsereteli was one of the outstanding figures of XIX century social and political movements in Georgia. The theoretical research of Niko Nikolaze was profound and versatile. It is so rare to find the thinker in the Georgian public opinion history, who has left such rich heritage in theoretical thinking. This heritage became the object of study in the history of public opinion development. This process is being successfully carried out till now. All this shows the importance of Niko Nikoladze's theoretical thoughts in the history of Georgian public opinion development.

მერაბ ვანიშვილი, გაგა ნიქაბაძე, ნინო ვანიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმები საქართველოში

ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 170 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე საამაყოა იმის გახსენება, რომ მას ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვება-განმტკიცების საკვანძო საკითხად ეროვნული მეურნეობის განვითარება და აქტიური სავაჭრო ბალანსის დაცვა მიაჩნდა. „წარმოების გაჩაღება არის ერთადერთი ჩვენი ხსნა, უნდა მოვახერხოთ გარეთ მეტი გავიტანოთ გასაყიდი, ვიდრე უცხოელს ვთხოვთ საყიდ საქონელს. სანამ მოსაზიდი მეტი გვექნება, ვინემ გასაზიდი, მონობას ვერ ავცილდებით.“ - წერდა იგი (ვანიშვილი, 13). ნათქვამი ეხება ეროვნული მეურნეობის უკლებლივ ყველა დარგს და, მათ შორის, აგრობიზნესსაც.

მართლაც, ქვეყნის უსაფრთხო განვითარების მყარ საფუძველს ქმნის ძლიერი და მაღალეფექტიანად ფუნქციონირებადი აგრობიზნესი. ამიტომ მისი მდგრადი განვითარების სათანადო სახელმწიფოებრივ მხარდაჭერასა და სტიმულირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.* ამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მოქნილი სისტემის ქმედითი გამოყენებით, თვითრეგულირებისა და რეგულირების მექანიზმების ოპტიმალური შეთანაწყობით.

ამ მიზნით ათვისებულ უნდა იქნეს განვითარებულ ქვეყნებში მწარმოებელთა მხარდაჭერის აპრობირებული ფორმები და მეთოდები (სუბსიდია, დოტაცია, ექსპორტის დაკრედიტება) იმ ზომით და ფარგლებში, რაც დაშვებულია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დოკუმენტებით, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტებითა და წესდებით, საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებით. ამასთან, რეგულირებისათვის ფართოდ არ უნდა იყოს გამოყენებული არაპირდაპირი სუბსიდირების მექანიზმები. ამ ფორმების გამჭვირვალობა და მიზნობრიობა განპირობებულ უნდა იქნეს შესაბამისი სახელმწიფოებრივი პროგრამებით.

აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმების განხილვამდე სასურველია აგრარული სექტორისათვის

---

* საკითხის აქტუალობას ისიც აძლიერებს, რომ ეროვნული ეკონომიკის აღნიშნული სექტორი განსაკუთრებული სპეციფიკით გამოირჩევა სხვებისაგან.

დამახასიათებელი რიგი თავისებურებების წარმოდგენა. ამასთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ თანამედროვე სოფლის მეურნეობა ეფუძნება განსაზღვრულ დარგთა სისტემას, რომლებიც მას აწვდიან წარმოების საშუალებებს, გადაამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს და ახორციელებენ მზა პროდუქციის მიტანას მომხმარებლებამდე.

მრეწველობასთან და ვაჭრობასთან სოფლის მეურნეობის ინტეგრაციული კავშირების გაძლიერების და, შესაბამისად, აგრობიზნესის ფორმირების მნიშვნელობა პირველად შეფასებულ იქნა ჯონ დევისის მიერ, რომელიც მიიჩნევს, რომ აგრობიზნესი მოიცავს ყველა ფერმერულ ოპერაციას, დამატებული პროდუქციის წარმოება და განაწილება, რომელიც უცილებელია ფერმერულ მეურნეობათა მომარაგებისათვის, ანუ ამ უკანასკნელს დამატებული ოპერაციათა ჯამი, რომელიც ხორციელდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ტრანსპორტირების, შენახვის, გადამუშავებისა და განაწილებისას. მოკლედ რომ ვთქვათ, აგრობიზნესი მოიცავს კვების პროდუქტების წარმოებასა და განაწილებაში ჩართულ ოპერაციათა საერთო ჯამს. შემდგომში აგრობიზნესის თეორია განავითარეს დ. დევისმა, პ. გელბრეიტმა, ე.როემ და სხვებმა. მათ მიერ უფრო კონკრეტიზებული სახით მოცემულმა აგრობიზნესის განმარტებამ ფართო გავრცელება მიიღო საქართველოში.

ამ განმარტების თანახმად, აგრობიზნესი, როგორც ეკონომიკური კატეგორია გამოხატავს სპეციფიკურ წარმოებით ურთიერთობებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რომლის მიზანია მაქსიმალური შემოსავლის მიღება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებების შედეგად. ამასთან, აგრობიზნესის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის არსი არსებითად განსხვავდება აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური კატეგორიის არსისაგან, რომელიც საქართველოში „ჩამოყალიბებულ იქნა“ მრავალ მონოგრაფიასა თუ დისერტაციაში მე-20 საუკუნის 70 – 80-იან წლებში.

მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის აშშ-ში, მრავალი ფაქტორის ზეგავლენით, ჩამოყალიბებულ იქნა აგრობიზნესის გიგანტური კომპლექსები აგრარული, სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის ბაზაზე, რომელიც წარმოდგენილია დარგთა შემდეგი ჯგუფებისაგან:

- სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით (ტექნიკა, სასუქები, სამშენებლო მასალები და სხვა) მომარაგება;

- სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ანუ, კერძოდ, სოფლის მეურნეობა (მემცენარეობა და მეცხოველეობა);
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის შენახვა, ტრანსპორტირება და გადამუშავება, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულიდან დამზადებული კვების პროდუქტებით და სხვა სასურსათო საქონლით საბითუმო და საცალო ვაჭრობა. (Назаренко, Попцов, 84).

საგულისხმოა, რომ მე-20 საუკუნის 70 - 80-იან წლებში საქართველოში სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო მუშაკთა 3-ჯერ მეტი რაოდენობა, ვიდრე ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში. ამასთან, ჩვენთან სოფლად მომუშავე ერთ დასაქმებულზე მოდიოდა მაქსიმუმ ხუთი ადამიანი, რომლებიც დაკავებული იყვნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომსახურებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებით, ვაჭრობით. მათ შორის ნახევარზე მეტი მუდმივად ტექნიკის რემონტით იყო დასაქმებული. მაშინ, როცა აშშ-ში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ერთ მომუშავეზე მოდის 14 კაცი, რომლებიც ძირითადად დაკავებულნი არიან ტექნიკური და ტექნოლოგიური მომსახურებით.

ნიშანდობლივია, რომ აგროსასურსათო კომპლექსმა საქართველოში მიიღო დეფორმირებული, დაუბალანსებელი დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც ხასიათდებოდა სოფლის მეურნეობის ჰიპერტროფული განვითარებით. აგროსასურსათო სექტორში დასაქმებული სამეურნეო სუბიექტები მოკლებულნი იყვნენ ელემენტარულ ეკონომიკურ უფლებებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაში, რადგან სახელმწიფო ქსელის საშუალებით რეალიზდებოდა სოფლის მეურნეობის საბოლოო პროდუქტის 70%, ფაქტობრივად, სახელმწიფო გვევლინებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლისა და რეალიზატორის როლში. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან ქვეყანაში საგრძნობი გახდა სოფლად განხორციელებული ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმები. საბაზრო ურთიერთობის პირობებში კი უკვე სახეზეა აგრობიზნესის რეგულირების საბაზრო პრინციპების სიჭარბე.

აგრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირების პრინციპებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი:

- მოთხოვნა-მიწოდების რეგულირება;
- მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის სტიმულირება;
- ტერიტორიულ-სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა;

- სამეურნეო სუბიექტების საინფორმაციო უზრუნველყოფის სისტემის ფორმირება.

აგრარულ ურთიერთობათა თეორიაში მაკროეკონომიკური რეგულირების ქვეშ მოიაზრება სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტებს შორის ურთიერთობის ფორმირების ლოგიკური და ისტორიული საფეხური. ამ ურთიერთობათა განვითარება-გაფართოებას შემდგომში თანდათან მივყავართ სოფლად ასოციაციებისა და ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბებასთან, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო რეგულირების ტენდენციების გაძლიერებას (Лексин, Швецов, 27). აგრარული სექტორის მაკროეკონომიკური პრინციპებით რეგულირება უკავშირდება, ერთი მხრივ, სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ დონეებზე ტერიტორიული მართვის ზემოქმედებას და, მეორე მხრივ, კერძო სამეურნეო სუბიექტებს შორის ურთიერთობას. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება მწარმოებელთა პასუხისმგებლობას წარმოებული პროდუქციის ხარისხზე, მიწის გადასახადის დროულ გადახდაზე, ფერმერულ მეურნეობათა სოციალური დაცვის გარანტიებს და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირება შესაძლებელია განხორციელდეს ორი - სამართლებრივი და ეკონომიკური - ფორმით. სამართლებრივი რეგულირების სისტემას ქმნის შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული აქტები, ხოლო ეკონომიკური რეგულირებისას კი - გარკვეული საბიუჯეტო, საგადასახადო და სამეწარმეო ნორმატივები.

ზოგადად, აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მიზანი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად: სამამულო წარმოების ხარისხიანი სასურსათო პროდუქტებით მომხმარებელთა გადახდისუნარიანი მოთხოვნის, შესაბამისი დონის ფასების მიხედვით, ეფექტიანი, ეკონომიკურად მისაღები მომარაგებისათვის კეთილსასურველი პირობების შექმნა. ასეთი პირობები შეიძლება შეიქმნას მხოლოდ სასურსათო ბაზრის მთავარი კომპონენტების - მიწოდებისა და მოთხოვნის დაბალანსებისას.

აგრობიზნესის პროდუქციის მიწოდების მაკროეკონომიკური რეგულირების სისტემა, უწინარეს ყოვლისა, მიმართულ უნდა იქნეს: აგრობიზნესის მდგრადი განვითარებისათვის სტაბილური ეკონომიკური და სოციალური პირობების უზრუნველყოფაზე; სახელმწიფო და რეგიონული სასურსათო ფონდების ფორმირებაზე; მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ხარისხიანი სასურსათო

პროდუქტებით, სოციალურად მისაღები ფასებით; გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებით.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, აგრობიზნესის საქმიანობაში სახელმწიფოებრივი ჩარევის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს: სახელმწიფო გარანტიები მწარმოებელთა მიერ სარეალიზაციოდ წარდგენილი მთელი პროდუქციის შეუფერხებელ შეძენაზე; სახელმწიფო გარანტიები მწარმოებელთა მიერ ჩაბარებული პროდუქციის ანაზღაურებაზე გარანტირებული, წინასწარ დათქმული ფასებით;* სასურსათო პროდუქტების წარმოების, გადამუშავების, შენახვისა და რაციონალური გამოყენების ტექნოლოგიათა სრულყოფის დაფინანსება და შეღავათიანი დაკრედიტება.

პერსპექტივაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია აგრობიზნესის პროდუქციის გასაღებაზე სახელმწიფო გარანტიის რეალიზების შემდეგი ორი ფორმის გამოყენება:

- საკონტრაქტო სისტემა, რომელიც ითვალისწინებს წლის დასაწყისში ხელშეკრულების გაფორმებას პროდუქციის შესყიდვაზე, ფიქსირებული დონის გარანტირებული ფასებით;
- პროდუქციის მიღება გირაოდ გარკვეული ვადით და ანგარიშსწორებისას საგირავნო ფასების გამოყენება.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის მწარმოებელთა დაცვა მდგომარეობს იმაში, რომ მათ შეუძლიათ ნებასურვილით აირჩიონ საკუთარი პროდუქციის რეალიზების ფორმები, სახელმწიფო გარანტიების შემოთავაზებული სისტემა კი ხელს შეუწყობს ქვეყანაში აგროსასურსათო კომპლექსის დარგთა რაციონალურ ტერიტორიულ გადაადგილებას და ერთიანი საბაზრო სივრცის ფორმირებას.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, მიწოდების მხარდაჭერის პოლიტიკასთან ერთად, სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მოთხოვნის მხარდაჭერასა და რეგულირებას, მომხმარებელთა შემოსავლების სტაბილიზაციისა და ამაღლებისათვის. მთლიანად, აგრობიზნესის მიხედვით, მოთხოვნის რეგულირების შესაძლო ვარიანტებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საცალო ფასების შეზღუდვას სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე.

---

* პროდუქციის შეძენისა და ანაზღაურების გარანტია განამტკიცებს მწარმოებელთა რწმენას, იცავს მათ გაკოტრებისაგან, ასტიმულირებს წარმოების განვითარებას, რაც, საბოლოო ანგარიშში, იწვევს სასურსათო ბაზრის სტაბილურობას.

შესაძლოა საცალო ფასების შეზღუდვის შემდეგი მეთოდების გამოყენება:

- სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და ცალკეული სახეობის სასურსათო პროდუქტების გაყიდვა ფიქსირებული საცალო ფასებით;
- ზოგიერთი სასურსათო პროდუქტის გაყიდვა რეალიზაციის ყველა არხის მიხედვით, ზღვრული საცალო ფასებით;
- სასურსათო პროდუქტების გაყიდვა ,,მცურავი" ფასებით (მათი მინიმალური და მაქსიმალური დონეების ფარგლებში);
- საცალო ფასების რეგულირება სასურსათო ბაზარზე ინტერვენციის გზით.

აგრობიზნესის რეგულირების ზემოაღნიშნული მეთოდებიდან საბაზრო ეკონომიკის პირობებს ყველაზე მეტად შეესაბამება სასაქონლო ინტერვენციის მეთოდი. იგი შესაძლებლობას იძლევა შენარჩუნდეს ნორმალური კონკურენტული გარემო და კომპენსირდეს კონკრეტულ სიტუაციაში საბაზრო ინფრასტრუქტურების არასაკმარისი სიმტკიცე და მობილურობა. სასაქონლო ინტერვენციის დროული განხორციელებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს გააჩნდეს საკმარისი სასურსათო მარაგები.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და განზოგადება შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა იმის თაობაზე, რომ საცალო ვაჭრობისა და მოხმარების დონის რეგულირება მეტად რთულია. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საინტერვენციო მარაგებიდან (სახელმწიფო სასურსათო რესურსებიდან) სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის წესებს. ისინი უნდა იყოს კანონმდებლობით რეგლამენტირებული, სადაც აუცილებელია ჩაიდოს შემდეგი ძირითადი პირობები:

- სახელმწიფოს მხრიდან სასაქონლო ინტერვენციის გასატარებლად, სასურსათო პროდუქციის საინტერვენციო მოცულობები არ უნდა იყოს მისი რეალიზაციის საერთო ოდენობის 45-50%-ზე ნაკლები;
- სახელმწიფო სასურსათო რესურსებიდან პროდუქციის რეალიზაციის ფასები, ერთი მხრივ, უნდა იყოს გარანტირებულ ფასებზე 30-40%-ით მაღალი, ხოლო მეორე მხრივ, არ უნდა იყოს საბაზრო ფასებზე არსებითად დაბალი;
- სახელმწიფო რესურსებიდან სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობები სისტემატურად უნდა ქვეყნდებოდეს, რათა

მომხმარებლები და სავაჭრო ფირმები ფლობდნენ ინფორმაციას არსებული რესურსების შესახებ.

სახელმწიფო სასურსათო რესურსებიდან სასაქონლო მარაგების რეალიზაციის მოცულობები მიზანშეწონილია გაიზარდოს საცალო ფასების მკვეთრი ამაღლებისას, რათა დაცულ იქნეს მომხმარებელთა ინტერესები. საცალო ფასების მკვეთრი შემცირების შემთხვევაში სახელმწიფომ არ უნდა გაყიდოს პროდუქცია. ამ სიტუაციაში მიზანშეწონილია მისი შესყიდვა, რათა დაცულ იქნეს მწარმოებელთა ინტერესები. ამრიგად, სახელმწიფო მარაგებიდან სასურსათო პროდუქციის რეალიზაციის აღწერილი მექანიზმი არ არღვევს საბაზრო პირობებს და ხელს უწყობს სასურსათო ბაზრის სტაბილურობას.

არ გამოვრიცხავთ რა სახელმწიფო კონტროლს საცალო ფასებზე, მათი შეზღუდვის ამა თუ იმ მეთოდების გამოყენების გზით, აუცილებლად მიგვაჩნია მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის სტიმულირება, მისი ნაკლებუზრუნველყოფილი ფენებისათვის დახმარების გაწევის მეშვეობით. ასეთი დახმარების გაწევის ფორმები (უფასო კვების ბარათების გაცემა, უფასო კვების ორგანიზება სკოლებში, საავადმყოფოებში და სხვა სოციალურ დაწესებულებებში და ა.შ.) საკმაოდ კარგადაა ცნობილი და დიდი ხანია გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში. მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილი ფენების მხარდაჭერა, სოციალური მიმართულების გარდა, მწარმოებელთა მხარდაჭერის ღონისძიებასაც წარმოადგენს, რამდენადაც იგი ადიდებს ერთობლივ მოთხოვნას მათ პროდუქციაზე და შესაბამის გავლენას ახდენს ფასებზე.

აგრარული სფეროს მაკროეკონომიკური რეგულირების ქვეშ განიხილება ფერმერულ მეურნეობებზე, სასურსათო ბაზარზე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურაზე, სამეურნეობათაშორისო და დარგთაშორის ურთიერთობებზე ზემოქმედების ერთიანი მექანიზმი, კონკრეტული ინსტრუმენტებით. თანამედროვე მწვავე საბაზრო კონკურენციის პირობებში, აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი:

- ფასწარმოქმნის რეგულირება;
- პროტექციონიზმის პოლიტიკის გატარება;
- პროდუქციის ხარისხისა და უვნებლობის რეგულირება,
- საფინანსო-საკრედიტო მხარდაჭერა;
- სადაზღვევო-საგადასახადო რეგულირება;

- დარგისა და ბაზრების სახელმწიფო მართვა.

აგრარული სფეროს საბაზრო ეკონომიკაზე თანმიმდევრული გადასვლა მჭიდროდ უკავშირდება მისი მაკროეკონომიკური რეგულირების ზემოაღნიშნული ბერკეტების გამოყენებას. ჩვენ აქ ზოგიერთ მათგანზე შევაჩერებთ ყურადღებას.

აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფასები და ფასწარმოქმნის პოლიტიკა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე. ფასები, ერთი მხრივ, ასტიმულირებენ მიწოდების ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, გავლენას ახდენენ მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნაზე, მისთვის მეტად ან ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდიან სასურსათო საქონელს.

თანამედროვე ეტაპზე სოფლად მეწარმეობის ყველა ფორმის სახელმწიფო მხარდაჭერა ორიენტირებული უნდა იყოს გარანტირებულ და ინდექსირებულ ფასებზე. ასეთი ფასები განსაზღვრული უნდა იყოს თითოეული კონკრეტული წლისათვის, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს მწარმოებელთა მიმდინარე ხარჯების დაფარვა და მომგებიანობის მინიმალური დონის მიღწევა. პროდუქციის საბაზრო ფასების ზრდის პირობებში სახელმწიფო ახორციელებს მიღებული მოგების გადანაწილებას. თავის მხრივ, ფასების ინდექსაცია აუცილებლად უნდა მოიცავდეს პარიტეტულ ინდექსს, რომელიც დააზღვევს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ სუბიექტებს წარმოების საშუალებებზე საბითუმო ფასების უკონტროლო ზრდისაგან (Боев, 168-180).

თეორიულ ჭრილში, პარიტეტის კონცეფცია გვთავაზობს იმას, რომ თანაფარდობა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასებსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების მიერ მოხმარებულ საქონელსა და მომსახურებაზე ფასებს შორის უნდა იყოს მუდმივი. აგრარული პოლიტიკა საჭიროებს ასპროცენტიან პარიტეტს, მაგრამ სამეურნეო პრაქტიკაში ეს პირობა ყოველთვის არ სრულდება.* პრაქტიკაში პარიტეტის კონცეფცია ხორციელდება ფერმერთა პროდუქციაზე მინიმალური ფასების შენარჩუნებით. სხვადასხვა ქვეყნებში ეს პოლიტიკა ხორციელდება სხვადასხვაგვარად.

მსოფლიო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ფასების შენარჩუნება, როგორც დროებითი ღონისძიება, უზრუნველყოფს აგრარულ სექტორში რესურსების შემოდინებას და ხელს უწყობს წარმოების მოცულობის სწრაფ ზრდას.

---

* მაგალითად, 1998 წელს აშშ-ში პარიტეტის ინდექსმა შეადგინა 54% .

საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასწარმოქმნის პარიტეტული პრინციპების დანერგვა და ამოქმედება სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვან ბერკეტად გვესახება, რაც სამომავლოდ არსებითად გაზრდის და სტაბილურს გახდის აგრობიზნესში დასაქმებული სუბიექტების შემოსავლებს. ამასთან, წონასწორული საბაზრო ფასების დამკვიდრება ასევე ხელს შეუწყობს ფერმერულ მეურნეობებში წარმოებული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და მსოფლიო ბაზარზე ქართული პროდუქციის დამკვიდრებას.

აგროსასურსათო პროდუქციის რეალიზაციის პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია მისი ხარისხისა და უვნებლობის რეგულირება, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს. პროდუქციის ხარისხი გასაღების სტიმულატორი რომ გახდეს, უნდა არსებობდეს შესაბამისი გადახდისუნარიანი მოთხოვნა. საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც, განსაზღვრული სტანდარტების დაცვიდან გამომდინარე, ეკოლოგიურად სუფთა აგროსასურსათო პროდუქციის წარმოება მოითხოვს უფრო მეტ მატერიალურ და ფინანსურ დანახარჯებს, ვიდრე მისი ალტერნატიული წარმოება.* სწორედ ამიტომ პროდუქციის ხარისხის მართვაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სახელმწიფო, რაც გულისხმობს პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან. აგროსასურსათო პროდუქცია განეკუთვნება სავალდებულო სერტიფიცირების ობიექტს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურები აქტიურად არიან ჩართულნი ამ პროცესში.

ქვეყნის აგრობიზნესის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის სათანადო სუფსიდირებას. ბოლო დრომდე აგრობიზნესის დარგთა საბიუჯეტო დაფინანსება ფაქტობრივად ვერ უზრუნველყოფდა ამ სფეროში წარმოების სტაბილურობას; გამოყოფილი საბიუჯეტო საშუალებები აშკარად არასაკმარისი იყო აგრობიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

---

* უნდა შევნიშნოთ, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მოყვანა გაცილებით რთულია და ძვირი ჯდება, რაც საბოლოოდ პროდუქტის ფასზეც აისახება. ასე, მაგალითად, თუკი ბაზარში ერთი კილოგრამი მინდვრის ლობიო 3.50 ლარი ღირს, ამ ფასად ქართული ბიოპროდუქტების ინტერნეტმაღაზიაში "ბეღელი" მხოლოდ ნახევარი კილო ეკოლოგიურად სუფთა ლობიოს შეიძენთ.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია აგრობიზნესის მიმართ გატარებული საფინანსო პოლიტიკის გარდაქმნა, საბიუჯეტო საშუალებათა ძირითადი ნაწილის მიმართვა ცენტრალური და რეგიონული მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების დაფინანსებაზე. აგრობიზნესის ფინანსური მხარდაჭერა უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებებით: საბიუჯეტო ასიგნებანი მიზნობრივ კომპლექსურ პროგრამებზე; კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება; დოტაციები პროდუქციასა და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე; ასიგნებანი დაზღვევაზე; ბანკების სესხების ნაწილობრივი კომპენსაცია.

აგრობიზნესის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერისათვის საქართველოში „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. ამ მიზნით, „სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი 61 პროცენტით არის გაზრდილი. ეს სექტორი 2013 წლის ბიუჯეტში პრიორიტეტული გახდა“, (კირვალიძე) ქვეყანაში შექმნილია და ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთმილიარდიანი ფონდი. ამ ფონდის საშუალებით ხორციელდება წვრილი, საშუალო და მსხვილი ფერმერული მეურნეობებისათვის შეღავათიანი კრედიტებით დაფინანსება. აღნიშნული ფონდის ფარგლებში სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ბარათების საშუალებით აქტიურ მხარდაჭერას ახორციელებს აგრობიზნესით დასაქმებული სუბიექტებისათვის.

მთლიანად, სოფლის მეურნეობის განვითარების „ერთმილიარდიანი ფონდის ფარგლებში გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობაში გრძელვადიანი და შეღავათიანი კრედიტების გაცემის მექანიზმის შექმნა; დაგეგმილია მცირემიწიანი ფერმერების ხელშეწყობის პროგრამის მომზადება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობა, სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარება, ირიგაციის და დრენაჟის სისტემის მოწესრიგება, სოფლის მეურნეობაში ჩართული კომპანიებისა და ფერმერებისათვის შეღავათიანი კრედიტების უზრუნველყოფა, კომერციული აგროსასურსათო პროექტებისათვის დაფინანსების უზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის მექანიზმების ხელშეწყობა“ (ნატროშვილი).

საგულისხმოა, რომ აგრობიზნესის სამეურნეო სუბიექტების დაკრედიტების დღეისათვის მოქმედი სისტემა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ახალ ეკონომიკურ გარემოში მყოფი ქვეყნის აგრობიზნესის საკრედიტო მოთხოვნებს. აღნიშნული ვაკუუმის შესავსებად საჭიროა დროებითი, მეტნაკლებად ოპტიმალური

სტრატეგიის შემუშავება აგრობიზნესის სუბიექტების საკრედიტო რესურსებით უზრუნველსაყოფად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, საშუალო ვადიან პერიოდში შენარჩუნებულ უნდა იქნეს საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც საჭიროებს მოსალოდნელი ნეგატიური გამოვლინებებისაგან დაზღვევის წინასწარი კონტროლის გაძლიერებას, გრძელვადიან პერსპექტივაში კონკურენტული საკრედიტო ბაზრის ჩამოყალიბების კვალობაზე, რაც ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით უნდა განხორციელდეს. ამასთან, ინტენსიურად უნდა წარიმართოს აგრობიზნესის თვითდაკრედიტების სისტემის ფორმირება, საწყის ეტაპზე სასოფლო საკრედიტო კავშირების ჩამოყალიბებით, შემდგომში კი – ეტაპობრივად, ამ კავშირების რეგიონული ასოციაციების, და საბოლოოდ, ქვეყნის მასშტაბით ერთიანი სასოფლო დაკრედიტების კოოპერაციული ორგანიზაციის შექმნით.

ქვეყანაში აგრობიზნესის განვითარება და ამ სფეროში დასაქმებულთა შემოსავლების სტაბილურობა დიდადაა დამოკიდებული სადაზღვეო სისტემის გამართულ მუშაობაზე. ცნობილი მიზეზების გამო, საქართველოში 1991 წლიდან გაუქმებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სახელმწიფო დაზღვევა და ეს ფუნქცია გადაეცა კერძო სადაზღვევო კომპანიებს. ამჟამად ფერმერული მეურნეობები არც თუ ისე ხალისით მონაწილეობენ კომერციულ დაზღვევაში ფულადი საშუალების უკმარისობის, სადაზღვევო შენატანების მეტისმეტად მაღალი განაკვეთებისა და არახელსაყრელი სადაზღვევო პირობების გამო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დღეისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთიანი სახელმწიფო-კომერციული სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბება, სადაზღვევო გასაცემლებში ბიუჯეტის წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე. ამასთან, აუცილებელია დამკვიდრდეს სავალდებულო დაზღვევა, უწინარეს ყოვლისა, სარისკო წარმოებაში, სადაზღვევო ბაზარზე შესაბამისი კერძო კომპანიებისათვის თანაბარი კონკურენტული გარემოს შექმნით. სადაზღვევო საქმის განვითარება უნდა გახდეს გრძელვადიანი ინვესტირებისათვის შინაგანი დანაზოგების წარმართვის მნიშვნელოვანი საფინანსო არხი.

დაბოლოს, აგრობიზნესის სახელმწიფო რეგულირების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს ინდიკატური დაგეგმვა წარმოადგენს, რომლის მიზანია ქვეყანაში აგრობიზნესის

ეკონომიკური სტრატეგიისა და სტრუქტურული პოლიტიკის განსაზღვრა, მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე სახელმწიფო ზემოქმედების ფორმებისა და მეთოდების შემუშავება. აღნიშნულის ნათელი მაგალითია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული და განხორციელებული მრავალი პროგრამა ქვეყანაში აგრობიზნესის განვითარების მხარდაჭერის მიზნით.

მთლიანად, აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირებისა და საბაზრო თვითრეგულირების ზემოაღნიშნული მექანიზმების შეთანაწყობა და ეფექტიანი გამოყენება საშუალო ვადიან პერიოდში (2014-2017 წწ.) შესაძლებელს გახდის ქვეყანაში სურსათით უზრუნველყოფის სფეროში არსებული კრიზისული მდგომარეობის დაძლევას, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში (2025 წ.) კი - სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის არსებითად გადაჭრას და ქვეყნის დამოუკიდებლობის მყარი საფუძვლის შექმნას.

მითითებული ლიტერატურის სია:

1. ვანიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. - საქართველოს საერთაშორისო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“, თბილისი 2003.
2. Назаренко В. И., Попцов А. Г. Государственное регулирование сельского хозяйство в странах с развитой рыночной экономики / ВНИИТЭИ Агроном .- Москва, 1995, с. 84.
3. Лексин В., Швецов А. Смысл и механизми государственного регулирования территориального развития. Россиский Экономический Журнал, 2006, №3, с. 27.
4. Боев В. Р. Аграрний рынок и система ценообразования //В сб.: Аграрные отношениа:Теория, историческая практика. Перспективи развития.- М.: Наука, 1993, с. 168-180.
5. კირვალიძე დ. ერთ მილიარდიანი ფონდის პრიორიტეტი ირიგაციის და სადრენაჟე სისტემის აღდგენა იქნება http://www.netgazeti.ge/GE/105/News/15761/.
6. ნატროშვილი ნ. როდის და როგორ ჩამოყალიბდება სოფლის მეურნეობის განვითარების მილიარდიანი ფონდი http://netgazeti.ge/GE/105/business/14886/.

მ. ვანიშვილი
გ. ნიქაბაძე
ნ. ვანიშვილი

აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმები საქართველოში

რეზიუმე

ნაშრომი განხილული და მეცნიერულად დასაბუთებულია ქვეყანაში აგრობიზნესის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების გამოყენების მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში; წარმოდგენილია აგრობიზნესის სფეროში სახელმწიფოს მიერ აქტიურად გამოყენებული რეგულირების ფორმები და მეთოდები.

გაანალიზებულია აგრობიზნესის სახელმწიფო რეგულირების ისეთი პრინციპების გამოყენების თავისებურებანი, როგორიცაა: მოთხოვნა-მიწოდების რეგულირება, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის სტიმულირება; სოფლად ტერიტორიულ-სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნის ხელშეწყობა; აგრობიზნესის სამეურნეო სუბიექტების საინფორმაციო უზრუნველყოფის სისტემის ფორმირება.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი აგრობიზნესის სახელმწიფო რეგულირების ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორიცაა ფასწარმოქმნა და ბაზარზე ფასთა რეგულირება. წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე პარიტეტული ფასების დადგენის აშშ-ში გამოყენებული გამოცდილება და მოცემულია საქართველოში მისი გამოყენების მნიშვნელობა საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების პირობებში.

გაანალიზებულია საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყანაში აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობისა და რეგულირების მიზნით უკანასკნელ პერიოდში გატარებული ღონისძიებები და მოცემულია მათი შეფასება მომავალში ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარების საქმეში.

დასაბუთებულია აგრობიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საქმეში სახელმწიფოს მხრიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სერტიფიცირებისა და სტანდარტიზაციის მნიშვნელობა, რაც საგრძნობლად ზრდის ქვეყანაში წარმოებული აგრარული პროდუქციის საექსპორტო ორიენტაციას და ქართული სასურსათო პროდუქტების პოპულარობას მსოფლიო ბაზარზე.

M. Vanishvili, G. Nikabadze, N. Vanishvili

Macroeconomic Regulation Mechanisms of Agribusiness in Georgia

Summary

The author presents the analysis and scientific justification of application of agribusiness state regulation mechanisms in terms of market economy, discusses regulation forms and methods most frequently applied by the state in agribusiness sector.

The author analyses the application of such state regulation principles as the demand - supply regulation, scientific and technical progress in the implementation of incentives in order to promote the creation of social infrastructure in rural areas, agribusiness, providing agricultural information system entities.

Particular attention has been focused on such an important factor in the regulation of agribusiness in the state as pricing and market price adjustment; the author presents the US experience for parity price establishment on agricultural products and the importance of its application in Georgia in terms of market economy.

ADA proved the importance of standardization and certification of agricultural products in order to enhance the competitiveness of the agricultural part of the state that will significantly increase country's export orientation of agricultural production and the popularity of Georgian food products in the world market.

მზია ზარნაძე
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი
ლია გაბუნია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დაუვიწყარი სახეები

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ფოტო-ფონო კოლექციების ფონდში მდიდარ საოჯახო ტიპის ფოტოარქივებს შორის, რომლებიც ამა თუ იმ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწესა და მათ ოჯახურ გარემოცვაზე, რომელიმე კონკრეტულ ფაქტსა და მნიშვნელოვან მოვლენაზე გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას და გვაწვდის საინტერესო დოკუმენტურ მასალას, გამორჩეული ადგილი უჭირავს დიდი ქართველი მოაზროვნის, პუბლიცისტის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძისა და მისი ოჯახის შესახებ არსებულ საოჯახო ტიპის ფოტოარქივს. რომლებზედაც წარმოდგენილია ნიკო ნიკოლაძის მშობლები, და-ძმები, მეუღლე და შვილები. მათი ღვაწლი (მეტ-ნაკლებად) დიდია ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

,,საქართველოს ნამდვილად შეუძლია იამაყოს ტრადიციული, განათლებული, მაღალზნეობრივი ოჯახებით, სადაც სხვა უმაღლეს ღირებულებებთან ერთად თაობიდან თაობაში გადადიოდა საქმისადმი დიდი ერთგულება და სიყვარული. მათი ცხოვრებისა და საქმიანობის გაცნობა ,ვფიქრობ, შესანიშნავი მაგალითი იქნება ახალგაზრდებისათვის, თუ როგორები უნდა იყვნენ, როგორ უნდა იცხოვრონ, იშრომონ და იღვაწონ ხალხისათვის, ქვეყნისათვის. ამ მხრივ, მრავალრიცხოვან ოჯახთა შორის მნიშვნელოვანი და საყურადღებო ადგილი უკავია ნიკო ნიკოლაძის ღირსეულ ოჯახს" [გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა" 2001წ., 1] დაახლოებით ამდაგვარი შეხედულებისაა თითქმის ყველა მკვლევარი, ვისაც რაიმე შეხება ჰქონდა ნიკოლაძეების ღირსეული ოჯახის ისტორიასთან.

იაკობ ნიკოლაძესა და ელისაბედ ლორთქიფანიძეს 9 შვილი ჰყავდათ: ნატალია, ნიკოლოზი (ნიკო), ანასტასია (ანიჩკა), ვლადიმერი (ლადიკო), ოლიმპიადა, ეკატერინე (კატო), გიორგი, ეფროსინე (ფროსიკო), კონსტანტინე.

ჩვენი ინტერესის სფერო ამჟამად შეეხება დიდი ნიკოს ოჯახის წევრ მანდილოსნებს, რომლებმაც თავიანთი ღირსეული ქართველქალობით ნაყოფიერი საზოგადოებრივი და უაღრესად მამულიშვილური საქმიანობით ღრმა კვალი დააჩნიეს ჩვენს ქვეყანას.

ნიკო ნიკოლაძის დედა - ელისაბედ ლორთქიფანიძე, ჯიხაიშელი თავადის ფირან ლორთქიფანიძის ასული იყო. იგი ყოფილა უაღრესად სათნო ბუნების, ოჯახისა და შვილების მოამაგე და გზის მაჩვენებელი. ,,ვეფხისტყაოსნის" ზეპირად მცოდნე ქალბატონი შვილებს, მათ შორის ნიკოსაც, წერა-კითხვას თვითონ ასწავლიდა, ხოლო თავის მეუღლესთან ერთად ყველაფერი გააკეთა, რათა მათ შესაფერი განათლება მიეღოთ და მიაღწია კიდეც მიზანს. ნიკოს და-ძმებზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით ,,ნიკომ სამი უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა (პეტერბურგის, სორბონისა და ციურიხის), რაც იშვიათი შემთხვევაა ყველა ეროვნების ადამიანისათვის." [გაზ. ,,მანდილი", 1990 წ. 8]

ნიკო ნიკოლაძის დები - ნატალია და ეფროსინე - მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოღვაწეობით არ გამოირჩეოდნენ. მათ თავიანთი ბედი ღირსეულ მოღვაწეებს დაუკავშირეს და სასახელო ოჯახები შექმნეს. ნატალიას თავისი ცხოვრების თანამგზავრად ლუკა ქორქაშვილი აურჩევია, მათ რვა შვილი შეძენიათ; ხოლო ეფროსინე გახლდათ მეუღლე ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ალექსი ჭიჭინაძისა.

გამორჩეული ნიჭით და შესაძლებლობებით ყოფილა დაჯილდოებული ნიკო ნიკოლაძის და ოლიმპიადა. იგი იყო მეუღლე ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ცნობილი თერგდალეულის გიორგი წერეთლისა. იმ პერიოდში, როცა მას მოუხდა ცხოვრება, საქართველოში ხალხი წერა-კითხვის უცოდინრობის ჭაობში იხრჩობოდა. ნიკოლაძეთა დიდებულ ოჯახში გაზრდილმა ოლიმპიადამ განათლება საზღვარგარეთ მიიღო (,,ნიკოს დები ოლიმპიადა და ეკატერინე პირველი ქართველი ქალები იყვნენ, რომელთაც განათლება საზღვარგარეთ მიიღეს") და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აქტიური მთარგმნელობითი მუშაობა გააჩაღა, თან ჟურნალისტობასაც ეწეოდა. იგი წლების განმავლობაში იყო რედაქტორი საბავშვო ჟურნალ ,,ჯეჯილისა".

ნიკო ნიკოლაძეს ხუთი დიდან ორს - ანასტასიას (ანიჩკა) და ეკატერინეს (კატო) - ქმარ-შვილი არ ჰყოლიათ. ისინი საზოგადოებრივი საქმისადმი ერთგულებითა და ერთგვარი ,,თავგანწირვითაც" გამოირჩეოდნენ. ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ უამრავ სასიკეთო საქმეებს აკეთებდნენ. ეკატერინეს შემდეგნაირად ახასიათებს მწერალი ქალი ფუცუ დგებუაძე-ფულარია: ,,ეკატერინე გამოირჩეოდა თავისი ნიჭით და საზოგადოებრივი მუშაობისადმი ალღოიანობით. მშობლები სიამოვნებით შეხვდნენ მის

გადაწყვეტილებას, როცა მან უმაღლესი განათლების მისაღებად საზღვარგარეთ გამგზავრება განაცხადა ... ჟენევასა და ციურიხში მან რამდენიმე წელი დაჰყო. სამშობლოში ჩამოსვლისთანავე ენერგიულად მოჰკიდა ხელი საზოგადოებრივ საქმეებს... გარს შემოიკრიბა ქუთაისის მოწინავე ქალები ... ისინი სცემდნენ საინტერესო წიგნებს, დააარსეს საკვირაო სკოლა, ღარიბ მოსწავლეთათვის პანსიონი, ეკატერინეს თამამად შეეძლო ყოველ საღამოს გულმოსვენებულად ეფიქრა, რომ დღეს მან სასარგებლო საქმე გააკეთა, მაგრამ ამითაც არ კმაყოფილდებოდა. მეორე დღისათვის მას ახალი გეგმა ჰქონდა".

ეკატერინეს მოღვაწეობის პერიოდში საქართველოში მკვეთრად იგრძნობოდა განათლებისა და კულტურის კერების სიმცირე. ეს მთლიანად ჰქონდა გაცნობიერებული ამ მეტად ნიჭიერ და შრომისმოყვარე ქალს, ალბათ ამიტომ იყო, რომ მან თავის დასთან ანა(ანიჩკა) ნიკოლაძესთან ერთად უარყო ყოველივე პირადული და მთელი თავისი ცხოვრება ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობას შესწირა.

1898 წელს ანა და ეკატერინე ნიკოლაძეებმა ქუთაისში დააარსეს სცენის მოყვარულთა წრე, რომლის პირველი წარმოდგენა იმავე წლის ნოემბერში გამართულა.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში ხანშიშესული ეკატერინე მოსწავლეებთან ერთად ბარიკადებზე იდგა. საეჭვო საქმიანობისათვის მისი ბინა არაერთხელ იქნა გაჩხრეკილი.

ეკატერინე და ანიჩკა ნიკოლაძეების მიერ ჩამოყალიბებული ქუთაისელ ქალთა წრის საქმიანობა, მრავალი სასიკეთო საქმის წამომწყები და პრაქტიკულად განმახორციელებელიც იყო. მათ სახელთან არის დაკავშირებული რიონისპირა ქალთა ,,პანსიონი", რომლის ხშირი სტუმარიც ყოფილა პოეტი აკაკი წერეთელი.

ნიკოლაძეების დიდი ოჯახის ქალთა წრიდან გამორჩეული ადგილი ეჭირა ნიკო ნიკოლაძის მეუღლეს, ოლღა გურამიშვილს. იგი დაიბადა 1855 წლის 29 ივლისს, ქვემო ავჭალაში, გურამიშვილიანთ კარში, ალექსანდრე გურამიშვილის ოჯახში. იგი იყო ილია ჭავჭავაძის მეუღლის ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილის უახლოესი ნათესავი და ნათლული, ნიჭიერი და მეტად განსწავლული ქალი, რომელმაც თბილისის გიმნაზიის დამთავრებისთანავე ეკატერინე მელიქიშვილისა და პელო ნაცვლიშვილის შემდეგ პირველმა მიიღო უმაღლესი განათლება საზღვარგარეთ... ,,1873 წელს კელვინის აკადემიის უნივერსიტეტად გადაკეთებასთან დაკავშირებით, ქართველ სტუდენტთა მდგომარეობა ციურიხში შეიცვალა, რის გამოც ო. გურამიშვილი სასწავლებლად ჟენევაში გადავიდა" [ჩიხლაძე, 218].

იგი წარმატებით სწავლობდა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე და გამოჩენილი მეცნიერის კარლ ფოხტის ერთ-ერთი უნიჭიერესი მოწაფე იყო. ამასთან იგი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოება ,,უღელის" საქმიანობაში... (საზოგადოება ,,უღელი" საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული ქართველი სტუდენტების შემადგენლობით ნიკო ნიკოლაძის და გიორგი წერეთლის მიერ იქნა დაარსებული). ირკვევა, რომ საზოგადოების მიზანს წარმოადგენდა ,,საზღვარგარეთ მყოფი ქართველი მოწინავე ახალგაზრდობის გაერთიანება, ევროპის სოციალური მოძრაობის, საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის შესწავლა და პოპულარიზაცია საქართველოში და საერთოდ კავკასიაში. უღლის ყველა წევრის ოცნება იყო საერთოდ გათავისუფლება" [ქ.ს.ე. ტ.6, 193].

ოლღა გურამიშვილი გარკვეული პერიოდი დაკავშირებული იყო რუს ხალხოსნებთან, რომლებიც ადგენდნენ იმპერატორ ალექსანდრე მეორის მოკვლის გეგმებს, ამიტომ საეჭვო საქმეებში შემჩნეული ოლღა საქართველოში გამოაძევეს.

საქართველოში დაბრუნებული ოლღა გურამიშვილი პედაგოგიურ საქმიანობას ჰკიდებს ხელს. იგი მუშაობას იწყებს იაკობ გოგებაშვილის მიერ დაარსებულ ვაჟთა სკოლაში. ამ ფაქტის სასტიკი წინააღმდეგი წასულა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი. მაგრამ ოლღას გაკვეთილებზე დასწრებით აღფრთოვანებულ იანოვსკის ხმამაღლა განუცხადებია: ,,ურჩიეთ ყველა მასწავლებელს მიბაძონ ამ ახალგაზრდა ქალის შესანიშნავ გაკვეთილებს, მისი სწავლების მეთოდებსო" [ჩიხლაძე, 218].

1883 წლის 29 ივლისს ოლღა გურამიშვილი და ნიკო ნიკოლაძე დაქორწინდნენ. 1886 წლიდან ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დიდ ჯიხაიშში გადადიან საცხოვრებლად, სადაც ოლღა ფართო პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. მან სწავლების ახალი მეთოდები შეიტანა სკოლაში. თბილისიდან მოიწვია კვალიფიციური პედაგოგები, მე-10 კლასებში შემოიღო ქალებისათვის მეაბრეშუმეობის, ხოლო ვაჟებისათვის - მექანიზაციის სწავლება. ოლღას უშუალო შემწეობითა და ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ფოთში ,,წმინდა ოლღას" დედათა სკოლას, რისთვისაც გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ამ კეთილშობილურ საქმეში მიიღო მონაწილეობა, განსაკუთრებული ხაზგასმით კი აღნიშნა ,,საქველმოქმედო კომიტეტის თავმჯდომარის ო.ა. ნიკოლაძის გულშემატკივრობა".

ოლღა გურამიშვილზე წარმოდგენილი მოკლე ინფორმაცია პატარა შტრიხია იმ დიდი მოღვაწეობისა, რომელიც მას აქვს გაწეული. ყველაზე ხაზგასასმელი კი ის გახლავთ, რომ მან შესანიშნავი სამი შვილი გაუზარდა სამშობლოს. ოლღა გურამიშვილი და ნიკო ნიკოლაძე ურთიერთშეთანხმებულად ეწეოდნენ შვილების აღზრდის მეტად კეთილშობილურ საქმეს. ნიკო ნიკოლაძის ოჯახში აღზრდილმა ახალგაზრდებმა მშობლებისაგან ისწავლეს არა მარტო წიგნის სიყვარული, არამედ მიდრეკილება პრაქტიკული საქმისადმი.

სამაგალითოდ შეიძლება ჩაითვალოს ნ. ნიკოლაძისა და ო. გურამიშვილის შვილებთან ურთიერთობა. საარქივო მასალების გაცნობამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ მშობლებსა და შვილებს შორის უახლოესი სისხლის ნათესაობისა და ყოფითი ურთიერთობის გარდა აუცილებელი იყო საერთო სულიერი ინტერესებიც. ასეთმა დამოკიდებულებამ დაამკვიდრა ნიკოლაძეების ოჯახში უფროს და უმცროს თაობას შორის დიდი მეგობრობა. შედეგი ამისა კი გახლდათ ის, რომ სამივე შვილი ჩინებული მეცნიერი და მამულიშვილი გამოვიდა.

ოლღასა და ნიკოს სამი შვილი ჰყავდათ: რუსუდანი, გიორგი და თამარი.

ქორწინების მეორე წელს ოლღა გურამიშვილსა და ნიკო ნიკოლაძეს ქალიშვილი რუსუდანი შეეძინათ.

მშობლებმა, ტრადიციულად, პატარა გოგონას კარგი სწავლა-განათლება მისცეს ოჯახში, შემდეგ ქუთაისისა და თბილისის გიმნაზიებში. თბილისის ქალთა გიმნაზია 1904 წელს რუსუდან ნიკოლაძემ ოქროს მედლით დაამთავრა. ,,1909 წელს პეტროგრადის იასენსკის ქალთა პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის სრული კურსი დაასრულა, ხოლო 1913 წელს პეტროგრადის უნივერსიტეტი ფიზიკა-მათემატიკის განხრით და გამოჩენილი რუსი ქიმიკოსების ვლადიმერ იპატიევისა და სერგეი ლებედევის რეკომენდაციით იქვე დარჩა სამეცნიერო მუშაობისათვის.

რუსუდან ნიკოლაძე პირველი ქალი იყო მთელი რუსეთის იმპერიაში, რომელმაც ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდები... და უფლება მიიღო ეტარებინა მხოლოდ მამაკაცებისათვის განკუთვნილი საუნივერსიტეტო სამკერდე ნიშანი" [ნაცვლიშვილი, 56]. ამ ფაქტის შესახებ რუსუდან ნიკოლაძე წერს შემდეგს: ,,ქალებიდან პირველმა, მთელი რუსეთის იმპერიაში მოვიპოვე უფლება კაცებთან ერთად საუნივერსიტეტო ნიშნის ტარებისა. მამაჩემი, როგორც ქალთა უმაღლესი განათლების მგზნებარე მომხრე, ძალიან კმაყოფილი იყო ჩემი ამ დიდი გამარჯვებით" [ნიკოლაძე, 1975, 30].

საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში მას მოსმენილი აქვს მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერთა ლექციები, როგორებიც იყვნენ: მარია კიური, გრებე, კერმანი, ციგლერი, ზომბარტი და სხვები. ამგვარმა ურთიერთობებმა, ბუნებრივია, რუსუდან ნიკოლაძეს მისცა საშუალება ღრმად დაუფლებოდა ქიმიის კურსს.

1917 წლიდან რუსუდან ნიკოლაძე საქართველოში მამისეულ ოჯახში ბრუნდება და ხელს ჰკიდებს პედაგოგიურ საქმიანობას, იგი მუშაობას იწყებს დიდი ჯიხაიშის გიმნაზიაში. ამასთან ერთად, მას ხშირი კონტაქტები ჰქონდა პეტრე მელიქიშვილთან. ფაქტობრივად, მან განსაზღვრა მისი მომავალი პროფესია - რუსუდან ნიკოლაძე დიდი ერუდიციის ქიმიკოსი გახდა და სრულიად ბუნებრივია, რომ პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალების შემდეგ რუსუდანი ჩაუდგა სათავეში თბილისის უნივერსიტეტის ქიმიის კათედრას, პარალელურად იგი ხელმძღვანელობდა ახლადგახსნილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრას. ხანგრძლივი და ნაყოფიერი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის იგი დაჯილდოებული იყო ორი ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენებით.

რუსუდან ნიკოლაძე დაქორწინდა ისტორიკოსზე, მკვლევარ მიხეილ პოლიევქტოვზე, უსაზღვრო განათლებისა და ღრმა ერუდიციის მეცნიერზე, საარქივო საქმის უდიდეს სპეციალისტზე. როგორც რუსუდან ნიკოლაძე იგონებს, იგი ,,რომის, კოპენჰაგენისა და სტოკჰოლმ-ქრისტიანინის... არქივებში თვეობითა და წლობით მუშაობდა, ასევე ნამუშევარი იყო ბერლინის უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე და პარიზის კლასიკური ,,ეროვნული ბიბლიოთეკის" არქივებში" [ნიკოლაძე რ.1975, 36].

რუსუდან ნიკოლაძეს და მიხეილ პოლიევქტოვს შეეძინათ შვილი, დიდი ნიკოს მოსახელე - ნიკო პოლიევქტოვ - ნიკოლაძე.

რუსუდან ნიკოლაძე გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული, 97 წლის ასაკში 1981 წელს.

ნიკო ნიკოლაძისა და ოლღა გურამიშვილის უმცროსი შვილი თამარი 1892 წელს დაიბადა. მშობლებმა მასაც ჩინებული განათლება მიაღებინეს. იგი ეუფლებოდა ფიზიოლოგიას, რაშიც ხელმძღვანელობას ივან პავლოვი უწევდა. პეტერბურგის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლისას იგი თავისი უფროსი დის რუსუდანის მოწაფე იყო. ამასთან ერთად, იგი სპორტითაც იყო გატაცებული. ვარჯიშობდა ძმასთან, გიორგისთან, ერთად. ფაქტობრივად, თამარი იყო ერთ-ერთი პირველი სპორტსმენი ქალი მთელი რუსეთის იმპერიაში.

წლების მანძილზე თამარი მასწავლებლობდა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრაზე. მისი ნამოწაფარი ჟურნალისტი ალექსანდრე სიგუა წერს: ,,თამარ ნიკოლაძე - მეცნიერი, სპორტსმენი, ბრწყინვალე პედაგოგი - მოსწავლეების უზომო მოსიყვარულე იყო. იგი გაკვეთილების გადაცემის ხელოვნებას ისე ფლობდა, რომ შეგვეძლო შეგვედარებინა მხოლოდ ვარლამ ხუროძისა და ვარლამ გელოვანისათვის. ამიტომ მოწაფეებს გვიხაროდა გაკვეთილზე მისი შემოსვლა... ეს უცნაურად მომღიმარი ქალი ისე მარტივად და გასაგებად ხსნიდა გაკვეთილებს, რომ იქვე ვსწავლობდით." [ნაცვლიშვილი, 66]

თამარ ნიკოლაძე ცოლად გაჰყვა ნიკო მუსხელიშვილს, ცნობილ ქართველ მეცნიერს, მათემატიკოსს (იგი ერთადერთი ქართველი მეცნიერია, რომელსაც დისერტაციის დაუცველად მიანიჭეს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი - ჰონორის კაუზა).

თამარ ნიკოლაძესა და ნიკო მუსხელიშვილს შეეძინათ ერთი შვილი - გურამ მუსხელიშვილი.

თამარ ნიკოლაძე გარდაიცვალა 1939 წელს.

დიდი სიკეთის მომტანი იყო საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის ნიკო ნიკოლაძისა და მისი ოჯახის წევრთა მოღვაწეობა, ამიტომ იგი ფრიად მნიშვნელოვანი, საყურადღებო და მისაბაძია ჩვენი დროის საზოგადოებისათვის, რადგან ძნელია დავასახელოთ ისეთი ოჯახი, რომელსაც თეორიულთან ერთად იმდენი პრაქტიკული საკითხი გადაეჭრას და დახმარებოდეს ხალხს, რამდენიც შეძლო ნიკო ნიკოლაძემ და მისმა ოჯახმა. ნიკოს მეთაურობით მისი ოჯახის ყველა წევრმა ხორცი შეასხეს ნიკოსვე დევიზს: ,,ყოველ სიტყვას უნდა მოსდევდეს საქმე ... ხალხის გულისაკენ მხოლოდ იმას აქვს გახსნილი გზა, ვისაც შეუძლია უფრაზებოდ, საქმით იყო საჭირო და სასარგებლო ხალხისათვის" [ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის მეგზური]. ამიტომ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მადლიერი შთამომავლობა მუდამ პატივისცემით მოიგონებს ნიკო ნიკოლაძეს, მის დიდ ოჯახს, მის თითოეულ წევრს, როგორც საქართველოს დიდ მოჭირნახულეთ, მოაზროვნეთ, რომლებმაც დიდი ნიკოს მეთაურობით შინაარსიანი სიცოცხლე სამშობლოს კეთილდღეობას და მისი ღირსების საქმეს მოახმარეს.

მითითებული ლიტერატურის სია:

1. 1.გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა”, 2001 წელი. 1 იანვარი, დოღონაძე-შურღაია ი., ,,ნიკოლაძეების დიდი ოჯახი”.
2. გაზ. ,,მანდილი”, 1990 წ. № 8, ლეკვეიშვილი შ., ,,მამულს უზრდიდნენ შვილებს”.
3. ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის მეგზური, 1967 წ.
4. ნიკოლაძე რ., ,,ცხოვრების დიდ გზაზე”, თბ.,1975 წ.
5. ჟურნალი ,,სკოლა და ცხოვრება”,1982 წ. № 9. ნაცვლიშვილი პ., ,,ნიკოლაძეთა საგა”.
6. ქ.ს.ე. ტ.6, თბ.,1976 წ.
7. ჩიხლაძე ნ., ,,ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები”, თბ.,1976 წ.

მ. ზარნაძე
ლ. გაბუნია

დაუვიწყარი სახეები

რეზიუმე

ნიკო ნიკოლაძის მშობლებს იაკობ ნიკოლაძესა და ელისაბედ ლორთქიფანიძეს ცხრა შვილი ჰყავდათ. მათი მოღვაწეობის გაცნობა შესანიშნავი მაგალითი იქნება ახალგაზრდა თაობისათვის, რათა ისწავლო, თუ როგორ უნდა იცხოვრო, იშრომო და იღვაწო ხალხისათვის, ქვეყნისათვის. საარქივო მასალების გაცნობამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ მშობლებსა და შვილებს შორის უახლოესი სისხლის ნათესაობისა და ყოფითი ურთიერთობის გარდა, აუცილებელია საერთო სულიერი ინტერესებიც. ასეთმა დამოკიდებულებამ დაამკვიდრა ნიკოლაძეების ოჯახში უფროს და უმცროს თაობას შორის დიდი მეგობრობა.

დიდი სიკეთის მომტანი იყო საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის ნიკო ნიკოლაძისა და მისი ოჯახის წევრთა მოღვაწეობა. ძნელია დავასახელოთ ისეთი ოჯახი, რომელსაც თეორიულთან ერთად იმდენი პრაქტიკული საკითხი გადაეჭრას და დახმარებოდეს ხალხს, რამდენიც შეძლო ნიკო ნიკოლაძემ და მისმა ოჯახმა. მათ ხორცი შეასხეს ნიკოსივე დევიზს: ,,ყოველ სიტყვას უნდა მოსდევდეს საქმე ... ხალხის გულისაკენ მხოლოდ იმას აქვს გახსნილი გზა, ვისაც შეუძლია უფრაზებოდ, საქმით იყო საჭირო და სასარგებლო ხალხისათვის". ამიტომ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მადლიერი შთამომავლობა მუდამ პატივისცემით მოიგონებს ნიკო ნიკოლაძეს, მის დიდ ოჯახს, მის თითოეულ წევრს, როგორც საქართველოს დიდ მოჭირნახულეთ, მოაზროვნეთ, რომლებმაც დიდი ნიკოს მეთაურობით შინაარსიანი სიცოცხლე სამშობლოს კეთილდღეობას და მისი ღირსების საქმეს მოახმარეს.

M. Zarnadze, L. Gabunia

Unforgettable Faces

Summary

Niko Nikoladze's parents Iakob Nikoladze and Elizabeth Lortkipanidze had nine children. Getting acquainted with their life style would be a wonderful example for the young generation how to live and work for the people and for their motherland.

The best example of the relationship between parents and children is Niko Nikoladze's and Olga Guramishvili's relationship with their children. After studying archive materials we have learnt that besides the relationship, it was necessary to have common interests too. Such relationship between parents and children was the reason for the friendship between old and young generation in Nikoladze's family. The result was that their three children became magnificent scientists.

The Nikoladzes had solved a lot of problems not only theoretically, but practically too and had helped their native people. Their slogan was: 'Words must be followed by actions.' Therefore, without exaggeration we can say that thankful generation will always remember Niko Nikoladze and his great family, every member, who had dedicated their lives to the prosperity of their motherland.

ამირან თავართქილაძე
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

ნიკო ნიკოლაძის ორი ნარკვევი: "ოცნება და ცხოვრება", "ჩემ პოლიტიკაზე" და დღევანდელობა

ნიკო ნიკოლაძის მიერ 100 წლის წინ გააზრებული და სამსჯელოდ გამოტანილი მისი ამ ნარკვევების მრწამსი და იდეები დღეს იმდენად თანამედროვე, ყველასთვის ნაცნობი და ახლობელია, რომ შეუძლებელია არ დაინახო მისი შორსმჭვრეტელობა. მის ნაწერებსა და ნააზრევში ვპოულობთ პასუხს დღევანდელობის მნიშვნელოვან კითხვებზე.

მთელი ცხოვრება აზრთა გაცვლა-გამოცვლაში, პაექრობა-დისკუსიაში გაატარა. დისკუსია მისი ნააზრევისა და ნამოღვაწარის ირგვლივ ახლაც გრძელდება, მაგრამ მისი ნაშრომების წამკითხავი კარგად გაიგებს, რომ **მის მიერ წამოჭრილი საკითხების დიდი უმრავლესობა ახლაც თანადროულია, თითქოს ნიკოლაძე დღევანდელი საჭირბოროტო საკითხების განხილვაშია ჩაბმული, იმდენად ზუსტად და სწორად ეხმიანება მისი ნაწერები დღევანდელობას, რომ იგი არა XIX-XX საუკუნეების, არამედ XXI საუკუნის მოღვაწეა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას: ნიკო ნიკოლაძეს თეორიული, შემოქმედებითი დიაპაზონითა და მრავალმხრივი პრაქტიკული საქმიანობით უახლოეს ისტორიაში ანალოგი არ მოეპოვება.** ნიკო ნიკოლაძის 150 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში რედაქტორი, პროფესორი დალი ჩიკვილაძე სავსებით მართებულად აღნიშნავს: "ნიკო ნიკოლაძე ხომ დროს გასწრებული მოაზროვნე იყო. იგი თვითონ ქმნიდა დროს".

მის შესახებ ჯერ კიდევ თანამედროვენი წერდნენ: "ინიციატივიანი კაცი პრაქტიკით და საქმიანი რეალისტი". დიახ, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეზე მეტი ხნის წინ მისი სამრეწველო-ეკონომიკური პროექტები ბევრს არარეალურად და მიუწვდომლად მიაჩნდა, იგი მაინც ახერხებდა, თეორიული ნააზრევი საქმიან რეალობად ექცია. ამავდროულად, ვერ ეგუებოდა სინამდვილის ანალიზის გარეშე ილუზიებისა და ფუჭი ოცნებების არსებობას.

აიღეთ ნებისმიერი სფერო, რომელზედაც მას აზრი გამოუთქვამს. მისი ნათქვამი ღრმა და გონიერია და თუ რაიმე დღესაც მიუღწეველია, ვისი და რისი ბრალია, იმაზეც პასუხს სცემს.

ჯერ კიდევ 1876 წელს, საზღვარგარეთიდან ახლად დაბრუნებული ნიკო ნიკოლაძე ერთ-ერთ ნაკლებად ცნობილ

სტატიაში, რომელიც გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში” დაიბეჭდა წერდა “ვინც ბრძოლაში და ჯაფაში გართული მეგულებოდა ისინი სიუხვეს, ფუფუნებას, დიდკაცობას და სიამოვნებას შეჩვევიან და შიგ ნიჭი და ახალგაზრდობა დაუღუპავთ“. ნიკოლაძე გულისწყრომით გმობს კომფორმიზმს და პირდაპირ ასახელებს 70-იანი წლების „მოწინავე“ ინტელიგენციის წარმომადგენლებს (ყველაზე მეტად „რეალისტებს“) რომლებშიც მომხვეჭელობისა და ბატონკაცური აზროვნებისადმი მიდრეკილებამ საბოლოოდ წაშალა სახელმწიფოებრივი და ეროვნული იდეალებისადმი ყმაწვილკაცური სწრაფვა.

ზემოთ ხსენებული სტატიის ამონაწერი იმიტომ მოვიტანე, რომ კიდევ ერთხელ გავიაზროთ ნიკოლაძის მოქალაქეობრივი პოზიცია. ის არასოდეს ეგუებოდა ისეთ ადამიანებს, თუნდაც თავის საქმეში მეტად ნიჭიერებსა და წარჩინებულებს, რომლებიც ხელისუფლების ცვლასთან ერთად, სახელმწიფოებრივი აზროვნების ნაცვლად, ქამელეონივით იცვლიდნენ თავის შეხედულებებს.

აკი წერდა კიდეც “რისი თავგანწირვა, სადაური მაგალითი? სიმწრით მომზადებული ამხანაგები უდარდელი გულით, ტუჩმოუშორებლად, ტკბილ სიამოვნებას დაწაფებოდნენ. კაცს ცხოვრება უნდა ქვეყანაზე, ის ფრთხილად უნდა ეპყრობოდეს საზოგადო „შეცდომებს“, დროებით კიდევაც, რომ ურიგდებოდეს, საბოლოოდ თავისი სათქმელი საჭირო დროსა და ალაგას უნდა თქვას“.(გაზ.“ტიფილისკი ვესტნიკი“ 1876 წ .28)

ნ. ნიკოლაძე მიუთითებდა **„არსებულ წყობილებით დაუკმაყოფილებლობის შეგნება“ საკმარისი არაა. საჭიროა მოძველებული სისტემის რადიკალური შეცვლა, საზოგადოებრივი აზროვნების იქით მიმართვა, რომ ხელისუფალმა და რიგითმა მოქალაქემ უფლებებთან ერთად მოვალეობაც გაითავისონ. უახლოეს წარსულში ქართველმა ხალხმა, ეს მოქალაქეობრივი უფლება და მოვალეობა არაერთხელ წარმოაჩინა არჩევნებზე, მაგრამ მერე მისი დაცვა ვერ შეძლო. უფლება და მოვალეობა ერთჯერადი აქტი ან ქმედება არ არის, იგი იმ საათის წამზომს გავს, რომელიც მუდმივად და სწორად არ მუშაობს. მაშინ ცდომილება წუთებში, საათებში, დღეებში მოხდება, რომელიც შეიძლება დროს აცდენილ წლებად იქცეს და არაერთი თაობა დაჭირდეს მის გასწორებას.**

აკაკი ბაქრაძე ნიკო ნიკოლაძისადმი მიძღვნილ თავის შესანიშნავ მონოგრაფიაში შეპარვით, მაგრამ თამამად ატარებს და თავადაც იზიარებს ნიკო ნიკოლაძის შეხედულებას, რომ ქართველ ხალხს არ შეეძლო, უცბად, მოუმზადებლად დასდგომოდა იმ გზას, რასაც ევროპა

ადგა, გაჰყოლოდა იმ გეზს, რომელიც ევროპას ჰქონდა აღებული, აერჩია იმ მოძღვრებათა წყება, რომელიც ევროპაში უკვე გავრცელებული იყო. ეს თანდათანობით უნდა მომხდარიყო. აკი წერდა კიდეც ნიკო: „ყოველთვის უბედობისა თუ ლათაიების გარეშე უნდა ვაღიარო და დაბეჯითებითაც უნდა დავიცვა ის ფაქტი, რომ ჩემი შეხედულებანი, რომელიც ოდითგანვე გამომითქვამს, თუ წერილობით, თუ ზეპირად, იოტის ოდენაც არ შემიცვლია... არასოდეს დამიმალავს ჩემი მრწამსი... მე ყოველთვის ვიყავი და დღესაც ვრჩები, უბრალო "მეთანთანობითედ"... ე.ი. ისეთ ადამიანად... რომელიც პრინციპული მოწინააღმდეგეა რევოლუციებისა" (ნ. ნიკოლაძე „ჩემ პოლიტიკაზე" 130).

საყურადღებოა და დღემდე შეუსწავლელია ნიკო ნიკოლაძის წერილების სერია, რომელიც გაზეთ „საქართველოში" 100 წლის წინ დაიბეჭდა: „როგორი რესპუბლიკა", „ეროვნული ყრილობა", „საქართველოს მრეწველობა", „საქართველოს ფინანსები", „რუსეთის რღვევა და საქართველო", რომლებშიც ფაქტობრივად, „თანდათანობით", ჯერ ეკონომიკური და შემდგომ - პოლიტიკური დამოუკიდებლობის პროგრამა წარმოადგინა.

ნიკოლაძე საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროს ევოლუციური გარდაქმნის მომხრე იყო. უფრო მეტიც, იგი პრაქტიკოსი, მოქმედი პიროვნება გახლდათ. აზრსა და იდეას იმის მიხედვით აფასებდა, რამდენად შესაძლებელი იყო მისი რეალურად განხორციელება.

ეს პათოსი მის არაერთ ნაშრომშია წარმოჩენილი, მაგრამ ყველაზე მძლავრად, პირდაპირი სიტყვით, ნარკვევებში - „ჩემ პოლიტიკაზე" და „ოცნება და ცხოვრება". ისე მოხდა, რომ ორივე ეს ვრცელი ნაშრომი ქართულად დაახლოებით 100 წლის წინ გამოქვეყნდა.

წავიკითხოთ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ ნიკოლაძის გულისტკივილით გამოთქმული ნააზრევის უდიდესი ნაწილი დღესაც აქტუალურია. უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში გაჭრილი ვაშლივით ჰგავს 100 წლის წინ მოყოლილ ამბავს, თითქოს... ნიკოლაძე გაცოცხლებულაო.

ნაშრომში „ჩემ პოლიტიკაზე" ნიკო ნიკოლაძე წერს: „დავფიქრდეთ ახლა. იმ დროს, რომ ჩემსას გაეჭრა და ეს სავარამო კითხვები საბოლოოდ გადაგვეწყვიტა, მოუხდებოდა თუ დაუძლურებდა ეს ქართველობას? რა ერთობა ყოფილა ჩვენში, 1905-მა გვაჩვენა. ჩემს რჩევას რომ აჰყოლოდნენ 1871-1880-ში, სულ სხვა გავლენა ექნებოდა „განმათავისუფლებელ მოძრაობას" ქართველობის

პოლიტიკურ ბედზე. ერთაზროვანს, ერთ ბანაკად მდგომს ერს რა არ გაუვიდოდა? ჩვენ კი ამ პსიხოლოგიურ ხანაში ერთმანეთს შევერიეთ და შევაკვდით, ერთმანეთი გავაბათილეთ. ყურადღებას ვინღა მოგვაქცევდა? მტერ-მეზობელი ყველა იმას ლოცულობდა: „წამკიდებელი წაკიდე, ორივეს თავი წააწყვიტეო!“ მტრის გულისა გავხდით, მიტომ, რომ თავის დროზე ურთიერთობა ვერ მოვაწესრიგეთ“ (ნ.ნიკოლაძე„ჩემ პოლიტიკაზე“ 137).

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი პერიოდი (90-იანი წლები) – ისტორიისათვის დღევანდელობა. ლამის საყოველთაო იყო აზრი - დამოუკიდებლობა მოვიპოვოთ და მერე, მერე თვითონ, თავისით დალაგდება ყველაფერიო. იმავდროულად, ქართველებში მძლავრობდა შეხედულება, რომ საკმარისია, სოციალისტური ეპოქა დასრულდეს და საბაზრო ეკონომიკა თვითონ დაარეგულირებს ყველაფერს, რომ საქართველო მდიდარი ქვეყანაა, მას მხოლოდ მინერალური წყალი არჩენს, ქართველები ყველაზე გამჭრიახი მეწარმეები არიან, უცხოელი ინვესტორები კი ელოდებიან, როდის მიეცემათ შესაძლებლობა, საქართველოში ფული ჩადონ და ა.შ. მაგრამ ცხოვრებამ და რეალობამ სულ სხვა განზომილებით სივრცეში გადაგვიყვანა. საგარეო და შინა ომები, დროებით, მაგრამ ამჟამად ოკუპირებული ტერიტორიები, სამშობლოში ლტოლვილებად ქცეული ასეულათასობით ადამიანი, აყრილი, გამოგდებული ოჯახებით... მთლიანად მოიშალა ე.წ. „სოციალისტური ეკონომიკა“, ხოლო ახალი, „გამჭრიახი“ მეწარმეობა პურის “სამყოფად“ გამოცხობასაც ვერ ახერხებდა. და კიდევ უამრავი რამ, რასაც ცხოვრების სიდუხჭირის თანამდევი მოვლენები თუ პრობლემები ჰქვია.

არადა, საუკუნით ადრე ნიკო ნიკოლაძე გვაფრთხილებდა. გერმანიის მაგალითიც მოჰყავდა. როცა ერთი ამგვარივე ჭირი – ლესინგის დროს გერმანიას მოედო, ამ მოღვაწემ ცხადად დაინახა, თუ რა ზიანი ადგებოდა ამით მის უბედურ სამშობლოს. სენტიმენტალიზმით გვამცნო: „ოცნებით დამთვრალ ჭაბუკს ვერავითარი რჩევით, წყრომით, ძალით ვერ შეაგნებინებთ იმის იმედის სიფუჭეს... თავად უნდა დარწმუნდეს, საქმით, რომ ვერც ხტომით, ვერც ხერხით, ვერც ბღავილით, მთვარე ციდან მიწაზე ვერ ჩამოსვენდებაო“ (ნ. ნიკოლაძე „ოცნება და ცხოვრება“, 130).

ასე იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე – დამოუკიდებლობის ოცნებით ლამის მთელი ქართველი ერი უკანმოუხედავად სადღაც „ჩქარობდა“. „სხვა ჰანგი მათ ყურს არ ესმოდა“. ამ სიჩქარეში ალბათ დაიკარგა მთავარი – მომავლის ხედვის

უნარი. ხოლო თუ მომავალს ვერ ხედავ, ვერც მის მოახლოებას შეძლებ. **დამოუკიდებლობა და თავისუფლება მხოლოდ უფლებათა ნაწილში გავითავისეთ, ხოლო მოვალეობა და პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე განზე გადავდეთ.** რატომ არის, რომ დღეისათვის რეგისტრირებულ მეწარმე იურიდიულ პირთა 97%-ის სამართლებრივი ფორმა შ.პ.ს. - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა? რატომ? ვიყოთ გულახდილები! იმიტომ, რომ „პასუხისგებლობა შეზღუდულია და შემოიფარგლება მხოლოდ საწარმოს ქონებით“. **თითქოს და მთელი ქართული ეკონომიკის კერძო სექტორი „შეზღუდულ პასუხისმგებლობად“ იქცა, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ასეთ პირობებში კი ორაზროვანი „შეზღუდული პასუხისმგებლობით“ ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის გარეშე ეკონომიკის ეფექტიანი განვითარება ვერ ხდება.** უცხოური ინვესტიციების მოლოდინში პარტნიორული პასუხისმგებლობა ყველა შემთხვევაში „შეზღუდული“ ვერ იქნება. ძირითადად იგი ან ურთიერთწონადია, ან - სოლიდარული.

რატომ გვიკვირს, რომ უცხოელი ინვესტორი ხშირად უარს ამბობს ჩვენთან ერთობლივი საწარმოს შექმნაზე? ქართული „სამეწარმეო ლოგიკით“ (ბოდიშს ვუხდი მათ, ვისაც ეს არ ეხება - ა. თ.) და ქართული ორაზროვანი, ცალმხრივი „შეზღუდული პასუხისმგებლობით“ გამოდის ისე, რომ წარმოების ამოქმედებისთვის საჭირო კაპიტალი, ვალდებულება და პასუხისმგებლობა სხვისია (უცხოური საწარმოსი), ხოლო მოგების განაწილება თანაბრად უნდა მოხდეს. რატომ? - „ჰაერია“ ქართული!..

უფლებები, სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება კარგად ავითვისეთ (თუმცა ესეც სათუოა), ხოლო ვალდებულება -დავივიწყეთ! უფრო სწორად, არც გვიკისრია. ობიექტურად, რუსეთის და საბჭოთა იმპერიაში საუკუნეობრივმა ყოფამ ეს ცნება სრულიად დათრგუნა. რეალურად, ჩვენში არც დამკვიდრებულა და თუკი არსებობდა, ასეთი შემთხვევები თითზე ჩამოსათვლელი იყო ან/და ძირითადად, მხოლოდ ვაჭრობის სფეროთი შემოიფარგლებოდა. არადა, განვლილი სამი საუკუნე სწორედ ის ხანა გახლდათ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ევროპული სამეწარმეო კულტურა შინაგან მოთხოვნილებად იქცა. ვალდებულება და პასუხისმგებლობა უპირველეს ნიშან-თვისებად ჩამოყალიბდა.

ჩვენში კი არც სამეწარმეო საქმიანობის პირობა იყო, არც - ვალდებულება, ხოლო პასუხისმგებლობა მხოლოდ „საბჭოურ შიშის სინდრომს“ ემყარებოდა. სოციალისტურ ყოფაში, მაშინდელი

საქართველო ფარული ეკონომიკის ფორმატში მოექცა, „ცეხავიკების“ და „დელეცების“ არეალად იქცა. მავანთ და მავანთ მიაჩნიათ, რომ ეს მეწარმეობის (ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის - „მოგების მიღებაზე“ ორიენტირებულის) ქართველთა „გამჭრიახ განსაკუთრებულ ბუნებას“ ასახავდა. რეალურად კი რასთან გვაქვს საქმე? - მეწარმეობის ანტიპოდთან. რადგან მწარმოებლის ტვინი და გონება, მხოლოდ ერთი მიმართულებით ვითარდებოდა - მიეღო მოგება „ნებისმიერი გზით“. მოექრთამათ ხავსმოკიდებული საბჭოთა ბიუროკრატია, მილიცია და სხვა. ყოველივემ კი გარყვნა და დააჩლუნგა სამეწარმეო აზროვნება. ამ ფორმატში არ არსებობდა ცნებები - ვალდებულება და პასუხისმგებლობისა. იყო მხოლოდ დაფარული უფლება – შეექმნათ „მარცხენა“ პროდუქცია, მიღებული შემოსავალი კი ეკუთვნოდა პარტიულ ელიტას, მოხელეს და ქურდს.

საკმაო დრო გავიდა, მაგრამ სამეწარმეო სუბიექტების ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის გააზრების დონე იგივე დარჩა.

საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის ნარკვევი „ოცნება და ცხოვრება“. იგი ჯერ კიდევ 1908 წელს წერდა: **„გონიერი ადამიანები თავისუფლებასა და ავტონომიას აღწევენ ჯერ საშინაო საქმეების ყაირათიანი გაძღოლით, წარმოების აღორძინებით, საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებით და ბოლოს პოლიტიკური პრობლემების მოგვარებით“.**

დამოუკიდებლობა და საზოგადოებრივი ფორმაციის ცვლა, სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლა ერთდროულად მოვინდომეთ - ისე, რომ არც ერთისათვის და არც მეორისათვის საზოგადოებრივი მზაობის, ცოდნისა და მართვის არანაირი წინა პირობა არ არსებობდა. როგორ ვეპყრობოდით დამოუკიდებლობას? შევძელით კი გვესარგებლა ამ საოცნებო სიკეთით, შევძელით კი უკვე დამოუკიდებლად დეკლარირებული ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნება? ქვეყნის ეკონომიკისათვის წამყვანი სახელმწიფო საწარმოები ნაჩქარევი პრივატიზაციის შედეგად, იმ ყოფილი, სოციალისტური ეპოქის დირექტორების ხელში აღმოჩნდა, რომელთაც არაფერი გაეგებოდათ საბაზრო ეკონომიკის პრინციპების.

საკვირველია, რომ ასე იყო 100 წლის წინაც, როცა ნიკო ნიკოლაძე გულისტკივილით აღნიშნავდა: „ჩვენი მხარის მრეწველობის სერიოზული დარგები იმ ადამიანების ხელში მოექცა, ვინც სრულებით არ იცნობს მათ, დაკისრებული საქმის ელემენტარულ ვითარებას“ (ნ. ნიკოლაძე „ოცნება და ცხოვრება“,134).

შედეგად, მივიღეთ გაჩერებული, დანგრეული, ჯართად გაყიდული, საბაზრო ეკონომიკური მოთხოვნა-მიწოდების გათვლებისა და მმართველი „კორუფციული პოლიტიკური ელიტის“ ჰიბრიდული ნაერთი, რომლის შეცვლა ან გარდაქმნა მხოლოდ ამ უკანასკნელის (მმართველი კორუფციული ელიტის) ფასადური სახეცვლილებით ხდებოდა, ხოლო „ველური“ ბიუროკრატიული მონოპოლისტური ეკონომიკა ამ ჰიბრიდის ძირითად მასაზრდოებელ ძალას წარმოადგენდა. ნიკო ნიკოლაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „არავინ იცის, რამდენი დრო დასჭირდება იმას, რომ ქვეყანამ ეს ისტორია მოინელოს, ან რითიმე აღადგინოს. ვის ან სად აქვს წარსულის წლების დანაზოგი, ძველი თაობების მიერ შეგროვებული ის სიმდიდრე, რომელსაც შეეძლო გადაეფარა ხალხის ბიუჯეტის ასეთი დეფიციტი? კიდევაც, რომ მოვაქუჩოთ აქამდე შეგროვილი ჩვენი სიმდიდრე, ის ხომ 2-3 წელიც არ გვეყოფა“ (ნ. ნიკოლაძე „ოცნება და ცხოვრება“ 134).

მიუხედავად იმისა, რომ ნიკო ნიკოლაძე ყოველთვის წინააღმდეგი იყო ყოველგვარი რევოლუციისა და თანდათანობითი, ევოლუციური გარდაქმნებისა და განვითარების მომხრე გახლდათ, მაინც გარკვეული სიმპათიით წარმოაჩენს საფრანგეთის რევოლუციას: „მისი სიდიადე სწორედ იმაშია, რომ დაამსხვრია რა შუასაუკუნეობრივი კლასობრივი წყობა თავისი წესებით, კორპორაციებით, პრივილეგიებით, მაიორატებით და ა.შ. რევოლუციამ კანონის წინაშე გაათანაბრა ყველა, ყოველგვარ ნიჭს მისცა გაქანების, განათლების, მოღვაწეობის, ხელისუფლებაში მოსვლის უფლება... საფრანგეთის რეალური სიმდიდრე მოკლე ხანში კი არ დანაწილდა, არამედ ათმაგი შეიქმნა... საფრანგეთის დიდი რევოლუციის უპირველესი მიღწევა იყო ის, რომ მან ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან თანამდებობებზე ყველაზე გამორჩეული ადამიანები დანიშნა, ვინც ცოდნით, გამოცდილებით, ენერგიით, ტალანტით ყველასგან განსხვავდებოდნენ. თუ რევოლუციაში უნდა მივბაძოთ ვინმეს, უნდა დავიწყოთ უმთავრესით: ჩვენი საქმე საქმიან ადამიანებს უნდა მივანდოთ“... (ნ. ნიკოლაძე „ჩემ პოლიტიკაზე“ 136).

„მსოფლიო განახლდა და განთავისუფლდა არა წყევლა-კრულვის შედეგად, არა მისტიკოსების და ოკულტისტების მიერ, არა ძალადობის წყალობით, არამედ გონებისა და ცოდნის საფუძველზე“ (ნ. ნიკოლაძე „ჩემ პოლიტიკაზე“ 136).

ძალადობაა, როცა გაუთვითცნობიერებელი, პოლიტიკური კულტურის არმქონე საზოგადოებას თავს ახვევ ზოგადად სასურველ

დამოუკიდებლობის იდეას, შემდგომ, სრულიად მოუმზადებლად, გაუაზრებლად, ყოველგვარი ცოდნის, გამოცდილების გარეშე სახელმწიფოს მოწყობას იწყებ. **ვფიქრობ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველმა წლებმა ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობათა მართვის, უცოდინარობისა და პასუხისმგებლობის არქონის შედეგმა ბევრად განსაზღვრა საქართველოში განვითარებული მოვლენები და არათუ შეაფერხა ქვეყნის განვითარება, არამედ უკანაც კი დახია იგი. მიზეზი მრავალია, მაგრამ მათში უმთავრესი აღმოჩნდა საზოგადოების დაბალი მზაობის საკითხი.** ამასთან, პოლიტიკურმა მმართველმა ელიტამ ვერ გაიაზრა სახელმწიფოებრივი მმართველობის პასუხისმგებლობა და ვალდებულება და მხოლოდ უფლებით და დისიდენტური წარსულის „პრივილეგიებით“ დაიწყო ქვეყნის მართვა. უფრო სწორად – ადამიანებმა, რომელთაც ეს უნდა გაეკეთებინათ, არ იცოდნენ, რა იყო მართვა, ზოგადად – ხელისუფლების ვალდებულება, დაინახო მომავალი, დაისახო მიზანი და გაიაზრო ყველა შესაძლო სირთულე და გარდაუვალობა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლასა და ეკონომიკური ფორმაციის ცვლილებას მოჰყვა. ამასთან, გავიმეორებთ ძირითადს - რომ არც **საზოგადოება იყო მზად მყისეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებებისათვის. მომავალი არა აქვს ქვეყანას, რომლის არა მხოლოდ ინტელიგენციას, არამედ მეთაურებსაც არ ესმით, რომ ასე ცხოვრება და სასიკეთო მომავლის მოახლოება შეუძლებელია!**

ნიკო ნიკოლაძეც თითქმის საუკუნის წინ წერდა, თითქოს აფრთხილებდა მომავალს, თუმცაღა აწმყოს შესჩიოდა მისი განსხვავებული აზრის უაპელაციო უარყოფის გამო: „მტერსაც არ ვუსურვებ ამისთანა ბედს, რომ ჯანით და გრძნობით სავსე ადამიანი იძულებული იყოს ცოცხლად დაიმარხოს მომავლის სიყვარულისათვის, იმოდენა მძიმე და აუტანელია ეს მსხვერპლი. ხელს არავის ვუშლი, გზაზე არავის ვეღობები, არავის ოცნებას არ ვებრძვი, გულწრფელად ვნატრობ კიდეც“. და შემდგომ აგრძელებს: „ამ დუმილს, ამ თავის კვლას არათუ არავინ მიმადლის, პირიქით, მაყვედრიან!.. თავისას რათ ამბობს, რატომ არ გვეთანხმებაო. თავისუფლების, დამოუკიდებლობის მცველები ვართო, და იმის ნებასაც არ მაძლევენ გულში დამარხული მქონდეს საკუთარი აზრი“ (ნ. ნიკოლაძე „ჩემ პოლიტიკაზე“ 136).

ადამიანთა აზრის წინააღმდეგ ბრძოლა, უფრო სწორად, სუბიექტური აზრის მიუღებლობის ეპოქა ხანგრძლივი დროით

გაიჭიმა. ნიკოლაძის შემდგომ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურმა წარსულმა კარგად წარმოაჩინა: განსხვავებული აზრის მქონე ნებისმიერი ადამიანის მაშინ „ხალხის მტრად“, ხოლო დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ, ჯერ „კრემლის აგენტებად“, შემდგომ კი „რუსეთის აგენტებად“ შერაცხვა თუ სხვა ამგვარი „იარლიყების“ მიწებება, მცოდნე, გაბედული ადამიანების დევნა, დაპატიმრება, შემთხვევითი თუ მიზანმიმართული მკვლელობები, ადამიანთა წამება, ფსიქოლოგიურ წნეხში მოქცევა, შიშის სინდრომის დანერგვა - „ნულოვანი ტოლერანტობა“!..

განსხვავებულ აზრს, არ იზიარებდნენ და არ უსმენდნენ არც მაშინ, 100 წლის წინ და ასე გაგრძელდა უახლოეს წარსულამდე. არ იზიარებდნენ და არ უსმენდნენ ილია ჭავჭავაძეს, ნიკო ნიკოლაძეს, შემდგომში არ უსმენდნენ და არ იზიარებდნენ ზურაბ ჭავჭავაძის, აკაკი ბაქრაძის, უფრო ახლო წარსულში - მართვის უნარისა და ცოდნის მქონე მრავალი გამორჩეული მამულიშვილის აზრს. შედეგი?

უკვე 18 წელია, მსოფლიო ბანკის წლიური გამოკვლევებისა და ანგარიშების პრეამბულაში თითქმის უცვლელად წერია: „საქართველოში ჯერ კიდევ დაბალია პოლიტიკური და სამეწარმეო კულტურა, საზოგადოების დიდი ნაწილი გაუცნობიერებელია საკუთარ მოქალაქეობრივ უფლებებსა და მოვალეობებში. დაბალია საზოგადოებრივი მოქალაქეობრივი აქტივობა, კანონმორჩილების ხარისხი. შეინიშნება შერჩევითი სასამართლო გადაწყვეტილებების, ხელისუფლების მხრიდან ბიზნესზე ზეწოლის, მონოპოლიების, კარტელური შეთანხმებების პრაქტიკა. რიგ შემთხვევებში შეზღუდულია მედიის თავისუფლება, ზოგადად, არასახელისუფლებო, ოპოზიციური პოლიტიკური, არასამთავრობო თუ ეკონომიკური პროექტების თაობაზე განსხვავებული შეხედულებების ტირაჟირება, საჯარო განხილვა, საზოგადოებრივი აზრის კვლევა და სხვა...“

და კვლავ ნიკო ნიკოლაძე: „ძირეული შეცდომა ხელისუფალთა და მისი პარტიისა ის არის, რომ მათი პოლიტიკური მოაზრება მეტაფიზიკაზეა აშენებული. **აიხირებენ რაღაც სურვილს, საკუთარ გემოვნებაზე არჩეულს, და რომელსაც მოიწონებენ, „პრინციპს“ არქმევენ, ხატად იქცევენ, თაყვანს სცემენ“** (ნ. ნიკოლაძე „ჩემ პოლიტიკაზე“ 136).

როგორ ჰგავს ნიკოლაძისეული ეს შეფასება ჩვენი ქვეყნის უახლოეს წარსულს -„აიხირებენ რაღაც სურვილს, ... „რომელსაც პრინციპს არქმევენ“.

ნიკო ნიკოლაძის მოსაზრებები და შეფასებები იმდენად თანამედროვე და ახლობელია, თითქოს მის მიერ ახლახან, XXI საუკუნის დასაწყისში განცდილი და გააზრებულია, ხოლო პიროვნული თვისებები, პრაქტიკული საქმიანობა და მისგან მიღებული შედეგი იმდენად წონადია, რომ დღესაც არათუ არ დაუკარგავს მნიშვნელობა, არამედ უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

სწორედ მან ერთ-ერთმა პირველმა შეძლო განეჭვრიტა საქართველოს, როგორც მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფუნქციის მქონე ქვეყნის მომავალი. მაშინ, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, ბაქოს ნავთობის „გატანის“ საქმეს მხარს რომ უჭერდა, მას „მეოცნებე-დონკიხოტიც“ კი უწოდეს. მან კი მიზანსწრაფულობითა და შემართებით, საქმით დაამტკიცა ყოველივე. მისი თანამედროვეები ყველაზე მეტად მის პუბლიცისტურ წერილებსა და საჯარო გამონათქვამებს აკრიტიკებდნენ, თუმცაღა არავის გაუბედავს, მისთვის უცოდინარი და უსაქმური ეწოდებინა, ეთქვა, - მასზე მინდობილი საქმე და მოვალეობა არ შეასრულაო.

ან სხვაგვარად როგორ იქნებოდა, როცა სწორედ მისი ძალისხმევითა და „საქმეში ჩართვით“ აშენებული იქნა ფოთი! მან კიდევ უფრო წარმოაჩინა და ეკონომიკურად დაასაბუთა ბათუმის პორტის მნიშვნელობა, ხელი შეუწყო ჭიათურის მანგანუმისა და ტყიბულის ქვანახშირის საბადოების ათვისებას. ფეროშენადნობთა მეტალურგიის შექმნის იდეაც სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული, ევროპისკენ სარკინიგზო ქსელის განვითარება, ჰიდროელექტრორესურსების გამოყენება, გზების, ხიდების, არხების, საბორნე გადასასვლელების მშენებლობა, ქალაქმშენებლობის განვითარება (ქ. ფოთი დღემდე საქართველოში ერთადერთ ევროპულად დაგეგმარებულ ქალაქს წარმოადგენს). დიდია მისი ღვაწლი საბანკო სფეროს განვითარებაში, იგი პირველია, ვინც დაინახა ეკონომიკის წინსვლისთვის ფასიანი ქაღალდების მნიშვნელობა და ქ. ფოთის მერობის დროს მისი ინიციატივით იქნა გამოშვებული ობლიგაციები და გათამაშდა ლატარია. პირველმა სწორედ მან შემოიღო (ნახევარკაპიკიანი) მოსაკრებელი, რასაც მწვავე რეაქცია მოჰყოლია და რის შესახებაც თავად წერდა: „თითქოს ასაკრების აღება შუასაუკუნეობრივი ხარკია. ესეც ორმოციანი წლებიდან გადმოსული გადმონაშთია, როცა სიტყვა ბატონობდა აზრზე და უარყოფდა ცხოვრების რეალური ფაქტების შესწავლის საჭიროებას ... აფრიკის

სიღრმეში, არსებულ ტყეებში... არავითარი გადასახადები დაწესებული არ არის, ხოლო ინგლისსა და საფრანგეთში ღარიბი გლეხიც კი ყოველწლიურად ასობით მანეთს იხდის, ანუ ათჯერ მეტს, ვიდრე მისი წინაპრები იხდიდნენ შუა საუკუნეებში. მაგრამ მიუხედავად ამისა, თავის ბედს მაინც არ გაცვლის წინაპართა ხვედრზე. **ამიტომ ვისაც თავისი ქვეყნის სიკეთე და პროგრესი სურს, მან გადასახადს ბრძოლა კი არ უნდა გამოუცხადოს, არამედ მის გაძლიერებასა და განმტკიცებაზე უნდა იფიქროს**“ (ნ. ნიკოლაძე „ოცნება და ცხოვრება“).

კვლავ ვუბრუნდები დღევანდელობას. 2013 წლის გაზაფხულზე თამბაქოსა და ალკოჰოლურ ნაწარმზე აქციზის გადასახადის თაობაზე კანონპროექტის განხილვა დაიწყო. მაშინვე გამოჩნდნენ „ხმოსნები“ - ეს რა შუასაუკუნეობრივი მეთოდებიაო?! არადა, საკითხი ეხება მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქტზე გადასახადის უმნიშვნელოდ გაზრდას, რომელიც ათეულობით მილიონ ლარს შემატებს საქართველოს ბიუჯეტს. იმ ბიუჯეტს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საარსებო მინიმუმი – პენსია, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ასეულ ათასობით ადამიანის დახმარება, ხელმისაწვდომი ჯანდაცვა, უფასო განათლება და სხვა მრავალი სოციალური პროგრამა. ახლა კვლავ ნიკოლაძეს დავესესხოთ: „ცხოვრების რეალური ფაქტები შესწავლას საჭიროებს და არა უარყოფას.“ რეალობა ის არის, რომ თამბაქო და ალკოჰოლი ადამიანისათვის მავნეა, ხოლო პური, წამალი, განათლება და ა.შ. აუცილებელი საარსებო ნორმა. სახელმწიფოებრივად, ან თუნდაც მორალურად თუ არა მათემატიკურად გაიანგარიშეთ ყველაფერი და პასუხსაც მიიღებთ.

ქვეყნის ბიუჯეტი – შემოსავლები და ხარჯებია. როგორც წესი, თუ შემოსავლები იზრდება, მოქალაქეთა ყოფაც უმჯობესდება. გავიხსენოთ უახლოესი წარსული – ხელისუფლება ლამის ყოველდღე გვახსენებდა: 2003 წლის რევოლუციის შემდეგ ბიუჯეტი ათჯერ გაიზარდაო. მაგრამ მოვიშველიოთ მარტივი, თუნდაც სახელისუფლებო სტატისტიკა: 2003-დან 2013 წლამდე სიღარიბის ზღვარს მიღმა რეგისტრირებულ ადამიანთა, უსახლკაროთა და სასოწარკვეთისგან თვითმკვლელობით ამ ქვეყნიდან წასულთა რიცხვი ასევე ათჯერ გაიზარდა. როგორ? თითქოს არ ემორჩილება მათემატიკურ ლოგიკას, მაგრამ ასეა! რატომ? იმიტომ, რომ ათჯერ გაზრდილი შემოსავლები (მათ შორის, საერთაშორისო გრანტები და სესხები) ხარჯვისას, რბილად რომ ვთქვა, არასწორად ნაწილდებოდა. მორჩილ უმრავლესობას მიაჩნდა (ნიკოლაძის სიტყვებით: „აიხირებენ სურვილს, საკუთარ გემოვნებაზე არჩეულს და რომელსაც მოიწონებენ,

„პრინციპს“ არქმევენ, ხატად იქცევენ, თაყვანს სცემენ“), რომ სახელმწიფო მმართველობითი ინსტიტუციების „სიმბოლოებს“ წარმოჩენა და გაძლიერება სჭირდება. ასე გაჩნდა ასეულ მილიონიანი ხარჯი პრეზიდენტის სასახლის მშენებლობისათვის (რომლის სიდიადე და მასშტაბურობა თვით თეთრი სახლის წარმომადგენლებსაც უკვირდათ), ასეულ მილიონიანი ხარჯი – ახალი პარლამენტის მშენებლობისათვის (რომლის ზუსტი ხარჯები და დაფინანსების წყაროები დღემდე ბოლომდე დადგენილი არ არის), ასეულ მილიონიანი ხარჯი იუსტიციის სახლებისა და პოლიციის შენობების მშენებლობისათვის, წლების მანძილზე სახელმწიფო მოხელეებისათვის ათასობით ახალ-ახალი ძვირად ღირებული სამსახურებრივი მანქანების შეძენისათვის (მსოფლიო ბანკის 2011 წლის ანგარიშის მიხედვით, მხოლოდ სამთავრობო საავტომობილო საწვავის ხარჯი, „ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდთან შედარებით, 12-ჯერ გაიზარდა, თუმცაღა არ აჭარბებდა ბიუჯეტით დაგეგმილ პარამეტრებს), 10 წლის მანძილზე ასეულ მილიონიანი ლარი საპრეზიდენტო თუ სამთავრობო რეზიდენციების კეთილმოწყობის, დაცვისა და შენახვისათვის, პომპეზური საღამოებისა და პარტიული შეკრებებისათვის გაწეული ხარჯები (ამ ჩამონათვლის გაგრძელებას არათუ ეს წერილი, საერთოდ, ამ კრებულის მოცულობაც არ ეყოფოდა).

კვლავ გავიხსენოთ ნიკო ნიკოლაძის ნათქვამი: „მხეცისგან ადამიანი იმით ირჩევა, რომ ანგარიშს სჩვევია. ხარჯს შემოსავალს ადარებს. საქმის დაწყებამდე ცდილობს წარმოიდგინოს მისი ავი და კარგი. წიწილისთვის ხარს არ გასცემს. გონიერი ადამიანის ამ მარტივ თვისებაზეა დამყარებული ეკონომიკა... ახლა ასეთ ფუჭ „პრინციპებს“ აღარავინ სწირავს ადამიანის სიცოცხლეს და თავისუფლებას, თუ პირდაპირი, რეალური სარგებლობა არ უძევს“ (ნ. ნიკოლაძე „ოცნება და ცხოვრება“ 137).

მისი ნათქვამი ოდნავი პერიფრაზით უახლოეს წარსულზე გადმოვიტანოთ: თუ ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას პირდაპირი, რეალური სარგებლობა არ მოაქვს ხალხისათვის, მაშინ გამოდის, რომ ანგარიში არ გვცოდნია. ბიუჯეტი ხომ ძირითადად, ხალხისგან მიღებული გადასახადებით ყალიბდება და თუკი იგი 10-ჯერ იზრდება, მოქალაქეთა უფლებაა, სულ ცოტა, 2-ჯერ გაზრდილი პენსია მოითხოვოს, ცოტათი (2 პროცენტით მაინც) შემცირდეს სიღარიბის ზღვარი და ა.შ. შედეგი სხვაა. ალბათ არავის დაუთვლია, მაგრამ ძალიან მარტივი მათემატიკური გათვლით, 10 წლის მანძილზე ესოდენ

პატარა და ღარიბი ქვეყნის მმართველობითი ფუნქციის განმახორციელებელი სამსახურების შენობებისათვის კომფორტისა და პრემიების ხარჯებით შესაძლებელი იქნებოდა, ქვეყანაში არც ერთი უსახლკარო ლტოლვილი თანამოქალაქე არ გვყოლოდა.

აკი წერს ნიკო ნიკოლაძე: „ასეთი განსაცდელი ჩვენს ღატაკ სამშობლოს კი არა, უმდიდრეს ინგლისს ან საფრანგეთს რომ დასტყდომოდა თავს, სადაც ამგვარი საქმეების გვერდით ათასი სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს, მაშინ იმ საზოგადოებაში, მთავრობაში, პარლამენტში წლობით შემოიჭერდნენ ქამრებს“ (ნ. ნიკოლაძე „ჩემ პოლიტიკაზე“ 134).

უტყუარი ისტორიული ფაქტია - მეორე მსოფლიო ომის დროს, უმდიდრეს ინგლისში, როცა სამხედრო ხარჯები ძალზე გაიზრდა, დედოფალმა უარი თქვა როგორც პომპეზური სამეფო ცერემონიალებზე, ასევე სასახლის გათბობაზეც. მთელი ოჯახით, დაჭრილთა მოვლა-პატრონობისა და „მოწყალების დის“ სამსახურში ჩადგა. ბრიტანელი ისტორიკოსი მაკ ბეილფი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთ ნაყოფიერ მკვლევრად ითვლება, თავის წიგნში „ერთიანი სამეფო“ წერს: „დედოფალს, რომ ეს გადაწყვეტილება არ მიეღო, წარმოიდგინეთ, რა ამბავი ატყდებოდა პრესაში, საზოგადოებაში, პარლამენტში“.

დიახ, ასეა - მდიდარ ინგლისში საზოგადოება სხვანაირად ვერც გაიგებდა ყოველივეს: თუ ქვეყანას უჭირს, სამეფო კარმაც უნდა გაიჭირვოს.

ჩვენში კი, ამ ღარიბ, ნახევრად ოკუპირებულ ქვეყანაში თითო-ოროლას გარდა განა ვინმემ ხმა ამოიღო იმის გამო, რომ 300 ათასი ლტოლვილისა და 600 ათასზე მეტი სოციალურად დაუცველი მოქალაქის არსებობის მიუხედავად, 10 წლის მანძილზე 2 მილიარდზე მეტი, ნიკოლაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „რაღაც ახირებას“ და გაუგებარ პრინციპებს მოხმარდა. ყოველივე იმ უგუნურ ქმედებას ჰგავს, როცა „გაგანია“ ზაფხულში მაცივარი გაფუჭებული გაქვს და სარჩო „გიყროლდება“, შენ კი მეორე ტელევიზორს ყიდულობ.

ყველაზე დიდი საფიქრალი ისაა, რომ საზოგადოება დუმდა. ის არ აღმოჩნდა მზად, მოეთხოვა ხელისუფლებისათვის, უფრო მეტიც - არც კი იცოდა, თუ როგორ გამოეყენებინა მისი უფლება საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებისა. არც გაუაზრებია, რომ ყოველივე არამხოლოდ მისი უფლება, არამედ - მოვალეობაა.

სამსჯელო სწორედ ესაა. ყველა ქვეყანას განვითარების სხვადასხვა ეტაპი აქვს, უპირველესი ნიშანიც სწორედ იმაში

მდგომარეობს, თუ რამდენად მზადაა საზოგადოება ამა თუ იმ მოვლენის შეფასებისას თავისი მოქალაქეობრივი უფლება და მოვალეობა ჯერ გაიაზროს, მერე მის ნიადაგზე იმოქმედოს და მიზანსაც მიაღწიოს. მაგრამ აქაც მოქმედებს ერთი მარტივი ცხოვრებისეული ჭეშმარიტება: თუ მიზანს ვერ ხედავ, მაშ, რისი მიღწევა გსურს?!.

დღეს თითქოს ნათელია მიზანი - ქართველი ერის მისწრაფება ევროპული ყაიდის და სამართლის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებზე აგებული საზოგადოებისა და ქვეყნის მშენებლობისკენ. მაგრამ რეალობა, როგორც ამას ნიკო ნიკოლაძე უწოდებდა, „შეუფერავი რეალიზმი“ - სულ სხვაა. ყველა დროის ხელისუფალი (ალბათ ეს ზოგადად, ხელისუფლების სენია) დაჟინებით ირწმუნება, რომ მიზანს ნათლად ხედავს და სულ მცირედი ძალისხმევაა საჭირო, რომ შედეგსაც მიაღწიოს. შეიძლება, ასეც იყოს, და მართლაც გქონდეს სურვილი, მისწრაფება, მიზანი - თანამედროვე ევროპულის სადარი ქვეყნის შექმნა. მაგრამ თუ ამ მიზნისათვის სავალი გზის ათვლის წერტილი არასწორად განსაზღვრე, თუ სასტარტო პოზიცია და რეალური შესაძლებლობები არასწორად შეაფასე, მაშინ მიზანი მხოლოდ ოცნების საგნად იქცევა.

ქვეყნის რეალური ყოფის, თანამოქალაქეთა ცხოვრების მართალი - „შეუფერავი“ ასახვის შესახებ ნ. ნიკოლაძე ბევრგან წერს. შეუფერავი რეალიზმის ნიმუშად მიაჩნდა „კაცია-ადამიანი?!“, „მგზავრის წერილები“, „ჯიბრი“ და სხვა. ქ. ფოთის მერობის დროს შექმნა სპეციალური (სტატისტიკური) სამსახური, რომლის მიზანი - საქმიანი და სამეწარმეო აქტივობის ასახვა და ანალიზი იყო. ამ ანალიზისა და დასკვნების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება მადნის გატანისთვის „ნახევარკაპიკიანი“ გადასახადის შემოღების შესახებ. ჭიათურის მანგანუმის მომპოვებლებს ეს ბევრს არაფერს დააკლებდა, ხოლო ქ. ფოთის განვითარებას რეალურ შემოსავალს მოუტანდა და მიზნობრივი ხარჯის დასაფარავად გამოადგებოდა. მაშინვე ატყდა ერთი ამბავი, ქართულ პრესაში უამრავი წერილი გამოქვეყნდა - ნიკოლაძე „თვითნებობს, მეწარმეობას ზღუდავს.., „კერძო ინტერესები ამოძრავებს“ და სხვა. პასუხიც საკადრისი გასცა. **„გონიერი კაცი და ერი თავისუფლებას თუ ავტონომიას მით იძენს, რომ ანგარიშიანი მართვით ჯერ თავის შინაურ, მერე სამრეწველო, შემდეგ საზოგადო, ბოლოს პოლიტიკური საქმეების საშუალებათა მეშვეობით იგროვებს სახელმწიფო საკითხის საწყვეტად“** (ნ. ნიკოლაძე „ოცნება და ცხოვრება“ 136).

ნიკო ნიკოლაძე არამხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით ცდილობდა და აღწევდა მიზანს იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ აბზაცშია – ჯერ ანგარიშიანი მართვით, ქ. ფოთის საშინაო, სამრეწველო საქმეების მოგვარებით, შემდეგ საზოგადო და ბოლოს - პოლიტიკის მეშვეობით. კარგი მაგალითია თანმიმდევრულად შედეგიანი საქმიანობის.

მას შემდეგ 100 წელი გავიდა და სამწუხაროდ, ეს თანმიმდევრულობა ვერ ავითვისეთ. სახელმწიფო საკითხის გადასაწყვეტად, საქმეს ბოლოდან - პოლიტიკით - ვიწყებთ, ხელისუფლებისათვის მებრძოლ პარტიათა აბსოლუტურ უმრავლესობის წინასაარჩევნო პროგრამებში პირველი და ყველაზე დიდი ნაწილი პოლიტიკური მიზნების დეკლარირებას (თუ წარმოჩინებას) ეძღვნება და ბოლოს, საშინაო, ეკონომიკური, ადამიანთა სოციალური თუ სხვა საკითხების მოგვარებას. ამასთან, უმრავლეს შემთხვევაში, ისე, რომ შესაბამისი ეკონომიკური გაანგარიშება თან არ ახლავს და არც ემყარება რაიმე რეალურ გათვლას. **ყველაზე ცუდი ის არის, რომ არც საზოგადოების მზაობა და მოთხოვნაა შესატყვისი.**

გაფრთხილებას ჰგავს ნ. ნიკოლაძის ნათქვამი: **„ნურას აშენებთ ისეთ უნდობ საძირკველზე, როგორსაც თავის ხელობის უარმყოფი შეადგენს. მტკიცედ იცოდეთ – ის ჩვენებური კინტოა, პროვოკატორობს, გაჭირვების დღეს მიიმალება, გაბრიყვებული ხალხის ბედს არ გაიზიარებს“** (ნ. ნიკოლაძე „ოცნება და ცხოვრება“ 130).

ნაშრომში „ჩემ პოლიტიკაზე“ იგი ბოლოს წერს: „ამ ჩემ მიმართულებას ჩემი პოლიტიკა დავარქვი. ჩემი შიგ არაფერია, მისი გამოკვლევის, გახსენების, განათების მეტი. ქვეყნის პოლიტიკას – როგორც მის ბუნების ნამდვილ ძალებს – ადამიანის, ხალხის სურვილი კი არა, ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს“... (ნ. ნიკოლაძე „ჩემ პოლიტიკაზე“ 142).

გავიაზროთ ნიკოლაძისეული ნათქვამი. დღეს დასავლეთის რეალურ ინტერესს არა ქართული ღვინო ან მადანი წარმოადგენს, არამედ - მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ამასთანავე - ეპოქაც შეიცვალა, დრომ სხვა მოთხოვნები წარმოშვა – გლობალიზაცია შეუქცევად რეალობად იქცა, რუსეთის გარეშე ალტერნატიული ენერგომატარებლების მოთხოვნა იზრდება, სამხრეთ კავკასიასა და აზიასთან ეკონომიკური პროექტების განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობა შეიქმნა – საგზაო დერეფნის მომგებიანი ეკონომიკური

პროექტებიც მუშავდება, ევროატლანტიკური სამხედრო-პოლიტიკური გავლენის არეალიც იზრდება. ინტერესი დიდია.

ის, რაც ჩვენ მოგვეთხოვება, ნიკოლაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, არის - „ანგარიშიანად“ გავიაზროთ ყოველივე: ის, რისი მიღწევაც შეიძლება დღეს, ხვალ იქნებ დაგვიანებულიც იყოს. იმ შემთხვევაში, თუ ისტორიულად მტრულად განწყობილი ქვეყნები მსგავსი (უფრო მოკლე და სახმელეთო) ენერგოდერეფნების საკითხზე შეთანხმდებიან, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ნაკლებად საინტერესო გახდება. ამ ისტორიულ მომენტს, რეალობას და დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკურ საჭიროებას უნდა მოვერგოთ, ისეთი მინიმალური სტანდარტები და მოთხოვნები მაინც უნდა დავაკმაყოფილოთ, რომ ევროპული საზოგადოებისათვის მისაღები იყოს. **ამისათვის კი უპირველესად, ჩვენი საზოგადოებრივი მზაობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რომელიც, ვინც უნდა იყოს საქართველოს ხელისუფალი, აიძულებს, შეასრულოს თავისი ვალდებულება ხალხის წინაშე. ხოლო თუ ხელისუფალი მხოლოდ უფლებებით აღვჭურვეთ და ერის სამსახურის პასუხისმგებლობა არ მოვთხოვეთ, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხნით გადაიწევს ჩვენი ოცნების ასრულება?!.**

კონსტიტუცია, კანონი, ცალკეული მუხლები, აქტი, კოდექსი, ნორმა ვერასოდეს გამოასწორებს იმას, რომლის მოგვარებასაც საზოგადოებრივი ცნობიერების „ცოტაოდენი“ ცვლილება, დრო და სახელმწიფოებრივი აზროვნების მქონე ადამიანთა წარმოჩენა სჭირდება. პირადად ჩემთვის აღნიშნული თემა სწორედ ამ სირთულისაა. ამიტომაც ვიშველიებ და ვახსენებ სხვასაც ნიკო ნიკოლაძის ნაშრომებს.

მითითებული ლიტერატურის სია

1. ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. VII, 1985 წ.
2. ნიკო ნიკოლაძე – „ჩემ პოლიტიკაზე“.
3. ნიკო ნიკოლაძე – „ოცნება და ცხოვრება“.
4. გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკი“ 1876 წ. № 28.

ამირან თავართქილაძე

ნიკო ნიკოლაძის ორი ნარკვევი: "ოცნება და ცხოვრება", "ჩემ პოლიტიკაზე" და დღევანდელობა

რეზიუმე

ნიკოლაძე საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროს ევოლუციური გარდაქმნის მომხრე იყო. უფრო მეტიც, იგი პრაქტიკოსი, მოქმედი პიროვნება გახლდათ. აზრსა და იდეას იმის მიხედვით აფასებდა, რამდენად შესაძლებელი იყო მისი რეალურად განხორციელება. ეს პათოსი მის არაერთ ნაშრომშია წარმოჩენილი, მაგრამ ყველაზე მძლავრად, პირდაპირი სიტყვით, ნარკვევებში - „ჩემ პოლიტიკაზე" და „ოცნება და ცხოვრება". ისე მოხდა, რომ ორივე ეს ვრცელი ნაშრომი ქართულად დაახლოებით 100 წლის წინ გამოქვეყნდა. წავიკითხოთ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ ნიკოლაძის გულისტკივილით გამოთქმული ნააზრევის უდიდესი ნაწილი დღესაც აქტუალურია.

ნ. ნიკოლაძე მიუთითებდა „არსებულ წყობილებით დაუკმაყოფილებლობის შეგნება" საკმარისი არაა. საჭიროა მოძველებული სისტემის რადიკალური შეცვლა, საზოგადოებრივი აზროვნების იქით მიმართვა, რომ ხელისუფალმა და რიგითმა მოქალაქემ უფლებებთან ერთად მოვალეობაც გაითავისონ. უახლოეს წარსულში ქართველმა ხალხმა, ეს მოქალაქეობრივი უფლება და მოვალეობა არაერთხელ წარმოაჩინა არჩევნებზე, მაგრამ მერე მისი დაცვა ვერ შეძლო. უფლება და მოვალეობა ერთჯერადი აქტი ან ქმედება არ არის, იგი იმ საათის წამზომს გავს, რომელიც მუდმივად და სწორად არ მუშაობს. მაშინ ცდომილება წუთებში, საათებში, დღეებში მოხდება, რომელიც შეიძლება დროს აცდენილ წლებად იქცეს და არაერთი თაობა დაჭირდეს მის გასწორებას.

A. Tavartkiladze

Two Essays by Niko Nikoladze: "Dream and Life", "On my Politics" and Modernity

Summary

Niko Nikoladze supported evolutional transformation of all spheres of social development. Moreover, he was a practical and active man. He valued the ideas and opinions according to thier viability. This pathos is injected in the majority of his works, but most vividly it is represented in his essays: 'Dream and Life', 'On my Politics'. Both of these essays were published 100 years ago, but if we read it today, we notice that most of his viewpoints are still very actual.

Niko Nikoladze used to state that 'Only dissatisfaction with current order is not enough'. It is necessary to replace the old system, to direct public opinion towards the changes in thinking that would make government and ordinary citizens to understand not only their rights, but their duites and responsibilities as well.

In recent past, Georgian people have expressed their civilian rights and responsibilities in the elections several times, but could not protects them later. However, the rights and responsibilities are not single acts. They can be compared to the timer that does not always work properly. The mistakes in minutes, hours and days can become years and lead to the failure, which even several generations will not be enough to eradicate or improve

მამუკა თორია
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

სიღარიბე და მოსახლეობის სოციალური დაცვა

სიღარიბე კაცის უმეცრების შედეგია,
რომ კაცობრიობა ერთ დროს ისეთნაირად
მოაწყობს თავის ცხოვრებას, რომ არავის
სხვას ტვირთად არ აწვეს, სხვისი შრომით
არ რჩებოდეს, სხვას სიცოცხლეს არ
უჭირვებდეს და ძალისა და გვარად
ტვირთს უადვილებდეს
ნიკო ნიკოლაძე

ცხოვრების დონის ამაღლება ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში სოციალური პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს. ეკონომიკური კრიზისის პირობებში სიღარიბის პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით ვლინდება, რაც ქვეყნის განვითარებისა და მისი სოციალური სტაბილურობისათვის უდიდესი საფრთხის მატარებელი შეიძლება გახდეს.

სიღარიბის გამომწვევი მიზეზები კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იცვლებოდა. სიღარიბე, როგორც სოციალურ–ეკონომიკური მოვლენა, მეტ–ნაკლებად ნებისმიერი საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი. თუმცა, მისი არსის გაგებისა და გაზომვის მაჩვენებელებისადმი მიდგომები შეიძლება არსებითად განსხვავდებოდნენ განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის პერიოდში სიღარიბის პრობლემა განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს და შეიძლება სოციალური კატასტროფის მასშტაბები მიიღოს.

პრინციპულად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მონაცემთა სხვადასხვა ბაზის გამოყენების საფუძველზე სიღარიბის განსაზღვრისა და მისი გაზომვისადმი მიდგომები სიღარიბის განსხვავებულ მაჩვენებლებსა და პარამეტრებს იძლევიან, რაც კიდევ უფრო ამწვავებს ამ პრობლემის მეცნიერულ აქტუალობას და მის გარშემო არსებულ დისკუსიას.

სიღარიბის გაზომვის პრობლემისადმი ბოლო წლებში სამი ძირითადი მიდგომა ჩამოყალიბდა:

1. სიღარიბის გაზომვისადმი აბსოლუტური მიდგომა, რომლის თანახმადაც ღარიბებს მიეკუთვნებათ საოჯახო მეურნეობები ან ცალკეული პირები, რომლებსაც აქვთ ობიექტურად დადგენილ

მინიმუმზე ნაკლები რესურსები, რომელიც აუცილებელია მინიმალურ დონეზე ძირითადი სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად;

2. შედარებითი მიდგომა – ამ მიდგომის თანახმად ღარიბებს მიეკუთვნებათ საოჯახო მეურნეობები ან ცალკეული მოქალაქეები, რომლებსაც მოცემულ ქვეყანაში მცხოვრებ სხვა უმრავლეს მოქალაქეებთან შედარებით მატერიალური უზრუნველყოფის უფრო დაბალი დონე, აქვთ. მოცემულ შემთხვევაში სიღარიბის ზღვარი, როგორც წესი, დგინდება, როგორც ქვეყნის მოსახლეობის საშუალო ან მედიანური შემოსავლის მიხედვით;
3. სუბიექტური მიდგომა, რომლის თანახმადაც ღარიბებს მიეკუთვნებიან მოქალაქეები, რომლებიც გრძნობენ, რომ არ გააჩნიათ საკმარისი შემოსავალი, ან არ ფლობენ იმდენ რესურსებს, რომ ღირსეულად იცხოვრონ.

აღნიშნული მიდგომების საფუძველზე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ პირველი მიდგომის თანახმად აბსოლუტური მიდგომა აფუძნებს გადარჩენისთვის საჭირო მინიმალურ მოთხოვნებს, რომელშიც იგულისხმება, რომ არსებობს მინიმალური სტანდარტები, რომლის ქვემოთაც ხალხი ხვდება „ღარიბთა" კატეგორიაში. ამ მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული საზომი არის შემოსავლის დონე: როდესაც ადამიანის, ან ოჯახის გარკვეული დონის შემოსავალი, ნორმალური ცხოვრების სტანდარტისათვის მიჩნეული აუცილებელი მინიმუმის ქვემოთაა, ასეთი პიროვნება, ან ოჯახი ღარიბად ითვლება. შედარებითი სიღარიბეში კონკრეტული ჯგუფის სტატუსი განისაზღვრება და იზომება სხვებთან შედარებით იგივე გარემოში,

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მას, ვინც ღარიბად ითვლება განვითარებულ ქვეყანაში, შეიძლება ჰქონდეს უფრო მაღალი შემოსავალი, ვიდრე ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში შემლებულად მიჩნეულ ადამიანს. სიღარიბის მნიშვნელობა დამოკიდებულია მსოფლიოს თითოეული ქვეყნის ან რეგიონის ტრადიციებზე, სტანდარტებსა და ფასეულობებზე

მთლიანობაში შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ქვეყანაში სიღარიბის დონის ზრდა უარყოფითად აისახება არამარტო ცალკეული პიროვნებების, არამედ კონკრეტული ოჯახებისა და ზოგადად საზოგადოების განვითარებაზე. ამის მიზეზი მრავალი შეიძლება იყოს, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ: დაბალი კონკურენტუნარიანობის შედეგად ქვეყნის ეკონომიკის ჩამორჩენა მწარმოებლურობის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ასევე

ხელფასის დაბალი დონის სამუშაო ადგილების სიჭარბე, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მომუშავეებისა და მათი ოჯახის წევრების შრომის უნარის ნორმალურ აღწარმოებას. მთლიანობაში სიღარიბის დონეზე მოქმედებენ ეკონომიკური (შრომის დაბალი მწარმოებლურობა, ხელფასის დაბალი დონე, უმუშევრობის მაღალი დონე), სოციალურ–სამედიცინო, სოციალურ–ეკონომიკური, საგანმანათლებლო და ა.შ.

ამჟამად, საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შრომითი ურთიერთობების სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკის უმთავრესი სტრატეგიული მიმართულება უნდა გახდეს სახელმწიფო კონტროლის განხორციელება მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების ცხოვრების დონეზე, როგორც სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის წინააღმდეგობის დაძლევის უმნიშვნელოვანეს საშუალებაზე.

საქართველოს შრომის ბაზარზე ჩამოყალიბებული მდგომარეობა, განსაკუთრებით მოსახლეობის შემოსავლების დონე და დიფერენციაციის მაჩვენებელები, გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდებიან და მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებში შემოსავლების სტრუქტურისაგან. ასე მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში შედარებით მაღალი დონის შემოსავლები გააჩნიათ საბანკო სფეროსა და ვაჭრობაში დასაქმებულებს. ასევე, ნომენკლატურის მუშაკებს, რომლებსაც შეუძლიათ სახელმწიფო სახსრების საკუთარი ინტერესების მიზნით გამოყენება. მაშინ როდესაც მათი შემოსავლები, ვინც რეალურად აწარმოებს მატერიალურ დოვლათს, ან იმათი შემოსავლები, ვისზეც რეალურადაა დამოკიდებული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ზემოთ აღნიშნული კატეგორიის პირების შემოსავლებს. ასე მაგალითად, 2011 წელს საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ყველაზე მაღალი დონე იყო დამახასიათებელი საფინანსო საქმიანობაში და სახელმწიფო მმართველობაში დასაქმებულებისათვის. ყველაზე დაბალია განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების სფეროში. ასევე, სოფლის მეურნეობაში და დამამუშავებელ მრეწველობაში დასაქმებულებისათვის. ამასთან, სახელმწიფო მმართველობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი განათლების სფეროში დასაქმებულებისას 3,1-ჯერ, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების სფეროში დასაქმებულებისას –

1,9-ჯერ, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებისას – 2,3-ჯერ, დამამუშავებელ მრეწველობაში დასაქმებულებისას – 2,5-ჯერ აღემატებოდა. ცხადია, რომ საფინანსო სფეროში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის განსხვავება აღნიშნული კატეგორიის პირთა შესაბამის მაჩვენებელთან კიდევ უფრო შესამჩნევია. შრომის ანაზღაურებისა და შემოსავლების შედარებით დაბალი დონით იყო განპირობებული ძირითადად ის გარემოება, რომ დასაქმებულთა რიცხოვნობა სისტემატურად მცირდება სწორედ განათლების სფეროში, საიდანაც შედარებით მაღალკვალიფიციური კადრები ან სხვა სფეროში აგრძელებენ საქმიანობას, ან ტოვებენ ქვეყანას. ეს, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება ქვეყნის საგანმანათლებლო პოტენციალის შემდგომ განვითარებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ პრობლემებს შორის, რომელიც ამჟამად ქვეყნის წინაშე დგას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკონომიკურ პოლიტიკაში სოციალური პრიორიტეტებისათვის უპირატესობის მინიჭებაა. ამიტომ, მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობის ამაღლებისათვის აუცილებელია მოსახლეობის ცხოვრების დონის რეალური ამაღლება. ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ქვეყნის შრომითი პოტენციალის უფრო ეფექტური გამოყენება წარმოადგენს, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას შრომის ცივილიზებული ბაზრის ფორმირებით, სოციალური გარანტიებითა და სოციალური მომსახურების სისტემის არსებობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის შრომითი პოტენციალი მეტად არაეფექტიანად გამოიყენება, რაც იწვევს კვალიფიციური სამუშაო ძალის გადინებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ხოლო სხვადასხვა სახის მოწოდებები სამშობლოში დაბრუნების შესახებ უსარგებლოა, სანამ არ შეიქმნება ქვეყანაში ეკონომიკური აქტიურობის ამაღლების პირობები.

დასაქმების ოპტიმალური დონის მიღწევისა და უმუშევრობის შემცირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოში შრომის ბაზრის რეგულირების მეტნაკლებად ეფექტიანად ფორმირებას, რაც შესაძლებელს გახდის დამქირავებლებსა და დაქირავებულ მომუშავეებს, ეკონომიკის დარგებს, ცენტრსა და რეგიონებს, პროფესიულ ჯგუფებსა და სამეურნეო ერთეულებს შორის ეკონომიკური ინტერესების დაბალანსებას. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ნებისმიერი ხასიათის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა განწირულია კრახისათვის თუ მასში ცენტრალური ადგილი არ ექნება დათმობილი დასაქმების, ფასებისა და შემოსავლების პოლიტიკას, როგორც სახელმწიფოს

სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ საკვანძო ბლოკს, რომლის წარმატებით განხორციელებაზეა დამოკიდებული მთლიანად ეკონომიკური რეფორმების ბედი, რადგანაც სწორედ იგი განაპირობებს მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხს, რაზეც მეტყველებს დასავლეთის მრავალი მაღალგანვითარებული ქვეყნის გამოცდილება.

უახლოეს პერიოდში საქართველოს შრომის ბაზარზე სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს: მოსახლეობის დასაქმების პროგრესული დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებისაკენ; მასობრივი უმუშევრობის თავიდან აცილებისაკენ; არსებული სამუშაო ადგილების ეფექტიანობის ამაღლებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებისაკენ; კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემის სრულყოფის გზით ქვეყნის შრომითი პოტენციალის ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესებისაკენ; შრომითი რესურსების დარგობრივი და კვალიფიციური მობილობის ამაღლებისაკენ.

აუცილებელია გატარებული იქნას ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისაკენ. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სახელმწიფოს შესაძლებლობები ამ სფეროში მეტად შეზღუდულია. ამიტომ, აუცილებელია ისეთი პროექტების მხარდაჭერა, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო სექტორში სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებას.

დასაქმების პრობლემების გადასაჭრელად უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა გახდეს: საინვესტიციო და საგადასახადო პოლიტიკის გაუმჯობესება, სამუშაო ადგილების დეფიციტის აღმოფხვრა, არსებული სამუშაო ადგილების უფრო ეფექტიანი გამოყენება, კაპიტალდაბანდებების მიმართვა როგორც ახალი, ასევე ტრადიციული დარგების განვითარებისაკენ; მეწარმეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის, ინდივიდუალური სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ეკონომიკური სტიმულირება; ეკონომიკის არასახელმწიფო სექტორში დასაქმების ოპტიმიზაცია, ამ სფეროში შრომის კანონმდებლობაში პრინციპული ხასიათის ცვლილებების შეტანა, რომელიც მიმართული იქნება უპირველეს ყოვლისა მომუშავეთა ინტერესებისა და უფლებების გაფართოებისაკენ; დასაქმების სტაბილიზაციის სოციალური პროგრამების შემუშავება შრომის ბაზარზე მძიმე პირობების (დაძაბულობის) რეგიონებში; დასაქმების მოქნილი ფორმების განვითარება; მოსახლეობის ნაკლებად კონკურენტული ფენების ცხოვრების პირობების თანმიმდევრული

გაუმჯობესება; განათლების უწყვეტი სისტემის განვითარება, რომელიც საშუალებას იძლევა მაღალი ხარისხის სამუშაო ძალის ფორმირებისათვის; გააზრებული მიგრაციული პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართული იქნება შრომითი რესურსების ოპტიმალური გადანაწილებისაკენ.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს განსხვავებული ხასიათის პოლიტიკა ტარდებოდა, რომელიც მიმართული იყო უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისაკენ. ამ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია: პირველი – ხელფასის გაყინვის პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებაში შემოსავლების დონის პირდაპირი რეგულირების საშუალებას. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობა ადმინისტრირების წესით ახორციელებს ხელფასის გაყინვას (ფირმებს უფლება არა აქვთ გასცენ სახელმწიფოს მიერ ფიქსირებულ ხელფასზე მეტი), ინარჩუნებს სტაბილურ ფასებს საქონელსა და მომსახურებაზე, უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმების მაღალი დონის შენარჩუნებას. მსგავსი პოლიტიკა იქნა განხორციელებული დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ 1944 წელს, რომელიც შემდგომ წლებშიც არაერთხელ გამოუყენებიათ. კერძოდ, ჰ. ვილსონის ლეიბორისტული მთავრობის მიერ გატარებული ფასებისა და შემოსავლების რეგულირების ფართომასშტაბიანი პოლიტიკა 1965-1969 წლებში. ასევე, ე. ჰითის კონსერვატორული მთავრობის მიერ 1972-1974 წლებში გატარებული შემოსავლების რეგულირების პოლიტიკა. ასეთი პოლიტიკა, როგორც წესი, შეიძლება გატარდეს მოკლევადიან პერიოდში მწვავე კრიზისიდან თავის დასაღწევად, რათა შემუშავებულ იქნას კრიზისიდან გამოსვლის უფრო ქმედითი და გრძელვადიანი პოლიტიკა. მის მოწინააღმდეგეებად გვევლინებიან მონეტარისტები და თავისუფალი ბაზრის მომხრეები, რომელთა აზრით, ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ყოველთვის უარყოფითი შედეგები მოაქვს. ამიტომ, სახელმწიფოს ფუნქციები უნდა შემოიფარგლებოდეს ინდივიდუალური სამეურნეო ინიციატივების განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით.

მეორეა – განვითარების პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს შრომის მიწოდებაზე გავლენის მოხდენის გზით ხელი შეუწყოს ქვეყანაში არსებულ სტაგფლაციის დაძლევას. სწორედ ეს იდეა ედო საფუძვლად ე. წ. ,,მიწოდების პოლიტიკის" შესახებ დებატებს, რომელიც დაიწყო აშშ-ში რ. რეიგანის პრეზიდენტობის დასაწყისში 1980 წელს. ამ პოლიტიკის მომხრეები ამტკიცებენ, რომ საშემოსავლო

გადასახადის შემცირების კვალობაზე შეიძლება მიღწეულ იქნას დანახარჯების შემცირება და წარმოების ზრდა. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება სახელმწიფოს პირდაპირ და ირიბ ზემოქმედებას ხელფასის დონის ფორმირებასა და გადანაწილებაზე, საშემოსავლო გადასახადის შემცირების გზით და ხელფასის მნიშვნელოვანი ზრდის შეზღუდვით. ამით ადგილი აქვს მეწარმეების დანახარჯების შემცირებას პერსონალის შენახვაზე და მათ ეძლევათ სტიმული წარმოების გასაფართოებლად და ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად. დაქირავებულ მომუშავეებს შესაძლებლობა აქვთ შეინარჩუნონ რეალური ხელფასის დონე საშემოსავლო გადასახადის შემცირების ხარჯზე და ამიტომაც არ ახორციელებენ დაწოლას დამსაქმებლებზე ხელფასის გაზრდის მოთხოვნით. ეს პოლიტიკა შეიძლება ეფექტიანი აღმოჩნდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო განახორციელებს მხარდამჭერ ღონისძიებებს, მიმართულს დეფიციტური სპეციალისტების მომზადებისაკენ, შრომითი მოწყობის ეფექტიანად ფუნქციონირებადი სამსახურების შექმნისაკენ.

მიგვაჩნია, რომ ამჟამად არსებული სოციალურ-ეკონომიკური, მათ შორის სიღარიბის პრობლემების დაძლევა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში ცივილიზებული სახელმწიფო შრომით ურთიერთობებს საბაზრო სტიქიას პირდაპირ თავის ანაბარა არ ტოვებს. ამიტომ, ამჟამად ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ოპტიმალური იქნება ხელფასის გამოთანაბრების პოლიტიკის გატარება, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია უნდა განხორციელდეს ,,თანაბარ შრომაზე – თანაბარი ანაზღაურების" პრინციპით, რაც არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ხელფასის დიფერენციაციის მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების უგულვებელყოფას.

აღნიშნული პოლიტიკის გატარება უზრუნველყოფს: 1). ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების დაჩქარებას და 2). გაზრდის სამუშაო ადგილების არჩევანს, რადგანაც ხელფასის სიდიდისა და სტრუქტურის გამოთანაბრება უფრო მეტი რაოდენობის მსგავსი სამუშაო ადგილების წარმოშობას განაპირობებს.

ხელფასის გამოთანაბრების ან სოლიდარული ხელფასის პოლიტიკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დარგობრივი და დარგთაშორისი შეთანხმების ფარგლებში ყველა საწარმო თანაბარ შრომაზე თანაბარ ხელფასს იძლევა მოგების მაჩვენებლის სიდიდის მიუხედავად. ამასთან, რენტაბელური საწარმოები მომგებიან

მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ხოლო არარენტაბელური საწარმოები ვერ უძლებენ პერსონალზე მაღალ დანახარჯებს, მისი სიდიდის შემცირების უფლება კი არა აქვთ, რაც იწვევს მათ უფრო სწრაფ გაკოტრებას, ვიდრე ეს დაბალი ხელფასის პირობებში მოხდებოდა. მაღალმწარმოებლური და მაღალრენტაბელური საწარმოები უდიდეს სტიმულს იღებენ განვითარებისა და წარმოების გაფართოებისათვის, რადგანაც მოგების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელსაც სხვა დროს შრომის ანაზღაურების გადიდებისაკენ მიმართავდნენ, ახლა წარმოების გაფართოებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით ხარჯავენ.

მოცემული პოლიტიკა საკმაოდ წარმატებით განხორციელდა შვედეთში, სადაც მან გარკვეული სანიტარის როლი შეასრულა, როდესაც ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის არარენტაბელური საწარმოებისაგან გათავისუფლებას (მათი ლიკვიდაციის გზით) შეუწყო ხელი და მძლავრი სტიმული მისცა რენტაბელური საწარმოების შემდგომ ზრდას. აქვე უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: მოცემული პოლიტიკა მაშინ იქნება ეფექტიანი უმუშევრობის შემცირების თვალსაზრისით, როცა: შეიქმნება პირობები შრომის ბაზარზე მობილურობის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად, როცა მაღალრენტაბელური საწარმოები შეძლებენ მიიზიდონ დამატებითი პერსონალი გაკოტრებული საწარმოებიდან. რატომ ვთვლით აღნიშნულ პოლიტიკას ყველაზე ოპტიმალურად? იმიტომ, რომ ქვეყნის შრომის ბაზარზე არსებული კრიზისული სიტუაცია კიდევ უფრო გაღრმავდება უახლოეს მომავალში და ეს არავისთვის დამალული არ არის, როგორც მოსალოდნელი სტრუქტურული ძვრებით, ასევე მომუშავეთა მოსალოდნელი გამოთავისუფლებით. ნებისმიერი სტრუქტურული გარდაქმნების შინაარს წარმოადგენს არსებული დისპროპორციების ლიკვიდაცია და ეკონომიკური რესურსების განაწილებაში წონასწორობის აღდგენა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენების საფუძველზე. ეს გარდაუვლად გამოიწვევს კაპიტალისა და შრომითი რესურსების გადანაწილებას პროგრესირებად დარგებში. არაეფექტური, მოძველებული და უპერსპექტივო წარმოების ლიკვიდაცია ამავდროულად ნიშნავს დიდი რაოდენობით სამუშაო ადგილების გაუქმებას, მაშასადამე, დასაქმებული მომუშავეების გამოთავისუფლებას, რაც გარკვეულ ეტაპზე უარყოფით გავლენას იქონიებს მათ მატერიალურ და სოციალურ მდგომარეობაზე.

მიუხედავად ამისა, სტრუქტურული გარდაქმნები პროგრესული ნაბიჯია, რომელიც პასუხობს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გრძელვადიან მიზნებს. ასეთ პირობებში მთავრობის უპირველეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს მოსალოდნელი სტრუქტურული ცვლილებების რეგულირება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ორიენტირების განსაზღვრა, რადგანაც როგორც უცხოური ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, იმ ქვეყნებმა, რომლებმაც უფრო სწრაფად განვლეს სტრუქტურული გარდაქმნების რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი, სხვებზე ადრე აღიდგინეს რეკონსტრუირებადი დარგების კონკურენტუნარიანობა, გააფართოეს წარმოება და მაშასადამე, შეძლეს დასაქმების დონის ამაღლება, უმუშევრობის დონის შემცირება და, შესაბამისად, სიღარიბის პრობლემის დაძლევა.

ჩვენს ქვეყანაში, რომელიც საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზას სულ რაღაც ორი ათეული წლის წინ დაადგა და სადაც საბაზრო ურთიერთობების პარალელურად არც თუ ისე იშვიათად გვხვდება ადმინისტრაციულ–მბრძანებლური ეკონომიკური სისტემისათვის დამახასიათებელი აზროვნების სტერეოტიპები, ძნელია, მოკლე პერიოდში დაძლეულ იქნას ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული სირთულეები. მაშინ, როდესაც მთელ რიგ დარგებში წარმოების და დასაქმების დონის მიხედვით 1990 წლის მაჩვენებლებისთვისაც არ მიგვიღწევია.

მიუხედავად ამისა, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, სიღარიბის დაძლევის მიმართულებით უპირველესი მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს ქვეყნის განკარგულებაში არსებული ადამიანური რესურსების ხარისხობრივი მახასიათებლების არსებითი გაუმჯობესება, ცივილიზებული შრომითი ურთიერთობების ფორმირება, ეკონომიკის პროგრესული სტრუქტურის ჩამოყალიბება და ინოვაციური პროცესების, როგორც წარმოების მაღალი ეფექტიანობის მიღწევის უმთავრესი ფაქტორის, დაჩქარება. ყოველივე ეს შესაძლებელია მიღწეულ იქნას, როდესაც მოხდება ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების გაზრდა და როგორც სულმნათი ნიკო ნიკოლაძე იტყოდა, უმეცრება, როგორც სიღარიბის გამომწვევი მიზეზი, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

ცხადია, მანამ, სანამ შრომის ბაზრის მექანიზმები ჯერ კიდევ სრული სიმძლავრითა და ეფექტურობით არ ამოქმედებულან, როდესაც პროფესიული კადრების მომზადება, იქნება ეს უმაღლესი თუ საშუალო-სპეციალური, ნაკლებად არის მიბმული ეკონომიკის

მოთხოვნებთან, სახელმწიფომ აუცილებლად უნდა შეასრულოს თავისი ერთ–ერთი უმთავრესი ეკონომიკური ფუნქცია – ხელი შეუწყოს საბაზრო ძალების ეფექტიან ფუნქციონირებას, რადგან „ეკონომიკური ლიბერალიზაცია გულისხმობს იმ ღონისძიებების გატარებას, რომელიც მიმართულია, როგორც ბაზრების ფორმირებისაკენ, ასევე მათი რეგულირებისკენაც“ (Рынок труда, 158).

სიღარიბის დაძლევის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა გახდეს დასაქმების სტრუქტურის შეცვლა უფრო მაღალკვალიფიციური შრომის სამუშაო ადგილების შექმნის გზით, სადაც შრომის მაღალი ანაზღაურება სიღარიბისაგან თავის დაღწევის უმთავრესი გარანტი იქნება; მნიშვნელოვანია ასევე განათლების (უმაღლესი და საშუალო-სპეციალური) ხარისხის კარდინალური ამაღლება; შრომის ბაზარზე წარმოდგენილი მოსახლეობის ნაკლებადკონკურენტუნარიანი ფენების (ახალგაზრდების, მცირეწლოვანი ბავშვების დედების) სოციალური დაცვა, რომელიც სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთ–ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა ჩამოყალიბდეს.

მითითებული ლიტერატურის სია:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები;
2. Рынок труда и социальная политика в центральнои и восточнои европе. Под редакции Николаса Барра. Пер с англ. ИКЦ ,,ДИС,, Москва, 1997.
3. Хахулина А., Тучек М. Распределение доходов: бедные и богатые в постсоциалистических обществах (некоторые результаты сравнительного анализа) // Экономические и социальные перемены: мониторинг общественного мнения. —1995. — №1.

მ. თორია

სიღარიბე და მოსახლეობის სოციალური დაცვა

რეზიუმე

ცხოვრების დონის ამაღლება ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყანაში სოციალური პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს. ეკონომიკური კრიზისის პირობებში სიღარიბის პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით ვლინდება, რაც ქვეყნის განვითარებისა და მისი სოციალური სტაბილურობისათვის უდიდესი საფრთხის მატარებელი შეიძლება გახდეს.

სიღარიბის დაძლევის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა გახდეს ქვეყნის განკარგულებაში არსებული ადამიანური რესურსების ხარისხობრივი მახასიათებლების არსებითი გაუმჯობესება, ცივილიზებული შრომითი ურთიერთობების ფორმირება, ეკონომიკის პროგრესული სტრუქტურის ჩამოყალიბება და ინოვაციური პროცესების, როგორც წარმოების მაღალი ეფექტიანობის მიღწევის უმთავრესი ფაქტორის, დაჩქარება. ასევე, ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების გაზრდა და დასაქმების სტრუქტურის შეცვლა უფრო მაღალკვალიფიციური შრომის სამუშაო ადგილების შექმნის გზით, სადაც შრომის მაღალი ანაზღაურება სიღარიბისაგან თავის დაღწევის უმთავრესი გარანტი იქნება; მნიშვნელოვანია ასევე განათლების (უმაღლესი და საშუალო სპეციალური) ხარისხის კარდინალური ამაღლება; შრომის ბაზარზე წარმოდგენილი მოსახლეობის ნაკლებადკონკურენტუნარიანი ფენების (ახალგაზრდები, მცირეწლოვანი ბავშვების დედების) სოციალური დაცვა.

M. Toria

Poverty and Social Defense of the Population

Summary

In any civilized country, rising living standards and reduction of poverty rate to minimum, is the main goal of the social policy.

The most important direction in the poverty reduction policy must become the substantial improvement of qualitative features of disposal of the country human resources, forming civil labor relationships, making up the progressive economic structures and innovation processes, as the main factor to achieve high efficiency in production speeding. Also increasing investments in human capital and changing employment structures, creating more high-qualified workplaces where the high salary will become the main guarantee to escape poverty; It is important to improve the quality of education (higher and secondary) cardinally; support social defense of less competitive sector of the population (youth, children, mothers) represented on the labor market.

ნუგზარ იაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ციური ანთაძე
მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის საინფორმაციო-საკონსულტაციო კომპიუტერული სისტემა

ადამიანთა პროფესიისა და სპეციალობის სწორად არჩევაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მათი პროფესიული სწავლების ეფექტიანობა და ხარისხი, ასევე დასაქმებულის შრომის მწარმოებლურობა, რაც მთლიანობაში ალბათ განსაზღვრავს კიდევაც ადამიანთა ცხოვრების მიმდინარეობას. თანამედროვე ეტაპზე უაღრესად აქტუალურია ადამიანური რესურსების განვითარებისა და რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობა. ახალი ტექნოლოგიებისა და პროფესიული ცოდნის ათვისების საჭიროება დიდ გავლენას ახდენს შრომის სამყაროზე, შრომის ბაზრის მობილურობაზე. სწრაფად იცვლება პროფესიათა სამყარო, მოთხოვნები სამუშაო ძალის შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების მიმართ. შესაბამისად, იზრდება პროფესიის, სწავლისა და დასაქმების სფეროს სწორად არჩევის, ანუ პროფორიენტაციის მნიშვნელობა.

პროფორიენტაცია წარმოადგენს ინფორმაციულ-საკონსულტაციო მომსახურების ერთ-ერთ სახეს, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა ასაკის (უმთავრესად ახალგაზრდული ასაკის)პიროვნებებს პროფესიის სწორად არჩევაში. იგი მოწოდებულია დაეხმაროს ადამიანებს თვითკმარ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში, რომლებსაც შეეძლებათ ეფექტიანად გაუმკლავდნენ დასაქმების სფეროში მიმდინარე მრავალრიცხოვან ცვლილებებს, მოახდინონ საკუთარი პროფესიული შესაძლებლობების რეალიზაცია და აქედან მიიღონ სარგებელი საკუთარი თავისა და ოჯახისათვის.

პროფესიის სწორად არჩევისათვის აუცილებელი წინაპირობაა შესაბამისი ინფორმაციის არსებობა და ფლობა. კერძოდ, უფროსკლასელებს (და არა მარტო მათ) უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია პროფესიათა სამყაროს შესახებ, უნდა იცოდნენ, თუ რა მოთხოვნებს უყენებს ეს თუ ის პროფესია ადამიანს, შეეძლოს საკუთარი თავის შეცნობა - პიროვნული მახასიათებლები, აზროვნების თავისებურება, ნერვული სისტემა, ხასიათი და ა.შ. ცხადია, რაც უფრო უკეთ ეცოდინება ბავშვსა თუ ზრდასრულს საკუთარი ინტერესები, მიდრეკილებები და შესაძლებლობები, მით უფრო სწორად აისახება

იგი პროფესიის არჩევაზე. პროფესიის სწორად არჩევას კი უდიდესი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს როგორც პიროვნებისათვის, ისე ოჯახისა და საზოგადოებისათვის. ევროკავშირისა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში პროფორიენტაცია აღიარებულია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს ელემენტად და დასაქმების პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილად. ევროკავშირის კონტექსტში პროფორიენტაცია ითვლება დასაქმების სტიმულირების, სამუშაო ძალის ბაზრის პირობებთან ადაპტაციის, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად.

პროფორიენტაციის (და შემდგომში კარიერის დაგეგმვის) საჭიროება და ამ მიზნით სათანადო ინსტიტუტების განვითარება საქართველოსთვისაც უაღრესად აქტუალურია. დღეისათვის საქართველოში პროფორიენტაციის სისტემა ჩამოუყალიბებელია და მხოლოდ ცალკეული აქტივობებით შემოიფარგლება. მაგალითად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგიერთ პროფესიულ კოლეჯში შემოღებულია „პროფორიენტაციისა და კარიერის განვითარების მენეჯერის“ შტატი, ეპიზოდურად მიმდინარეობს მუშაობა ცალკეულ კოლეჯებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, რაც არასაკმარისია და ვერ ქმნის ფონს პრობლემების გადასაჭრელად; არ არსებობს პროფესიულ თვითგამორკვევაში კვალიფიციური დახმარების შესაძლებლობა; ახალგაზრდებს არა აქვთ ინფორმაცია და შესაბამისად არ იცნობენ პროფესიებს, შრომის ბაზარზე არსებულ ვითარებას, სამუშაო ძალაზე მოთხოვნას, ვერ აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს და სწორად ვერ გეგმავენ საკუთარ პროფესიულ კარიერას. ხშირად ახალგაზრდების პროფესიული არჩევანი დაუსაბუთებელია და მათ მოგვიანებით უწევთ პროფესიის შეცვლა. ეს პრობლემები ზრდასრულებისთვისაც საკმაოდ აქტუალურია.

საქართველოში პროფორიენტაციის ეფექტიანი სისტემის ფორმირებისათვის აუცილებელია აქტიური ძალისხმევა მრავალი მიმართულებით. პირველ რიგში, საჭიროა მეთოდური და საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბება-განვითარების მხარდაჭერა. აღსანიშნავია, რომ პროფორიენტაციის მეთოდური მასალების განვითარება დღემდე არ გამხდარა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ან სხვა სახელმწიფო თუ საგანმანათლებლო დაწესებულების ზრუნვის ობიექტი. ამ სფეროში დღემდე ექსკლუზიურია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (მსო)

საქართველოს მისიის მიერ, თსუ ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორ გ. ქირიასთან ერთად, 2008-2009 წლებში მომზადებული და გამოცემული „პროფორიენტაციის მეთოდური საფუძვლები“ (ნაწილი 1 და ნაწილი 2). ამავე ორგანიზაციის მიერ შემუშავდა პროფორიენტაციის საკითხებზე ტრენინგის მოდულები და ტარდება ტრენინგები დაინტერესებული ორგანიზაციებისა და პირებისათვის (მათ შორისაა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო) და ა.შ. მაგრამ ეს არასაკმარისია. პროფორიენტაციის ეფექტური სისტემის ამოქმედებისათვის აუცილებელია შესაბამისი ინფორმაციული ბაზის შექმნა და მეთოდური მასალების შემდგომი განვითარება. ამ მიზნით, აქტუალურია პროფესიული ინფორმირებისა და კონსულტირების კომპიუტერული სისტემის ჩამოყალიბება. დღემდე ასეთი სისტემა საქართველოში არ არსებობს, არადა მასზე დიდი მოთხოვნაა და პერსპექტივაში ეს მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზრდება.

პროფესიული ინფორმირებისა და კონსულტირების კომპიუტერული სისტემის შექმნა გულისხმობს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით პროფორიენტაციისათვის საჭირო ამოსავალი ინფორმაციის (პროფესიების აღწერები, პროფესიული სტანდარტები, პროფდიაგნოსტიკური მასალა, პროფესიის დაუფლებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობები და ა.შ.) ონლაინ რეჟიმში განთავსებასა და ინდივიდუალური მოხმარების უზრუნველყოფას პიროვნების თვითგამორკვევისა და კონსულტირების მიზნით. ცხადია, ასეთი სისტემის შექმნა დიდ ადამიანურ და დროით რესურსებს საჭიროებს. ამიტომ, საწყის ეტაპზე, მიზანშეწონილია გარკვეული პილოტური სისტემის შექმნა/აპრობაცია. სწორედ ამ მიზნით წამოყენებულია წინადადება რომ, რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში შეიქმნას „ახალგაზრდობის პროფესიული ინფორმირებისა და კონსულტირების ცენტრი (ლაბორატორია)“, რომელმაც, უნდა უზრუნველყოს აღნიშნული კომპიუტერული სისტემის მოდელის შექმნა, აპრობაცია და შემდგომი განვითარება.

აღნიშნული ცენტრი და მისი კომპიუტერული სისტემა დაეხმარება საშუალო სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებსა და სტუდენტებს, ასევე ზრდასრულ მოსახლეობას თვითგამორკვევასა და მომავალი პროფესიის სწორედ განსაზღვრაში, როგორც პროფესიის პირველად არჩევის, ასევე პროფესიის გამოცვლის აუცილებლობისა და ხელახალი არჩევის შემთხვევაში.

სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცემათ მერვე-მეთორმეტე კლასებში სწავლის პერიოდში, მათი სურვილისა და თანხმობის შემთხვევაში, ჩაუტარდეთ კომპლექსური კომპიუტერული ტესტირება მათი პროფესიული მიდრეკილებების, ინტერესებისა და მოტივების გამოსავლენად, საკუთარი შესაძლებლობების (ფიზიკური და ფსიქოლოგიური მონაცემების, ცოდნის დონის და სხვ.) შესაფასებლად; პროფესიათა შინაარსისა და პროფესიის მიერ ადამიანის მიმართ წაყენებული მოთხოვნების საკუთარ ინტერესებსა და შესაძლებლობებთან ინტეგრირების გზით განისაზღვრება მისთვის სასურველი და შესაფერისი სავარაუდო პროფესიების წრე; აბიტურიენტებს შესაძლებლობა ექნებათ შეაფასონ საკუთარი პროფესიული არჩევანის სისწორე და მეტი გაიგონ მომავალ პროფესიაზე; სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ, გაითავისონ მათ მიერ არჩეული პროფესიის თავისებურებები და მოთხოვნები, კარიერული წინსვლის შესაძლებლობები; ზრდასრული მოსახლეობა მიიღებს დასაბუთებულ ინფორმაციას შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიებისა (შესაბამისი კვლევების შედეგების გამოყენებით) და ამ პროფესიებთან საკუთარი შესაბამისობის შესახებ.

„ახალგაზრდობის პროფესიული ინფორმირებისა და კონსულტირების ცენტრის“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იქნება:

1. პროფესიული ორიენტაციის მეთოდური მასალების განვითარების მხარდაჭერა;
2. პროფესიათა აღწერების მომზადება;
3. პროფესიათა აღწერების კომპიუტერული ვერსიების შექმნა;
4. პროფდიაგნოსტიკის მეთოდების შესწავლა, ანალიზი და არსებულ რეალობასთან ადაპტირება;
5. პროფდიაგნოსტიკის ტესტების ონლაინ-რეჟიმში განთავსება და კომპიუტერული ტესტირების პროგრამული უზრუნველყოფა;
6. პიროვნული მახასიათებლების შესწავლისა და თვითგამორკვევის პროგრამული პროდუქტების შექმნა და დანერგვა;
7. პროფორიენტაციის კომპიუტერული საინფორმაციო-საკონსულტაციო სისტემის შექმნა (პროგრამული უზრუნველყოფა და საინფორმაციო პორტალის შექმნა).
8. საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება და ჩატარება ქვეყნის საჯარო სკოლებში, პროფესიულ კოლეჯებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე სხვადასხვა ტრენინგ-ცენტრებში, საკონსულტაციო და დასაქმების მხარდამჭერ ორგანიზაციებში.

9. თანამშრომლობა სხვა ქვეყნების პროფორიენტაციის სტრუქტურებთან, სამეცნიერო და საქმიანი კავშირების დამყარება მათი გამოცდილების გაზიარების მიზნით;
10. შეხვედრები პროფორიენტაციით დაინტერესებულ სახელმწიფო სტრუქტურების, არასამთავრობო, დონორი და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ცენტრის საქმიანობის გაცნობის, თანამშრომლობის შესაძლებლობების განსაზღვრისა და ერთობლივი საქმიანობის მიზნით.

საქმიანობის საწყის ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პროფინფორმირებისა და კონსულტირებისათვის საჭირო მეთოდური მასალების მომზადებას. ამ მიზნით, გამოყენებული იქნება მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოცემული მეთოდური მასალები, განხორციელდება აქტიური თანამშრომლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრასთან, კონკრეტული პროფესიის წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან თუ პირებთან. მეთოდური მასალების შექმნა/განვითარება ყველაზე მნიშვნელოვანი და უწყვეტი პროცესია. საწყის ეტაპზე ეს მასალა მომზადდება იმ პროფესიებისა და სპეციალობების მიხედვით, რომელთა სწავლება მიმდინარეობს რომელიმე შერჩეულ უნივერსიტეტში, სადაც ჩამოყალიბდება ასეთი ცენტრი . შემდეგ კი, მოთხოვნის კვალობაზე, თანდათან გაფართოვდება იმ პროფესიათა წრე, რომლის შესახებ ინფორმირება და პროფკონსულტირება შესაძლებელი იქნება ცენტრის კომპიუტერული სისტემის გამოყენებით.

პროფორიენტაციის კომპიუტერული საინფორმაციო-საკონსულტაციო სისტემის გამოყენებით შესაძლებელი იქნება კლიენტის (მოსწავლე, აბიტურიენტი, სტუდენტი, უმუშევარი და სხვა ზრდასრული მოქალაქე) პროფესიული ინფორმირება, პროფკონსულტირება და საჭიროების შემთხვევაში - პროფშერჩევა.

სხვადასხვა მეთოდების, ტესტების, კითხვარების გამოყენებით პიროვნება შეძლებს შეაფასოს საკუთარი ინტერესები, მიდრეკილებები და პიროვნული მახასიათებლები. კერძოდ, განისაზღვრება პიროვნების: პროფესიის არჩევისადმი მზადყოფნა; ორგანიზატორული თვისებები; კომუნიკაბელური უნარები; პიროვნულ თვისებები; პროფესიული ინტერესების სფეროები; კონფლიქტურ სიტუაციებზე რეაგირება; ემოციურობა; ტემპერამენტი; თვითკონტროლის უნარი და სხვა ფაქტორები.

წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევების სპეციალური პროგრამული პროდუქტების გამოყენებითა და კომპიუტერული დამუშავებით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, ასევე კონსულტანტთან გასაუბრების შედეგად შესაძლებელი იქნება იმ რამდენიმე პროფესიის ჩამონათვალის განსაზღვრა, რომელთა დაუფლების შემთხვევაშიც პიროვნება შეძლებს გაცილებით მეტი წარმატებების მიღწევას როგორც სწავლის, ისე დასაქმების თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, ასეთ ინფორმაციას ექნება კონსულტირებისა და რეკომენდაციის სახე, რადგან პროფესიის არჩევის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ და მხოლოდ პიროვნების პრეროგატივაა.

გარდა ამისა, შეიქმნება პროგრამული პროდუქტები, რომლებიც საშუალებას მისცემს სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებსა და სტუდენტებს, აგრეთვე სხვა ნებისმიერ მსურველს, კომპიუტერის საშუალებით მოიძიოს ინფორმაცია პროფესიების შესახებ, განსაზღვროს მისთვის საინტერესო და შესაფერისი პროფესიების წრე, აირჩიოს თავისი მომავალი პროფესია, შეაფასოს, თუ რამდენად წარმატებულია მის მიერ უკვე გაკეთებული პროფესიული არჩევანი და ა.შ. კომპიუტერული კვლევისა და შეფასების შედეგები (მათ შორის იქნება ოთხი-ხუთი რეკომენდებული მომავალი პროფესიის ნუსხა), სურვილის შემთხვევაში, უშუალოდ გადაეცემათ კლიენტებს.

ცენტრის მომსახურება, პროგრამული დაფინანსების შემთხვევაში, შესაძლებელია იყოს უფასო (განსაკუთრებით საწყის სტადიაზე), შემდეგ კი, მომსახურების არეალისა და კლიენტთა წრის გაფართოების, ან სპეციალური შეკვეთების შესრულების შემთხვევაში, მომსახურება გახდება ფასიანი. მომსახურების ფასის დაწესებისას მხედველობაში მიიღება როგორც გასაწევი მომსახურების მოცულობა, ისე კლიენტთა კატეგორიები. გასაყიდ პროდუქტთა შორის, ინდივიდუალური მომსახურების გარდა, შეიძლება იყოს ცენტრის თანამშრომლების მიერ შემუშავებული პროგრამული პროდუქტი.

აღნიშნული პროექტის რეალიზაციის შედეგად საქართველოში პირველად შეიქმნება პროფორიენტაციისა და კონსულტაციის ცენტრი კომპიუტერული პროგრამული სისტემით, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყანაში თანამედროვე პროფინფორმირებისა და კონსულტირების სისტემის ჩამოყალიბების გზაზე.

ცენტრი დაეხმარება პიროვნებას სწორ პროფესიულ არჩევანში, რითაც უზრუნველყოფს ეკონომიკურ და სოციალურ სარგებელს

როგორც ცალკეული პიროვნებისათვის, ისე ოჯახებისა და, საბოლოო ჯამში, მთელი ქვეყნისა და საზოგადოებისათვის. გარდა ამისა, ცენტრის საქმიანობა სასარგებლო იქნება, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის (რამდენადაც იგი ხელს შეუწყობს პროფესიის შესაფერისი და მოტივირებული მოსწავლეებისა და სტუდენტების მოზიდვაში), ისე დამსაქმებლებისთვის (პროფესიულ არჩევანში კარგად ორიენტირებული და პროფესიის შესაფერისი მომუშავეების მოზიდვის უზრუნველყოფის გზით). შესაბამისად, იგი წაადგება ქვეყანაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ბიზნესის ეფექტიანობის გაზრდის ამოცანების გადაჭრასაც.

ცენტრის, როგორც პილოტური პროექტის, დაფინანსება საწყის ეტაპზე შეიძლება მოხდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, შემდეგ კი, შესაძლებელია, ის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალური მსჯელობის საგნად იქცეს, რამდენადაც პროფორიენტაციის სისტემის ფორმირება და განვითარება ამ უწყების ერთ-ერთი ფუნდამენტური ამოცანაა. შესაძლოა, ცენტრის საქმიანობის შედეგების მიმართ გარკვეული ინტერესი გამოხატოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომაც. საქმიანი ინტერესი შეიძლება გამოხატოს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებამ, დამსაქმებლებმა, დონორმა ორგანიზაციებმა, მათ შორის საზღვარგარეთის ქვეყნებიდანაც.

მითითებული ლიტერატურის სია:

1. პროფორიენტაციის მეთოდური საფუძვლები. ნაწ. 1. თბილისი, 2007 წ.
2. პროფორიენტაციის მეთოდური საფუძვლები. ნაწ. 2. თბილისი, 2009 წ.
3. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბილისი, 1999 წ.
4. Баррет Дж. Выбор профессии. Москва. 2002.
5. Могилевкин Е.А. Карьерный рост: диагностика, технологии, тренинг. - М, 2007.
6. http://www.akvobr.ru/mezhdunarodnaja_praktika_proforientacii.html

ნ. იაშვილი
ც. ანთაძე

ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის საინფორმაციო-საკონსულტაციო კომპიუტერული სისტემა

რეზიუმე

მოხსენებაში განხილულია პროფესიული ორიენტაციის საინფორმაციო და საკონსულტაციო-კომპიუტერული ცენტრის სისტემის შექმნისა და საქართველოს რომელიმე უმაღლეს სასწავლებლის ბაზაზე სპეციალური ცენტრის ჩამოყალიბების საკითხები.

დღემდე ასეთი სისტემა საქართველოში არ არსებობს, არადა, მასზე დიდი მოთხოვნაა და პერსპექტივაში ეს მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზრდება. აღნიშნული ცენტრის შექმნა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყანაში თანამედროვე პროფინფორმირებისა და კონსულტირების სისტემის ჩამოყალიბების გზაზე.

პროფორიენტაციის კომპიუტერული საინფორმაციო-საკონსულტაციო სისტემის გამოყენებით შესაძლებელი იქნება კლიენტის (მოსწავლე, აბიტურიენტი, სტუდენტი, უმუშევარი და სხვა) პროფესიული ინფორმირება, პროფკონსულტირება და, საჭიროების შემთხვევაში, - პროფშერჩევა.

ცენტრის საქმიანობა უზრუნველყოფს ეკონომიკურ და სოციალურ სარგებელს როგორც ცალკეული პიროვნებისათვის, ისე ოჯახებისა და, საბოლოო ჯამში, მთელი საზოგადოებისათვის.

N. Iashvili, Ts. Antadze

Youth Professional Orientation Informational and Consultation Software System

Summary

The article discusses the issues of development of a professional orientation service informational and consultation software system in Georgia and the establishment of a special centre in any university of Georgia.

Currently, there is no similar system available in Georgia, though the demand for it is high and will further increase in the future. Establishment of the above mentioned centre will be a significant step forward towards developing a modern professional orientation and consultation system in the country.

Professional orientation informational-consultation computer software system will provide for the clients (pupils, students, graduates, job seekers and other adult citizens) information on professions, professional consultation services and when necessary, support selection of the relevant professions for them.

The centre will assist an individual in correct selection of profession and thus, will be economically and socially beneficial for the individual, families and community in general.

დავით კბილაძე
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

ნიკო ნიკოლაძე და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მთავარი ინდიკატორები

გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი და ბიზნესმენი, ჩვენი ქვეყნის სასიქადულო შვილი ნიკო ნიკოლაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას. აგრეთვე ქვეყანაში აღრიცხვის მოწესრიგების საკითხებს, რაც დღესაც აქტუალურია.

საქართველომ 1990–იანი წლებიდან მკაფიოდ გამოხატა ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარებაში დასავლური ორიენტაცია. ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანის შესასრულებლად სხვა მრავალ საკითხთა შორის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური მდგომარეობის ისეთი ახალი ინდიკატორების შემუშავება და დანერგვა, რომელიც 2 ამოცანის შესრულებას დაექვემდებარება. პირველი ესაა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის ობიექტურად და კომპლექსურად დახასიათება და მეორე, მოცემული პარამეტრების შინაარსისა და მეთოდოლოგიის შესაბამისობა ევროპულ და ზოგად დასავლურ მოთხოვნილებებთან. მოცემული პრობლემა არამარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრობლემაცაა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ესოდენ გახშირდა ფინანსური და ეკონომიკური კრიზისები, საომარი მოქმედებები, კლიმატური კატაკლიზმები, და სხვა ანომალური მოვლენები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერებისაგან ჩამოაყალიბა ავტორიტეტული კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატი ამერიკელი მეცნიერი ჯოზეფ სტიგლიცი. კომისია მიზნად ისახავდა, კრიტიკულად გადაეხედა ეკონომიკური მდგომარეობისა და სოციალური პროგრესის მახასიათებელი მაჩვენებლებისათვის და მოცემულ საკითხზე წარმოედგინა მოხსენება. 2009 წელს კომისიის მიერ წარმოდგენილმა მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ ფორუმებზე მისი განხილვისას.

მთავარი საკითხი, რომელიც განხილულია ჯ. სტიგლიცის კომისიის მოხსენებაში, ესაა მაჩვენებლების შერჩევა იმისათვის, რომ

რეალურად შევაფასოთ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის ცხოვრების დონე.

ამჟამად მსოფლიოს ცნობილი ეკონომისტები აღარ დავობენ იმის თაობაზე, რომ დროა ეკონომიკის განვითარებისა და სოციალური მდგომარეობის შეფასების მაჩვენებელთა სისტემაში მეტი ყურადღება დაეთმოს მოსახლეობის კეთილდღეობის, ანუ ხალხის ცხოვრების დონის დახასიათებას. ეს არ ნიშნავს მთლიან შიდა პროდუქტსა (მშპ) და წარმოების მაჩვენებლებზე უარის თქმას, რადგანაც ისინი უშუალოდ ახასიათებს საბაზრო წარმოებას და დასაქმებას. ამოცანა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ მოვახერხოთ მშპ–ს შევსება სხვა ინდიკატორებით, რათა უფრო ზუსტად დავახასიათოთ საზოგადოებრივი ზრდის პროგრესის რეალური მდგომარეობა. მოცემული დილემა კარგა ხანია დგას სტატისტიკის წინაშე. ამჟამად, ისე როგორც არასდროს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა **შინამეურნეობების შემოსავლების განაწილების, მოხმარებისა და სიმდიდრის მაჩვენებლებს**. ევროსტატის მონაცემთა ბაზებში შინამეურნეობებზე მონაცემები ამჟამად არსებობს საშუალო ან მედიანური მაჩვენებლების სახით, მაგრამ ისინი არ იძლევა ცხოვრების სრულ სურათს. თუ ასეთი ინფორმაცია იარსებებდა მიკროეკონომიკური მახასიათებლების სახით, მას მეტი ანალიზური შესაძლებლობები ექნებოდა. ევროპის მასშტაბით ასეთ ინფორმაციულ რესურსს ავსებს სამუშაო ძალის გამოკვლევები და ცხოვრების პირობებისა და შემოსავლების კვლევები.

ასეთი კვლევების დაწყებისათვის საქართველოში საჭიროა გვქონდეს ქვეყნის შინამეურნეობების მიხედვით განახლებული ინფორმაციული ბაზა. მის საფუძველზე შესაძლებელი იქნება პერიოდული სტატისტიკური კვლევების ჩატარება განახლებული პროგრამით (შინამეურნეობების მიხედვით). მეტად ნიშანდობლივია, რომ "... ნიკო ნიკოლაძეს ეკონომიკური თეორია არსებითად სიმდიდრის საზოგადოებრივი შინაარსისა და მისი მოძრაობის კანონთა შემსწავლელ მეცნიერებად მიაჩნდა" (თოდუა, 44). ოჯახთა ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე მინიშნებები გაკეთებულია კოალიცია "ქართული ოცნების" წინასაარჩევნო და შემდგომში სამთავრობო პროგრამაში.

ზემოაღნიშნული კვლევების დაწყებისათვის საქართველოში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საჭიროა გვქონდეს შინამეურნეობების მიხედვით საწყისი ინფორმაციული ბაზა, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება პერიოდული კვლევების ჩატარება. შინამეურნეობებზე გენერალური ერთობლიობის მოპოვების კარგ საშუალებად გვესახება მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის კითხვაში თითოეული შინამეურნეობისათვის მათში მცხოვრებ

თითოეულ წევრზე ისეთი ინფორმაციის მოპოვება, როგორიცაა **შემოსავალი , მოხმარება და სიმდიდრე.**

საჭიროა აღინიშნოს, რომ ევროსტატის გრძელვადიან პროექტში გათვალისწინებულია შინამეურნეობების დაბალანსებული ანგარიშების აგება. ასეთი ინფორმაცია საშუალებას იძლევა დავახასიათოთ შინამეურნეობების ფინანსური მდგომარეობა მთლიანად ისე, როგორც ამჟამად ვახასიათებთ კომპანიების ფინანსურ მდგომარეობას. წარმოებითი და არაწარმოებითი აქტივების, აგრეთვე, ფინანსური აქტივების დახასიათება სიმდიდრის მაჩვენებლის დახასიათების უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია შინამეურნეობების ფარგლებში.

ცხოვრების ხარისხის დახასიათებისათვის ჯ. სტიგლიცის მოხსენების თანახმად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშპ–სათვის ისეთი სოციალური მაჩვენებლების დამატებას, როგორიცაა:

- ჯანდაცვა;
- განათლება;
- საზოგადოებრივი აქტივობა, მართვაში მონაწილეობა;
- სოციალური კავშირები;
- გარემოს დაცვა;
- ფიზიკური და ეკონომიკური უსაფრთხოება;

ზემოაღნიშნულ მაჩვენებლებს საჭიროა ანალიზი გაუკეთდეს ერთდროულად.

საქართველოში, როგორც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაში, საჭიროა როგორც ზემოაღნიშნული მაჩვენებლების დეფინიციების შემოღება, – ასევე მათი გაანგარიშების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება ევროპულ ბაზაზე, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ერთ–ერთი მნიშვნელოვანი საკითხია კეთილდღეობის სუბიექტური და ობიექტური მახასიათებლების დანერგვა. ასეთ მაჩვენებლებს მიეკუთვნება **სუბიექტური კეთილდღეობა**, რომელიც მოიცავს ისეთ შემადგენელ ასპექტებს, როგორიცაა **ბედნიერება, სიხარული და სიამაყე**. უარყოფითი ემოციები – **წუხილი და ავადმყოფობა**. ასეთი გამოკვლევების დაწყება შესაძლებელია საქართველოში და ვფიქრობთ ჩვენმა სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ისინი უნდა გაითვალისწინოს სტატისტიკურ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამებში.

მოკლედ შევეხოთ ეკონომიკური ზრდისა და გარემოს მახასიათებელ მაჩვენებლებს. ევროსტატმა ჯერკიდევ 2005 წელს მომზადებულ

მოხსენებაში გამოყო მდგრადი განვითარების 100 მაჩვენებელი, რომელთაგანაც 11 იწოდება "განმსაზღვრელ მაჩვენებლად".

მდგრადი განვითარების მაჩვენებლები ევროკავშირში შემავალი ქვეყნების მიხედვით იყოფა 10 თემად. ესენია:

- სოციალურ–ეკონომიკური განვითარება;
- კლიმატისა და ენერგიის ცვლილება;
- ტრანსპორტის მდგრადი განვითარება;
- მდგრადი წარმოება და მოხმარება;
- ბუნებრივი რესურსები;
- ჯანმრთელობის დაცვა;
- სოციალური ინტეგრაცია;
- დემოგრაფიული ცვლილებები;
- გლობალური პარტნიორობა და ეფექტური მმართველობა.

ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელთა ნუსხაში წამყვანი მაჩვენებელია მშპ–ს რეალური მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ევროში, მშპ–ს ზრდის ტემპი პროცენტებში წინა პერიოდებთან შედარებით, ინვესტიციები ინსტიტუციური სექტორების მიხედვით პროცენტობით მშპ–სთან.

როგორც ვიცით, მშპ მოიცავს წლის მანძილზე წარმოებულ საქონელსა და მომსახურეობას როგორც საბაზრო პრინციპით, ისე სახელმწიფო მართვის ორგანოების არაკომერციული მიზნებით წარმოებულ მომსახურეობას. რეალური მშპ–ს ზრდის გაზომვისათვის ევროკავშირში გამოიყენება წინა წლის ფასები. ეს კეთდება იმ მოსაზრებით, რომ ფასების მიმდინარე ცვლილებამ ხელოვნურად არ გაზარდოს მშპ–ს ზრდის მახასიათებლები. რეალური მშპ–ს მაჩვენებელი მოსახლეობის ერთ სულზე ასევე მნიშვნელოვანი ინფორმაციული რესურსია ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ რეალური საშუალო შემოსავლის დახასიათებისას. ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად მშპ სრულად მაინც ვერ ახასიათებს მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის მდგომარეობას. ასე მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტი არ მოიცავს შინამეურნეობების ფარგლებში განხორციელებულ აუნაზღაურებად შრომას. ასევე სამეწარმეო საქმიანობით განხორციელებულ ისეთ ნეგატიურ შედეგებს, რომელიც უკავშირდება სტიქიურ უბედურებებს, განსაკუთრებით გარემოს დეგრადაციის მხრივ. როგორც ვიცით, ეს–ის 2008 წლის ვერსიამ გააფართოვა წარმოების საზღვრები. განსაკუთრებით ეს ეხება შინამეურნეობების სექტორს, კერძოდ, ამ სექტორში განხორციელებულ მომსახურეობას. საკითხი ეხება რიგი სახეების ასახვას მშპ–ში, რომლებზეც ადრე არ არსებობდა მომსახურების საბაზრო ფასები. ასეთი სახის მომსახურებაა: ბავშვებისათვის უცხო ენების

შესწავლა, მათი მოვლა, შინამეურნეობებში შესრულებული სამუშაოები და ა.შ. როგორ უნდა შევაფასოთ მოცემული სახის სამუშაოები რაოდენობრივად? ამის საშუალებად ეს–ის მეთოდოლოგიის შედგენით დაკავებულ მეცნიერებს მიაჩნიათ ზემოჩამოთვლილ სამუშაოებზე იმ საბაზრო ფასების გავრცელება, რომელიც წარმოდგენილია სამომხმარებლო ბაზაზე. საქართველო, როგორც სპეციფიური ტრადიციების ქვეყანა, სხვა ქვეყნებისაგან გამოირჩევა არასაბაზრო მომსახურების ისეთი სახით, როგორიცაა "თამადობის ინსტიტუტი". რით განსხვავდება იგი შოუმენის მომსახურეობისაგან, რომელსაც დაახლოებით ანალოგიური ფუნქციების შესრულება უწევს და მისი მომსახურების მოცულობა ფასდება საბაზრო ფასებით? ვფიქრობ, საჭიროა ჩავატაროთ საცდელი კვლევები, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ ასეთი სახის მომსახურება მონეტარულ მაჩვენებლებში და მოვახდინოთ მისი აღრიცხვა ქვეყნის მაკრომაჩვენებლებით.

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის ინოვაციური ინდიკატორების შემუშავება ერთობ რთული და შრომატევადი პროცესია. ასე მაგალითად, საფრანგეთში მოცემული სამუშაოს შესასრულებლად სპეციალური კომიტეტი შექმნეს, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობს ნობელის პრემიის 4 ლაურიატი.

ამრიგად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის მახასიათებელი ახალი ინდიკატორების შემუშავებაში ჩაერთოს სახელმწიფო სტრუქტურების, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური ინფორმაციის მწარმოებელი და მომხმარებელი სუბიექტები, განსაკუთრებით - მეცნიერები. ვფიქრობთ, სათანადო ფინანსური უზრუნველყოფის პირობებში ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელი იქნება ზემოაღნიშნული ახალი ინდიკატორების შემუშავება, რომელიც მმართველობის სხვადასხვა დონეებზე სწორი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი გახდება.

მითითებული ლიტერატურის სია:

1. თოდუა გ. ნიკო ნიკოლაძე და ეკონომიკური თეორიის აქტუალური საკითხები. საიუბილეო კრებული ნიკო ნიკოლაძე – 150 – თსუ, 1996.
2. კბილაძე დ. ეკონომიკური ზრდისა და სოციალური მდგომარეობის შეფასების სტატისტიკური ასპექტები. თბ., 2012
3. Кбиладзе Д. Новые индикаторы оценки экономического развития и социалного прогресса, Сборник научних трудов института экономики АН Азербаиджана. Баку, 2012.
4. www.stiglitz-sen-titoussi.fr

დ. კბილაძე

ნიკო ნიკოლაძე და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მთავარი ინდიკატორები

რეზიუმე

გლობალიზაციის მაღალმა ტემპებმა დღის წესრიგში დააყენა საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების სოციალური და ეკონომიკური განვითარების ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის მრავალმხრივი პროცესების ინფორმაციული უზრუნველყოფის ამოცანა. აღრიცხვის მოწესრიგების პრობლემაზე თავის დროზე ყურადღება იყო გამახვილებული გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის მიერ. ამჟამინდელი მშპ, მეპ–ი და რიგი სხვა მაჩვენებლები არაა საკმარისი ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის სრულყოფილად დახასიათებისათვის. საჭიროა შეიქმნას ახალი ინდიკატორები, რომლებიც გაითვალისწინებენ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში ამ სფეროში დაგროვილ გამოცდილებას.

D. Kbiladze

Niko Nikoladze and Main Indicators of Economic Conditions of the Country

Summary

High speed of globalization has emphasized the role of ensuring informational issues of transformation and modernization of social and economic development. Public figure Niko Nikoladze has focused on problems of accounting for several times. Current GDP and GNP are not enough to perfectly characterize economic development and social conditions of population. It is necessary to create new indicators, which will consider experience of world's developed countries and international organizations in this sphere.

ლაურა კუტუბიძე-ზუბაშვილი
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიკო ნიკოლაძის „ფრანგული პრესის დეკადანსის“ თანამედროვე დისკურსი

XIX საუკუნის შუახანებში ბალზაკი წერდა: „ჟურნალიზმი... თანამედროვე საზოგადოების რელიგიაა ... ჩვენ, ღმერთ მეფისტოფელის ნამდვილმა მიმდევრებმა, იჯარით ავიღეთ საზოგადოებრივი აზრის შეღებვა...“ [ბალზაკი, 45-48]. ფაქტობრივად, ამ ირონიული ფრაზით ბალზაკმა ჟურნალისტიკის ის უმთავრესი ფუნქცია ჩამოაყალიბა, რომელსაც მთელი ამ საუკუნე ნახევრის განმავლობაში აქტუალობა არ დაუკარგავს - საზოგადოებრივი აზრის შექმნა/წარმართვა/მანიპულირება . . .

ორი ათეული წლის შემდეგ სწორედ პარიზში გამოცემულ „ფრანგული პრესის დეკადანსში“, სწორედ ფრანგული პრესის მაგალითზე, ნიკო ნიკოლაძემ გააანალიზა, როგორ იყენებენ პრესას „საზოგადოების აზრთა ფალსიფიკაციისათვის“. ეს პუბლიცისტური ნაშრომი მაშინდელი საფრანგეთის საზოგადოებისა და პრესის სახესა და ურთიერთმიმართებას წარმოაჩენს და ბევრი რამით ეხმიანება დღევანდელი ჩვენი საზოგადოებისა და პრესის პრობლემებს; მისი ცალკეული მონაკვეთები რომ გამოვაქვეყნოთ სათაურისა და ავტორის მითითების გარეშე, შესაძლოა ამჟამინდელი ქართული პრესის შეფასებადაც მიიჩნიოს მავანმა (სხვათა შორის, სტუდენტთა უმრავლესობა, რომელთაც გასაანალიზებლად ვთავაზობთ ამ პუბლიკაციას, პირდაპირ აკავშირებს აქ ასახულ ვითარებას თანამედროვე საქართველოს რეალობასთან).

„ფრანგული პრესის დეკადანსი“ ბროშურად დაიბეჭდა პარიზში (ფრანგულ ენაზე) 1875 წელს. ფრანგულმა გაზეთმა "ფრანსემ", რომლის რედაქტორი იყო ცნობილი პუბლიცისტი ემილ ჟირარდენი, 1875 წლის 30 აგვისტოს ნომერში გადაბეჭდა ამ ბროშურის დიდი ნაწილი. "ქართული პუბლიცისტიკის" ქრესტომათიაში (შემდგენელი და რედაქტორი დალი ჩიკვილაძე) შეტანილია სტატიის შემოკლებული ვარიანტი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სრულად წარმოაჩენს ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური აზროვნების მრავალშრიანობას.

ნიკო ნიკოლაძე, პირველ ყოვლისა, **ხსნის გაზეთის კითხვის საყოველთაო ჩვევის გაჩენის წინაპირობას** (საფრანგეთის რევოლუციის შედეგად ხალხის მასების გადაქცევა "პოლიტიკური კომედიის

პარადის მონაწილედ"; ცნობისმოყვარეობისა და ინტერესის აღძვრა "ეროვნული ცხოვრების საქმიანობასა და მოძრაობისადმი"; მუშა კაცის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება გაზეთით...) და **განიხილავს მკითხველზე გაზეთის ზემოქმედების რამდენიმე ასპექტს.**

პუბლიცისტი ყურადღებას ამახვილებს "უცნაურ ფაქტზე", რომელსაც დაუყოვნებლივ შესწავლის საგნად მიიჩნევს. დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, საუბარია მედიის გავლენაზე, რომლის შესწავლა არათუ 138 წლის წინათ, დღესაც ახალ მიმართულებად ითვლება. ნიკო ნიკოლაძის დაკვირვებით, "ამა თუ იმ სპეციალისტს ან ხელოსანს, ამოჩემებული გაზეთის ბეჯით მკითხველს, ვერ წარმოუდგენია, თუ შეიძლება სარწმუნო იყოს მისი სპეციალობის შესახებ გაზეთში დაბეჭდილი ახსნა-განმარტებანი და ცნობები." ინჟინრები, ვაჭრები, ოფიცრები, მეზღვაურები თუ დიპლომატები მათ საქმიანობაზე დაწერილ და ყველაზე სერიოზულ გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებსაც იშვიათად კითხულობენ და არასერიოზულად აღიქვამენ, ანუ, "პრესა თითქმის ვერასოდეს ვერ იპყრობს მკითხველების ყურადღებას იმ საკითხებში, რომლებიც სწორედ მკითხველის კომპეტენციას ეხება." [ნიკოლაძე, 218-219]

"თუ პრესა ძალაა", - რაც ნიკოლაძის აზრით, "ჯერ კიდევ დასამტკიცებელია", - მაშინ "იგი ამ ძალასა და ავტორიტეტს მხოლოდ და მხოლოდ **მკითხველთა აზროვნებაზე საკუთარი მორალური და ინტელექტუალური ზემოქმედებიდან** უნდა იღებდეს." მაგრამ ეს ავტორიტეტი უფრო და უფრო მოჩვენებითი ხდება და ქრება. სამაგიეროდ, პრესა თავის განსაკუთრებულ დანიშნულებად თვლის **არჩევნებზე გავლენის მოხდენას,** ამომრჩევლებზე ხელმძღვანელობას, კანდიდატურათა ხელის შეწყობას და "წაბიძგებას" იმ მეგობრებისა, რომლებიც აფინანსებენ და ეხმარებიან გაზეთებს.

გაზეთები მაინც შოულობენ მყიდველებს, მკითხველებსა და ხელისმომწერებს, მაგრამ საზოგადოება გახდა სკეპტიკური და უნდობლად განწყობილი გაზეთების რჩევა-დარიგებისადმი. ამის მთავარ მიზეზად ნიკო ნიკოლაძე ასახელებს ფრანგული პრესის პოლიტიკურ ანგაჟირებულობას: "**პრესა**, რომელმაც დაბადება ვერც კი მოასწრო, და რომელსაც საზოგადოება ძლივს იცნობდა, **პარტიებს ჩაუვარდა ხელში**. **პარტიებმა კი მაშინვე გადააქციეს ომის მანქანად**, რომელიც განკუთვნილი იყო მათ შეხედულებათა **პროპაგანდისათვის და მოწინააღმდეგეთა დასათრგუნად**." [ნიკოლაძე, 220]

ფრანგულ პრესას არა მხოლოდ პარტიები, ხელისუფლებაც იყენებდა: "მთავრობები ერთმანეთს ცვლიდნენ და იცვლიდნენ

ფორმებს, შეხედულებებს, მიზნებს, პრესის მიმართ კი ერთნაირ დამოკიდებულებას იჩენდნენ. ყველა ისინი თავიანთი გეგმების განხორციელებისთვის იყენებდნენ პრესას და ამავე დროს ყოველ ძალღონეს, რათა იგი საკუთარი თავისადმი უვნებელი გაეხადათ." [ნიკოლაძე, 220]

ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური ხედვა ეხმიანება ჟურნალიზმის, პრესისა და ჟურნალისტების ბალზაკისეულ სარკასტულ-ირონიულ აღქმას: "ხელისუფლება ტიულრის სასახლიდან ჟურნალისტებისაკენ გადასახლდა... მთავრობამ, ე.ი. ბანკირებისა და ადვოკატების არისტოკრატიამ, რომელიც დღეს სამშობლოს წარმოადგენს, როგორც წინათ მღვდლები წარმოადგენდნენ მონარქიას, აუცილებლობა იგრძნო - საფრანგეთის კეთილი ხალხი მოატყუოს ახალი სიტყვებითა და ძველი იდეებით... ერთი სიტყვით, არსდება გაზეთი... **მისი მიზანი იქნება ოპოზიცია განახორციელოს უკმაყოფილოთა დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ისე, რომ მეფე-მოქალაქის ეროვნული მთავრობა არ დაზარალდეს**" [ბალზაკი, 45].

საფრანგეთის ისტორიისა და იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ცოდნა ნიკო ნიკოლაძეს საშუალებას აძლევს წარმოაჩინოს, როგორ იქცა პრესა ხელისუფლებისათვის ბრძოლის იარაღად, როგორ მიაქანებდა მას ორი მიმდინარეობა ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულებით: მაშინ როცა **"ჟურნალისტთა ერთი ნაწილი, ადმინისტრაციულ მფარველობას დახარბებული, სულითა და ხორცით იცავდა არსებულ ხელისუფლებას და მისი მესაიდუმლე და რუპორი ხდებოდა, მეორე ნაწილი ემხრობოდა ყველაფერ იმას, რაც მთავრობას ეწინააღმდეგებოდა და ცდილობდა გაზეთი გადაექცია დასაყრდენად და ძალად, რომლის დახმარებით სახელმწიფო ძალაუფლებას შეებრძოლებოდა"** [ნიკოლაძე, **220].**

ეს ვითარება ზედმიწევნით მიესადაგება საქართველოს უახლოეს რეალობას, როცა მედიის დახასიათებისას ძირითადად ორი პოლუსი იკვეთებოდა - პროსახელისუფლებო მედია და ოპოზიციური. ხელისუფლება ცდილობდა აქტიურად გამოეყენებინა მედიასაშუალებები პიარისა და პროპაგანდისთვის, მედიასთან დაკავშირებულ ოპოზიციურ აქტივობაში კი უფრო მეტად იკვეთებოდა მისწრაფება ოპოზიციური და არა დაბალანსებული და ყოველგვარი ჩარევისაგან თავისუფალი მედიის არსებობისაკენ. გავიხსენოთ თუნდაც 2009 წლის საპროტესტო აქციები, როცა ოპოზიცია

ხელისუფლებისაგან მოითხოვდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საეთერო დროის განაწილებას პრინციპით - 50/50-ზე; ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, დროის ნახევარი უნდა დათმობოდა ხელისუფლების, ნახევარი კი - ოპოზიციის პოზიციასა და ინტერესს; საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში წევრთა ნახევარი ხელისუფლებას უნდა წარედგინა, ნახევარი - ოპოზიციას. არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია, რომლებიც დეკლარირებულად თითქოს საზოგადოების ინტერესებს გამოხატავდნენ, ფაქტობრივად, არ აცნობიერებდნენ, რომ მედია, მით უფრო საზოგადოებრივი ტელევიზია, საზოგადოებისაა და არა პოლიტიკოსების, იქნება ეს უმრავლესობა თუ უმცირესობა [თოფურია თ.].

XIX საუკუნის საფრანგეთის არა მხოლოდ პრესის, თანამედროვე საქართველოსთან პარალელს ბადებს ნიკო ნიკოლაძის მიერ დახასიათებული ოპოზიციის სახეც: "საფრანგეთში ოპოზიცია იგივე არ არის, რასაც ვხედავთ სხვა პარლამენტარულ ქვეყნებში, როგორიცაა, მაგალითად, ინგლისი ან ამერიკა... აქ თითქმის ყველა ოპოზიციაშია, მაგრამ ყველა ცალ-ცალკე, როგორც მოეპრიანება და როცა მოესურვება. ზოგჯერ დაჰკრავს ჟამი, როცა ყველა მოწინააღმდეგე, ერთი წუთით, საერთო და დიდი მრისხანების შედეგად ერთად ირაზმება. მაშინ თავს იჩენს კრიზისი ან რევოლუცია. მაგრამ დაამარცხებენ თუ არა მტერს, გამარჯვებულნი გაიფანტებიან და ერთმანეთს თმაში ეცემიან..." [ნიკოლაძე, 221].

"ფრანგული პრესის დეკადანსში" ნიკო ნიკოლაძე საფრანგეთის ისტორიის, თანამედროვეობისა და პრესაში არსებული რეალობის საუცხოო ცოდნას ამჟღავნებს; ამასთან, იგი "ფართე შტრიხებით" ხატავს "უცხოეთის პრესის ფიზიონომიას", რომ ამ ფონზე უკეთ გამოჩნდეს ფრანგული პრესის სახე. ის შესადარებლად იღებს სამი სხვადასხვა ტიპის პრესას - ინგლისურს, ამერიკულს და გერმანულს და თითოეულის ლაკონური დახასიათებით, ფაქტობრივად, აყალიბებს ზოგადად პრესის ფუნქციებს, რომლებიც დღესაც აქტუალურია.

ინგლისური პრესა **მიუკერძოებელია**, მისი მიზანია თავი მოუყაროს ცნობებისა და ინფორმაციების მრავალფეროვნებას, "მიუდგომლად და გულცივად აწონდაწონის ყველაფერი" და "არაფერი დაუმალოს საზოგადოებას" [ნიკოლაძე, 224]. ინგლისური პრესის მაგალითზე ნიკო ნიკოლაძე ასე განსაზღვრავს პრესის ფუნქციას: “პრესის ძალა აუცილებლად უნდა ემყარებოდეს არა ექსცენტრიულობისა და ფანტაზიის არა მყარ საფუძველს, არა ბანალურ ბრძოლათა წარმართულ ვნებებს, არამედ, მყარ საფუძველს

იმ მოთხოვნილებისა, რომელსაც საზოგადოება უყენებს პრესას: **ეროვნული ცნობიერების ყველა სფეროს კეთილსინდისიერი ინფორმაცია და ფართოდ გაშუქება**" [ნიკოლაძე, 225].

საყურადღებოა, რომ ინგლისური პრესის დასახასიათებლად ნიკო ნიკოლაძე იყენებს ტერმინს - **"გავლენიანი"**, რომელიც დღემდე გამოიყენება უპირველესად სწორედ სოლიდურ ინგლისურ მედიასაშუალებებთან მიმართებაში; ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა, სიზუსტე კი ის ძირითადი მახასიათებლებია, რომლითაც დღესაც გამოირჩევა ბრიტანული მედია და ჟურნალისტურ სახელმძღვანელოებშიც ეს პრინციპები უმთავრესად სწორედ ინგლისური მედიის მაგალითით განიხილება.

გერმანული პრესა, ნიკო ნიკოლაძის შეფასებით, ჯერაც არ არის მიღწეული "სიმწიფის" ასაკს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, "დარწმუნებული პედაგოგის" იერით ცდილობს "ასწავლოს, **გაანათლოს თავისი მკითხველი"** [ნიკოლაძე, 225]**.** შედეგად, გერმანელი მკითხველი თანდათან ვითარდება და პრესას ამ ქვეყანაში **პოლიტიკური აღზრდის ფუნქცია** ენიჭება.

ამერიკული პრესის ფუნქცია მკითხველის **ინფორმირებაა,** მას **"რეპორტიორის როლი"** აქვს მიკუთვნებული. ნიკოლაძე საინტერესო პარალელს ავლებს: "საქმიანი", "აჩქარებული", "მთლიანად მოქმედებაზე გადასული" ამერიკელი ხანგრძლივი მსჯელობისთვის ვერ იცლის და პრესაც მისი ცხოვრების სტილსაა მორგებული - ელექტროტელეგრაფის მოკლე და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ენით რაც შეიძლება მეტი ცნობები და ცხელ-ცხელი ამბები მიაწოდოს მას.

საყურადღებოა, რომ სწორედ ამერიკულ პრესასთან მიმართებაში იყენებს ნიკო ნიკოლაძე მარკეტინგულ ცნებებს - **"საქონელს"** (ხალხი ყიდულობს "ამ საქონელს", ანუ, ცნობებსა და ამბებს) და **"კლიენტურას"** (და არა "მკითხველს"): **"პრესას კი ყველაზე მეტად სურს მოიხვეჭოს თავისი კლიენტურის ნდობა, საქონლის ხარისხისა და მოწოდების სისწრაფით"** [ნიკოლაძე, 226].

ამგვარი ფონი ნიკო ნიკოლაძეს საშუალებას აძლევს უფრო კატეგორიულად დაასკვნას, რომ ფრანგულ პრესას აკისრია **"დაქირავებული ადვოკატის როლი".** "იგი შორსა დგას **პრესის მოსაზრებათა მიმართ ინგლისელი მკითხველის თავაზიანობისაგან, გერმანელი მკითხველის პატივისცემისაგან და ამერიკელი მკითხველის ნდობისაგან"** [ნიკოლაძე, 226].

ფრანგული პრესის "პორტრეტი" სრულყოფილი ვერ იქნებოდა მისი შემქმნელების - ჟურნალისტების დახასიათების გარეშე. ამ

გადასახედიდან რთული წარმოსადგენია, რა რეაქცია შეიძლებოდა ჰქონოდა ფრანგულ საზოგადოებას (და საკუთრივ ჟურნალისტებს) ნიკო ნიკოლაძის მძაფრ შეფასებებზე, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია თანამედროვე "ქართული რეაქცია", თუ ვიტყვით, რომ ნიკოლაძის მიერ გამოკვეთილი ჟურნალისტის რამდენიმე ტიპი თითქოს დღევანდელი ქართული რეალობიდანაა აღებული.

ჟურნალისტი-მრჩეველი, თუ იგი გარკვეული ნიჭითაც არის დაჯილდოებული, მკითხველ საზოგადოებას ისე აღაგზნებს მისი აზრის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, რომ იგი "უსაზღვროდ გადაჭარბებულ მნიშვნელობას მიაწერს მას და ამ მოხერხებული მრჩევლის მიერ რეკომენდირებული გადაწყვეტილებების იქით ვეღარაფერს ხედავს" [ნიკოლაძე, 222].

ჟურნალისტი-ტაქტიკოსის ერთადერთი მიზანია "პოლიტიკური ცხოვრების ფაქტები და მოვლენები რაც შეიძლება მარჯვედ შეატრიალოს ისე, რომ თავის გაზეთს სარგებელი მოუტანოს... მას მთელი არსენალი აქვს ყველა ჯურის "სასარგებლო და საწინააღმდეგო" არგუმენტებისა, რომელთა დახმარებით **მას შეუძლია დღეს თეთრად მოგაჩვენოს ის, რასაც გუშინ შავად ასაღებდა**" [ნიკოლაძე, 222].

ჟურნალისტი-რეკლამა, ჟურნალისტი-მოდის შემომტანი მხოლოდ იმაზე ლაპარაკობს, რაც დავალებული აქვს; იგი ჯერ მოყვება პატარა ამბავს, უმნიშვნელოსა და გულუბრყვილოს, მეორე დღეს დაუბრუნდება ამ ამბავს, დაუმატებს წვრილმანებს და მარჯვედ შემოაპარებს ფირმის მისამართსა და ნომერს, "ოსტატურად დაურთავს ყოველგვარ სიკეთეს და საქმეც გაკეთებულია".

ნიკო ნიკოლაძე ჯეროვან პატივს მიაგებს იმ ნიჭიერ, უაღრესად პატიოსან და გულწრფელ ჟურნალისტებს, რომლებიც მთელ სიცოცხლეს სწირავენ "საქმეს, რომელიც მართალი ჰგონიათ, ან იმ აზრს, რომელიც მართლაც მათი საკუთრებაა. მაგრამ ესენი იმდენად იშვიათნი არიან, რომ იკარგებიან უვიცსა და გულგრილ, უბადრუკ მჯღაბნელების ბრბოში, რომლებიც ჭიაღუასავით ახვევია ყველა გაზეთს" [ნიკოლაძე, 223].

ნიკო ნიკოლაძე **"ჟურნალიზმის ნამდვილ ბედუკუღმართობას"** უწოდებს იმ გარემოებას, რომ გაცილებით მეტნი არიან ისინი, ვინც "ჟურნალისტის ნამდვილ ტიპს" წარმოადგენენ, ვინც **თავს ვალდებულად თვლის შეალამაზოს სინამდვილე, დაფაროს, შენიღბოს. მათი დევიზია - "ყველა სიმართლე არ უნდა ითქვას!"** [ნიკოლაძე, 224].

პუბლიცისტი საგანგებო ყურადღებას ამახვილებს ჟურნალისტის პასუხისმგებლობაზე, რომელსაც კალმის სახით

ძლიერი იარაღი აქვს ხელთ და იპყრობს ცდუნება თავი მქადაგებლად ჩათვალოს. ამგვარ ცდუნებასთან გამკლავება კი ძნელია და ხშირად ჟურნალისტის კალმის მსხვერპლნი ხდებიან "თვით უძლიერესი გონების ადამიანები". ნიკო ნიკოლაძე სათქმელს უფრო ამძაფრებს იმ გარემოების ხაზგასმით, რომ უმეტესად გაზეთების განკარგულებაშია ექვსიოდე ისეთი ადამიანი, რომლებსაც არავითარი პროფესია არ გააჩნიათ. **"მათ ვერ შეუსწავლიათ, ან არ მოუსურვებიათ შეესწავლათ რაიმე ხელობა. გაზეთში დამკვიდრებულან, ვითარცა სარწმუნოების მქადაგებელნი"** [ნიკოლაძე, 222].

"ფრანგული პრესის დეკადანსის" მიმოხილვას დავასრულებთ ნიკო ნიკოლაძის რჩევით ფრანგული პრესისადმი, რაც, ვფიქრობთ, სრულად გამოხატავს პრესის, როგორც "მეოთხე ხელისუფლების" ცნების მცდარად აღქმის ტენდენციას და ზუსტად მიესადაგება დღევანდელ ჩვენს რეალობას: "პრესას მხოლოდ ერთი გზა დარჩენია - უარი თქვას ყოველგვარ პატარ-პატარა პოლიტიკურ ხრიკებზე, დაივიწყოს მთელი თავისი ინტრიგები და ცილისწამებანი, თავიდან მოიშოროს არაკეთილსინდისიერება და პრეტენზიები, ერთი სიტყვით, **აღარ იფიქროს, რომ მისი ამოცანაა** საფრანგეთის **საზოგადოებრივი აზრის "მართვა". ეს ამოცანა აშკარად აღემატება მის ძალებსა და დანიშნულებას**" [ნიკოლაძე, 232].

მითითებული ლიტერატურის სია:

1. ბალზაკი, ო., შაგრენის ტყავი. პალიტრა L. თბილისი, 2010.
2. ნიკოლაძე, ნ., ფრანგული პრესის დეკადანსი. ქრესტომათიაში "ქართული პუბლიცისტიკა" (რედაქტორ-შემდგენელი დ. ჩიკვილაძე), თბილისი, 2007.
3. თოფურია, თ., ლამპის ეპოქაში დაბრუნებული მედია, სახე(ლ)ები 2008-2009".
4. http://sakhelebi.ge/?page=media&lang=geo&id=43 (მოძიებულია 20.06.2013).

ლ. კუტუბიძე-ზუბაშვილი

ნიკო ნიკოლაძის „ფრანგული პრესის დეკადანსის“ თანამედროვე დისკურსი

რეზიუმე

1875 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე ბროშურად გამოცემული ნიკო ნიკოლაძის "ფრანგული პრესის დეკადანსი" მრავალმხრივ საყურადღებო პუბლიცისტური ნაშრომია, რომელიც ბევრი რამით ეხმიანება თანამედროვე საზოგადოებისა და პრესის პრობლემებს. ავტორი ყურადღებას ამახვილებს პრესის გავლენაზე და განიხილავს მკითხველზე გაზეთის ზემოქმედების რამდენიმე ასპექტს; დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, საუბარია მედიის გავლენაზე, რომლის შესწავლა არათუ 138 წლის წინათ, დღესაც ახალ მიმართულებად ითვლება.

საფრანგეთის ისტორიისა და იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ცოდნა ნიკო ნიკოლაძეს საშუალებას აძლევს წარმოაჩინოს, როგორ იქცა პრესა ხელისუფლებისათვის ბრძოლის იარაღად, როგორ მიაქანებდა მას ორი მიმდინარეობა ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულებით (ხელისუფლებისა და ოპოზიციისაკენ). სტატიაში ასახული ფრანგული რეალობა ბევრი რამით ეხმიანება საქართველოს თანამედროვე ვითარებას.

ფრანგული პრესის სახე რომ უფრო სრულყოფილად წარმოაჩინოს, ნ. ნიკოლაძე შესადარებლად იღებს სამი სხვადასხვა ტიპის პრესას - ინგლისურს, ამერიკულს და გერმანულს და თითოეულის ლაკონური დახასიათებით, ფაქტობრივად, აყალიბებს ზოგადად პრესის ფუნქციებს, რომლებიც დღესაც აქტუალურია.

L. Kutubidze - Zubashvili

Modern Discourse of 'French Press Decadence' by Niko Nikoladze

Summary

The journalistic paper 'French Press Decadence' by Niko Nikoladze, published in 1875 in Paris, is a very interesting work that responds to the modern society and press issues. The author focuses his attention on the press influence and discusses several aspects of newspaper influence on the reader. If we use modern terminology, it concerns media influence, the study of which was considered a new direction not 138 years ago, but is still considered to be.

Knowledge of the history and social and political life of France, gave Niko Nikoladze the chance to show how press had become the strong weapon in the hand of the government, how it was led by two movements in two adversarial directions (government and opposition).

French reality, described in the article, has much in common with the current situation in Georgia.

In order to highlight the image of French press, Niko Nikoladze compares three different types of press: English, American and German and via brief characterization of each of them, ascertains the functions of press in general, which are actual even today.

ზურაბ ლაოშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ტურიზმის უსაფრთხოების გეოინფორმაციული სისტემა

ტურიზმის, როგორც XX საუკუნის სოციალურ-ეკონომიკური ფენომენის აქტუალობა, მიმდინარე ეტაპზე, კიდევ უფრო მზარდ ხასიათს იღებს. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (მტო) ექსპერტების მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგების თანახმად 2020 წლისათვის საერთაშორისო ტურისტების რიცხვი მიაღწევს 1.6 მილიარდს, ხოლო აქედან მიღებული შემოსავლები 2 ტრილიონ დოლარს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ იმავე პერიოდისათვის მსოფლიო ტურისტული ბაზრის თითქმის 75%-ს დაიკავებს ევრაზიული სივრცე, რაც სავსებით კონკრეტულ ტურისტულ პერსპექტივებს უსახავს ამიერკავკასიას – როგორც რეგიონს, და საქართველოს – როგორც სახელმწიფოს, შესაბამისი გეო-პოლიტიკითა და გეო-სტრატეგიით.

ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი უსაფრთხოება. სახელმწიფო დონეზე დარგის დაგეგმვა უნდა ეყრდნობოდეს მონაცემებს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. მათი ეფექტიანად გამოყენების მიზნით საჭიროა შეიქმნას ქვეყნის ტურიზმის უსაფრთხოების გეოინფორმაციული სისტემა,* რომელიც ხელს შეუწყობს უსაფრთხოების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას .

ტურისტი მუდმივად იმყოფება საშიშროების რისკის ქვეშ, რადგან უმეტესწილად მას უცხო გარემოსთან უხდება ურთიერთობა. რისკების შემცირების მიზნით აუცილებელია იგი მაქსიმალურად ინფორმირებული იყოს მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ. უნდა იცოდეს მათგან თავის არიდების რეკომენდაციები, ამა თუ იმ მარშრუტზე ქცევის ნორმები და ა.შ. ამ ინფორმაციის ოპერატიულად დამუშავება და მიღება შესაძლებელია გის-სისტემების დახმარებით. მას შეუძლია კონკრეტული მარშრუტის სარეკომენდაციო თემატური რუკების გენერირება საშიში ადგილების ჩვენებით.

ტურიზმის უსაფრთხოება რისკების დონეზე ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება განვიხილოთ, რაც შესაბამის ასახვას ჰპოვებს

---

* გეოინფრომაციული სისტემა (გის) სივრცეში განთავსებული მონაცემების შეგროვების, სისტემატიზაციის, შენახვის, ანალიზის და ვიზუალიზაციის თანამედროვე საშუალებაა, რომელიც გეომონაცემთა ბაზებს და ციფრულ (კომპიუტერულ) რუკებს ეყრდნობა.

გსი-ის სტრუქტურაში. პირველი ჯგუფი ტურისტის უსაფრთხოებას და მისი ქონების დაცვას ეხება. მეორე კი – ტურისტული მარშრუტის უსაფრთხოებას, რაც გულისხმობს ბუნების (გარემოს), ნივთიერი და სულიერი ძეგლების დაცვას.

ამჯერად მხოლოდ პირველ ჯგუფს შევეხებით, სადაც რამდენიმე რისკის ჯგუფი გამოიყოფა:

1. გეოპოლიტიკური რისკები;
2. ბუნებრივ-ლანდშაფტური რისკები;
3. სამედიცინო რისკები;
4. სანიტარულ-ჰიგიენური რისკები;
5. სოციალური რისკები.

1. გეოპოლიტიკური რისკები.

ტურისტული თვალსაზრისით გეოპოლიტიკური რისკები თანამედროვე მსოფლიოს ბევრ რეგიონში არსებობს. თუმცა სახელმწიფოს ასეთ შემთხვევაშიც შეუძლია მეტნაკლებად უზრუნველყოს ტურიზმის უსაფრთხოება. მაგალითისთვის იერუსალიმის ტერიტორიაც კმარა.

გეოპოლიტიკური რისკები შეიძლება იყოს ხანგრძლივი და დროებითი. პირველი მათგანი განპირობებულია სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული დღემდე გადაუჭრელი სამხედრო კონფლიქტებით. ამის კლასიკური მაგალითია ისრაელ-პალესტინის ტერიტორია. მიუხედავად ამისა, კონფლიქტში მონაწილე სახელმწიფოები ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე ცდილობენ ტურისტულ-რეკრეაციულ ზონაში (მაგალითად, იერუსალიმი) მაქსიმალურად შეინარჩუნონ სიმშვიდე და უზრუნველყონ ტურისტების უსაფრთხოება.

დროებითი ანუ სტიქიური რისკები შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურმა ან სოციალურმა ცვლილებებმა. ამის ნათელი მაგალითია ეგვიპტე, სადაც გასულ წლებში სამოქალაქო ომმა ტურისტული ჯგუფები მნიშვნელოვანი საშიშროების წინაშე დააყენა.

საქართველოში ასეთ რეგიონებს ოკუპირებული ტერიტორიები (აფხაზეთი და სამაჩაბლო) და ჯავახეთის ნაწილი წარმოადგენს.

გეოინფორმაციულ სისტემებში აღნიშნული უნდა იქნას კონფლიქტის საზღვრები ბუფერული ზონებით და ცხელი წერტილები შესაბამისი გეომონაცემებით (კონფლიქტში მონაწილე მხარეები, კონფლიქტის ხნოვანება, კონფლიქტის რეგულირება, არსებული

ვითარება, ბუფერულ ზონაში მოქცეული ტურისტულად საინტერესო ობიექტები და სხვა).

საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებულ პირს ან ორგანიზაციას შეუძლია მიიღოს ინფორმაცია, როგორც ციფრული ისე ამობეჭდილი სარეკომენდაციო რუკების სახით.

2. ბუნებრივ-ლანდშაფტური რისკები

გაცილებით მრავალფეროვანია ბუნებრივ-ლანდშაფტური რისკების სპექტრი. აქ შეიძლება გამოიყოს შემდეგი მოსალოდნელი საფრთხეები:

1. სტიქიური ბუნებრივი პროცესები:
   - წყალმოვარდნა,
   - თოვლის ზვავი,
   - კლდეზვავი,
   - ქვათაცვენა,
   - მეწყერი,
   - ღვარცოფი,
   - სეტყვა.
2. ცოცხალი სამყარო:
   - მტაცებელი ცხოველები,
   - ქვეწარმავლები,
   - გაუვალი ტყე,
   - ჭაობი.
3. რთული რელიეფი

აღნიშნული რისკები შეიძლება იყოს მუდმივი (მაგ., გაუვალი ტყე ან მტაცებელი ცხოველები) და სეზონური (მაგ., წყალმოვარდნა, თოვლის ზვავი, ქვეწარმავლები და სხვა).

ტურიზმის უსაფრთხოების გეოინფორმაციულ სისტემაში თითოეული ზემოაღნიშნული საფრთხეები უნდა განთავსდეს ცალკეული თემატური ფენების სახით. ისინი შეიძლება გამოისახოს ხაზოვანი (მაგ., წყალმოვარდნის საშიშროების ქვეშ მყოფი მდინარის მონაკვეთები) და პოლიგონური (მაგ; გიურზას გავრცელების არეალები) სახით.

თითოეული თემატური ფენა უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას საფრთხის შესახებ. მაგ., ზვავების ფენის (გრაფიკულად წარმოდგენილი იქნება ზვავსაშიში არეალების და გადაადგილების ვექტორის სახით) მონაცემთა ატრიბუტულ ცხრილში განთავსებული უნდა იყოს შემდეგი სივრცითი და თემატური ინფორმაცია:

გეოგრაფიული მდებარეობა, ადმინისტრაციული მდებარეობა, ზვავსაშიში* ფერდობის ფართობი, კოორდინატები, მოქმედების ვადები (რომელი თვიდან რომელ თვემდე წარმოადგენს საფრთხეს), გადაადგილების აზიმუტი, თოვლის საფარის საშუალო სიმძლავრე, საფრთხის სახე, მასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევები, კომუნიკაციების შესაძლებლობა და ხარისხი, უახლოესი სამაშველო სამსახურები მისამართის მითითებით და სხვა.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი. გიურზას გავრცელების არეალების თემატური ფენის მონაცემები შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ: გეოგრაფიული მდებარეობა, ადმინისტრაციული მდებარეობა, არეალის ფართობი, კოორდინატები, პოპულაციის რაოდენობა, საფრთხის ვადები, საფრთხის სახე, საფრთხის საწინააღმდეგო საშულებები, უახლესი სამედიცინო დაწესებულებები მისამართის მითითებით, რეკომენდაციები და სხვა.

3. სანიტარული რისკები

სანიტარულ რისკებს შეიძლება მივაკუთვნოთ გაჭუჭყიანებული გარემო (ნაგავსაყრელები, ნაგვის კერები, გაჭუჭყიანებული წყალი და სხვა). ასეთი ადგილები ტურისტების მოწამვლისა და სხვადასხვა დაავადებების გაჩენის კერა შეიძლება იყოს.

გეოინფორმაციულ სისტემაში უნდა განთავსდეს გაჭუჭყიანების კერები და გაჭუჭყიანებული არეალები შესაბამისი სივრცითი და თემატური ინფორმაციით. კერძოდ, გაჭუჭყიანების წყარო კოორდინატების მითითებით, გაჭუჭყიანების მასშტაბები, გამომწვევი მიზეზი, საფრთხის სახეები, არეალის ფართობი, უახლესი სამედიცინო დაწესებულებები მისამართის მითითებით, რეკომენდაციები და სხვა.

4. სოციალური რისკები

სოციალური რისკები რეგულირებადია, თუმცა მასაც ჭირდება შესწავლა და გის სისტემაში განთავსება. ასეთ რისკებს მიეკუთვნება:

1. ტერაქტები;
2. კრიმინოგენური ვითარება;
3. ადგილობრივი ტრადიციების პატივისცემა.

გეოინფორმაციულ სისტემაში განთავსდება წერტილოვანი (სამართლდამცავი ორგანოები) და პოლიგონური (ადგილობრივი ტრადიციების გავრცელების, ტერაქტების, კრიმინოგენური

---

* მონაცემთა ატრიბუტული ცხრილი გის-ის თემატური ფენის მონაცემთა ბაზას წარმოადგენს. მასში სტრიქონი შეესატყვისება სივრცით ობიექტს, ხოლო სვეტი საინფორმაციო ველებს.

თვალსაზრისით დაძაბული არეალები) თემატური ფენები შესაბამისი ინფორმაციით (არეალის გეოგრაფიული და ადმინისტრაციული მდებარეობა, საფრთხის სახე და მასშტაბები, რეკომენდაციები და სხვა).

5. სამედიცინო რისკები

სამედიცინო რისკებს მიეკუთვნება სხვადასხვა სახის ეპიდემიები (მაგ., გრიპი). გეოინფორმაციულ სისტემაში უნდა განთავსდეს ეპიდემიის კერა, გავრცელების არეალები, გამავრცელებლები (მაგ., ქათმის გრიპის შემთხვევაში მიზანშეწონილია გადამფრენი ფრინველების ტრასების დატანა), სამედიცინო დაწესებულებები და სხვა. გეომონაცემთა ბაზებში უნდა ინახებოდეს ინფორმაცია პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნული მონაცემებისა ტურიზმის უსაფრთხოების გის-ში სხვადასხვა წერტილოვანი თემატური ფენების სახით განთავსდება თავშესაფრები, მწყემსების სადგომები და საველე ექსპედიციების დროებითი ბაზები, მეტეოროლოგიური სადგურები და სხვა. ექსტრემალურ სიტუაციაში ისინი თავშესაფრად შეიძლება გამოიყენონ.

მონაცემთა ძიება განხორციელდება სპეციალური საძიებო სისტემით, რომელშიც ინფორმაცია თემატურ ბლოკებში იქნება გაერთიანებული (სურ. 1). იგი მომხმარებელს საშუალებას მისცემს მიიღოს უსაფრთხოების თვალსაზრისით საინტერესო ნებისმიერი ინფორმაცია კონკრეტულ ტურისტულ ობიექტზე თუ მარშრუტზე. მონაცემთა ბაზებში ასევე განთავსებული იქნება ობიექტის ტურისტულ-რეკრეაციული შინაარსის მონაცემები.



სურათი 2. მონაცემთა საძიებო სისტემის „ინტერფეისი“

საძიებო სისტემის დახმარებით შესაძლებელი იქნება მარშრუტის საშიში მონაკვეთების მონიშვნა, რომელიც სეზონების მიხედვით განსხვავებული იქნება.

თითოეული მარშრუტი ან საფრთხის თემატური ფენა ასევე აღჭურვილი იქნება შესაბამისი სარეკომენდაციო პაკეტით. თოთოეულ ობიექტზე იქნება შემდეგი სახის რეკომენდაციები: აღჭურვილობა, სასმელ-საკვები, ქცევის წესები და პირველადი რეაგირება.

აღჭურვილობა, განსაკუთრებით ექსტრემალურ ტურებზე, უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სისტემას შეუძლია სეზონების, მოსალოდნელი ამინდის და არსებული რისკების გათვალისწინებით თოთოეულ მარშრუტზე რეკომენდაცია გაგვიწიოს აუცილებელი აღჭურვილობის ვარიანტებზე. არჩევანი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე გაკეთდება, თუცა შესაბამისად პროპორციულად შეიცვლება უსაფრთხოების ხარისხიც.

ასევე მნიშვნელოვანია თითოეულ მარშრუტზე საკვების და სასმელი წყლის საკითხიც თუკი მარშრუტი ამის აუცილებლობას მოითხოვს. სისტემა შემოგვთავაზებს აუცილებელ ოპტიმალურ რაციონს და რაოდენობას. ასევე სათადარიგო მარაგს. ეს ყველაფერი ასაკობრივ ჯგუფებზეც არის დამოკიდებული და მონაცემთა ბაზებში ესეც იქნება გათვალისწინებული. საჭიროა მხოლოდ შესაბამის გრაფაში ტურისტის ასაკის მითითება.

ამა თუ იმ ტიპის მარშრუტზე გადაადგილების წესები განსხვავებულია. ისინი სეზონების და ამინდის მიხედვით ცვალებადია. რეკომენდაციები რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

რეკომენდაციების წინადადებები სისტემაში განთავსებული იქნება როგორც ტექსტური, ისე გრაფიკული მასალით (რუკების და სქემების სახით).

უსაფრთხოების გეოინფორმაციული სისტემის შესაქმნელად საჭიროა მისი კონცეფტუალური სქემის დამუშავება. წარმოგიდგენთ მის ძირითად საკითხებს:

1. სამუშაო ჯგუფების ფორმირება;
2. სამეცნიერო კვლევა;
3. მონაცემთა სისტემატიზაცია და ანალიზი;
4. უსაფრთხოების გის-ის სტრუქტურის დამუშავება;
5. ციფრული საფუძვლების ორგანიზება;
6. თემატური ფენების დიგიტალიზაცია (აციფრვა);
7. გეომონაცემთა ბაზების ორგანიზება;
8. მონაცემთა შევსების ფორმების შექმნა და მონაცემთა შევსება;
9. საძიებო-ანალიტიკური პროგრამის შექმნა;
10. ტურიზმის უსაფრთხოების ინტერაქტიური ვებრუკის შექმნა;
11. უსაფრთხოების სანავიგაციო რუკების შექმნა.

სისტმის შესაქმნელად აუცილებელია სპეციალური სამეცნიერო კვლევების ჩატარება, რომელიც დაეფუძვნება, როგორც არსებულ ლიტერატურულ და კარტოგრაფიულ წყაროებს, ისე საველე ექსპედიციებს. მოპოვებული მონაცემების დახარისხება, სისტემატიზაცია და ანალიზი მოხდება შესაბამისი დარგის მეცნიერების მონაწილეობით გის-ის ექსპერტებისა და გეომონაცემთა ბაზების სპეციალისტების მიერ. შემუშავდება მონაცემთა ურთიერთ კავშირების და სისტემის მუშაობის ალგორითმები.

ტურიზმის უსაფრთხოების გის-ის სტრუქტურა სქემატურად შეიძლება წარმოვიდგინოთ (სურ. 2).



სურ. 1. ტურიზმის უსაფრთხოების გის-ის სტრუქტურა

მონაცემები მუდმივად განახლებადი უნდა იყოს. მათი ოპერატიული განახლება განხორციელდება სხვადასხვა წყაროებიდან (ადგილობრივი თვითმმართველობები და ტურისტული საინფორმაციო ცენტრები, სამეცნიერო დაწესებულებები, ცალკეული ექსპედიციები და სხვა). მონაცემთა განახლებისათვის გამოყენებული იქნება აერო და კოსმოსური სურათებიც.

სისტემის გამართულად ფუნქციონირება და მონაცემთა განახლება სისტემის მართვის ჯგუფის კომპეტენცია იქნება. იგი დაკომპლექტდება გის ოპერატორებისაგან, გის პროგრამისტისაგან, გის კარტოგრაფებისაგან, გის ექსპერტისგან, მონაცემთა ბაზების სპეციალისტისაგან, რედაქტორ-კორექტორებისაგან. მის გამართულად ფუნქციონირებას უზრუნველყოფს სისტემური ადმინისტრატორი.

ძირითადი პერსონალის გარდა ტურიზმის უსაფრთხოების სისტემას მომსახურებას ასევე გაუწევენ შესაბამისი დარგის მოწვეული სპეციალისტები (გეოგრაფები, გეოლოგები, კლიმატოლოგები, ბიოლოგები, სამაშველო სამსახურის სპეციალისტები, ექიმები და

სხვა), რომლებიც ახალი მონაცემების საიმედოობას და იდენტურობას გაუწევენ ექსპერტიზას.

ტურიზმის უსაფრთხოების სისტემის ძირითადი მომხმარებელი იქნება შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურა (მაგ., ტურიზმის დეპარტამენტი, ტურისტული სააგენტო), რომლებიც მას ტურიზმის დაგეგმვასა და მართვისთვის გამოიყენებენ. სავარაუდოდ, სისტემა სწორედ ტურიზმის დეპარტამენტში იქნება დანერგილი. მონაცემთა ნაწილი მომხმარებლისთვის უფასო იქნება, ნაწილი კი – ფასიანი.

თავისთავად ცხადია, უსაფრთხოების კუთხით სივრცითი ინფორმაცია გამოადგებათ კერძო ტურისტულ ფირმებს და სააგენტოებს, რომლებიც გაუმჯობესებენ ტურისტული მარშრუტების და ჯგუფების უსაფრთხოებას. მისი გამოყენება, ძირითადად ვებ-რუკის სახით, შესაძლებელია კერძო პირების მიერაც. სისტემა დიდ დახმარებას გაუწევს სამაშველო სამსახურებსაც.

სისტემის ფუნქციონირების შედეგები მრავალწახნაგოვანია:

1. ხელს შეუწყობს ტურიზმის დაგეგმვას;
2. გაუმჯობესდება ტურების დაგეგმვა;
3. გაუმჯობესდება ტურისტული სააგენტოების სერვისის ხარისხი;
4. შემცირდება საფრთხის რისკი;
5. შემცირდება უბედური შემთხვევების რიცხვი;
6. უფრო ეფექტური გახდება სამაშველო სამსახურების რეაგრება.

ტურიზმის უსაფრთხოების გის-ის ბაზაზე შეიქმნება ინტერაქტიული ვებ-რუკა. იგი ნებისმიერ მომხმარებელს საშუალებას მისცემს, მიიღოს ოპერატული სივრცითი ინფორმაცია კონკრეტულ მარშრუტის უსაფრთხოების ნორმებზე. მონაცემთა ბაზებში არსებული გეომონაცემების ანალიზის საფუძველზე მომხმარებელი მოახდენს თემატური რუკების, გრაფიკების, დიაგრამების და ტიპიური ანგარიშების გენერირებას. მომხმარებელს გაუადვილდება მარშრუტების დაგეგმარება.

უსაფრთხოების სანავიგაციო რუკები კი მარშრუტზე უზრუნველყოფენ უსაფრთხოების მოთხოვნებს და ექსტრემალურ სიტუაციაში ტურისტულ ჯგუფებს დახმარებას გაუწევენ, ოპერატიულად გამონახონ რაციონალური გამოსავალი.

სამწუხაროდ, საქართველოში უბედური შემთხვევები, განსაკუთრებით ექსტრემალურ მარშრუტებზე, არც თუ იშვიათია. ტურიზმის გის-სისტემა მინიმუმამდე დაიყვანს რისკებს და გაუმჯობესებს სამაშველო სამსახურების მუშაობის ეფექტურობას.

მითითებული ლიტერატურის სია:

1. არაბული კ. დაგეგმვის საფუძვლები ტურიზმში. ტურიზმის მენეჯმენტის ცენტრი. თბილისი, 2010.
2. არაბული კ. ტუროპერეიტინგის საფუძვლები. ტურიზმის მენეჯმენტის ცენტრი. თბილისი, 2010.
3. მეტრეველი მ. ტურიზმი და გარემოს დაცვა (ეკოტურიზმის საფუძვლები). თბილისი, 2008.
4. მეტრეველი მ. ტურიზმის ბიზნესი (ინდუსტრია, მენეჯმენტი, მარკეტინგი) და გარემოს დაცვა. თბილისი, 2008.
5. ოქროცვარიძე ა., ვადაჭკორია მ., ოქროცვარიძე ლ. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი. თბილისი, 2011.
6. Mansfeld Y. Pizam A. Tourism Security and Safety (theory to practice). Burlington, 2006.
7. Буйленко В. Ф. Основы профессиональной деятельности в туризме и экотуризме. Ростов н/Д, 2009.
8. Сапронов Ю.Г. Занина И. А. Безопасность жизнедеятельности: обеспечение безопасности в туризме и туристской индустрии. Ростов н/Д, 2009.

ზ. ლაოშვილი

ტურიზმის უსაფრთხოების გეოინფორმაციული სისტემა

რეზიუმე

ტურიზმის განვითრების ხელშეწყობისათვის აუცილებელია მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ტურისტს უცხო გარემოში მრავალი საფრთხე ემუქრება. ეს ტურიზმის თანმხლები მოვლენაა. უბედური შემთხვევების მინიმუმამდე შემცირებისა და უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა არსებობდეს ტურიზმის უსაფრთხოების გეოინფორმაციული სისტემა. მასში თავმოყრილი იქნება სივრცითი და თემატური ინფორმაცია საშიშროების რისკებისა და მათგან თავის დაცვის რეკომენდაციების შესახებ. იგი ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით თემატური რუკებისა და ტექსტის სახით შემოგვთავაზებს მარშრუტის მაქსიმალურად უსაფრთხო ვარიანტს.

ტურიზმის უსაფრთხოების გის-ის გამოყენება გააუმჯობესებს ტურისტული სააგენტოების მომსახურებას და უფრო ოპერატიულს და ეფექტურს გახდის სამაშველო სამსახურების საქმიანობას. სისტემის ერთ-ერთი შედეგი იქნება ინტერაქტიული ვებ-რუკა, რომელიც ტურისტს უსაფრთხო მარშრუტის დამოუკიდებლად დაგეგმვის საშუალებას მისცემს.

Z. Laoshvili

Tourism Security Geo-information System

Summary

In order to develop tourism in Georgia, it’s necessery to ensure its safety. In foreign environment tourists are in danger and this is an event, accompaning tourism development. To minimize the reduction of accidents and improve the safety measures, we need to create the GIS safety system.

This system will include thematic and spatial information and recomedations how to avoid dangers and risks.This system with thematic maps and texts will offer the safest version of route that will be based on the operetaive information.

Using the GIS safety system will improve a service of touristic firms and the rescue operations will be more effective and operative. One of the results of this system will be the intelectual web map that will help tourist to plan the safe routes independently.

გივი ლობჟანიძე
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

ნიკო ნიკოლაძის ზოგიერთი მოსაზრება სასამართლოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ

თავის სახელოვან შვილთა შორის ქართველი ხალხი ყოველთვის სიამაყის გრძნობით ასახელებს ნიკო ნიკოლაძეს. მშობელი ერის ასეთი სიყვარული და სიმპათია მან თავის სიცოცხლეშივე დაიმსახურა ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელსა და გიორგი წერეთელთან ერთად, იგი სამოციანელთა ერთ–ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო.

ნ. ნიკოლაძე, უპირველეს ყოვლისა, დიდი ეროვნული მოღვაწეა, იგი როგორც პუბლიცისტი და კრიტიკოსი გასცდა ეროვნულ საზღვრებს და რუსული და ევროპული აზროვნების ასპარეზზე გავიდა, როგორც ფართო ერუდიციის მოაზროვნე და მებრძოლი სულისკვეთებით აღჭურვილი პიროვნება (გამეზარდაშვილი, 3).

მისი თანამედროვე არჩილ ჯორჯაძე წერდა, ნ. ნიკოლაძე იმ ახალგაზრდათაგანი იყო, რომელმაც ზურგი შეაქცია სამოციან წლებში ძველ თაობას და ძველ საზოგადოებრივ წეს-წყობილებას. მისი აზრი, გრძნობა, მისწრაფება – სულ მომავლისაკენ იყო მიქცეული და მიმართული. ამისათვის იგი მკაცრ და მკვახე მსჯავრს სდებდა არამცთუ ძველ მოღვაწეებს, ახლებსაც და ხშირად ვერ ეწყობოდა და ვერ ურიგდებოდა თანამედროვე ახალ თაობას. „მოქმედმა, დაუღალავმა, შორსმჭვრეტელმა ნ. ნიკოლაძემ იმთავითვე შეიგნო ერთგვარი ცხოვრების ხასიათი, იგი სდევნიდა ყოველგვარ გაუბედაობას, ლაჩრობას, „სენტიმენტალობას“. ნ. ნიკოლაძის მკვახე სიტყვა ბევრს ჭკუაში არ მოსდიოდა, მისი „რეალიზმი“ აფრთხობდა და აშინებდა (ჯორჯაძე, 140). ამ სტრიქონებიდან ნათლად ჩანს ნიკო ნიკოლაძის პიროვნება, მისი პრინციპები, რაც უფრო თვალსაჩინოს ხდის მისი მოღვაწეობისა და პრაქტიკული საქმიანობის მნიშვნელობას.

დღევანდელ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ნიკო ნიკოლაძის მდიდარი პუბლიცისტური მემკვიდრეობა, რომელიც ქართული სახელმწიფოს მშენებლობის სხვადასხვა აქტუალურ პრობლემას ეხება (ლობჟანიძე, 288). მათ შორის ისეთ საჭირბოროტოს, როგორიცაა სასამართლო და სამართალწარმოება. მის მიერ ბევრი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული მართლმსაჯულების არსის, დანიშნულების, სახელმწიფოს ფორმირებაში ამ უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის როლის თაობაზე. მან რამდენიმე ვრცელი კრიტიკული წერილი მიუძღვნა 1864 წლის რუსეთის სასამართლო რეფორმას,

აგრეთვე სასამართლო პროცესის სრულყოფის საკითხებს. პრობლემათა შორის ნ. ნიკოლაძე გამოყოფს სასამართლო პროცესის მნიშვნელობას და მიიჩნევს, რომ დადგა დრო სწორედ სასამართლოს მიერ სამართლიანი, ობიექტური განაჩენის გამოტანის საჭიროებისა, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების გარანტი იქნებოდა. მისი აზრით, სამართლიანი სასამართლოს საჭიროება გულისხმობს არა მარტო პროცესში მონაწილეობის უფლებას და დასწრებას, არამედ მისი შედეგების განსაზღვრაში ხალხის აქტიურ ჩართულობას. მას აუცილებლად მიაჩნია პრესის დაშვება სასამართლო პროცესზე, რათა მოხერხდეს მისი ობიექტურად გაშუქება, რითაც ხელი შეეწყობა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. ამ პერიოდში ძალიან იყო შეზღუდული პრესის დაშვება სასამართლო სხდომებზე იმ მოტივით, ვითომ და არ მომხდარიყო ზეგავლენა სასამართლო გადაწყვეტილებაზე. როგორც თვითონ ნ. ნიკოლაძე მახვილგონივრულად მიუთითებს, ასე თუ ვიმსჯელებთ, პროცესზე ადვოკატისა და პროკურორის დასწრებაც უნდა აიკრძალოს, ვინაიდან მათაც შეუძლიათ იმოქმედონ გადაწყვეტილებაზეო.

ნ. ნიკოლაძე შეეხო სამედიატორო სასამართლოს მნიშვნელობასაც. მიაჩნდა, რომ სამედიატორო სასამართლომ რომ წარმატებით შეასრულოს დაკისრებული ფუნქცია, რაც საქმის ობიექტურად გარჩევაში მდგომარეობს, იგი უნდა იყოს დაკომპლექტებული კვალიფიციური, კომპეტენტური და ავტორიტეტული ადამიანებით. ასეთ შემთხვევაში ექნება ფასი მათ განაჩენს საზოგადოების თვალში.

ფელეტონში „გაკვრა-გამოკვრა“ ნ. ნიკოლაძე იხილავს მე-19 საუკუნის 70-იან წლებში წამოყენებულ მოსაზრებას - ევროპაში სამედიატორო სასამართლოს შექმნის შესახებ, რომლის დანიშნულება იქნებოდა სახელმწიფოთა შორის დავების გადაწყვეტა. საინტერესოა, რომ ნ. ნიკოლაძე უარყოფითად მოეკიდა ასეთი სასამართლოს ჩამოყალიბების იდეას ორი მიზეზის გამო: 1. არ არსებობს კანონმდებლობა, რომელსაც გამოიყენებს ეს სასამართლო და 2. შეუძლებელი იქნება სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, რადგან ნებაყოფლობით აუსრულებლობის შემთხვევაში იძულების საშუალება არ იქნება სახეზე.

ავტორის არგუმენტები, მართლაც რომ, საყურადღებოა, რადგან იმ პერიოდისათვის ნაადრევი იყო ასეთი ტიპის სასამართლოს შექმნა ზემოაღნიშნული და, ამასთან ერთად, სხვა ფაქტორების გამოც.

ნ. ნიკოლაძე ასევე იხილავს საქართველოში სამომრიგებლო სასამართლოების საქმიანობას და ყურადღებას ამახვილებს მათ ნაკლოვან მხარეებზე, რომელთაგან გამოჰყოფს სამომრიგებლო უბნების სიმცირეს: „მიუხედავად ჩინების“ ამ სიმრავლისა, ჩვენში ისე ცოტაა (იგულისხმება მოსამართლეები), რომ მომრიგებელ მოსამართლეებს თვეობით, ზოგჯერ წლობითაც უდევთ საქმეები. ძლიერ ხშირად განცხადების მიცემისას აღნიშნავენ ვადას სამ, ოთხ თვეს, ამდენივე დრო ინიშნება მოწმეების გამოძახებისა და დაკითხვისათვის, შემდეგ ამდენივე – ადგილზე შემოწმებისათვის; შეხედავ და წელიწადიც გასულა. მე უკვე აღარას ვამბობ გამომძიებლებზე“ (მეტრეველი, 163).

ნ. ნიკოლაძეს მხედველობიდან არ გამორჩენია სამომრიგებლო სასამართლოების სხვა ნაკლოვანებებიც. იგი აღნიშნავს: „თქვენ იცით, რომ ჩვენს ნიადაგზე გადმორგული იყო საკმაოდ ჯანსაღი მცენარე, რომელსაც ფესვების მნიშვნელოვანი ნაწილი შეეკვეცა გადმოტანის გასაადვილებლად“ (ნიკოლაძე, 1985, 539). ნ. ნიკოლაძე ყურადღებას ამახვილებს ისეთ პრობლემებზე, როგორებიცაა: მომრიგებელ მოსამართლეთა დანიშვნა, ნაცვლად არჩევისა, სამართალწარმოებაში ეროვნული ენის დაუცველობა, უწიგნური, ენის უცოდინარი თარჯიმნების მონაწილეობა პროცესში და ა.შ.

ნ. ნიკოლაძე ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, ვისი აზროვნებაც ენციკლოპედიურ ხასიათს ატარებდა, საინტერესოა, მისი შეხედულებანი რუსეთის იმპერიის სახელისუფლო პოლიტიკაზე, „როცა მთავრობა რეტროგრადული ხდებოდა, გაურბოდა მეცნიერებისა და აზროვნების პროგრესს, რაც მის წინააღმდეგ მიემართებოდნენ, ადრე თუ გვიან, მაინც ასუსტებდა და ბოლოს სრულიად იმარჯვებდა მასზე“ (ნიკოლაძე, 1984, 182). იგი კარგად ხედავდა, რომ რუსეთში მმართველობის როლი შესუსტებულია, ის აღარაა, რაც იყო ეკატერინე მეორისა და ნიკოლოზ პირველის დროს. უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა დიდი გავლენა იქონია რუსეთსა და მის პერიფერიებზე. ამის თაობაზე ნ. ნიკოლაძე წერს: „შეხედეთ, როგორი გარდაქმნები შეიტანა მის ცხოვრებასა და მდგომარეობაში მრეწველობამ, რკინიგზამ, ბეჭდვამ და თვითმმართველობამ“ (ნიკოლაძე, 1984, 187).

ნ. ნიკოლაძემ რუსეთის მთავრობას მმართველობის სისტემაში რეფორმების მისეული გეგმა შესთავაზა, სადაც ერთ-ერთ პრიორიტეტად არალეგალურ პოლიტიკურ პარტიათა ამნისტიას,

ბეჭდვის თავისუფლებას, სათემო თვითმმართველობის სფეროს გაზრდას ითვალისწინებდა (ნიკოლაძე, 1984, 193).

ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ადგილობრივი თვითმმართველობის გაფართოების უპირატესობის საკითხებს, სტატიაში „მოკლე მიმოხილვა მმართველობის სხვადასხვა ფორმათა“, რომელიც 1870 წლით თარიღდება, წერს: „დედამიწაზე ისეთი ერი არ მოიძებნება, რომელსაც თვითმმართველობა არ მოხდენოდეს. დააკვირდით ერის ზნეს და ცხოვრებას. თვითმმართველობის შემოღებიდან და შემოღების ათეული წლის შემდეგ: ყველაფერში შეამჩნევთ ცვლილებას და გაუმჯობესებას, ზრდას და გაძლიერებას, არა თუ მარტო საზოგადო საქმე ძლევით იმოსება, კერძო წევრებზედაც, მათ ზრდილობასა და ზნეზედაც ელვარებს თვითმმართველობა, ესე იგი, თავისუფლების შუქი“ (ნიკოლაძე, 1894, 108).

ნ. ნიკოლაძე ადგილობრივი თვითმმართველობის დანერგვას ამართლებს არა მარტო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი თვალთახედვით, არამედ იგი მიაჩნია წინაპართა მიერ დატოვებული ადათ-წესებისა და ზნეობრივი თვისებების გადარჩენის საშუალებად.

გარდა დასახელებული საკითხისა, ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს საქალაქო თვითმმართველობისა და მისი გაუმჯობესების პრობლემებს. სანამ ამ საკითხზე მისი შეხედულებების მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, აღვნიშნავთ, რომ ეს გამოჩენილი მოაზროვნე თვითონაც პრაქტიკულად მოღვაწეობდა ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში, კერძოდ, როგორც ქალაქ ფოთის თვითმმართველობის ხელმძღვანელი – მან 1894 წელს კენჭი იყარა და ფოთის მეოთხე სათათბიროს წევრად გავიდა, ხოლო იმავე წლის 25 ოქტომბერს ქალაქის თავად აირჩიეს. ინსტრუქციის თანახმად, ფუნქციონალური განაწილებით ქალაქისთავს ევალებოდა საერთო ხელმძღვანელობა, თანამდებობის პირთა საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი, გამგეობის წევრთა შორის საქმეების განაწილება, სათათბიროს დადგენილებათა შესრულებაზე კონტროლი, გუბერნატორის მითითებათა შესრულება, წლიური ბიუჯეტის შედგენა. ქალაქის შემოსავლების და კუთვნილი ქონების გამოყენების კონტროლი, კადრების შერჩევა და სხვა.

1907 წელს დაბეჭდილ ერთ-ერთ მოწოდებაში ჩამოთვლილია ის მიღწევები, რისი გაკეთებაც შეძლო და მომავალში აპირებდა ქალაქის

თვითმმართველობა: პორტის მკვდრეთით აღდგომა, ღვარსადენი სისტემის აგება, ელექტროგანათება, სატელეფონო ქსელი, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების შენობები, ცხენის რკინიგზა, სასაფლაოს მოწყობა, სამკურნალოსა და პოლიციის შენობები, ნახევარკაპიკიანი საფუთო გამოსაღები და ა.შ.

სამომავლოდ გასათვალისწინებელი იყო რიონის შეერთება არხით პორტთან, რკინიგზის საქონელზე ბაჟის დადება, ქალაქის საზოგადო ბანკის გახსნა, სამასწავლებლო სემინარიისა და ინსტიტუტის დაარსება, ჭაობების ამოშრობა და სხვა.

ფოთის საქალაქო თვითმმართველობა ნ. ნიკოლაძის მეთაურობით ნაყოფიერად საქმიანობდა 1912 წლამდე. რამდენადაც ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობა ფოთში ხალხისა და ჩვენი ქვეყნის პატრიოტთა მოწონებას იმსახურებდა, იმდენად იგი უფრო საეჭვო და მიუღებელი ხდებოდა მეფის მთავრობისათვის, რომელმაც ყალბი ბრალდების საფუძველზე, იგი გადააყენა თანამდებობიდან (გამეზარდაშვილი, 92) ხალხისა და ქალაქის თვითმმართველობის მხარდაჭერის წყალობით ნ. ნიკოლაძემ შეძლო შეთითხნილი ბრალდებების გაქარწყლება და საქმის ნამდვილი „მდგომარეობის“ გარკვევა (ნ. ნიკოლაძემ დამცველის აყვანაზე უარი თქვა და სასამართლოზე მისი გამოსვლა ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია პროცესის ისტორიაში). მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალაქისთავად აღარ დაბრუნებულა, მას შენარჩუნებული ჰქონდა ხელფასი, 1915 წელს კი იგივე თვითმმართველობის გადაწყვეტილებით დაენიშნა მუდმივი პერსონალური პენსია, რაც იმ პერიოდში და შემდგომშიც იშვიათად ხდებოდა. მის მიმართ ასეთი განწყობა მისივე მუხლჩაუხრელმა საქმიანობამ განაპირობა. იგი ქალაქის წამყვან მაორგანიზებელ ძალად გადაიქცა, ფოთის მოქალაქეები დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ სათათბიროს არჩევნებს. ხმოსანთა კონტიგენტი ყოველი არჩევნების დროს მეტ-ნაკლებად იცვლებოდა. შეუცვლელი მხოლოდ ნ. ნიკოლაძე იყო, რომელიც ათეული წლის განმავლობაში განაგებდა ქ. ფოთს, სათავეში ედგა დიდი მასშტაბის სამუშაოებს.

საქალაქო თვითმმართველობის ნიკოლაძისეული გეგმით საქალაქო თვითმმართველობის საბჭო უნდა დაკომპლექტდეს არა ეკონომიკური თანრიგების ან წოდებების მიხედვით, არამედ ეროვნული წარმომადგენელობის მიხედვით. გაზეთ „სიმართლის“ ერთ-ერთ სტატიაში, თითქოს ფოთის თვითმმართველობა სოციალ-ფედერალისტებისაგან შედგება და მათ ბუდეს წარმოადგენსო. „ფოთის გამგეობაში,-წერდა ნ. ნიკოლაძე, - მე გახლავართ მეთაური და

ფედერალისტი რომ არ ვარ, ფედერალისტებს რათ გავაბატონებდი? ვინც ფოთის ქალაქის გამგეობას ცოტა ოდნავ მაინც იცნობს, მან ჩინებულად იცის, რომ არც ერთი თანამდებობის პირს ნებას არ ვაძლევ სამსახურში შემოაპაროს რაიმე პარტიული, რწმუნებული თუ ნაციონალური მიდრეკილება. ყველასგან ვთხოულობ მარტო ერთგულ სამსახურს ქალაქის სასარგებლოდ“ (ნიკოლაძე, 20/1). ნ. ნიკოლაძის მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებიდან სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად სწორედ ასეთი მიდგომაა გასათვალისწინებელი თანამედროვე მმართველობის სისტემაში.

თავის წერილებში ნ. ნიკოლაძე ასაბუთებდა დემოკრატიული პრინციპების შემოღებასა და მტკიცედ დაცვას ადგილობრივ მმართველობაში. ამ მხრივ მეტად საინტერესოა მისი პოლემიკა გაზ „კავკაზთან“. ადგილობრივი მმართველობის ნაკლოვანებებს ნ. ნიკოლაძე მოხერხებულად წარმოაჩენდა სვანეთის აჯანყების განხილვისას.

ნ. ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ ადგილობრივი მმართველობის დაკომპლექტებისას უნდა შეირჩეს განვითარებული, გამოცდილი და ტაქტიანი ადამიანები, რათა ამ უკანასკნელებმა მხარდაჭერა და თანაგრძნობა გამოიწვიონ ადგილობრივ მოსახლეობაში.

ნ. ნიკოლაძემ ერთ-ერთმა პირველმა წამოაყენა იდეა, რომ საქალაქო თვითმმართველობას დაქვემდებარებოდა გამგებლობაში ქალაქის ყველა საქმე, რაც 1874 წელს შემოღებული თბილისის საქალაქო მმართველობის დებულებით ერთგვარად იზღუდებოდა. მაგალითად, თვითმმართველობის კომპეტენციაში არ შედიოდა ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სხვა საკითხები.

ნ. ნიკოლაძე აქტიურად მონაწილეობდა, აგრეთვე, თბილისის საქალაქო თვითმმართველობის საქმეებში. მისი დიდი მეცადინეობით და მონდომებით საქალაქო თვითმმართველობა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით წარიმართებოდა. ეს იყო: კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესება, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფერო, ტრანსპორტისა და შიდა საქალაქო საგზაო ქსელის მოწესრიგება, წყალმომარაგება, საკანალიზაციო გაყვანილობათა გაფართოება, ქალაქის პარკებისა და ბაღების კეთილმოწყობა და სხვა.

ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „ობზორის“ ცნობილ პროცესს, რომელიც 1878 წლის 5 დეკემბერს შედგა. ჯერ კიდევ ერთი წელიც არ იყო გასული გაზეთის დაარსებიდან, როცა მთავრობამ იგი ოპოზიციურ ორგანოდ მიიჩნია და მისი რედაქტორი პასუხისგებაში მისცა. პროცესზე ნ. ნიკოლაძის გაბედულმა სიტყვამ აღაფრთოვანა რევოლუციურად განწყობილი

ინტელიგენცია. „ნ. ნიკოლაძე პროცესზე ფაქტიურად წარსდგა არა როგორც ბრალდებული, არამედ როგორც ბრალმდებელი, რომელმაც პირდაპირ და აშკარად გაილაშქრა რუსეთის ცენზურის დრაკონული კანონების წინააღმდეგ“ (გამეზარდაშვილი, 82).

„პრესის შესახებ არსებული კანონები იმდენად არასრული, უთავბოლო, ურთიერთსაწინააღმდეგო და ცალმხრივია, რომ არა მარტო ჩვენ, ჟურნალისტებს, არამედ თვით ცენზურასაც უხდება მათი დარღვევა“ (ნიკოლაძე, 1984, 57).

პროცესზე ნ. ნიკოლაძის, როგორც დიდი იურისტის მიერ წარმოთქმული სიტყვა გაცდა თავის ვიწრო დანიშნულებას და ფართო მნიშვნელობის რევოლუციური გამოსვლის ხასიათი მიიღო მთელს იმპერიაში. ამ და სხვა პრინციპული პოზიციების გამო მას ხშირად სამშობლოს დატოვება უხდებოდა.

ნ. ნიკოლაძეს საკუთარი ადგილი ჰქონდა თავისი დროის გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა შორის: იგი რუს და ევროპელ მკითხველს აცნობდა საქართველოს და ესაუბრებოდა როგორც ქართველი მოაზროვნე, ხოლო ქართველ მკითხველს მისთვის საინტერესო პრობლემებს განუმარტავდა რუსული და ევროპული საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით. ამიტომ ახალმა თაობამ არ უნდა შეანელოს მომავალშიც მისი თეორიული მემკვიდრეობისადმი ინტერესი.

მითითებული ლიტერატურის სია:

1. გამეზარდაშვილი დ., ნიკო ნიკოლაძე, თბ; 1983.
2. ლობჟანიძე გ., ნარკვევები ქართულ საზოგადოებრივ–პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, I, თბ; 1998.
3. მეტრეველი ვ., ნ. ნიკოლაძის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი. თბ; 1980.
4. ნიკოლაძე ნ., მოგონებები, თბ; 1984.
5. ნიკოლაძე ნ., თხზულებანი, ტ. VII, თბ; 1985.
6. ნიკოლაძე ნ., „ბანკის კრება“, ჟურ. „მოამბე“, 1894, N2.
7. ნიკოლაძე ნ., არქივი. საბ. 20/1.
8. ჯორჯაძე არჩ., თხზულებანი, II. თბ; 1911.
9. Н. Николадзе, “На празднике” «Новое обозрение», N 1300, 1887.

გ. ლობჟანიძე

ნიკო ნიკოლაძის ზოგიერთი მოსაზრება სასამართლოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ

რეზიუმე

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ნიკო ნიკოლაძის მდიდარი პუბლიცისტური მემკვიდრეობა, შეხედულებები ქართული სახელმწიფოს მშენებლობის სხვადასხვა აქტუალურ პრობლემაზე. მათ შორის სასამართლოს და სამართალწარმოების საკითხებზე. მის მიერ ბევრი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული მართლმსაჯულების არსის, დანიშნულების, სახელმწიფოს ფორმირებაში ამ უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის როლის თაობაზე.

ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს საქალაქო თვითმმართველობისა და მისი გაუმჯობესების პრობლემებს.

G. Lobzhanidze

Nicko Nikoladze on courts and local self-administration

Summary

Today special attention is paid to Nick Nikoladze's journalistic inheritance, connected to different active problems of the Georgian state development, including court and jurisprudence. He presented many interesting concepts upon the point of jurisprudence, the important role of this institution in the state formation process.

Urban self-administration and problems of its development occupies the central place in his rich journalistic inheritance.

გივი ლობჟანიძე
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

არჩილ ჯორჯაძე ნიკო ნიკოლაძის შესახებ

1901 წელს ჟურნალ ,,მოამბეში“ გამოქვეყნდა არჩ. ჯორჯაძის დაუმთავრებელი სტატია ,,ნ. ნიკოლაძე“, რომელიც შეტანილია მის თხზულებათა მეორე წიგნში (ჯორჯაძე, 134) ავტორისეული შენიშვნით - საუბედუროდ, ეს წერილი დაუმთავრებელი დარჩა. ვათავსებ მას, რადგან შიგ მოიპოვება რამდენიმე ცნობა წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებო.

ნ. ნიკოლაძეზე წერა და მისი დამსახურების მეტ-ნაკლებად სრული დახასიათება მეტად საპასუხისმგებლო საქმე იყო, ამიტომაა, რომ არც არჩილ ჯორჯაძე არ მალავს ამ გარემოებას და თავის სტატიას ,,ნ. ნიკოლაძე“, საკმაოდ ემოციურად იწყებს ,,არა ჩვეულებრივის აღელვებით ვიწყებთ ჩვენ ნიკო ნიკოლაძის ნაწერების დაფასება-განმარტებას. ძველი გაზეთებისა და ჟურნალების გადაფურცვლამ, დავიწყებული ძველი ამბების მოგონებამ, წარსულის ცხოვრების, მოღვაწეობისა და თაობის გადასინჯ-გადათვალიერებამ რაღაც გაურკვეველი აღელვებით აავსო ჩვენი გული, ააშფოთა ჩვენი გონება და ჩვენს ოცნებასაც მისცა მდიდარი საზრდო“ (ჯორჯაძე, 134).

ამგვარი მღელვარებისათვის არჩილ ჯორჯაძეს ბევრი სხვადასხვა საბაბი და საფუძველი ჰქონდა, მაგრამ ერთ-ერთი მათგანის შესახებ გვიზიარებს აზრს, რასაც ჩვენთვის ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. „ჩვენ - წერს ის - ამჟამად წარსულისაკენ გვიჭირავს თვალი. იქ გვინდა მოვნახოთ კლიტე ახალი ცხოვრების ასახსნელად. ნ. ნიკოლაძის ნაწერები ამ შემთხვევისათვის კარგ იარაღს გვაძლევს ხელში, რადგან ჩვენი ცხოვრების სახე მკაფიოდ არის გაბნეული ამ წერილის გულში, რადგან ყველაფერმა, ცხოვრების სიხარულმა და ტანჯვამ, ერთის ღონით, ერთნაირის ძლიერებით დაასვა დიდი დაღი მის სულიერ პიროვნებაზედ“ (ჯორჯაძე, 135).

არჩილ ჯორჯაძე წარსულში ეძებს ,,კლიტეს ახალი ცხოვრების ასახსნელად“, არა იმის გამო, რომ განსხვავებას ვერ ხედავს წარსულსა და თავის თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის, არამედ სწორედ ამ განსხვავების გამო და იმაზე მისათითებლად, რომ დიდი ქართველი სამოციანელების პოლიტიკური შეხედულებები, რომლებიც განსხვავებულ სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციაში იქმნებოდნენ, შესწორებებსა და დამატებას მოითხოვენ.

არჩილ ჯორჯაძე საგანგებოდ მიუთითებს, რომ მე-19 საუკუნის 60-70 -იანი წლებისათვის ,,საზოგადოებრივი განწყობილება სხვა ნიადაგზე იყო აშენებული, ლიტერატურასა და მწერლობას სხვა საგანი ჰქონდა გასარკვევად და ჩვენს პარტიათა ბრძოლასაც სულ სხვა ნიადაგი ედვა“ (ჯორჯაძე, 135). ეს ის დრო იყო, როცა ჯერ კიდევ არ ყოფილა გამოკვეთილი ,,პროფესიონალური კლასები“ და მშრომელ ხალხს ჯერ კიდევ არ ყვანდნენ თავიანთი წრის და წოდების იდეოლოგები“ (ჯორჯაძე, 135).

არჩილ ჯორჯაძე იზიარებს ნ. ნიკოლაძის შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ახალმა თაობამ (სამოციანელებმა) ძველ თაობაზე გაიმარჯვა. პირველ ყოვლისა, თვით ცხოვრების ვითარების გამო, შესამჩნევი და დაფიქსირების ღირსი ის გარემოებაა, რომ ძველი თაობის ჩაქოლვის და დამხობის მიზეზი უფრო ცხოვრების და გარემოების ძალა იყო, ვიდრე ახალი თაობის მოქმედება და ბრძოლა“ (ჯორჯაძე, 136), თორემ მას ბევრი რამ აკლდა ცხოვრების წინააღმდეგობისათვის. ამ მიზნით იგი იმოწმებს ისევ ნ. ნიკოლაძის შემდეგ სიტყვებს ,,ახალმა თაობამ არც საზოგადოებრივი მეცნიერება იცოდა თეორიითა, არც პრაქტიკული მდგომარეობა ჩვენი ხალხისა, არც ჩვენი საზოგადოების საჭიროება და სურვილი. იმას მარტო კეთილი გული და პატიოსანი სურვილი ჰქონდა, და გონების ბაირაღადაც იმას მარტო ორიოდე მეტ - ნაკლებად ნათელი აზრი მიუძღოდა: გლეხების განთავისუფლების სამართლიანობა, ბატონყმობის უვარგისობა, მამულის სამსახური, და თუ ამ მცირედი იარაღით და ბარგით, ამ გამოუკვეთელი, ნისლიანი აზრებით მაშინდელმა თაობამ მაინც თავი გამოიჩინა და საზოგადოების თვალში უწინდელ თაობაზე უფრო მაღლა დადგა, ეს ერთის მხრივ, ჩვენი თაობის განუკურვნელ სიძაბუნეს გვიმტკიცებს და, მეორე მხრივ, გვიჩვენებს რა ადვილი იყო მაშინ ახალი მიმართულების გამარჯვება და ამაღლება (ნიკოლაძე, 1873, 15).

ქართველ სამოციანელთა ტრაგედია, არჩილ ჯორჯაძის აზრით, ის იყო, რომ მისი სიტყვა ყოველთვის ვერ მიდიოდა ხალხთან, ანდა მის მხოლოდ მცირე მშრომელ ნაწილს ჰქონდა შესაძლებლობა მიხვედრილიყო, თუ ვინ იცავდა მშრომელი ხალხის ინტერესებს. ,,ხალხი შორს იდგა, ამბობს არჩილ ჯორჯაძე, მის ყურამდე არ აღწევდა მანუგეშებელი სიტყვა. ხალხმა არც კი იცოდა, რომ მას ყავდა მოსარჩელე“. ავტორი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ,,მესამოცე წლების დემოკრატიული მოძრაობა.. არ გაცდენია თვით მოთავეების ვიწრო წრეს. რადგან ისინი, მიუხედავად იმისა, რომ მათი გული და

გონება ხალხისაკენ მიისწრაფოდა, საქმით, მოქმედებით შორს იდგნენ ხალხზედ“ (ჯორჯაძე, 168). ამგვარად, შეფასებას შეიძლება გამუქების ელფერი დაკრავდეს, მაგრამ მოკლებული არაა ჭეშმარიტებას. მშრომელი ხალხის განვითარების დონე და კლასობრივი შეგნება, მართლაც არ იყო სახარბიელო. ეს გარემოება კი, პირველ ყოვლისა, თვით სამოციანელთა მოღვაწეობას ამძიმებდა და აკლებდა იმ აუცილებელ ძალას, რომელსაც საზოგადოების მხარდაჭერა მატებს.

ცხადია, არჩილ ჯორჯაძისათვის მთავარი იყო ნ. ნიკოლაძის როლის გარკვევა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პოლიტიკურ აზროვნებაში, ამიტომაც იგი პირდაპირ სვამს კითხვას. რა შესძინა ლიტერატურას და საზოგადოებრივ ცხოვრებას ნ, ნიკოლაძემ? აშკარად იგრძნობა, რომ მას ძალიან უძნელდება, და არ შეიძლება არ გაძნელებოდა, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ვინაიდან ნ, ნიკოლაძის მოღვაწეობის სფერო და ხასიათი მეტად რთული და განსაკუთრებული იყო. სხვა რომ არაფერი, არჩილ ჯორჯაძისათვის, ალბათ, შეუძლებელი იყო თავი მოეყარა ნ. ნიკოლაძის ნაწერების თუნდაც ნახევრისათვის.

,,უნდა ვთქვათ, რომ ამ მწერლის დაფასება, - წერს არჩილ ჯორჯაძე, - მეტად საძნელოა. ნ. ნიკოლაძეს ქართულის გარდა, ბევრი რამ უწერია რუსულადაც ზოგი აქაურ პრესაში, ზოგი პეტერბურგის ჟურნალებში. ამასთან, საზღვარგარეთ ყოფნის დროს მას მონაწილეობა მიუღია ფრანგულ გაზეთებში (შვეიცარიაში) და აგრეთვე ცნობილ ჰერცენის ,,კოლოკოლში“, ყველა ამ მასალის შეგროვება მეტად მოუხერხებელია და იქნება შეუძლებელიც ამჟამად. ამისათვის ჩვენ წინდაწინვე ვამბობთ, ამ ჩვენს წერილებს ბევრი ნაკლოვანებაც ექნება და სასურველი სისრულეც აკლდება. მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი ავტორის არაქართულ ნაწერებს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. აქაურ რუსულ ჟურნალ-გაზეთებში ნ. ნიკოლაძე ხშირად წერდა ქართულ კითხვებზე. მათ ჰქონდათ მნიშვნელობა რუსებისათვის და ქართული ინტელიგენციისათვის.. რაც შეეხება რუსეთში და საზღვარგარეთ დაბეჭდილ ნაწერებს, მათი მნიშვნელობა უფრო განსაზღვრულია: ისინი უფრო ავტორის სულიერ პიროვნების დასახასიათებლად გამოდიან. სხვა მნიშვნელობა ქართველ საზოგადოებისათვის და ლიტერატურისათვის მათ არ ჰქონდათ.

ჩვენც ამისდა კვალად მოვეკიდებით საქმეს. თავდაპირველად მივაქციოთ ყურადღება ავტორის ქართულ ნაწერებს. ისინი არამც თუ იმას დაგვანახებენ, რა შესძინა ნიკოლაძემ ქართულ ლიტერატურას,

არამედ როგორ სახავდა და ამტკიცებდა ავტორი თავის აზრებს“ (ჯორჯაძე, 140).

მართალია, არჩილ ჯორჯაძეს ვერ დავეთანხმებით ნ. ნიკოლაძის წერილების შეფასებაში, რომლებიც გამოქვეყნებული ჰქონდა რუსეთის ცენტრალურ პრესასა და საზღვარგარეთ, მაგრამ, ამჯერად, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ჩვენთვის მთავარია იმის გარკვევა და გადმოცემა, თუ როგორ აქვს წარმოდგენილი მას ნ. ნიკოლაძის როლი მე-19 საუკუნის საზოგადოებრივი აზრის, კერძოდ, პოლიტიკური აზროვნების ევოლუციაში.

„ნ. ნიკოლაძე, ამბობს არჩილ ჯორჯაძე, იმ ახალგაზრდათაგანი იყო, რომელმაც ზურგი შეაქცია მესამოცე წლებში ძველ თაობას და ძველ საზოგადოებრივ წეს-წყობილებას. მისი აზრით, გრძნობა, მისწრაფება სულ მომავლისაკენ იყო მიქცეული და მიმართული. ამისათვის იგი მკაცრ და მკვახე მსჯავრს სდებდა არამცთუ გადაბირებულ მოღვაწეებს, ახლებსაც და ხშირად ვერ ეწყობოდა, ვერ ურიგდებოდა თავის მედროვე ახალ თაობას, მოქმედმა, დაუღალავმა, შორსმჭვრეტელმა ნ. ნიკოლაძემ იმთავითვე შეიგნო ერთგვარი ცხოვრების ხასიათი, იგი სდევნიდა ყოველგვარ გაუბედაობას, ლაჩრობას, „სენტიმენტალობას“. . . ნიკოლაძის მკვახე სიტყვა ბევრს ჭკუაში არ მოსდიოდა. მისი „რეალიზმი“ აფრთხობდა და აშინებდა. ხოლო ჩვენი ავტორი მაინც თავისას იძახდა. ცხოვრებასთან ხუმრობა ლაჩრობად ეჩვენებოდა“ (ჯორჯაძე, 140).

ნ. ნიკოლაძის ამგვარი დახასიათება არ ეწინააღმდეგება სინამდვილეს, პირიქით, მასში კარგადაა წარმოდგენილი მებრძოლი ტემპერამენტით გამორჩეული პუბლიცისტისა და მოღვაწის პორტრეტი. ისიც ნამდვილია, რომ „ნ. ნიკოლაძის პირდაპირობა. მოურიდებლობა, ბევრ უსიამოვნებას ჰბადებდა თვით ახალგაზრდობის წრეებშიც“ (ჯორჯაძე, 141).

აღნიშნულზე ყურადღებას ამახვილებს ნ. ნიკოლაძის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების მკვლევარი პროფ. ვ. მეტრეველი, რომელიც წერდა: „ნ. ნიკოლაძე მთელი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე უშიშრად ამხელდა ცხოვრების განსაკუთრებულ მხარეებს, რისთვისაც უნდობლად უყურებდა მას მეფის მთავრობა. არც ზოგიერთ ქართველ და რუს მოღვაწეებთან ჰქონდა მას სიამ-ტკბილობა თავისი პირდაპირობის გამო“ (მეტრეველი, 6).

ამ გარემოებაზე, როგორც ცნობილია, ნ. ნიკოლაძეც ხშირად მიუთითებს და, რაც მთავარია, მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობა

აშკარას ხდის, რომ იგი არცთუ იშვიათად აკრიტიკებდა ს. მესხის, გ. წერეთლის, გ. თუმანიშვილის, ი. მაჩაბელის და სხვათა ცალკეულ შეხედულებებს, თუ პრაქტიკული მოღვაწეობის ასპექტებს.

არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით, „ნიკოლაძე თითქმის ყოველთვის განცალკევებულად მოქმედებდა, ყოველთვის თავის საკუთარის გზით მიდიოდა, დამოუკიდებლად და უშიშრად“ (ჯორჯაძე, 144). ამ ნათქვამში ერთგვარი გადაჭარბებაა. ნ. ნიკოლაძე ყოველთვის განცალკევებულად არ მოქმედებდა. მაგრამ ის კი უდავოა, რომ მისთვის ამოსავალი და მთავარი იყო არა პიროვნება, თუნდაც მეგობარი, არამედ საქმის არსი, მოვლენის იდეური ფასეულობა, ამ მოვლენის პერსპექტიულობა და ცოდნის შესაბამისობა ცხოვრების სხვადასხვა პერიპეტიებთან. არჩილ ჯორჯაძე ჩვეული ობიექტურობით საყვედურობს ნ. ნიკოლაძეს იმის თაობაზე, რომ გადააჭარბა ახალი თაობის (თანამედროვეების) შეფასებაში. იმოწმებს რა თვით ნ. ნიკოლაძის სიტყვებს - „ყოველ საზოგადოებაში თვითეულ თაობას თავისი საკუთარი ტვირთი აწევს და ისტორიულ ცხოვრებაში ყოველ თაობას უნდა შეეძლოს თქმა: ჩემი მხრით მე ეს ახალი სარგებლობა მოვუტანე ჩემს ხალხს, ეს ახალი სინათლე ვაჩვენე, ახალი ძალა შევიძინე და ახალი გზა გავუხსენი უკეთესი ცხოვრებისაკენ,” - შეუძლია ჩვენს ახალგაზრდობას გულზე ხელი დაიდვას და სთქვას ეს სიტყვები? მე დარწმუნებული ვარ, რომ შემდეგ ბევრი მეგობარი აღარ შერჩებოდა და იმიტომაც უწევდა დამოუკიდებლად ემოქმედა. არჩ. ჯორჯაძე დიდ სიხარულს გამოხატავს იმის გამო, რომ ნ. ნიკოლაძემ თვითონვე აღიარა ახალგაზრდობის შეფასების დროს დაშვებული გადაჭარბება და თქვა „კაცი არ არის შეუცდომელიო“ . . . . თუმცა ამას დიდ შეცდომად არ უთვლის თავის თავს და სწამს, რომ ,,აღიარების შემდეგ მეტი ფასი ეძლევა იმას, რაც დაუწერია ნ. ნიკოლაძეს წინათ თავის თანამედროვე ახალგაზრდა მოღვაწეებზე“ (ჯორჯაძე, 142). ამ მოსაზრებას ხსნის თვით ნ. ნიკოლაძის სიტყვებით: რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზრდა მხარე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მასზედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს (გაზ. „შრომა“, 24). არჩილ ჯორჯაძემ სტატიაში („ნ. ნიკოლაძე“) მოასწრო იმის თქმაც, რომ მას სურდა გაერკვია, რით განსხვავდებოდნენ, როგორც მოაზროვნენი და მოღვაწენი, ილია ჭავჭავაძე და ნ. ნიკოლაძე, ამასთან იმის ჩვენებაც, თუ რა ცოდნა ჩამოიტანა მწერალმა ევროპიდან და როგორ განმარტა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება (გაზ. „შრომა“, 149) მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მიზანი მას აღუსრულებელი დარჩა დღეს ჩვენთვის გაურკვეველი

მიზეზების გამო, რადგანაც სტატია აღარ გაუგრძელებია და ნ. ნიკოლაძის ჯორჯაძისეული პორტრეტიც დაუსრულებელია, თუმცა თავის სხვა ნაშრომებში არაერთგზის თავის შეხედულებებს. კერძოდ, გამოკვლევაში, „მეოთხმოციანნი“ და „მეოთხმოცდაათიანნი“, როდესაც იგი ქართველ ხალხოსნებსა და მათ ლიტერატურულ ორგანოზე, ჟურნალ „იმედზე“ მსჯელობს, საგანგებოდ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ხალხოსნები, უბრალო ხალხის შვილები, ეჭვით იყვნენ განწყობილნი თავადაზნაურული წოდებიდან გამოსული თითქმის ყველა მოღვაწისადმი, თუნდაც უაღრესად მაღალი იდეალების მსახურნი ყოფილიყვნენ. რაც შეეხება ნ. ნიკოლაძეს, ხალხოსნებისათვის იგი სხვაგვარი მოაზროვნე და პუბლიცისტი იყო: „უნდა ვსთქვათ, რომ „იმედი“ დიდი თანამგრძნობი იყო ნ. ნიკოლაძისა“ (ჯორჯაძე, 13).

მართალია, ამგვარი დამოკიდებულების მიზეზზე არჩილ ჯორჯაძე პირდაპირ არაფერს წერს, მაგრამ აშკარაა, რომ მისთვის იგი არ იყო უცნობი: ნ. ნიკოლაძე ერთ-ერთი პირველი ქართველი „რაზნოჩინელია“, რომელიც არაფრით არაა დავალებული ძველი პრივილეგიური წოდებისაგან.

არჩილ ჯორჯაძემ სტატია „ნიკო ნიკოლაძე“, ვფიქრობთ, ვერ დაასრულა, უპირველეს ყოვლისა, ნ. ნიკოლაძის სათანადო ნაწერების უქონლობის გამო. მაგრამ, ცხადია, მისთვის არ ყოფილა უცხო ის გარემოება, რომ ნ. ნიკოლაძე ქართველი ერის უკეთეს მომავალს, მის პოლიტიკურ თავისუფლებასა და სახელმწიფოებრივ ბედს სრულიად აშკარად უკავშირებდა მოწინავე რუსი ხალხის ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ. ჭეშმარიტი პატრიოტი და რევოლუციონერ-დემოკრატი არ იწონებდა იმ დროის არც ერთ პოლიტიკურ და სოციალურ სისტემას. არც ერთი ქვეყნის სახელმწიფოებრივ წყობას, რაზედაც აშკარად წერდა გაზეთ „დროებაში“ მოთავსებულ სტატიებში (ნიკოლაძე, 1963, 19).

ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობის დემოკრატიული და პროგრესული ბუნება საყოველთაოდ იყო ცნობილი, ამიტომაც მან ძველ მოღვაწეთაგან ყველაზე ნაკლებ განიცადა თავდასხმები „მარცხნიდან“, რაც ძალიან გახშირდა ოთხმოცდაათიან წლებში.

ვიმეორებთ, ყოველივე ეს კარგად იყო ცნობილი არჩილ ჯორჯაძისათვის, მაგრამ მან მაინც თავი შეიკავა, სრული დახასიათება მიეცა ნ. ნიკოლაძისათვის მისი სტატიების, მისი ნააზრევის სრულყოფილად შესწავლის გარეშე, ამ ნაწერებს, როგორც თვითონ

აღნიშნავს, მან თავი ვერ მოუყარა, ეს საქმე შემდეგისათვის გადადო და აღუსრულებელიც დარჩა.

ნ. ნიკოლაძე საზღვარგარეთიდან სამშობლოში 80 წლის ასაკში 1924 წელს დაბრუნდა. მის სახელთანაა დაკავშირებული გამომცემლობა „ქართული წიგნის“ დაარსება, ილია ჭავჭავაძის ნაწერების ხუთტომეულის გამოცემა, ტექნიკური საზოგადოების ჩამოყალიბება, მემუარული ლიტერატურის შექმნა და ბევრი სხვა. . .

ნ. ნიკოლაძე 1928 წლის 1 აპრილს, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა, ”6 აპრილს მადლიერმა ქართველმა ხალხმა მთაწმინდის მიწას მიაბარა კიდევ ერთი თავისი რჩეული შვილთაგანი, მე-19 ს. უკანასკნელი მოჰიკანი, თავისი ერის საუკეთესო მომავალში ღრმად დარწმუნებული დიდი პატრიოტი ნ. ნიკოლაძე“ (გამეზარდაშვილი, 108).

დასანანია, რომ არჩილ ჯორჯაძემ ვეღარ შეძლო ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობის და შემოქმედების შესწავლას დაბრუნებოდა, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამის დიდი სურვილი გააჩნდა.

მითითებული ლიტერატურის სია:

1. გაზ. ,,შრომა“; 1882.
2. გამეზარდაშვილი დ., ნიკო ნიკოლაძე, თბ; 1982.
3. მეტრეველი ვ., ნ. ნიკოლაძის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, 1980.
4. ნიკოლაძე ნ., ”ახალი ახალგაზრდობა”, ჟურნ. ,,კრებული“ 1873, N1.
5. ნიკოლაძე ნ., თხზ. პროფ. დ. გამეზარდაშვილი რედ. ტ. III, თბ; 1963.
6. ქართული მწერლობა, თბ; 1985.
7. ჯორჯაძე არჩ., თხზულებები, ტ. 2, თბ; 1911.

გ. ლობჟანიძე

არჩილ ჯორჯაძე ნ. ნიკოლაძის შესახებ

რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში შესწავლილია არჩილ ჯორჯაძის შეხედულებები ნიკო ნიკოლაძის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ. საგულისხმოა, რომ ნიკოლაძის ღვაწლის წარმოჩენა ა. ჯორჯაძეს არ დაუსრულებია ნიკოს სრული ნაწერების უქონლობის გამო.

ამ ნაშრომში რეალურად გაცოცხლებულია არჩილ ჯორჯაძისა და ნიკო ნიკოლაძისდროინდელი საქართველო და ქვეყნის პოლიტიკური თუ სოციალ-ეკონომიკური სირთულეები, რომელთა უმრავლესობას დღესაც განიცდის მისი სამშობლო.

G. Lobzhanidze

Archil Jorjadze‘s views on niko nikoladze

Summary

The author describes fragments of Archil Jorjadze’s views on Niko Nikoladze’s personality and activities. It must be pointed out that every episode presented from Niko Nikoladze’s life is a clear description of our reality and those problems facing our country and nation even today.

Presented article realistically reflects political, social and economic difficulties characteristic to the period of Archil Jorjadze and Niko Nikoladze that are still quite actual.

დავით ლობჟანიძე
საქართველოს საავიაციო ინსტიტუტი

პოლიტიკურ-სამართლებრივი აზრი და თვითმმართველობა საქართველოში

კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა ხალხის ისტორიისა და არსებობის პერიოდში, ცენტრალური ხელისუფლება მმართველობის სხვადასხვა ხერხსა და მეთოდს იყენებდა. ევროპისა და ამერიკის კონტინენტებზე შედარებით ადრე დაინერგა ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმები. რუსეთში ამ პრობლემით დაინტერესება 1861 წელს დაიწყო ე.წ. საგლეხო რეფორმის ჩატარების შემდეგ. საქართველოში ამ საკითხს პირველად ყურადღება დაუთმეს თერგდალეულებმა, რადგანაც XIX საუკუნის II ნახევრისათვის არაქართული წარმოშობის ბურჟუაზიამ ხელთ იგდო ამიერკავკასიის ბაზარი და ამით საფრთხე შეექმნა ეროვნული ეკონომიკის, შემდეგ კი სახელმწიფოებრიობის განვითარებას, წარმოიშვა ქვეყნის მართვა-გამგეობის უცხო ხელში გადასვლის რეალური საშიშროება.

ქართველ მოღვაწეთა შორის ნ. ნიკოლაძე იყო ერთ–ერთი პირველთაგანი, რომელმაც ღრმა მეცნიერული გააზრებით მხარი დაუჭირა ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის იდეის დამკვიდრებას, მან ჯერ კიდევ 1870 წელს სტატიაში, „მოკლე განხილვა მმართველობის სხვადასხვა ფორმისა“, დააფიქსირა თავისი აზრი დეცენტრალიზებული მმართველობის უპირატესობაზე ცენტრალიზებულ მმართველობასთან შედარებით, რასაც იგი „ერობა“–ს უწოდებდა. ნ. ნიკოლაძე რამდენიმე ევროპული სახელმწიფოს მმართველობის ფორმების ანალიზის ფონზე უპირატესობას ანიჭებდა ინგლისის კონსტიტუციური მონარქიის დეცენტრალიზებულ მმართველობასა და თვითმმართველობას (ნიკოლაძე, ტ. I, 370).

მას ადგილობრივი მმართველობის კომპეტენციის გაფართოება ქვეყნის წინსვლისა და წარმატების პირობად მიაჩნია და, ამიტომ ერობის საკითხს არაერთი წერილი მიუძღვნა დაწყებული 1871 წლიდან. როდესაც საქართველოში რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II–ის ჩამოსვლის ამბავი გაჟღერდა. მეფისათვის გადასაცემი ადრესის შინაარსის დასადგენად შეკრებილ სათავადაზნაურო კრებაზე ნ. ნიკოლაძის კონცეფციამ „ერობის“ შესახებ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, ამიტომ ჩამოაყალიბა მან ერობის დანიშნულების, ფუნქციების, უფლება–მოვალეობებისა და

ორგანიზაციის დეტალური ანალიზი და ჟურნალ „კრებულში“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით - „ერობა (Земство), მისი დანიშნულება და წესდება“. იგი იმედოვნებდა, რომ „ჩვენს ქვეყანასაც ეღირსება ერობის დაწესება და სოც. საერობო საქმეების მართვა თვითონ ჩვენს ხელში გადმოგვეცემა, ჩვენი საზოგადოებაც გონიერებით მოიხმარს მას“ (ნიკოლაძე, ტ. 2, 565).

ნ. ნიკოლაძე თვლის, რომ ერობის დამკვიდრება სოფლად წაშლის წოდებრიობას, ქონებრივ განსხვავებას, ეროვნულ დიფერენციაციას და სხვა პრივილეგიებს, რის საშუალებითაც მივაღწევთ სამ შედეგს: 1. საერთო გადასახადს სავალდებულოდ გავხდით ყველასათვის, წოდების და ქონების მიუხედავად, 2. მოვაწესრიგებთ ხალხზე გაწერილი გადასახადის მოკრებას და მოხმარებას, 3. დავაარსებთ სოფლად ძლიერსა და კანონის მორჩილ მთავრობას, რომელსაც აირჩევს ხალხი.

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძეს ერობის პროგრამის განხორციელება მიაჩნდა ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის განმტკიცების საშუალებად. შემდგომში ერობის საკითხს არაერთხელ დაუბრუნდა ქართველი ინტელიგენცია (1913 და 1917 წწ.).

ქალაქებსა და სოფლებში თვითმმართველობის რეალური სისტემის შემოღების შესახებ ასევე დროულად და პრინციპულად დააყენა საკითხი ილია ჭავჭავაძემ. მის შეშფოთებას იწვევდა საზოგადოებრივი გათიშულობის, ეკონომიკური სიდუხჭირის და თავადაზნაურობის მხრიდან დაუინტერესებლობის შედეგად თვითმმართველობაში ქართველთა სიმცირე. „თვითმმართველობის“ საგანი ყურადღების ღირსია, - წერდა იგი, - სხვა რომ არა იყოს რა, ჩვენი შინაური საქმეები ჩვენვე გვქონდეს ხელში, ღონე ჩვენისავე თავის შველისა და ათასნაირი საერთო განსაცდელისაგან ხსნისა. ჩვენვე გვებაროს სოფლობის ფული და ჩვენვე გვეკითხებოდეს, სად რას მოვახმაროთ“ (ჭავჭავაძე, 339).

თვითმმართველობის პირველ საფუძველს, ილიას აზრით, წარმოადგენს ის, რომ საარჩევნო უფლება და საარჩევნო ხმა უნდა გააჩნდეს ყველა სრულწლოვან ადგილობრივ მცხოვრებს, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ ის გლეხები მონაწილეობდნენ არჩევნებში, რომლებიც ცალკე კომლად იყვნენ მოხსენიებული აღწერაში. თავადაზნაურები, ვაჭარ-მოქალაქენი, სამღვდელოება მოკლებულნი იყვნენ ამ უფლებას. ანალოგიური გულისტკივილით განიხილავდა აღნიშნულ საკითხს არჩილ ჯორჯაძეც.

ილიამ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიათა ციკლში (7 ვრცელი სტატია), რომელსაც „ცხოვრება და კანონი“ უწოდა, ჩამოაყალიბა „უმთავრესნი კუთვნილებანი თვითმმართველობისანი“:

1. ადგილობრივ საქმეთა ადგილობრივ განსამართლების უფლება.
2. უმაღლესი მთავრობისაგან განწესებულის ხარჯის, ბეგარის და სამსახურის ადგილობრივ მცხოვრებთა შორის გადანაწილება.
3. ადგილობრივი საჭიროებისათვის გადასახადის დადგენა, გაწერა და აქედან შემოსული ფულის თავისუფლად განკარგვა.
4. სხვადასხვა წესისა და რიგის დადგენის უფლება ადგილობრივ საზოგადოების კანონად, მაგრამ ისე, რომ საყოველთაო კანონს არ ეწინააღმდეგებოდეს.
5. ადგილობრივი საზოგადოების სწავლის მოწყობა და გამგეობა.
6. ადგილობრივი საზოგადოებისათვის მზრუნველობა და ღონისძიების მოხმარება.
7. ადგილობრივი საზოგადოების საზრდოობისათვის თადარიგის დაჭერა და სახსრების მოპოვება.
8. ადგილობრივი გზების და ხიდების კეთება, მოვლა და თავისუფალი გამგეობა.
9. უმაღლესის მთავრობისადმი შუამდგომლობა. ადგილობრივ საზოგადოებათა საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად (ჭავჭავაძე, 40).

აღსანიშნავია ისიც, რომ ილია ჭავჭავაძე არ კმაყოფილდება ამ პრინციპების შემუშავებით, იძლევა მათი განხორციელების გზებსა და საშუალებებსაც, რომლებსაც ძირითადად 4 კატეგორიად ჰყოფს და ხაზს უსვამს, რომ მათ გარეშე სახელმწიფო მართვა-გამგეობის და, კერძოდ, ადგილობრივი მმართველობის მოწყობა და ეფექტური ფუნქციონირება შეუძლებელია. პირველ რიგში თვლის, რომ „ხმა და არჩევის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველს ადგილობრივ მცხოვრებსა, რაკი სრულწლოვანია“. შემდეგ მოითხოვს, რომ „აქ მცხოვრებთა შორის განყოფა და ხარისხების გადება, ე.ი. მცხოვრებთა შორის სოციალური უთანასწორობა – დაყოფა სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებად და პიროვნებად, მათ შორის ქონებრივი და სოციალური „განყოფა“ – „მავნებელია და თვითმმართველობის ბუნების წინააღმდეგია“ (კვარაცხელია, 41).

ილიას მოძღვრებაში თვითმმართველობის შესახებ მთავარი ადგილი იმის გარკვევას უკავია, თუ როგორ უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ცენტრალური მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციები. ის მიუთითებს, რომ ამ ორ

ინსტიტუტს შორის არ არის ისეთი დაპირისპირება და წინააღმდეგობა, რომლის გადალახვაც შეუძლებელია, მათი თანაარსებობა აუცილებელია, თუნდაც სახელმწიფო გვარტომობით ერთი და იმავე ხალხისაგან შედგებოდეს.

სტატიათა აღნიშნულ ციკლში ილიას მიერ ჩადებული მთავარი პოლიტიკური დედააზრი – ეს არის სახელმწიფო მმართველობის მოწყობა ფედერალიზმის პრინციპებით, ფართო ადგილობრივი თვითმმართველობით. ასეთია არა მარტო ილია ჭავჭავაძისა და მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის, 1832 წლის შეთქმულებისა და მისი ლიდერის, სოლომონ დოდაშვილის შეხედულებები, არამედ მთელი XIX–XX საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზროვნების საერთო მრწამსი და პოზიცია. შეიძლება ითქვას, რომ ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება ორ საპირისპირო პოზიციაზე იდგა და დგას დღესაც: ფედერალისტები და ანტიფედერალისტები. სხვა სიტყვებით: სახელმწიფოს მართვის ცენტრალიზმის პრინციპებისა და ადგილობრივი მმართველობის ფართო ავტონომიის პრინციპების მომხრეები.

ამ პრობლემის კვლევას დიდ ყურადღებას უთმობდა არჩილ ჯორჯაძეც. ის ქვეყნის ფედერალურ მოწყობას ორგანულად უკავშირებდა მისი ცალკეული მხარეების, თემების და დაბა-სოფლების თვითმმართველობას. მას სამართლიანად მიაჩნდა, რომ რუსეთის კოლონიური უღლისაგან გათავისუფლება კავკასიელ ხალხებს მხოლოდ ერთობლივი მოქმედებით შეუძლიათ. ე.ი. მან კიდევ უფრო განავითარა ეს იდეა იმით, რომ თვითმმართველობის და ფედერაციის იდეები მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს და მთელი კავკასიის მასშტაბით განავრცო (ლობჟანიძე, 1992, 63).

არჩილ ჯორჯაძის ფედერალიზმის იდეა იმ მემკვიდრეობის თავისებური ანარეკლია, რომლის დროსაც „ქართული წეს-წყობა და ქართული სახლი“ კავკასიის ერთიანობას კვებავდა.

ილია ჭავჭავაძისა და არჩილ ჯორჯაძის შემდეგ ფედერალიზმისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემებზე ასევე საფუძვლიანი სიტყვა ვარლამ ჩერქეზიშვილმა თქვა. იგი ნაკლებადაა ცნობილი ჩვენში და ამიტომ ცოტა ვრცლად უნდა ვისაუბროთ მასზე. ჩერქეზიშვილი „შეთქმულთა თაობას“ ეკუთვნოდა და, ილიას მსგავსად, საქართველოში რუსეთის კოლონიური უღლის ყველაზე უფრო რეაქციულ ხანაში მოუწია ცხოვრება და მოღვაწეობა. მრავალი წერილია მის მიერ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული, ეს ის პოლიტიკური მემკვიდრეობაა,

რომელიც მომავალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის სხვადასხვა აქტუალურ პრობლემას ეხება. ისინი ასე თუ ისე მოძიებული და განხილულია (პროფ. დ. შველიძე. გ. ფერაძე, ე. ბატიაშვილი), რასაც ვერ ვიტყვით მისი მოღვაწეობის ევროპულ პერიოდზე, ლონდონის არქივში დაცულ მდიდარ თეორიულ მემკვიდრეობაზე.

ილიასეულმა პოლიტოლოგიურმა ანალიზმა მისცა ბიძგი ვარლამ ჩერქეზიშვილს, შეექმნა მთელი თეორია, რომელიც „ანარქო სინდიკალიზმის“ სახელით შევიდა ისტორიაში. იგულისხმება ილიას ერთი მეტად საგულისხმო არგუმენტი თვითმმართველობისა და ფედერალიზმის სასარგებლოდ, „სადაც სახელმწიფო მართვა-გამგეობის ეს პრონციპი დაინერგა, იქ ხალხის ქონებრივი და სულიერი ყოფა-ცხოვრებაც წინ წავიდა და მთავრობასაც „მმართველობის მძიმე ტვირთი შეუმსუბუქდაო“. ე.ი. ილიას აზრით, საჭიროა ცენტრალური მმართველობა შესუსტდეს და ადგილობრივი მმართველობა, პირიქით – გაძლიერდეს და ბოლოს ყველაფერი დაექვემდებაროს სასოფლო-სათემო გამგეობას, ანუ „სინდიკატებს“. ამ ტერმინს სხვადასხვა ადგილას ხშირად იყენებდა ვ. ჩერქეზიშვილი.

1905 წელს პარიზში ვ. ჩერქეზიშვილმა გამოსცა წიგნი „მარქსიზმის დოქტრინები“, რომელსაც მოჰყვა მძაფრი პოლემიკა მარქსისტებსა და ვ. ჩერქეზიშვილს შორის. დიქტატურის მარქსისტულ-ბოლშევიკურ დოქტრინას ჩერქეზიშვილმა დაუპირისპირა სახელმწიფო დეცენტრალიზაციისა და სათემო თვითმმართველობაზე გადასვლის იდეა. ეს საკითხი იმ დროისათვის იმდენად აქტუალური იყო, რომ მასთან პოლემიკაში თვით სტალინიც კი ჩაება (ბატიაშვილი, 10).

არჩ. ჯორჯაძისა და ვ. ჩერქეზიშვილის ინიციატივით შექმნილ სოციალ–ფედერალისტთა პარტიის პოლიტიკური სტრატეგია იყო საქართველოს და, მომავალში მთელი კავკასიის, ფედერალიზმის (კონფედერალიზმის) პრინციპზე მოწყობა ფართო ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონალიზმის პრინციპებით.

ამასთან მიწის პრობლემა იმგვარად უნდა გადაჭრილიყო, რომ ჩვენი ტრადიციული მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ხუთივე ფორმა (კერძო, საასოფლო-სათემო, სახაზინო, საეკლესიო-სამონასტრო და ხიზნური, ანუ დროებითი მიწათსარგებლობა) დაქვემდებარებოდა სასოფლო-სამეურნეო კორპორაციათა („ხოდაბუნების“) ერთიანი ეროვნული სისტემის შექმნას. თვითონ ვ. ჩერქეზიშვილმა 1918-20 წლებში რამდენიმე “ხოდაბუნური“

კორპორაცია შექმნა ივრისპირეთში. სამწუხაროდ, იდეამ გავრცელება ვერ ჰპოვა (ბატიაშვილი, 15).

თვითმმართველობის იდეას აქტიურად უჭერდა მხარს კიდევ ერთი ცნობილი მოღვაწე, იურისტი, პუბლიცისტი ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი). იგი თვითმმართველობას თვითმოქმედებას უტოლებდა და მას პოლიტიკური მოღვაწეობის ჭრილში განიხილავდა. „თვითმმართველობა ყოფილა და კიდევაც უნდა იყოს პოლიტიკური სკოლა ხალხის განვითარებისათვის“ (ხიზანიშვილი, 103).

ის თვლიდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის რეალური განხორციელება შეუძლებელია ცენტრალიზებულ სახელმწიფოში. ამის დასამტკიცებლად საფრანგეთის მაგალითზე ასკვნიდა, რომ „საფრანგეთის საზოგადო-პოლიტიკური ისტორია ამტკიცებს, რომ ცენტრალიზაცია და თვითმმართველობა ერთმანეთთან ვერასოდეს მორიგდებიან“. (ხიზანიშვილი, 90) ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური დასკვნა, რომელიც ნ. ნიკოლაძის, ილია ჭავჭავაძის, ა. ჯორჯაძის, ვ. ჩერქეზიშვილის, ნ. ხიზანიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს, ეს არის ეკონომიკის გადამწყვეტი როლის ჩვენება ქვეყნის სამომავლო განვითარებისათვის. ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა მის გარეშე წარმოუდგენელია (ლობჟანიძე, 2011, 75).

ქართველ ხალხს საუკუნეების მანძილზე ჩამოუყალიბდა სამეურნეო განვითარებისა და ცხოვრების გარკვეული წესი, რამაც მნიშვნელოვანი გამოხატულება ჰპოვა მიწათმოქმედებისა და მიწათსარგებლობის განსაკუთრებულ ხასიათსა და ქვეყნის ტრადიციულ აგრარულ-ინდუსტრიულ განვითარებაში.

აღნიშნულ მოღვაწეთა მსოფლმხედველობით, მიწისა და სოფლის პრობლემების გადაწყვეტაში ადგილობრივი თვითმმართველობის როლს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მათ ეამაყებოდათ ის, რომ ჩვენმა ისტორიამ, თვით ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებითაც კი, ფაქტობრივად, „უმიწაწყლო და გაბატონებულ–გაპროლეტარებული გლეხობა არ იცის. ეს ქართველი „წეს-წყობილების“ ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მონაპოვარია, რაც, თავის მხრივ, განაპირობებდა ქართველი კაცის მკვიდრი, ბინადარი ცხოვრებისადმი განსაკუთრებულ მიდრეკილებას. ილია ამ ფაქტს „მეტად ღირშესანიშნავ მოვლენას“ უწოდებდა, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ე.ი. დღევანდელი გაგებით, აგრალური

პოლიტიკა უნდა განხორციელდეს კომპლექსურად, თანმიმდევრულად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კონკრეტული ეტაპის თავისებურებათა გათვალისწინებით (ჭითანავა, 282).

იმ პერიოდის უკვე გამოჩენილი მოღვაწე ნ. ნიკოლაძე წერს, „რამდენი მეცადინეობა დაგვჭირდა, რომ ილია ჭავჭავაძისათვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგვეღებინებინა, ბანკის დაარსება იერიშით აგვეღო, ბანკი განახლების ბანაკად გვექცია და შიგ ჭავჭავაძე ქართული საქმის სათავეში ჩაგვეყენებია. თბილისის ქალაქის თავად სომხებს დიმ. ყიფიანი ავარჩევინეთ. ქუთაისს გრ. ლევაშოვთან აუწერელი ბრძოლის შემდეგ, თვითმმართველობა შემოვაღებინეთ“ (გამეზარდაშვილი, 96).

აი, ვის მხრებზე დგას ქართული თვითმმართველობა, რომელსაც გააზრება და თვითმმართველობის ორგანულ კანონში გათვალისწინება სჭირდება, თუ გვინდა რომ არ მოვწყდეთ „ეროვნულ ფესვებს“, რასაც ჩვენი ღირსეული წინაპრები მოგვიწოდებდნენ.

მითითებული ლიტერატურის სია:

1. ბატიაშვილი ე., იოსებ სტალინი და ვარლამ ჩერქეზიშვილი – იდეური ბრძოლა დღესაც გრძელდება, თბ; 2012.
2. გამეზარდაშვილი დ., ნიკო ნიკოლაძე, თბ; 1983.
3. კვარაცხელია მ., ი. ჭავჭავაძე საქართველოს საზოგადოებრივ–ეკონომიკური განვითარების თავისებურებათა შესახებ, თბ; 1998.
4. ლობჟანიძე გ., ნარკვევები არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობ-რივ–სამართლებრივი ნააზრევიდან, თბ; 1992.
5. ლობჟანიძე გ., საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველო-ბის კონსტიტუციურ–სამართლებრივი საფუძვლები, თბ; 2011.
6. ნიკოლაძე ნ., „ბანკის კრება“, ჟურ. „მოამბე“, 1894, N2.
7. ნიკოლაძე ნ., თხზ. ტ. I. თბ; 1962.
8. ნიკოლაძე ნ., თხზ. ტ. 2. თბ; 1960.
9. ჭავჭავაძე ი., თხზ. ტ. VI. თბ; 1957.
10. ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბ; 1997.
11. ხიზანიშვილი ნ., „კიდევ ჩვენს თვითმმართველობაზე“, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბ; 1982.

დ. ლობჟანიძე

პოლიტიკურ-სამართლებრივი აზრი და თვითმმართველობა საქართველოში

რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში ასახულია ქართული პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებები და თვითმმართველობის როლი ადრეული პერიოდის საქართველოში.

ნ. ნიკოლაძემ, ილია ჭავჭავაძემ, არჩ. ჯორჯაძემ და სხვებმა დროულად და პრინციპულად დააყენეს საკითხი ქალაქებსა და სოფლებში თვითმმართველობის რეალური სისტემის შემოღების შესახებ.

ნაშრომში მოყვანილი მათი არაერთი საყურადღებო მოსაზრება, გასათვალისწინებელია საქართველოში თვითმმართველობის განვითარების გზაზე პროგრესული სოციალური და პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმის დროს, რაც ქვეყნის წინსვლის მთავარი პრიორიტეტი გახდა მომავალში.

D. Lobzhanidze

Georgian political and legal thinking and self-administration in Georgia

Summary

The work thoroughly presents Georgian political-legal views and role and function in Georgia of earlier times. The publication begins with the historical background at the international level - what was the situation from this standpoint in the world in comparison with Georgia.

Niko Nikoladze, Ilia Chavchavadze, Archil Jorjadze and others timely presented the idea of establishing real system of self-administration in cities and villages.

Many examples presented in the work clearly show those progressive social and political steps that were made by the self-administration in Georgia that became the main priority for the state’s future successful development.

მარინე ლომიძე
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოლემიკური ოსტატობა ნიკო ნიკოლაძის ზოგიერთ პუბლიცისტურ წერილში

XIX საუკუნე გამორჩეულია ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. ამ საუკუნის **,,დაუდგრომელმა დუღილმა და ფეხშეუფერხებელმა მოძრაობამ“** ჩამოაყალიბა ნიკო ნიკოლაძე ერისკაცად და უბადლო კალმოსნად. იგი თვალსაჩინო წარმომადგენელია მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით გამსჭვალული იმ თაობისა, რომელმაც აქცია XIX საუკუნე ასეთად.

აკაკი წერეთელი მწერლობის არსს ხატოვნად და ფილოსოფიურადაც განსაზღვრავს: ,,**მწერლობა ზნეობითი და გონებითი მესარკეობაა. ნაწერში, როგორც სარკეში, ნათლად უნდა ისახებოდეს მწერლის თანადროება მისი სისწორ-სიმრუდით“** (წერეთელი, 355).

ი. ჭავჭავაძე ,,ჟურნალ-გაზეთობას“ მიიჩნევს ლიტერატურის ერთგვარ ნაწილად და ზუსტად იგივე დანიშნულებას აკისრებს: ,,...**იგი არის სარკე საზოგადოების რთულის ცხოვრებისა, მისი გონებითის, ზნეობითის მოძრაობისა“** (ჭავჭავაძე, 257).

ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური წერილები ,,ჟურნალ-გაზეთობისადმი“ ილიასეული პრინციპებითაა აღბეჭდილი: სინამდვილის რეალური, პირუთვნელი ასახვა, არსებული პრობლემების ზნეობრივი კრიტერიუმებით, მაღალი პროფესიული ოსტატობით მიწოდება მკითხველი საზოგადოებისათვის.

ნიკო ნიკოლაძის მემკვიდრეობას სპეციალისტთა ინტერესი არ მოკლებია, მაგრამ, მიგვაჩნია, რომ მისი პუბლიცისტური ოსტატობის საკითხები(თემატიკა, პრობლემის წარმოჩენა, არგუმენტაციის სიღრმე, საკითხის გადაწყვეტის ხერხები, გადმოცემის მანერა და სხვ.) დღემდე სათანადოდ არაა შესწავლილი.

ამჯერად ჩვენი კვლევის ობიექტია ნიკო ნიკოლაძის პოლემიკური ოსტატობა.

საკითხის შესწავლის აქტუალობა გაპირობებულია რამდენიმე გარემოებით:

ა) თანამედროვე ქართული ბეჭდური მედია, ზოგადად მედიასივრცე, ქვეყნის წინსვლასა და პროგრესზე ორიენტირებულ სჯა-ბაასის დეფიციტს განიცდის;

ბ) ქართული საზოგადოების წარმომადგენელთა კომუნიკაციის მოდელები (დებატები, დისკუსია, დიალოგი, თოქშოუ) ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს შინაარსისა და ფორმის თვალსაზრისით.

პოლემიკა ანტიკური პერიოდიდან არის ცნობილი. სიტყვიერი ორთაბრძოლა, კამათი ადამიანებმა მეტყველებასთან ერთად დაიწყეს. კომუნიკაციის ამ ფორმამ თანდათან მოიკრიბა ძალა და პოლემიკის პროცესმა ხელობისა და ხელოვნების ნიშნები შეითავსა. მოგვიანებით გაჩნდა ტერმინი ,,პოლემიკური ოსტატობა“.

პოლემიკის სახეები ჩვენი თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო და კულტურული ცხოვრების თანამდევი ატრიბუტია, რაც ხშირად სცდება მისი წარმართვის ლოგიკურ-ფსიქოლოგიურ და ეთიკურ ნორმებს.

შესასწავლი საკითხის აქტუალობას განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ პოლემიკას ქართულ სინამდვილეში დიდი ტრადიციები გააჩნია. პუბლიცისტური აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ს. მესხი, გ. წერეთელი და სხვ.) ხშირად მიმართავდნენ მას საკუთარი თვალსაზრისის, პოზიციის ეფექტურად გამოხატვის მიზნით, რაც ერისკაცებს საშუალებას აძლევდა ჟურნალისტური მოღვაწეობის ამგვარი ფორმაც მოემარჯვებინათ ეროვნული ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად.

სწორედ ამ თვალთახედვითაა საინტერესო ნიკო ნიკოლაძის პოლემიკის სტილი მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებითა და ნიუანსებით.

საკითხის შესასწავლად გამოვიყენეთ რამდენიმე წერილი: ,,ჩემ პოლიტიკაზე“, ,,უკაჟო მაჭახელას“ და ვლადიმერ ბაქრაძისადმი მიძღვნილი წერილი. შესწავლის ობიექტის შერჩევისას გავითვალისწინეთ ამ წერილებში ჩამოყალიბებული ნიკო ნიკოლაძისთვის დამახასიათებელი არგუმენტაციის სიღრმე და ანალიტიკური მსჯელობის სიცხადე.

საგულისხმოა თითოეული მათგანის დაწერის მოტივაცია. ,,ჩემ პოლიტიკაზე“ გაზეთ ,,იმერეთის“ საპასუხოდ დაიწერა და გადაეცა რედაქციას, რომელმაც წერილი არ დაბეჭდა და, როგორც თავად ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავს, იძულებული გახდა ცალკე ბროშურად გამოეცა იგი 1913 წლის გაზაფხულზე (ქართული პუბლიცისტიკა. 262).

,,უკაჟო მაჭახელა“ პუბლიცისტისა და მთარგმნელის ალექსანდრე ჭყონიასადმი მიძღვნილი საპასუხო პუბლიკაციაა, რომელიც გაზეთ ,,დროებაში“ დაიბეჭდა 1876 წელს (ქართული პუბლიცისტიკა, 243). მესამე - ვლადიმერ ბაქრაძისადმი მიძღვნილი წერილი - 1914 წლის

7 იანვრით თარიღდება. იგი რუსულ ენაზეა დაწერილი და პრესაში გამოსაქვეყნებლად გათვალისწინებული არ ყოფილა. წერილი პირველად ქართულ ენაზე გამოქვეყნდა 1971 წელს თსუ შრომების ჟურნალისტიკის სერიაში - ,,ჟურნალისტიკის თეორიის და ისტორიის საკითხები", ტ. II (ქართული პუბლიცისტიკა, 282).

პოლემიკა არსებული კონფლიქტის წარმოჩენის ერთ-ერთი ფორმაა. კონფლიქტი საზოგადოების ბუნებრივი და მუდმივი მდგომარეობაა. სპეციალისტები პოლიტიკური კონფლიქტების განსჯისას ანტიკური ხანის მამების (პლატონი, არისტოტელე, დემოკრიტე, ჰომეროსი, ციცერონი და სხვ.) მოსაზრებებს ეყრდნობიან იმის შესახებ, რომ კონფლიქტი აუცილებელია საზოგადოების განვითარებისათვის, მაგრამ ასევე აუცილებელი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა მისი მშვიდობიანად მოგვარება. უფრო მეტიც, იტალიელ ფილოსოფოს ქსენოფონ კოლოფონიელის აზრით, დაფნის გვირგვინით შემკობას იმსახურებენ ბრძენი ღირსეული ადამიანები, ისინი, ვინც, **,,სიტყვიერი მიმართვებით წყვეტენ ცუდ საქმეებს, რითაც თავიდან იცილებენ ბრძოლებსა და აჯანყებებს"** (ჯიჯეიშვილი ქ., ყიფიანი მ., ჩხიკვიშვილი გ. 142).

კონფლიქტების გააზრებისათვის მნიშვნელოვნადაა მიჩნეული XVIII-XIX საუკუნის კვლევები, რომლის ერთ-ერთი მიმართულება კონფლიქტის ფსიქოლოგიურ-იდეოლოგიური დეტერმინირებაა (ა. შოპენჰაუერი, ფ. ნიცშე, ა. დიურინგი, ნ ბერდიაევი და სხვ.). სოციალურ კონფლიქტთა მიზეზებად განიხილავენ პიროვნების სოციალურ და პირად ამბიციებს. ეს ფაქტორები უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანის ფსიქიკურ მიდრეკილებასთან-მიმართოს თვითგამოხატვისა და პროტესტის საშუალებებს. ასეთ ამბიციებს ცხადი იდეოლოგიური საფუძველი აქვს (ჯიჯეიშვილი ქ., ყიფიანი მ., ჩხიკვიშვილი გ. გვ.146.).

ამგვარი გამოხატულების ნიმუში იყო გაზეთ ,,იმერეთში" ,,ეროს" ფსევდონიმით (პუბლიცისტი ვასილ წერეთელი) გამოქვეყნებული ნიკოლაძის საწინააღმდეგო პუბლიკაციები. როგორც ეს უკანასკნელი თავად წერს: ,,ბრალმდები ოქმი ჩემ წინააღმდეგ".

განსახილველი წერილების არსს განსაზღვრავს კონფლიქტის აღქმისა და შესწავლის ტრადიციული მიდგომა-ემოციურ-ფსიქოლო-გიური მიმართულება. ნ. ნიკოლაძე წერილებში კონფლიქტის არსს ხსნის მისგან განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე ადამიანთა გარკვეული ჯგუფის აგრესიულობით, პატივმოყვარეობითა და ერთგვარი მტრობით.

ნ. ნიკოლაძე აანალიზებს მდგომარეობას, მისი სურვილია ახსნას მოწინააღმდეგეთა ქმედებები ბუნებრივი მახასიათებლებით, სულიერი აღგზნებითა და სხვა სუბიექტური ფაქტორებით. პუბლიცისტს მიზნის მისაღწევად ზემოდასახელებულ წერილებში გამოყენებული აქვს პოლემიკური ოსტატობის სხვადასხვა ფორმა. თითოეული წერილი საკმაო მასალას იძლევა ვრცელი მსჯელობისა და ანალიზისათვის. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია იმ ძირითად ასპექტებზე, რითაც პოლემიკის ნიმუშია ფასეული.

ნ. ნიკოლაძე პოლემიკურ წერილებში დიდ ყურადღებას უთმობს ფასეულობათა სისტემის წარმოჩენას, საკუთარი როლის განსაზღვრას მაშინდელი საქართველოს ღირებულებითი სივრცის არსებულ ელემენტებთან შეფარდებით, რაც მის არჩევანს ემყარებოდა.

პოლემიკის შემადგენელი კომპონენტები-შემოქმედებითი აქტის განმსაზღვრელი ამოცანები, მათი გადაჭრის მეთოდები, სათანადო ლექსიკა - შემოქმედებითი მოღვაწეობის მხარეა, ტექნოლოგიის ერთეულები; ხოლო პროფესიულ-ეთიკური მიდგომა - პიროვნების ინდივიდუალური გამოვლენის თვისებრივი მაჩვენებელია.

საზოგადოებაში ადამიანთა განსხვავებული პოლიტიკურ-ღირებულებითი ორიენტაციის შედეგად ჩნდება ფასეულობებზე დამყარებული ურთიერთობები-საზოგადოების წევრთა შორის კავშირის ერთგვარი სახეობა. იგი წარმოიშვება ღირებულებათა პრიორიტეტების წამოწევის ან უკუგდების საფუძველზე და ხელს უწყობს საზოგადოებაში სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ფორმირებას. ამ კანონზომიერებით, XIX საუკუნის საქართველოში პოლიტიკურ-ღირებულებითი ორიენტაციის მონაცვლეობა ნიშნავდა სოციალური სტრუქტურის შესაძლო ევოლუციურ ან რევოლუციურ ცვლილებებს, რაც საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა მაშინდელი საზოგადოებისათვის.

ეთიკურ საწყისს პოლემიკაში მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს: პოლემისტის ზნეობრივი დონე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მის პროფესიულ დონეზე - სოციალური პრაქტიკის ადეკვატურად ასახვის ხარისხზე. პრობლემატიკა წარმოჩნდება პიროვნების ზნეობრივი ორიენტაციის პრიზმაში. სწორედ ეს განსაზღვრავს განსახილველი მოვლენის ხედვის რაკურსს, მსჯელობის ფორმას, საშუალებებს და პირდაპირ აისახება ბეჭდური ნაწარმოების ობიექტურობაზე. ამდენად, პოლემიკის მონაწილეთა (უმთავრესად პუბლიცისტთა) შემოქმედებითი პოტენციალის როლი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების კონტექსტში იკითხება.

ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს ნ. ნიკოლაძის სკრუპულოზური მსჯელობის საფუძველი ღირებულებითი დამოკიდებულებების შესახებ.

ნ. ნიკოლაძე პოლემიკას აუცილებლობის შემთხვევაში მიმართავს. პოლემიკური გამოსვლის მნიშვნელობას დიდწილად განაპირობებს მოტივაცია (რა და როგორ). მაგ. გაზეთი „იმერეთი“ ნ. ნიკოლაძეს ქართველების ზნეობრივ და გონებრივ გადაგვარებაში სდებდა ბრალს. არგუმენტად დასახელდა ნიკოლაძის თაოსნობით რუსული გაზეთის გამოსვლის ფაქტი, რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. პუბლიცისტისთვის ამ ფაქტის მარტო მცდარობის ჩვენება როდია არსებითი. ამ ფაქტის მიღმა იგი მავანთა უგუნურ პოლიტიკას სჭვრეტს: **„ავნებს თუ არგებს ქართულ საქმეს, ამ ხალხისთვის დანიშნული გაზეთი ჩემის თაოსნობით რომ გამოდიოდეს და არა ბ. პალმის ან ბ. გერმანის მეთაურობით? ეს კითხვაც რომ სადაოთ სცნოთ, სიცრუის გამჭედს რით ვერ გაუგია, რომ ჩვენი სწავლა, მმართველობა, მსაჯულება, გზები, ნაოსნობა, მისვლა-მოსვლა, აღებ-მიცემობა, ერთი სიტყვით, მთელი ცხოვრება, ისეთი პირების ხელშია, ვისაც ქართული არ ესმის? მაშასადამე, თუ ქართველობის საბოლოო დამხობა არ გვინდა, რუსულადაც უნდა ვწეროთ ამ ცხოვრების ბრუნვა, დარდი, წამალი, სახსარი“...** (ქართული პუბლიცისტიკა, 263).

პუბლიცისტი მსჯელობას თანმიმდევრულად წარმართავს, იმგვარად, რომ ერთი მტკიცებულება მეორეთი გაამყაროს: **„ათასჯერ რომ ხელ-ახლავ წამოაყენოთ, ატრიალოთ, სჯიჯგნოთ, ღეჭოთ ეს საგანი, შეიძლება განა მისი სხვანაირად გადაწყვეტა, სანამ საქართველოს ბედ-იღბალი, ჩემი ბრძანებით კი არა, ხალხთა და საუკუნეთა ტრიალის ძალით, რუსეთთან შედუღებულია? უტვინობამ, თუ უტიფრობამ სტაცა ხელი ჩემ წინააღმდეგ ამ ხეპრულ იარაღს? ორივე შემთხვევაში სატირალი ყოფილა მისი მხმარებლის „ზნეობრივი და გონებრივი“ სიღატაკე”...** (ქართული პუბლიცისტიკა, 263).

სინამდვილის ამსახველი მიუკერძოებელი ფაქტებისა და რეალურ გარემოებათა ყოველმხრივი განხილვა მარტო ნ. ნიკოლაძის სუბიექტურ სურვილს არ ეყრდნობა. ავტორის პოზიცია პროგრესული საზოგადოებრივი აზრის გამომხატველია. მაგ. „უკაჟო მაჭახელაში“ პუბლიცისტი ორ საკითხს ლოგიკურად უკავშირებს ერთმანეთს: სად უნდა შრომობდეს ქვეყნის მოყვარული ახალგაზრდა და რამდენად საკმარისია მხოლოდ ქართულ ენაზე წერა ქართველთა კეთილდღეობისათვის.

პირველი საკითხის განსჯისათვის, ნ. ნიკოლაძის აზრით, იმდროინდელი ქართველობა ზოგადად, და კერძოდ ახალგაზრდობა,

ორ ნაწილად იყო გაყოფილი. უმრავლესობის მიზანს ,,თავისი კერძო სარგებლობის დაცვა და ძიება“ შეადგენდა, მხოლოდ ,,იოტის ტოლა“ ნაწილი ფიქრობდა საზოგადო სიკეთესა და მამულის სიყვარულზე. უმრავლესობის წარმომადგენლებისაგან ქვეყანას **,,არავითარი ხეირი არ მოელის, გინდა შორაპანში იცხოვრონ, გინდ პარიჟში“...** რადგან ისინი **,,უხეირო წევრები იქნებიან თავიანთი ქვეყნისათვის“...** მამულისმოყვარე პირი კი **,,ყოველგან... სასარგებლო იქნება თავის ქვეყნისთვის, თუ კი სურვილის გარდა, იმისთვის ბუნებას ნიჭი, ცოდნა და ძალა მიუნიჭებია... როგორმე ყოველგან მოუტანს ის ხეირს თავის ქვეყანას, აქ იყოს, გინდ სტამბოლს, გინდ მადრიდს...“** (ქართული პუბლიცისტიკა, 239).

ავტორი საზოგადოების წარმომადგენელთა ორი ტიპის კონტრასტული დახასიათებით შექმნილ მდგომარეობას ამძაფრებს. ეს შედარება, როგორც არგუმენტი, ავტორისეული ერთგვარი ემოციურ-გამომსახველობითი მონოლოგია. მასში გაცხადებულია პუბლიცისტის მოსაზრება, რომელიც მოვლენის მისეულ ხედვასა და გარესამყაროს აღქმას ემყარება.

პოლიტიკურ საჭიროებათა ჭრილში პასუხობს ნ. ნიკოლაძე უფ. მაჭახელაძეს, მარტო ქართულ ენაზე წერის უსარგებლობის შესახებ. პუბლიცისტის აზრით, რუსეთსა და ევროპას რომ სწორი წარმოდგენა ჰქონდეთ ქართველთა ხასიათსა და ცხოვრებაზე, სწორედ ქართველები უნდა სწერდნენ რუსულ და ევროპულ ენებზე, ისევე როგორც მშობლიურ ენაზე. საფუძვლიანი არგუმენტების კვალდაკვალ სავსებით ლოგიკურად იკითხება მოწოდება სამშობლოს სიყვარულის, სასარგებლო შრომის, სწავლისა და ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვისათვის.

ამ კონკრეტული მაგალითებით დასტურდება ნიკოლაძის პოლემიკის სისხარტე - მოვლენის არსის ურთიერთწინააღმდეგობათა გამოვლენა და მათი, როგორც საზოგადოებრივი ცვლილებებისა და ქმედების წყაროს, განხილვის უნარი.

ნიკო ნიკოლაძის პოლემიკისთვის დამახასიათებელია იდეების დრამატიზირება და მათი ეფექტურად წარმოჩენა. მაგ.: **„აქამდე ჩვენს პრესაში და კერძო საუბარში ჩემს ნაწერებს მხოლოდ ამახინჯებდნენ და სხვადასხვა საძაგელი „პრაქტიკული“ მიზნებისთვის იყენებდნენ. და უეცრად მათ შესახებ უბრალო, ადამიანური ენით ალაპარაკდნენ! მომეჩვენა, თითქოს მკვდარი ვარ უკვე, ანდა ყოველივე ამას სიზმარში ვხედავ. შემდეგ მივიღე თქვენი წერილი, თითქოსდა „იმ ქვეყნიდან“.**

ვერ მოვახერხე სწრაფად გავრკვეულიყავი ასეთ სიურპრიზში...“ (ქართული პუბლიცისტიკა, 271).

სხვაგან ნ. ნიკოლაძე მოწინააღმდეგეთა ბრძოლის მიზნისა და დამოკიდებულების შესახებ მსჯელობას ასე ასრულებს: **„ლომი რომ დაეტაკება ვეფხვს, ხშირად მოხდება, რომ მათ სადაო ირემს კუდმოგლეჯილი ტურა დაეპატრონება და კიდეც შესჭამს. მაგრამ თავის დღეში არ მომხდარა, რომ ამის მნახველ ხალხს ეს ტურა, ამის გამო, ლომად ან ვეფხვად მიეღოს“** (ქართული პუბლიცისტიკა, 242).

გამოყენებული ასოციაციური პარალელი, რომელიც უმთავრესად მოვლენის კონტექსტს ეფუძნება, ნ. ნიკოლაძეს საშუალებას აძლევს მოვლენა სათანადოდ შეაფასოს და საკუთარი პოზიციაც გაამჟღავნოს. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც სხვაგან, ნ. ნიკოლაძე მას მომგებიანად იყენებს, რაც მკითხველის აღქმას ამმაფრებს და ოპონენტის საწინააღმდეგოდ მის ჩანაფიქრს ამართლებს.

კიდევ უფრო თვალსაჩინოა ასოციაცია, რომელიც უმთავრესად ლექსიკას ემყარება და ანალოგიის მეთოდით დაკავშირებულ მოვლენებში საერთო ნიშნებს პოულობს. ურო - იარაღის - დანიშნულება უდევს საფუძვლად ისეთი განსხვავებული ცნებების შედარებას, როგორიცაა ფსევდონიმი და ხელსაწყო: **„ურომ როდი იცის, რას მოხვდება და სად დაჰკრავს. საითაც მოიქნევენ მას, იქ იჩეჩქვს თავს, განსაკუთრებით თუ ქვა ან რკინა დახვდა. ჩემზე ის სულ ბრმათ აუცუნდრუკებიათ“** (ქართული პუბლიცისტიკა, 265).

კონკრეტული მაგალითის საფუძველზე ავტორი ტერმინის ორმაგ გაგებას სხარტად სთავაზობს მოპაექრეს, რითაც მსჯელობას სოციალურ რეზონანსს ანიჭებს და მსჯელობის პროცესში საკუთარ პოზიციას ააშკარავებს.

დიქტატორობის ბრალდების გასაქარწყლებლად ვრცელ პასაჟში დრამატული ელემენტი მთავრდება შეკითხვებით, რომლებიც პასუხებს საჭიროებს: **„... ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება, რომ ჭკუას და სიმარჯვეს გავლენა აქვს იმათზე, ვისაც ნაკლებად აქვთ ეს საუნჯენი. ათასი რომ იხტუნოთ, ამ ბუნების კანონს თქვენ ვერ მოსპობთ... მაგრამ ეს მიბრძანეთ, როდის ვთქვი მე, უსათუოდ ჩემ ჭკუაზე უნდა იაროთ- თქო, როდის მოვინდომე ამდაგვარი დიქტატორობის ხელში ჩაგდება, ან რათ მინდოდა?... გლახაკი და უსუსურია ის, ვინც არ ეძებს თავის აზრების გამარჯვებას და გაძლიერებას. მაგრამ ის მიბრძანეთ, როდის და ვის მოვთხოვე ჩემ ჭკუაზე სიარული, ვის დავატანე ძალა ჩემს ამხანაგებში ან მოძმეებში? უამისოდ განა დიქტატორობა იქნება?“** (ქართული პუბლიცისტიკა, 236).

პუბლიცისტი ერთგვარად „აიძულებს“ მკითხველსაც და მოპაექრესაც, საკუთარი შინაგანი მრწამსის მიუხედავად, კითხვებს ლოგიკური და ავტორისთვის მისაღები პასუხები გასცენ.

ნიკო ნიკოლაძე საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად განმარტავს მოვლენის არსს. მისი მტკიცება მიზნად ისახავს თეზისის ჭეშმარიტების დადგენას, რითაც ახსნა-განმარტების დანიშნულებაც უფრო ფართო მასშტაბს იძენს: **„პირველად არ არის, რომ მე ეს სიტყვა მესმის - დიქტატორია ნიკოლაძეო. მკითხველს იქნება ეს სიტყვა საშინელ დანაშაულად მიაჩნდეს, კაცის კვლად ან ღვთის გმობათ. ამისთვის ავხსნი ამ სიტყვის მნიშვნელობას. დიქტატორს იმ კაცს უძახიან, რომელსაც რომელიმე საზოგადოება ან ქვეყანა განუსაზღვრელ უფლებას აძლევს დროებით ან სანიადაგოთ: გვმართე, გვიბრძანე, გზა გვიჩვენე და ჩვენ შენს სიტყვას ხმა ამოუღებლად, უწინააღმდეგოთ ავასრულებთო. მოხდება ხოლმე, რომ კაცი, რომელსაც კარგი და ძლიერი ჯარი ჰყავს და რომელსაც ეს ჯარი სრულად უჯერის, ძალად ხდება რომელიმე ხალხის დიქტატორად... თვითონ დიქტატორობა არც ცუდია, არც კარგია თავისთავად. მისი სიავე ან სიკარგე გარემოებებზე ჰკიდია, კაცზე, საქმეზე, და არა მარტო დიქტატორობაზე...“** (ქართული პუბლიცისტიკა, 236).

ამ ეპიზოდში, ახსნა-განმარტების, როგორც არგუმენტის მიზანი და სტრუქტურა, ობიექტურ შემეცნებასა და ასახვას ეყრდნობა. ნ. ნიკოლაძე განმარტავს მას, რაც სრულყოფილად და კარგად ესმის. ამასთან, არ იჩემებს კატეგორიულობას, როგორც მოპაექრე. **„მაგრამ მე აქ სრულიადაც არ მინდა დავამტკიცო დიქტატორის სიკარგე ზოგიერთ შემთხვევებში და გარემოებებში. მე მარტო ის მინდა შევნიშნო, ვინ მომცა როდესმე დიქტატორობა, ვინ რა დამიჯერა, ან ვინ შემამჩნია დიქტატორობის სურვილი?“** (ქართული პუბლიცისტიკა, 236).

განსაკუთრებით შთამბეჭდავია პოლიტიკის განმარტება: **„ქვეყნის პოლიტიკას - როგორც მის ბუნების ნამდვილ ძალებს - ადამიანის, ხალხის სურვილი კი არა, ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა სჭედს. პოლიტიკა ახალი მოდური შლიაპკა კი არაა, რომლის ცვლა ჩვენს ქეიფზე კიდია, ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამა-პაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება.“** ერთი შეხედვით, თითქოს სრულიად ნაცნობი ჭეშმარიტება ოსტატურადაა ჩამოქნილი, რაც წერილის დასასრულის ლოგიკურ ელემენტადაა წარმოჩენილი.

ნ. ნიკოლაძე კამათის პროცესში იცავს მტკიცე პოზიციას, რადგან დარწმუნებულია საკუთარ სიმართლეში და სათანადოდ ასაბუთებს.

მისი თავდაჯერებულობა მისივე ცხოვრების წესითა და კონკრეტული საქმეებითაა გამყარებული: **„რომელი პირადი მიზნის მიმდევარს გასჩენია სადმე ან როდესმე ამდენი მოწინააღმდეგე, განა თვით ამ ბრძოლის სიმწარე არ აჩენს მის სიმაღლეს? ...მართალია, სიცოცხლე, ლეკვივით, მთვარისთვის ყეფაში და ზუვილში არ გამიტარებია. მიუწვდომელ ოცნების, ბრმა მიმბაძაობის მაგიერ მიზნად ყოველთვის მქონია ჩემი ქვეყნის მორიგი საჭიროების შესწავლა, დაკმაყოფილება. ამ ჩემმა „პრაქტიკულმა“ მიმართულებამ, არა თუ ზოგი რამ გამარიგებინა, იმ საცოდაობას და პასუხისგებას გადამარჩინა, რომელიც ჩემ მოწინააღმდეგეების ხსოვნას სამუდამო დაღათ დაემჩნევა“** (ქართული პუბლიცისტიკა, 269).

ნ. ნიკოლაძის პოლემიკას ორი მიზანი აქვს: ერთი, - ოპონენტს დაუსაბუთოს მისი ცილისწამების უსაფუძვლობა და მეორე - მკითხველისათვის ცხადი გახადოს საკუთარი თვალსაზრისი, რისთვისაც ხშირად იყენებს მკითხველისადმი მიმართვის ფორმას, რაც ზოგჯერ შეკითხვის ნიმუშადაა წარმოდგენილი. იგი რიტორიკულადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც პასუხსაც გულისხმობს. ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავს „დროების“ რედაქციასთან არსებულ უთანხმოებას: **„ვისაც ეს არ ესმის, იმას, ალბათ, ორიოდ - სამი სტატიის მეტი არა წაუკითხავს რა, არც ჩემი ნაწერისა, არც „დროებისა“. ეხლა ვიკითხავ, გონიერებაა ამგვარი ორიოდ-სამი სტატიის წაკითხვის შემდეგ მწერალზე და გაზეთზე აზრის შედგენა და მსჯელობის გამოთქმა? ეს, მკითხველო, თქვენ განსაჯეთ“** (ქართული პუბლიცისტიკა, 235).

ნიკო ნიკოლაძე მკითხველთან ურთიერთობის სხვა ხერხსაც მიმართავს. ცალკეული მსჯელობის დროს იგი მკითხველს იმოწმებს, რაც პუბლიცისტის მოსაზრებისადმი აუდიტორიის ნდობის ამაღლების წინაპირობად აღიქმება: **„უფ. მაჭახელაძეს გამოუძებნია აკ. წერეთლის სტატიებში ერთი ვითომ წინააღმდეგობა: ერთხელ ეს თქვა და მეორეჯერ სულ სხვაო. ჩვენში მკითხველებმა, ვისაც კი ორიოდ სტატია ახსოვს აკ. წერეთლისა, კარგათ იციან, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ ყოფილა ამ ორს სტატიას შუა“** (ქართული პუბლიცისტიკა, 242).

„ყველა ეს საბუთი იმისთვის მომყავს, მინდა იმ მხილების უსინდისობა დავამტკიცო, ვითომ შუამავლობის დროს კონსტიტუციისათვის მეღალატოს. ეს მეორე მოქნევა უროსი ვის მოხვდა თავში და ვის ვნებს, მკითხველი კარგად ხედავს“ (ქართული პუბლიცისტიკა, 266).

ნიკო ნიკოლაძე მისაღები თვალსაზრისის ემოციურად, შთამბეჭდავად გასამჟღავნებლად ოსტატურად იყენებს მხატვრული აზროვნების ნიმუშებს, რაც მკითხველის მისამხრობად და დასარწმუნებლად არის გამიზნული. სათანადო გრძნობათა და შესაბამისი დამოკიდებულების გასამჟღავნებლად გამოსაწვევად იგი მკითხველსა და ოპონენტს სთავაზობს არა მხოლოდ ცალკეული მოსაზრებისა და გადაწყვეტილების აღწერას, არამედ მთლიანი სულიერი წყობის შეცნობას: **„რაგინდ მებრძოლი ტემპერამენტი მქონოდეს, რაგინდ მართალი ვყოფილიყო, უნდა მოვრიდებოდი ახალთაობასთან ბრძოლას, ასეთ შემთხვევაში თვით გამარჯვებაც კი დამარცხებაა იმისთვის, ვინც ქვეყნის სიკეთეს პირად თავმოყვარეობაზე მაღლა სთვლის. ახალთაობისათვის ამგვარი შეცთომა იმნაირათვე აუცილებელია, როგორც მოზარდ ბავშვისთვის „ასაკის სენი“: კბილების ჭრა, წითელა, ყვავილი, ქუნთრუშა, ცუდ-ყვავილა, მათი ერთად ერთი წამალი დროა“...** (ქართული პუბლიცისტიკა, 268).

„საგუბერნიო ქალაქს, საცა ყოველი გვარი მთავრობაა მოყრილი სათავეში უდრეკი კაცი კი არა, ღვედივით რბილი და თან უწყვეტი უნდა იდგეს მეთქი. ვინ, რისთვის გაჭედა ახლა ეს ჭორი, ბ. ფანცხავა ფოთიდან განდევნაო, ბ. ურომ იმას ჰკითხოს, ვინც ის ჩემზე მოიქნია და ლაფში კი ჩაფლა“ (ქართული პუბლიცისტიკა, 265).

უროს ბრალდებას - „მწერლობაზე“ ხელი აიღო, რაკი ფულიანი ადგილი იშოვნაო“ - ნიკო ნიკოლაძე აქარწყლებს ნორმატიულ-ღირებულებითი არგუმენტით. მას მიაჩნია, რომ ვინც ამგვარ ბრალდებას უყენებს, ვერ აცნობიერებს ჟურნალისტის მოვალეობას. სახელმწიფო სამსახურში ყოფნის დროს ნ. ნიკოლაძე ვალდებულად შემდეგს თვლიდა: **„ორ ღმერთს ერთსა და იმავე დროს კაცი ვერ ემსახურება, ყველა იმ დაწესებულებას, ვის სამსახურში შევდიოდი, ვუცხადებდი: მიქირავებია თქვენთვის ჩემი შრომა და ცოდნა და არა მწერლური გავლენა მეთქი“** (ქართული პუბლიცისტიკა, გვ.267).

ამ ეპიზოდშიც, ისევე როგორც სხვაგან, ცალსახად იკვეთება ნ. ნიკოლაძის ზნეობრივი ღირებულებები: ეთიკის დაცვა, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება, მტკიცე შინაგანი რწმენა, რაც მაღალი პროფესიული კეთილსინდისიერების მანიშნებელია.

ნიკო ნიკოლაძე არ ცდილობს ამტკიცოს მეტი, როცა შეიძლება ნაკლებით შემოიფარგლოს, იგი არ ართულებს ამოცანას. სოციალ-დემოკრატიის უკიდურესობის კრიტიკისას გასაგებად აყალიბებს მოვლენის მთავარ ნიშანს: **„ქართველობის მიზნები მარტო ზომიერების გზით მიიწევნება... უკიდურესობა მარტო მანამდეა შესანდობი, სანამ**

ხალხის დაბალი, უმეცარი წრეების ღვიძებას, წვრთნას, ამაღლებას ემსახურება... მტკიცედ იცოდეთ,- ის ჩვენებური კინტოა, პროვოკატორობს, გაჭირვების დღეს „მიიმალება“, გაბრიყვებული ხალხის მწარე ბედს არ გაიზიარებს“ (ქართული პუბლიცისტიკა, 270).

საკუთარი თვალსაზრისის ნათლად გადმოსაცემად ნ. ნიკოლაძე უღიმღამო და არასარწმუნო არგუმენტებს უარყოფს. იგი გულწრფელობას მიმართავს, რითაც მეტ დამაჯერებლობას მატებს მსჯელობას. ამგვარია დიქტატორობის სურვილის გასაქარწყლებლად ქვემოთ მოყვანილი არგუმენტიც: **„დიქტატორობა რომ მსურვებოდა, განა ვისმე ნებას მივცემდი, რომ „დროებაში“ ერთი სტრიქონი დაბეჭდილიყო ისეთი, რომელსაც მე არ ვეთანხმებოდი? „დიქტატორი“ განა სხვის რაზმში ჩადგება როდესმე, ან სხვის მიმართულებას დაემორჩილება? რათ ავიტანდი მაშინ მე იმ მდგომარეობას, რომ „დროებაში“ ან „ტიფლისკი ვესტნიკში“ ხშირად იმისთანა აზრებს ავრცელებენ ამ გაზეთების რედაქტორები და თანამშრომლები, რომელთაც მე სრულიათაც არ ვეთანხმები?...**“ (ქართული პუბლიცისტიკა, 236).

ნ. ნიკოლაძის პოლემიკური წერილები სტრუქტურულად გამართულია, რაც ძლიერი მტკიცებულების ბოლო ნაწილში გამოყენებითაც დასტურდება. „უკაჟო მაჭახელას” გაწონასწორებული ტონით მიუთითებს გამოუცდელობას, არათანმიმდევრულობას, აგრესიულობას: **„უფ. მაჭახელაძე, ალბათ, ფიქრობს, რომ უშველებელი კვერი დამკრა თავში, მაგიერად აი რას ვეტყვი: ის ერთობ ყმაწვილია და ჯერ ვერ შეუძენია ვერც კაცის ცნობა, ვერც გამოცდილების სიფრთხილე... ამგვარი სიტყვები, ჩემო ბატონო, ძუძუმწოვარა ბავშვმა კი არ უნდა მითხრას, იმისთანა პირმა უნდა გამოთქვას, ვისაც საკუთარი გზა მამაცურად, გადაუბირავად გაუვლია ისე, რომ თავის მიზანს და მიმართულებას არ ასცილებოდეს არც ერთს ნაბიჯზე. ეხლა კი გასაცინარი ის არის, რომ სიმტკიცეს, სისწორეს ის კაცი მიქადაგებს მე, რომელმაც ჩვენს ახალგაზრდობას ურჩია, - ტურასავით მებრძოლებს უცქირეთ და სადაც ლეში დაინახოთ, იქ დაახტენით კისერზეო“** (ქართული პუბლიცისტიკა, 243). „ფინალური აკორდის“ ეფექტი, უდავოდ, შთამბეჭდავია, როგორც ოპონენტის პოზიციის დასამარცხებლად, ასევე მკითხველის მისამხრობად.

საკითხის შესწავლისას გამოიკვეთა ნიკოლაძე-პოლემისტის ეთიკური მწყობრი სისტემა, როგორც ტექსტის არსებითი ელემენტი. ეს პიროვნული ავტორისეული ელფერი წერილებს პოზიტიურ შინაარსს სძენს, და რაც ასე იშვიათია, მიუკერძოებელს ხდის. თუმცა, პოზიციის

დაფიქსირების დროს ნიკოლაძე ყველგან თანმიმდევრუ-ლად მტკიცეა. პუბლიცისტური ტექსტის პოზიტიურობას ასევე, განსაზღვრავს პოლემიკური ოსტატობის ფორმები: ავტორისათვის ძალიან მნიშვნელოვანი მწვავე საკითხებისადმი მიდგომის არჩევანი, ზნეობრივ-ღირებულებითი პრინციპების დაცვა და მხატვრული ნააზრევის სათანადო ფორმების მოშველიება. ყოველივე კი მკითხველს მოპაექრის თვალსაზრისის საფუძვლიანობის ეჭვს უქარწყლებს. ზემოაღნიშნულიდან ჩანს ნ. ნიკოლაძის პოლემიკური საქმიანობის წესი, ზოგადად მისი პუბლიცისტური მოღვაწეობის ნორმები. ზნეობრივ-ეთიკური ფაქტორები ნ. ნიკოლაძის პოლემიკაში ყველაზე არსებითია, რაც განსაზღვრავს ყველა დანარჩენი კომპონენტის უტყუარობას და მნიშვნელობას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ვასკვნით, რომ ნ. ნიკოლაძის პოლემიკა მკითხველის აღზრდის გარკვეული მეთოდია, ნაყოფიერი ურთიერთობის ერთგვარი ინსტრუმენტია, რომლითაც ნ.ნიკოლაძე-პოლემისტი ღირებულებითი ურთიერთობის ჰარმონიზაციის მზრუნველად ჩანს. მან კარგად უწყის, რომ ამგვარი გავლენის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ორიენტირებულია ადრესატი სიტუაციაში, რამდენად ფლობს ენობრივ-სტილურ საშუალებებს, ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც იდეალურად გამოხატავენ აზრთა შინაარსს და რეალური შედეგი მოაქვთ. სწორედ ასეთი ბეჭდური ტექსტია ეფექტური ინსტრუმენტი კონფლიქტებში, როგორც საზოგადოებრივ ცვლილებათა კატალიზატორი.

ნიკო ნიკოლაძის ღვაწლის გააზრებისთვის საინტერესოა მისეული შეფასება. ვლადიმერ ბაქრაძისადმი მიწერილ წერილში იგი წერს: **„საერთოდ, ვმუშაობდი სავსებით გაუკაფავ ნიადაგზე (ადგილობრივ საქმეებში) და არ მყოლია წინაპრები. სწორედ ამით აიხსნება ჩემი შრომების ნაკლულოვანებანი და შეიძლება ღირსებებიც.**

ამ წერილს პრესისთვის არ ვწერ და ყველაფერი, რაც მასში ნაღვლიანად ჟღერს, არც საყვედურია და არც ჩივილი. ეს მხოლოდ ჩემი შრომის ამაოების შეგნებაა. საწყენია, რომ ამდენი ძალა შევალიე საქმეს, რომელიც, როგორც ჩანს, არავის ჭირდება და, უკეთეს შემთხვევაში, ნაადრევია. პირადი დანაკარგი და ნაღველი არც ისე მაწუხებს. გული მხოლოდ იმაზე მტკივა, რომ ამდენი ძალა და ენერგია რომ რაიმე სხვა საქმეზე დამეხარჯა, დარწმუნებული ვარ, შედეგები სულ სხვა იქნებოდა და ეს ეჭვი იმ საქმის სიცოცხლის უნარიანობაში, რომელსაც სიცოცხლე შევალიე, მწუხარებას მგვრის. მე ბევრს გავიღებდი

ადრინდელი იმედებისათვის ჩვენი ქვეყნის ზრდაში, - მის ნიადაგზე კეთილი თესლის ამოსვლაზე, მის ყოფაში სიცრუისა და სიბოროტის უძლურებაზე. მაგრამ ამგვარი ილუზიები, რომლებიც ჩემს ცხოვრებას ალამაზებდა, ვაი რომ, ქრება. და თუ ყოველივე ეს ასე მწარედ მტკენს გულს, სრულიად არა ჩემს გამო“ (ქართული პუბლიცისტიკა, 282).

ამ ამონარიდში თვალნათლივ ჩანს ნიკო ნიკოლაძის პიროვნება: შრომისმოყვარე; მიზანმიმართული; საზოგადოებრივი ინტერესით გამსჭვალული; ოპტიმისტი, მაგრამ რეალისტი; გამჭრიახი მამულიშვილი. ეს თვისებები სძენს მთელ მის მოღვაწეობას, მეტადრე პუბლიცისტურ საქმიანობას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მკვლევართათვის ძვირფასი მასალაა დღევანდელი ქართული ცნობიერების გააზრების ჭრილში.

მითითებული ლიტერატურის სია:

1. კარნეგი დ. როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და როგორ ვიმოქმე-დოთ ადამიანზე. გამომცემლობა ,,სამშობლო“, თბილისი, 1992.
2. ნიკოლაძე ნ. 150. საიუბილეო კრებული. შემდგენელ-რედაქტორი დალი ჩიკვილაძე. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1996.
3. ქართული პუბლიცისტიკა. ქრესტომათია (XIX საუკუნე). შემდგენელი და რედაქტორი დალი ჩიკვილაძე. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2007.
4. ჩიკვილაძე დ. დროსგასწრებული მამულიშვილი. თბილისი, 2005.
5. ჩიკვილაძე დ. დაუვიწყარი პერსონალიები. გამომცემლობა ,,უნივერსალი“, თბილისი, 2009.
6. წერეთელი აკ. ფოლადი თუ ტალს მოხვდა, ისე ნაპერწკალს ვერ გაჰყრის! რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. IV. გამომცემლობა ,,საქართველო“. თბილისი, 1990.
7. ჭავჭავაძე ი. ,,ივერიის“ წინასიტყვაობა(I). თხზ. სრ. კრებ. ათ ტომად, ტ.III. თბილისი, 1953.
8. ჯიჯეიშვილი ქ. ყიფიანი მ. ჩხიკვიშვილი გ. პოლიტიკური ფსიქოლოგია. თბილისი, 2011.

მ. ლომიძე

პოლემიკური ოსტატობა ნიკო ნიკოლაძის ზოგიერთ პუბლიცისტურ წერილში

რეზიუმე

ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტურ წერილებში იკვეთება ეთიკური მწყობრი სისტემა, როგორც ტექსტის არსებითი ელემენტი. ეს პიროვნული ავტორისეული ელფერი წერილებს პოზიტიურ შინაარსს სძენს, და რაც ასე იშვიათია, მიუკერძოებელია. თუმცა, პოზიციის დაფიქსირების დროს ნ. ნიკოლაძე ყველგან თანმიმდევრულად მტკიცეა. პუბლიცისტური ტექსტის პოზიტიურობას ასევე განსაზღვრავს პოლემიკური ოსტატობის ხერხები: ავტორისათვის ძალიან მნიშვნელოვანი მწვავე საკითხებისადმი მიდგომის არჩევანი, ზნეობრივ-ღირებულებითი პრინციპების დაცვა და მხატვრული აზროვნების სათანადო ფორმების მოშველიება. ნ. ნიკოლაძის პოლემიკა მკითხველის აღზრდის გარკვეული მეთოდია, ნაყოფიერი ურთიერთობის ერთგვარი ინსტრუმენტია, რომლითაც პუბლიცისტი ღირებულებითი ურთიერთობის ჰარმონიზაციის მზრუნველად ჩანს.

M. Lomidze

Polemic Mastery in Niko Nikoladze's Several Journalistic Letters

Summary

The journalistic letters by Niko Nikoladze reflect a sequence of ethical system as an essential element of the text. Being so rare and impartial, this is an author's personal style, positively affecting the substance of the letters.

However, when showing his position, Nikoladze is successively firm. The positive characteristic of his journalistic text is also determined by tools of polemic mastery, namely: author's choice of attitude towards important and critical issues, protection of moral values and usage of adequate forms of journalistic talent. The polemics of Niko Nikoladze may be considered as a teaching method and key to successful relationships which demonstrates author's passion for harmonization of valuable relationships.

Эльза Ломидзе
Тбилиский Государственный Университет

Личные письма с посланием в вечность

(Об эпистолярном наследии Нико Николадзе)

Известно, что образ и характер личности постигается нами сквозь мелодию собственных внутренних состояний и ощущений. Так, познавательный процесс субъективно формирует картину нашего мировосприятия, а поскольку процесс этот психический, он способствует синтезу разнообразных ощущений. Для журналиста психология – почти всегда больше область опыта, чем философской теории, в особенности, когда речь идет о познании характера.

Документальная повесть Ии Месхи, (известного в недавнем прошлом публициста) «Пишу тебе», вышла в издательстве « Мерани » , в Тбилиси в 1980 году, и оставила после себя добрую память, поскольку таит в себе эмоционально напряженное содержание.

Книга повествует о жизни материальной, нравственной и духовной культуры, выдающегося грузинского и русского общественного деятеля, публициста, литературного критика и дипломата. «Пишу тебе... (Нико - Олико) это документальная повесть, основанная на письмах Нико Николадзе и Ольги Гурамишвили. Естественно, переписка героев велась на родном грузинском языке, а в русском издании она представлена в блестящем переводе автора И.С. Месхи

Два человека, которые обменивались письмами, обсуждали» и вопросы борьбы социальных свобод, и многое другое. Причем один, старший и многоопытный, поучал, другая же, внимала с дружеским почтением поученья, но «смела и свои суждения иметь ». И вот это, последнее, по словам автора «Писем…» «выглядит особенно привлекательно».

Ия Месхи приглашает, читателей, по ее словам « к не очень удобочитаемой форме повествования», где то и дело эпистолярный фон излагаемого прерывается выдержками из документов, дополняется деталями реальных исторических событий минувших лет. Месхи прочла связку старых писем и стала узнавать о людях, которые переписывались друг с другом, о том, что их окружало, о тех, кто их окружал. По канонам нравственным, вторгаясь в чужую жизнь, мы должны испытывать чувство смущения, нас могут одолевать смутные терзания и сомнения даже если личные письма стали посланием в вечность.

Однако, не следует забывать, и то, что законы эпистолярного жанра смягчают свой запрет, поскольку, его удивительно пластичная и философско-антропологическая природа представляется необычайно значимой для состояния нашего современного общественного сознания. В наши дни мы всё реже берём в руки бумагу и конверт, как это было всего

несколько лет назад. Электронная почта и оперативней, и удобнее. Не вздыхая о славном почтовом прошлом, отметим, что, тем не менее, письма и сегодня являются важной частью нашей жизни. Бережно сохраненные послания минувших лет помогают нам лучше узнать быт и традиции людей, живших до нас, их чувства, привязанности, образ мыслей. Кажется, о прошлом можно узнать и из других источников - газет, журналов, книг. Но в них чаще всего , представлена официальная точка зрения на события, а в письмах – более открыто и естественно, искренне звучат позывные ушедшего времени. Осмысление опыта прошлого с позиций антропологической проекции формирования личности , сегодня всё больше набирает актуальность, и здесь, лучшим материалом для размышлений могут стать только документальные свидетельства исторических реалий. Поэтому, намечая задачи настоящего научного исследования, мы сочли необходимым, коснуться некоторых важных моментов биографий героев переписки, поскольку их диалоги читателем воспринимались и воспринимаются, по сей день с величайшим волнением и интересом.

Ольга Гурамишвили (впоследствии жена Нико Николадзе) закончила Закавказский девичий институт, получила «Золотой шифр» — диплом с отличием. Ее расхваливали, ею гордились. Но этим — все, возможности продолжить образование кончались. В Тбилиси не было высших учебных заведений, а в Петербурге в те годы доступ в университет женщинам был закрыт. Учиться можно было только за границей, если получить на то согласие родителей. Отец Олико, князь Александр Гурамишвили, человек суровый и крутой, и слышать не хотел о том, чтоб дочь его уехала за границу. Вполне достаточно у нее образованности, — считал он, — чтобы составить хорошую партию. А больше знаний княжеской дочери ни к чему. И он окружил ее сонмом сиятельных женихов. К планам родителей Олико отнеслась с полным безразличием. Только бы не терять времени. Удача сопутствовала ей. В 1871 году царь Александр II, посетивший Грузию (а точнее — брата своего Михаила Романова, наместника Кавказа), всемилостивейше разрешил выпускницам Института, благородным девицам, учиться на тбилисских курсах саморазвития.

«Сам царь! Перед столь удивительным, неумолимым фактом князь Гурамишвили спасовал. И Олико стала ходить на курсы.

«Нико! Умный, обаятельный, независимо держащийся, мятущийся по белу свету человек. Всегда на волне, всегда впереди, будоражит и зовет своим острым журналистским пером. У него уйма друзей и столько же недругов. Затевает чертову прорву дел. Вызывает восхищение и вместе с тем чем-то чуть-чуть раздражает и злит окружающих.Даже самых близких друзей. Быть может, оттого что характер беспокойный. Да к тому же, человек он был не совсем свой, не дворянских, не благородных кровей?..Николадзе первым из грузин, получил в Европе степень доктора права.

Он считал, что и другие его соотечественники могут и должны следовать его примеру, если они думают о пользе для своего народа! И пусть воспринимают поездки на учебу за рубеж не как увеселительные прогулки, а как трудный и жестокий бой».

Предоставленная читателю переписка двух, конечно же, влюбленных в жизнь людей, свидетельствует об их приверженности к оригинальной исповедальной традиции в написании писем, она демонстрируют и « поразительно талантливую открытость навстречу друг другу, навстречу миру ». Год 1873-й Время продолжительной депрессии больше всего проявилась в странах Западной Европы и Северной Америки. Прибывшая недавно в Цюрих восемнадцатилетняя Ольга, пишет первое письмо своему старшему другу.

Олико — Нико
Март, 1873 г. Цюрих.

«...После твоего отъезда мы бегали по улицам Цюриха, высунув языки от жары, и отыскивали квартиру. Но, ужас! Везде нас с презрением выгоняли: нет, мол, квартиры! А оказалось, что «для вас нет», потому что на другой день в «Утреннем часе» объявлялось об этой самой квартире. Вот мы бегали, бегали... (читай так, будто рассказываешь детям сказку на сон грядущий, но сам не засыпай) бегали, бегали, уставали как собаки, приходили домой и с отчаянием в сердце заваливались спать. Наконец, в один прекрасный день, мы шли и набрели на какую-то помешанную старуху, которая предложила нам воробьиное гнездо. Окна и двери этого гнезда сделаны в крыше. Представь себе, мы с восторгом наняли его за 25 франков плюс 2 франка за «материнские попечения», как выразилась наша помешанная. Из всего этого ты можешь заключить, что мы еще не начали заниматься как следует, хотя к нам уже ходит учитель немецкого языка и математики. Мы выписали учебники, какие были нужны, и до сих пор ждем их. Ужас как надоело шляние по улицам и ничегонеделание! Да, кстати, никак не могу понять, что это за «Лионский вопрос» в «Ле Раппель». Пожалуйста, объясни в письме. Представь себе, некого спросить, а «Ле Раппель» только и трактует об этом До свидания, до свидания, до свидания. Надо бежать на собрание!..»

Читая переписку Николадзе – Гурамишвили, убеждаешься, в истинности Лотмановских толкований об эпистолярном жанре. Академик определяет его как "жанр- отдушина» с его непостоянством и рефлексионно-взрывными откровениями-вызовами. По словам Лотмана жанр письма с наибольшей силой реализовал себя не в вершинных созданиях человеческого ума, а в резком подъеме среднего уровня духовной жизни. Эта черта культуры выразилась, в частности, в значительном расширении круга частных рукописей и появлению "текстов жизни". То, что навык письма становится массовым, чрезвычайно

распространенным во всех слоях общества, позволяет говорить о повсеместном начале пишущей публики. Расширение практики рукописных трудов совпало с развитием еще одного феноменального явления – появлением "культур личностного типа", на скрещении, которых и вырос "человек пишуще- философствующий».

В пространном письме, на составление которого наверняка ушел целый вечер, Нико разъяснял Олико отношения между партиями монархистов и республиканцев, начиная с революции 1848 года. Сам он, конечно, был сторонником республиканцев, поносил монархистов и говорил, что, покончив с Парижской Коммуной, они теперь хотят приняться за другие города, где еще сохранились республиканские свободы. Таков, например, крупный промышленный центр Франции — Лион. Монархисты хотели протащить на собрании проект, по существу уничтожающий
все демократические завоевания лионцев.

Почти в каждом письме Нико Николадзе дает оценку действиям своей юной подруге. Он подчеркивает, что необходимо неотступно в самостоятельной жизни придерживаться принятой системы нравственных мер. Нередко Нико проявляет прямо таки отцовскую заботу обо всех грузинских студентках Цюрихского университета , требуя от Олико регулярно отвечать на все его послания.

Нико—Олико
(из Грузии)

...Здесь произвело громадное впечатление распоряжение правительства о русских женщинах в Цюрихе. Это распоряжение очень близко касается вас всех. Поэтому я хочу, чтобы, останавливаясь на каком-либо решении, вы имели под рукой всякого рода соображения. С. Месхи говорил, что распоряжение это неважно и не опасно. Следовательно, с его точки зрения подобает действовать так, как если бы этого распоряжения вовсе не существовало. Вот вам одно соображение. Второе: думаю, что жизнь в Цюрихе не представляет особых удобств, которые нельзя было бы выискать в других городах, например, в Берне. Необходимо, мне кажется, явиться в Россию по окончании занятий с «незапятнанной репутацией», а для этого, может быть, недурно выбрать другой центр для занятий. Во всяком случае, бравировать правительством не следует, если на это нет положительно вынужденной необходимости. Примите в соображение и прочие обстоятельства и действуйте как знаете. Впрочем, лучше подождать до осени, не прерывая занятий. Письма Нико Николадзе и Олико Гурамишвили несомненно порою перерастают личностный характер они остры, злободневны, публицистичны. Ставят проблемы времени, нравственности интереса к гуманитарным знаниям, ориентации в новом мире.

Восемнадцатилетняя Олико – это прежде всего, независимый ум, честность, трудолюбие, и сила воли.

Нико — Олико

…Мне нравится, что ты решаешься высказывать свои мысли и ощущения о том, что делается вокруг тебя. Продолжай, пожалуйста, рисовать мне время от времени портреты и характеристики своих знакомых, рассуждай со мной вслух об их поступках и мнениях: это научит тебя умению судить о людях. Будь уверена, что, как бы пристрастны и неосновательны не были твои суждения, в конце концов, ты приучишься к верному взгляду.

Олико - Нико

«…Все время какие-то мысли бродят в голове, да всего не передать. А хочется все тебе передать! Но, право, я не умею. Нужно изложить логично, а у меня все разбрасывается в разные стороны. Кажется, целый бы день писала письма, а тут, как на грех, урок, нужно идти заниматься. Ну, до свиданья…»

По степени самораскрытия личности и исключительности влияния на общество, книга писем «Пишу тебе», обаяние главных ее героев вполне может претендовать на самостоятельную роль не только в качестве « занятного, хотя и крайне специфичного» литературно-экзистенциального прецедента, но и примера высокой публицистической классики.

Письма той поры перерастают отведенные им многовековой историей рамки, свидетельствуя, с одной стороны, о рождении оригинальной исповедальной традиции. С другой – демонстрируют поразительно талантливую открытость личности навстречу миру с её способностью прочитывать человеческие смыслы реальной, невыдуманной действительности, переводя информацию на язык философический с помощью эпистолярных средств «повседневного бытования». Человек стремился преодолеть ограниченность своего индивидуального бытия путем постижения собственной экзистенциальной аутентичности, очерчивая в который раз феномен своего присутствия в этом мире, но уже посредством эпистолярного дискурса, который по сей день, наукой не до конца изучен.

Таким образом, опубликованные в повести письма, стали свидетельством возникновения их дружеской привязанности , обусловленной сходством установок и интересов , преданных, доверительных и искренних отношений между давними друзьями и соратниками.

Следует отметить, что личность Николадзе всегда заслуживала особого внимания со стороны исследователей. А любовная история Нико и Олико оказалась достойной преобразиться в романтическую, документальную повесть. Ее воплощение освещено и движением души

тонкого словесника, блистательного в прошлом публициста И. Семеновны Месхи. Книга « Пишу тебе…» поведала нам о совсем еще юной красавице и умнице Олико Гурамишвили, которой суждено было стать последней и самой сильной любовью выдающейся исторической личности, мужественного публициста, просветителя и общественного деятеля, внесшего неоценимый вклад в развитие грузинской либеральной журналистики, горячего участника различных экономических и социальных проектов своего времени. Кроме того, знакомясь с эпистолярным наследием великих людей, мы обретаем неоценимые нравственные уроки жизни. Такие письма несут в себе важную информацию, ценность которой с годами только возрастает. Без постоянного научного внимания к эпистолярному наследию Нико Николадзе мы рискуем утратить какие-то важные эпизоды нашей национальной истории и демократической культуры.

Указанная Литература:

1. Месхи Ия Семеновна. Пишу тебе. Документальная повесть. (Олико-Нико). «Мерани» Тбилиси 1980.
2. აკაკი ბაქრაძე ნიკო ნიკოლაძე. „ნაკადული“, თბილისი, 1980.
3. Тетерин В.Н. Ценности и смыслы Виктора Франкла. Вопросы философии 30.04.2013 г.
4. Н. В. Сапожникова. ФИЛОСОФСКО-АНТРОПОЛОГИЧЕСКАЯ ПРИРОДА ЭПИСТОЛЯРНОГО ДИСКУРСА. Автореферат „Сыны Грузии“.
5. Логунова Наталья Валерьевна. Эпистолярный жанр в русской литературе второй половины XVIII - первой трети XIX вв. Научная библиотека диссертаций и авторефератов disserCat.

ე. ლომიძე

პირადი წერილები გზავნილით „მარადისობისაკენ“

რეზიუმე

ია მესხის დოკუმენტური მოთხრობა (ცნობილი პუბლიცისტის ბოლოდროინდელი შემოქმედებიდან) „გწერ შენ“ დაიბეჭდა გამომცემლობა ,,მერანში'' თბილისიში 1980 წელს და მკითხველს დაუტოვა კარგი მოგონება, რამდენედაც იგი საკუთარ თავში აერთიანებს ემოციურად დაძაბულ შინაარსს.

ეპისტოლარულ ჟანრში ჩვენ ვწვდებით ცნობილი ქართველი და რუსი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის, ნიკო ნიკოლაძის მორალური და სულიერი კულტურის არსს.

ნიკო ნიკოლაძის წერილები შეიცას მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელთა ღირებულება წლებთან ერთად იზრდება. მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობის გარეშე ჩვენ შეიძლება სამუდამოდ დავკარგოთ ჩვენი ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ეპიზოდები.

E. Lomidze

Private Letters with the Message ‘Eternity’

Summary

Documentary story by Ia Meskhi (known in the recent past Publicist) "I am writing to you," published by the publishing house "Merani". Tbilisi in 1980, left in the reader's mind a good memory, as fraught with emotional tension maintenance.

In the epistolary genre we grasp the essence of moral and spiritual culture of outstanding Georgian and Russian social activist, journalist, literary critic, Niko Nikoladze.

Niko Nikoladze’s letters contain important information, the value of which increases with time. Without his epistolary heritage we may lose forever some important episodes of our national history and culture.

პაატა ნაცვლიშვილი
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

გიორგი ჭალადიდელის კალამბურები და-ძმა ნიკოლაძეებისადმი მიძღვნილ ლექსებში

ნიკო ნიკოლაძის უმცროსი და ანასტასია ნიკოლაძე, უფრო ცნობილი ანასა და ანიჩკას სახელით, ორი პოეტის – აკაკი წერეთლისა და გიორგი ჭალადიდელის მრავალწლიანი ტრფობის ობიექტი იყო.

„მისი გულის პირველივე გამოღვიძებიდან იგი ორი ჩვენი პოეტის ოცნებად ქცეულა: თვით აკაკისა, 1862-63 წლიდან და გიორგი ჭალადიდელისა 1864-65 წლიდან“, – წერს მამიდამისის შესახებ ნიკო ნიკოლაძის ასული რუსუდანი 1940 წელს გიორგი ლეონიძის თხოვნით დაწერილ თავის მოგონებაში და აგრძელებს:

„აკაკი მას „პატარა ქალბატონს“ ეძახდა ალერსიანი ხუმრობით და ამ ეპიტეტით დაწერილმა აკაკის წერილებმა ჩვენამდეც მოაღწია. როგორც გარეგნულად, ისე მთელი თავისი ბუნებით მამიდა ანიჩკა რაღაც ნაზ გრძნობებს იწვევდა ყველაში, ვისაც შეხვდებოდა: მზრუნველობას, თბილ ალერსს. ახალგაზრდობაში ძალიან ლამაზი, იგი ახლაც მშვენიერი გარეგნობის იყო, პატარა და კოხტა“.

ეს მოგონება იმ პერიოდს შეეხება, როცა რუსუდან ნიკოლაძე მისი მამიდების, ანიჩკასა და კატოს პანსიონში სწავლობდა და როცა ანასტასია ნიკოლაძე უკვე 50-ს იყო გადაცილებული.

ამ დროისათვის აკაკის და ანიჩკას მეგობრობა, რომელიც პოეტის პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნებისთანავე დაიწყო, უკვე 35 წელიწადს ითვლიდა.

ანასტასია ნიკოლაძესთან იმ შეხვედრას აკაკი, რუსუდან ნიკოლაძის გადმოცემით, ასე იხსენებდა:

„სასტუმრო ოთახის კარი გაიღო და შიგ ახლად გაშლილმა ვარდმა შემოანათა, – პატარა, ხაბარდა-კაბიანმა, შავ წარბებ-შეკრულმა ქალბატონმა, რომელმაც მკაცრი, მუნჯი შეკითხვით მიაბჯინა ახლადმოსულს ვარსკვლავებივით აბწყინვებული თვალები: აბა გვეჩვენე, რად გაქცია შენმა გასეირნებამ შორეულ პეტერბურგშიო? ასე გვიამბო აკაკიმ თავისი პირველი შეხვედრა „ქალად ქცეულ“ 16-17 წლის ანიჩკასთან, რომელიც მან 13 წლის ბავშვად დასტოვა წასვლისას. აქედან იწყება მათი არაჩვეულებრივ-მხურვალე და ნაზი მეგობრობა, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი გრძელდება“.

ანა ნიკოლაძეს რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა თავის პოეტ თაყვანისმცემლებთან. მასზე 7 წლით უფროს

აკაკისადმი იგი თავიდან ერთგვარი მოწიწებით შესციცინებდა, რაც ჯერ სიყვარულში, ბოლოს კი, მას მერე, რაც 1864-ში აკაკიმ ცოლი მოიყვანა, ახლო მეგობრობაში გადაიზარდა.

ისევ რუსუდან ნიკოლაძეს მოვუსმინოთ:

„თვით ანიჩკამ - კი, შეიძლება თამამად ითქვას, მთელი თავისი გული და პირადი ცხოვრება შესწირა ამ მეგობრობას, – აკაკის ჩანგსა და პიროვნებას. და შესწირა მისებურად: სრულად და უნაშთოდ; და ისე ჩუმად, ისე გულჩათხრობილად, რომ ეს არავის არ სცოდნია დანამდვილებით, გარდა მის და თვით აკაკისა, რომელმაც თან ჩაიტანა საფლავში ეს საიდუმლო, სრულიად არაჩვეულებრივი მისი განთქმული „მეფისტოფელური“ ხასიათისათვის და მხიარული უნდობლობისათვის ქალის გრძნობების მუდმივობის მიმართ.

საერთოდ ამ ნაზი ქალის გულში ყოველი განცდა ღრმად და სამუდამოდ იმარხებოდა, გარედან სრულიად უხილავი და მიუკარებელი. ამიტომ მის მიერ გამოწვეული გრძნობები მტკიცე და ხანგრძლივი იყო“.

რაც შეეხება გიორგი ჭალადიდელს, რომელიც ზუსტად მისი თანატოლი იყო, ანა ნიკოლაძე მას რამდენადმე ზემოდან უყურებდა, შეხვედრას და საუბარს კი არა, წერილსაც ძვირად აღირსებდა ხოლმე და ეს წერილებიც, როგორც ჭალადიდელის პასუხებიდან ჩანს, საყვედურებით, დამუნათებითა და ბრალდებებით იყო სავსე.

აკაკის ანიჩკასთვის ხელი არ უთხოვია, გიორგი ჭალადიდელმა კი სთხოვა ცოლობა, მაგრამ პასუხად დამცინავი უარი მიიღო – ჯერ სწავლა-განათლება გაასრულეო.

ისე რომ არც იაკობ ნიკოლაძეს ასახელებს და არც ანას, იონა მეუნარგია გიორგი ჭალადიდელის თხზულებათა პირველი წიგნის წინასიტყვაობაში წერს:

„ჯერ ისევ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა გიორგი, როცა ის დაუახლოვდა ერთს ქალთა სასწავლებელში ნასწავლს ვაჭრის ქალს და ყმაწვილობის აღტაცებით აენთო მისდამი სიყვარულით. როგორც ამბობენ, თვით ამ ქალსაც, რომელსაც გიორგი იხსენიებს თავის ლექსებში ანობითა და ნარობით, მოსწონდა გიორგი, მაგრამ როდესაც მგოსანმა ხელი სთხოვა ბანოვანს, მან პასუხად თურმე გასცა: ჯერ მაღალი სასწავლებელი გაათავე და მერე გამოგყვებიო“.

სწორედ ამ უარის გამოძახილია გიორგი ჭალადიდელის ცნობილი ლექსი „მოგონება“ („მახსოვს, პირველად სასწავლებელში“), რომელიც 1869 წელს მისი პირველი გამოქვეყნებისთანავე ხალხმა

სასიმღეროდ აიტაცა, ხოლო იაკობ გოგებაშვილმა თავის „ბუნების კარში“ შეიტანა.

ცნობილია, რომ ცალკე ავადმყოფობის, ცალკე დარდიმანდული დროსტარებისა და ცალკე შეყვარებულობის გამო გიორგი სწავლაში ვერ ბრწყინავდა, გიმნაზიის დამთავრებისას საშუალო ნიშანი დაბალი გამოუვიდა და ატესტატი არ მისცეს.

ამადაც მოუწოდა ანიჩკამ სწავლისკენ, რაც ასე აისახა პოეტის იმ „მოგონებაში“:

მახსოვს პირველად სასწავლებელში
წასაყვანად რომ მე გამამზადეს,
მაშინ ანბანი მომცეს მე ხელში
და შინაურად მე გამომცადეს.
ჯერ **„ანი“** მკითხეს და მერე **„ნარი“,**
მაგრამ ყველაზე ვუთხარ უარი.
რაკი დარწმუნდნენ, არა ვიცოდი,
მაშინ კი ჩუმად გამიღეს კარი
და მითხრეს: „რადგან აქ არ ისწავლე,
სასწავლებელში წადი, იწვალე,
იქ გაჩვენებენ შენს თვალის სეირს,
თუ ეს სიცელქე არ მოიშალე“.

ეს ლექსი დღეს ყველა წიგნიერმა ქართველმა იცის, მაგრამ ცოტა თუ დაფიქრებულა იმაზე, რატომ ჰკითხეს ლექსის ლირიკულ გმირს „ან“-ის მერე „ნარ“-ი და არა „ბან“-ი, როგორც ამას ანბანის რიგი მოითხოვს.

იმიტომ, რომ ამ ფორმით ავტორი შეყვარებულის სახელს აქარაგმებს თავის ლექსში – „ან“-ი და „ნარ“-ი ანასტასია ნიკოლაძის სახელისა და გვარი პირველი ასოებია.

განსხვავებით აკაკისა და ანიჩკას ურთიერთობისაგან, რომელიც მეგობრობის საიმედო ბურუსით იყო დაფარული გარეშე თვალთაგან, გიორგი ჭალადიდელის ტრფობა ანა ნიკოლაძისადმი არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა.

ანა ნიკოლაძე აკაკისთვის ერთ-ერთია, გიორგი ჭალადიდელისთვის – ერთადერთი!

თავის მხრივ ანა ნიკოლაძე აკაკის მიმართ გულთბილი და მეგობრულია, ჭალადიდელის მიმართ – გულცივი და უკარება.

აკაკი წერეთელს არც ერთი ლექსი არ მიუძღვნია ანიჩკასთვის, ყოველ შემთხვევაში თამარ ახვლედიანი 1997 წელს ჟურნალ „განთიადში“ გამოქვეყნებულ თავის სტატიაში „ანა ნიკოლაძე და აკაკი“ არც ერთ ასეთ ლექსს არ იმოწმებს, თუ ასეთად არ ჩავთვლით საკუთარ

სურათზე მიწერილ ლექსს, რომლის ერთი ტაეპი გიორგი აბზიანიძეს მოჰყავს აკაკი წერეთლის მეთხუთმეტე ტომში მისი წერილების პუბლიკაციისას:

აჰა, სახე მოღრუბლული,
უპირბადო, სწორ-მეტყველი
მისის გრძნობის, ვისიც გული
არს კეთილის გამზრახველი...

ან ანიჩკასათვის ნაჩუქარ გიშრის საათზე ამოტვიფრულ წარწერას:

ყრუ სიმართლისთვის,
სიწმინდისთვის – ბრმა
წყეულიმც იყოს
მისი გულის-თქმა.

აკაკი

რუსუდან ნიკოლაძის თქმით, ამ საათს ანიჩკა მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ იშორებდა გულიდან.

აკაკი წერეთლის საპირისპიროდ გიორგი ჭალადიდელის თითქმის ყველა ლექსი პირდაპირ თუ შეფარვით ანიჩკას უკავშირდება.

იმ ლექსებზე რომ არაფერი ვთქვათ, სადაც ანასტასია-ანას სახელი პირდაპირ თუ ინიციალებით არის მითითებული („ჩემს ანას“, „ვუძღვნი ანსა და ნარსა, ორსა და ხარსა“, „ვუძღვნი ა. ნ.“ და სხვ.), თითქმის ყველა მის ლექსში ჩაქარაგმებულ-ჩაკალამბურებულია მიჯნურის სახელი თუ მასთან დაკავშირებული ესა თუ ის რეალია.

თუმცა პირველ ყოვლისა სწორედ იმ ლექსებზე უნდა ვთქვათ, რომლებიც ყველაზე გამორჩეულია ამ მხრივ, ხოლო ერთი მათგანი – „ჩემი ანა“ – მთლიანად უნდა მოვიხმოთ:

მახსოვს ის დრო, ოდეს ტურფას
გრძნობითა მეც დავხაროდი,
მასთან ტიკტიკს, მასთან ყოფნას
სამოთხეშიც არ გავცვლიდი.
ვამბობდი ჩემს გულში ხშირად:
„ვენაცვალე ჩემსა **ანა**ს,
რა ლამაზი არის პირად,
ვინ ჭვრეტს ქალსა იმისთ**ანა**ს“!
მაგრამ ახლა ჩემმა **ანა**მ
მორჩა და არ გამიტანა.
ღმერთმა ყველას აგაშოროთ,
ძმ**ანო**, ბედი ჩემისთ**ანა**!

ოდეს მიგვიანდებოდა
და მის ამბავს ვერა ვცნობდი,
ჯავრით გული მიკვდებოდა
და ტანჯვასა მარად ვგრძნობდი...
მაგრამ ახლა მორჩა, **ანა**მ
სრულებით არ გამიტ**ანა**.
ღმერმა ყველას აგაშოროთ,
ძმანო, ბედი ჩემისთ**ანა**!
ს**ანა**მ ვიყავ მე მასთანა,
ს**ანა**მ სახე მიყვაოდა,
მ**ანა**მ თურმე ჩემი **ანა**
ტრფობის ძალით დამხაროდა;
ახლა რა სცნო, რომ ჭაღარა
ასე უცებ მომეპარა,
მსწრაფლად ჩემგან საყვარელმა
რიდით სახე დაიფარა.
და ახლა სულ მორჩა **ანა**,
მორჩა და არ გამიტ**ანა**,
ღმერთმა ყველას აგაშოროთ,
ძმ**ანო**, ბედი ჩემისთ**ანა**!
მე შეცდომა მომივიდა,
ახლა რაღა გაეწყობა!
მაგრამ სხვასაც შიში მართებს,
ვინც დედაკაცს დაენდობა!
ვიცი, რომე ბევრმა სულმა
ლამაზს გული დაამყარა,
მაგრამ ჩემებრ სიყვარულმა
ბოლოს ყველა გაამწარა.
ვმადლობ ღმერთსა! მორჩა **ანა**,
მორჩა და არ გამიტ**ანა**...
თქვენ კი ღმერთმა აგაშოროთ,
ძმ**ანო**, ბედი ჩემისთ**ანა**.

ჩვენ სახელი ანა ყველგან გამოვყავით – იქაც, სადაც ეს სახელი პირდაპირ არის ნახსენები და იქაც, სადაც იგი ჩაკალამბურებულია. თანაც კალამბურული „ანა“ თითქმის ორჯერ სჭარბობს პირდაპირ ხსენებას. გიორგი ჭალადიდელის თხზულებების ყველაზე სრულყოფილი, 1965 წლის გამოცემის შემდგენელმა და კომენტატორმა პლატონ ბულიამ კი კალამბურები ვერ შეამჩნია, ან არ გამოყო, მან

მხოლოდ სახელის პირდაპირ ხსენებას გაუსვა ხაზი. ჩვენი აზრით, სწორედაც პირიქით უნდა გაეკეთებინა. სახელი ისედაც ჩანს, კალამბური კი დაფარულია და უწინარესაც სწორედ მისი გამოყოფაა საჭირო. ასეა თუ ისე, პლატონ ბულიასეული „ჩემი ანა“ ჭალადიდელის ერთადერთი ლექსია, სადაც ადრესატის სახელი გამორჩეულად არის დაბეჭდილი. ჩვენ ამ ლექსში ავტორის მიჯნურის სახელის სხვაგვარი ფორმაც გამოვყავით – „ანო“, თუმცა კარგად ვხვდებით, რომ ამ ფორმის კალამბურად ჩათვლა რამდენადმე ხელოვნურია, მაგრამ რაკი ავტორს აქ „ძმანოს“ ნაცვლად „ძმები“ შეეძლო ეხმარა, ჩვენ ისიც კალამბურებს მივაკუთვნეთ.

საინტერესოა ამ ლექსის ავტორისეული კომენტარი, რომელსაც იგი ლექსის ადრესატს უზიარებს ერთ კერძო წერილში

„ბოლოს მომივიდა მე ის აზრი, რომ ადამიანი როგორ უნდა შეიპყროს ისე, რაც უნდა იყოს, თუგინდ სიყვარულმა, რომ იგი მან ვერ დასძლიოს. ამ თავმოყვარეობამ მაფიქრებინა ის, რომ მე ჩემი გრძნობა საცინლად ამეგდო და თქვენი მტრად და მავნებლად გავმხდარიყავი. ასე ვფიქრობდი: ნუთუ სიყვარული ისეთი გრძნობა არის, რომ ადამიანი [ვერ] დასძლევს-მეთქი. იმისთვისაც დავსწერე მე ლექსი „ჩემი ანა“, რომლით მინდოდა თქვენთვის მეწყენინებია, შემერცხვინეთ და მეც თავი დამენებებია. ამას გარდა, სხვებთანაც გაიგონებდით და გაიგონებდით იმ ჭორებს, რომელიც, უეჭველია, გაგონილი გექნებათ, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ მე თქვენ დამესაჯეთ, მე ჩემი თავი და სვინდისი დავისაჯე და „ჩემ ანაში“ ნაცვლად თქვენთვის გულსაკლავ სიტყვებისა, ჩემთვის დაუვიწყარი და სამწუხარო სიტყვები წარმოთქვა ჩემმა გულმა, მაგალითად „ღმერთმა ყველას აგაშოროს, ძმანო, ბედი ჩემისთანა“. დასტურ! რომ ღმერთმა ყველას ააშოროს ჩემისთანა ბედი და შენისთანა გულცივი ადამიანის შეყვარება! გარდა ამისა, თქვენმა გინებამ და უსაფუძვლო ჭორებმა, ჩემგან დასაჯა შემდეგ ჩემი გული ისე, რომ მე თქვენწინ ყოველთვის დამნაშავედ ვსთვლი თავს. ღმერთმა იცოდეს, რომ მუდამ ის აწუხებს ჩემს გულს, რომ რითი გავასწორო ჩემი მაშინდელი უგუნურობა. გარდა ამისა, ჩემი „უიმედო საყვარელო“, მე რომ რუსეთში წავედი, ვფიქრობდი, თუ იქაური მხიარული ცხოვრება მაინც გარდამავიწყებდა შენს თავს, მაგრამ ის სულ ტყუილი შემექნა“...

„ჩემი ანა“ 1869 წლის 4 აგვისტოს არის დაწერილი, წერილი – ორი თუ სამი წლის შემდეგ.

1870 წლის 8 თებერვალს ქუთაისში დაწერილი „ფარვ**ანა**“ „ჩემი **ანა**ს“ **ანა**ლოგიურია:

ვხედავ ფარვ**ანა**ს მფრინავსა,
ლამპარსა მიეშურება,
მის ალზე ითბობს ის თავსა,
ნელ-ნელა ბედს ემდურება.
ლამპარი წრფელის გულითა
ფარვ**ანა**ს ტრფობას არ უგრძნობს,
დახრუკავს საწყალს ალითა,
მის ახლოს იმას არ ინდობს.
მაგრამ საწყალმა ტრფობიდან
თავი ვერ გამოიყვ**ანა**,
მიფრინავს ისევ ლამპართან,
იხრუკვის ჩემი ფარვ**ანა**.
შენც იცი, ჩემო ლამაზო,
ვინ არის შენი ფარვ**ანა**,
მაგრამ ეს მიკვირს, ლამპარსა
შენ ვიღამ გამოგამგვ**ანა**?
შენი ფარვ**ანა** საწყალი,
შენ ხედავ, რისთვისა კვდება:
იხრუკვის, იწვის, იტანჯვის
და შენ კი რა გენაღვლება!
მაშ ახლა, ჩემო ლამაზო,
მებრალვის შენი ფარვ**ანა**
და ურგძნობს შუშის ლამპარსა,
მიკვირს, რამ გამოგამგვ**ანა**.

1869 წლის 13 დეკემბერს დაიწერა კიდევ ერთი ლექსი, რომელიც პირველ პუბლიკაციებში დაშიფრული, მაგრამ გამჭვირვალე სათაურით დაიბეჭდა – „ვუძღვნი ა. ნ“, ხოლო პლატონ ბულიამ ის პირვანდელი სათაური გაშიფრა: „ვუძღვნი ა[ნასტასია] ნ[იკოლაძეს]“. ეს გახლავთ ლექსი-გამოცანა, რომელშიც ავტორი ადრესატსა და მასთან ერთად მკითხველს დაშიფრული სათაურის გახსნას სთავაზობს და პასუხს ლექსშივე იძლევა მარტივი კალამბურის სახით:

აბა თუ იცნობ, აქ რა სწერია,
ან ჩემ გულს ვისთვის აქ უძგერია;
ვის ლოცულობდა, ვის აღმერთებდა,
ან გულის გრძნობა ვისკენ სჭერია?
ამასაც გეტყვი; თუ გინდა მიხვდე,
გირჩევ, შენ გული დააიმედე,
რომ ძებნით იმას ვერსად**ა ნა**ხავ,

თუ შენ გულშივე არ ჩაიხედე.
და თუკი მიხვდი, აქ რა სწერია
ან ჩემს გულს ვისზე აქ უძგერია;
გაფიცებ თავსა, არ დაიძახო:
„ეს ვინ სულელი და ოხერია“!

ამ ლექსის ბოლო სტრიქონში ნახსენები სიტყვა „სულელი“ პირდაპირ კავშირშია გიორგი ჭალადიდელის ერთ წერილთან, რომელშიც იგი ანა ნიკოლაძეს წერს:

„შენც იცი, რომ ნათქვამია, სიყვარული ბრმა არისო და თუ შენ ბრმა არა ხარ, ამას ვიღა გაგიმტყუნებს, გენაცვალე, გარდა ჩემისთანა სულელისა, მაგრამ ამაზე, უეჭველია, მაშინაც ვილაპარაკოთ. – შენს ბარათში ყველაზე უფრო სასიამოვნო სიტყვები ის იყო, რომ მწერდი: „რადგან შენ ჭკუას მარიგებ, მეც მომეცი ნება დაგარიგოვო. სისულელეს თავი დაანებე და იშრომევო. ამის დაწერისათვის, ნება რომ მქონდეს, მე ვიცი, შენს ხელებს რასაც ვუზამდი, მაგრამ ახლა რაღა გამეწყობა, გარდა გაჩუმებისა, მაგრამ, იცი, გენაცვალე, რა გითხრა? სხვადასხვა ადამიანს სისულელეთ სხვადასხვა რამე მიაჩნია და ამისათვის გთხოვ მაცნობო, შენ რა მიგაჩნია ჩემში სისულელედ“.

რაკი კალამბურზე ვლაპარაკობთ, სიტყვა „სულელი“ უნებურად წაგვიყვანს აკაკის მიერ ამ სიტყვის ორგზის ასე ბრწყინვალედ ჩაკალამბურებისკენ, მაგრამ აქ ეს „სულელი“ „სულელია“ და მეტი არაფერი, არავითარი დაფარული შინაარსი მასში ამჯერად არ დევს. ისევე, როგორც შეიძლება არანაირი კალამბური არ იყოს, ჭალადილელის სხვადასხვა ლექსში ჩამალული სახელი „ანა“, მაგრამ ვიცით, რა პოეტის განსაკუთრებული დამოკიდებულება ამ სახელის მიმართ, მაინც შეიძლება ამგვარი სტრიქონების გამოკრება.

დაბოლოს ორი ადგილი კიდევ ერთი ლექსი-გამოცანიდან, რომელიც მთავრდება ასეთი სიტყვებით: „ვისაც მიეწერება, ვგონებ თვითონ მიხვდება“:

მაგრამ ახალმა დროებამ,
აი რა მოგვიტ**ანა**. („მშვიდობით“);
გ**ანა** თვითონ არ ატყობს,
რომ ჩვენ მასთან ბუზი ვართ? („მშვიდობით“);

ცალკე უნდა გამოიყოს ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ლექსი გიორგი ჭალადიდელის შემოქმედებაში. ეს გახლავთ 1869 წლის 2 მაისს ქუთაისში დაწერილი და იმავე თვეს „სასოფლო გაზეთში“ გამოქვეყნებული „მენავე“, რომელსაც 22 წლის დამწყები პოეტი 29 წლის აღიარებულ მგოსანს, აკაკი წერეთელს უძღვნის საკმაოდ

გამჭირვალე ტექსტით: „ვუძღვნი თ. ა. წ.“, რაც პირდაპირ არის გაშიფრული პლატონ ბულიას გამოცემაში – „ვუძღვნით ა. წ[ერეთელს]“. ეს ლექსი საინტერესოა მასში გამოხატული აშკარა გაორებით – ერთი მხრივ, ახალგაზრდა პოეტი დაუფარავ პატივისცემას ამჟღავნებს აკაკისადმი, ხოლო მეორე მხრივ, ისინი უკვე რამდენიმე წელია, რაც რაყიფები არიან, თუმცა ჭალადიდელს არ აშინებს აკაკის სიდიადე და თამამად ედრება და ეტოქება მას. ისიც საკმაოდ ბუნებრივად ჩანს, რომ ლექსში ორჯერ არის ჩაკალამბურებული მათი ტრფობის ობიექტის სახელი:

ვხედავ, დღე მიდის და დაჰკრეს ზარი,
დიდი ხანია, მზეც გადიხარა;
გამოიცვალა მსწრაფლად ჰაერი,
ღრუბლებმაც ღრუბელს გადაუარა,
დაჰქრის ნიავი,
მიფრინავს ნავი,
და ზღვის სივრცესა
მივეცი თავი.
ჯერ გზა არა მაქვს გათავებული
და მისთვის მივალ აჩქარებული;
ჩემთვის ერთია თოვლი და წვიმა,
თუ გინდ ზღვა იყოს აღელვებული.
მივცემ ნიავსა
პატარ**ა ნა**ვსა
და მხნედ გავცურავ
მავნესა ზღვასა.
რას მიზამს ღელვა და ქარიშხალი,
თუ აღვასრულე მე ჩემი ვალი,
ვერ შემაშინებს მშფოთვარე ზვირთი...
და გავირბინე მე გზა უვალი.
აწ მე ნიავსა
ვანებებ თავსა
და დავაყენებ
პაწაწ**ა ნა**ვსა.
შენი ჩანგიც ხომ, ძმაო, ტრიალებს,
მაგრამ ნიავი ვერას დააკლებს
და მოძმეთ შორის დაუვიწყარი,
იცოდე, იგი ყოველთვის გაძლებს...
და ნეტავ იმას,

ვინც უძლებს ნიავს,
და აღასრულებს
დანიშნულებას!

ის, რომ მის ლექსებში არაერთგზის ჩაკალამბურებული სახელი „ანა“ განსაკუთრებით ძვირფასი იყო გიორგი ჭალადიდელისათვის, იმ ფაქტშიც შეიძლება დავინახოთ, რომ 1884 წელს, ანა ნიკოლაძისგან, როგორც ჩანს, საბოლოოდ უარყოფილმა, მან ცოლად მაინცდამაინც ანა მოიყვანა – პეტერბურგელი ნაფიცი ვექილის სტეპან ეზერსკის ქალიშვილი ანა ეზერსკაია.

მაგრამ გიორგი ჭალადიდელის მთავარი კალამბური სულაც არ არის დაკავშირებული ანას სახელთან. უფრო ზუსტად, ანას სახელთან კი არის დაკავშირებული, მაგრამ არა ასო-ბგერითი შედგენილობით, არამედ მხოლოდ შინაარსით.

ეს კალამბური თითქოს მესამე განზომილებას სძენს ჭალადიდელის უფროსი მეგობრისადმი, ნიკო ნიკოლაძისადმი მიძღვნილ ისედაც საინტერესო ლექსს „ვუძღვნი ნ. სკანდელს“:

...მაგრამ კაცის გულს რით გამოიცნობთ, –
როდის ნეტარობს, როს დამწვარია?
ხან ცისებრ ბრწყინავს, განათებულა,
ხან ცისავითვე მოღრუბლულია!
მაშ, რისთვის გიკვირთ, ოდეს სწუხს გული,
ვინ მოგცემთ პასუხს, ვისი ვალია...
თქვენც გიცხოვრნიათ, თქვენცა გაქვსთ გული,
კითხეთ და გეტყვით, ვისი ბრალია!

რუსუდან ნიკოლაძის ერთ მოგონებაში, რომელიც პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოზეუმშია დაცული და დღემდე გამოუქვეყნებელია, ამ ლექსის შესახებ ვკითხულობთ:

„აღტაცებული ნიკო ნიკოლაძე აკაკის საუკეთესო მემკვიდრედ და მოწაფედ სთვლიდა ამ ქვემო რიონის ნაპირებით მოვლინებულ ახალ პოეტს და დიდ იმედებს ამყარებდა მასზედ მათი საქმისთვის და სამშობლოსათვის.

ამიტომ ახლაც, ეს მისი ახალი ქარაგმა-ლექსი ნიკომ აკაკის ალეგორიულ „ტურფათა“ სკოლის მოსწრებულ ნიმუშად ჩათვალა და სიხარულით მოათავსა თავისი „კრებულის“ უახლოეს ნომერში. ეს კი, თურმე, თავიდან ბოლომდე ავტორის **პირადი გულისკვნესა** ყოფილა, ნიკოს დაზე, ანიჩკაზე, – ჭალადიდელის მრავალი ლექსის „ანსა და ნარზე; და ამ ლექსის ბოლო: „ჰკითხე **და** გეტყვის, ვისი ბრალია“, – **ზმა** ყოფილა: შენი და, ანიჩკა გეტყვის, რაშია საქმეო. ჰკითხე და გაგაცნობს,

რაზედ სწუხს ჩემი გული და ცხოვრება რაზედ მძაგსო („კრებული“, 1873, № 3)“.

შეიძლება ითქვას, რომ ეს კალამბური, ანუ ზმა ასო-ბგერითი შედგენილობით ყველაზე მარტივი, მაგრამ შინაარსით ერთი ყველაზე მახვილგონივრული და საინტერესოა ქართულ ლიტერატურაში.

თავად გიორგი ჭალადიდელი ასე უხსნის ამ კალამბურს ანა ნიკოლაძეს თავის ერთ წერილში:

„ამას გარდა, შენ ამბობ, რატომ ორიოდე ლექსის მეტი არ დასწერეო? ჩემისთანა უიმედო სიყვარულის პატრონი კაცი განა რასმეს უნდა წერდეს? რომ დავსწერო, რა გამოვა? უკანასკნელ ლექსში ნიკოს რომ ვუძღვნი, იმის უკანასკნელი სტრიქონი ასე არ თავდება?

„ჰკითხე, და გეტყვის, ვისი ბრალია“

[აქ] სიტყვა **დ**ა რას ნიშნავს, განა შენ ნიკოს **დ**ა არა ხარ? მაშ, ვინ ეტყვის იმას ჩემ გულის დარდს, გარდა შენისა? არც კი გრცხვენია, რომ ამბობ, ვერ გავიგეო!“

ხოლო რუსუდან ნიკოლაძე თავისი იმ გამოუქვეყნებული მოგონების ბოლოს, როცა ჭალადიდელის გამო ნიკო ნიკოლაძისა და აკაკის კამათს იხსენებს, კვლავ უბრუნდება ამ კალამბურს:

„ეს საუბარი ჩვენს წინვე დაიწყო, უშუალოდ ჭალადიდელის „ციცინათელას“ მოსმენის შემდეგ. მამამ ეს ლექსი უკომენტარიებოდ წაუკითხა პოეტს, რომელიც მასსავით რიონს დაჰყურებდა ამ დროს, მოაჯირთან მიდგმული სკამიდან. მამა კი ფეხზე იდგა მის გვერდით. რომ დაამთავრა და გაჩუმდა, აკაკიც წამოდგა, სავსებით რიონისკენ მიიბრუნა პირი და დიდი ხნის დუმილის შემდეგ ყრუდ ჩაილაპარაკა:

– რა ტყუილად განიავდა მისი დიდი ნიჭი... აბა, რაღა დროს ციცინათელაა აწი ჩვენი თაობის ლექსებში...

ამ შენიშვნამ უეცრად აალაპარაკა მამაჩვენი, ჩემს გულში სამუდამოდ ჩაბეჭდილი სიტყვებით და ხმით:

– **ახლა** ამბობ ამას, ძმაო აკაკი? – თვით გულის სიღრმიდან წამოიძახა მამამ, – აწი რაღას უშველის შენი სინანული? რაც გინდა თქვა დღეს, შენი პოეტური სინდისის დასამშვიდებლად, თავს მაინც ვერ გაიმართლებ ჩვენს თვალში, რადგან ჩვენზე უკეთ იცი, რომ სწორედ **შენ, აკაკის არ გეპატიება,** „ქალაქელი ბიჭი ვარ“-სიმღერის, „ფაცხას“ და „გორდის მთის“ შემქმნელის ჩანგი რომ ასე ადრე ჩაჩუმდა მწარედ სიმებ-დაწყვეტილი: **ქართველი არა ხარო!** და შორს გაიხიზნა, ჩრდილოეთში, მშობლიური ნაპირებიდან; იმის მაგიერ, რომ მისი გულისდამწვავი „მოგონების“ პირველი სიმების ჩამოკვრაზე შენი ახალგაზრდობის „ნავის“ გადამრჩენ „ხვამალდივით“ გეპატრონა ამ დამწყები, ნიჭიერი „მენავისათვის“, და იგი

შენს ხელში და **შენი მოწაფის სახელით** გადაქცეულიყო სამეგრელოს პირველ პოეტად, როგორიც იგი კიდეც იყო და არის უდავოდ; ოღონდ ფართო მკითხველი ამას ჯერ ვერ ხედავს; და ვერც იგრძნობს... ჩვენს დახშულ ჰაერში...

რა გულნატკენი სახით მიუბრუნდა ამაზედ აკაკი მამაჩვენს, მისი უკანასკნელი სიტყვების გაგონებაზე!

– შენ ასე **გგონია,** ძმაო ნიკო? – ვითომ შეეკითხა იგი მამას, აშკარად მისი აზრის მცდარობისთვის ხაზის გასასმელად, მამამ კი ეს ვერ შეამჩნია თავის მღელვარებაში და პირდაპირ გაიგო პოეტის მიმართვა.

– რა თქმა უნდა, მგონია, – ცხარედ მიუგო მან, – ეს ჩემი რწმენაა, დარდი, გულის ეკალი. გიორგი ჭალადიდელი დიდი ხანია მთელი ჩვენი ნორჩი მწერლობის სიამაყე იქნებოდა, მისი ნუშა-ნავი, იგი რომ ასე ადრე არ გადაებრუნებინა მის გზაზე შეხვედრილ დიდ ხომალდს. იგი კი, საბრალო, როგორ შეხაროდა დასაწყისში ამ საიმედო შეხვედრას, შენს „ნავს“ რომ თავისი „მენავე“ უძღვნა მისი ათი წლისთავისთვის (1859-1869). კარგად მახსოვს ილიკოს და ჩემი აღტაცება ამ გამოლაპარაკების მოულოდნელი ნიჭით და ძალით. ლექსიც კი იგივე ჰქონდა შენს ახალ მოსერენადეს, მართლაც რომ ზღვის ნიავივით და შენი „ნავივით“, – „ზეფიროვანი“:

დაჰქრის ნიავი,
მიფრინავს ნავი,
და ზღვის სივრცესა
მივეცი თავი...

ნამდვილი ნეაპოლიტანური ბარკაროლების ზომა გაქვთ ორივეს შეუგნებლივ აღებული. ჩემი საყვარელი „სანტა ლუჩიას“ უკვდავ მუსიკასაც სჯობნის ეს თქვენი „ნიავი“. რა კარგად გადმოუღია მისი ზეფიროვნება ამ უმცროს „მენავეს“. იგიც ჩემსავით იყო აღტაცებული შენი „ნავის“ დასაწყისით:

საშუალ ზღვისა
ცურავდა ნავი.
ყოველის მხრიდან
ჰქრიდა ნიავი.
სჩანდა, რომ ნავი იღუპებოდა
და შემწედ არვინ ეგულებოდა.

აქ თვით ავტორმა ჩამოართვა ნიკოს სიტყვა და დაასწრო მას აზრის დამთავრებაში:

ამ დროს ხვამალდმა გამოიარა,
ნავმა იხილა... და გაიხარა...

– ოჰ, ნიკო ჩემო, – უეცრად შეწყვიტა მან ნავის ამბავი, – შენ გგონია, რომ ჩემს ცოდვილ გულს კი ასევე მწარე ეკლად არ ესობა ამ უდროოდ ხმა-ჩაწყვეტილი ცეცხლ-სიმოვანი ჩანგის უკუღმართი ბედი?! მაგრამ... **ვისი ბრალია?** ვისი? „ჰკითხე, **და** გეტყვის“...

ამ დროს ძლიერ აღელვებულმა მამიდა ანიჩკამ რაღაცა ჩაულაპარაკა აკაკის, მამიდა კატომაც, – მისი საყვარელი „ვა, ბეჩა“-თი დაწყებული; მე კი ხელი წამავლო ჩემდა სამწუხაროდ, გაკვეთილებს რატომ ივიწყებ, წამოდიო, და ოთახიდან თან გამიყოლია სწრაფი ნაბიჯით.

ბევრად უფრო გვიან გავიგე იმ „ვისი ბრალია“-ს მნიშვნელობა და ვინაობა, ე. ი. მამიდა ანიჩკას როლი ამ საკითხში“...

ეს ყველაფერი დღემდე გამოუქვეყნებელი იყო, უკვე გამოქვეყნებულ თავის მოგონებებში კი რუსუდან ნიკოლაძე სხვათა შორის წერს:

„მამიდას გარდაცვალების შემდეგ მისი სასთუმლის ქვეშ ვიპოვეთ წერილების ორი დასტა – ერთი ეკუთვნოდა აკაკის, ხოლო მეორე – გ. ჭალადიდელს“.

ხოლო იმ გამოუქვეყნებელი მოგონების ფრაგმენტში კარგად ჩანს, რომ აკაკი წერეთლისა და გიორგი ჭალადიდელის ურთიერდამოკიდებულება ცდება პიროვნული დაპირისპირების ფარგლებს, ქართული ლიტერატურის ისტორიის ნაწილად გვევლინება და ცალკე შესწავლის საგნად უნდა იქცეს. მაგრამ ეს სხვა დროს.

აქ კი იმასღა დავძენთ, რომ რუსუდან ნიკოლაძის ტექსტში ხაზგასმა ყველგან ატორისაა.

მითითებული ლიტერატურის სია:

1. **ახვლედიანი თამარ,** „ანა ნიკოლაძე და აკაკი“. ჟურნ. „განთიადი“, 1997, № 7-8ბ გვ. 122-130.
2. **მეუნარგია იონა,** ქართველი მწერლები, ტ. II. საბლიტგამი, თბილისი, 1944.
3. **ნიკოლაძე რუსუდან,** ცხოვრების დიდ გზაზე, წინასიტყვაობა ალექსანდრე სიგუასი. „განათლება“, თბილისი, 1975.
4. **წერეთელი აკაკი,** თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ XV, რედაქტორი გიორგი აბზიანიძე. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1963.

5. **ჭალადიდელი გიორგი,** თხზულება გიორგი მაქსიმეს-ძის ქოჩაქიძისა (ჭალადიდელისა); გამოცემა მისი შვილის ბორის გიორგის-ძე ქოჩაქიძისა; ბიოგრაფია იონა მეუნარგიასი და კრიტიკული განხილვა ივ. გომართელისა. საამდროვო გამომცემლობა „იმერეთი“, ქუთაისი, 1913.
6. **ჭალადიდელი გიორგი,** რჩეული ლექსები. წინასიტყვაობა – პ. გ. „სასკოლო ბიბლოთეკა“. საბლიტგამი, თბილისი, 1940.
7. **ჭალადიდელი გიორგი,** კრებული [ლექსები და პოემები. პროზა, სცენები და წერილები]. წინასიტყვაობა დავით შამათავასი. „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1947. დანართი: იონა მეუნარგია, გიორგი მაქსიმეს-ძე ქოჩაკიძე (1847-1898).
8. **ჭალადიდელი გიორგი, თხზულებანი** [კრებული დასაბეჭდად მოამზადა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო პლ. ბულიამ]. „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1965.

პ. ნაცვლიშვილი

გიორგი ჭალადიდელის კალამბურები და-ძმა ნიკოლაძეებისადმი მიძღვნილ ლექსებში

რეზიუმე

ნიკო ნიკოლაძის უმცროსი და ანასტასია ნიკოლაძე, უფრო ცნობილი ანასა და ანიჩკას სახელით, ორი პოეტის - აკაკი წერეთლისა და გიორგი ჭალადიდელის მრავალწლიანი ტრფობის ობიექტი იყო.

განსხვავებით აკაკისა და ანიჩკას ურთიერთობებისაგან, რომელიც მეგობრობის საიმედო ბურუსით იყო დაფარული გარეშე თვალთაგან, გიორგი ჭალადიდელის ტრფობა ანა ნიკოლაძისადმი იმხანად არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა.

ანა ნიკოლაძე აკაკისთვის ერთ-ერთია, გიორგი ჭალადიდელისთვის - ერთადერთი! თავის მხრივ ანა ნიკოლაძე აკაკის მიმართ გულთბილი და მეგობრულია, ჭალადიდელის მიმართ - გულცივი და უკარება.

აკაკი წერეთელს არც ერთი ლექსი არ მიუძღვნია ანიჩკასთვის, გიორგი ჭალადიდელის მთელი პოეზია კი პირდაპირ თუ შეფარვით ანიჩკას უკავშირდება. იმ ლექსებზე რომ არაფერი ვთქვათ, სადაც ანასტასია - ანას სახელი პირდაპირ თუ ინიციალებით არის მითითებული, თითქმის ყველა მის ლექსში ჩაქარაგმებულ - ჩაკალამბურებულია მიჯნურის სახელი, თუ მასთან დაკავშირებული ესა თუ ის რეალია.

კალამბური, ანუ ზმა ასო-ბგერითი შედგენილობით ყველაზე მარტივი, მაგრამ შინაარსით ყველაზე მახვილგონივრული და საინტერესოა ქართულ ლიტერატურაში.

ხოლო ანა ნიკოლაძის, აკაკი წერეთლისა და გიორგი ჭალადიდელის ურთიერთდამოკიდებულება ცდება პიროვნულობის ფარგლებს, ქართული ლიტერატურის ისტორიის ნაწილად გვევლინება და ცალკე შესწავლის საგნად უნდა იქცეს.

P. Natsvlishvili

Giorgi Chaladideli's Puns In the Poems Devoted to the Nikoladzes (Sister and Brother)

Summary

Anastasia Nikoladze, Niko Nikoladze's younger sister, known as Anna or Anichka was the object for great love and inspiration for two Georgian poets - Akaki Tsereteli and Giorgi Chalaldideli.

In difference from Akaki and Anichka's relation veiled with friendship, Giorgi Chalaladideli's feelings towards Anna Nikoladze was not a secret.

Anna Nikoladze is one among many for Akaki Tsereteli and the only one for Giorgi Chladideli. Ana Nikoladze is warm and friendly towards Akaki Tsereteli and cold and distant for Giorgi Chaladideli.

Akaki Tsereteli has never devoted even a poem to Anna Nikoladze. Giorgi Chlaldideli's poetry is explicitly or implicitly linked with Anichka, not considering the poems where Anna's name is mentioned directly or with initials. Almost all his verses contain the pun on Anna's name or other facts connected with her.

Pun is a play on words with the simplest sound structure, but it has interesting and wise sense in Georgian literature.

The relations of Anna, Akaki and Giorgi can't be considered only personal. It is the part of the history of Georgian literature and is to become the separate object for study.

ვ. რაძიევსკი, მ. მიქელაძე, ნ. ჯალიაბოვა, მ. ხაჩიძე, დ. რაძიევსკი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი

გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის დიაგნოსტირების, პროგნოზირების და ანალიზის ინტელექტუალური სისტემა

მოცემული სტატია ეძღვნება გამოჩენილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს, სამოციანელთა თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელს ნიკო ნიკოლაძეს. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული საზოგადოების პოლიტიკური აზროვნების, ეკონომიკის და კულტურის განვითარებაში. ნიკო ნიკოლაძე დიდ როლს ანიჭებდა მეცნიერებას და ერის განათლებას. "ხალხი მაშინ არის ძლიერი და ბედნიერი, როცა მთელი მისი ძალა თანამედროვე მეცნიერების იარაღით არის აღჭურვილი, მის სასარგებლოდ იხმარება და მოქმედებს" - წერდა ნიკო ნიკოლაძე. ამასთან იგი ზრუნავდა ბუნების ხელშეუხებლობაზე და თვლიდა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი უარყოფით გავლენას არ უნდა ახდენდეს გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

ეკოლოგიაში კვლევების ერთ-ერთი მიმართულება დაკავშირებულია ეკოლოგიური სისტემების მდგომარეობის ანალიზთან, რომელიც მოიცავს ისეთ ამოცანებს, როგორიც არის ეკოლოგიური სისტემების მდგომარეობათა დიაგნოსტირება, პროგნოზირება, გამოვლენილი დარღვევების მიზეზების დადგენა. ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება რეკომენდაციების გაცემა გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

ეკოლოგიური სისტემა არის ბუნებრივი ერთეული, რომელიც წარმოადგენს ცოცხალი და არაცოცხალი ელემენტების ერთობლიობას. ამ ელემენტების ურთიერთქმედების შედეგად იქმნება სტაბილური სისტემა, სადაც ადგილი აქვს ცოცხალ და არაცოცხალ ნაწილებს შორის ნივთიერებათა მიმოქცევას. სისტემის სირთულე განისაზღვრება ელემენტების დიდი რაოდენობით და ელემენტებს შორის ურთიერთკავშირების რთული ქსელით.

ეკოლოგიური სისტემა წარმოადგენს რთულ სისტემას და მრავალი ამოცანა, რომელიც წარმოიშვება ეკოლოგიური სისტემის კვლევისას, თხოულობს ხელოვნური ინტელექტის მეთოდების გამოყენებას და ამოცანათა ამოხსნისას ინტელექტუალური სისტემის

აგებას. ასეთია ეკოლოგიური სისტემების მდგომარეობის დიაგნოსტირება და პროგნოზირება.

ეკოლოგიური სისტემის მდგომარეობის დიაგნოსტირება განსხვავდება ტრადიციული სამედიცინო დიაგნოსტირებისგან. დიაგნოსტირების ამოცანის ამოსახსნელად საჭიროა, რომ ცნობილი იყოს შესაძლო დაავადებათა დასახელებები და მათი აღწერები. ასეთი აღწერები არის მედიცინაში. ისინი წარმოადგენენ დაავადებათა კლასებს, რომელთა საფუძველზე ხორციელდება დიაგნოსტირების ამოცანათა ამოხსნა. ეკოლოგიური სისტემის შემთხვევაში არ არის განსაზღვრული „დაავადებათა“ აღწერები. ამის გამო ეკოლოგიური სისტემის მდგომარეობის განსაზღვრა (დიაგნოსტირება) ხორციელდება არაცოცხალი კომპონენტების (ჰაერი, წყალი, ნიადაგი) დაბინძურების დონის ანალიზის მეშვეობით. მონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა საფუძველზე იხსნება გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის ინტეგრალური შეფასების ამოცანა, რომელიც შეიცავს ისეთ ქვეამოცანებს, როგორიც არის გამოცნობა, პროგნოზირება და დაკვირვებადი მდგომარეობის მიზეზ–შედეგობრივი ანალიზი.

მოცემულ სამუშაოში ამ ამოცანათა გადასაწყვეტად შექმნილია გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის ანალიზის და ინტეგრალური შეფასების ინტელექტუალური სისტემის მოდელი. ამ შეფასების საფუძველზე ხორციელდება გარემოს ხარისხის მართვა.

გარემოს არაცოცხალი კომპონენტები, ისეთი როგორიც არის ჰაერი, წყალი, ნიადაგი, როგორც წესი, შეიცავენ ნარევების დიდ რაოდენობას. ბევრი მათგანი ეკოლოგიური თვალსაზრისით მავნეა და იწვევს ნეგატიურ შედეგებს.

ყოველი დამაბინძურებელი ნივთიერებისთვის დადგენილია ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზ.დ.კ.) - მავნე ნივთიერების ისეთი შემცველობა, რომელიც ზიანს არ აყენებს გარემოს და ადამიანს. დამაბინძურებელი ნივთიერების კონცენტრაციის ყოველი მატება ზ. დ. კ. – ასთან შედარებით იწვევს ნეგატიურ ზემოქმედებას გარემოზე.

დაბინძურების შეფასების თვალსაზრისით არჩევენ დაბინძურების შემდეგ კლასებს:

1. დაბალი დაბინძურება,
2. მომატებული დაბინძურება,
3. მაღალი დაბინძურება,
4. ძალიან მაღალი დაბინძურება.

გარემოს მონიტორინგის მონაცემთა საფუძველზე ხდება გარემოს მდგომარეობის გამოცნობა. დამაბინძურებელი ნივთიერებები

წარმოადგენენ ეკოსისტემის მდგომარეობის აღმწერ ნიშნებს, ხოლო ზ.დ.კ.-ას მეშვეობით გამოსახული მათი კონცენტრაციის მნიშვნელობები - ამ ნიშნების მნიშვნელობებს. თუ ჩვენ გვაქვს n სხვადასხვა მავნე ნივთიერება, მაშინ გვაქვს n ნიშანი $\psi_1\psi_2\cdots\psi_n$, რომლებსაც გააჩნია სხვადასხვა მნიშვნელობები (В. Радзиевский, Д. Радзиевский, 2007).

ამოსაცნობად შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მეთოდი. ამ მეთოდების უმეტესობა დაიყვანება n ფუნქციის $f_1(X)\cdots f_n(X)$ ჩამოყალიბებაზე, სადაც X = $(x_1x_2\cdots x_n)$ ვექტორი წარმოადგენს ობიექტის (მდგომარეობის) აღწერას, რომელიც წარმოდგენილია ნიშანთა მნიშვნელობების სახით. ეს ფუნქციები აირჩევა ისე, რომ ყველა X-სათვის, რომელიც მიეკუთვნება R_i კლასს, სრულდებოდეს პირობა:

$$f_i(X) > f_j(X) \text{ თუ } i,j = 1\cdots n, i \neq j.$$

ე. ი. i-ური ფუნქცია R_i კლასისთვის ღებულობს მაქსიმალურ მნიშვნელობას, სხვა ფუნქციებთან შედარებით (Нильсон, 1967).

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ შემთხვევაში უფრო ხელსაყრელია ლოგიკური ან ბულის ფუნქციების გამოყენება. ასეთი ფუნქციები გამოიყენება კონცეპტუალურ მიდგომაში (Чавчанидзе, 1971), რომლის ერთერთი მოდიფიცირება გამოიყენება მოცემულ სამუშაოში. ამ მეთოდის გამოყენებისას უნდა გადავიდეთ ნიშნების ბინარულ მნიშვნელობებზე. ამ მიზნით ნიშნების მნიშვნელობები დაიყოფა შუალედებზე. ბინარული ნიშნების როლში გამოიყენება პრედიკატები "ყოფნა მოცემულ შუალედში". ამასთან ნებისმიერი ნიშანი x, რომლის მნიშვნელობა დაიყოფა k შუალედებზე, იცვლება k ბინარული ნიშნით, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს ერთადგილიან პრედიკატს $P(x)$ (В.Радзиевский, Хачидзе, Д.Радзиевский, 2009; Микеладзе, В.Радзиевский, Джалябова, Д.Радзиевский, 2012; ვ. რაძიევსკი, ჯალიაბოვა, დ. რაძიევსკი, 2011). ცხადია, რომ $P(x) = 1$, თუ x მოხვდება მოცემულ შუალედში, და $P(x) = 0$ - წინააღმდეგ შემთხვევაში.

გამოცნობის ამოცანის გადაწყვეტის მიზნით ამ პრედიკატებიდან უნდა იყოს აგებული ლოგიკური ფუნქციები. თითოეული ფუნქცია წარმოადგენს დიზიუნქციურ ნორმალურ ფორმას, რომელიც აგებულია სასწავლო ამონაკრების იმ ობიექტებისგან, რომლებიც მიეკუთვნებიან ერთსა და იმავე კლასს. შესაბამისად თითოეული ფუნქცია ღებულობს ჭეშმარიტ მნიშვნელობას მხოლოდ იმ ობიექტებზე, რომლებიც R_i კლასს მიეკუთვნებიან და, მაშასადამე, განსაზღვრავს R_i კლასს.

მაგალითისთვის განვიხილოთ ჰაერში ზოგიერთი მავნე ელემენტების კონცენტრაციის მნიშვნელობები (მონაცემები აღებულია ბათუმის ერთერთ რაიონში).

ცხრილში 1 მოყვანილია ამ მონაცემების ფრაგმენტი, რომლებიც გამოსახულია ზ.დ.კ.–ს მეშვეობით.

მტვერი ψ_1	$SO_2 - \psi_2$	$SO_4 - \psi_3$	N $NO_2 - \psi_4$	H $H_2S - \psi_5$
0,42	0,18	0,02	0,48	0,875
1,96	0,16	0,08	0,94	1,125
0,70	0,38	0,1	0,58	1,5
0,30	0,34	0,02	0,94	0,25
0,34	0,20	0,02	0,24	0,375

ცხრილი 1

ბინარიზაციის მიზნით ხდება მნიშვნელობების დაყოფა შუალედებად. აღვნიშნოთ ψ_1 ნიშნის მნიშვნელობა ψ_{11}-ით, თუ ეს მნიშვნელობა არ აღემატება შესაბამისი დამაბინძურებელი ელემენტის ზ.დ.კ.-ს; ψ_{12}-ით, თუ ეს მნიშვნელობა 1 ზ.დ.კ – 1,5 ზ.დ.კ შუალედშია; ψ_{13}-ით, თუ ეს მნიშვნელობა 1,5 ზ.დ.კ. – 2 ზ.დ.კ. შუალედშია; ψ_{14}- ით, თუ ეს მნიშვნელობა 2 ზ.დ.კ.-ზე მეტია (В. Радзиевский, Хачидзе, Д. Радзиевский, 2009; Микеладзе, В. Радзиевский, Джалябова, Д. Радзиевский, 2012; ვ. რაძიევსკი, ჯალიაბოვა, დ. რაძიევსკი, 2011).

ე.ი. ψ_1 ნიშანი, რომლის მნიშვნელობები დაყოფილია ოთხ ინტერვალად, იცვლება ოთხი ბინარული ნიშნით $\psi_{11}\,\psi_{12}\,\psi_{13}\,\psi_{14}$. ანალოგიურად ψ_2 იცვლება ბინარული ნიშნებით – $\psi_{21}\,\psi_{22}\,\psi_{23}\,\psi_{24}$, ψ_3 – $\psi_{31}\,\psi_{32}\,\psi_{33}\,\psi_{34}$, ψ_4 – $\psi_{41}\,\psi_{42}\,\psi_{43}\,\psi_{44}$, ψ_5 – $\psi_{51}\,\psi_{52}\,\psi_{53}\,\psi_{54}$. ე.ი. მოცემული ობიექტების ნიშნების რაოდენობა გაიზრდება და იქნება წარმოდგენილი 20 ბინარული ნიშნის მეშვეობით.

ამ მონაცემთა ბინარიზაციის შემდეგ ვღებულობთ ახალ ცხრილს (ცხრილი 2).

Ψ_{11}	Ψ_{12}	Ψ_{13}	Ψ_{14}	Ψ_{21}	Ψ_{22}	Ψ_{23}	Ψ_{24}	Ψ_{31}	Ψ_{32}	Ψ_{33}	Ψ_{34}	Ψ_{41}	Ψ_{42}	Ψ_{43}	Ψ_{44}	Ψ_{51}	Ψ_{52}	Ψ_{53}	Ψ_{54}	
1	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	R_1
0	0	1	0	1	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	0	1	0	0	R_1
1	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	0	1	0	0	R_1
0	0	0	1	0	1	0	0	1	0	0	0	0	0	1	0	1	0	0	0	R_2
0	0	1	0	0	0	1	0	1	0	0	0	0	0	0	1	1	0	0	0	R_2

ცხრილი 2

ამ ცხრილში მდგომარეობები შეფასებების მიხედვით დაყოფილია სამ კლასად. ასეთი შეფასებები ხორციელდება ექსპერტის მიერ ბიოინდიკაციის საფუძველზე. ქვემოთ მოცემულია ლოგიკური ფუნქციები, მიღებული სასწავლო ამონაკრეფის საფუძველზე, რომელიც ახორციელებს მონაცემთა მიკუთვნებას შესაბამისად R_1, R_2, R_3 კლასისადმი.

$$f_1 = \psi_{11}\bar{\psi}_{12}\bar{\psi}_{13}\bar{\psi}_{14}\psi_{21}\bar{\psi}_{22}\bar{\psi}_{23}\bar{\psi}_{24}\psi_{31}\bar{\psi}_{32}\bar{\psi}_{33}\bar{\psi}_{34}\psi_{41}\bar{\psi}_{42}\bar{\psi}_{43}\bar{\psi}_{44}\psi_{51}\bar{\psi}_{52}\bar{\psi}_{53}\bar{\psi}_{54} \vee$$
$$\vee\ \bar{\psi}_{11}\bar{\psi}_{12}\psi_{13}\bar{\psi}_{14}\psi_{21}\bar{\psi}_{22}\bar{\psi}_{23}\bar{\psi}_{24}\psi_{31}\bar{\psi}_{32}\bar{\psi}_{33}\bar{\psi}_{34}\psi_{41}\bar{\psi}_{42}\bar{\psi}_{43}\bar{\psi}_{44}\bar{\psi}_{51}\psi_{52}\bar{\psi}_{53}\bar{\psi}_{54}. \vee$$
$$\vee\ \psi_{11}\bar{\psi}_{12}\bar{\psi}_{13}\bar{\psi}_{14}\psi_{21}\bar{\psi}_{22}\bar{\psi}_{23}\bar{\psi}_{24}\psi_{31}\bar{\psi}_{32}\bar{\psi}_{33}\bar{\psi}_{34}\psi_{41}\bar{\psi}_{42}\bar{\psi}_{43}\bar{\psi}_{44}\bar{\psi}_{51}\bar{\psi}_{52}\bar{\psi}_{53}\bar{\psi}_{54}$$

$$f_2 = \bar{\psi}_{11}\ \bar{\psi}_{12}\ \bar{\psi}_{13}\bar{\psi}_{14}\psi_{21}\bar{\psi}_{22}\bar{\psi}_{23}\bar{\psi}_{24}\psi_{31}\bar{\psi}_{32}\bar{\psi}_{33}\bar{\psi}_{34}\psi_{41}\bar{\psi}_{42}\bar{\psi}_{43}\bar{\psi}_{44} \vee \psi_{51}\bar{\psi}_{52}\bar{\psi}_{53}\bar{\psi}_{54}$$
$$\vee\ \bar{\psi}_{11}\bar{\psi}_{12}\psi_{13}\bar{\psi}_{14}\bar{\psi}_{21}\bar{\psi}_{22}\psi_{23}\bar{\psi}_{24}\psi_{31}\bar{\psi}_{32}\bar{\psi}_{33}\bar{\psi}_{34}\bar{\psi}_{41}\bar{\psi}_{42}\bar{\psi}_{43}\psi_{44}\psi_{51}\bar{\psi}_{52}\bar{\psi}_{53}\bar{\psi}_{54}$$

$$f_3 = \bar{\psi}_{11}\ \bar{\psi}_{12}\ \bar{\psi}_{13}\psi_{14}\ \bar{\psi}_{21}\bar{\psi}_{22}\ \bar{\psi}_{23}\ \psi_{24}\bar{\psi}_{31}\bar{\psi}_{33}\psi_{34}\bar{\psi}_{41}\bar{\psi}_{42}\bar{\psi}_{43}\psi_{44}\bar{\psi}_{51}\bar{\psi}_{52}\bar{\psi}_{53}\psi_{54}$$

პირველი ფუნქცია ღებულობს ჭეშმარიტ მნიშვნელობას, თუ ობიექტი მიეკუთვნება R_1 კლასს და მცდარს - წინააღმდეგ შემთხვევაში. მეორე ფუნქცია ღებულობს ჭეშმარიტ მნიშვნელობას, თუ ობიექტი მიეკუთვნება R_2 კლასს და მცდარს - წინააღმდეგ შემთხვევაში. საბოლოო დასკვნა ეკოლოგიური სისტემის მდგომარეობის შესახებ გამოსახულია პროდუქციაში:

თუ ჰაერის დაბინძურების დონე მიეკუთვნება R_1 ან R_2 კლასს,

მაშინ ეკოლოგიური სისტემის მდგომარეობა არის მდგრადი (სტაბილური).

თუ ჰაერის დაბინძურების დონე მიეკუთვნება R_3 კლასს,

მაშინ ეკოლოგიური სისტემის მდგომარეობა არის არამდგრადი (არასტაბილური).

უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაცია გარემოს მიმდინარე ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ ზოგად შემთხვევაში არ არის საკმარისი გარემოს ხარისხის ადეკვატური მართვისათვის. როგორც წესი ამისათვის საჭიროა ინფორმაცია მიზეზებზე, რომლებიც იწვევენ მიმდინარე მდგომარეობის დარღვევას და აგრეთვე ინფორმაცია გარემოს მომავალი მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას, როგორც გარემოს მდგომარეობის პროგნოზირების შედეგი.

გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის პროგნოზირების სისტემის შექმნისას, უნდა მივიღოთ მხედველობაში რიგი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ პროგნოსტული დასკვნის შედეგზე. ასე

მაგალითად, დამაბინძურებელი ინგრედიენტები შედიან ქიმიურ რეაქციაში, ისინი იშლებიან, ხდება მათი ნეიტრალიზაცია, ერთი ნივთიერება ცვლის მეორეს და ა.შ. ხდება რიგი ნივთიერებების შთანთქმა მცენარეებით.

მიმოქცევის პროცესში, რომელიც ხდება ბუნებაში, რთული ორგანული ნაერთები ბაქტერიების მეშვეობით იშლებიან არაორგანულ ნივთიერებებზე, რომლებსაც შთანთქავენ მწვანე მცენარეები.

ყველა ეს ფაქტორი ხელს უწყობს გარემოს თვითწმენდის პროცესს, ე.ი. დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციის შემცირებას. სამუშაოში (Форрестер, 1978) მოყვანილია დაბინძურების ზრდის ზოგადი კანონზომიერების გამოკვლევის შედეგები. ამ სამუშაოში ხაზგასმულია, რომ დაბინძურებასთან ერთად ხდება დამაბინძურებელი ნივთიერებების დაშლის პროცესი. ამასთან რაც უფრო მეტია დაბინძურების დონე, მით მეტი რაოდენობა იშლება დროის ერთეულში, რაც დაბინძურების პროცესის სტაბილიზაციას იწვევს (უარყოფითი უკუკავშირი). მაგრამ, თუ დაბინძურების დონე აღემატება რაღაც ზღვარს, მაშინ ის ამუხრუჭებს თვითწმენდის ბუნებრივ პროცესებს და ამით ზრდის დაბინძურების დაშლის დროს. მაშასადამე დაბინძურების გაზრდა იწვევს მის უფრო დიდ ზრდას (დადებითი უკუკავშირი).

თუ მივიღებთ მხედველობაში ზემოთ აღნიშნულს, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ დაბინძურების ზრდა წარმოადგენს რთულ პროცესს, რომელიც დაკავშირებულია მრავალ ფაქტორებთან და რომლის მთლიანი აღწერა ფორმალურ დონეზე შეუძლებელია.

მოცემულ სამუშაოში შეთავაზებულია ბიხევიორისტული მიდგომა ამ ამოცანის ამოსახსნელად. ამ მიდგომის გამოყენებისას დაბინძურების ზრდის ანალიზის პროცესის შესწავლა ხდება შესავალ და გამოსავალ მონაცემებზე დაკვირვების გზით.

პროგნოზირების ამოცანის ამოსახსნელად გამოიყენება ანალოგია, რომელიც არსებობს სახეთა გამოცნობის და პროგნოზირების ამოცანებს შორის. ორივე შემთხვევაში ამოსავალ მონაცემთა როლში არის ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ ობიექტის მდგომარეობას.

გამოცნობის ამოცანებში შესასვლელი მონაცემები, რომლებიც აღწერენ ობიექტის მიმდინარე მდგომარეობას, უნდა მივაკუთნოთ რომელიღაც კლასს. პროგნოზირების ამოცანაში ამ მონაცემთა საფუძველზე უნდა მივაკუთნოთ რომელიღაც კლასს ობიექტის მომავალი მდგომარეობა. ამ ანალოგიაზე დაყრდნობით შესაძლებელია პროგნოზირების ამოცანის ამოსახსნელად გამოვიყენოთ სახეთა

გამოცნობის მეთოდები, კერძოდ მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია ლოგიკური ფუნქციის აგებაზე (კონცეპტუალური მიდგომა, Чавчанидзе, 1971).

პროგნოზირების ამოცანაში ისევე, როგორც გამოცნობის ამოცანაში, ხორციელდება მნიშვნელობების ბინარიზაცია. ამასთან განიხილება სასწავლო ამონაკრების მდგომარეობები, რომლებიც მიგვიყვანენ τ დროის შემდეგ ერთსა და იმავე პროგნოსტულ დასკვნამდე. ეს დასკვნა შეესაბამება რომელიღაც R_i მდგომარეობას.

ამის საფუძველზე ყალიბდება ლოგიკური ფუნქცია, რომელიც იღებს ჭეშმარიტ მნიშვნელობას მდგომარეობებზე, რომლებიც მიგვიყვანენ τ დროის შემდეგ R_i პროგნოსტულ დასკვნამდე. ასეთი ფუნქცია წარმოიდგინება დიზიუნქციური ნორმალური ფორმის სახით და იღებს ჭეშმარიტ მნიშვნელობას, თუ τ დროის შემდეგ მიიღება მდგომარეობა, რომელიც R_i პროგნოსტულ კლასს ეკუთვნის, და მცდარს - წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც იყო აღნიშნული, გარემოს მდგომარეობის ეფექტური მართვისათვის უნდა იყოს გამოვლენილი მიზეზები, რომლებიც იწვევენ მიმდინარე მდგომარეობის დარღვევებს. ამ ამოცანის გადასაწყვეტად გამოვიყენოთ (В. Радзиевский, 1977; В. Радзиевский, 1981) წარმოდგენილი მეთოდი.

ამისათვის უნდა ვიცოდეთ, თუ რა დამოკიდებულებაა ცალკეულ დამაბინძურებელ ნივთიერებებს და შესაბამის დაბინძურების შესაძლო წყაროებს შორის. ცოდნის წარმოდგენის მოდელად გამოიყენება სემანტიკური ქსელი. ჩვენ შემთხვევაში სემანტიკური ქსელი წარმოადგენს გრაფს, რომლის წვეროები წარმოადგენენ დამაბინძურებელი ნივთიერების ჭარბი შემცველობით გამოწვეულ დარღვევებს (წვეროები-შედეგი) და დაბინძურების წყაროებს (წვეროები-მიზეზი), ხოლო რკალები ასახავენ მიმართებებს „შესაძლო მიზეზი“. თითოეულ რკალს ენიჭება წონითი კოეფიციენტი (სარწმუნოების ხარისხი იმისა, რომ მოცემული დაბინძურების წყარო შესაძლო მიზეზია დაკვირვებადი დარღვევის, რომელიც გამოწვეულია მოცემული დამაბინძურებელი ნივთიერების ჭარბი შემცველობით).

დაკვირვებადი დარღვევის მიზეზების გამოვლენისთვის ქსელის წვეროების სიმრავლეზე გამოიყოფა წვეროების ქვესიმრავლე, რომელიც ასახავს გარემოს რეალურ მდგომარეობას. ამ წვეროებიდან გამომავალი რკალები იკვეთებიან წვეროებში, რომლებიც წარმოადგენენ დაკვირვებადი დარღვევების შესაძლო მიზეზებს. თითოეულ წვერო-მიზეზში შემავალი რკალების წონითი კოეფიციენტების საფუძველზე გამოითვლება შესაბამისი წვეროს შეფასება. წვერო, რომელმაც მიიღო

მაქსიმალური შეფასება, ასახავს ყველაზე სარწმუნო ჰიპოტეზას დაკვირვებადი დარღვევების მიზეზის შესახებ.

ინფორმაცია გარემოს მიმდინარე მდგომარეობის შესახებ, ინფორმაცია მიზეზებზე, რომლებიც იწვევენ ამ მდგომარეობას, და აგრეთვე ინფორმაცია პროგნოზირებადი მდგომარეობის შესახებ აყალიბებს სიტუაციას, რომლის საფუძველზე მიიღება გარემოს ხარისხის მართვასთან დაკავშირებული საბოლოო გადაწყვეტილება.

ამ ოპერაციებს ახორციელებს შესაბამისი ინტელექტუალური სისტემა (ნახ. 1).



ნახ. 1 გარემოს ხარისხის მართვის ინტელექტუალური სისტემის მოდელი

სისტემა იღებს ინფორმაციას მონიტორინგის საფუძველზე და ასახავს დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციას ზ.დ.კ.-ას მეშვეობით. ეს მონაცემები გამოიყენება როგორც ნიშნები მიმდინარე მდგომარეობის გამოცნობის და შეფასების მიზნით (ქვესისტემა 2). იგივე მნიშვნელობები გამოიყენება სიტუაციის მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის და პროგნოზირების ამოცანის ამოსახსნელად (ქვესისტემა 3, 4). საბოლოო გადაწყვეტილება ხორციელდება (ქვესისტემაში 6).

მითითებული ლიტერატურის სია:

1. Радзиевский, В., Радзиевский, Д. (2007). Распознавание и оценка экологического состояния атмосферного воздуха на основе данных экомониторинга. Сборник докладов международной научной конференции Министерства просвещения и науки Грузии «Информационные технологии в управлении», Тбилиси, 270 – 274.
2. Нильсон, Н.(1967). Обучающиеся машины. Москва: Мир.
3. Чавчанидзе, В. (1971). Аналитическое решение задачи формирования понятий и распознавания образов. Сообщения АН ГССР, (63).
4. Радзиевский, В., Хачидзе, М., Радзиевский, Д. (2009). Модель оболочки интеллектуальной системы экологического мониторинга неживых компонентов окружающей среды. Сборник трудов Института систем управления А. И. Элиашвили АН Грузии, (13), 221-225.
5. Микеладзе, М., Радзиевский, В., Джалябова, Н., Радзиевский, Д. (2012). Методы искусственного интеллекта для решения неформализованных задач диагностики сложных систем на примере медицины. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “21-ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი პარადიგმები”, თბილისი, 403-406.
6. რაძიევსკი, ვ., ჯალიაბოვა, ნ., რაძიევსკი, დ. (2011). ხელოვნური ინტელექტის მეთოდებით ეკოლოგიური სისტემის მდგრადობის დიაგნოსტირება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, (15), 262 – 267.
7. Форрестер, Дж. (1978). Мировая динамика. Москва: Наука.
8. Радзиевский, В. (1977). О представлении некоторых аспектов медицинских знаний и их использовании в задачах диагностики. Труды Института Кибернетики АН ГССР, (I), 571-580.
9. Радзиевский, В. (1981) Использование знаний об экологических взаимосвязях в задачах машинной диагностики и прогнозирования состояния экосистем. Труды международного симпозиума по проблемам математического моделирования процессов взаимодействия человеческой активности и окружающей среды, Москва, (II), 119-126.

ვ. რაძიევსკი, მ. მიქელაძე, ნ. ჯალიაბოვა, მ. ხაჩიძე, დ. რაძიევსკი

გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის დიაგნოსტირების, პროგნოზირების და ანალიზის ინტელექტუალური სისტემა

რეზიუმე

განიხილება გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების ამოცანა. ნაჩვენებია, რომ გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის დიაგნოსტირების შედეგად მიღებული ინფორმაცია არ არის საკმარისი მისი ადეკვატური შეფასებისთვის. ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის პროგნოზირების და მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია. შემოთავაზებულია ინტელექტუალური სისტემის მოდელი, რომელიც იყენებს მათემატიკური ლოგიკის, ბულის ალგებრის და დისკრიმინანტული ანალიზის მეთოდებს.

V. Radzievski, M. Mikeladze, N. Jaliabova, M. Khachidze, D. Radzievski

Intellectual System for Diagnostics, Forecasting and the Causal Analysis of an Ecological State of Environment.

Summary

The article considers the problem of an assessment of an ecological state of the environment. It is shown that information received as a result of diagnostics of an ecological state of environment is insufficient for its adequate assessment. Information received on the basis of forecasting and the causal analysis of an ecological state of the environment is necessary for the solution of a task as well. The authors offer the model of intellectual system using methods of mathematical logic, Boolean algebra and the discriminant analysis.

გელა საითიძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ებრაული თემა ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკაში

XIX ს-ის 60-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ბურჯთაგანის, ნ. ნიკოლაძის თვალთახედვის არეში ებრაელთა და, კერძოდ, ქართველ ებრაელთა პრობლემას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. იგი ბევრს წერდა ამ თემაზე. ვიდრე ნ. ნიკოლაძის მოსაზრებათა წარმოჩენას შევუდგებით, ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ივ. კერესელიძის ჟურნალი „ცისკარი“ იყო პირველი, რომელმაც ჯერ კიდევ 1860 წლის ივნისში თავის ფურცლებზე დასტამბა თ-დ ზაქარია ერისთავის ნარკვევი - „ქუთაისის გარემოს აღწერა“, რომელშიც მოზრდილი ადგილი ქუთაისის ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების აღწერას ეთმობა. აღნიშნულ ნარკვევში გამოთქმულ მოსაზრებებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველ ებრაელთა ეთნოლოგიური, სოციალური და კულტურული ტრადიციების ისტორიულ ასპექტში გააზრებისათვის (ჟ. „ცისკარი“, გვ. 116-117).

ებრაულ თემატიკას მოგვიანებით, უფრო თანმიმდევრულად აშუქებს გაზეთი „დროება“, რომელიც ხშირად ბეჭდავს წერილებს საქართველოში საუკუნეების მანძილზე მცხოვრებ ებრაელ თანამემამულეთა ჭირ-ვარამზე.

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ქართველ საზოგადოებას შეახსენა ცივილიზებული კაცობრიობის წინაშე ებრაელი ერისა და მოსეს დამსახურების შესახებ (გაზ. „დროება“, 1869).

ცოტა მოგვიანებით ქართველ ებრაელთა საკითხი საჯარო მსჯელობის საგნად აქცია აკაკი წერეთელმა, რომელმაც გაზეთ „დროების“ ფურცლებზე „საკვირაო ფელეტონში“ („ცხელ-ცხელი ამბები“) მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობითა და მოურიდებლობით, „მოყვარეს პირში უძრახე”-ს პოზიციიდან წარმოაჩინა ქუთათელ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების ზოგიერთი მხარე. კერძოდ, დაუნდობლად გააკრიტიკა აქაურ ებრაელთა ჩარჩ-ვაჭრობით გატაცება, სწავლა-განათლებისათვის თავის არიდება და ა.შ. „საზოგადოდ იმერეთში და, რასაკვირველია, ქუთაისშიც, ისე უსარგებლო ხალხი არავინ არის, ვინმემ ურიები, - გულისტკივილით წერდა აკაკი. არავითარი მოხელეობა მათის ხელიდან არ გამოვა და არც

ცდილობენ ისწავლონ. მათი ხელობაა სოფლიდან ქალაქში მომავალ ხალხს მოტყუებით გამოგლიჯონ ხელიდან რაც რამ მოაქვთ გასაყიდად და აბაზად ნაყიდში ორი აბაზი აიღონ, რითაც გამყიდველებიც და მყიდველებიც ზარალობენ...“ (გაზ. „დროება“, 1871).

აკაკი თხოვს საზოგადოებას ყველაფერი იღონონ, რათა ძალა დაატანონ ებრაელ მშობლებს, რომლებსაც შეძლება აქვთ, შვილები სკოლაში შეიყვანონ და გაანათლონ, “თორემ თუ დღეიდანაც ასე დარჩნენ გაფანატიკოსებული უგუნურების გამო, მათთვისაც ცუდი იქნება და ჩვენთვისაც”-ო (გაზ. „დროება“, 1871).

პირველი, ვინც აკაკის გამოეხმაურა, ნიკო ნიკოლაძე იყო. მან „სკანდელის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „ურიების მდგომარეობა საქართველოში (შენიშვნა აკ. წერეთლის „ცხელ-ცხელ ამბებზე“, გაზ. „დროება“, 1871).

ნ. ნიკოლაძე ამ წერილში მიუთითებს, რომ “ჩვენი ენამახვილი თანამოძმე მარტო ერთის მხრით შეეხო ჩვენთან მცხოვრები ებრაელების საკითხს, საჭირო კი იყო, უფრო ფართოდ და ყოვლის მომცველად ემსჯელა მის შესახებო”. იგი ეთანხმება აკაკის იმაში, რომ იმხანად ქართველი ებრაელები უმთავრესად ჩარჩობას მისდევდნენ და “არავითარ საზოგადო სიმდიდრეს არ ქმნიდნენ... მათი ნიადაგი საშუალება არის მოტყუება, იაფად ყიდვა, ძვირად გაყიდვა... ეს ყველაფერი ჭეშმარიტია, როგორც ის, რომ ამჟამად ისინი თითქმის ნამდვილ მებატონეთ გაუხდა ჩვენს ვალში და ვახშში ჩავარდნილ გლეხობას და თავად-აზნაურობას“ (გაზ. „დროება“, 1871).

ნ. ნიკოლაძეს მიაჩნია, რომ ყველას უნდა აწუხებდეს სულ ცოტა ორი კითხვა მაინც, „თუ რატომ, რა მიზეზით მოხდა ამ ხალხის ასეთ ყოფაში ჩაყრა და რამ მისცა მას საკვები ნიადაგი და, მეორე, - რანაირათ, რა საშუალებით და რა გზით იქნებოდა შესაძლებელი ამ მოვლენის გასწორება და თავიდან მოცილება“ (გაზ. „დროება“, 1871).

ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას ნ. ნიკოლაძე ისტორიულ ექსკურსს მიმართავს, აღნიშნავს: „მას აქეთია, რაც იერუსალიმის დაქცევამ ამ ურიების ტომი მთელი დედამიწის პირზე დააბნია, იმას სდევნიდა და მოსვენებას არ აძლევდა ყველა ხალხების სიძულვილი. ყოველგან, სადაც კი ურიები დაბინავდებოდნენ, ისინი ადგილობრივ მცხოვრებლებს მიაჩნდათ ღვთისგან დაწყევლილ ქმნილებათ და მათ შეურაცხყოფა, შევიწროება, ძაგება და დევნა მიაჩნდათ ღვთის სამადლიერო და მოსაწონ საქმეთ... ურია ძაღლის მსგავს პირუტყვად ითვლებოდა... ყოველგან ისინი იძულებულნი იყვნენ ეცხოვრათ ცალკე უბნებში, ყველასგან მიტოვებულ კუთხეებში, სადაც იმათ უნდა

შემოევლოთ მაღალი კედელი, მაგარი ჭიშკრით და კოშკებით, რომ თავი ამოჟლეტისაგან მაინც დაეფარათ...“. ნ. ნიკოლაძე სვამს კითხვას: „რა უნდა ეღონათ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანებს, როცა სხვა საშუალება არ რჩებოდათ თავიანთი ნაციის და გვარის გადასარჩენად?..“ (გაზ. „დროება“, 1871).

ნ. ნიკოლაძის მართებული დასკვნით, თავის დაცვის, რჩენის და ღირსების შენარჩუნებისათვის ურიებმა ფულის შემენა გაიხადეს უპირველეს მიზნად. სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ... „ფული და შემლება აჩერებდა ქრისტიანებს, იხსნიდა ურიებს გაჭირვებისაგან და რაკი დაინახეს, რომ ამ ქვეყანაში და მთელ დედამიწაზე ბედს მათთვის ფულის მეტი იარაღი არა მიუცია-რა, თავის შესანახად და გადასარჩენათ, იმათ, რასაკვირველია, ფული მეორე ღმერთად გაიხადეს და მის ძებნაში, მოგებაში და შენახვაში ჩასდეს მთელი თავიანთი სული, არსება და ნიჭი“. ამრიგად, ნ. ნიკოლაძე დაასკვნის: „მაშასადამე სრულიად გასაკვირველი არ უნდა იყოს, თუ ფულის მოსაგებად ურია არავითარ საშუალებას არ ზოგავს, თუ ის სიცრუესაც ხმარობს ამ მიზნისათვის, სიყალბესაც და ავაზაკობასაც; თუ ის არავის ზოგავს, ოღონდ კი ფული ხელში მოიგდოს და ნაშოვნი ფულის შენახვისათვის ის გასაკვირველ და წარმოუდგენელ სიბინძურეში სცხოვრობს და სიძუნწეს ეჩვევა“ (გაზ. „დროება“, 1871).

აქ ერთი საინტერესო ჩანართი უნდა მოვიხმოთ. ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს: „ჩვენ ბევრ პირს ვიცნობთ დადამიწაზე, რომლებისთვის ფული სრულიადაც ისე საჭირო არ ყოფილა და არ იქნება, როგორც ურიებისათვის, მაგრამ ისინი ურიებზე უარესს საშუალებას ხმარობენ მის შესაძინველად და უარესი სიბინძურით და სიძუნწით ინახავენ ამნაირათ შემენილ ფულს“ (გაზ. „დროება“, 1871).

ნ. ნიკოლაძე განაგრძობს, რომ ებრაელთა სარწმუნოებრივ დევნას მომდევნო ხანებში ეკონომიკური მტრობა დაემატა, რადგან ფულის მეშვეობით ებრაელები თითქმის შეუვალნი გახდნენ. მათვის მიღებულ არასასურველ კანონებს ფულის ძალით ხშირად არღვევინებდნენ ასეთ კანონთა გამომცემლებს. ისინი ფულით უკეთესი იარაღის შემენას და თავიანთი უბნების დასაცავად კარგი ჯარისკაცების დაქირავებას ახერხებდნენ, ანუ არსებობისათვის ბრძოლამ, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ებრაელობას თავის დანარჩუნების შესაძლებლობანი მოაპოვებინა.

ნ. ნიკოლაძის აზრით, XVIII საუკუნეში, როცა ევროპაში ახალმა აზროვნებამ მოიკიდა ფეხი; როცა დასაბამი მიეცა სხვათა აზრებისა და სარწმუნოების პატივისცემას, მათ შემწყნარებლობას, ბუნებრივად

დაისვა საკითხი - ებრაელთა ბედის, მათი ადგილის გარკვევისათვის კაცობრიობის ერთიანი ცის ქვეშ. მაგრამ, როცა პროგრესული და გამოჩენილი ადამიანების პირველ რიგებში თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს - ლესინგმა, მენდელსონმა, ჰაინემ, ბიორნემ და სხვებმა, როცა მათმა ნიჭმა და შრომისმოყვარეობამ ყველას დაუმტკიცა, რომ „ურიებიც ღვთისგან გაჩენილი კაცები არიან, რომ იმათაც უცემთ გული, გრძნობა და გონება, რომ ისინიც ღირსნი არიან სწავლისა და საზოგადო უფლებისა, - მაშინ დაიწყო ახალი ერა ურიების ცხოვრებაში. რაკი ურიებიც მიიღეს სასწავლებლებში, რაკი იმათაც მისცეს განათლება და ისინიც ეღირსნენ საზოგადო უფლებების მიღებას, მაშინ აღმოჩნდა, რომ ისინიც საზოგადოებისათვის სასარგებლო კაცები არიან, რომ იმათაც შეუძლიათ სიკეთის მოტანა და პატიოსანი შრომა“ - აცხადებს პუბლიცისტი და ყველასთვის გასაგონად აღნიშნავს: „... ღირსების მოპოვებით ებრაელებმა შეძლეს გასაოცარი ნიჭის გამოვლენა - სწავლაში, პოეზიაში, ხელოვნებაში, პოლიტიკაში, ერთი სიტყვით, ყოველგვარ საქმეში, ურიებმა აღმოაჩინეს საკვირველი ნიჭი, გონება და პატიოსნება და ამ გარემოებით ჩვენებს თუ არ გადააჭარბეს, უკან მაინც არ ჩამორჩნენ“... (გაზ. „დროება“, 1871).

ყოველივე ეს განათლებულ ევროპაში მოხდა... მაგრამ იმ დროისათვის, როცა ნ. ნიკოლაძე ამ წერილს წერდა, რუსეთის იმპერიაში ებრაელთა მდგომარეობა ისევ განუკითხავი იყო: მათ მიმართ დროდადრო ავრცელებდნენ ათასგვარ ჭორებს, აწყობდნენ ორგანიზებულ დარბევებს ე. წ. „პოგრომებს“, დევნას და ა. შ. მართალია, საქართველოში, რომელიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო მოქცეული, ისეთ მასშტაბურ გამოხდომებს ებრაელთა მიმართ ადგილი არ ჰქონია, ცალკეულ პრეცენდენტებს კი პროგრესული ქართული საზოგადოება და პერიოდული გამოცემები დაუყოვნებლივ რეაგირებდნენ. ნ. ნიკოლაძე, როგორც ნამდვილი ჰუმანისტი, საზოგადოებას მოუწოდებდა: „თუ საზოგადოებას ისინი მავნებელ პირებად მიაჩნია, ეცადოს, რომ ურიების შვილები ჩვენს შვილებთან იზრდებოდნენ, რომ ყოველ ყმაწვილს - ურიის იყოს თუნდ ქრისტიანის - მისცეს უსათუოდ ხეირიანი სწავლა; რომ მათ წინ გახსნილი იყოს იმნაირივე მომავალი, როგორიც გახსნილია ჩვენებური ყმაწვილების წინ; რომ მათ იმნაირივე უფლება ჰქონდეთ ყველაფერში, როგორც ჩვენებურებს აქვთ - და მაშინ ნახავთ, რომ ერთი-ორი თაობის შემდეგ ურიები იმნაირივე ქართველები გახდებიან, როგორც ჩვენი შვილები იქნებიან; რომ ისინი ხეირიანად და ძმურათ გამოგვადგებიან ჩვენ

ჭირში და ლხინში და ეხლანდელი შეურაცხყოფის და მტრობის მაგიერ, ეხლანდელი შევიწროვების და გამოხსნის მაგიერ, ძმურად შეგვიდგებიან ჩვენ საზოგადო უღელში, თუ ჩვენ იმათ ძმურად წილს დავუდებთ საზოგადო სიკეთეებით სარგებლობაში“ (გაზ. „დროება“, 1871).

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნებულმა აკაკი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის წერილებმა სულ სხვაგვარად დააფიქრა ქართველი შეგნებული საზოგადოება გვერდით მცხოვრებ ებრაელთა ბედსა და მათ მომავალზე. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მაშინ, როცა ქართველობაც რუსეთის კოლონიური უღლის ქვეშ გმინავდა, რაც ებრაელობამ დააფასა კიდეც.

ნ. ნიკოლაძე მოგვიანებითაც არაერთხელ მსჯელობს ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზე, ცდილობს ამ ორი ხალხის სულიერი სამყაროს წარმოჩინებაზეც შეაჩეროს მკითხველი საზოგადოების ყურადღება. აინტერესებს გაარკვიოს, რით გვანდნენ ისინი ერთმანეთს; რა განასხვავებდა მათ ერთმანეთისაგან მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე; რა იყო ის, რაც განაპირობებდა ამ ორი მცირერიცხოვანი ერის გამძლეობას; სულიერ გაუტეხელობას; თვითმყოფადობის შენარჩუნებას; მრავალრიცხოვანი მტრების სისტემატური თავდასხმებისაგან მოგერიების ძალას და ა.შ.

ნ. ნიკოლაძის ასეთი პოზიცია ნათლად იკვეთება თითქმის ოცი წლის შემდეგ დაწერილ და რუსულენოვან გაზეთ „Новое обозрение“-ს ფურცლებზე, დასტამბულ ერთ საკვირაო ფელეტონში, „საკვირაო საკითხავი“ რომ ჰქვია.

ნ. ნიკოლაძეს, შორაპნის ხეობაში მატარებლით მგზავრობისას, შესაძლებლობა მისცემია ვაგონის კუპეში მასთან ერთად მყოფ „ახალგაზრდა, ბრწყინვალედ განათლებულ ებრაელთან, დროის მოკვლის მიზნით, „ფილოსოფოსობა“ წამოეწყო. ქართული ბუნების სიმშვენიერით მოხიბლულ ახალგაზრდა ებრაელს პირდაპირ გამოუთქვამს აზრი მის შესახებ, თუ რა უბედურებები ჰქონდა გადატანილი გასულ საუკუნეებში პატარა საქართველოს და ბუნებრივი პარალელი გაუვლია თავის ხალხსა (ე.ი. ებრაელებსა - გ.ს.) და ჩვენს ხალხს (ე.ი. ქართველებს - გ.ს.) შორის.

ავტორის აზრით, „ყველაზე მეტად ის აინტერესებდა, თუ საიდან მოდიოდა ასეთი განსაცვიფრებელი სხვაობა სხვა ხალხებსა და ამ ორი ხალხის ბედს შორის, რომლებიც ძველი, ნიჭიერი და მრავალტანჯული ერებია და ამასთან თანაბრად დარწმუნებულნი იმაში, რომ ისინი

„ღვთის რჩეულნი“ არიან, ასევე, ერთნაირად ერთგულნი წინაპართა ტრადიციებისა“ (გაზ. „Новое обозрение“, №1684).

ნ. ნიკოლაძე ასე გამოხატავს დამოკიდებულებას ამ ერისადმი - „მიყვარს და მძულს!“ და იქვე განუმარტავს მკითხველს, თუ ამაში რას გულისხმობს. „მიყვარს, ან უფრო სწორედ, პატივს ვცემ ამ „ერის“ უჩვეულო, და პირდაპირ ვთქვათ, დიდ ძალას, რითაც ყოველთვის იყო განმსჭვალული ყველა იმისი შვილი. ისინი მაღალნიჭიერნი არიან და დასახული მიზნისკენ ჯიუტად, თანმიმდევრულად და სისტემური სწრაფვით გამოირჩევიან; უნარი შესწევთ თავის ბოლომდე ალაგმვის, რაც მათი ხასიათის სიძლიერესა და ნებისყოფის სიმტკიცეზე მეტყველებს... მაგრამ ყოველთვის როცა გავიხსენებთ, თუ რა წვრილმან, მიწიერ, უღირს მიზნებს ემსახურება ამ ხალხის გონებისა და სულის ეს დიადი ძალა, ან აღშფოთება მიპყრობს, ან ზიზღის გრძნობა“ (გაზ. „Новое обозрение“, №1684).

ახალგაზრდა ებრაელი თანამგზავრის კითხვაზე - „ეტყობა საუკუნეების მანძილზე, ეს მთები თქვენი მხსნელი იყო, რჯულისა და დამოუკიდებლობისათვის მოძალე მტრების შემოსევებისაგან... ჩვენ კი გარედან არაფერი გვიცავდა და სწორედ ეს გვღუპავდაო“, - ნ. ნიკოლაძე კითხვასვე უბრუნებს: „-ვითომ ასე იყო?“ და თავის თანამოსაუბრეს განუმარტავს: ცხადია მთები და ხეობები თავდაცვის დროს ხელსაყრელ პოზიციებს ქმნიან, მხოლოდ პირველ დამარცხებამდე... მაგრამ ისინი შემდეგ თქვენც ისევე გიშლით ხელს ქვეყნიდან მტრის გაყრის დროს, როგორც მათ უშლიდათ თქვენი დაპყრობისას. როცა არაბები, თურქები, სპარსელები და სხვა დანარჩენი მუსლიმები ჩვენს ქვეყანას იპყრობდნენ, ისინი არ იფარგლებოდნენ მხოლოდ მისი ძარცვით, არამედ ყველა ციხე-სიმაგრეში თავიანთ გარნიზონს ტოვებდნენ... აშენებდნენ და ამაგრებდნენ ახალ სიმაგრეებს და შემდეგ მათი განდევნა უფრო ძნელი იყო... (გაზ. „Новое обозрение“, №1684).

ნ. ნიკოლაძე ატყობს, რომ მისი ოპონენტი არა თუ არ იცნობს ჩვენს მხარეს, არამედ ასეთი მოსაზრების წარმოდგენაც კი უჭირს და ჯიუტად განაგრძობს: „- კი მაგრამ თქვენ რით ხსნით იმ ფაქტს, რომ თქვენმა ხალხმა, ჩვენს ხალხზე უფრო მცირერიცხოვანმა, ჩვენი ხალხის მსგავსად, რწმენისა და თვითმყოფადობის მოძულე ურჯულოებით ყოველი მხრიდან გარშემორტყმულმა, ბოლო დრომდე შეინარჩუნა არა მარტო მორალური და სულიერი არსებობა, არამედ პოლიტიკურიც?.. როგორ ფიქრობთ, ჩვენ, ებრაელები, თქვენზე ნაკლებად ნიჭიერნი, ენერგიულნი და თავდადებულნი ვართ“. ეტყობა, თქვენ ან ქვეყნის ტოპოგრაფია გშველოდათ, ანდა ძალები, რომლებიც ჩვენ გვიტევდნენ,

მნიშვნელოვნად უფრო მრავალრიცხოვანნი იყვნენ, იმათთან შედარებით, რომელთა წინააღმდეგ თქვენ გიწევდათ ბრძოლა...“ (გაზ. „Новое обозрение“, №1684).

ნ. ნიკოლაძე ცდილობს საკითხი სხვა ჭრილში გადაიტანოს და ახალგაზრდა ოპონენტს განუმარტოს, რომ ებრაელობას არსად, არასდროს, არც ერთი ხალხი არ დახმარებია; რომ მთელი მათი „ისტორიის მანძილზე არ აღმოჩნდა არც ერთი ხალხი, რომელიც მოიწადინებდა მათთან დამეგობრებას, მათთვის დახმარების აღმოჩენას, მხარდაჭერას, თავის ოჯახში მიღებას, ან თუნდაც მათთან დროებით კავშირის შეკვრას, მაშინ, როცა ქართველებს უამრავი მტერი გვყავდა, მაგრამ „არც ერთი არ ყოფილა არასდროს ჩვენი მოძულე“. ისინი თავს იმიტომ კი არ გვესხმოდნენ, რომ პირისაგან მიწისა აღვეგავეთ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა მოსწონდათ... ისინი ზოგჯერ ჩვენთან სამეგობრო კავშირებსაც კი ეძებდნენო...

ნ. ნიკოლაძის ასეთი პასუხითაც არ კმაყოფილდება ახალგაზრდა ებრაელი ოპონენტი და ცოტა ირონიულად შენიშნავს: თქვენ ფიქრობთ, რომ „პოლიტიკური მოქნილობა“ არ გაკლიათ და ჩვენ კი იგი საერთოდ არ გაგვაჩნია... ასეა, არა?

- არა, პირიქით, მოქნილობა, სიმარჯვე და, მარტივად რომ ვთქვათ. ეშმაკობა თქვენ არ გაკლიათ, მაგრამ ეს ისეთი რაღაცეებია, რაც ხალხებს სიცოცხლეს უწამლავს... ეშმაკობა, ეს „სულელების ჭკუაა“, ანუ სრული ნონსენსი. ცხოვრებაშიც კი შორს ვერ წახვალთ. არა ეს არ გაკლიათ თქვენ” (გაზ. „Новое обозрение“, №1684).

ასეთი დამოძღვრაც არ მოსწონს ოპონენტს და სარკასტულად, თავის თავში დაჯერებული, ეკითხება ნ. ნიკოლაძეს:

„- საინტერესოა, აბა, რა გვაკლდა?“

ოპონენტის ასეთ ყელყელაობას ავტორი მოურიდებლად, ყოველგვარი დიპლომატიის გარეშე, უპასუხებს: „-იცით რა, თქვენ სიმახინჯემდე ცალმხრივი ხალხი ხართ. არ ვიცი, რისი ბრალია ეს; თქვენმა ბუნებამ თუ გარემომ მოგახვიათ იგი თავს. თქვენი ხასიათი ცალმხრივადაა განვითარებული, კერძოდ, განვითარებულია გონებრივი მხარე. მე ამ მხარეს ძალიან, ძალიან ვაფასებ, თანაც არა როგორც კერძო პირის, არამედ მთელი ხალხის თვისებას... მაგრამ საცოდავია ის პიროვნება ან ხალხი, რომელსაც არ შეუძლია თავისი ამოცანები, თავისსავე შესაძლებლობებს შეუფარდოს, და სწორედ გაიანგარიშოს იგი. ადამიანის ხასიათს, ბუნებას, ცხოვრებას აქვს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მხარეებიც, რომლებიც თქვენ ან საერთოდ არ შეგიძენიათ, ან ჯერ კიდევ მოსეს მოსვლამდე დაკარგეთ იგი. თქვენ არ შეგიძლიათ იყოთ

უძვირფასესი შემადგენელი ელემენტი იმ სახელმწიფო ცხოვრებაში, სადაც უმნიშვნელო უმცირესობა იქნებოდით... თქვენ ვერასდროს ვერ შესძელით გეცხოვრათ თავისთავად, თქვენს პოლიტიკურ ცხოვრებას არასოდეს უდგებოდით სერიოზულად და ვერც ვერასოდეს შეძლებთ ამას, რადგან ანგარიშიანობის გარდა არაფერი არ გაგაჩნიათ, მხოლოდ ანგარიშიანობაზე კი სახელმწიფო ცხოვრებას ვერ ააშენებ. იგი დაფუძნებულია აგრეთვე ვნებათაღელვაზე, გატაცებაზე, სიყვარულზე... თქვენ სწორედ ეს თვისებები არ გაგაჩნიათ და არ გაგაჩნიათ არა მხოლოდ ცალკეულ ინდივიდებს, არამედ მთელ ხალხს... თქვენ თავიდან ფეხებამდე ეგოისტები ხართ და გარდა თქვენი თავისა, არავის სიყვარული არ შეგიძლიათ. ამაშია მთელი თქვენი ძალაც და ამავე დროს მთელი თქვენი ორგანული უძლურებაც. თქვენი თანდაყოლილი ეგოიზმით, იძულებული ხართ ევედროთ, თავი დაიმცირეთ, პროფანაცირება უყოთ ღმერთის მიერ უხვად ბოძებულ გონებისა და ნებისყოფის ძალას, რადგან ეგოიზმი ასვამს ყოველ თქვენს ძალას, ნიჭს და საქმეს, გაუცხოების, უფრო გულახდილად რომ ვთქვა, დამდაბლების ცეცხლოვან ბეჭედს: ეს არის მტრული დამოკიდებულება მთელი დანარჩენი კაცობრიობის მიმართ. თქვენ არასოდეს გქონიათ და არც შეიძლება გქონდეთ ის „სულიერი ამაღლება“, გმირობის ის სიდიადე, ის ყოვლისმპყრობელი ძალა, რაც სიყვარულისთვისაა დამახასიათებელი...“ (გაზ. „Новое обозрение“, №1684).

აქ, ნ. ნიკოლაძე მცირე განმარტებას აძლევს ოპონენტს - ქართველობის მიერ განვლილ გზასა და მისი ხასიათის ჩამომყალიბებელ ფაქტორებზე... რაში გამოიხატებოდა ისინი?..

პუბლიცისტის აზრით: „არა ერთხელ, არამედ ასჯერ და ათასჯერ მიუნდვია ჩვენს ხალხს ბედისათვის მთელი თავისი მომავალი არსებობა, რასაც თქვენ გაუანგარიშებელს უწოდებთ. ბევრჯერ შებმია იგი მტერს, როცა ერთ კაცზე, ასი მოდიოდა და იცავდა არა იაფფასიანი, არამედ საუკუნოვანი ღირებულებების ინტერესებს. და არა მარტო მეგობრებმა, მტრებმაც ისწავლეს მისი მოვალეობისადმი ერთგულების, ფიცის გაუტეხელობის, ღირსებებისა და თავისუფლების პატივისცემა. აი, რა იყო მთელი ჩვენი ძალა... მამაცი ღმერთსაც უყვარს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მამაცი, პატიოსანი, მართალია და საერთო სარგებლობისა და გმირული საქმეებისათვის იბრძვის“ (გაზ. „Новое обозрение“, №1684).

და ბოლოს, ნ. ნიკოლაძე სვამს დიაგნოზს და როგორც ნაღდ მკურნალს შეეფერება დაუფარავად ეუბნება თავის ოპონენტს... „აი, რა გაკლდათ თქვენ ყოველთვის. მთელი თქვენი ყურადღება, ფიქრები,

ძალ-ღონე შეაჩერეთ მდაბალ, ეგოისტურ ინტერესებზე; თქვენ, თქვენი თავის გარდა, არავინ გიყვართ, თქვენთვის ყველა უცხოა, გარდა თქვენი საკუთარი ძალისა. ეს ძალა კი ძალზე ცოტაა იმისათვის, რომ თქვენი თანამოქალაქეების ძალა მსოფლიო ყველა ხალხის ძალას დაუპირისპიროთ...“ (გაზ. „Новое обозрение“, №1684).

ერთ რჩევასაც აძლევს თავის ოპონენტს: „პირადად თქვენ, შეიძლება მდიდარიც იყოთ, ოქროც ბევრი გქონდეთ, ბედნიერებაც და ბრწყინვალებაც, მაგრამ თვით თქვენი გაუცხოება თქვენი თანამოძმეებისაგანაც კი გამოჭამს და გაცამტვერებს მაგ თქვენს სიმდიდრეს...“ (გაზ. „Новое обозрение“, №1684).

აქვე შევნიშნავთ, რომ ნ. ნიკოლაძეს ეს აზრები აღნიშნულ საკითხზე იქვე, სპონტანურად, ვაგონის კუპეში, წუთიერი აფეთქების დროს არ მოსვლია, ეს „განაჩენი“ მას წლების მანძილზე დაკვირვებისა და ფიქრის შედეგად ჰქონდა შემუშავებული, მისი გაცხადებისათვის, ალბათ, ასეთი ჟურნალისტური ხერხი გამოიყენა. ზოგიერთი რამ შეიძლება დღეს მძიმე და მიუღებელიც იყოს თანამედროვე მკითხველისათვის, მაგრამ ბევრ ჭეშმარიტებასაც დაინახავს ამ დიალოგში დაკვირვებული კაცის თვალი. გასათვალისწინებელია ის „დრო და სივრცე“, ასეთ აზრებს რომ გამოთქვამდა ნ. ნიკოლაძე ყოველდღიური რუსულენოვანი გაზეთის ფურცლებზე...

ამრიგად, დიდი ქართველი მამულიშვილის და კალმის გამოჩენილი ოსტატის ნ. ნიკოლაძის ნააზრევში, მთელი ებრაელი ერის მიმართ უდიდესი პატივისცემა და თანადგომაა გაცხადებული, რაც იმდროინდელი ქართველი მოღვაწეების პოზიციაც გახლდათ.

მითითებული ლიტერატურის სია:

1. ჟურნ. „ცისკარი“, 1860, ივნისი, №6.
2. გაზ. „დროება“, 1869, 2 იანვარი, №1.
3. გაზ. „დროება“, 1872, 31 ივლისი, №31.
4. გაზ. „დროება“, 1871, 7 აგვისტო, №32.
5. Газ. „Новое обозрение“, от 6 ноября 1888 г, №1684.
6. გაზ. „კალმასობა“, 2007, №7.
7. წიწუაშვილი შ. ძმამან ძმისა უკეთ იცის, თბ., 2002.
8. ნიკოლაძე ნ.- 150 (საიუბილეო კრებული), თბ., 1996.

გ. საითიძე

ებრაული თემა ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკაში

რეზიუმე

ებრაელების, ქართველი ებრაელების, საკითხს დიდი ადგილი ეთმობა ნ. ნიკოლაძის ნააზრევში. ამ ტრაგიკული ისტორიის მქონე ხალხის ბედზე დაკვირვება, მისი მომავლის განსაზღვრა, საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა სოციალური მდგომარეობა და განათლების მიღების აუცილებლობა, არის წინაპირობა ებრაელთა გაერთიანებისა და ერთ ქვეყნად ცხოვრებისათვის.

G. Saitidze

Jewish Issue in Niko Nikoladze's Social and Political Journalism

Summary

The Issue of Jewish people and Georgian Jews occupy the central place in Niko Nikoladze's works. He considere that the observation on the fate of this tragic nation, prediction of its future, social situation of the Jews living in Georgia and the necessity of their education are the esssential conditions for the consolidation of Jewish people and their establishment as a seperate unified country.

ზეინაბ სარია
ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნიკო ნიკოლაძე სწავლების მშობლიურ ენაზე დაწყების შესახებ

„ულმობელი საქმის კაცი“, ასე იცნობდნენ ნიკო ნიკოლაძეს თანამედროვენი და დამსახურებულადაც. ნიკო ნიკოლაძეს სავსე პრაქტიკული ცხოვრება ჰქონდა. იგი ეწეოდა საბანკო, სასტამბო–საგამომცემლო, სამთამადნო საქმიანობას, უძღვებოდა სარკინიგზო სფეროს, იყო ქალაქის თავი და „ფოთი წამოაყენა ფეხზე“.

ილიასა და აკაკისთან, გიორგი წერეთელთან ერთად იგი გახლდათ გამოჩენილ სამოციანელთა ერთ–ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ეროვნული მოღვაწე, წერდა პუბლიცისტურ–კრიტიკულ წერილებს.

მისი პუბლიცისტური ნაღვაწიდან აღსანიშნავია 1868 წელს დაწერილი წერილი „ბუნების კარი“. იგი ეხება იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილ საკითხავ წიგნს, რომელიც განკუთვნილია დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის. პრობლემა, რომელსაც ნიკო ნიკოლაძე ეხება, არის სწავლების მშობლიურ ენაზე დაწყების აუცილებლობა.

მისთვის აქსიომაა ის აზრი, რომ ყოველი ადამიანი საკუთარი ენის აშკარად თუ იდუმალად გამოვლენილი კანონების მიხედვით მეტყველებს, საკუთარი განუმეორებელი კუთხიდან აღიქვამს სამყაროს, რაც კანონზომიერი მოვლენაა, რადგან ენა ის ფენომენია, რომელშიც აზროვნების განუმეორებელი მოდელია ჩასაიდუმლოებული. ამა თუ იმ ენის მოდელი ეხმიანება ბავშვის გენეტიკურ კოდში არსებულ თავისებურებებს და ერთიმეორეს თანხვდება.

სხვადასხვა ენის მიხედვით ერთი სიტყვის მნიშვნელობას თუ შევისწავლით, მაგალითად, ც ი ს ა რ ტ ყ ე ლ ა და დავაკვირდეთ, ვინ როგორ აღიქვამს მას.

ინგლისელისათვის rainbow მოიცავს შემდეგ ასოციაციებს: rain – წვიმა, bow – მშვილდი, რკალი, ბანტი, თაღი. წვიმის მშვილდის /ან წვიმის ბანტის/ წარმოდგენას ბადებს ამ ენაზე მეტყველისთვის ეს მოვლენა. რუსისთვის радуга შემდეგ მნიშვნელობას იტევს: разноцветная дуга или окружность. ფერადი რკალი თუ წრეხაზია სლავური წარმოშობის ადამიანისათვის ცისარტყელა. ქართველისათ-ვის ამ სიტყვაში ორი სემანტიკური ერთეული ერთიანდება: „ცა“ და „სარტყელი.“ ცის სარტყელი ზენა სამყაროს საკრალური იდუმალების სიმბოლოა და თუ ქართველი მის ქვეშ გაივლის, ასე სჯერა, რასაც

ჩაითქვამს, აუსრულდება. არ არის გასაკვირი, რომ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებისთვის ასეთი ნიუანსობრივი სხვაობები არსებობს სიტყვათა მნიშვნელობებში. მითოლოგია კიდევ უფრო გამოკვეთილი კონკრეტულობით აირეკლავს ხალხთა წარმოდგენებს. სკანდინავიის მითოლოგიაში ცისარტყელა ხიდია, რომელიც აერთიანებს ადამიანებისა და ღმერთების სამყაროს. სლავური წარმოდგენით, ცისარტყელა შთანთქავს სინოტივეს და წვიმად იღვრება. მათთვის ცისარტყელის გამოჩენა უბედურებას მოასწავებდა. თუ ქალი გაივლიდა მის ქვეშ, კაცად იქცეოდა, კაცი – ქალად. აფრიკელებს სწამდათ, რომ იქ, სადაც ცისარტყელა მიწას ეხება, განძია, ძვირფასი თვლებია ჩაფლული და ა.შ.

”ბიბლიაში” ცისარტყელა გამოჩნდა წარღვნის შემდეგ, როგორც კაცობრიობის ცოდვების პატიება, ღვთისა და ძეხორციელის კავშირი, იმის ნიშანი, რომ წარღვნა არ განმეორდება: „ჩემი ცისარტყელა ჩავდევი ღრუბელში ჩემსა და მიწას შორის აღთქმის ნიშნად“ (ბიბლია, 8).

ამ ზოგადსაკაცობრიო სიმბოლოს – ცისარტყელას – ყველა ენა თავის ელფერს აძლევს და ყველა ხალხის მითოლოგია – საკუთარ სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს. ეს წიაღსვლა იმისთვის დაგვჭირდა, რომ ნათელგვეყო, ადამიანები მსგავსნი ვართ და იმავდროულად – განსხვავებულები. განსხვავებულობის საიდუმლოება ენაშიცაა. აზრი ხომ სიტყვებით ფორმდება და ყოველი ადამიანი თავის ღვიძლ ენაზე აზროვნებს?!

შეიძლება მავანს აღეძრას ამგვარი აზრი: რა დროის იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ნიკოლაძეა? თანამედროვე სამყაროში ისეთი მიგრაციული, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული პროცესები მიმდინარეობს, რომ, ცხადია, თანამედროვეობა ახალ გამოწვევებს გვთავაზობს. რამდენ ენასაც ფლობ, იმდენ განსხვავებულ სამყაროში შეგესვლება, იმდენი რაკურსიდან შეგიძლია იხილო სამყარო, იმოძრაო განსხვავებულ სივრცეებში. დღეს აქტუალურია ინტეგრა-ციის საკითხები, კულტურათა დიალოგი, კულტურათაშორისი კომუნიკაციები. ენების არმცოდნე შეიძლება სავალალო იზოლაციაში აღმოჩნდეს, ხოლო მცოდნეს არ გაუჭირდება ადაპტირება სიტუაციებში. რამდენ ენასაც ფლობ, იმდენ კულტურას აღიქვამ.

დღეს აქტუალურია ბილინგვური განათლება. ორენოვან განათლებას პრიორიტეტად თვლიან, რადგან იგი პიროვნებას უზრუნველყოფს ენობრივი კომპეტენციის მაღალი ხარისხით, ბილინგვისტი ტოლერანტული ხდება სხვა კულტურის მიმართ. მაგრამ ისიც ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ენა განუყოფლად

უკავშირდება აზროვნებას. თუ რამდენიმე ენაზე საუბრობ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იმდენივე ენაზე აზროვნებ. ფაქტია, ასეთ ვითარებაში მშობლიურ ენაზე აზროვნების უნარი მდიდრდება (Худобина, 15).

მაგრამ იდეა, რომელსაც ავითარებდა იაკობ გოგებაშვილი და მხარს უჭერდა ნიკო ნიკოლაძე, არ ეწინააღმდეგება სხვა ენების შესწავლის თვალსაზრისს. აქ ამოსავალია ის, რომ ყრმამ მშობლიურ ენაზე უნდა დაიწყოს განათლების მიღება. მხოლოდ ღვიძლ ენაშია ის იდუმალი შესატყვისობა, რომელიც ქართველის ცნობიერებაშია კოდირებული. ამიტომაც წერდა ილია: „უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია“. ამ საკითხში ილიას თანამოაზრეობას უწევდა ქართული პედაგოგიკის დედაბოძი – იაკობ გოგებაშვილი. იგი თვლიდა, რომ დედაენა ძვირფასი იარაღია, „რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურს და ფიზიოლოგიურს აგებულებაზედ...“ ნიკო ნიკოლაძე ეთანხმება აზრს, რომ ყოველ ადამიანს დაბადებიდან დაჰყვება მიდრეკილება და ნიჭი დედაენის ადვილად და ღრმად შესწავლისა. ნიკო ნიკოლაძე სწორედ ილიასა და იაკობის მსგავსად, თვლის, რომ სხვა ენაზე სწავლების დაწყება ბავშვის უნარს აჩლუნგებს. აღსაზრდელის გენებში მოცემული მიდრეკილებების სწორად განვითარება მხოლოდ საკუთარ, მშობლიურ ენაზე სწავლების დაწყებით ხდება. სხვა ენაზე სწავლება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ბავშვს კარგადა აქვს შეთვისებული თავისი ენა. ეს, რასაკვირველია, არ ეწინააღმდეგება სხვა ენების შესწავლის იდეას. მშობლიური ენის კარგად ათვისება უცხო ენების უკეთ შესაწავლის წინაპირობაა. აი, სწორედ ამ თვალსაზრისს იზიარებს და იცავს ნიკო ნიკოლაძე თავის წერილში „ბუნების კარი“.

ნიკო ნიკოლაძე მსჯელობას იწყებს დებულებით, რომ „კარგი აზრი კარგი გონების ნაყოფია, კარგი გონება – კარგი ჭკუისა და კარგი ჭკუა–განათლებისა.“ სადაც განათლებაა, იქაა საღი აზრი, რომელიც საზოგადოებაში იმის მიხედვით მკვიდრდება, რამდენ მხარდამჭერსა და მაღიარებელს იპოვის. ამ საქმეში სიმრავლეს აქვს მნიშვნელობა. ათასმა კაცმა რომ ამტკიცოს, მუხას ვაშლი ასხიაო, ათმა – რკოა მუხაზეო, მიუხედავად იმისა, რომ მეორე აზრი ჭეშმარიტია, საზოგადოება ასის ნათქვამს ირწმუნებს. უმრავლესობა ქმნის ატმოსფეროს. ამიტომ აუცილებელია, სწორ აზრს ჰყავდეს ბევრი მომხრე. ე. ი. პრობლემურია, აქტუალურია, რომ ჭეშმარიტების, საღი აზრის მომხრენი გამრავლდნენ. ნიკო ნიკოლაძეს მიაჩნია, რომ

„საუკეთესო საშუალება ამისათვის არის აღზრდა საზოგადოებისა“ (ნიკოლაძე, 448). ავტორს სწორედ ამგვარი აღზრდის ერთ–ერთ ბერკეტად მიაჩნია ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“, წიგნი, რომელიც ქართველ ყრმებს სწავლის გზაზე დააყენებს.

გოგებაშვილსა და მის თანამოაზრე ნიკო ნიკოლაძეს მიაჩნიათ, რომ ბავშვმა პირველად საკუთარი ენა უნდა ისწავლოს, თუ მშობლებს შვილის გონებრივი მონაცემების სწორად გახსნა სურთ.

საზოგადოების ნაწილი თუ იფიქრებს, ქართული ენის სწავლას ახალგაზრდა მერეც მოესწრებაო, ეს იგივეა, სახლის შენება სახურავიდან რომ დავიწყოთ,– ასე სჯერათ გოგებაშვილსა და ნ. ნიკოლაძეს. ისინი ხედავენ მოწადინებას, რომ ბევრს სურს, რაც შეიძლება მალე ისწავლოს ბავშვმა რუსული. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საკუთარი ენა იოლი შესათვისებელია. ამით უნდა გაიხსნას ბავშვის გონება. მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდება ნებისმიერი უცხო ენის სიძნელეებს, თავისებურებებს და შეითვისებს მას. ბავშვის გონება მშობლიურ ენაზე იხსნება. თუ ეს არ მოხდა /საკუთარ ენაზე გონებრივი შესაძლებლობების გახსნა– განვითარება/, უცხო ენის შესწავლაში ბევრ დროს დაკარგავს და „გვარიანადაც ვერ შეისწავლის“, ე.ი. საშუალო დონეზეც ვერ დაეუფლება. საჭიროა ჯერ საკუთარ ენაზე განვითარდეს შემეცნებითი შესაძლებლობები, გაიწაფოს გონება, განვითარდეს კოგნიტური უნარები... ნიკო ნიკოლაძე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ თუ ბავშვი ჯერ საკუთარ ენაზე არ დაუფლებია კითხვის ტექნიკას, ისე, რომ სწორად სვამდეს ლოგიკურ მახვილებს, შეეძლოს წაკითხულის ადეკვატურად გააზრება და პერიფრაზირება, როგორღა შეძლებს ამას უცხო ენაზე? ხოლო თუ ამას დაუფლებულია, უცხო ენაზეც მალე დახელოვნდება. ნ. ნიკოლაძე სვამს კითხვას: როგორღა ისწავლის ყმაწვილი უცხო ენის გრამატიკას, თუ საკუთარი ენის გრამატიკა არ იცის? ხომ გახდება მისთვის სწავლის პროცესი ერთი გაბმული ტანჯვა?!.

ნ. ნიკოლაძე თვლის, რომ ნასწავლმა ადამიანმა გეოგრაფია უნდა იცოდეს, მაგრამ ჯერ ხომ საკუთარ სამშობლოს, მის რელიეფს უნდა გაეცნოს? ჯერ თავისი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებს უნდა შეავლოს თვალი და მერე მსოფლიოსაც გადასწვდება მისი თვალთახედვა.

ნასწავლმა ადამიანმა კაცობრიობის ისტორია უნდა იცოდეს, მაგრამ მან ჯერ საკუთარი ქვეყნის წარსული უნდა გაიცნოს. აი ასე მშობლიურიდან კაცობრიული თვალსაწიერისაკენ ფართოვდება, ნიკო ნიკოლაძის წარმოდგენით, ადამანის ჰორიზონტი და ასე მიემართება იგი საკუთარი საფიქრალიდან მსოფლიო ინტერესებისაკენ.

თუ ქართველი მოიმიზეზებს ქართულად წიგნების ნაკლებობას, ნ. ნიკოლაძე თვლის, რომ ეს ამაო თავის მართლება იქნება. სინამდვილეში ბეჯითი და მოწადინებული ადამიანი იპოვის სამყოფ წიგნებს, მოთხოვნა მეტი რომ იყოს, წიგნებიც დაიწერებოდა და დაიბეჭდებოდა. საზოგადოების დაკვეთა განაპირობებს წიგნების გაჩენას. ნიკოლაძის თვალთახედვით, მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ წიგნი, რომელსაც ყმაწვილს მივცემთ ხელში, ერთსა და იმავე დროს სასიამოვნოც იყოს და სასარგებლოც მოზარდის ჭკუა–გონებისათვის. ბავშვი ინტერესდება გარემომცველი ბუნებით, მის საიდუმლოებებში წვდომით, ამიტომ ამ პირველმა წიგნმა ის უნდა შეიყვანოს ბუნების დიად სახლში, ბუნების სამყაროში; წიგნი უნდა გახდეს კარიბჭე, რომელიც ბუნების იდუმალებებს უჩვენებს და აუხსნის, ერთი სიტყვით, ეს წიგნი უნდა გახდეს მისთვის ბ უ ნ ე ბ ი ს კ ა რ ი.

ნიკო ნიკოლაძე ყურადღებას ამახვილებს წიგნის ენაზე. ძველი თაობის წარმომადგენლები ენის ღირსებას აფასებდნენ არქაული ლექსიკური ერთეულებით თუ სინტაქსური წყობით და მიაჩნდათ, რომ ძველი ენა იყო კეთილშობილური, დარბაისლური, ხოლო ახალი - „ტეტიური“, რომელიც მუშასა და ფილოსოფოსს ერთნაირად ესმის, რაც ძველებს ენის დაღუპვად და დასამარებად მიაჩნდათ. ნიკო ნიკოლაძე იცავს აზრს, რომ ენის სისადავე, სიცხადე და სიადვილე მისი ღირსებაა და არა ნაკლი.

მეცხრამეტე საუკუნიდან საქართველოში კოლონიური პოლიტიკის შედეგად სკოლას თვითმპყრობელური რეჟიმისადმი მორჩილების გრძნობა უნდა ჩაენერგა მოსწავლეთათვის. მეფისდროინდელი რუსეთის არარუსი მოსახლეობისთვის სახალხო სკოლები ეროვნული გადაგვარების მიზნით იყო შექმნილი. იდევნებოდა ყველაფერი, რასაც ეროვნული ხასიათი ჰქონდა, განსაკუთრებით – მშობლიურ ენაზე სწავლება.

ცხადია, დღეს, იაკობის ეპოქისგან განსვავებით, არავინ აძალებს ბავშვებს სხვა ენაზე სწავლას, მაგრამ დღეს ეს შეიძლება მოხდეს მშობლის ნებით. პრესტიჟულად ითვლება 6 წლის ბავშვი მიაბარონ უცხოენოვან სკოლაში იმ იმედით, რომ იგი ბევრად საფუძვლიან ცოდნას მიიღებს.

არსებობს ამგვარი დამოკიდებულებაც: მშობელთა ნაწილი თვლის, რომ ინგლისურის დაუფლება შვილს შრომის ბაზარზე დამკვიდრებას გაუადვილებს. ამიტომ უცხო ენას მიიჩნევს პრიორიტეტულად.

მშობლიური ის ენაა, რომელსაც ადრეული ბავშვობის ასაკიდან ბუნებრივად ვეუფლებით ოჯახში, მშობლებისა და ახლობლების გარემოცვაში; ეს ის ენაა, რომელზეც ვლაპარაკობთ მთელი სიცოცხლის განმავლობაში; რომელზეც ვლოცულობთ. ენა ეროვნული იდენტობის ნიშანია და მისი დაკარგვა სავალალოა მაღალზნეობრივი პიროვნებისთვის.

მითითებული ლიტერატურის სია:

1. ბაქრაძე აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, თბ., 2011 წ.
2. ბიბლია, ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, დაბადება 9, 13–14, საქართველოს ბიბლიური საზოგადოება, თბ., 2001 წ.
3. ნიკოლაძე ნიკო, თხზულებანი, თსუ გამომცემლობა, ტ. 1, 1962 წ.
4. Худобина О. Ф., Влияние билингвального образования на развитие различных компетенций у студентов, Вестник .Вол. ГМУ, 2005.

ზ. სარია

ნიკო ნიკოლაძე სწავლების მშობლიურ ენაზე დაწყების შესახებ

რეზიუმე

როგორც ვხედავთ, ნიკო ნიკოლაძემ წერილის დასაწყისში გამოკვეთა, რომ სწორ აზრს მხარდაჭერა და საზოგადოებრივ თვალთახედვად ქცევა სჭირდება, რაც აღზრდით მიიღწევა და ამაზე ზრუნვა ბავშვობიდან იწყება. ნ. ნიკოლაძე იაკობის ‘ბუნების კარს“ ამის ერთ–ერთ ბერკეტად, საიმედო საშუალებად თვლის.

ნ. ნიკოლაძე მხარს უჭერს და იცავს ი. გოგებაშვილის დებულებას, რომ „ბავშვმა პირველად თავისი ენა უნდა ისწავლოს“. ასე შეიძლება მისი გონებრივი მონაცემების სწორად გახსნა, შემეცნებითი უნარების შეუფერხებლად განვითარება. სხვა ენის შესწავლის საძირკველი მშობლიურის კარგად დაუფლებაა.

კაცობრიობის ისტორიის შესწავლაც საკუთარი ერის ისტორიის შესწავლის შემდეგ უნდა ხდებოდეს.

რამდენადაც აზროვნების განვითარება კონკრეტული შემეცნებით იწყება, ადრეულ ასაკში კონკრეტული ცოდნით უნდა გავამდიდროთ მოზარდის ცნობიერება.

მწერლის ენა, ნ. ნიკოლაძის აზრით, უნდა იყოს სადა, ხალხური, მარტივი, კეთილხმოვანი, სურათოვანი, მდიდარი, შთამბეჭდავი. ენის ლექსიკურ მარაგს უმთავრესად ქმნის ხალხი. ბავშვმა სწორედ ხალხის ენა უნდა აითვისოს. სიძველის, არქაულობისმოყვარე პირებს ენის დაღუპვად, მდაბიობად, მის მოთხრა– განადგურებად მიაჩნიათ მშრომელი ხალხის სამეტყველო ენაზე საუბარი. სწორედ სისადავე, სიადვილე და სიცხადეა ენის ღირსება.

მოზარდის შემეცნებითი უნარები მშობლიურ ენაზე საწავლების დაწყებით ვითარდება, უცხო ენის სწავლება მხოლოდ მას შემდეგ არის სასარგებლო, როდესაც მოზარდმა საკუთარი ენა კარგად აითვისა.

Z. Saria

Niko Nikoladze on Starting Teaching Children in Native Language

Summary

As we see, at the beginning of the letter Niko Nikoladze outlined that the correct opinion needs support; it needs to be transformed as a public opinion. In order to make citizens support the correct opinion, the proper understanding is needed, which can be reached with the help of training. Society needs training as air to breathe and it should begin in early childhood. N. Nikoladze considers Bunebis Kari by Jacob Gogebashvili as one of its tools and reliable sources.

N. Nikoladze supports and protects J. Gogebashvili's thesis: "The child should study its own language first". In such a way the mental skills can be correctly opened and cognitive skills developed without any delay. The basis of studying other language is - mastering the native language first. In the same way, the history of humanity should be studied only after the history of our own nation first, studying the geography of the world must be preceded by the knowledge of geography of our own country.

As far as the development of specific cognitive thinking begins at an early age, we should enrich a child's cognition with specific knowledge from the early age. According to N. Nikoladze, the language of children's writer must be simple, national, plain, harmonious, visual, rich, and impressive. Language vocabulary is mostly created by people. The child must acquire the language of the people. The people loving old, archaic language consider speaking on working people's language as loss and destruction of language. For those, who are not narrow-minded, it is funny enough. The simplicity, easiest and clarity are the dignities of language. Child's cognitive skills are developed by starting teaching them in native language, as for foreign languages, teaching them first will interrupt the process. Learning a foreign language is useful only after a youngster has mastered his/her native language.

ალექსანდრე სიჭინავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნიკო ნიკოლაძის ბრძოლა ერობისა და საქალაქო თვითმმართველობის შემოღებისათვის საქართველოში

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ რუსეთის იმპერიაში კაპიტალისტურმა წარმოებამ და ბურჟუაზიულმა ურთიერთობებმა სწრაფად დაიწყო განვითარება. ამ ახალ ეკონომიკურ ფაქტორებს თან უნდა მოჰყოლოდა „შესაფერისი" ცვლილება საზოგადოებრივ ზედნაშენშიც.

მეფის მთავრობამ ერობა რუსეთში 1864 წელს შემოიღო, მაგრამ მხოლოდ რუსულ გუბერნიებში. საქართველოში და სხვა განაპირა რეგიონებში იგი არ შემოულიათ, რადგან მათ განვითარებაზე სერიოზულად არავინ ზრუნავდა. იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ მხოლოდ დაავალა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ შეეკრიბა ცნობები პოლონეთში, ფინეთში, ციმბირსა და კავკასიაში, გამოეტანა დასკვნა, რამდენად მიზანშეწონილი იყო და შეიძლებოდა თუ არა ამ რაიონებში ერობის დაწესება.

ევროპაში განათლებამიღებულმა ნ. ნიკოლაძემ ყველაზე კარგად იცოდა თვითმმართველობის ფასი და მიუხედავად იმისა, რომ რუსული ერობა იმის ნახევარსაც არ იძლეოდა, რასაც ევროპული ნამდვილი თვითმმართველობა, მან მაინც დაიწყო ერობის აქტიური პროპაგანდა საქართველოში.

1871 წელს საქართველოში ალექსანდრე მეორის ჩამოსვლას ელოდებოდნენ. ქართველ მოღვაწეთა შორის კამათი გაჩაღდა, თუ რა წყალობა გამოეთხოვათ ხელმწიფისათვის.

ერთი ჯგუფი (ახალგაზრდობა) ფიქრობდა, რომ საქართველოს-თვის ყველაზე მეტად უმაღლესი სასწავლებელი იყო საჭირო და უნივერსიტეტის გახსნა მოეთხოვათ. პირველმა ეს აზრი გიორგი წერეთელმა გამოთქვა და ილიამაც მას დაუჭირა მხარი.

მეორე ჯგუფი (ძველი თაობა) საქართველოში სამხედრო სასწავლებლის დაარსებას ითხოვდა, ვინაიდან ქართველი არისტოკრატიის დიდი ნაწილი ღარიბი იყო და უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდა არ შეეძლო, სამხედრო სასწავლებელში სწავლა ხელისუფლების ხარჯზე შეიძლებოდა, ამიტომ მათ უნივერსიტეტს კადეტთა კორპუსი არჩიეს.

ნიკო ნიკოლაძე არცერთ ჯგუფს არ მიემხრო და ორიგინალური, განსხვავებული მოსაზრება წამოაყენა: ყველაზე სწორი იქნება, იმპერატორს საქართველოში ერობის შემოღებას თუ მოვთხოვთო (მან კარგად იცოდა, რომ მეფის მთავრობა ქართველებს უნივერსიტეტს არ გაუხსნიდა, კადეტთა კორპუსის დაარსება კი არაფერს მისცემდა, ამიტომ რეალისტური

პოზიციიდან გამომდინარე, პრაქტიკული საჭიროებით ნაკარნახევი რამ მოითხოვა, იმისათვის, რომ კარგად აეხსნა ქართველთათვის ერობის დანიშნულება, მან 1871 წელს თავის „კრებულში" დასტამბა ვრცელი ნარკვევი: „ერობა, მისი დანიშნულება და წესდება".

ნ. ნიკოლაძე მიუთითებდა, რომ ,,ერობას შეუძლია დაიქირავოს ვინც კი უნდა, ერობისათვის საჭირო საქმეების გასაკეთებლად , შეუძლია გუბერნიის ან (უეზდის) მაზრის სახელით ვალი აიღოს, შეუძლია ბანკის დაარსება, რკინის გზების გამართვა თავის საკუთრებად ან აქციების გამოშვებით, შეუძლია გამოსცეს წესდება და სხვადასხვა სახელმღვანელო დარიგება ერობის სამსახურის დარიგებაზე ... ეს დაწესებულება მეტისმეტად სასარგებლოა საზოგადოებისათვის, თუ თვითონ ეს საზოგადოება წინ დახედვით და გონიერად ირჩევს თავის წარმომადგენლებს ხეირიანი კაცის ხელში.

როგორც გვიჩვენებს რუსეთის მაგალითი, ერობა ხალხის გამაბედნიერებელია... ყველა ადვილათ მიხვდება, რომ ჩვენ მდგომარეობაში ყველა ეს უფლებები ძლიერ შესანიშნავი და სანდომი არიან. და ეს მათი ღირსება ჩვენ თვალში უფრო გადიდდება, როცა ჩვენ გავიხსენებთ, რომ ერობის ყველაზე უფრო უძვირფასესი ღირსება ის არის, რომ ჩვენ საკუთარ საქმეს ჩვენვე გვავლეინებს, ჩვენ პატრონად ჩვენვე გვხდის. ეს გარემოება, მარტო ეს, - ეს არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ! - გვამაღლებს კაცობის ხარისხამდე, ადამიანის ღირსებას გვაძლევს და გვაჩვევს უმჯობეს, კაცურ ცხოვრებას''[ხუნდაძე, 80]

ნიკო ნიკოლაძეს ერობა ყველაზე მეტად იმიტომაც მოსწონდა, რომ მასში თვითმმართველობის, ანუ საკუთარი თავის მოვლის გასაღები იდო. იგი ვარაუდობდა, რომ თუ მას საქართველოშიც შემოიღებდნენ, ქვეყნის წინსვლაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდებოდა, რადგან ,,რუსეთში ერობამ თავი გამოიჩინა, უმეტეს წილად , როგორც ხეირიანმა და გონიერმა მეპატრონემ... მაშ იმედი ვიქონიოთ, რომ როცა ჩვენს ქვეყანასაც ეღირსება ერობის დაწესება და როცა საქმეების მართვა თვითონ ჩვენ ხელში გადმოგვეცემა, ჩვენი საზოგადოებაც იმნაირვე სარგებლობას გამოიტანს ამ დაწესებისაგან და იმნაირივე გონიერებით მოიხმარს იმას, როგორც რუსეთის საზოგადოება. ერობის დაწესებამდი, რუსული საზოგადოება ეხლანდელ ჩვენ საზოგადოებაზე უფრო წინ არ იდგა, ის მაშინ ყველას იმნაირვე მოუხერხებელ და გაუნათლებელ საზოგადოებათ მიაჩნდათ, როგორც ახლა სთვლიან ჩვენს საზოგადოებას" [ბაქრაძე, 113].

სამწუხაროდ, მაშინ დანარჩენ თერგდალეულებს კარგად არ ჰქონდათ გაცნობიერებული ერობის ნამდვილი არსი და ნიკო

ნიკოლაძეს მხარი არ დაუჭირეს. ამის მიუხედავად, ნ. ნიკოლაძეს აზრი არასდროს არ შეუცვლია და 1914 წელს ჟურნალისტ ვლადიმერ ბაქრაძეს წერდა, რომ ერობა ,,ქვეყნის განვითარების გარდაუვალი პირველი ნაბიჯია, პირველი საფეხურია, რადგან მანამდე და უიმისოდ შეუძლებელია მიაღწიო ხალხის ყოფის რაიმე მყარ გაუმჯობესებას. არ შეიძლება ხალხი გაიზარდოს უგზებოდ, უსკოლებოდ, უექიმებოდ, უკრედიტოდ, ორგანიზაციის თვინიერ. ყველაფერ ამას კი ერობა იძლევა. ამასთან ერთად ხალხს ასწავლის დისციპლინას, თანდათან აჩვევს თვითმმართველობას, დამოუკიდებლობას'' [ნიკოლაძე, 420].

ძალიან დიდი შრომა გასწია ნიკო ნიკოლაძემ ასევე ნამდვილი საქალაქო თვითმმართველობის შემოღებისათვის საქართველოში.

ახალი საქალაქო დებულება რუსეთში გამოქვეყნდა 1870 წელს. საქართველოში მისი განხორციელება დაიწყო 1874 წლიდან. ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. ჩვენს საქალაქო ცხოვრებაში იმით, რომ ქალაქის საქმიან ნაწილს საშუალება ეძლეოდა აქტიური მონაწილეობა მიეღო ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების მოწესრიგებასა და გარდაქმნაში.

ნ. ნიკოლაძის აზრით, ქალაქის მმართველობის საქმეში პოლიციური რეჟიმი მეფობდა, მაგრამ საქალაქო ცხოვრების განვითარებამ და ახალი ბურჟუაზიული კლასის სწრაფმა ზრდამ ბუნებრივად მოითხოვა ახალი სისტემა ქალაქის მმართველობის საქმეში. ახალი ინტელიგენცია გადაჭრით მოითხოვდა ქალაქის თვითმმართველობაში ენერგიული და საქმიანი პირების გაყვანას, რომლებიც შეძლებდნენ ქალაქის ეკონომიკური და ინფრასტრუქტუ-რული, კულტურული საზოგადოებრივი საქმეების მოწესრიგებას და მის განვითარებას სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით.

ნ. ნიკოლაძის მოწმობით, წინათ ქალაქის თავად გენერლებსა და საპატიო პირებს ან მამულით მდიდარ ადამიანებს ირჩევდნენ, მაგრამ უკვე საჭირო იყო, საქმე ენერგიულ პირებს ჩაბარებოდა. ნიკოლაძის წერილები „ტიფლისსკი ვესტნიკში“ „ობზორში“ სწორედ ამ პრობლემებზე იბეჭდებოდა წლების მანძილზე.

1878 წელს, მან პრესაში პირველმა წამოაყენა საქალაქო არჩევნებში ცენზის გაუქმება - დემოკრატიული საარჩევნო პლატფორმა - რომ მცხოვრებთა მთელ მასას მიეღო მონაწილეობა არჩევნებში და აერჩია წესიერი კანდიდატები“ [გაზ. „ობზორი“].

ნიკო ნიკოლაძის თავდაუზოგავ ბრძოლას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მისი უშუალო ჩარევითა და დაჟინებით, თბილისის საკრებულომ (ხმოსნებმა), სადაც უმრავლესობას სომხები

შეადგენდნენ, „ტფილისის ქალაქის თავად“ დიმიტრი ყიფიანი აირჩია: „ტფილისის ქალაქის თავად სომხებს დიმიტრი ყიფიანი ავარჩევინეთ“. ქუთაისს, გრ. ლევაშოვთან აუწერელი, თვითმმართველობა შემოვაღებინეთ. ქართველობის ასპარეზი ხუთიოდე წელიწადში უცნობათ გავაფართოეთ“ [საიუბილეო კრებული, 153].

1894 წელს „მოამბის“ XI წიგნში გამოქვეყნებულ სტატიაში „წარმომადგენლობა არჩევნებში“ ნიკო ნიკოლაძე კიდევ ერთხელ უსვამს ხაზსს იმ ფაქტს, რომ თვითმმართველობა და დემოკრატიული წყობილება საუკეთესო გარანტიაა წინ მსვლელობისა და წარმატებისათვის, უმჯობესი სკოლაა საზოგადოების აღზრდისა...

ნამდვილი თვითმმართველობა, როგორც მთელი განათლებული კაცობრიობა დარწმუნდა, შესაძლოა მარტო წარმომადგენლობის წესით, რადგანაც მარტო ამ წესის შემწეობით დაარსდა უცხოეთში სამართლიანობა და თავისუფლება, თანასწორობა და სიმართლე...

ყველამ გაიგო, რომ წარმომადგენლობა ყოფილა მეორე და უაღრესი ნაბიჯი თუ საფეხური თვითმმართველობისა... ამ ქვეყნებშიც (შვეიცარია და სხვ.) ხალხის აზრის გამომთქმელი, ხალხის საქმეების მმართველი, ხალხის ბედის გადამწყვეტელი მაინც ხალხის წარმომადგენლობაა, რომელიც მარტო და იშვიათად სამძიმო შემთხვევაში ისე არ მოიყვანს აღსრულებაში თავის განაჩენს, თუ ჯერ ხალხს არ აჩვენა და არ ჰკითხა - თანახმა ხარ ამ განაჩენისა თუ არაო“ [„მოამბე“].

ამრიგად, იმ ვითარებაში როცა ქართველი ხალხი მოკლებული იყო პოლიტიკური და ეროვნული ბრძოლის სარბიელს და შებორ-კილი იყო თვითმპყრობელობის არტახებით, ქართული ინტელიგენ-ციის მეთაურის, ნიკო ნიკოლაძის, ბრძოლას ერობისა და საქალაქო თვითმმართველობის შემოღებისათვის უაღრესად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა და ემსახურებოდა ქართველი ხალხის კულტურულ-ეკონომიკურ გაძლიერებას.

მითითებული ლიტერატურის სია:

1. სიმონ ხუნდაძე ნიკო ნიკოლაძე, ტფილისი, 1931.
2. აკაკი ბაქრაძე ნიკო ნიკოლაძე, თბ., 1989.
3. ნიკო ნიკოლაძე რჩეული, ქართული მწერლობა, ტ. XIV, თბ., 1997.
4. გაზ. „ობზორი“, N256, 1878.
5. ნიკო ნიკოლაძე - 150, საიუბილეო კრებული, თბ., 1996.
6. „მოამბე“. წიგნი XI, 1894.

ალ. სიჭინავა

ნიკო ნიკოლაძის ბრძოლა ერობისა და საქალაქო თვითმმართველობის შემოღებისათვის საქართველოში

რეზიუმე

საქართველოს ისტორია მრავალ საიდუმლოს ინახავს. საქართველო, როგორც რუსეთის გუბერნია მოკლებული იყო ყველა სიკეთეს. მეფის მთავრობამ რუსეთში 1864 წელს ერობა შემოიღო. მეფემ საჭიროდ არ ჩათვალა ერობის შემოღება საქართველოში, პოლონეთში, ფინეთში, ციმბირსა და კავკასიაში.

ევროპაში განათლებამიღებულმა ნ. ნიკოლაძემ ყველაზე კარგად იცოდა თვითმართველობის ფასი და მიუხედავად იმისა, რომ რუსული ერობა იმის ნახევარსაც არ იძლეოდა რასაც ევროპული, ნამდვილი თვითმმართველობა, მან მაინც დაიწყო ერობის აქტიური პროპაგანდა საქართველოში.

სამწუხაროდ, ნიკო ნიკოლაძის ამ იდეას ილია ჭავჭაძემაც არ დაუჭირა მხარი და ერობამ განვითარება ვერ ჰპოვა. 1871 წელს ნ. ნიკოლაძემ ჟურნალ "კრებულში" დასტამბა ვრცელი ნარკვევი: „ერობა, მისი დანიშნულება და წესდება".

ნიკო ნიკოლაძეს ბრძოლა ამ მიმართულებით არ შეუწყვეტია, მან შეძლო ერობის შემოღება ფოთში.

Al. Sichinava

Niko Nikoladze's Battle for the Introduction of Russian 'Zemstvo' (local government body) and the Municipal Government in Georgia

Summary

Georgian history is full of mysteries. One of them is Niko Nikoladze's battle for improvement of self-administration. Georgia, as a Russian Province, lacked all the goodness. Local self-government (Zemstvo) was introduced in Russia in 1864. The king did not consider it necessary to introduce Zemstvo in Georgia, Poland, Finland, Siberia and in the Caucasus.

Niko Nikoladze, who lived and studied in Europe, understood the importance of self-government. Russian Zemstvo did not give as much as the European actual self-government bodies, however he started to promote Zemstvo (Georgian Eroba) in Georgia.

Unfortunately, this idea was not supported at all, even by Ilia Chavchavadze. Therefore, Russian Zemstvo did not develop in Georgia. However, in 1871, he published a lengthy essay in the journal 'collection': 'Self-government (Georgian 'Eroba'), its importance and regulation'.

In this regard, Niko Nikoladze did not stop the fight. He managed to introduce self-government (Eroba) in Poti.

Charles Morgan Stromme
Professor in Oregon University, USA

Niko Nikoladze: Georgia Is a Sea Country

Historically, stemming from its geographic specifics, its place in the global and international framework and role, Georgia was a Mediterranean and Black sea area maritime state. Georgia deserved this status with its geographic location as an outgate to the Black sea and sea harbors layered on the coastline (Poti, Batumi and currently occupied Sukhumi), maritime transit and development of a natural corridor between Europe and Asia.

The idea of a link between two continents goes back to the 30-ties of XIX century. In difference to other nations of Transcaucasia, Georgia appeared to be in a privileged situation. In 1865 started construction of a backbone railroad uniting Black and Caspian seas. Railroad link Tbilisi-Baku that was also a part of Eurasian corridor was inaugurated in 1883. This fact triggered Azeri oil deliveries to the world markets via Black sea from Batumi harbor.

British paper *Daily News* wrote in 1876: "Batumi harbor is the only safest port on the South-East coastline of the Black sea up to the Crimea. Water here is so deep that every big ship can pull down its anchor near the beach. Loading and unloading of ships is possible in every weather. Northern and North-Western gusts reaching the coasts of the Caucasus, are never active in Batumi seashore… Batumi is currently useless for the world and it will remain the same if it stays in the hands of Turks. While in the hands of the best government it will achieve success soon…"

More than a century has passed and… According to the official primer, after dissolution of the Soviet Union, the Georgian Maritime Authority held under its management up to 60 vessels of different deadweights consisting of dry cargo ships, tankers and cruise vessels. In case of effective management of the Maritime Authority, this wealth would annually bring to Georgia several hundreds of millions of dollars. However, … the Georgian Maritime Authority and Fishing Fleet was totally destroyed. Where Georgian vessels were doing their hauling business, foreign companies stepped in. 100% of ferryboat sea crossings in Georgia belong to the foreign companies from Turkey, Ukraine, Russia, Bulgaria and Romania. There is nothing bad in it (state-of-the-art technology, new ships, effective management). But notwithstanding, there was and still is an opportunity for Georgian companies in the maritime ferry transit. This is wealth and it should be used.

According to the Grand Historical Encyclopedia, the landmark event for the economic development of Transcaucasia –delivery of Baku oil to Europe happened first in 1872 -1885 via Poti port. This event starkly expanded industrial and commercial opportunities in Transcaucasia, its role and abilities in international economic relationships. Georgia was given opportunities in the

European political area and space. It was the Georgian harbor town of Poti which became the kernel of a triangle (Baku-Poti-Europe) which has not lost its importance for the last century and a half. Even more, interest in Georgia as a natural passageway between big Asia and solvent Europe builds up every day. It was not accidental that at the end of last century, after break-up of the Soviet Union, the largest international investment project with participation of Western corporate capital was oil pipeline via Georgia.

The lion's share in development of Poti and its harbor is connected with the name of Niko Nikoladze. He deeply believed that Poti port was in line with Europe's economic interests and as a result of its proper development Georgia could achieve essential improvement in its economic situation.

In November, 1897, *Iveria* newspaper published articles on hearings held in the town Assembly on public trade issues, to wit – Niko Nikoladze's bill on leasing the port. The paper covered the terms and conditions of leasing and wrote: "The participants of the tender were Mr Bunge, Palashkovski and engineer Sibert, the builder of Libava commercial harbor."[6-7] From these articles it is clear how big was interest among the foreign commercial port building companies. It should have been promising for the population of Poti as well as for Georgia at large. Attraction of foreign capital was given a chance. But even today this remains a chance which was not used. We should think on that. *Georgia has already suffered several billion loss for keeping this sector in neglect, and there is hope that the government and community will wake up on time and will undertake steps leading to improvement in maritime sector of our economy.* Aiming at development of a unified strategy of furthering this sector, it would be worthy to set up a maritime government agency or department taking into its hands the management of naval issues and pilot and hydrographic services at Batumi and Poti ports. It would facilitate 'recollection' of Georgian naval traditions, renovation of maritime activities, development of coastline regions of Georgia and attraction of investments.

Unfortunately, Georgia being a seafaring country has very low share in the world maritime economics. *The only services and objects reminding to all that Georgia was and is seafaring country were our military marine forces, Border Guard Service. Annihilation of our navy was a mistake made by the government of Georgia demonstrating irresponsible attitude towards marine safety of a maritime nation. It is surprising when a nation striving for membership in the military and political alliance of NATO abrogates its navy forces.* Interestingly, back in 1876 (when there was neither NATO, nor European Union), Niko Nikoladze wrote in the article "Our Imperfections" (1876): "In our society all are sure that the rescue will arrive one wonderful day from the sky while we ourselves will not need to labor to improve our destiny." I believe that the NATO membership expectations that it will be a panacea and everything will settle down, are exaggerated. Niko Nikoladze was the man who based on the past

experience of the world tried to prove that “nowhere no man has ever seen an example of any people or society raise with the help of others and not with its own labor and brawn.”

Great people were great not only thanks to their genius; they had abilities to transcend tens and hundreds of years and assess the future. Great personalities as usual were much ahead of time. Niko Nikoladze keeps his place among such thinkers. At the same time, not only in Georgia but also in the whole of Europe there are very few people who could successfully implement their theoretical ideas in practice. The idea of Georgia as a transit passageway has existed for many centuries but making it a reality could be made only with practical efforts of Niko Nikoladze and his co-thinkers. It is noteworthy that foundations, government and non-government organizations operating in Georgia which are allegedly oriented on development, do not focus on these topics and first of all, on Niko Nikoladze, initiator of knowledgeable (innovation) economics and its material implementation.

The lion’s share in the development of the town of Poti and its port, Baku-Tbilisi and later Tbilisi-Poti railroads goes to Niko Nikoladze. He deeply believed that Poti harbor was in line with the economic interests of Europe and by making it a good enterprise Georgia’s economic situation would considerably improve. It is pathetic that in spite of Georgia being a naval country, its share in ocean and naval transit is midget.

Surge in Orders Gives Hope to Shipping Market. A recent surge in new orders for some of the world's biggest cargo ships has provided a glimmer of hope for the beleaguered global shipping market, which has been plagued by excess capacity and lackluster trade.

This week, China Shipping Container Lines signed a US$683 million deal for five new container ships. When completed, the ships will be the largest of their kind afloat, with a capacity to carry 18,400 standard container boxes.

The agreement follows recent orders made by China Shipping's sister company for six natural gas carrying ships for US$1.51 billion, as well as U.S.-based shipowner Seaspan Corp.'s ...

Shippers Struggle With Overcapacity, Sinking Rates. COPENHAGEN—The owners of the world's containerships are the people responsible for making globalization a reality. Their fleets transport 90% of world trade in manufactured goods.

Yet, all but seven of the biggest 30 shippers lost money in 2012, according to shipping analysts Alphaliner. Industry players and analysts say cumulative losses over the past four years run to about $7 billion. Excess tonnage has haunted the container-shipping industry since 2007, when a record 3.1 million additional

containers were added ahead of the plunge in global trade triggered by the 2008 financial crisis. The crisis prompted a temporary lull in new shipbuilding ...

U.S. Oil Boom is Bad News for Tanker Business. maritime industry: the business of hauling crude oil across the oceans. What's worse for investors is that the trade winds likely won't pick up any time soon. Here's why, and what it means for your investments in the sector. The International Energy Agency forecasts that the U.S. will overtake Saudi Arabia and Russia as the world's top oil producer in seven years and will become a net oil exporter around 2030. "Increasing U.S. crude-oil production…directly limits the need for U.S. crude-oil imports," says shipping analyst Douglas Mavrinac in a recent report from Jefferies investment bank. "Continue to expect crude-oil tanker market conditions to remain weak," he says. The problem for the tanker sector is this: The economics of the business rests not just on the amount of oil hauled by ship, but also the distance traveled. The longer the distances, the more tanker capacity is needed, and vice versa. U.S.-bound crude traditionally traveled more than 10,000 nautical miles from the Arabian Gulf. As America imports less energy the pumped oil will still go somewhere, it just won't go as far. The trip from the Gulf to China is around 6,000 nautical miles and to India it's even shorter, at less than 2,000. How (or even if) the demand gap will be filled is a big question for the industry. "If China sources its oil from Venezuela and West Africa that will help," says Natasha Boyden, a New York-based independent shipping analyst. "Whether it will be enough to replace the U.S. remains to be seen."

It's not as if the tankers can just switch cargoes. Crude tankers are specially constructed to carry unrefined oil. They would need to be converted to haul products such as gasoline or pressurized natural gas. Over the past two years the changing tide of the industry has caused a collapse in crude freight rates. The Baltic Dirty Tanker Index, which measures the cost to move oil across the sea, has sunk to around 638 recently from 1,077 in January 2010, even as the global economy has improved. At the same time, the global tanker fleet hasn't adjusted to the reduced haulage demand. This year, the total capacity of tankers in the global fleet is likely to grow 4.6%, and next year tanker supply is expected to rise 1.9%, according to a January-dated report from Clarkson Capital Markets. That far surpasses Clarkson's projected demand growth of 2.3% for 2013 and 1.5% for 2014.

"There is such an overhang with supply that to say that freight rates will increase in the out years is premature," says Urs Dur, a shipping analyst at Clarkson. So what? It means a poor outlook at best for the stocks in the sector. Jeffries says Frontline Ltd. FRO -6.53% (FRO), which operates a large fleet of very large crude tankers (VLCCs), will lose $2.33 a share this year in earnings and $2.09 next. Both estimates were slashed earlier this month based on the weak outlook. The firm says the stock is worth $2, a hair above the recent price of $1.93. Global Hunter has an even worse view for the stock, with the price headed to 50

cents.Similarly, Jeffries says Nordic American Tankers NAT -2.44% Limited (NAT), which operates a tanker fleet, is expected to lose money this year and the next. The stock was recently trading at $9.16 but Jeffries expects it to head to $7.

UASC Places Large Ship Order UASC Places Large Ship Order . LONDON—Cash-rich United Arab Shipping Co. is considering buying five of the world's largest container ships for around $700 million, people with direct knowledge of the deal said Friday, a move that underlines its ambition to become a significant player in an industry already awash with excess tonnage. UASC's Triple-E mega container ships will form the basis of a new Europe to Asia service, jointly run with China Shipping Container Lines Co., which earlier this week confirmed its own order for five Triple-Es, adding extra capacity on previously lucrative trade routes between Europe and Asia.

A record amount of vessels were ...

ჩარლზ მორგან სტრომე

ნიკო ნიკოლაძე : საქართველო საზღვაო ქვეყანაა.

რეზიუმე

დიდი ისტორიული ენციკლოპედიის მიხედვით, ამიერკავკასიის ეკონომიკისათვის ეპოქალური მოვლენა - ბაქოს ნავთობის ევროპაში (პირველი) გატანა 1872 - 1885 წლებში სწორედ ქართული პორტის მეშვეობით განხორციელდა. რამაც მკვეთრად გაზარდა ამიერკავკასიის სამრეწველო და სავაჭრო შესაძლებლობები, მისი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის როლი და პოტენციალი. საქართველოსათვის სულ სხვა პოლიტიკურ-ევროპული არეალი და სივრცე გამოჩნდა. სწორედ, ქართული პორტი ფოთი და ბათუმი გახდა იმ სამკუთხედის (ბაქო - შავი ზღვა -ევროპა) ძირითადი შუა შემადგენელი და დამაკავშირებელი, რომელიც აქტუალობას უკვე საუკუნე ნახევარია არ კარგავს. ქ. ფოთისა და ბათუმის, მისი პორტების ლომის წილი სწორედ ნიკო ნიკოლაძის სახელს უკავშირდება. მას ღრმად გააზრებული ჰქონდა, რომ საქართველო საზღვაო ქვეყანაა, რომ ფოთის და ბათუმის პორტი ევროპის ეკონომიკურ ინტერესებთან თანწყობაშია და მისი უკეთ მოწყობის შედეგად საქართველოს ეკონომიური მდგომარეობაც საგრძნობლად გაუმჯობესდებოდა.

ბრიტანული გაზეთი „დეილი ნიუსი“, 1876 წელი: „ბათუმის ნავსადგური ერთადერთი უსაფრთხო ნავსადგურია შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე ყირიმამდე. აქ წყალი იმდენად ღრმაა, რომ ყველა დიდ გემს შეუძლია ჩაუშვას ღუზა ნაპირთან ახლოს. გემების დატვირთვა და გადმოტვირთვა შეიძლება ყოველგვარ ამინდში. ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლური ქარები, რომლებიც აღწევენ კავკასიის ნაპირებს, არასოდეს უბერავენ ბათუმის ნავსაყუდელის სანაპიროს… ბათუმი ამჟამად უსარგებლოა მსოფლიოსათვის და ასეთი იქნება იგი ყოველთვის, თუ თურქების ხელში დარჩება. საუკეთესო მთავრობის ხელში კი იგი მალე მიაღწევს წარმატებას…“ გავიდა საუკუნეზე მეტი და...

სამწუხაროა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო საზღვაო ქვეყანაა, მისი წილი მსოფლიო საოკიანო-საზღვაო ეკონომიკაში ძალზე მწირია.

1897 წ. ნოემბერში გაზეთ “ივერიის” ფურცლებზე დაიბეჭდა სტატიები, რომლებიც ქალქ ფოთის გამგეობაში საჯარო ვაჭრობის საკითხს იხილავდა – ნიკო ნიკოლაძის ინიციატივას ნავსადგურის იჯარით გადაცემის შესახებ. ამ სტატიიდან კარგად ჩანს, თუ როგორი

ინტერესი გასჩენიათ საზღვარგარეთის საკომერციო ნავსადგურების მშენებელ კომპანიებს. ეს კი იმედის მომცემი უნდა ყოფილიყო, როგორც ფოთის მოსახლეობისათვის, ასევე საქართველოსთვის, რითაც საფუძველი ეყრებოდა უცხოური კაპიტალის მოზიდვას. დღეს ეს შანსი კვლავ გამოუყენებელია. ვიფიქროთ ამაზე. საქართველომ უკვე განიცადა რამოდენიმე მილიარდის ზარალი, საზღვაო დარგის ასე მიგდებისთვის ამ წლების მანძილზე და იმედია ხელისუფლება და საზოგადოება დროულად გამოფხიზლდება და თუნდაც დაგვიანებულად, მაგრამ რეალურად, საზღვაო დარგის მოწესრიგებაზე იზრუნებს.

დიდი ადამიანები, მხოლოდ თავისი გენიის გამო კი არ იყვნენ დიდები, არამედ მათ რამდენიმე ათეული და ასეული წლით ადრე შესწევდათ გაეაზრებინათ მომავალი. დიდი ადამიანები, როგორც წესი, ბევრად უსწრებდნენ დროს. სწორედ ასეთ მოაზროვნეთა სიაშია ნიკო ნიკოლაძე. ამასთან, არამარტო საქართველოში, არამედ თუნდაც მთელს ევროპაში თითზე ჩამოსათვლელია იმ დიდი ადამიანების სახელები, რომლებმაც თავიანთი თეორიული იდეების პრაქტიკული განხორციელება შეძლეს. საქართველოს როგორც სატრანზიტო ქვეყნის იდეა მრავალი საუკუნე არსებობდა, მაგრამ მის რეალობად ქცევა მხოლოდ ნიკო ნიკოლაძისა და მისი თანამოაზრეების უშუალო მონაწილეობით განხორციელდა.

შენგელი ფიცხელაური
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

კრიმინალისტიკის განვითარება ქართულ სამართლებრივ სივრცეში ნიკო ნიკოლაძიდან დღემდე

ნიკო ნიკოლაძეს და მის თანამედროვეთ კარგად ესმოდათ დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლისა და გამოძიების პროცესში შემთხვევის ადგილის დათვალიერების და ნებისმიერ წვრილმანზე ყურადღების გამახვილების მნიშვნელობა. ნ. ნიკოლაძემ გაზ. „ობზორში“ გააშუქა ყალბი ფულის მომჭრელთა დანაშაულებრივი საქმიანობის გამოძიების მეთოდოლოგია და სამართლებრივად ჩამოაყალიბა მისი გამომწვევი მიზეზები და დამახასიათებელი ნიშან-თვისებები (Газ. „Обзор“, 1), რაც საქმის ნახევრად გადაწყვეტას გულისხმობდა.

ილია ჭავჭავაძის აზრით, „ქურდობისა და ავაზაკობის საქმეში წვრილმანი რამ გეში და კვალი ხშირად უფრო აცხადებს საქმის ვითარებას, უფრო მართლად და უტყუარად ჰხსნის საქმის ნასკვს, ვიდრე სხვა რამ. ამასთან მანამ თონე ცხელია – პური უნდა გამოცხვეს“ (ჭავჭავაძე, 127).

ნ. ნიკოლაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში კანონიერებისა და კანონმდებლობის ფარგლებში ადამიანთა ქცევას. იგი სამართლიანად მიუთითებს „საჭიროა, მუდამ გვახსოვდეს, რომ მცირეოდენი დარღვევა კანონიერი წესისა და სამართლისა, თუნდაც უმიზნოც, თუნდ უბრალოც, უშველებელი ზიანისა და გარყვნის დამთესია საერთო საქმეში და ცხოვრებაში“ (ნიკოლაძე, 163).

ქართველი ერის მეცნიერებისა და კულტურის საგანძურში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ სამართალს, რომელსაც თავისი განვითარების ისტორია გააჩნია. დღემდე ეროვნული სამართლის სისტემაში შემავალი დარგები მეტნაკლებად შესწავლილია და, მათ შორის, კრიმინალისტიკის ცალკეული ინსტიტუტებიც. ამ საქმეს ემსახურება ისეთი სწავლული იურისტების ნაშრომები, როგორიც იყვნენ და არიან ბ. ხარაზიშვილი. რ. ჭოღოშვილი, პროფ. შ. ფაფიაშვილი, ა. ფალიაშვილი, რ. გოგშელიძე და სხვები, ვისი დამსახურებაცაა თანამედროვე საქართველოში კრიმინალისტიკური მეცნიერების აღმოცენება-განვითარება. მასთან უშუალოდ დაკავშირებულია სასამართლო ექსპერტების, მათ შორის, ექსპერტი კრიმინალისტებისა და საგამოძიებო ორგანოების უაღრესად

რთული, შრომატევადი საქმიანობა, რაც ემსახურება დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების საკითხს, რაც ცალკე, სრულყოფილ გამოკვლევას საჭიროებს. აქ მხოლოდ ხაზს ვუსვამთ იმ საექსპერტო და საგამოძიებო საქმიანობას, რომლებსაც ექსპერტები და გამომძიებლები ურთულეს პირობებში ეწევიან (ფაფიაშვილი, 2013, 35). ჩვენს მიზანს წარმოადგენს მოკლედ შესწავლისა და განზოგადების საგნად გვექცია ქვეყანაში კრიმინალისტიკური საექსპერტო დაწესებულებების აღმოცენება-განვითარების გზა, მათი სისტემა, სტრუქტურა და ორგანიზაცია, რაც წარმოაჩენს დარგის პერსპექტივებს და მისი განხილვა მიზანშეწონილია მოხდეს კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ცალკეული სახეების მიხედვით, კერძოდ კი: დაქტილოსკოპიის, სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის, საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის, საქონელმცოდნე-ობის ექსპერტიზის და ა.შ. რის საფუძველზეც მზადდება კრიმინალისტიკაში ახალი სახელმძღვანელოს შექმნის ნიადაგი.

ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მოსამართლეები სადაო საკითხების გადასაწყვეტად ხშირად მოიხმობდნენ სპეციალური ცოდნით აღჭურვილ პირებს, რომლებიც მოხსენებული არიან „სწავლულ და მცოდნე კაცნი“-ს სახელით და თავიანთი მოღვაწეობის სფეროში მოსამართლეებს აძლევდნენ, როგორც ზეპირ, ისე წერილობით დასკვნებს. თუმცა უნდა ხაზგასმით ითქვას, რომ, თუ სად ახდენენ ეს ადამიანები „ობიექტების“ გამოკვლევას, ცნობილი არ არის. დამკვიდრებული პრაქტიკის წყალობით ჩამოყალიბდა შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

1. საზოგადოების განვითარების ცალკეულ ეტაპზე საექსპერტო დაწესებულებებსა და მის გარეთ მოღვაწე ექსპერტი-კრიმინალისტების საქმიანობა – მათ მიერ ჩატარებული ექსპერტიზების წარმოების დროს გამოყენებული სამეცნიერო-კვლევის მეთოდებისა და მოცემული დასკვნების სახით;
2. საექსპერტო სამეცნიერო-კრიმინალისტიკური დაწესებულებების (ლაბორატორიების, კრიმინალისტიკის კაბინეტების, ინსტიტუტების და სხვა) დაარსების, მათი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილობის და იმ დროისათვის პრაქტიკაში დამკვიდრებული სამეცნიერო-კვლევითი მეთოდების გათვალისწინებით.
3. იმ თეორეტიკოსთა მონოგრაფიების თუ გამოკვლევების გამოქვეყნებით, რაც ქმნიდა თეორიულ ბაზას და ხელს უწყობდა პრაქტიკის განვითარებას.

4. კრიმინალისტიკური მეცნიერების აღმოცენება-განვითარების ისტორია უნდა დაიწყოს და ჩამოყალიბდეს კრიმინალისტიკის, როგორც თეორიული მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ერთიანი დამოუკიდებელი დარგის, დამოუკიდებელი სასწავლო იურიდიული დისციპლინის აღმოცენების, მისი პრაქტიკაში დანერგვის, განვითარებისა და თანამედროვე მდგომარეობის მოკლე ისტორიული მიმოხილვით.

ამ გზით ჩამოყალიბდა კრიმინალისტიკური ექსპერტიზის წარმოების პროცესები თავისი განშტოებული სახეებით, ამიტომ კრიმინალისტიკის, როგორც იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი დარგისა და იურიდიული დისციპლინის განვითარების ისტორიული მიმოხილვა საჭიროა წარიმართოს დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხების და დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეთოდების ერთობლივი განვითარების ამსახველი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომებისა და კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოების წარმოჩინებით (ფაფიაშვილი, 2004, 36).

სპეციალური ლიტერატურისა და საარქივო მასალების შესწავლის შედეგად მკვლევარები თვლიან, რომ საქართველოში საექსპერტო დაწესებულებები ჩნდება XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, რომელიც უკავშირდება რუსი მეცნიერის პ.ვ. სტრუვეს მოღვაწეობას საქართველოში და მის მიერ 1867 წელს ტერ-შმოვანოვის, ყორღანოვისა და სხვათა გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეზე სადავო ხელწერილის გამოკვლევას, რისთვისაც საჭირო გახდა ქიმიის მეცნიერების მიღწევები და სასამართლო-კვლევითი ფოტოგრაფია. პ. სტრუვეს ჩატარებულმა გამოკვლევებმა სათავე დაუდო ლაბორატორიაში მეცნიერულ კვლევას, იგი იყო პირველი დაწესებულება, სადაც საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების დავალებით ხდებოდა დოკუმენტების ტექნიკური გამოკვლევა ქიმიის მეთოდებისა და ხერხების დახმარებით.

ქართველი კრიმინალისტები სხვადასხვა მოსაზრების არიან იმის შესახებ, რომ ე. ბურინსკიმ გამოიყენა პირველად სასამართლო-კვლევითი ფოტოგრაფია სასამართლო პრაქტიკაში, თუმცა ნაწილი თვლის, რომ პირველად ეს სამუშაო შეასრულა პ. სტრუვემ 1885 წელს, ხოლო ე. ბურინსკიმ - 1889 წელს (გოგშელიძე, 5).

საქართველოში კრიმინალისტიკური საექსპერტო დაწესებულებების ჩამოყალიბება უკავშირდება შინაგან საქმეთა

სამინისტროს, სადაც შეიქმნა სამეცნიერო ტექნიკური განყოფილება, მაგრამ რუსეთის სივრცეში, რადგანაც ამ დაწესებულებათა განვითარება მიბმული იყო რუსეთის ცენტრალური უწყებების განვითარების დონესთან.

საქართველოში პირველი ოფიციალური კრიმინალისტიკური დაწესებულება გამოჩნდა 1930 წლიდან, რომელიც შეიქმნა ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების სტრუქტურაში, ექსპერტიზის (კრიმინალისტიკის) კაბინეტის სახელწოდებით. 1931 წელს კრიმინალისტიკის კაბინეტს ეწოდა სამეცნიერო-ტექნიკური ქვეგანყოფილება, რომლის პირველ უფროსად დაინიშნა გ.ვ. მათიაშვილი.

1948 წელს სამეცნიერო-ტექნიკური ქვეგანყოფილებამ დამოუკიდებელი სამსახურის სტატუსი მიიღო. იგი თავისი საქმიანობით ქვეყნის მთელ ტერიტორიას მოიცავდა, ხოლო 1957 წელს ჩამოყალიბდა სამეცნიერო-ტექნიკური ჯგუფები. ქალაქების (რაიონების) შინაგან საქმეთა სამინისტროში იქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომლის მიზანი იყო ახალი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების მეთოდებისა და წინადადებების დანერგვა.

აქედან მოყოლებული, შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურმა სამსახურებმა არაერთხელ გამოიცვალა სახელწოდება. 1992 წელს კი შეიქმნა საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველო, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა გ. შონია, პირველ მოადგილედ კი გ. ლობჟანიძე.

საქართველოში კრიმინალისტიკური ექსპერტიზისა და კრიმინალისტიკურ დაწესებულებათა განვითარება უფრო ეფექტური გახდა, როდესაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში 1951 წლის დეკემბრიდან ფუნქციონირება დაიწყო სამეცნიერო-კვლევითმა კრიმინალისტიკურმა ლაბორატორიამ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 28 დეკემბრის განკარგულებით თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ბაზაზე შექმნილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალური რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის საქმიანობა, რომელიც 1991 წლიდან ატარებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის კვლევითი ცენტრის სახელწოდებას.

ასევე ყურადღებას იმსახურებს 1954 წელს ქ. თბილისში „სასამართლო მედიკოსთა და კრიმინალისტთა საკავშირო სამედიცინო საზოგადოების“ თბილისის ფილიალის საქმიანობა (გოგშელიძე, 18-19).

1978 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სკოლის დაარსების დროს კრიმინალისტიკის კათედრა დამოუკიდებლად არ არსებობდა. იგი წარმოდგენილი იყო სექციის სახით ერთიან სპეცდისციპლინების კათედრის შემადგენლობაში.

1992 წელს განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების საფუძველზე მოხდა სპეცდისციპლინების კათედრის რეორგანიზაცია, რის შედეგადაც გამოიყო დამოუკიდებელ ერთეულებად კრიმინალისტიკისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის და ადმინისტრაციული საქმიანობის კათედრები.

კრიმინალისტიკისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კათედრას იმ პერიოდში ემსახურებოდნენ ცნობილი მეცნიერები. კათედრაზე იკითხებოდა შემდეგი დისციპლინები: კრიმინალისტიკა, სამართალდამცავი ორგანოები, სასამართლო მედიცინა, სასამართლო ფსიქიატრია, სასამართლო ბუღალტერია. კათედრაზე მოქმედებდა კრიმინალისტიკის კაბინეტი და ფოტოლაბორატორია, წლების მანძილზე კათედრის თანამშრომელთა მიერ გამოცემულ იქნა სასწავლო-მეთოდური მასალების კრებულები და რამდენიმე სახელმძღვანელო.

1998-2000 წლებში კათედრაზე შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე ფუნქციონირებდა ხუთთვიანი ექსპერტ-კრიმინალისტიკის გადამზადების კურსები სხვადასხვა სპეციალიზაციით. ამ პერიოდში ჩატარდა სამი ნაკადის გამოშვება, რის შედეგადაც 50 კვალიფიციური ექსპერტი მომზადდა.

როდესაც კრიმინალისტიკის კათედრის წარმატებებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ პროფესორ-მასწავლებლების წვლილი, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში კათედრაზე მუშაობდნენ, ესენია პროფესორები: ა. ფალიაშვილი, ვ. ცინცაძე, დოცენტები და უფროსი მასწავლებლები: იური გლადკიხი, გიორგი ადამოვი, კიმი ბუჯიაშვილი, სერგო ძაგნიძე, ლაბაზ გუმაშვილი და ალი მამედოვი (ქარქაშაძე, 160-161).

რაც შეეხება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც ჩამოყალიბდა იურიდიული ფაკულტეტი, რომლის დამაარსებელი ივ. ჯავახიშვილი კითხულობდა ლექციების კურსს ქართული სამართლის ისტორიაში, კრიმინალისტიკის საგანი თავიდანვე შეტანილ იქნა სასწავლო

პროგრამაში, როგორც ერთ-ერთი სავალდებულო სასწავლო დისციპლინა. გასული საუკუნის ორმოციან წლებში ქართულ ენაზე ითარგმნა მოსკოვში რუსულ ენაზე გამოცემული კრიმინალისტიკის სახელმძღვანელო, რომლის კურსიც გარკვეული წლების მანძილზე მიჰყავდა ამავე ფაკულტეტის თანამშრომელს, კრიმინალისტ დ. მირიანაშვილს, რომელმაც საქართველოში პირველმა მიაქცია ყურადღება დაქტილოსკოპიური მეცნიერების გამოკვლევის არსს და მნიშვნელობას და 1941 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია კრიმინალისტიკის სპეციალობით თემაზე - „დანაშაულთა გამოკვლევის დეკადაქტილოს-კოპიური და მონოაქტილოსკოპიური მეთოდები“. ამავე ფაკულტეტზე 1949 წელს ჩამოყალიბებულ კრიმინალისტიკის ლაბორატორიაში პირველ ხანებში წარმოებდა საექსპერტო-კვლევითი საქმიანობა და ტარდებოდა სხვადასხვა სახის კრიმინალისტიკური ექსპერტიზა.

სპეციალისტები ერთხმად აღიარებდნენ, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე კრიმინალისტიკის საგნის სწავლების დონე განსაკუთრებით ამაღლდა მას შემდეგ, რაც ქართველი კრიმინალისტი ბ. ხარაზიშვილი მოსკოვში საკანდიდატო დისერტა-ციის დაცვის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შეუდგა კრიმინალისტიკის კურსის ლექციების კითხვას. სწორედ მისი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის დროს მოხდა მრავალი კვალიფიციური კრიმინალისტის მომზადება. ამასთან, იგი იყო ქართულ ენაზე – ორ ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილად 1954, 1956 წლებში გამოცემული კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოს ავტორი.

1960-იან წლებში უნივერსიტეტის რექტორატის მიერ იურიდიულ ფაკულტეტზე კრიმინალისტიკის საგნის პრაქტიკულ-ლაბორატორიული და სემინარული მეცადინეობის ჩასატარებლად და ლექციების წასაკითხად მოსკოვიდან მოწვეული იქნა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ექსპერტ-კრიმინალისტი ა. ფალიაშვილი.

საქართველოში კრიმინალისტიკური მეცნიერების განვითარე-ბის მაჩვენებელია ისიც, რომ გასული საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული სპეციალობის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ სამეცნიერო საბჭოზე კრიმინალისტიკის სპეციალობით დაცულ იქნა რამდენიმე საკანდიდატო დისერტაცია (შ. ფაფიაშვილის, რ. გოგშელიძის, ვ. სიმონიშვილის, შ. ფიცხელაურის და სხვა).

რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, 1969 წელს პროფესორ ხარაზიშვილის ავტორობით გამოიცა „კრიმინალისტიკა“. საქართველოში კრიმინალისტიკური მეცნიერების აღმავლობის მაჩვენებელია ქართველი კრიმინალისტების მიერ კრიმინალისტიკის ცალკეულ თემებზე საინტერესო სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა. ამ მხრივ გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს პროფესორ აპოლონ ფალიაშვილის მონოგრაფია „ექსპერტიზის ჩატარება გამოძიების პროცესში“. თბილისი, 1973 წ. მისივე რედაქტორობით 1995 წელს გამოცემული კრიმინალისტიკის ორტომეული: რ. გოგშელიძის „სასამართლო ექსპერტიზის სამართლებრივი რეგლამენტაცია“. თბილისი. 1991 წ. რ. გოგშელიძისა და ა. ფალიაშვილის ავტორობით გამოცემული „კრიმინალისტიკა“, თბილისი, 2004 წ.

საქართველოში კრიმინალისტიკური მეცნიერების შემდგომ განვითარებას დიდად შეუწყო ხელი პროფ. შ. ფაფიაშვილის მიერ კრიმინალისტიკის აქტუალურ საკითხებზე ცალკეული მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების გამოცემამ. აქედან აღსანიშნავია: „მექრთამეობის გამოძიება“ თბილისი, (1972 წ); „დაქტილოსკოპია“, თბილისი. 1969 წ. „დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდიკის პრობლემები“, თბილისი, 1991 წ. „კრიმინალისტიკა“, დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა და მეთოდიკა (ლექციების კურსი). თბილისი, 1995 წ. „დაქტილოსკოპია და მისი როლი დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში“. თბილისი. 1999 წ. „კრიმინალისტიკა, დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა“, თბილისი, 2001 წ. „სამოხელეო და სატრანსპორტო დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა“, თბილისი, 2003 წ. „მკვლელობისა და გაუპატიურების გამოძიებისა და გახსნის მეთოდიკის პრობლემები“ (თეორია და პრაქტიკა), მნიშვნელოვანია კრიმინალისტიკის ორტომეულის (ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილები) გამოსვლა 2013 წელს, სადაც აკუმულირებულია საკითხთა ფართო წრე.

ქართულ სამართლებრივ სივრცესა და სისტემაში კრიმინალისტიკური მეცნიერების განვითარებასა და კრიმინალისტიკურ მიღწევების პრაქტიკაში დანერგვას სერიოზული სამსახური გაუწიეს პრაქტიკოსმა მეცნიერებმა: გ. ჟორდანიამ, გ. ციმაკურიძემ, ვ. სიმონიშვილმა, ო. მგელაძემ, ო. ჟღენტმა და სხვებმა. არაფერს ვამბობ თქვენი მონამორჩილის მოკრძალებულ წვლილზე თანამედროვე კრიმინალისტიკის განვითარების საქმეში.

თანამედროვე კრიმინალისტიკური მეცნიერების განვითარებას ხელს უწყობენ, აგრეთვე, საექსპერტო დაწესებულებებში მომუშავე

ექსპერტი კრიმინალისტები სხვადასხვა სფეროში კრიმინალისტიკური ექსპერტიზების ჩატარების პროცესში ახალ-ახალი სამეცნიერო კვლევითი მეთოდების დანერგვით და ა.შ.

როგორც ვხედავთ, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართველმა კრიმინალისტებმა კიდევ უფრო გააქტიურეს თავიანთი სამეცნიერო საქმიანობა კრიმინალისტიკური მეცნიერების მთელი რიგი პრობლემატური საკითხების ღრმა მეცნიერული დამუშავებით და ამ მიმართულებით მათ მიერ შექმნილია მრავალი სამეცნიერო-კვლევითი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ნაშრომი. მაგრამ, მეცნიერ-კრიმინალისტთა აზრით, 2006 წლიდან სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის ფონზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე აღებული იქნა კრიმინალისტიკური მეცნიერების დაკნინების კურსი, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა კრიმინალისტიკის საგნის სავალდებულო სწავლებიდან არჩევით საგნად გადატანაში, რამაც არ შეიძლება უარყოფითად არ იმოქმედოს სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და საგამოძიებო ორგანოების იურიდიული კვალიფიკაციის მქონე პირებით დაკომპლექტების პროცესზე, დანაშაულის სწრაფ, სრულ გახსნაზე და გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაზე; ამასთან იგი ხელს უწყობს იურიდიული მეცნიერების ამ რთული დარგის - კრიმინალისტიკური მეცნიერების პოლიციურ ტექნიკად გადაქცევას, ამ შეფასებას იზიარებს მეცნიერთა ნაწილი, ჩვენი აზრით, ასეთი დასკვნა, იმითაა არგუმენტირებული, რომ კრიმინალისტიკური მეცნიერების მიღწევებს ფართოდ იყენებს პოლიციის სამსახურები, რაც თავისთავად ცუდი არ არის.

სინამდვილეში კი საპროცესო კანონმდებლობაში კრიმინალისტიკური მეცნიერების თეორიული მიღწევების გარეშე ვერ მოხდება გამოსაძიებელი შემთხვევის, როგორც წარსულში მომხდარი დანაშაულებრივი ქმედების მთლიანი მექანიზმის, მათ შორის დანაშაულის კვალის დაფარვის ხერხების სრული, ყოველმხრივი გამოკვლევა და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, რაც უაღრესად რთული და ურთიერთწინააღმდეგობრივი ფაქტებით აღსავსე პროცესია. პრობლემათა დაძლევა და დასახული მიზნის – დანაშაულის სწრაფი, სრული გახსნის მიღწევა და სწორი სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება კრიმინალისტიკური მეცნიერების თანამედროვე მიღწევების ცოდნით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური, მტკიცე

ნებისყოფისა და მოუსყიდავი პროფესიონალი იურისტის მისიაა (ფაფიაშვილი, 2010, 72).

ვეთანხმებით მკვლევართა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კრიმინალისტიკა არის არა პოლიციური ტექნიკა და თეორია, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი ექსპერტი, არამედ იგი არის იურიდიული მეცნიერების ის მნიშვნელოვანი დარგი, რომლის ცოდნა თანაბრად ესაჭიროება როგორც დეტექტივს, ისე გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს, ადვოკატს, ექსპერტ-კრიმინალისტსა და სამართალდამცავი ორგანოების ყველა სხვა მუშაკს. ამ მიზანს ემსახურება ჩვენი ძალისხმევით გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში შექმნილი კრიმინალისტიკური ლაბორატორია, რომელიც სტუდენტ-ახალგაზრდობას თეორიულ ცოდნასთან ერთად აძლევს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რათა შემდგომში წარმატებით იღვაწონ ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ, რაც აინტერესებდა ჩვენს ღირსეულ წინაპრებს, მათ შორის, ნ. ნიკოლაძეს.

მითითებული ლიტერატურის სია:

1. გოგშელიძე რ., სასამართლო-კრიმინალისტიკური საექსპერტო დაწესებულებების ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში. თბ., 1997.
2. ნიკოლაძე ნ., „გამარჯვება ავალებს“, ჟურ. „მოამბე“, №3, 1894.
3. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა ტ. I. 2004.
4. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა ტ. I. 2010.
5. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი) თბ., 2013.
6. ფიცხელაური შ., სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა. გამოძიების პროცესში (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2005.
7. ქარქაშაძე გ., სახელები, მოვლენები, ფაქტები, თბ., 2003.
8. ჭავჭავაძე ი., თხზ. ტ. VI.
9. Газ. „Обзор“, 1880, №448

შ. ფიცხელაური

კრიმინალისტიკის განვითარება ქართულ სამართლებრივ სივრცეში ნ. ნიკოლაძიდან დღემდე

რეზიუმე

ნაშრომი ეხება კრიმინალისტიკის განვითრების პროცესს, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო საქართველოში. ქართველი ერის მეცნიერებასა და კულტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ სამართალს. დღემდე ეროვნული სამართლის სისტემაში შემავალი დარგები მეტნაკლებად შესწავლილია და მათ შორის კრიმინალისტიკის ცალკეული ინსტიტუტებიც, მაგრამ ცალკეული პრობლემების კვლევა დასრულებული არაა.

ავტორი გადმოგვცემს ნ. ნიკოლაძის, ი. ჭავჭავაძის და სხვათა მოსაზრებებს და გვიხასიათებს ქართველი კრიმინალისტების საქმიანობას, კრიმინალისტიკის დარგის განვითარებაში მათ მიერ შეტანილ წვლილს.

Sh. Pitskhelauri

Criminology development in georgian legal space

Summary

The given work deals with the criminology development process in Georgia. Georgian law occupies important place and role in the whole science and culture of the Georgian space possessing its unique history of development. From the historical background and development up today, all the fields of the national law system are studied more or less including particular criminology institutions.

The author presents N. Nikoladze, I. Chavchavadze and others' viewpoints and describes Georgian criminologists' activities and their contribution to the development of this field

დავით შავიანიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართველთა ძველთაგან ჩვეულებითად შემოღებული სჯული
(ოკრიბის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)

საქართველოში და მსოფლიოს ყველა ქვეყნაში სამართლებრივი სისტემების შექმნას წინ უსწრებდა ჩვეულებითი სამართალი, რამაც თავისი განსაკუთრებული როლი ითამაშა. ხალხური სამართლის საერთოქართველური შინაარსის და კუთხურ-ეთნოგრაფიული მახასიათებლების, დანაშაულის აღმოფხვრის და სამართლიანობის დამკვიდრების არსებული გზებისა და საშუალებების გარკვევისთვის მნიშვნელოვანია რეგიონების მიხედვით კვლევა. აღნიშნული კუთხით საინტერესოა ისტორიული ოკრიბის, დღევანდელი ტყიბულის რაიონის მკვიდრთა მიერ შექმნილი სამართალი. კვლევით დგინდება დანაშაულის კატეგორიები, მისი აღმოფხვრის მეთოდები და მიზნის მიღწევის, დანაშაულის დაძლევის საშუალებები, რომელთა „**სიმკაცრე-ლმობიერებას განაპირობებდა რეგიონის ბარში მდებარეობა. ნაკლებად მკაცრი ბუნების მკვიდრ ოკრიბლებს არც ისე მკაცრი სასჯელის ფორმები ჰქონდათ. სამოქალაქო სამართალი უფრო ბარში აღსრულდებოდა**“.

ოკრიბელთა ძველთაგან ჩვეულებითად შემოღებული სჯულის საქმეთა კვლევისას შეიძლება აღინიშნოს თავკაცის ინსტიტუტზე, ნაფიც მსაჯულთა და სამედიატორო სასამართლოს, დამნაშავეთა დასჯის ფორმების, ოჯახის და საოჯახო ურთიერთობების შესახებ, წახალისების ფორმების, სამართლის პატივისცემის, მოდავე მხარეთა შერიგების აუცილებლობაზე. დამნაშავეთა გამოძიება-დასჯა-წახალისების ყველა ფორმა (მაგ: **ქედზე ჯაჭვის დადება; ფეხებზე ბორკილის შებმა; უქუდოდ სიარულის მისჯა; შეკვრა; სახედარზე უკუღმა დასმა; ულვაშის გაპარსვა, ხეზე/ძელზე მიბმა; სოფლიდან გასახლება...**) განეკუთვნებოდა ფიზიკურ და გამაწბილებელ/შესარცხვენელ სასჯელთა რიგს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ოკრიბელი კაცი „**გარკვეულწილად ყოველთვის იყო შიშში, რომ კაცობა არ დაეკარგა, სოფელში ცხოვრების უფლება ჰქონოდა**“.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ოკრიბაში.

მეცნიერები თანხმდებიან, რომ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დაახლოებით 1920 წლიდან ამოქმედდა. რაც

---

* ეთნოგრაფიული მასალის დამოწმებისას სრულად დაცულია მთხრობელთა მიერ გამოყენებული ენობრივ-დიალექტური ფორმა (დ.შ.)

შეეხება სამედიატორო სასამართლოს, იგი საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ პერიოდში სამართლებრივი კულტურის ნაწილი იყო. ამგვარი სასამართლოები ყალიბდებოდა მაშინ, როცა ფეხს იკიდებდა სამართლებრივი ინსტიტუტები. სამედიატორო სასამართლოს თავიდან უნდა აეცილებინა შურისძიება და მხარეები მორიგებულიყვნენ ჩვეულებითი სამართლით. სამედიატორო სასამართლოს მთავარი ფუნქცია მხარეთა შერიგება იყო.

სასამართლოს მსგავსი ინსტიტუტის არსებობა უფრო ადრიდან განსაკუთრებით გამოკვეთილად დამოწმებულია საქართველოს მთაში, სადაც მოსამართლეებს ჩვეულებრივი მოსახლეობიდან ირჩევდნენ და საქმის განხილვა ფიცის დადების შემდეგ იწყებოდა. გამონაკლისი არ იყო და ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს ბარის თემ ოკრიბის შესახებ. ოკრიბული სამედიატორო სასამართლო ქართული სამართლებრივი კულტურის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა. მხარეები ქმნიდნენ სასამართლოს შემადგენლობას, საბრალდებო პროცესზე წარადგენდნენ მტკიცებულებებს, რომლებსაც მედიატორები აფასებდნენ და ამის საფუძველზე გამოჰქონდათ განაჩენი. სასამართლო იყო თანასწორი და თავისუფალი. მედიატორი მოსამართლე ირჩეოდა მოდავე მხარეების ნება–სურვილით. არ იყო ზუსტად განსაზღრული, რამდენ მედიატორს უნდა განეხილა ესა თუ ის საქმე. ბოლოს მედიატორის საშუალებით შედგენილ დაპირისპირებულ მხარეთა გარიგებაზე თანხმობა ფორმდებოდა ხელწერილით.

მედიატორის საქმეს ოკრიბაში სოფლის თავკაციც ასრულებდა: **„სასურველია ეს ინსტიტუტი დღესაც არსებობდეს ხელისუფლებამდე ხალხის ნების მიმტანად მაინც. კანცელარია იყო, კანცელარიას უძახოდით, კანცელარიაში მამასახლისი იყო. აღმასრულებელს ჩაფარს უძახოდენ, მდივნები როა ახლა იგენი მწერლები იყო. ადგილობრივი სამართალი რა იყო ხალხი, სოფელი წყვეტდა. სოფელს თავის თავკაცი ყავდა. უფროსი ყავდა, კაცი, რომელსაც ეკითხებოდენ, დოუჯერებდენ ჭკუას ხალხი. სოფელში ვინცაა თავკაცი, ამან უნდა გაარჩიოს ის საქმე და, თუ რამე მოსაგვარებელია ამან უნდა მოაგვაროს. ოჯახში რაც ითქმება, ის ყველაფერი თუ გარეთ გევიდა, ამას ოჯახი აღარ ქვია, ხო? ასეა სოფელშიც, სოფელშიც თავკაცი უნდა იყოს. კაცი, რომელსაც ენდობა ხალხი. დღევანდელ სოფელში ვის უნდა კითხო ჭკუა ახლა, ჩვენ ერთ გამგებელს, მეორეს, მესამეს, მევოთხეს თუ ვის, რომელს? თავკაცი აღარ არსებოფს, მაქ არც იარსებეფს, თუ სოფელმა არ მეინდომა, თითონ, თუ არ ქნა სოფელმა. თითონ სოფელმა უნდა**

ეირჩიოს თითო გამავლიანი კაცი, რომელსაც სიტყვაც დეეჯერება, პასუხიც, საქმეც და ყველაფერი. არჩეული რო იყო, იმას იმხელა უფლება ქონდა, რომ არსათ წასვლა აღარ ჭირდებოდა იმ სოფლის, არც დამნაშავეს და არც მსხვერპლს. თუ ის კაცი ჩათვლიდა იმას, რომ დამნაშავე არის მიფურთხებისა და ზიზღის ღირსი, ზნაჩიტ, ყველა არ მეითხოვდა ხომ, ვორმოცდაათი პროცენტი არ გავიდოდა ამ კაცის სამართლიანი გადაწყვეტილების წინ. იშვიათად, მაგრამ ასეც ხდებოდა. აი, ეს იყო დემოკრატია და სამართალი. ცინდრიკალა ბოვშეფს კი აფერი ეკითხებოდა, რო ჩხუბი შეიქნებოდა, წევიდოდენ კაი გამავლიანი კაცები და არჩევდნენ. შეარიგებდენ, ჩემო ბატონო. ჩხუბი არ უნდოდა“.

ოკრიბაში დანაშაულის განსასაჯელადაც თემი შეიკრიბებოდა, განსჯიდნენ ხალხის არჩეული მედიატორები, ნაფიცი მსაჯულები. დანაშაული იყო: ლოთობა, ქალის მსუბუქი ქცევა, წვრილმანი ქურდობა, ფულის წართმევა, ვალის აღება-გადაუხდელობა...

ეთნოგრაფიული მასალა:

„ფულის სესხების დროს დაისწრებდნენ თემის უფროს კაცს და გირაოში ჩადებდნენ ქონებას. დაწერდნენ, რომ ვალის გადაცილების შემთხვევაში, ეს ჩადებული ქონება დარჩებოდა მასესხებელს. საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე ვალს არ აიღებდა არც ოჯახის უფროსი კაცი. ვალის აღება ოჯახის დანარჩენ წევრებს აუცილებლად უნდა შეეთანხმებინათ ოჯახის უფროს კაცთან და ქალთან. უასაკოს არ ასესხებდნენ. თუ მოვალეს გაუთვალისწინებელი შემთხვევა დაემართებოდა, მაშინ ვალს ოჯახი გადაიხდიდა“.

სასჯელის ფორმები ბევრნაირი იყო. ქურდს ხეზე, სამარცხვინო ბოძზე გააკრავდენ; შუბლზე დაღს გაუკეთებდენ; შეარცხვენდენ: „ერთხელ კიდევაც მოგვიხთა ჩვენ, შევკარით. იყო ხატზე გადაცემა, დაფიცება, ნაფიც მსაჯულები, შემდეგ, კანონგარეშე გამოცხადება და სხვა ასეთი. ყოფილა შემთხვევები, რომ შეუკრავთ ლოთი და კრაოტზედაც დააკრავდან. ასევე იყო პროსტიტუტკებზე და ამგენზე. ხეზე მიაკრავდენ და ანერწყვავდენ, აფურთხებდენ. შეარცხვენდენ, გალანძღავდენ, შუბლზე წაუსვებდენ ნახშირს, დაღს დაამჩნევდენ და სხვა ასეთი, იყო ასეთი, მე მახსოვს, რომ იყო ასეთი ხალხი. ჯვარი იქნებოდა, სამარცხვინო ჯვარი, ასე ვთქვათ. სამარცხვინო ბოძზე გააკრესო ასეთი, ბოზი იყო, თუ ქურდი იყო, გააკრავდენ სამარცხვინო ბოძზედ. სასამართლო ჩვენში, ოკრიბაში არ იძლოდა ჩაქოლვის უფლებას“.

სასჯელის ერთი მთავარი ფორმა იყო წყევლა. ალექსანდრე ნეიმანმა ქართულში წყევლის თვრამეტი სინონიმი დააფიქსირა: წყევა, საწყევარი, ანათემა, დაკრულვა, კრულვა, დაშანთება, ჩვენება (შეჩვენება), ქოქით ამოღება, დაქოლვა, ქოქოლა, დალახვრა, ვალალას დაყრა, ხატზე გადაცემა, მოჯოჯოხეთება, შერისხვა, შეკვრა, დაშამათება. წყევლის სინონიმებად მივიჩნევთ დაკრულვისა და ხატზე გადაცემის მნიშვნელობით გამოყენებულ ილანჯუხს. მაშასადამე, წყევლა ილანჯუხის მსგავსად, გალიის მაგვარი მახეა. იგი აღნიშნავს აგრეთვე დაღუპვას, შეჩვენებას, დარისხვას, გალიის მსგვას მახეს, ფრინველთ საჭერს, ნადუგარ-ნაწყევარს, ხატზე გადაცემას (აპოლონ წულაძის, ალ. ღლონტის და თედო სახოკიას განმარტებები; ქართული ფოლკლორის ლექსიკონი, ტ. II; თბ, 1975, გვ.173). იგივეს აღნიშნავდა პროფ. მიხეილ ჩიქოვანი, როცა შემოგვთავაზა წყევლის დეფინიცია: «მაგიური ფორმულა რისამე აღსაკვეთად, შესაჩვებელად, გასაქრობად» (webcache.googleusercontent.com). შდრ.: ოკრიბაში „**მსუბუქი დანაშაულისთვის დასჯის ფორმა იყო წყევლაც, წყევლიდნენ. შერცხვენაც და წყევლაც მოსარიდი და საფრთხილო იყო, თუმცა წყევლა სასჯელის როგორღაც უფრო მსუბუქი ფორმაა. რა თქმა უნდა, ნაწყევარის ყველას ერიდებოდა და ეშინოდა, მაგრამ დაწყევლა თუ ეკლესიაში არ ხდებოდა, თუ ხატთან არ დაწყევლიდნენ, იმედი რჩებოდა იმისა, რომ წყევლას მოკლე გზა აქვს, პირიდან გამოვა და ცხვირში შეძრობა და არ მიუვიდოდა**“.

კვლევით დგინდება, რომ წყევლა ოკრიბაში ბრძოლის საშუალებაა და მას საფუძვლად შიში უდევს. ჩანს, რომ ჩვეულებითი სამართლის ეს წესი თავისთავად დიდი გავლენის მომხდენი იყო ადამიანის ფსიქიკაზე, მით უფრო, „**თუ ისეთი ვინმე დაგწყევლიდა, ვისიც ჭრიდა**“.

თემის მიერ სასაჯელად გამოსაყენებელ ფორმათა შორის უკიდურესი სასჯელი იყო ხატზე გადაცემა. ხატზე გადაცემა ეკლესიაში ხდებოდა, თემის წინ. მასში მონაწილეობას იღებდა მღვდელი, სოფლის მიერ არჩეული მედიატორი, თავკაცი ხატზე გადაცემა-არგადაცემის საკითხს სოფლის თავკაცები, «**ხნიერი კაცები**» გადაწყვეტდნენ. „**ზოგჯერ საქმეს ვერ შველიდა დანაშაულში ეჭვმიტანილისაგან ხატზე დაფიცება და ხატზე გადაცემა იყო საჭირო**“. ხატზე გადაცემა ერთგვარი, მაგრამ „კარგი სასჯელია“. რამდენადაც ურწმუნო უნდა ყოფილიყავი, ხატზე გადაცემას დაწყევლასთან შედარებით მაინც არასასიამოვნოდ და საშიშად მიიჩნევდნენ:

„შეიძლება ურწმუნო იყო, მაგრამ შთაგონებით შეიძლება მაინც რაიმე დაგემართოს“.

ეთნოგრაფიული მასალა:

„აი, როგორი იქნებოდა ხატზე გადაცემა. დაწყობილი იყო ეკლესიაში ჯვარი, სახარება, აგერ მღვდელი დგას, მსაჯულებიც არის აქვე, ხალხიც ესწრება. უნდა მივიდეს კაცი, რომელსაც დამნაშავეობა აქვს. მაგალითათ, კაცმა მოიპარა საქონელი, პირუტყვი, ან რაიმე სხვა მოიპარა, უნდა დაიფიცოს ხატზე, რო: მას არ მოუპარია! მიდის ამ ხალხის წინაშე და დაიჩოქეფს, პირჯვარს დაიწერს და იტყვის: „ღმერთო, წმინდა გიორგი, თუ მე მომეპაროს ი საქონელი, გამიწყტეს... ან ეს ნივთი, გამიწყტეს ღმერთი, გამიწყტეს მიწა, გა... გა... გასკტეს მიწა, ჩავარდე შით, ეე, ჩემი შვილი, შვილიშვილი დაწყევლილი იყოს, დამეწვას სახლი, კარი და, და...“ დაიფიცებდა. ახლა, ესე იგი, იმდენათ რელიგიური რწმენა ქონდა იმ კაცს, რომ თუ ტყვილზე დაიფიცებდა, მოკლავდა ღმერთი. გამიგონია, რომ ხატზე რო გარაცესო ადამიანიო, მერეთო მივიდაო იმა, მუუგზავნა კაციო და წეიყვანაო და მღვდელის წინაშე აღიარაო სიმართლეო. ეს, ვოჯახზე იმოქმედეფს გლახათო, ეგერ ახლა კურსეფში, მაგალითათ, ერთი მოსახლე იყო, ჭუმპურიძეები იყო, მამამისსო მოუჭრია ცაცხვი ეკლესიაზეო, წოუღიაო სახშიო, ხოდა, შვილიც გაბოთავებია და გოგოცო. ხოდა, მოხთა ის, ამიტომ რწმენა იყო“.

ოკრიბაში დისციპლინური სახდელის გავრცელებულ ეფექტურ ფორმებთან ერთად, რომელთა შესახებაც გვქონდა საუბარი, უნდა აღინიშნოს წახალისების მეთოდზეც. „წახალისება გამოიყენებოდა თემისთვის, სამეზობლოსთვის, პიროვნებისთვის გაკეთებული სასიკეთო საქმის გამო, იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე გამოსწორდებოდა. წახალისების შემდეგ უკვე ყოფილ დამნაშავეს ხათრი, პატივისცემა გაუჩნდებოდა. გაუჩნდებოდა შიში, რომ კაცობა არ დაეკარგა, სოფელში ცხოვრების უფლება ჰქონოდა. თუ მარტო დასჯაა და წახალისება არ არი, ეს კარგი არაა და კარგ შედეგს არ გამოიტანს. ადამიანს ნამუსი ხომ უნდა შერჩეს, გაეღვიძოს. მუდამ მოგერიე, წაგართვი, შეგიჭამე, ხომ არ უნდა იყოს. ადრე ულვაშის ღერს მისცემდნენ და ეს ნდობის ყველაზე დიდი გამოხატულება იყო“ - გვეუბნებიან მთხრობელები.

ოკრიბელთა ჩვეულებით სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა შერიგებას. „შესარიგებლად სოფელი შეიყრიდა“ თავს და შეარიგებდნენ, რომ მერე შუღლი არ განმეორებულიყო. მნიშვნელობა არ ქონდა ვინ იჩხუბებდა სოფელში. „ცუდი კაცის“ საზომით სოფელში

არავინ იზომებოდა. შეარიგებდენ და თანაც დააფიცებდენ სალოცავში, რომ აღარ განმეორდებოდა ასეთი რაღაცეები.

ისე, როგორც მთელ საქართველოში, ოკრიბაშიც ჩვეულებითი სამართლის მიერ დადგენილი ნორმები აწესრიგებდა საოჯახო ურთიერთობის ფორმებსაც. ოკრიბის ტრადიციულ, მშობლებისა და შვილებისაგან შემდგარ ოჯახში, რომელსაც ოკრიბლები „**სახლობასაც**“ ეძახიან, დღესაც შეიმჩნევა ძველისადმი პატივისცემა. უფროსი, პიროვნული თვისებებით გამორჩეული ისეთი პიროვნება უნდა ყოფილიყო, ვინც დააკმაყოფილებდა ოჯახის უფროსისადმი წაყენებულ მოთხოვნებს: ჭკვიანი, უნარიანი, წინდახედული, უცხოსთან ურთიერთობის შემძლე, მეზობლის ამტანი, ობიექტური.

ოკრიბაში ჩვეულებითი სამართალი აწესრიგებდა ოჯახის გაყოფის საქმეს. გაყოფის შემდეგ შვილები თავ-თავისთვის გადიოდნენ და თავის წილს იღებდნენ. გაყოფაში შეიძლებოდა ჩარეულიყო ხალხის მიერ სოფლის თავკაცად არჩეული პიროვნება. გაყოფის დროს დაიწერებოდა ფარდი, სადაც აღინიშნებოდა თუ ვის რა წილი ერგო და რატომ, ვინ ესწრებოდა გაყოფას, როგორც მეთაური, როგორც მოწმე და ა.შ. „**გაყოფისას მამას თავის წილი ერგებოდა, წასასვლელ ძმებს (სახლში უმცროსი რჩებოდა) თავ-თავისი. სრული წილი ერგებოდა ნაშვილებ შვილსაც. თუ გასათხოვარი ქალი იყო, მასაც თავისი გამოეყოფოდა და მას სამზითო ჰქვიოდა**“. იყო შემთხვევები, როცა არ ჰქონდათ ფული, ვერ მიუციათ ნაწილი და ამის გამო დაურღვევიათ სახლი. თუ იყო საშუალება, სახლის შეფასების შემდეგ, მაშინ ფულს გაიყოფდნენ.

საინტერესოდ იყო გადაწყვეტილი უშვილოდ დარჩენილი ქვრივის საკითხი. „**ასეთ შემთხვევაში მამაგარდაცვლილი შვილის წილი მიჰქონდა დედას, რძალს. ქვრივი გათხოვების შემთხვევაში წაიღებდა თავის მოტანილ წილს, „მზითვს“ და გაატანდნენ ოჯახი შვილის წილს. თავის წილი ერგებოდა გაუთხოვარ შვილსაც. ხოლო თუ გვარის ყველა მემკვიდრე გარდაცვლილი იყო, მაშინ ქალი იყო მემკვიდრე, რა თქმა უნდა. გაყოფისას იყოფოდა როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება, მიწა პირველ რიგში**“.

თუ ოჯახი გაუყოფელი დარჩებოდა, გაყოფის დროს პირველი სიტყვის თქმის უფლება უფროს ძმას ჰქონდა. ანდერძის შემთხვევაშიც „**საქმის გამრიგებელ-შემსრულებელი**“ უფროსი ძმა იყო. გასათხოვი დის გამზითება ოჯახში დარჩენილ ვაჟს ეკისრებოდა. გარდაცვლილს, თუ მემკვიდრე ვაჟი არ დარჩებოდა და მისი მემკვიდრე გათხოვილი

ქალები იყვნენ, მამის ქონებიდან მაშინ წილი თანაბრად ერგებოდა ყველას.

შეიძლება დღევანდელობისთვის მიუღებელია ადამიანის მიმართ „არაჰუმანური“ ქართული ხალხური სამართლის ნორმები (webcache.googleusercontent.com), მაგრამ დავსძენთ, რომ თითოეული ადამიანისთვის ჩვეულებრივი ხდებოდა კანონის უზენაესობა და ის სავალდებულო არ იყო მხოლოდ ერთეულებისთვის. კანონის წინაშე თანასწორობა კანონის დამდგენელის, აღმასრულებლის და უბრალო ადამიანებისათვის ზნეობრივ პრინციპებს აყალიბებდა და თემსაც იშვიათად სჭირდებოდა პიროვნებისთვის უდანაშაულოდ ცხოვრების შეხსენება. ოკრიბული ხალხური სამართალი გათვლილი იყო დამნაშავისაგან დანაშაულის არა მხოლოდ აღიარებაზე, არამედ მის გამოსწორებაზე, სამართლის პატივისცემაზე, რწმენაზე.

ოკრიბული მასალები მნიშვნელოვნად შეავსებს ქართული ჩვეულებითი სამართლის შესახებ არსებულ მონაცემებებს.

მითითებული ლიტერატურის სია:

1. საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, თბილისი, 2010.
2. ქართული ფოლკლორის ლექსიკონი (აპ. წულაძის, ალ. ღლონტის და თ. სახოკიას განმარტებები), ტ. II; თბილისი,1975.
3. შავიანიძე დ. ოკრიბა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), ქუთაისი, 2005.
4. webcache.googleusercontent.com
5. webcache.googleusercontent.com

დ. შავიანიძე

ქართველთა ძველთაგან, ჩვეულებითად შემოღებული სჯული
(ოკრიბის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)

რეზიუმე

საქართველოში და მსოფლიოს ყველა ქვეყნაში სამართლებრივი სისტემების შექმნას წინ უსწრებდა ჩვეულებითი სამართალი, რამაც თავისი განსაკუთრებული როლი ითამაშა. ხალხური სამართლის საერთოქართველური შინაარსის და კუთხურ-ეთნოგრაფიული მახასიათებლების გარკვევისთვის მნიშვნელოვანია რეგიონების მიხედვით კვლევა. ამ მხრივ საინტერესოა ისტორიული ოკრიბის, დღევანდელი ტყიბულის რაიონის, მკვიდრთა მიერ შექმნილი სამართალი. მოპოვებული მასალით დგინდება დანაშაულის კატეგორიები, მისი აღმოფხვრის მეთოდები და მიზნის მიღწევის - დანაშაულის დაძლევის - საშუალებები.

ოკრიბელთა ძველთაგან ჩვეულებითად შემოღებული სჯულის საქმეთა კვლევისას შეიძლება აღინიშნოს თავკაცის ინსტიტუტზე, ნაფიც მსაჯულთა და სამედიატორო სასამართლოს, დამნაშავეთა დასჯის ფორმების, ოჯახის და საოჯახო ურთიერთობების შესახებ, წახალისების ფორმების, სამართლის პატივისცემის, მოდავე მხარეთა შერიგების აუცილებლობაზე. შეიძლება ითქვას, რომ ოკრიბელი კაცი «**გარკვეულწილად ყოველთვის იყო შიშში, რომ კაცობა არ დაეკარგა, სოფელში ცხოვრების უფლება ჰქონოდა**".

ოკრიბაში «თემის კაცთაგან გასარჩევი დანაშაულები» იყო: ლოთობა, ქალის მსუბუქი ყოფაქცევა, წვრილმანი ქურდობა, ფულის წართმევა, ვალის აღება-გადაუხდელობა... რაც შეეხება დანაშაულთა აღმოფხვრის მეთოდებს, გვხვდება: **წყევლა, სამარცხვინო ბოძზე გაკვრა, ლაფის სროლა, ჯვრის/დაღის დასმა, ხატზე დაფიცება, ხატზე გადაცემა**.

ოკრიბელთა ჩვეულებით სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა წახალისებას და შერიგებას. იგივე სამართლის მიერ დადგენილი ნორმები აწესრიგებდა საოჯახო ურთიერთობებს.

ჩვეულებითი სამართლით დადგენილი ნორმების უზენაესობა სავალდებულო იყო როგორც კანონის დამდგენლისა და აღმასრულებლის, ისე ყოველი უბრალო ოკრიბელისათვის.

ოკრიბული მასალები მნიშვნელოვნად ავსებს ქართული ჩვეულებითი სამართლის შესახებ არსებულ მონაცემებს.

D. Shavianidze

The Religion Introduced by Georgians from Ancient Times
(According to the Okriba ethnographic material)

Summary

In Georgia and in many other countries the creation of legal system was preceded by the customary law. It is important to conduct the research by regions for finding out the common national grounds of the total content of the law, its ethnographic characteristics, to make clear the ways of crime eradication. In this term it is interesting to look at the law created by local residents of historical Okriba, Tkibuli region. Research defines the categories of crimes and their elimination methods, the means of achieving crime reduction. **«Its strictness and soft-heartedness was due to the location on the plain. The inhabitants of Okriba with a less severe character, had the forms of punishment not so severe. The civil law was fulfilled mostly in the plain."** The research may include a head, the jurors, and the arbitration tribunal, forms of punishment, family and family relationships, forms of incentives, respect for Law, and the necessity for reconciliation between disputing sides. Criminal punishment and encouragement forms: **(to chain on the ridge, to walk without a hat, to put the punished person on the donkey decadence, Shave the moustache, attach on the wood, eviction from the village)** the man of Okriba always had the fear of punishment, **«not to lose respect for the person, retain the right to live in the country."**

The types of the crime to be clarified in Okriba were: drinking, women's prostitutes, petty theft, money extortion, non-payment of a debt. As for the methods used to eliminate crime were: curse, placing on infamous pole, throwing mud, the icon oath. These methods are based on the fear of punishment, **«not to lose respect for the person, retain the right to live in the country.**

In the customary law the encouragement and reconciliation had an important place**. «No man was measured according the bad one, all were equal, and everyone had to be in good relationships. That's why they were to reconcile, and made him to give promise in the chapel not to make the same mistake again."**

Established customary law in Okriba regulated family relations. The head of the village, a person elected by the people could take part in the family decisions.

To protect the rule of law was necessary equally for everyone. ,, **Such approach was forming some moral principles.**

Okriba materials form the important part of the data on Georgian Customary Law.

შალვა შუბლაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნიკო ნიკოლაძე განიარაღების სოციალურ-ეკონომიკური და სამოქალაქო თავდაცვის მნიშვნელობის შესახებ

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აქტუალური ხდება მთელს მსოფლიოში შეირაღება-განიარაღების პრობლემა, რაც ტექნიკურ სფეროში მომხდარმა ევოლუციურმა პროცესებმა განაპირობა. ნიშანდობლივია, რომ გამოჩენილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ ციურიხის უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დაიცვა სადოქტორო ნაშრომი თემაზე „განიარაღება და მისი ეკონომიკურ-სოციალური შედეგები“, რომელიც ცალკე წიგნადაც გამოიცა ფრანგულ ენაზე 1868 წ. იმ დროს, როცა ყველა შეიარაღებაზე და ახალი იარაღის შექმნაზე ფიქრობდა, ქართველი ახალგაზრდა მოაზროვნე განიარაღებაზე (ნიკოლაძე, 1984, 5).

დღეისათვის მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, სხვადასხვა ტიპის შეიარაღებული კონფლიქტები, ასევე ბუნებრივი, ტექნოგენური და ეკოლოგიური ხასიათის საგანგებო სიტუაციები ნათლად მიგვანიშნებენ, რომ მნიშვნელოვნად მაღალი რჩება სხვადასხვა სახის კრიზისულ ვითარებათა რისკი. ყოველივე ეს მოითხოვს, როგორც ცალკეული ქვეყნების ამ რისკებზე ადეკვატური რეაგირებისათვის მზადყოფნას, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის მზაობას დახმარება გაუწიონ დაზარალებულ ქვეყნებს (ლობჟანიძე, 12).

ნებისმიერი სახის კრიზისული სიტუაციების (აგრესია, ბუნებრივი, ტექნოგენური და წინასწარ განზრახული საგანგებო სიტუაციები) შედეგებთან ბრძოლის ძირითადი მიზანია ხალხის რესურსის, ეკონომიკის ობიექტების და ინფრასტრუქტურის საიმედო დაცვა.

აღნიშნული პრობლემების ოპერატიული გადაწყვეტისათვის აუცილებელია, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

ჩვენი მიზანია, გავაანალიზოთ საქართველოში მოქმედი კანონები და ნორმატიული აქტები, ვიმსჯელოთ მათ შესაბამისობაზე საერთაშორისო კანონმდებლობასთან და წინა პლანზე წამოვწიოთ ის საკითხები, რომლებიც უნდა აისახოს იმ სამართლებრივ აქტებში, რომლებიც უმოკლეს დროში უნდა იქნეს შემუშავებული და მიღებული.

თანამედროვე პირობებში, როცა მსოფლიოში დიდი რაოდენობითაა მასობრივი განადგურება-დაზიანების და თავდასხმის საშუალებები, ამასთან მოსალოდნელია ჩვენი ქვეყნის კვლავ ჩაბმა

ლოკალურ თუ გლობალურ ომში, ასეთ მოლოდინებში სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო თავდაცვის სისტემის განმტკიცებას, მოსახლეობისათვის საარსებო ობიექტების დაცვის დონის ამაღლებას, მხარეთა მიერ თანამედროვე ტექნიკის უსაზღვრო გამოყენების შეზღუდვას (ალექსიძე, 338).

სამოქალაქო თავდაცვა საერთო-სახელმწიფოებრივი და თავდაცვით ღონისძიებათა სისტემის შემადგენელი ნაწილია, რომელიც იგეგმება და ხორციელდება მშვიდობიანობისა და ომიანობის დროს მოსახლეობის დასაცავად, სასიცოცხლო ობიექტების სტაბილური ფუნქციონირების შესანარჩუნებლად, აგრეთვე სამაშველო-საავარიო და სხვა სახის გადაუდებელი სამუშაოების ჩასატარებლად დაზიანების კერებში.

ზოგადად რომ ჩამოვაყალიბოთ, სამოქალაქო თავდაცვის ამოცანებს წარმოადგენს სამხედრო ზემოქმედების შედეგების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით მოსახლეობის, მისი საცხოვრებლის და სამუშაო დგილის, სასიცოცხლო უზრუნველყოფის და თავდაცვის სამოქალაქო მართვის მნიშვნელოვანი სტრუქტურების, ობიექტების და ნაგებობების, ასევე კულტურული ფასეულობების არასამხედრო ხერხებით დაცვა.

სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების სწორი დაგეგმვის და ოპერატიული რეაგირებისთვის აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება. დღეს საქართველოში ამ სფეროში მიღებულია და მოქმედებს ორი კანონი:

1. საქართველოს კანონი „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობის და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ (მაცნე, №4922);
2. საქართველოს კანონი „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ (მაცნე, №2088).

საგანგებო სიტუაციების სფეროში ასევე მოქმედებს შემდეგი სამართლებრივი აქტები:

1. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 21 მარტის №68 დადგენილე-ბა „საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის განსაზღვრის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ (მაცნე, №68);
2. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 21 მარტის №69 დადგენილება „საგანგებო სიტუაციების მართვის სამთავრობო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ (მაცნე, №69);
3. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს №415 ბრძანებულება „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო

სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ (მაცნე, №415);

4. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის №153 დადგენილება „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ“ (მაცნე, №153).

თუ გავაანალიზებთ აღნიშნულ სამართლებრივ აქტებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი ეხება ძირითადად მშვიდობიანი პერიოდის საგანგებო სიტუაციების დროს წარმოქმნილ პრობლემათა პრევენციას და მათზე რეაგირების მოხდენას. ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არ არსებობს კანონი, რომელშიც მკაფიოდ იქნებოდა განსაზღვრული ცენტრალური ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციები და ამოცანები, მათი განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები და უფლებამოსილება ომიანობის პერიოდში მოსახლეობის და ტერიტორიის უსაფრთხოების სფეროში.

2008 წლის აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა ქვეყნის ყველა დონის მართვის ორგანოების მოუმზადებლობა სამოქალაქო თავდაცვის კუთხით, რაც აშკარად გამომჟღავნდა აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის“ მიერ ჩატარებული მოსმენების დროს. საპარლამენტო კომისიამ სხვა საკითხებთან ერთად შეისწავლა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილის - სამოქალაქო თავდაცვის მდგომარეობა. კომისიის მუშაობის პერიოდში მოწვეული თანამდებობის პირების მიერ სამოქალაქო თავდაცვის კუთხით დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ პერიოდისათვის ქვეყანაში მთლიანად მოშლილი იყო სამოქალაქო თავდაცვის სისტემა. კერძოდ: არ არსებობდა მოსახლეობის ევაკუაციის გეგმები, რამაც გამოიწვია მოსახლეობის მიერ კონფლიქტების ზონების არაორგანიზებული და დაგვიანებული დატოვება; არ იყო შემუშავებული საავიაციო და სხვა ტიპის დარტყმების შემთხვევებში, მშვიდობიანი მოსახლეობის თავდაცვით ნაგებობებში თავის შეფარების სქემები; ასევე არ იყო დაგეგმილი და ვერ მოხერხდა კონფლიქტის ზონებიდან ეროვნული მნიშვნელობის ფასეულობების გატანა უსაფრთხო ადგილებში, რის შედეგადაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა ახალგორის ქსნის ხეობის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი-ნაკრძალი, საფრთხის წინაშე იდგა გორის მუნიციპალიტეტის მუზეუმები, ლამისყანის ორბელიანების მუზეუმი და სხვა.

კომისიამ თავის დასკვნაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ შექმნილი ვითარების მიზეზი არის ის, რომ ქვეყანაში არ არსებობს ამ სფეროს დარეგულირებისათვის უმთავრესი კანონი – „კანონი სამოქალაქო თავდაცვის შესახებ“

სტატიაში გვსურს წარმოვაჩინოთ კანონმდებლობის შემუშავე-ბის ძირითადი მიმართულებები. ამ მიზნით ჩვენ შევისწავლეთ და გავაანალიზეთ რამდენიმე ქვეყნის (გერმანია, რუსეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, შვედეთი და სხვა) შესაბამისი კანონი. წინამდებარე სტატიაში გვინდა განვიხილოთ ის ძირითადი დებულებები, რაც, ჩვენი აზრით, უნდა აისახოს აღნიშნული კანონის პროექტში.

I თავში, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „ზოგადი დებულებები“, მას შემდეგ, როცა მოვახდენთ კანონპროექტში გამოყენებული ძირითადი ტერმინების განმარტებას, აუცილებლად უნდა აისახოს სამოქალაქო თავდაცვის მიზნები და ამოცანები. აღნიშნული თავის ფორმირების საფუძველი უნდა გახდეს ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის 1977 წლის 8 ივნისს მიღებული დამატებითი პროტოკოლი (ჟენევის კონვენცია, სტატია 61), რომელშიც მკაცრად არის განსაზღვრული სამოქალაქო თავდაცვის მიზნები და ამოცანები.

ჟენევის კონვენციის 1977 წლის 8 ივნისს მიღებული დამატებითი პროტოკოლი განმარტავს, რომ სამოქალაქო თავდაცვა არის ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი ან ყველა ჰუმანიტარული ამოცანების შესრულება, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ დაიცვას სამოქალაქო მოსახლეობა საშიშროებებისაგან და აღმოუჩინოს მას უშუალო დახმარება საომარი მოქმედებებისა და კატასტროფების დროს, აგრეთვე, შექმნას აუცილებელი პირობა მათ გადასარჩენად. ასეთ ამოცანებს განეკუთვნება:

1. შეტყობინება;
2. ევაკუაცია;
3. თავშესაფრების გამოყოფა და მათი მოწყობა;
4. შუქშენიღბვითი ღონისძიებების გატარება;
5. სამაშველო სამუშაოები;
6. პირველადი სამედიცინო მომსახურება და აგრეთვე რელიგიური დახმარება;
7. ხანძართან ბრძოლა;
8. საშიში რაიონების აღმოჩენა და მათი აღნიშვნა;
9. გაუსნებოვნება და მსგავსი ღონისძიებების დაცვა;
10. სასწრაფო თავშესაფრების გამოყოფა და მომარაგება;

11. კრიზისულ რაიონებში წესრიგის აღდგენაში და მის შენარჩუნებაში დახმარების აღმოჩენა;
12. აუცილებელი კომუნალური სერვისების სასწრაფო აღდგენა;
13. მიცვალებულთა დაკრძალვა;
14. დახმარების გაწევა იმ ობიექტების შენარჩუნებაში, რაც აუცილებლობას წარმოადგენს მოსახლეობის გადარჩენისათვის.
15. დამატებითი დაგეგმარებითი ღონისძიებების განხორციელება ნებისმიერი ზემოთმოცემული ამოცანის შესასრულებლად;

აღნიშნული კონვენციის და დღეს არსებული რეალობის გათვალისწინებით სამოქალაქო თავდაცვის ძირითადი ამოცანები შეიძლება იყოს:

1. შეიარაღებული ძალების ზემოქმედებისგან, ასევე ბუნებრივი, ტექნოგენური და წინასწარგანზრახული მოქმედებებისგან გამოწვეული საგანგებო სიტუაციების დროს მოსახლეობის დაცვა (მოსალოდნელი საფრთხის ზონიდან მოსახლეობის ევაკუაცია; მოსახლეობის საინჟინრო დაცვა/თავდაცვით ნაგებობებში შეფარება; ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება), ეროვნული მნიშვნელობის მატერიალური ფასეულობების უსაფრთხო ზონებში გატანა და დაცვა, მოსალოდნელი საფრთხის ზონებიდან პირუტყვის გაყვანა (გადარეკვა);
2. მოსახლეობის ფართო მასების მომზადება კრიზისულ სიტუაციებში მოქმედებისათვის.
3. საწარმოო და სასიცოცხლო ობიექტების სტაბილური ფუნქციონირების შენარჩუნება და მათი დაცვა.
4. სამოქალაქო თავდაცვის ძალების შექმნა, მათი აღჭურვა და მუდმივი მზადყოფნის შენარჩუნება.
5. დაზიანების კერებში საძიებო-სამაშველო და საავარიო სამუშაოების ჩატარება.
6. მართვის პუნქტების, შეტყობინების და კავშირგაბმულობის სისტემების და საშუალებების შექმნა, მათი მუდმივი მზადყოფნის მდგომარეობაში შენარჩუნება.

II თავი უნდა ეხებოდეს ცენტრალური ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, კერძოდ: საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ვალდებულებებს და უფლება-მოვალეობებს სამოქალაქო თავდაცვის სფეროში.

III თავში უნდა აისახოს საკითხები სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების მართვის განმახორციელებელი სისტემის და სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოების შესახებ.

IV თავში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული სამოქალაქო თავდაცვის სფეროში სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის საკითხები.

V თავში უნდა იყოს განსაზღვრული ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების სამართლებრივი საკითხები.

VI თავში უნდა განისაზღვროს ფიზიკური და იურიდიული პირების პასუხისმგებლობის საკითხი სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებებში მონაწილეობისთვის თავის არიდების შემთხვევაში, რომელიც შესაბამისობაში იქნება როგორც საერთაშორისო ნორმებთან, ასევე საქართველოს კონსტიტუციასთან და მოქმედ კანონმდებლობასთან.

VII თავში, რომელსაც შეიძლება ეწოდოს დასკვნითი დებულებები, უნდა განისაზღვროს სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების დაფინანსების და კანონის ძალაში შესვლის საკითხები.

აღნიშნულ სტატიაში ჩვენ შევეცადეთ, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზების გამოცდილების ანალიზის საფუძველზე და დღეს არსებული რეალობის გათვალისწინებით, შემოგვეთავაზებინა კანონის „სამოქალაქო თავდაცვის შესახებ "ჩვენეული ხედვა. კანონპროექტის მხარდაჭერის, მიღებისა და ძალაში შესვლის შემდეგ საჭირო იქნება იმ კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების მთელი პაკეტის მომზადება, რომელთა შემუშავება და მიღება აუცილებელია ამ სფეროში ჩასატარებელი ღონისძიების სრულყოფის მიზნით, აღნიშნულის შესახებ უფრო დაწვრილებით ჩვენ ვისაუბრებთ მომავალ სტატიაში, მათი რეალიზების შემთხვევაში ჩვენ დაცული ვიქნებით იმ შეცდომების გამეორებისგან, რომლებსაც ადგილი ქონდა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს და ნაწილობრივ მაინც შესრულდება ნიკო ნიკოლაძის დაწყებული საქმე და მისი ოცნება, საზოგადოებამ იცხოვროს უსაფრთხო გარემოში, რაც დაფიქსირებულია მის უაღრესად საინტერესო „სალაშქრო წერილებში", რომლებსაც აქვეყნებდა გაზ. „ტფილისსკი ვესტნიკ"-სა და გაზეთ „გოლოს"-ში და შეტანილია ნ. ნიკოლაძის თხზულებათა V ტომში. წერილების მნიშვნელობას აძლიერებს მისი ავტორის მონაწილეობა, როგორც სამხედრო კორესპონდენტისა რუსეთ-თურქეთის ომის ფრონტზე.

მითითებული ლიტერატურის სია:

1. ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2010.
2. ლობჟანიძე გ., საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, თბ., 2013.
3. ნიკოლაძე ნ., თხზულებები, ტ.V, თბ., 1966.
4. ნიკოლაძე ნ., მოგონებები. თბ., 1984.
5. ჟენევის კონვენციის 1977 წლის 8 ივნისის დამატებითი პროტოკოლი, თავი VI, სტატია 61.
6. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო მაცნე, 11/11/2005, №2088.
7. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო მაცნე, 08/06/2007, №4922.
8. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო მაცნე, 21/03/2008, №68.
9. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო მაცნე, 21/03/2008, №69.
10. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო მაცნე, 26/08/2008, №415.
11. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო მაცნე, 04/06/2010, №1.

შ. შუბლაძე

ნ. ნიკოლაძე განიარაღების სოციალურ-ეკონომიკური და სამოქალაქო თავდაცვის მნიშვნელობის შესახებ

რეზიუმე

სამოქალაქო თავდაცვა საერთო-სახელმწიფოებრივი და თავდაცვით ღონისძიებათა სისტემის შემადგენელი ნაწილია, რომელიც იგეგმება და ხორციელდება მშვიდობიანობისა და ომიანობის დროს მოსახლეობის დასაცავად, სასიცოცხლო ობიექტების სტაბილური ფუნქციონირების შესანარჩუნებლად, აგრეთვე სამაშველო-საავარიო და სხვა სახის გადაუდებელი სამუშაოების ჩასატარებლად დაზიანების კერებში.

ზოგადად რომ ჩამოვაყალიბოთ, სამოქალაქო თავდაცვის ამოცანებს წარმოადგენს სამხედრო ზემოქმედების შედეგების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით მოსახლეობის, მისი საცხოვრებლის და სამუშაო დგილის, სასიცოცხლო უზრუნველყოფის და თავდაცვის სამოქალაქო მართვის მნიშვნელოვანი სტრუქტურების, ობიექტების და ნაგებობების, ასევე კულტურული ფასეულობების არასამხედრო ხერხებით დაცვა, რასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნიკო ნიკოლაძე.

Sh. Shubladze

N. Nikoladze about meaing of social-economic and civil defense disarmament

Summary

Civil defense is a part of common-state and self-defense activities' system, planned and fulfilled during peace and war in order to defend population and to keep vitally important objects' stability and functioning and also fulfilling rescue and first aid and other kinds of urgent activities.

Generally the targets and tasks of the civil defense is a defense of the living and working places, vital provision and important civil management structures of self-defense, objects and constructions, and cultural values through the non-military means.

ვაჟა შუბითიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნიკო ნიკოლაძის ადგილისათვის ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში*

2013 წლის 27 სექტემბერს სრულდება 170 წელი უდიდესი ქართველი მოღვაწის, დღესაც ყველაზე თანამედროვე ქართველის ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან.

პოლიტოლოგიურ და ფილოსოფიურ ლიტერატურაში მრავალი ტერმინია დამკვიდრებული ერისა და პიროვნების მახასიათებლად (მაგ. ერი-სახელმწიფო), მაგრამ ნიკო ნიკოლაძის დასახასიათებლად ძველი ტერმინები მეპატარავა და ახლის შემოღება და დამკვიდრება ვცადე. ესაა **კაცი - სახელმწიფო** - სწორედ ეს ტერმინია ზედგამოჭრილი ნიკო ნიკოლაძის წარმოუდგენლად დიდი ღვაწლის საჩვენებლად. ამ უდიდესმა საქმიანმა პატრიოტმა ფაქტიურად მარტომ შეძლო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უმნიშვნელოვანესი კონცეპტუალური საკითხების დაყენება და გადაწყვეტა, ასევე დიდი ქართული პროექტების წამოწყება და გასრულება, რაც დღესაც სახელმწიფოების და ინსტიტუტების ფუნქციაა, რასაც ზოგი ქვეყანა ჩვენს განვითარებულს დროშიაც კი ვერ ახერხებს.

ქართველ მოღვაწეთა შორის ნიკო ნიკოლაძე გამორჩეულია თავისი დიდი საქმეებითაც. არჩილ ჯორჯაძემ მას „ულმობელი საქმის კაცი“ უწოდა და მართლაც საქართველოს ახალ ისტორიას არ ახსოვს ასეთი დაუდეგარი და საქმიანი პიროვნება, ბიზნესის ასეთი ორგანიზატორი.

ნიკო ნიკოლაძემ წინა პლანზე პრაქტიკული და პრაგმატული საკითხები წამოსწია, რაც მთლიანად შეესაბამებოდა და ახლაც შეესაბამება საქართველოს განვითარების მოთხოვნებს. იგი პირველია ქართველ მოაზროვნეებში, ვინც ცივილიზებული ბიზნესის და ვაჭრობის პროპაგანდა და მისი განხორციელება დაიწყო, რაც მაშინ ერის შინაგანი გაერთიანების გზაზე (რელიგიის შემდეგ) აუცილებელი და მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას მოასწავებდა წარმოებისა და სოფლის მეურნეობის სწრაფ აღორძინებასთან ერთად.

უდიდესი წვლილი მიუძღვის მას ქალაქ ფოთის აღმშენებლობაში, მისი მომავალი ფუნქციის განსაზღვრაში, პორტის ელექტოფიკაციასა და მექანიზაციაში.

---

* წერილი დაიბეჭდა ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“, 2013წ. 14 ივნისი, N 12

მან ფოთის პორტის აღორძინებით ფანჯარა გაჭრა ევროპაში მომავალი საქართველოსთვის. იგი თითქმის 20 წლის განმავლობაში იყო ფოთის ქალაქისთავი, მისი ბიუჯეტი 10-ჯერ გაზარდა, ფოთი ნამდვილ ქალაქს დაამსგავსა.

უდიდესი შრომა გასწია მან ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ათვისებისა და ქუთაისი-ტყიბულის რკინიგზის მონაკვეთის გასაყვანად, ჭიათურის მანგანუმის წარმოების სამრეწველო და საექსპორტო დონეზე დასაყენებლად, შორაპან-ჭიათურის სარკინიგზო ხაზის გასაყვანად, რითაც მანგანუმის სწრაფი გადაზიდვის საქმეც მოაგვარა და გააიაფა კიდეც.

აქტიურად მონაწილეობდა ნ. ნიკოლაძე ასევე თბილისის წყალსადენის მშენებლობაში, კახეთის რკინიგზისა და ლიხთიმერეთის ქედზე გვირაბის გაყვანაში, ქუთაისის აღმშენებლობაში, ტრანსციმბირის რკინიგზის მშენებლობაშიც კი, მანვე მოიწვია როტშილდი კავკასიაში ნობელებისათვის კონკურენციის გასაწევად, ფოთში დააარსა ნამდვილი თანამედროვე ბანკი, პირველად საქართველოში დაბეჭდა ობლიგაციები და ლატარიის ბილეთები, რაც ფოთის კეთილმოწყობას მოახმარა (ნახევაკაპიკიან გადასახადთან ერთად), ეს კი უპრეცედენტო ნაბიჯი იყო მაშინდელ საქართველოში.

ნ. ნიკოლაძეს ეკუთვნის იდეა საქართველოს მომავალი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფუნქციის განსაზღვრისა - მან 1918 წელს გერმანელ დიპლომატებთან საუბარში წამოაყენა ევროპის აზიასთან ვაჭრობის უმოკლესი მარშრუტის იდეა (ბერლინი-ფოთი-პეკინი), რამაც დღეს ხორცი შეისხა ევრაზიული დერეფნის სახით.

ის ასევე იყო ყოველივე პროგრესულის, მაღალტექნოლოგიურის ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეების პირველი დამნერგავი საქართველოში.

ნიკო ნიკოლაძე წერდა ქართულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე, თანამშრომლობდა უამრავ გაზეთთან და ჟურნალთან, თბილისში თუ საზღვარგარეთ აარსებდა გაზეთებსა და ჟურნალებს სხვადასხვა ენებზე. იგი იყო დიდი მოაზროვნე და მწერალი ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

ნიკო ნიკოლაძე იყო ქართული პოლიტიკური რეალიზმისა და პრაგმატიზმის მამამთავარი. მან შეიმუშავა მთელი რიგი კონცეფციებისა საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის შეფასების და სამომავლო განვითარებისათვის. ამ გაგებით იგი უთუოდ შეიძლება მივიჩნიოთ პირველ ქართველ პოლიტოლოგად და გეოპოლიტიკოსად.

ნ. ნიკოლაძემ საქართველოს ისტორიის შესწავლისა და გაანალიზების შედეგად წარმოაჩინა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი მიზეზები და, შესაბამისად, მოგვცა მათი გამოსწორების ადეკვატური რეცეპტები. იგი ასევე იყო პირველი ქართველი ევროპოლოგი, რომელმაც ევროპის ქვეყნების მაგალითების გაანალიზებით ქართველობას უჩვენა, თუ როგორ ხორციელდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნები განვითარებულ ქვეყნებში, როგორ შეიძლება იქცეს ჩამორჩენილი ქვეყნები (იაპონია, პრუსია) სუპერსახელმწიფოებად, რა უნდა გაკეთდეს ქართული სახელმწიფოს გონივრული მოწყობისათვის.

ნიკო ნიკოლაძემ ღრმა ანალიზისა და შორსმჭრეტველობის წყალობით დასვა ზოგიერთი კონცეპტუალური საკითხი, რომელიც მაშინაც და მომდევნო საუკუნეშიც იდგა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე:

1. წინააღმდეგ გამეფებული შეხედულებისა, მან დაამტკიცა, რომ ერი ვერ შეძლებს დამოუკიდებლობის მოპოვებას, თუ ის არ განვითარდა და მოძლიერდა სოციალ-ეკონომიკურად, თუ მან არ განავითარა ავტონომიური ერთეულები - თვითმმართველობა, დემოკრატია, პოლიტიკური სისტემა, პლურალიზმი და შიდასახელმწიფოებრივი ინსტიტუციები (მანამდე და მერეც ბევრს მიაჩნდა, რომ ჯერ უნდა მოიპოვო დამოუკიდებლობა და მერე შეიძლება განვითარდე);
2. მან აუხსნა ქართველობას (და არა მარტო მას), რომ ჩამორჩენილი ხალხები ერთი ნაბიჯით ვერ გაივლიან იმ გზას, რისთვისაც სხვას ხუთი-ექვსი ნაბიჯი დასჭირვებია, რომ ჩამორჩენილ ქვეყანას არ შეუძლია განვითარების მაგალითი მისცეს ძლიერ ქვეყნებს;
3. ნ. ნიკოლაძის დასკვნა შემდეგია, რომ უეცრად, უშრომელად ვერც ერთი ხალხი ვერ გამდიდრდება, რომ არ შეიძლება ქვეყანაში მუდმივად გამეფებული იყოს სხვისი მოიმედეობისა და დახმარების, აზიური ინერტიულობის განწყობილება, რომ საკუთარ თავზე უკეთესი დამხმარე ჩვენ არავინ გვეყოლება მომავალშიც;
4. ნიკო ნიკოლაძემ ასევე დაასაბუთა, რომ არაა აუცილებელი ველოსიპედის ხელახლა გამოგონება, უნდა გამოვიყენოთ უცხოური დადებითი გამოცდილება, მაგრამ აუცილებელია შეიქმნას საზოგადოებრივი განვითარების ეროვნული მოდელი, დაფუძნებული ქართული ცხოვრების წესზე და მდიდარ ტრადიციებზე.

ეს მოდელი უცხოელებმა კი არ უნდა შექმნან ჩვენთვის, რომლებმაც ქართული სპეციფიკა და რეალობა არ იციან, არამედ განათლებულ ქართველებს („ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისათვის უდიდესი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ, ისინიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებენ და არა ადამიანისას... უცხოელი ძიძა, რაგინდ საღი იყოს, შენს დედაენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობს". ასეთი ძიძები გვაჩეჩებდნენ მარქსისტულ, ბოლშევიკურ იდეოლოგიას, გვაჩეჩებენ დღესაც სხვადასხვა გლობალისტურ და კოსმოპოლიტურ, ნეოლიბერალურ თეორიებს);

5. ნიკო ნიკოლაძემ ცნობილი უნგრელი მოღვაწეების კოშუთისა და დეაკის, ასევე ბოლშევიკთა მაგალითზე დაუმტკიცა ქართველებს, რომ რადიკალიზმი დამღუპველია ქვეყნისათვის, რომ „ქართველობის მიზნები მხოლოდ ზომიერებით მიიწევნება (მიიღწევა)". მას ევოლუციური გზა ერჩივნა, რევოლუციურ გზას;
6. ნიკო ნიკოლაძემ კარგად დაასაბუთა, რომ საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ჩამორჩენის უმთავრესი მიზეზი იყო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უქონლობა, მეცნიერებისა და განათლების ჩამორჩენა, პროფსიონალიზმის დეფიციტი;
7. ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის უდიდესი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს ნიკოლაძის თეზას იმის თაობაზე, რომ „დასაწყისშივეა საჭირო მითითება სწორედ პირველ ნაბიჯთა შეცდომებსა და მოუხერხებლობაზე, რადგან თუ საფუძველშივე ხელი არ ახლე, ათი წლის შემდეგ ვერარანაირი გაუმჯობესებული მანქანით ვერ ამოგლეჯ;"
8. ნიკო ნიკოლაძე ქართული სახელმწიფოს გონიერი ორგანიზაციის აუცილებელ პირობად თვლიდა ეროვნული და სახელმწიფო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭებას პარტიულ, პიროვნულ, ჯგუფურ ინტერესებთან შედარებით, ასევე ისეთი მმართველობისა და საარჩევნო სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მართვაში ყველაზე ნიჭიერი, განათლებული და პატიოსანი ადამიანების მონაწილეობას, რომ „ძალა და ძლევა რიცხვსა და სივრცეს კი არა, ცოდნას, ორგანიზაციას ეკუთვნის, იარაღს, წესსა და დისციპლინას;"
9. ქართული სახელმწიფოს დემოკრატიულად მოწყობის საქმეში ნიკო ნიკოლაძე საფუძველდამდებ პრინციპად თვლიდა დამოუკიდებელი სასამართლოს სწორად ორგანიზებას,

სამართლიანი სასამართლოს დაფუძნებას რიგითი ადამიანებისათვის. მან ჯერ კიდევ 130 წლის წინ წამოაყენა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების აუცილებლობა, რაც ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი ქვაკუთხედია დღეს;

10. ნიკო ნიკოლაძემ ცნობილ ეკონომისტებზე - კეინზი (აშშ) და სუბურო ოკიტა (იაპონია) - ადრე წამოაყენა და დაასაბუთა ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ზომიერი, კონკრეტული ჩარევის აუცილებლობაზე, რასაც დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ქართული სახელმწიფოსათვის, ისევე როგორც თეზას იმის შესახებ, რომ „სანამ მოსატანი (იმპორტი) მეტი გვექნება, ვინემ გასატანი (ექსპორტი) - მონობას ვერ ავცილდებით," რომ „ერთი რეჟიმის შეცვლა მეორეთი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა სათანადოდ მომზადებული იქნება პროგრამა და გეგმა, აგრეთვე კადრები ახალი ხელისუფლებისათვის" და ა.შ.

ეს მცირედი ჩამონათვალიც კი ნათელყოფს, თუ რა მასშტაბის მოაზროვნეა გვაქვს საქმე ნიკო ნიკოლაძე. ის იყო ყველაზე ცნობადი სახე ევროპაში ქართველი მოღვაწეებიდან. კაცს, რომელსაც ჰიუგოსთან, ლუი ბლანთან და სხვა ცნობილ ევროპელებთან ახლო ურთიერთობა აკავშირებდა, ქართველები ნაკლებად წყალობდნენ. მისი სახელი დღესაც ფაქტიურად მიჩქმალულია (პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ კომუნისტურმა საქართველომ უფრო მეტი გააკეთა მისი პოპულარიზაციისთვის, ვიდრე თანამედროვე, დამოუკიდებელმა ქვეყანამ). არადა, თავისი ევროპული მრავალმხრივი განათლებით და ნიჭით, აზროვნების სიღრმით და მასშტაბურობით, შორსმჭრეტველობით და სიახლის აღქმის უნარით, საქმიანი თვისებებით, გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ხედვით ნ. ნიკოლაძე მთელი თავით მაღლა დგას თავის თანამედროვეებზე და ნამდვილ ევროპელ გრანდებს უტოლდება.

ნიკო ნიკოლაძე იყო საქართველოში ახალი იდეების გენერატორი და ამ იდეების დამნერგავი, ახალი მიმართულების რეფორმატორი და დიდი მამულიშვილი. ასეთი კაცები ბევრ დიდ ერსაც კი არა ჰყავს. დროა ვისწავლოთ ამგვარი დაფასება და კუთვნილი ადგილის დროულად მიჩენა. მისი ადგილი კი უეჭველად არის ილიას გვერდით და არა მის შემდგომ.

ნიკო ნიკოლაძე ქართველთათვის ჭეშმარიტად იყო „სამშობლოს მამა".

ვ. შუბითიძე

ნიკო ნიკოლაძის ადგილისათვის ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში

რეზიუმე

ნიკო ნიკოლაძემ არა მარტო გამოიკვლია საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების შეფერხებისა და ჩამორჩენის მიზეზები, არამედ მიუთითა საქართველოს სამომავლო განვითარებისა და წინსვლის გზაზე.

ნ. ნიკოლაძის აზრით, საქართველო მომავალში უნდა დაადგეს განვითარებისა და მმართველობის ევროპულ, დემოკრატიულ გზას, ზომიერ პოლიტიკას, რეფორმებს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და ევროპული განათლების დანერგვის გზას; სოციალურ სამართლიანობას, პოლიტიკურ პლურალიზმს, დისციპლინისა და შრომის კულტურის ამაღლების გზას, სხვისი მოიმედეობის უარყოფას, სახელმწიფოებრივი აზროვნების ამაღლებას და კერძო ეგოიზმის აღმოფხვრას.

ეს ესახება ამ „ულმობელი საქმის კაცს“ ქართული ყოფისა და ცხოვრების გარდაქმნის ქვაკუთხედად. ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში იგი ევროპული ტიპის დემოკრატი მოაზრივნეა.

V. Shubitidze

Niko Nikoladze’s Place in the History of Georgian Political Thinking

Summary

Niko Nikoladze not only researched the reasons for failure of Georgia’s political and economic development, but he also indicated those ways, which would be the determinants of Georgia’s future development and its advancement.

According to Niko Nikoladze, Georgia should be oriented towards the European and democratic model of development and governance, moderate politics, reforms, the approach of establishing scientific-technical progress and European education, social justice, political pluralism, the mechanism of developing discipline and the labor culture, rejecting hopes for receiving the help from others, raising the state mentality, eradication of private egoism, etc.

ლალი ჩაგელიშვილი -აგლაძე, კობა ჩაგელიშვილი
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

განათლების განვითარების თანამედროვე მიდგომები

პრობლემა

ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობის ზრდის საფუძველი განათლების განვითარებაა. მის უზენაესობაზე ჯერ კიდევ დიდი ილია აღნიშნავდა, როდესაც ამბობდა, რომ შეიარაღებული მტრის ისე არ უნდა გეშინოდეს, როგორც განათლებული ადამიანისო. განათლებული ადამიანები კი ქვეყნის სიძლიერის გარანტნი არიან. იგივე იდეალს ემსახურება ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებაც, რომლის კერპიც ცოდნა, განათლება, განახლება და განვითარება იყო. მას ღრმად სწამდა, რომ ცოდნით გაძლიერებული და ჩაქვითკირებული ქვეყნის ხელყოფას ადვილად ვერავინ შეძლებდა.

აღნიშნულს, სამწუხაროდ, 1921 წლის შემდეგ ფარდა დიდი ხნით ჩამოეფარა. რუსეთის 70 წლიანი მმართველობის შედეგად, საზოგადოება დღესაც კი ვერ გამოფხიზლებულა.

განათლების განვითარება შეუძლებელია ხარისხიანი ცოდნის მიღების, მისი გავრცელების, გამოყენებისა და განვითარების გარეშე. ამ მიმართულებით საქართველოში ბევრი პრობლემა არსებობს, რომელთაგან მოცემულ ნაშრომში მხოლოდ ორს გვინდა შევეხოთ:

1. საქართველოში განათლების ბაზრის დღევანდელი მდგომარეობა.
2. ცოდნის მართვა;

კონკურენციის პირობებში, საგანმანათლებლო ბაზრის შესწავლის გარეშე, განათლების განვითარებაზე საუბარი შეუძლებლად მიგვაჩნია. მან უნდა გვაჩვენოს ის პოტენციალი, ადგილი და საკვანძო საკითხები, რაც რეალურად არსებობს დღეს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი ცოდნის მართვის საკითხების მეცნიერული განხილვა, რაც საფუძლად უნდა დაედოს განათლების განვითარებასა და სრულყოფას.

პრობლემის კვლევა

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ძლიერი კონკურენციაა როგორც საჯარო, ასევე კერძო უმაღლეს სასწავლებლებს შორის. ერთი შეხედვით, თითქოსდა ყველა აკრედიტებულმა უნივერსიტეტმა მონახა თავისი ნიშა და ერთგვარად დაიმკვიდრა ადგილი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე.

მაგრამ, სტრატეგიული ხედვიდან გამომდინარე, ეს მხოლოდ დასაწყისია და, ბაზარზე კონკურენტის სახელის დასამკვიდრებლად თითოეულმა უნდა იბრძოლოს საკუთარი რესურსებიდან გამომდინარე. ამ დროს სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდებიან სწორედ ის უმაღლესი სასწავლებლები, რომელთაც საკმაოდ კარგი სტრატეგია ექნებათ შემუშავებული და ასევე წარმატებით განახორციელებენ მის მენეჯმენტს. ეს უკანასკენელი კი თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე მაღალი დონის მარკეტინგულ მართვას მოითხოვს. სწორედ აქედან გამომდინარეობს განათლების მარკეტინგის საჭიროება, უფრო მეტიც, აუცილებლობა.

განათლების სფეროში, მარკეტინგული მიდგომა მრავალ პრობლემასთანაა დაკავშირებული, რომელთაგან უპირველესი დაფინანსების საკითხია. ტრადიციულად, განვითარებულ ქვეყნებშიც კი, განათლება იყო და რჩება უპირატესად სახელმწიფო სტრუქტურების ყურადღების და მხარდაჭერის ობიექტად. მისი დაფინანსება ხდება სახელმწიფოსა და ადგილობრივი მართვის სტრუქტურების მიერ. ცოდნის ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ნახტომისებურად ვითარდება საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი, სადაც ხშირ შემთხვევაში მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას. ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა 2012 წელს ჩატარებული ეროვნული გამოცდების შედეგებით. მაგრამ მარკეტინგული მართვის დანიშნულება სწორედ ის არის, რომ შედეგები ერთჯერადი სიგნალები არ იყვნენ კორპორაციულ(უნივერსიტეტების) მართვაში და წარსულის მოგონებებად არ დარჩნენ. მათ სჭირდებათ ანალიზი, მოვლენათა მიზეზ–შედეგობრივი შესწავლა და გამოტანილი დასკვნების საფუძველზე განვითარების გეგმების (სტრატეგიული) შემუშავება და რეალიზება. ერთ მცირე მოცულობის ნაშრომში, რა თქმა უნდა, ყველა პრობლემის სიღრმისეული გააზრება გაჭირდება, მაგრამ შევეცდებით შევეხოთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს.

მარკეტინგული ურთიერთობების რეალურ მონაწილეებს წარმოადგენენ არა მარტო საგანმანათლებლო დაწესებულებები, არამედ მომხმარებლები (ცალკეული პიროვნებები, ორგანიზაციები, დაწესებულებები), შუამავლების ფართო წრე (დასაქმების სამსახური, შრომის ბირჟები, რეგისტრაციის ორგანოები, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ლიცენზირება და აკრედიტაცია და სხვ), ასევე საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რომლებიც მონაწილეობენ ბაზარზე საგანმანათლებლო მომსახურების წინწაწევაში.

საგანმანათლებლო მომსახურების მარკეტინგის სუბიქტებს შორის დიდ როლს თამაშობენ სტუდენტები, მათი პიროვნული მხარე. ისინი საგანმანათლებლო მომსახურების უბრალო მატარებლები არ არიან, არამედ მის ერთადერთ საბოლოო მომხმარებელს წარმოადგენენ. საგანმანათლებლო მომსახურების სწორი რეგულირებისათვის მომხმარებელი ორგანიზაციების ფუნქციები მოიცავს: შუამავლების, საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ცალკეული პიროვნებისათვის მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას; განსაკუთრებული მოთხოვნების წაყენებას საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხზე; მათ მონაწილეობას საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის შეფასებაში; გაწეულ მომსახურებაზე ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, რომელიც გარდა ხელფასის სახით ანაზღაურებისა, შეიძლება განხორციელდეს მოტივაციის სხვა ფორმებითაც.

ქართულ რეალობაში აღნიშნულის უზრუნველყოფა სათანადო დონეზე ვერ ხდება. ამის აღნიშვნის საფუძველია უნივერსიტეტების მხრიდან მომხმარებლისა და შუამავლებისათვის არასწორი და დაგვიანებული ინფორმაციის მიწოდება; უნივერსიტეტების ელექტრონული გვერდების არასწორი ადმინისტრირება (არასრული ინფორმაცია, განუახლებელი გვერდები და სხვ.). 2007–2010 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს წამყვანი 13 უნივერსიტეტიდან საუნივერსიტეტო ელექტრონული გვერდის დროულ განახლებას ახდენდა მხოლოდ 5%, დანარჩენში კი განთავსებული იყო არასრული ინფორმაცია, რაც მომხმარებლის სწორ არჩევანს ართულებს. აღნიშნული ფაქტი არასასურველია ასევე მარკეტინგული კუთხითაც. არასწორი ინფორმაციის ბაზაზე რთულდება სწორი ანალიზის გაკეთება და რეკომენდაციების მიცემა.

განათლების მარკეტინგის მნიშვნელოვანი ობიექტია **ტერიტორიის მარკეტინგი.** მომხმარებლისათვის (სტუდენტები) მნიშვნელოვანია ის, თუ სად მდებარეობს საგანმანათლებლო დაწესებულება. რამდენად უსაფრთხო და ადვილია უნივერსიტეტამდე მგზავრობა. არის თუ არა ეს დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული და, რამდენად იზრდება სტუდენტისა, თუ თანამშრომლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი? ერთობლივი პროგრამების განხორციელებისას, ტერიტორიასთან ერთად, სტუდენტებისათვის (და არა მხოლოდ სტუდენტებისათვის) აქტუალური ხდება საცხოვრებელი პირობებიც. მიუხედავად მძლავრი მატერიალურ–ტექნიკური ბაზისა, საქართველოს უნივერსიტეტების

უმრვლესობას(გარდა სახელმწიფო უნივერსიტეტებისა) არ გააჩნიათ საერთო საცხოვრებელი, რაც ართულებს ერთობლივი სასწავლო და გაცვლითი პროგრამების განხორციელებას, ზრდის უნივერსიტეტის ხარჯებს, რაც, საბოლოოდ, საფასო პოლიტიკაზე აისახება.

საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიული საკითხი ნაკლებ პრობლემატური ხდება, თუ უნივერსიტეტს აქვს პროფესორ–მასწავლებელთა კარგი რენომე და ჰყავს, პროფილის მიხედვით, ამა თუ იმ დარგში მოღვაწე ცნობილი სახეები, მეცნიერები. მათი არსებობა უზრუნველყოფს უნივერსიტეტში ახალი, ინოვაციური პროდუქტის შექმნას (კვლევითი პროგრამები, ინოვაციები, პატენტები და სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროდუქტი).

განათლების მარკეტინგის ყველაზე შრომატევადი და პრობლემატურია ბრენდის შენარჩუნება და ამავდროულად ბაზრის გაფართოების პოლიტიკის განხორციელება. ეს ის თემაა, რომელიც კომპლექსურად მოიცავს შემდეგ საკითხებზე ოპერირებას:

- მყარი კონკურენტული უპირატესობის შექმნა;
- სწავლების ხარისხი და სასწავლო–მეთოდური მასალების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- მომხმარებლის მოთხოვნათა დიფერენცირება – საფასო პოლიტიკის პრობლემები;
- დიფერენციაცია რეგიონებისა და საგანმანათლებლო პროდუქტის მიხედვით;
- მიწოდების ხარისხისა და კონკურენტუნარიანი ფასების შესაბამისობა;

მოცემული კრიტერიუმების მიხედვით ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს (შეირჩა 20 წამყვანი სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტი), რომ უნივერსიტეტების უმრავლესობას განათლების მარკეტინგისადმი კომპლექსური მიდგომები არ გააჩნია. სახელმწიფო უნივერსიტეტებისათვის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელია მათი იურიდიული სტატუსი და სახელმწიფოს მიერ დადგენილი „კონკურენტული ფასი“. მარკეტინგული ხედვიდან გამომდინარე ეს არამომგებიანი პოლიტიკაა, რადგანაც გრძელვადიან პერიოდში სახელმწიფო უნივერსიტეტები ვეღარ შეძლებენ მოთხოვნების შესაბამის მიწოდების უზრუნველყოფას. „მისაღები“ ფასებიდან გამომდინარე, იზრდება კონტიგენტი, რომელთათვისაც საკმარისი აღარაა არსებული მატერიალურ–ტექნიკური ბაზა; ადმინისტრაციის მთელი ყურადღება მიმართულია ამ პრობლემის მოგვარებაზე, მაგრამ მეორე, უფრო მნიშვნელოვანი –ადამიანური რესურსი – ყურადღების

გარეშე რჩება. იმის გამო, რომ მთელი რესურსი მიემართება ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვისათვის არასაკმარისი რაოდენობითაა მომსახურე პერსონალი, პროფესორ–მასწავლებელთა ხელფასები არ იზრდება, უფრო მეტიც, დიდი ნაკადის გამო, ხდება მრავალრიცხოვანი ჯგუფების შექმნა, პროფესორ–მასწავლებელთა ხელფასი კი იგივე რჩება. რეალურად კი, მცირდება – თუ 30 კაციან ჯგუფში ლექციის ჩატარებაზე ლექტორი იღებს 20 ლარს საათში, მისი ანაზღაურება არ იცვლება 50 და 100 კაციანი ჯგუფების შემთხვევაში, სადაც სტუდენტების რაოდენობა 2–ჯერ და 3–ჯერ მეტია. ეს კი პირდაპირაა დაკავშირებული სწავლების ხარისხთან, რაც გრძელვადიან პერიოდში მის გაუარესებას იწვევს. ამ შემთხვევში შესაძლოა დაიწყოს კადრების დენადობა. საბოლოოდ კი ამას ბრენდის რეალური დაკარგვა მოყვება. ანკეტირებული გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე (გამოკითხულ იქნა 6 წამყვანი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები), სტუდენტთა 65%–მა აღნიშნა, რომ სწორედ სახელმწიფო გადასახადია ის ფაქტორი, რის გამოც მათ აირჩიეს სწავლის გაგრძელება ამ ტიპის უნივერსიტეტებში; 21%–ისათვის პრიორიტეტული ისევ რჩება უნივერსიტეტების სახელმწიფო სტატუსი, ხოლო 14%–მა კითხვას ზუსტი პასუხი ვერ გასცა.

სხვა სურათი იკვეთება კერძო უნივერსიტეტების შემთხვევაში. აქ მიდის ფასისმიერი კონკურენცია და იმიჯს კარგავს ის, რომელიც ამავდროულად არ განაგრძობს ბრენდზე ზრუნვასა და ინოვაციური პროდუქტის დანერგვას.

უნივერსიტეტებისათვის, რომლებიც ბრენდის მართვას მაღალ დონეზე უზრუნველყოფენ, მაღალი ფასი საშიში არაა. უბრალოდ, ეს ორი მახასიათებელი მაქსიმალურად შესაბამისობაში უნდა იყოს ერთმანეთთან;

სამწუხაროდ, საქართველოს რეალობაში ჯერ კიდევ არის ის კერძო უნივერსიტეტები, რომლებიც დაბალი ფასებით ცდილობენ გაუძლონ კონკურენციას და გადაფარონ ხარისხის დაბალი მაჩვენებელი. გამოკითხვის შედეგებით ასეთი უნივერსიტეტების რაოდენობა საქართველოს განათლების მომსახურების ბაზარზე ჯერ კიდევ მაღალია და 35%–ს აღწევს.

დასასრულს შევეხებით კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს უნივერსიტეტების მარკეტინგის პრობლემებიდან, რომელიც **დისტრიბუციას** ეხება. აქ შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი ამოცანა:

1. გასაღების პოლიტიკის ოპტიმიზაცია;

2. კომუნიკაციის პოლიტიკის პრობლემები;
3. მარკეტინგული კვლევების პრობლემები

პირველი ორი, მეტნაკლებად ხორციელდება უნივერსიტეტებში, თუმცაღა არსებობს გარკვეული ხარვეზები, ხოლო რაც შეეხება მესამეს, უნდა აღვნიშნოთ, რომ სიღრმისეული სახის კვლევები უნივერსიტეტების 95 პროცენტში არ ტარდება.

უნივერსიტეტების უმრავლესობა კმაყოფილდება მხოლოდ პირველკურსელთა გამოკითხვით, ხოლო რაც შეეხება კურსდამთავრებულთა გამოკითხვას - ის ზედაპირულია და ფორმალურ ხასიათს ატარებს.

უნივერსიტეტების კონკურენტუნარიანობისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი და აუცილებელია შრომის ბაზრის შესწავლა, ამ მიმართულებით კვლევები და მათი შედეგების გათვალისწინება საგანმანათლებლო პროცესში. ხარისხის გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სტუდენტები გამოიკითხონ ყოველსემესტრულად, ხოლო კურსდამთავრებულები - სწავლის დასრულებიდან სამი, ექვსი და თორმეტი თვის განმავლობაში. ამ შუალედებით მიღებული გამოკითხვის შედეგები უფრო ზუსტ სურათს მოგვცემს განვითარების სტრატეგიაში კორექტივების შესატანად და შემდგომი გეგმების შესამუშავებლად.

განათლების სფეროში ქვეყნის მასშტაბით ჯერ არ მომხდარა სპეციალობების მიხედვით მოთხოვნის განსაზღვრის ერთიანი, კომპლექსური კვლევა. ჩვენ შევეცადეთ რამოდენიმე პირველწყაროზე დაყრდნობით შეგვესწავლა დღევანდელი მდგომარეობა და გაგვეკეთებინა რეტროსპექტული ანალიზი.

შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიებიდან, მოთხოვნის 58–62% მოდის ბიზნესის ადმინისტრირების ისეთ მიმართულებებზე, როგორებიცაა: ფინანსური მენეჯერი; ოპერაციათა მენეჯერი, მარკეტინგის მენეჯერი, პროექტების მართვის მენეჯერი(მათ შორის საერთაშორისო პროექტების), გაყიდვების მენეჯერი; კონსულტანტ-მენეჯერი; ოფისმენეჯერი; პერსონალური ბანკირი; ბუღალტერი; დირექტორის თანაშემწე და სხვ.

სურ. 1

2010–2011 წწ. შრომის ბაზარზე ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტებზე მოთხოვნა



სურ. 2*

2011–2012 წწ. შრომის ბაზარზე ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტებზე მოთხოვნა



2012 წლის ლტოლვილთა დანიის საბჭოს ეგიდით ჩატარებულ შრომის ბაზრის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ ბოლო წლებში სულ უფრო იზრდება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა. დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად დგინდება მათი კონკურენტუნარიანობის ძირითადი ინდიკატორები, რომელთაგან პირველ სამეულს წარმოების პერსონალის მაღალი პროფესიონალიზმი (23%); კონკურენტუნარიანი

* სქემები შედგენილია ავტორების მიერ www.Job.ge; www.jobs.ge; „საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდება“, USAID, 2011წ. „დასაქმების პროექტი“, USAID, 2010–2012 წ. – მასალების დამუშავების საფუძველზე.

პროდუქციის წარმოების ცოდნა (21%) და დაქირავებულთა ეფექტური მართვა წარმოადგენს (12%). ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ დღეისათვის სულ უფრო იზრდება ბიზნესის ადმინისტრირებით კვალიფიციურ სპეციალისტებზე მოთხოვნა; ინდუსტრიასა და სოფლის მეურნეობაში, ქვეყნის მასშტაბით, მოთხოვნადია პროფესიაზე ორიენტირებული, პრაქტიკული უნარჩვევების მქონე კადრი.

პროფესიული კადრების სწორად გამოყენება და მათი განვითარება კი ცოდნის მართვის საკითხს წარმოადგენს. ამ უკანასკნელზე მსჯელობა კი სამეცნიერო წრეებში მხოლოდ 2-3 წელია რაც დაიწყო.

ცოდნის მართვის კვლევისათვის ჩვენს მიერ შერჩეულ იქნა ორი მიზნობრივი ჯგუფი:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- კომპანიები

კვლევაში შერჩეულ იქნენ როგორც სახელმწიფო, ასევე კომერციული ორგანიზაციები (უმაღლესი სასწავლებლები; კომპანიები).

ჩვენთვის საინტერესო იყო, თუ როგორ და როდის ხდება ამ სტრუქტურებში ინფორმაცია გამოყენებადი? რა საერთო ნიშნებით ხასიათდებინ ისინი და რა არის მათ შორის განსხვავება? აღმოჩნდა, რომ საკვლევი ორგანიზაციების პირველ ჯგუფში გამოიყენება ყველა ტიპის ცოდნის მხოლოდ 20%, რომელიც „გამჭვირვალე“, ფორმალიზებული ხდება, ხოლო 80% გამოყენების გარეშე რჩება, რომელიც ფაქტიურად იკარგება და იღებს ე.წ. „ფარულ“ ხასიათს.

მეორე ჯგუფისათვის კი ფორმალიზებული ცოდნის ხვედრითი წონა 54% შეადგენს 46% კი ფარული ხასიათისაა.

ცოდნის გადაცემა ხდება ადამიანებს შორის ურთიერთობის შედეგად. ამ დროს ფორმირდება ერთი პროფესიული ინტერესების ქვეშ გაერთიანებული საზოგადოება, რომელთაც ერთი საერთო ინტერესი გააჩნიათ. სწორედ ადამიანთა ამ გარემომ უნდა შეუწყოს ხელი და შექმნას ყველა პირობა მათთვის, ვინც ეძებს ახალ ცოდნას. ცოდნის წყარო - იქნება ეს კონკრეტული ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფი თუ კორპორაციული ცოდნის ბაზა - ერთნაირად მისაწვდომი უნდა იყოს ცოდნის მაძიებლისათვის და უნდა ეფუძნებოდეს ნდობას.

მაგრამ ეს პროცესი რთულად ვითარდება უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უნივერსიტეტებში.

ცოდნის გადაცემა ორგანიზაციებში ხდება კომუნიკაციის საშუალებით. რომელთა რანჟირებაც, არსებული რეალობიდან გამომდინარე, შემდეგნაირად შეიძლება მოვახდინოთ: ***პერსონალური კომუნიკაცია; ჯგუფური კომუნიკაცია;*** ცოდნის მართვის კორპორატიული წყარო ანუ ***კომუნიკაცია IT ტექნოლოგების გამოყენებით.***

კვლევისას აღმოჩნდა, რომ სამივე მიმართულებით ცოდნის გადაცემის პროცესი არასათანადოდ ხორციელდება. ამის მიზეზები უმაღლეს დაწესებულებებში ძირითადად ინფორმაციის მონოპოლიზაცია, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, უმაღლეს სასწავლებელთა უმრავლესობაში პერსონალური და ჯგუფური კომუნიკაციის პრობლემებია. ანალიზმა გვიჩვენა, რომ საკვლევ ობიექტთა 57%-ში არ ხდება სიახლეთა, ინოვაციური მიდგომების, ახალი ცოდნის, ანუ ცოდნის შესახებ ინფორმაციის დროული და სრულყოფილად გადაცემა. ინფორმაცია მმართველობის შუა და ქვედა დონეებზე მიდის დაგვიანებით, ან საერთოდ არ მიდის, რის შედეგადაც არასათანადოდ წარიმართება ცოდნის ფორმირება და გავრცელება.

ანალიზიდან ჩანს, რომ ცოდნის შესახებ ინფორმაციის 100 პროცენტიანი გავრცელებიდან 34% მოდის ცოდნის შესახებ დაგვიანებით მიწოდებულ ინფორმაციაზე; 21% ეკუთვნის არასწორად მიწოდებულ (ბუნდოვან) ინფორმაციას; 35% არასრულყოფილად მიწოდებული ინფორმაციაა; 10% -ში მოხვდა ინფორმაცია, რომელსაც საერთოდ არ ფლობს ცოდნის მაძიებელი;

როგორც კვლევის შედეგებიდან გაირკვა ასეთი სურათის მიზეზები მრავალფეროვანია, რომელთა შორის ძირითადად დომინირებენ **არასათანადო მენეჯმენტი და მოძველებული მიდგომები.** ეს მიზეზები დასახელდა საკვლევ ობიექტთა იმ 57%-ში სადაც შედიან როგორც ე.წ. სახელმწიფო, ასევე კერძო ტიპის უმაღლეს სასწავლებლები. **IT ტექნოლოგიების** მიზეზით ცოდნის გავრცელებისა და გამოყენების დაბრკოლებები სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში 27%-ით გამოიხატა, ხოლო კერძო ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში მისი წილი 15% -ია.

რაგინდ სამწუხაროც არ უნდა იყოს, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ უმაღლეს სასწავლებელთა უმეტესობაში ჯერ კიდევაა შემორჩენილი მოძველებული მენტალობა. კონკურენციის პირობებში მათი სასიცოცხლო ციკლი სულ უფრო მეტად მცირდება.

ცოდნის გავრცელებისა და გამოყენების თვალსაზრისით თვალნათლივ გამოიხატა ასევე პრობლემები **ფინანსურ მენეჯმენტში.** როცა უნივერსიტეტების ფინანსური მენეჯმენტი მწირი ფინანსური რესურსების მიზეზით ვერ/არ აფინანსებს ცოდნის გამოყენების აქტივობებს სტრუქტურაში.

რადიკალურად განსხვავებული სურათია ბიზნეს სტრუქტურებში, რომელთა რიცხვში ჩვენ შევარჩიეთ საბანკო დაწესებულებები, სამრეწველო საწარმოები, სადაზღვევო კომპანიები და სავაჭრო ობიექტები.

აქ, ცოდნის გამოყენების კუთხით, ფართო და ინოვაციური სამუშაოები ტარდება, საბანკო სტრუქტურებში პერსონალური, ჯგუფური და IT ტექნოლოგიების საშუალებით კომუნიკაციების დონე მაღალია. ცოდნის გავრცელებისა და გამოყენების დამაბრკოლებელი მიზეზი ძირითადად როტაციების დროს მიმდინარე ხარვეზებია (21%), ხოლო დაბალი კვალიფიკაციის კადრების მიზეზით(რაც აღქმასთან დაკავშირებულ პრობლემებს ქმნის) ცოდნის გამოყენების დაბრკოლებაზე მოდის 11%;

რაც შეეხება სამრეწველო საწარმოებსა და სადაზღვევო კომპანიებს, აქ ცოდნის გავრცელების და გამოყენების ინტენსიური პროცესები მიმდინარეობს, თუმცა კორპორაციული ბაზების თვალსაზრისით ხარვეზები უფრო მეტად შეიმჩნევა. ფინანსური თვალსაზრისით, ეს მიზნობრივი ჯგუფი აფინანსებს ცოდნის გავრცელებასა და გამოყენებას იმ მასშტაბებით, რაც მათი ინტერესების სფეროში ხვდება.

გაცილებით რთული სიტუაციაა სავაჭრო ობიექტებზე, სადაც გამოკითხულთა 62%-სთვის უცხოა ცოდნის მართვის ცნება საერთოდ; 21%-ს (საშუალო დონის მენეჯმენტი) გაუგია მის შესახებ, მაგრამ პრაქტიკულად არ ფლობს მის ტექნოლოგიას; 15% - კი (ზედა დონის მენეჯმენტი) ამ ეტაპისათვის ვერ ხედავს მის საჭიროებას; 2%-ს მიეკუთვნება ისეთი სავაჭრო ობიექტები, როგორებიცაა: კარფური და გუდვილის ქსელი და რომელთა ზედა დონის მენეჯმენტი თვლის, რომ ცოდნის მართვის საკითხები მათ კომპანიებში ჩანასახის პროცესშია და ამის მიზეზად ისინი საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირების ხანმოკლე პერიოდს ასახელებენ.

დასკვნა

ნაშრომში ჩატარებულმა მცირე კვლევამ დაგვანახა უნივერსიტეტების კონკურენტუნარიანობისათვის, განათლების მარკეტინგის დროულობა და აუცილებლობა, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ



სურ. 3 განათლების მარკეტინგის საუნივერსიტეტო მოდელი

მოდელში შემავალი თითოეული კომპონენტი, ფასეულობათა ჯაჭვში, გარკვეული ღირებულებების მატარებელია: უნივერსიტეტის აუდიტის საფუძველზე შესაძლებელია მარკეტინგული ხარჯების და უნივერსიტეტის შემოსავლების ეფექტიანი განაწილება. უნივერსიტეტის ძალებით ფართომასშტაბიანი ღონისძიებების განხორციელება, რაც უნივერსიტეტის იმიჯის და რეპუტაციის მნიშვნელოვანი ელემენტია. ბრენდის გაფართოებას ხელს უწყობს ასევე გამოფენებსა და სხვადასხვა უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობა, კონფერენციებისა და ოლიმპიადების ორგანიზება და სხვ.

რაც შეეხება ფასების პოლიტიკას, აქ რამოდენიმე შესაძლო ვარიანტი შეიძლება განიხილოს უნივერსიტეტმა. ესენია: საინფორმაციო, საკონსულტაციო ექსპერტული მომსახურება, ლიზინგი, იჯარა; უმაღლესში ჩასაბარებლად სხვადსხვა სახის მოსამზადებელი კურსების ორგანიზება–განხორციელება; მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და სხვა.

კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობისათვის შესაძლოა პროგრამა „მინიმუმისა“ და „მაქსიმუმის“ შემუშავება. პირველი ითვალისწინებს პოტენციურ დამსაქმებლებთან უკუკავშირის დამყარებას და მის შენარჩუნებას, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა დასაქმებას და უნივერსიტეტის იმიჯის ამაღლებას. ხოლო პროგრამა „მაქსიმუმი“ ითვალისწინებს დამსაქმებლებისგან გარკვეული სახსრების მიღებას განვითარებაზე.

ანალიზმა ცხადყო, რომ გამოკითხული სტრუქტურების დიდი ნაწილი ინტელექტუალურ რესურსს არ განიხილავენ სტრატეგიულ ჭრილში. ბიზნეს პროცესები განიხილება ფინანსური შედეგების მიღების ჭრილში, რაც, რაღა თქმა უნდა, უკვე გუშინდელი სიტყვაა.

სტაბილური ფინანსური რესურსების უზრუნველყოფის და კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორად ინტელქტუალური რესურსები უნდა განიხილებოდეს. ნებისმიერი კომპანიისათვის ამოსავალი უნდა იყოს მუდმივი ზრუნვა განახლებასა და განვითარებაზე. კომპანიებმა აქტიურად უნდა მიმართონ საკუთარი ძალისხმევა ცოდნის გამოყენებასა და გავრცელებაზე; მარკეტინგული სამსახურის შექმნასა და კვლევების განხორციელებაზე; ინოვაციური ჯგუფების შემნასა და საქმიანობაზე. რადგანც მათი მუშაობის შედეგად ყალიბდება ახალი და მზარდი ინტელექტუალური რესურსი. დროა დავივიწყოთ დრომოჭმული ფრაზა ,,ხეზე ასვლის სწავლებასთან'' დაკავშირებით და მოვხსნათ ორგანიზაციის შიგნით ხელოვნური ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიან ცოდნის გამოყენებას ორგანიზაციაში. ამისათვის კი, პირველყოვლისა საჭიროა მაღალი ორგანიზაციული კულტურის შექმნა. ეს უკანასკნელი არ ნიშნავს მხოლოდ ორგანიზაციის ეთიკის კოდექსისა და ნორმების შემუშავებას. ორგანიზაციული კულტურის ქვეშ მოიაზრება კონკურენტუნარიანი სტრატეგიისათვის ფასეულობათა ჯაჭვის განსაზღვრა და მისი მიზანმიმართულად განხორციელება, რომლის შედეგადაც ხდება კონკურენტული პრიორიტეტების გამომუშავება და მიიღწევა მაღალი ფინანსური შედეგები.

ამდენად, ჩვენი აზრით, ნებისმიერი კომპანიისათვის ცოდნის მართვა ორიენტირებული უნდა იყოს შემდეგ კომპონენტებზე: ***ორგანიზაციული კულტურა; ცოდნის გამოყენება და კონკურენტუნარინობა.***

ცოდნის მართვის მაღალი შედეგების მისაღწევად, მიზანშეწონილია „ცოდნის რუკის“ საშუალებით, რომელიც ყველა კომპანიისათვის სპეციფიკურია. „ცოდნის რუკის“ გზით ხდება ახალი

ცოდნის ფასეულობის განსაზღვრა; ცოდნის გადაცემის არხების შექმნა; შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების, პროგრამების დანერგვა; „ცოდნის რუკა“ ორგანიზაციის ერთგვარ გეოგრაფიულ მოდელს წარმოადგენს, რომელზედაც მოცემულია ცოდნის მართვისა და გამოყენებისათვის საჭირო ყველა პროცესი - შეზღუდვებისა და დანახარჯების ჩათვლით;

ასეთი რუკების არსებობა აადვილებს კონტროლს ბიზნეს-პროცესებზე, სიახლეთა დანერგვაზე ახალი პროდუქტის შექმნისას მარკეტინგულ კვლევებზე, სამეციერო-საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარებაზე დუბლირებათა აღმოფხვრასა და ხარჯების შემცირებას.

ცოდნის გაცვლის შედეგად კომპანიის მომუშავეებს შესაძლებლობა ეძლევათ გამოიყენონ სხვების პრაქტიკული გამოცდილება, რაც ამცირებს შეცდომათა ალბათობას.

„ცოდნის რუკა“ უნდა იყოს საჯარო კომპანიისათვის, რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა მისაწვდომობას აუცილებელ ინფორმაციასთან და სრულყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესს; გადაწყვეტილებათა მიღების მოქმედი მეთოდებიდან განსხვავებით, ამ დროს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღება არა ერთპიროვ-ნულად, არამედ მთელი კოლექტივის ცოდნის გამოყენების შედეგად.

წარმოდგენილი მოდელი გვაძლევს ინფორმაციას იმ საკითხებზე, თუ რომელ ბიზნეს პროცესებზე უნდა მოხდეს ცოდნის რესურსების წარმართვა და რომელ ცოდნის რესურსებთან გვაქვს ამ დროს კავშირი. წარმოდგენილი სქემის გარდა, შესაძლებელია, ასევე შეიქმნას ცალ-ცალკე ბიზნეს პროცესებთან და ცოდნის რესურსებთან დაკავშირებული კონკრეტული (დეტალიზებული) რუკები.



სურ.4 ცოდნის რუკის ზოგადი მოდელი

ცოდნის რუქის შედგენის შემდეგ იწყება ცოდნის მართვის სამუშაოები, რომელიც ასევე რამოდენიმე ბლოკის სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

- ბიზნესის პერსპექტივები;
- მართვის პერსპექტივები;
- ოპერაციული ქმედებები პერსპექტივები

პირველი ბლოკი მოიცავს ცოდნის მართვის კორპორაციული სტრატეგიის შემუშავებას. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს ახალი ცოდნის აქტიურ გამოყენებაზე ახალი პროდუქტის შესაქმნელად;

ცოდნის მართვის მეორე ბლოკი მოიცავს ცოდნის მართვის პოლიტიკის საკითხებს; ცოდნის შექმნის, შეძენის, გადაცემისა და გამოყენების მართვას; მართვის პროცესების მონიტორინგს;

მესამე ბლოკი კი ორიენტირებულია პრაქტიკულ (ოპერაციულ) ქმედებებზე; აქ შედის ცოდნის მისაწვდომობის და ცოდნის შექმნის ანალიზური სამუშაოები; ინტელექტუალური კაპიტალის ფორმირების

სამუშაოები, რაც გულისხმობს ცოდნის შეძენის გზით ადამიანური რესურსების ფორმირებას; სამეცნიერო ან მსგავსი პროგრამების განხორციელება ცოდნის სისტემის შესაქმნელად; ცოდნის კავშირი ექსპერტულ ქსელთან; კონსულტაციები; სამუშაო ჯგუფებთან.

ცოდნის მართვის საკითხი მჭიდრო კავშირშია მომუშავეთა მოტივაციასთან, რომელიც არ ითვალისწინებს მხოლოდ მატერიალური სტიმულირების ფორმებს. აქ მნიშვნელოვანია სამუშაო მივლინებები; სტაჟირებები; სხვადასხვა სახის წამახალისებელი აქტივობები.

ვფიქრობთ, წარმოდგენილ საკითხებზე ფიქრი და ამ მიმართულებით სამუშაოების წარმართვა დადებით შედეგებს მოუტანს ქართულ ბიზნეს სტრუქტურებს, კომპანიებს, ორგანიზაციებს კონკურენტული პრიორიტეტების გამომუშავებაში; თავისუფალი კონკურენციის პირობებში მყარი პოზიციების მოპოვებაში ბაზარზე, რაც, რაღა თქმა უნდა, ასახვას ჰპოვებს შრომის ბაზრის კონიუნქტურაზეც.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ განათლების განვითარების გზით სიარული არის ის, რაც დაგვამკვიდრებინებს ადგილს ძლიერთა შორის.

მითითებული ლიტერატურის სია:

1. „საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდება“, USAID, 2011.
2. „დასაქმების პროექტი“, USAID, 2010–2012.
3. „რეგიონული შრომის ბაზრის კვლევები“, ILO/GIT (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და მიზნობრივი ინიციატივები საქართველოში), 2012.
4. „შრომის ბაზრის ანალიზი“, ლტოლვილთა დანიის საბჭოს კვლევები, 2012.
5. Вебер А.В., Данилов А.Д., Шифрин С.И. Knowledge-технологии в консалтинге и управлении предприятием. – СПб.: Наука и Техника, 2003.
6. Климов С. М. Интеллектуальные ресурсы общества. – СПб.:ИВЭСЭП, Знание, 2002.
7. Маринко Г.И. Современные модели и школы в управлении знанием , Вестник МГУ, 2004.
8. Нонака Икуджиро, Такеучи Хиротака. Компания – создатель знания. Зарождение и развитие инновации в японских фирмах / Пер. с англ. – М.: ЗАО «Олимп – Бизнес», 2003.

9. Экономика знаний / В. В. Глухов, С. Б. Коробко, Т. В. Маринина. – СПб.: Питер, 2003.
10. Ченцов А. О бизнесе образовательных услуг ; М. 2007.
11. Ahmed P.K. Lim K.K. Loh A.Y. Learning through Knowledge Management. London. 2002.
12. Earl M. Knowledge management strategies: Toward a taxonomy/ Journal of Management Information sistems, 18(1) 2001.
13. Furlog G. Knowledge Management and the Competitive Edge/ University of Greenwich Business School 2001.
14. Nonaka L. Toyuma R. Ronno N. SECI, Bo and Leadership: a Unifled Model of Dynamic Knowledge Creation / Long Range Planning, vol.33 (33) 2000.
15. www.jobs.ge.

ლ. ჩაგელიშვილი-აგლაძე
კ. ჩაგელიშვილი

განათლების განვითარების თანამედროვე მიდგომები

რეზიუმე

ქვეყნის მდგრადი განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია განათლებული საზოგადოება, რომლის საფუძველსაც ცოდნა წარმოადგენს. უკანასკნელი ორი ათეული წელია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ფართოდ განვითარების შედეგად, ცოდნის შეძენა და განათლების დაუფლება ფართოდ მისაწვდომი გახდა. სწორედ ამ დროიდან მსოფლიოს ფართო საზოგადოება საუბრობს ხელოვნურ ინტელექტსა და ცოდნის ეკონომიკაზე.

ნაშრომში განხილულია საგანმანათლებლო სფეროს მარკეტინგის მნიშვნელოვანი ასპექტები და ცოდნის მართვის სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების აქტუალური საკითხები.

ამ კუთხით, ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია ასაგანმანათლებლო სფეროს მარკეტინგის საუნივერსიტეტო და „ცოდნის რუკის“ ზოგადი მოდელები, მოცემულია ცოდნის მართვის საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

L. Chagelishvili-Agladze, K. Chagelishvili

Modern Approaches to Educational Development

Summary

Educated society is an important factor of sustainable development of the country, foundation of which is knowledge. It is already two decades that obtaining knowledge became widely accessible, as a result of scientific and technological progress and extensive development of Information Technologies. Since this time the world society has been speaking about artificial intelligence and knowledge economy.

The article covers actual aspects of education market. Based on the issues listed above, the authors suggest university marketing model in total educational sphere and give us general map of knowledge and recommendations on the issues of knowledge management.

დალი ჩიკვილაძე
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

ნიკო ნიკოლაძის „მოგონებათა“ პარადიგმები

ამ აპოკალიფსურ დროში ისტორიის ცოდნა ძალაა, ღონეა, ის ღონეა, რომლითაც უფლის ნებას უნდა აჰყვე და სიბოროტისგან თავი გადაირჩინო. გადარჩენის გზად წინაპარ მოაზროვნეთა მემკვიდრეობის შესწავლა გვესახება. ნიკო ნიკოლაძის ულევი სიბრძნის შემცველი მემკვიდრეობიდან ჩვენ „მოგონებებზე“ შევჩერდებით. მან ხანგრძლივი ცხოვრების შესახებ სხვადასხვა დროს დაწერილი ოთხი მოგონება დაგვიტოვა ფაქტებისა და მოვლენების ანალიზით დატვირთული „გარდასულ დღეთა“ გასახსენებლად. „მოგონებებში“ წარმოჩენილი წარსული ქართველი ხალხის მეხსიერებაა, იგი მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება და მეოცე საუკუნის 20-იან წლებამდე გრძელდება. ცნობილია, რომ პუბლიცისტიკა გარკვეულ დროში იქმნება, იგი კრიტიკული გონის გარეშე ვერ იარსებებს და ფაქტის, ან მოვლენის ანალიზით საზრდოობს, ამასთან უპრინციპო ეგოიზმს ვერ ეგუება. ამ „მოგონებებში“ გადმოცემული დრო ხანგრძლივია, გაწელილი, ბევრის ამსახველი, თანაც ერთობ საინტერესო, დღეს წარმოუდგენლად მიუწვდომელი. ცნობილია, რომ დროს ვერაფერი ამარცხებს, იგი მძლეთა მძლეა, დრო ზოგჯერ შედევრსაც მტვრად აქცევს და ახალ სასწაულს ქმნის, რომელიც ჟამთა ნასუფრალით ვერა და ვერ იკვებება...

დროში შექმნილი ნ. ნიკოლაძის ეს მეხსიერება („მოგონებების“ არეალი) დღემდე სისტემურად შეუსწავლელია, სამეცნიერო მიმოქცევაში ნაკლებად არის ასახული, მისი კეთილი კვალი განზოგადების მიღმა დარჩა; არადა, მას გაფრთხილება, დაფასება და გამოყენება უნდა, ქართულ ეროვნულ აზროვნებაში ჩართვა და კუთვნილი ადგილის მიჩენა სჭირდება, წინაპართა სულიერი ვიბრაციის ძალა რომ გავისიგრძეგანოთ, წარსულის ცოდნით შექმნილი „მოგონებები“ მოსაწყენად რომ არ გამოვაცხადოთ.

ბრძენს უთქვამს - წარსული დუმს, როცა მას აწმყო პატივისცემით არ ეპყრობაო. ეს დუმილი ხშირად დანაშაულია მომავლის წინაშე. ამიტომაც „მოგონებათა“ პარადიგმების გამოკვლევა ნ. ნიკოლაძის დროს გასწრებულობის კიდევ ერთხელ გამჟღავნების სურვილმა გადაგვაწყვეტინა.

მცირედი ნ. ნიკოლაძის ოთხი მოგონების შესახებ:

„წარსულიდან (ამ ასი წლის წინათ)“ - დაყოფილია ქვეთავებად. დასათაურებულია ეპიზოდების მიხედვით - „პირველი შთაბეჭდილებანი“, „მაშინდელი სკოლა“, „ახალ-ნერგი“, „ყირიმის ომის დროს“. ეს მოგონება ნ. ნიკოლაძეს 1927 წელს დაუწერია. მასში ნიკოლაძეთა გვარის სოფელ სკანდედან ქუთაისში დასახლების ისტორიაც არის მოთხრობილი, საოჯახო ტრადიციებზეც საუბრობს ავტორი.

მეორე მოგონების სათაურია „სტუდენტობის პირველი დრო“, რომლის დაწერის თარიღად 1879 წელია მინიშნებული. იგი თოთხმეტი თავისგან შედგება, თითოეულ თავს სხარტი წინათქმა ახლავს, დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში ლიდი რომ ჰქვია.

„მოგონებანი სამოციან წლებზე“ დაწერილია ლონდონში ყოფნისას 1923 წელს. ეს მოგონება რუსულ ენაზე დაიწერა, მაგრამ პირველად ქართულად გამოქვეყნდა 1924-1925 წლებში ჟურნალებში „კავკასიონი“ (1924 წ., №1-2), „ახალი კავკასიონი“ (1925 წ. №1-2), ხოლო 1927 წელს - რუსულ ჟურნალ „Каторга и ссылка“-ში დაიბეჭდა (№34-35). მოგონება თორმეტი თავისგან შედგება, 1861-1862 წლების პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტურ ცხოვრებას ეძღვნება, მათ „ამბოხებას“ მატრიკულების წესის შემოღების გამო და ქართველი სტუდენტების კრონშტადში გასახლებას (სხვა „მეამბოხე“ სტუდენტებთან და ლექტორებთან ერთად). მეოთხე მოგონებაა - „ნ. გ. ჩერნიშევსკის განთავისუფლება“ („სვიაშჩენნაია დრუჟინას“ მოლაპარაკება 1882 წელს პარტიასთან „ნაროდნაია ვოლია“). ეს მოგონება დაიწერა ჟურნალ „Былое“-ს თხოვნით. გამოქვეყნდა იმავე ჟურნალში 1906 წლის სექტემბერში. ეს პერიოდი რუსეთში რევოლუციის დამარცხების შუახანაა. ამ მოგონებას დიდი ინტერესი გამოუწვევია როგორც პროგრესულად განწყობილ ინტელიგენციაში, ისე რეაქციულად მოაზროვნე საზოგადოებაში. ცარისტული რუსეთის მთავრობისთვის ძალზე საჭირო ამ მოლაპარაკებას უშუალოდ ნ. ნიკოლაძე აწარმოებდა. იგი დიდხანს ვერ დაითანხმეს რეაქციულ „სვიაშჩენნაია დრუჟინასა“ და ხალხოსნურ „ნაროდნაია ვოლიას“ შორის უაღრესად სახიფათო და საპასუხისმგებლო მოლაპარაკების გამართვაზე. ნიკო ბევრს ყოყმანობდა, მაგრამ მთავრობა მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შემთხვევაში ნ. გ. ჩერნიშევსკის კატორღიდან განთავისუფლებას რომ დაჰპირდა, მთელი მონდომებით შეუდგა მისთვის პიროვნულად უსიამოვნო, მაგრამ დიდი რეზონანსის მქონე მოლაპარაკების წარმმართვას. ეს მოგონება ფაქტების სიზუსტითა და დოკუმენტურობით გამოირჩევა. გამოქვეყნების დროს მოლაპარაკების მონაწილე მთავარი პირები ჯერ ისევ ცოცხლები იყვნენ, რაც

მოთხრობილი ამბავის უტყუარობასა და კომპეტენტურობას ცხადჰყოფს. 1917 წელს ნ. ნიკოლაძემ პეტერბურგში ეს მოგონება მეორედ გამოსცა ისე, რომ არაფერი შეუცვლია, გარდა სათაურის გამარტივებისა. ამგვარად, ეს მოგონება ნ. ნიკოლაძემ ორჯერ გამოაქვეყნა, ორივეჯერ რუსულად; ქართულ ენაზე იგი თარგმნა აწ გარდაცვლილმა ქეთევან ბურჯანაძემ, რომელიც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი გახლდათ პროფ. დავით გამეზარდაშვილმა ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ნ. ნიკოლაძის კაბინეტის მიერ მომზადებულ „მოგონებების“ წიგნში დასტამბა 1984 წელს. ეს არის ფასეული გამოცემა, ერთად თავმოყრილია ნ. ნიკოლაძის ოთხივე მოგონება და მკითხველს აზიარებს წინააღმდეგობებით, რევოლუციებით, ევოლუციითა და ეკონომიკური ცვლილებებით აღსავსე რამდენიმე ათწლეულის ისტორიას, რომლის შუაგულში ტრიალებდა ეს ბუმბერაზი მოაზროვნე. იგი ხომ თვითონ ქმნიდა სამოქმედო დროს სიკეთისა და პროგრესისათვის, თავისი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის.

გარდასული დღეების გახსენების დროს ნ. ნიკოლაძე ერთ საინტერესო მოგონებას უტოვებს შთამომავლობას, ქუთაისის გიმნაზიაში სწავლისას მას უდიდესი სურვილი ჰქონია ბერად აღკვეცილიყო, სასულიერო პირი გამხდარიყო. იგი წერს: როდესაც სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი, ეკატერინე ჭავჭავაძის მეუღლე თბილისიდან ჩამოასვენეს, ქუთაისში მარტვილს დასამარხად რომ წაესვენებინათ, მთელი ქუთაისი კი არა იმერეთი, გურია და სამეგრელო დაესწრო ამ პროცესიას. „მე იმ დღეს დიდი ბედნიერება მერგო წილად: საშინლად მიყვარდა მთავარანგელოზის მაღალ სამრეკლოზე აფორთხვა და ზარების რეკვა. ნაბრძანები იყო, რომ დილიდან საღამომდე ზარების რეკვა არ შეწყვეტილიყო, სანამ დავითის კუბო ქუთაისს ესვენა“ (ნ. ნიკოლაძე გვ. 32).

დაღლილი დიაკვნები სიამოვნებით დათანხმებულან გიმნაზისტ ნიკოს ზარების რეკვაში მონაწილეობა რომ მიეღო, „გატაცებით ვატყობინებდი ყველას დიდი მთავრის გარდაცვალებასო“ - ასკვნის მოგონებათა ავტორი.

იმხანად იმერეთის ეპისკოპოსად ექვთიმე წულუკიძე დაუნიშნავთ, რომელიც ნ. ნიკოლაძის დედის - ელისაბედ ლორთქიფანიძის - ნათესავი ყოფილა. „მის წირვის დროს მე ხშირად სტიხარს მაცმევდნენ და არქიელის კვერთხს მაძლევდნენ, მის წინ სატარებლად. უნდა მოგახსენოთ, რომ... მე ზეპირად ვიცოდი არა თუ ყველა ლოცვები - მთელი წირვაც“ (ნ. ნიკოლაძე, გვ. 32). იმჟამად, - იგონებს ნიკო, - იმაზე დიდი

იდეალი მე არ მქონია, ბერად აღვკვეცილიყავ და გელათის მონასტერში მელოცა. თუმც გელათის მაცხოვრის თვალების დანახვაზე ხშირად შიშით მაკანკალებდაო (ნ. ნიკოლაძე, გვ. 32-33).

ნიკომ არამხოლოდ ყველა ლოცვა იცოდა ზეპირად, გათავისებული ჰქონდა წირვის მთელი რიტუალი, რაც დაუმტკიცებია კიდეც მოგვიანებით გურამიანთკარის ერეკლესდროინდელ ეკლესიაში ილია ჭავჭავაძესთან ერთად წირვის მსახურების ჩატარებით (რ. ნიკოლაძე, გვ. 137). დიაკვნად ამ ძველისძველ ეკლესიაში იონა მეუნარგია ყოფილა, რომელიც საგურამოში ნიკოსთან და ოლიკოსთან პარიზიდან დაბრუნების შემდეგ ჩასულა, ნიკოს მეგობრების დახმარებით ვიქტორ ჰიუგოსთან შეხვედრის ამბავი რომ გადაეცა ნიკოსთვის. „ხუცესის“ როლი ნიკოს დიდი წარმატებით შეუსრულებია, გიორგი წერეთელი მეფსალმუნედაც არ გამომდგარა მისი წვრილი ხმის გამო, ილიას კი იმ ღამეს მთელი მრევლი გაუოცებია თავისი მოულოდნელად გამოვლენილი ახალი ნიჭით. მას ამ ასპარეზზედაც უჯობნია.

ყველასათვის ჭეშმარიტად ეპისკოპოსური თავისდაჭერით და ხმის ნამდვილი მთავარდიაკვნური ათამაშებითო (რ. ნიკოლაძე, გვ. 137).

ნიკო ნიკოლაძეს რომ ანაფორა ჩაეცვა, როგორ გაღარიბდებოდა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების სააზროვნო სივრცე, საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესი, და ბევრი სხვა რამ, რაც ცოდნისა და რისკის ტრიუმფით გამორჩეულმა, უდოგმატობით საქვეყნო საქმის მკეთებელმა რეფორმატორმა ნიკო ნიკოლაძემ შემლო თავისი 85 წლის სიცოცხლის მანძილზე. მიტროპოლიტ კალისტრატე ცინცაძის გამოსათხოვარ სიტყვებს მოვიხმობთ: „განსხვავებული შემოსილი იყო თანამედროვე ცოდნით, დაუშრეტელი ენერგიით, რაინდული გამბედაობით... ამისთვის იყო, რომ დიდ ჯიხაიშსა და პერტოგრადში, ლონდონსა და პარიზში, ბერლინსა და სტამბულში ნიკო ერთნაირ და თანასწორუფლებიან მოქალაქედ გრძნობდა თავს და არავის წინაშე ქედს არ იხრიდა“ (მიტროპოლიტი კალისტრატე ცინცაძე).

ცნობილია, რომ ნიკო ნიკოლაძემ სწავლა ჯერ ქუთაისის გიმნაზიაში დაიწყო, შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო. „მოგონებებიდან“ ჩანს, რომ 1861 წლის 9 მაისს, ნიკოლოზობა დღეს, ტროიკით თვეზე მეტი რომ იმგზავრეს ქუთაისიდან პეტრეს ქალაქში, სამნი ჩასულან. ეკლესიის წინ, ხიდის ყურესთან, დიდი თავყრილობა დახვდათ ახალჩასულებს. ქუჩა ხალხით იყო გატენილი. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, უსაქმო და საქმიანი აღტაცებით უცქერდა, თუ როგორ მიჰქონდა მდინარე

ნევას სახლის ოდენა ყინულები ზღვისკენ, როგორ ეხეთქებოდნენ ხიდის ბურჯს ეს გოლიათი ყინვის ლოდები და მაისის მზის შუქზე ალმასის მტვერი როგორ ფარავდა შემოგარენს, ზოგგან ცისარტყელას მშვენიერებით რომ ალამაზებდა ნევის ნაპირს. „მაგრამ ჩვენგანი ამაებას, აბა, ვინ ათხოვებდა ან თვალს, ან ყურადღებას? რისი პარადი, სადაური მყინვარები. გასტუდენტება გველოდა - მეთქი ვასილის კუნძულზე!“ (ნ. ნიკოლაძე, 43-44).

ამ დროს თექვსმეტი წლის იყო ნ. ნიკოლაძე. „ტანადობითაც ისე პატარა ვიყავ, რომ ყველა „ციდანახევარს“ მიძახოდაო“, - იგონებს იგი (ნ. ნიკოლაძე, გვ. 44), ერთ ადამიანურ დაკვირვებასაც სთავაზობს მკითხველს: უცხოეთში „ეძებ ვის მიეკედლო, ვის დაუძმობილდე შენიანს, რომ ამ წყეული მარტოობის ძალას მოერიო. ნათესავათ იქცევა მაშინ შენთვის ყოველი შენი ქვეყნის შვილი, ოღონდ კი ხელი არ გკრას და თავიდამ არ მოგიშოროს“ (იქვე, გვ. 45). ნიკოს ერთი დაკვირვებაც საყურადღებოდ გვეჩვენება: იგი ერთმანეთისგან განასხვავებს ენერგიულ და „ხასიათიან“ ადამიანებს. ენერგია შინაგანი ძალის მსგავსიაო - წერს, - კაცს მოსვენებას არ აძლევს. ენერგიით სავსე კაცი ხან ღობეს ედება, ხან ყორეს, მიიწევს მიზნისაკენ. „ის თვითონ კი არ მიდის მიზნისკენ, მიზანი მიიტაცებს იმას თავისკენ“. სულ სხვაა „ხასიათი“, მას ადამიანი თავის თავში ზრდის. ყველას არ შეუძლია ენერგიული გამოვიდეს, მაგრამ ყველას შეუძლია „ხასიათი“ შეიძინოს, ალაგმოს თავის თავში ზოგიერთი მიდრეკილება და გააძლიეროს სხვა. „ის ემორჩილება მარტო თავის გონებას, მაშინ როცა ენერგიის მქონე კაცი მარტო თავის ვნებას (страсть) ემონება. პირველი მოქმედებს და გრძნობს ტვინით, მეორე კი - გულით“ (ნ. ნიკოლაძე, 66-67). ამრიგად, ხასიათს გული იმუშავებს, ენერგიას - ტვინი. ეს ორივე თვისება, ნ. ნიკოლაძეს საჭიროდ მიაჩნია საზოგადოების წინსვლისათვის: „ზოგი დროა, როცა საზოგადოებას „ხასიათიანი“ მსახურნი სჭირია, ზოგი კი იმისთანა დრო დადგება ხოლმე, როცა ენერგიული პირები აუცილებლათ საჭირონი და მეტის მეტად გამოსადეგნი არიან... მდიდარი და ბედნიერი საზოგადოება ის არის, რომელსაც ორნაირივე ქმნილებები ბლომათ ჰყავს“ (იქვე, გვ. 67).

ერთგან „მოგონებებში“ ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ თუ ვინმეს წიგნი „მოეძიებოდა“ ქუთაისში ქართულ და რუსულ ენებზე, თავაუღებლად ვკითხულობდი, ავისა და კარგის დიდად გამრჩევი არ ვიყავი, ჭკვიანურსა და ბრიყვულს ერთნაირად „ვყლაპავდიო“. „კითხვა ჩემთვის საჭიროებას შეადგენდა, იმისთანა საჭიროებას, ურომლოთაც გაძლება არ შემეძლო“ (იქვე, გვ. 76).

ფრიად საინტერესო ლექციებით დაიწყო ნ. ნიკოლაძის სტუდენტური ცხოვრება ვასილის კუნძულებზე განლაგებულ უნივერსიტეტში. იგი ისმენდა გამოჩენილი მოაზროვნეების ლექციებს, როგორიც იყო კოსტომაროვი, უკვე ასაკში შესული, მაგრამ დიდი ენერგიისა და ცოდნის მქონე ორატორი, რომლის ლექციაზე ბუზის გაფრენას გაიგონებდიო. სრულიად განსხვავებულად კითხულობდა ლექციას სტასიულევიჩი, რომელიც სწრაფად, სხარტად, გადაბმულად, მომღიმარედ და დაშაქრულად ყვებოდა სათქმელს. სპასოვიჩის ლექცია კი თავისი ეშხით, ცეცხლით, ჟესტიკულაციით, თითების ტრიალით დაამახსოვრდა ნიკო ნიკოლაძეს. თავბრუდახვეული გამოდიოდა მისი ლექციიდან.

„საუბედუროთ, ან საბედნიეროთაც, - აღნიშნავს იგი, - ერთ კვირასაც არ დამცლია ლექციების ყურის გდება“. 1861 წლის სექტემბრის სტუდენტურ გამოსვლებში მონაწილეობისათვის ნიკო ნიკოლაძე დაატუსაღეს, ჯერ პეტრე-პავლეს ციხესა, შემდეგ კრონშტატის ყინულოვან ყაზარმებში უკრეს თავი... ძველი სამხედრო გემით დაპატიმრებულები პეტრე-პავლეს ციხიდან ოთხი საათის ცურვის შემდეგ კრონშტადს გადაიყვანეს, სადაც საოცარი შეხვედრა მოუწყვეს დატუსაღებულთ: მიუხედავად საშინლად ცუდი დარისა, ციხის კარებთან „უღმერთოთ მორთული“ ქალბატონების გრძელი რიგი იდგა ყვავილებით ხელში. „ჩვენსკენ მოდიოდა ყვავილების თოვლი... ან კი საიდან იშოვეს ამ დროს ამდენი ყვავილები, საოცარია. ამის შემდეგ წამების ჯვარი უკვე აღარ გვამძიმებდა... ვაი, რომ ჩვენს მემკვიდრეებს „მოძრაობის“ საქმეში, აღარ ხვდებოდენ ასეთის პატივით. მათთვის ტუსაღობა აღარ იყო დღესასწაული“ (ნ. ნიკოლაძე, გვ. 124).

კრონშტადის ყაზარმა იმდენად სუფთა, მოსახერხებელი და სასიამოვნო ყოფილა, გეგონებოდათ სასახლეში დაგვასახლესო, - აღნიშნავს ნ. ნიკოლაძე. კრონშტადის ყაზარმაში გატარებულ ორ თვეს მისი ცხოვრების უბედნიერეს დღეებს უწოდებს და ტუსაღობა დღესასწაული იყოო, - განუმარტავს მკითხველს.

კრონშტადში ყოფნას და იგნატ პიოტროვსკისთან გამართულ საუბრებს ნ. ნიკოლაძე მადლიერებით იგონებს: ი. პიოტროვსკიმ უდიდესი გავლენა მოახდინა, „ჩემს უწესრიგო, და გაურჩეველ ნაკითხობაში შეიტანა ერთგვარი წესი და მისცა ის ჩონჩხი და გაშუქება, რომელიც მე სწორად მეჩვენებოდა“ (ნ. ნიკოლაძე, გვ. 126), ნ. ნიკოლაძემ ი. პიოტროვსკისგან ისწავლა, რომ დღეს მთავარი ბრძოლაა, აღარ არის ხანგრძლივი სწავლის დრო, ჰაერში უნდა იჭერდე მეცნიერების მიერ გამოყვანილ „დასკვნებს“. „ჩვენ ხომ პროფესორებათ არ ვემზადებით,

არამედ „მოქალაქეებად“ და ჩვენთვის სრულებით საკმარისია დასკვნები, ჩვენთვის ზედმეტია თითონ სამზარეულო, სადაც მეცნიერება მზადდება“ (ნ. ნიკოლაძე, გვ. 125).

ი. პიოტროვსკისგან შეიტყო ნიკომ პირველად ნიკოლოზ ჩერნიშევსკის შესახებ. მან ურჩია წაეკითხა ჩერნიშევსკის ნარკვევები - „Гоголевский период русской литературы“. ეს წერილები ყველა განათლებულმა ადამიანმა უნდა გაიცნოსო. ნ. ჩერნიშევსკის და თ. დობროლიუბოვის შრომები სასტიკად იკრძალება, მაგრამ თანამედროვე სოციალიზმის დებულებებს გულდაჯერებით გვაცნობსო. ამ საუბრებმა ნ. ნიკოლაძის „ნაკითხობას“ სულ სხვა, უფრო ღრმა მნიშვნელობა მისცა.

ი. პიოტროვსკი მეტად ნერვიული და მგრძნობიარე ადამიანი ყოფილა. „ჩერნიშევსკი მეტად ფრთხილია. დობროლიუბოვის მაგიე-რობას ის ვერ გასწევსო“, ხშირად იმეორებდა თურმე ი. პიოტროვსკი.

ნ. ნიკოლაძის „მოგონებებში“ ნიკოლოზ ჩერნიშევსკის სახელი მაშინ იხსენიება, როდესაც „არეულობაში“ მონაწილე უნივერსიტეტელებს მშობლების თავდებობა მოსთხოვეს, რომ მათი შვილი არ გაიმეორებდა მსგავს საქციელს, წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერსიტეტიდან გარიცხვა არ ასცდებოდა. ნიკო მამამისს ამ თავდებობას ვერ სთხოვდა, ამიტომ ამოეწერა სტუდენტური სიიდან, გაიხადა სტუდენტური სამოსი, ჩაიცვა ჩოხა და აკაკი წერეთელთან გადასახლდა, რომელიც გარეუბანში ცხოვრობდა. იშვიათად გამოდიოდა გარეთ, რათა მეეზოვეს თვალში არ მოხვედროდა. ნიკო დაეწაფა „სოვრემენნიკის“ ძველი ნომრების შესწავლას, ახალ ნომრებს კი - გატაცებით კითხულობდა, ამასთან რუსულ ჟურნალ-გაზეთებსაც დიდი ინტერესით ეცნობოდა. ერთხელაც, დეკემბრის სუსხიან დღეს, მის ჭიშკართან ეტლით ორი ქალბატონი გაჩერდა. ერთ-ერთმა - ნ. ჩერნიშევსკის მეუღლემ - ოლგა სოკრატეს ასულმა, საშობაო დღესასწაულისთვის ნიკოლაძეს ჩოხა სთხოვა. ამ შემთხვევამ ნიკო ნ. ჩერნიშევსკის შეახვედრა და 1862 წლის ზაფხული პავლოვსკში ჩერნიშევსკების ოჯახის გვერდით გაატარა. იქ ხვდებოდა მაღალი კურსების ქართველ სტუდენტებს, „ახოვანი, ლამაზი ყმაწვილები, მშვენიერ ტანისამოსით მორთულნი, წვერით, რომელიც მაშინ მოდაში იყო, და დავარცხნილი თმებით გარიბალდისებურად“... (134). უნივერსიტეტი პეტერბურგში ისევ დაკეტილი იყო, მთავრობა დიდხანს ცდილობდა უნივერსიტეტის „დადუმებას“, პეტერბურგი მოუსვენარი ახალგაზრდებისაგან რომ გაეწმინდა, რათა იძულებულნი გამხდარიყვნენ, რომ პროვინციის უნივერსიტეტებში გადასულიყვნენ.

ნიკო იგონებს, რომ გაიხსნა „თავისუფალი უნივერსიტეტი“, სადაც სახელოვანი პიროვნებები აგრძელებდნენ ლექციების კითხვას. ეს უნივერსიტეტი ძალზე პოპულარული იყო, ბევრი ახალგაზრდა ესწრებოდა გამართულ სხდომებს. „თავისუფლების სუნი“ ტრიალებდა ჟურნალ-გაზეთების მიერ გამოქვეყნებულ მასალებში, ცენზურის ხელი თითქოს შესუსტებულიყოო, - წერს ნიკოლაძე. „ჩვენ ვფიქრობდით გაგვეგრძელებინა ამგვარად მეცადინეობა შემოდგომამდე, როცა, ჩვენის აზრით, უნდა გახსნილიყო, უნივერსიტეტი, მაგრამ „კაცი ბჭობდაო“... (ნ. ნიკოლაძე, გვ. 139).

მარტის დასაწყისში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე პირველად გამოვიდა საზოგადოების წინაშე ნ. ჩერნიშევსკი მოგონებებით თ. დობროლიუბოვზე. იგი საუბრობდა დინჯად, მორიდებით, თითქოს მეგობარს ესაუბრებაო. „არავითარი თეატრალობა, არავითარი სურვილი მსმენელთა ყურადღების მიპყრობისა, მითუმეტეს მათი გატაცებისა, აქ არ ჩანდა. მან ერთხელაც არ აიმაღლა ხმა. არცერთი ჟესტი არ იხმარა. ყველაფერი უბრალო იყო” (გვ. 140). ყველაზე მეტად იმან გაგვაკვირვაო, იგონებს ნ. ნიკოლაძე, რომ არცერთი სიტყვა არ დასცდენია ხალხის შევიწროვებაზე, არავითარი დასკვნა არ გამოუთქვამს ხელისუფლების მიმართ. ნ. ჩერნიშევსკი თითქოს გამოცვალეს, მოაზროვნე, რომელიც თავს ესხმოდა ჟურნალ-გაზეთებში პირველხარისხოვან მინისტრებს, უხმაუროდ ადგა და გავიდა დარბაზიდანო, გულისწყვეტას ვერ მალავს ნ. ნიკოლაძე. საზოგადოების გაოცება დიდი იყო იმიტომაც, რომ მეორე დღეს დაიბეჭდა გაზეთში, რომ ჩერნიშევსკი სტვენით გააცილეს დარბაზიდან, რადგან იგი უზრდელად იქცეოდა, კათედრაზე გაითხლაშაო. ნ. ნიკოლაძე გაოცებულია ამ არასწორი ინფორმაციით. „არავითარი სტვენა არ ყოფილა იმ საღამოს არც ჩერნიშევსკისა და არც სხვის მიმართ“. მალე პეტერბურგის საზოგადოებისთვის ნათელი გახდა, რომ საჯარო კითხვების ბევრი მონაწილე პროფესორი, მათ შორის პ. ვ. პავლოვი, უმაღლესი ბრძანებით სატახტო ქალაქიდან გააძევეს და შორეულ გუბერნიაში გაასახლეს „კადნიერი გამოსვლის გამო“. მხოლოდ მაშინ ვაპატიედ ჩვენ ჩერნიშევსკის მისი სიფრთხილე და მივხვდით, რომ თავის დაჭერით მან თავი მოარიდა ამავე ბედს“ (ნ. ნიკოლაძე გვ. 141).

ერთ საყურადღებო ინფორმაციასაც მოვიხმობთ ამ მოგონებიდან. უნივერსიტეტის გახსნას და ლექციების აღდგენას პეტერბურგში არავინ ფიქრობდა. ივნისის აუტანელი სიცხეების გამო ჩნდებოდა საშინელი ხანძარი სხვადასხვა უბანში. როცა ცეცხლი

გაუჩნდა ფიცრულების უსწორმასწორო სავაჭრო რიგს ფონტანკიდან ბოლშაია სადოვოიამდე, ე.წ. „ტოლკუჩი რინოკს“, ხმა დაირხა, რომ ამ ცეცხლს უნივერსიტეტის სტუდენტები აჩაღებენო. ასეულობით ვაჭრის მთელი ქონება დაიწვა. „იყო კიდეც რამდენიმე შემთხვევა, როცა მხეცურად გაუსწორდნენ ყოვლად უდანაშაულო სტუდენტებს, რომელთაც ბრბომ სტაცა ხელი ქუჩაში, ცეცხლში ჩააგდო და თან ზევიდან ანთებული შეშა დააფარა“. ნ. ნიკოლაძემ რამდენიმე სტუდენტთან ერთად გადაწყვიტა მრავალრიცხოვანი სტუდენტთა რაზმის შექმნა, ისინი სტუდენტური ქუდებით მიეშურებოდნენ ცეცხლის გაჩენის ადგილზე და მთელი მონდომებით აქრობდნენ მას, „რათა დაემტკიცებინათ ხალხისათვის, რომ სტუდენტები არათუ ცეცხლის წამკიდებლები, არამედ მისი ჩამქრობები არიან“ (ნ. ნიკოლაძე, გვ. 150). ისე გავშავდიო - წერს ნიკოლაძე - რომ ჩემი ცნობა ძნელი იყო. მაინც მიუხედავად ყოველივესი რამოდენიმეჯერ კინაღამ ცოცხლად არ დამწვესო... „მაინც ვერ გავაქარწყლეთ ხალხში გავრცელებული ხმა“. ერთხელ, ცეცხლის მორიგი ჩაქრობის დროს პოლიციელმა ნიკო დააპატიმრა უბნის უფროსთან წალაპარაკების გამო. როდესაც ხალხმა სტუდენტურქუდიანი დაკავებული დაინახა, იფიქრა „ცეცხლის წამკიდებელი“ დაიჭირესო და კინაღამ ცეცხლში უკრეს თავი. ახალგაზრდა ხელოსანი რომ არ გამოსარჩლებოდა და არ დაედასტურებინა, რომ უბნის უფროსს უსაყვედურა, ხალხს რატომ სცემო, „უსათუოდ დამწვავდნენ, რადგან ხალხმა ჩემი თავი უკვე გამოგლიჯა პოლიციელებს ხელიდან და ის-ის იყო ცეცხლში მიპირებდნენ ჩაგდებასო“ (ნ. ნიკოლაძე, გვ. 150).

ნიკოს თვალით დანახული ნ. ჩერნიშევსკი საინტერესოდ გვეჩვენება: „ჩერნიშევსკი იყო შუატანისა, ბლონდინი, ბეცი, ოქროს სათვალეებით. დადიოდა ყოველთვის ძალიან სწრაფათ, აჩქარებით, დილიდან შუაღამემდე სულ მუშაობაში იყო გართული. ახლობლების სიტყვით, მან არავითარი გართობა არ იცოდა; არ დადიოდა არც თეატრში არც კონცერტებზე, არც კლუბში და არც ნაცნობებში. კარტი, რომელიც იმხანად მაინც მეტად გავრცელებული საყოველთაო გასართობი იყო, არც კი იცოდა როგორ დაეჭირა ხელში. რაღა მოსახსენებელია, რომ იგი არათუ არ სვავდა, არამედ თამბაქოსაც არ ეწეოდა... მან იცოდა, რომ დაიღუპებოდა, მაგრამ არ ეგონა, რომ ეს ისე მალე მოხდებოდა. ერთი რამ მაკვირვებდა მასში: ეს იყო მისი უზომო რწმენა, რომელიც მეც კი გადაჭარბებულად მეჩვენებოდა, რწმენა სიმართლის უძლეველი ძალისა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ყოველივე, რაც გონიერია, უძლეველია ბოლოს და ბოლოს, რომ

პროგრესი შეუჩერებელი და უკვდავია. და კიდევ, - მას ჰყავდა ერთი ფეტიში - ხალხი. რახან ხალხში ერთხელაც არის გადავარდა ჭეშმარიტების თესლი, შეუძლებელია მას არ დახვდეს იქ კეთილი ნიადაგი: იგი აუცილებლად ამოვა და მოიტანს დიდ მოსავალს, სასარგებლო ნაყოფს“ (ნ. ნიკოლაძე, გვ. 153).

დაპატიმრებამდე ნ. ჩერნიშევსკის შესთავაზეს ფული და პასპორტი, სხვისი სახელით მას შეეძლო საზღვარგარეთ წასვლა, მაგრამ კატეგორიული უარი განაცხადა. ნ. ჩერნიშევსკის სწამდა რომ „ემიგრანტად გახდომით ის მოსწყდება რუსეთს, მის საზოგადოებრივ მაჯისცემას და უკან ჩამორჩენილი გადაიქცეოდა უსაქმო ყბედად, ბუზღუნათ. ამ სიტყვებმა თვითონვე გადამარჩინეს შემდეგში ემიგრანტობისაგან“ - აღნიშნავს ნ. ნიკოლაძე.

პეტერბურგში სწავლების ჟამი დასრულებულიყო, უნივერსიტეტი დაკეტილი, საჯარო ლექციები დახურული, „სოვრემენიკი“ - აკრძალული გახლდათ. ნ. ჩერნიშევსკი და მისი ოჯახი პეტერბურგში აღარ იყო. „დრო იყო სახლში წასვლისა. მოთხრობების წერა და კითხვა სახლშიაც შეიძლებოდა... ჩავალაგე ჩემს ნათელი ფერის ჩემოდანში ჩემი წიგნები და იმ დღესვე გამოვუდექი შორეულ გზას”, - გულდაწყვეტილი და დაფიქრებული ამთავრებს ნიკო ნიკოლაძე ამ მოგონებას (ნ. ნიკოლაძე, გვ. 158).

მაინც ვინ იყო ნიკო ნიკოლაძე - აზრისა და საქმის გოლიათი, ევროპული განათლებით ქართულ ცხოვრებაზე მოფიქრალი, ჭაბუკობიდან აღსასრულამდე მასშტაბური, რომლის ნაწერებიდან უკიდეგანო აზრი მოედინება. როგორ მოახერხა სამ ფორმაციაში ეცხოვრა და ამდენი სიახლის შემომტან-დამნერგავი, ძველის გარდამქმნელ რეფორმატორი ყოფილიყო... გიკვირს და გიხარია, რომ ასეთი მამულიშვილის შთამომავალი ხარ, ვისთვისაც საქართველოს უკეთესი ბედი და ბრწყინვალე მომავალი იყო ის სანუკვარი საფიქრალი, რასაც სიტყვისა და საქმის კაცმა მთელი შეგნებული ცხოვრება შესწირა. ასეთ გამორჩეულ პიროვნებებს საჩინო ადგილზე უდგამენ ძეგლს!

მითითებული ლიტერატურის სია:

1. ნიკო ნიკოლაძე, მოგონებები, თბილისი, 1984.
2. რუსუდან ნიკოლაძე, ცხოვრების დიდ გზაზე, გამომც. „განათლება“, თბ., 1975.
3. დ. ჩიკვილაძე, დროსგასწრებული მამულიშვილი, თსუ-ს გამომც., თბ., 2003.

დალი ჩიკვილაძე

ნიკო ნიკოლაძის „მოგონებათა“ პარადიგმები

რეზიუმე

ნიკო ნიკოლაძის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილ “მოგონებებში” გადმოცემულია მისი სწავლისა და პიროვნებად ჩამოყალიბების ფრიად საინტერესო ეპიზოდები, პეტერბურგში სტუდენტური ცხოვრების ავ-კარგი, ნ. ჩერნიშევსკისთან ახლობლობა და ტუსაღობიდან მისი გათავისუფლებისათვის ბრძოლა.

D. Chikviladze

Paradigmes of ‘Reminiscences’ by Niko Nikoladze

Summary

The ‘Reminscences’ by Niko Nikoladze describes different interesting episides from author’s life: study, personal development, positive and negative aspects of student life in Peterburg, friendship with Chernishevski and the fight for his release from captivity.

ვარდენ ხვედელიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჩაის ფოთლის კატექინების კომპლექსის პრეპარატის ტექნოლოგიის შემუშავება და ფარმაკოლოგიური შეფასება

"მხოლოდ შინაგანი საქმეების გონივრულად და დამაკმაყოფილებლად მოგვარება უზრუნველყოფს გარედან მოსალოდნელ საშიშროებას და მოგვიტანს საგარეო დიდებას. რა დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი გამარჯვებები, მათი დიდება კვამლივით გაიფანტება, თუკი ჩვენ ჩვენს საკუთარ სახლში არ დავაკმაყოფილებთ აუცილებელ მოთხოვნებს, თუკი ხელს მივყოფთ საკუთარი ინტერესების სისტემატურ იგნორირებას, შევუქმნით ჩვენ თავს მრავალ ხელოვნურ სიძნელეს, მაშინ ეს გარემოება ადრე თუ გვიან სამხედრო წარმატებებზეც კი უდაოდ დამასუსტებელ გავლენას იქონიებს".

ნიკო ნიკოლაძე

დიდი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, სამოციანელთა თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელის ეს ციტატა განსაკუთრებით აქტუალური ხდება, როცა მავანთა უგუნური ქმედებით განადგურდა და განადგურების პირასაა მიყვანილი უდიდესი შრომის შედეგად გაშენებული ქართული ჩაის პლანტაციების ათასობით ჰექტარი.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის დეპარტამენტში დამუშავდა ჩაის ფოთლის ექსტრაქტოვანი ზეთისა და მის ფუძეზე სხვადასხვა ეტიოლოგიის ჭრილობების სამკურნალო ახალი მაღალეფექტური პრეპარატის, „თიოლი"-ს წარმოების ტექნოლოგია, მიმართული ტერორიზმისა და საგანგებო სიტუაციებში ქვეყნის სამედიცინო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად *(ხვედელიძე, 2004-2011).*

ჩაის ფოთლის ექსტრაქტოვანი ზეთის მიღების შემდეგ დარჩენილ შროტში თითქმის მთლიანადაა შენარჩუნებული წყალხსნადი ფენოლური ბუნების ნაერთები (არსებულის არანაკლები 90 %), ძირითადად, კატექინების კომპლექსის სახით. მათ ბაზაზე ამჟამად მუშავდება ძლიერი ანტიოქსიდანტური, ანტირადიანტული, ანტიტოქსიკური აქტიურობის სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების პრეპარატი *(ხვედელიძე, 2009-2011).* წინამდებარე ნაშრომი აღნიშნული პრობლემის ძირითადი შემადგენელია.

უკანასკნელ წლებში ინტერესი ჩაის მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა მასში ძლიერი ანტიოქსიდანტების მაღალი შემცველობის გამო. ჩაის ძლიერი ანტიოქსიდანტური აქტიურობა განპირობებულია, ძირითადად, კატექინებით, რომლებიც მნიშვნელოვანი

რაოდენობითაა, განსაკუთრებით, ჩაის მწვანე ფოთოლში. კატექინების ჯამური შემცველობა ფოთოლის ხარისხის მიხედვით 6-დან 15%-მდე მერყეობს, რაც საკმაოდ შთამბეჭდავი მაჩვენებელია.

მიუხედავად ჩაის კულტურის ათასწლოვანი ისტორიისა, მცენარეული ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების დიდი უმრავლესობა (მათ შორის კატექინების კომპლექსი) ექსტრაჰირებით მიიღება. მეცნიერულად დღემდე დადგენილი არ არის ის ძირითადი ფაქტორები და დონეები, რომლებიც მოქმედებენ ნედლეულიდან კატექინების გამოსავლიანობასა და ექსტრაქტის ხარისხობრივ და რაოდენობრივ შედგენილობაზე, არ არის ჩამოყალიბებული კატექინების კომპლექსის მიღების რაციონალური ტექნოლოგიური სქემა, პროდუქტის სასაქონლო სახე და შენახვის პირობები.

ფენოლური ნაერთების (კატექინების) უნიკალურად მაღალი კონცენტრაცია და ძლიერი ანტიოქსიდანტური აქტიურობა ჩაის ფოთოლს ხდის არა მარტო მაღალი პროფილაქტიკური მნიშვნელობის ძვირფას კვების პროდუქტად, არამედ ადამიანის ყველაზე უფრო გავრცელებული დაავადებების ბუნებრივ სამკურნალო საშუალებებად. იმ დაავადებებისა, რომელთა პათოგენეზშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს თავისუფალი რადიკალური ჟანგვის, კერძოდ, ლიპიდური პეროქსიდაციის აქტივაცია. კატექინების კომპლექსის ფუძეზე ეფექტური სამკურნალო საშუალებების შექმნის შესაძლებლობას აფერხებს მისი შედარებით დაბალი ხსნადობა და ორგანიზმში ცხოვრების მცირე ხანგრძლივობა. შესაბამისად, ჩაის კატექინების უფრო ხსნადი და ხანგრძლივად მოქმედი პრეპარატების მიღება და წარმოების საფუძვლების შექმნა მეტად პერსპექტიული და აქტუალური საკითხია.

ნაშრომის მიზანია ჩაის ფოთლის კატექინების კომპლექსის ოპტიმალური ექსტრაჰირებით ძლიერი ანტიოქსიდანტური, ანტიტოქსიკური და ბიოლოგიური გამაღიზიანებლების საწინააღმდეგო მოქმედების უსაფრთხო პრეპარატის (სუბსტანცია) წარმოების მეცნიერულად დასაბუთებული ტექნოლოგიური ხერხების და ნორმების, საწარმოო პროცესების კონტროლის, მზა პროდუქტის ფარმაკოლოგიური შეფასებისა და სტანდარტიზაციის მეთოდების შემუშავება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, დავისახეთ შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტა:

– ჩაის ფოთლის კატექინების კომპლექსის მიღება

ლაბორატორიულ პირობებში და მისი ფიზიკურ-ქიმიური ანალიზი;

- კატექინების კომპლექსის მიღების ტექნოლოგიური სქემის შემუშავება;
- წარმოების ოპტიმალური რეჟიმების დადგენა;
- კატექინების კომპლექსის პრეპარატის სტანდარტიზაციის მეთოდის შემუშავება და მოქმედების ფარმაკოლოგიური შეფასება.

ექსპერიმენტისათვის გამოიყენებოდა ჩაის მწვანე ფოთოლი, რომელშიც ნაზი ფრაქციის შემცველობა მერყეობდა ფართო დიაპაზონში (20–დან 90%–მდე). ჩაის ნიმუშებს ვუტარებდით ფიქსაციას წყლის ორთქლით, საერთოდ მიღებული წესით, 130 ^0C ტემპერატურაზე 3...4 წუთის განმავლობაში და ვაშრობდით საშრობ კარადაში 75...85 ^0C ტემპერატურაზე არაუმეტეს 8-9 % ტენიანობამდე. ქიმიური ანალიზი უტარდებოდათ ლაბორატორიულ და საწარმოო ექსპერიმენტის შედეგად მიღებულ ექსტრაქტებს ტექნოლოგიური ოპერაციების მსვლელობის პროცესში. ფარმაკოლოგიურ შეფასებას და სტანდარტიზაციას ექვემდებარებოდა ჩაის ფოთლის ფენოლური ნაერთების 50 %-იანი თხევადი კონცენტრატის - კატექინების კომპლექსის პრეპარატი.

ჩაის ფოთლისა და შროტის ექსტრაქტების ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების შესწავლას ვახდენთ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (ISO-International Organization for Standardization).

საწყის ეტაპზე, შეირჩა ოპტიმიზაციის პარამეტრები. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, ესენია: კატექინების კომპლექსის ექსტრაქტის ანტიოქსიდანტური აქტიურობა (AOA), რომელიც განისაზღვრება „ცვეტიაუზა–01-აა“ ხელსაწყოზე, როგორც გამოსაკვლევი კონცენტრატის და სტანდარტული ნივთიერების სიგნალების თანაფარდობა. სტანდარტულ ნივთიერებად ავიღეთ კვერცეტინი; ოპტიმიზაციის მეორე კრიტერიუმად მივიღეთ ჩაის შროტიდან ექსტრაქტული ნივთიერებების გამოსავლიანობა, რომელიც გადაანგარიშდება როგორც ერთი ტონა ჩაის საექსტრაქციო შროტიდან მიღებული მშრალი ბიოლოგიურად აქტიური კონცენტრატის რაოდენობა – Э, კგ/ტ. ოპტიმიზაციის მეორე კრიტერიუმის მიღება განპირობებულია კიდევ იმ მოსაზრებითაც, რომ მის სიდიდეზეა დამოკიდებული ჩაის მიღებული თხევადი კონცენტრატის ფიზიკურ–ქიმიური მახასიათებლები და ტექნოლოგიურ–კომერციული სახე. რეალურად გვესახება ჩაის ანტიოქსიდანტური აქტიურობის თხევადი

პრეპარატის საწარმოო ექსპერიმენტისათვის პროცესების ოპტიმალურობა შევაფასოთ კიდევ ერთი, ეკონომიკური კრიტერიუმით, რომელიც ითვალისწინებს ერთი ტონა ჩაის საექსტრაქციო შროტის გადამუშავებაზე გაწეულ ენერგოდანახარჯებს E, დოლარი/ტონა.

ლაბორატორიული ექსპერიმენტებისა და სხვადასხვა მცენარეული დაკონცენტრირებული ექტსრაქტების წარმოების მრავალწლიანი გამოცდილების გათვალისწინებით ექსპერიმენტის დაგეგმვის მატრიცაში შევიდა ოთხი ფაქტორი: ექსტრაქციის ტემპერატურა $t, {}^0C$; ექსტრაქციის ხანგრძლივობა τ, წთ; წყლისა და შროტის მასური თანაფარდობა n, ლ/კგ; ჩაის შროტის საწყის ნედლეულში ნაზი ფრაქციის ხვედრითი წილი $H,\%$, ხოლო, რაც შეეხება ექსტრაქციის პროცესში საექსტრაქციო მასის პულსაციის საკითხს, აქ დავეყრდნობით ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგებს და მივიღებთ ოპტიმალურ მუდმივ სიდიდეებად რხევების ამპლიტუდის სიდიდეს 1 მმ და რხევების სიხშირეს 3 წ$^{-1}$–ის ტოლს. რხევებს ვანხორციელებთ პერიოდულად ყოველ 10 წუთში 1 წუთის განმავლობაში. ექსპერიმენტის დაგეგმვის მატრიცად გამოვიყენეთ ცენტრალური კომპოზიციური როტატაბელური გეგმა, რომელიც ყველაზე უფრო მოსახერხებელია ექსპერიმენტით დასახული მიზნის რეალიზაციისათვის.

ექსპერიმენტის დაგეგმვის შერჩეული მატრიცის რეალიზაციამ არაარსებითი ეფექტების გამორიცხვის შემდეგ საშუალება მოგვცა, საბოლოოდ, ჩაის ფოთლის კატექინების კომპლექსის პრეპარატის წყლით ექსტრაქციის ტექნოლოგიური პროცესი წარმოგვედგინა შემდეგი სახის ადეკვატური რეგრესიის განტოლებებით კოდირებულ მასშტაბში:

$$\mathbf{AOA = 7{,}9 - 0{,}06X_1 + 0{,}07X_2 + 0{,}02\,X_3 + 1{,}0\,X_4 - 0{,}2X_1X_2 - 0{,}08X_1^2 -}$$

$$\mathbf{- 0{,}2\,X_2^2 - 0{,}6X_3^2;\ [S_{\text{ჩაი}}/S_{\text{ეტალონი}}]\ (1)}$$

$$\mathbf{Э = 231 + 10X_1 + 12{,}5X_2 + 6{,}3X_3 + 16{,}5X_4 - 2{,}5X_1\,X_2 + 3{,}8X_1X_4 - 6{,}3X_2X_4 +}$$

$$\mathbf{+ 3X_3X_4 + 3X_2^2 - 2X_3^2;\ [\text{კგ/ტ}]\ (2)}$$

$$\mathbf{E = 30{,}3 + 1{,}5X_1 + 1{,}1X_2 + 1{,}5X_3.\ [\text{დოლარი/ტ}]\ (3)}$$

(1), (2) და (3) განტოლებების კოეფიციენტების არსებითობა შევამოწმეთ სტუდენტის კრიტერიუმით, ხოლო მოდელების ადეკვატურობა – ფიშერის კრიტერიუმით. სტატისტიკური ანალიზის

შედეგები 0,95 ალბათობისათვის გვიჩვენებენ განტოლებების ადეკვატურობასა და ვარგისიანობას ნაშრომში დასახული მიზნის რეალიზაციისათვის.

(1), (2) და (3) რეგრესიის განტოლებებში ფაქტორების კოდირებული მნიშვნელობებიდან ნატურალურ მნიშვნელობებზე გადასვლას, ექსპერიმენტის პირობების გათვალისწინებით, ვაწარმოვებთ შემდეგი ფორმულებით:

$$x_1 = (t - 70)/10; x_2 = (\tau - 60)/10; x_3 = (n - 7{,}5); x_4 = (H - 50)/15. \quad (4)$$

როგორც ვხედავთ, ექსპერიმენტის ზღვრებში ყველა განხილული ფაქტორი მნიშვნელოვნად მოქმედებს ოპტიმიზაციის კრიტერიუმებზე. ამასთან ცხადია, რომ მისწრაფება ნაკლები ენერგოდანახარჯებით მიგვეღო ექსტრაქტი მაქსიმალური ანტიოქსიდანტური აქტიურობითა და მაქსიმალური ექსტრაქტული ნივთიერებების გამოსავლიანობით ერთდროულად შეუძლებელი აღმოჩნდა. საჭირო გახდა კომპრომისული ამოცანის დასახვა. შესაბამისად, ოპტიმიზაციის ამოცანის გადასაწყვეტად გამოვიყენეთ მიზნობრივი ფუნქციის ექსტრემუმის ძიების კლასიკური – ლაგრანჟის განუსაზღვრელ მამრავლთა მეთოდი და მივიღეთ შემდეგი ოპტიმალური ამონახსნი:

- ექსტრაქციის ტემპერატურა $x_1 = -0{,}5$; ან ნატურალურ მასშტაბში $t = 65^0 C$;
- ექსტრაქციის ხანგრძლივობა $x_2 = 0;$ ან ნატურალურ მასშტაბში $\tau = 60$ წუთი;
- «წყალი/შროტი» ფარდობა $x_3 = 0{,}5;$ ან ნატურალურ მასშტაბში $n = 8$ ლ/კგ.

ფაქტორების აღნიშნული მნიშვნელობისათვის, ოპტიმიზაციის კრიტერიუმებს ჩაის შროტის საწყის ნედლეულში ნაზი ფრაქციის ხვედრითი წილის გათვალისწინებით აქვთ სახე:

– ექსტრაქტის ანტიოქსიდანტური აქტიურობა

$$\text{АОА} = 4{,}4 + 0{,}066\ H;\ [S_{\text{ბზ}}/S_{\text{ეტ}}] \quad (5)$$

– ექსტრაქტული ნივთიერებების გამოსავლიანობა

$$\text{Э} = 175{,}2 + 1{,}09\ H;\ [\text{კგ/ტ}] \quad (6)$$

– ერთეული (1 ტ) ჩაის შროტის ექსტრაჰირებაზე გაწეული ენერგოდანახარჯები ოპტიმალურ პირობებში პრაქტიკულად მუდმივია და ტოლია E = 30,3 დოლარი/ტ–ის.

ამრიგად, ოპტიმიზაციის კრიტერიუმებზე *АОА* და *Э* მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩაის შროტის საწყის ნედლეულში ნაზი ფრაქციის ხვედრითი წილი H, %.

ჩაის შროტის ოპტიმალურ პირობებში ექსტრაქციისას ექსტრაქტში ექსტრაქტული წყალხსნადი ნივთიერებების კონცენტრაცია შროტის საწყის ნედლეულში ნაზი ფრაქციის ხვედრითი წილის მიხედვით შესაძლებელია განისაზღვროს განტოლებით:

$$ЭК = 2,5 + 0,016\ H,\ [\%] \qquad (7)$$

რაც სრულად შეესაბამება მცენარეული ნედლეულის წყლიანი ექსტრაქტების დასაკონცენტრირებლად არსებულ სერიული ვაკუუმ–ამაორთქლებელი დანადგარების საპასპორტო მონაცემებს, რომელთათვისაც დასაკონცენტრირებელი ექსტრაქტის ნომინალური კონცენტრაცია 2,8-3,2% –ს შეადგენს.

ჩაის შროტის წყლიანი ექსტრაქტის კონცენტრირებას საწარმოო პირობებში ვახდენდით ორკორპუსიან „ლანგ“–ის ტიპის უნგრული წარმოების ვაკუუმ–ამაორთქლებელ აპარატში წარმადობით 30 კგ 3%–იანი კონცენტრაციის ექსტრაქტი წუთში. ექსტრაქტის აორთქლების ტემპერატურა პირველ კორპუსში იყო 70 ^0C , ხოლო მეორეში – 50 ^0C . აპარატიდან გამოსვლის შემდეგ ექსტრაქტული ნივთიერებების კონცენტრაცია ექსტრაქტში შეადგენდა 29...31%–ს. ამის შემდეგ ტუმბოთი ექსტრაქტი გადაგვქონდა პერიოდული ქმედების ვაკუუმ აპარატში და 50-55 კპა ვაკუუმის ქვეშ 60-65 ^0C ტემპერატურაზე კონცენტრირდებოდა 50-55 %–მდე.

ჩაის წყლიანი ექსტრაქტებიდან განსხვავებით ჩაის შროტიდან მიღებული ექსტრაქტი განთავისუფლებულია პიგმენტების, ალკალოიდებისა და რიგი სხვა ორგანულ გამხსნელში ხსნადი ნივთიერებებისაგან და ადვილად ექვემდებარება დაკონცენტრირებას. ამას გარდა, გამორიცხულია ქაფის წარმოქმნის შესაძლებლობა.

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, ჩაის ფოთლის ორგანული გამხსნელით ექსტრაჰირების შემდეგ დარჩენილი შროტის წყლით ექსტრაქცია და ექსტრაქტის 50 %-მდე დაკონცენტრირება არ არის დაკავშირებული რაიმე სირთულესთან. ჩაის ფოთლის კატექინების კომპლექსის თხევადი პრეპარატის წარმოების

ტექნოლოგიური სქემა ნაჩვენებია ნახ. 1-ზე.

შემუშავებული ტექნოლოგიური სქემით მიღებული ჩაის ფოთლის კატექინების კომპლექსის თხევადი პრეპარატის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები შემდეგია:

- ექსტრაქტული ნივთიერებების მასური კონცენტრაცია - 501 გ/დმ^3;
- ფენოლური ნაერთების მასური კონცენტრაცია - 291,1 გ/დმ^3;
- კატექინების კომპლექსების ჯამური კონცენტრაცია - 151,1 გ/დმ^3;
- ანტიოქსიდანტური აქტიურობა (ეტალონი - კვერცეტინი) - არანაკლები - 6;
- სიმკვრივე - 1,09-1,13 გ/სმ^3;
- ფერი - გამჭვირვალე მოყვითალო მომწვანო, ღია;
- გემო - დამახასიათებელი მომწარო მწკლარტე;
- სუნი - არ შეიმჩნევა;
- ჟანგვისადმი მიდრეკილება - ადვილად იჟანგება ჟანგბადის არეში, სინათლისა და ტუტეების ზემოქმედებით და გარდაიქმნებიან ფერადი კონდენსაციის პროდუქტებად მაღალმოლეკულურ პოლიფენოლურ ფორმით;
- ფლუორესცენცირება - ულტრაიისფერი სხივებით ფლუორესცენცირდება და ხასიათდება ყვითელი მოყავისფრო ფლუორესცენციით;
- ხარისხობრივი რეაქციები - კატექინები ქმნიან ჟოლოსფერ-მოწითალო შეფერილობას 1%-იანი ვინილინის ხსნარში კონცენტრირებულ მარილმჟავაში;
- მძიმე მეტალების შემცველობა, არაუმეტესი $1{,}0 \cdot 10^{-4}$ %.

კატექინების კომპლექსის მიღებული პრეპარატის ფარმაკოლოგიური შეფასება საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. გამოკვლევების შედგები ცხადყოფენ, რომ 20-დან 0,009 მგ/მლ კონცენტრაციებამდე კატექინების კომპლექსის პრეპარატი ანტიმიკრობული აქტიურობით არ ხასიათდება;
2. ჩატარებული ცდების სერიების შედეგები გვიჩვენებენ, რომ ჩაის ფოთლის კატექინების კომპლექსის პრეპარატი ფლობს გამოხატულ მასტიმულირებელ მოქმედებას, რაც გამოისახა საფუარის ზრდასა და გამრავლებაში;
3. ჩაის ფოთლის კატექინური კომპლექსი არ მოქმედებს წვრილი ნაწლავების ხოლინდამოკიდებული შემცირების სიდიდეზე და, შესაბამისად, ასეთი პირობებისათვის არ ხასიათდება

სპაზმოლიზური აქტიურობით;

4. ჩაის ფოთლის კატექინების კომპლექსის პრეპარატი მწვავე ტოქსიკურობაზე გამოკვლევებით განეკუთვნება პრაქტიკულად არატოქსიკურ ნივთიერებებს კ.კ. სიდოროვის კლასიფიკაციით;
5. ჩაის ფოთლის კატექინების კომპლექსის ხანგრძლივი გამოყენებით საცდელი ცხოველების კანზე რაიმე სახის გართულებას ან ცვლილებას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, საცდელი პრეპარატი არ ხასიათდება ადგილობრივ-გამაღიზიანებელი აქტიურობით;
6. გამოსაცდელი სამკურნალო ფორმის გამოყენებისას რეაქცია შეფასდა 0 ბალით, ალერგიული დერმატიტის სიმპტომები არ გამოვლენილა.

სტანდარტიზაციას დაექვემდებარა კატექინების კომპლექსის მიღებული პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტიურობა და პრეპარატში კატექინების საერთო რაოდენობა. ორივე შემთხვევაში გამოვიყენეთ ამპერომეტრული მეთოდი. ანალიზს ვახდენდით ხელსაწყოზე „ცვეტიაუზა - 01 აა“. ანალიზისათვის პრეპარატს ვაზავებდით გასუფთავებულ წყალში 3%-იან კონცენტრაციამდე. შესადარებლად ვიღებდით ჩაის ფოთლის კატექინების ეტალონს, რომელიც წინასწარ მიიღება ჩაის მწვანე ჰაერმშრალი ფოთლისაგან.

კატექინების კომპლექსის შემცველობის ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრ.1-ში. ამასთან პრეპარატი მიღებულია ჰაერმშრალი ჩაის მწვანე ფოთლის ტრიქლორეთილენით ექსტრაქციის შემდეგ დარჩენილი შროტის ექსტრაქციის შედეგად წყლით ოპტიმალურ პირობებში. ჩაის საწყის ნედლეულში ნაზი ფრაქციის ხვედრითი წილი იყო 75%. მიღებული ექსტრაქტი კონცენტრირდებოდა ვაკუუმ-ამაორთქლებელ აპარატში ისე, რომ მისი დუღილის ტემპერატურა არ აღემატებოდა 70°C-ს, 50% კონცენტრაციამდე.

ცხრილი 1

პრეპარატში კატექინების კომპლექსის შემცველობის მეტროლოგია

№	კატექინების კომპლექსის შემცველობა, მგ/გ		
	X+ΔX	S	ε, %
1	128,1±2,2	2,67	6,25
2	129,8±3,1	2,88	7,15
3	130.5±2,8	2,70	6,68
4	131,1±2,9	2,77	7,04

კატექინების კომპლექსის თხევადი კონცენტრატის

ანტიოქსიდანტური აქტიურობის განსაზღვრის მეთოდიკა შემდეგია: ეტალონად ვიღებთ კვერცეტინის 3%-იანი წყალხსნარის ანტიოქისდანტურ აქტიურობას. გამოსაკვლევი ხსნარის ანტიოქსიდანტური აქტიურობა განისაზღვრება მიმდევრობით 5 დოზირების საშუალო არითმეტიკულით. მაგალითი მოცემულია ნახ.2-ზე. მოცემული მაგალითის მიხედვით გამოსაკვლევი ხსნარის ანტიოქსიდანტური აქტიურობა შეადგენს საშუალოდ 6,45 ერთეულს. ანალიზი ტარდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- 1 მლ კატექინების კომპლექსის თხევად პრეპარატს (50%-იანი წყალხსნარი) ვაზავებთ 1500 მლ გასუფთავებულ წყალში უშუალოდ ანალიზის წინ. პარალელურად ვამზადებთ კვერცეტინის 3%-იან ხსნარს წყალში;
- ხელსაწყოზე „ცვეტიაუზა - 01 აა“ ვსაზღვრავთ მიმდევრობით ხუთი დოზირების აღმწარმოებლობით (ჟანგვის დენის სიდიდით) როგორც საცდელი პრეპარატის, ისე ეტალონის სიგნალების სიდიდეს (ნახ.2);
- გამოსავლევი ნიმუშის ანტიოქსიდანტურ აქტიურობას კვერცეტინთან შედარებით გამოვითვლით როგორც

$$AOA = S_{\text{პრეპარატი}}/S_{\text{ეტალონი}},$$

რომლებიც აიღება მიმდევრობით 5 დოზირების სიგნალების საშუალო არითმეტიკულები.

ჩაის ფოთლის კატექინების თხევადი პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტიურობის (კვერცეტინთან მიმართებაში) მეტროლოგიური მახასიათებლები მოყვანილია ცხრ.2-ში.



ნახ.1. ჩაის ფოთლის კატექინების კომპლექსის მიღების ტექნოლოგიური სქემა

ცხრილი 2

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტიურობის მეტროლოგია
(ეტალონი + კვერცეტინი)

№	ანტიოქსიდანტური აქტიურობა, AOA=$S_{ნიმუშ}/S_{ეტალ.}$		
	X ± ΔX	S	ε, %
1	6,12±0,33	2,11	4,71
2	6,71±0,42	3,06	4,80
3	6,54±0,28	2,64	3,97
4	6,63±0,47	2,95	4,32

ამრიგად, ჩაის ფოთლის კატექინების თხევადი პრეპარატი წარმოადგენს ძლიერ ანტიოქსიდანტს, რომლის აქტიურობა კვერცეტინთან შედარებით 6-ჯერ მეტია (სხვა თანაბარ პირობებში). ამასთან, მისი განსაზღვრის მეთოდი მარტივია, მიმდინარეობს რეალურ დროში (სულ 2-3 წთ.) და არ საჭიროებს რაიმე სპეციალურ განათლებას.



ნახ. 2. კატექინების კომპლექსის თხევადი პრეპარატისა და კვერცეტინის 3 %-იანი წყალხსნარების 5 მიმდევრობითი აღმწარმოებლობების ქრომატოგრამები

ვ. ხვედელიძე

ჩაის ფოთლის კატექინების კომპლექსის პრეპარატის ტექნოლოგიის შემუშავება და ფარმაკოლოგიური შეფასება

რეზიუმე

ლაბორატორიულად დადგენილია ჩაის ფოთლის წყლით ექსტრაქციის პროცესის ოპტიმიზაციის პარამეტრები, მათზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები და ვარირების ინტერვალები. რეალიზებულია საწარმოო ექსპერიმენტის ცენტრალური კომპოზიციური როტატაბელური ოთხფაქტორიანი დაგეგმვის მატრიცა და მიღებულია პროცესის საანგარიშო ადეკვატური რეგრესიის განტოლებები.

ლაგრანჟის განუსაზღვრელ მამრავლთა კლასიკური მეთოდით გადაწყვეტილია კომპრომისული ამოცანა და მიღებულია ტექნოლოგიური პროცესების წარმართვის ოპტიმალური რეჟიმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნობრივი პროდუქტის მაქსიმალურ გამოსავლიანობას შესაძლო მინიმალური ენერგოდანახარჯებით.

დამუშავებულია ჩაის ფოთლის კატექინების კომპლექსის პრეპარატის წარმოების ტექნოლოგიური სქემა, დადგენილია პრეპარატის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები და მისი ხარისხის კონტროლის პარამეტრები.

V. Khvedelidze

Development of Technology and Pharmacological Evaluation of the Preparation of the Complex of Catechins from Tea Leaves

Summary

Laboratory parameters to optimize the extraction of tea seed meal with water, the main factors involved, their levels and ranges of variation are set. The matrix of the central composite rotatable production planning of the experiment and received adequate regression equation for process description are implemented.

The method of Lagrange multipliers compromise solved the problem and optimum modes of conducting the process that ensure maximum product yield with minimum energy consumption.

The technological scheme for production of the complex catechin tea leaves is made up, and physico-chemical characteristics of the drug and the parameters of its quality control are set.

ოთარ ჯანელიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიკო ნიკოლაძე და პოლიტიკური დისკურსი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

როცა ნიკო ნიკოლაძე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ევროპის სახელმწიფოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილეზე ქართულ პრესაში სტატიებს წერდა, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრების ავკარგს სიღრმისეულად აანალიზებდა, ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ გაივლიდა ხანი და მას თვითონვე მოუხდებოდა ჩაბმა ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის, საქართველოს დემოკრატიული განვითარების ფართო და საყურადღებო პოლიტიკურ დისკურსში.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ნიკო ნიკოლაძე მრავალი საზოგადოებრივი, ეროვნული თუ უფრო მასშტაბური საქმის თაოსანი, მესვეური, თვითმხილველი ან მონაწილე ყოფილა. ამის შესახებ უკვე საკმაოდაა დაწერილი. ბოლო დროს მიკვლეული პირველწყაროების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ ნიკო ნიკოლაძის გარეშე არც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას ჩაუვლია და რომ, ამ ცნობილ ქართველ სამოციანელს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტიც კი შეუდგენია (ჯანელიძე, 338-341).

ცნობილია ისიც, რომ ნიკო ნიკოლაძე თავისი ქვეყნის „წარმატების ღმერთს“ მაშინაც კი ემსახურებოდა, როცა ის „ყოვლად უსუსური, ყველასაგან მიტოვებული იყო და თავის მსახურისთვის მხოლოდ დარდისა და ტანჯვის მინიჭება შეეძლო (ნიკოლაძე 1996, 151-152) და, რა გასაკვირია, რომ ასეთი კაცი თავისუფალი და დამოუკიდებელი სამშობლოს სამსახურში მთელი არსებით ჩამდგარიყო. ნიკო ნიკოლაძე 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო მოღვაწე გახდა. თავის მხრივ, ჩვენი ქვეყნის სუვერენული ცხოვრების ამ სამმა წელმა უკანასკნელი თერგდალეულის ბიოგრაფიაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა და მას წარუშლელი კვალი დააჩნია.

წინამდებარე ტექსტში ცნება დისკურსი გააზრებულია, როგორც პოლიტიკური კომუნიკაციის ფორმა, ქვეყნისათვის საჭირბოროტო საკითხებზე კრიტიკული მსჯელობის, ერთიანი მიზნის მისაღწევად თანხმობისა და კონსოლიდაციის გზების ძიების, ეროვნული იდეის გამოკვეთის პროცესი, რომელიც საფუძვლად ედებოდა თანადროული

საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. პოლიტიკური დისკურსის სუბიექტებად განხილულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძირითადი პოლიტიკური პარტიები, რომელთაც საქართველოს დამფუძნებელ კრებაში თავიანთი საპარლამენტო ფრაქციები გააჩნდათ. ამასთან, პოლიტიკურ კომუნიკაციად ქვეყანაში პოლიტიკური ინფორმაციის მოძრაობაა წარმოჩენილი, რადგანაც ცივილიზებული ურთიერთობა ხელისუფლებასა და საზოგადოებას, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის და ამათუიმ საკითხზე მათი კონსენსუსი მხოლოდ ინფორმაციის გაცვლითაა შესაძლებელი (პოლიტიკური ..., 2011).

პოლიტიკური დისკურსი გარკვეული სახით ყველა ტიპის რეჟიმშია შესაძლებელი, მაგრამ, როგორც წესი, იგი დემოკრატიული სახელმწიფოსთვისაა დამახასიათებელი.

პოლიტიკური კომუნიკაციის სამი ძირითადი საშუალებიდან, რომელსაც თანამედროვე მკვლევართა უმრავლესობა გამოყოფს, ახლად წარმოქმნილ ქართულ სახელმწიფოში, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ორი სრულად გამოიყენებოდა. კერძოდ: ინფორმაციის გავრცელება პერიოდული პრესის მეშვეობით და კომუნიკაცია პოლიტიკური ორგანიზაციების ძალისხმევით.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაშვებული, უზრუნველყოფილი და აღიარებული იყო იდეური, სოციალური და პოლიტიკური მიმდინარეობების სიმრავლე. ქვეყნის დემოკრატიულ ბუნებას მასში დამკვიდრებული პლურალიზმი, მრავალპარტიულობა, საყოველთაო არჩევნები, მოქალაქეთა მიერ გადაწყვეტილების მიღებაში გარკვეული მონაწილეობა და თავისუფალი პრესა განსაზღვრავდა.

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში გამოიცემოდა პარტიული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, რელიგიური, ლიტერატურული, სამხედრო, სახელოვნებო და სხვა სახის ჟურნალ-გაზეთები ქართულ, რუსულ, სომხურ, გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ბეჭდური სიტყვა სახელმწიფოს მხრივ ყოველგვარი ჩარევისაგან თავისუფალი იყო. როგორც პოლიტიკური სპექტრის, ისე საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლები ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით გამოხატავდნენ საკუთარ შეხედულებებსა და მოსაზრებებს მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. აფასებდნენ, იცავდნენ ან აკრიტიკებდნენ ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის არჩეულ კურს, ცდილობდნენ გაევრცელებინათ თავიანთი თვალსაზრისი ფართო

საზოგადოებაში, ესწრაფვოდნენ დაერაზმათ სულ უფრო მეტი ადამიანი დასახული მიზნების მისაღწევად და სხვ. პერიოდული პრესა პოლიტიკური პარტიისათვის პერიფერიებთან დამაკავშირებელ უმთავრეს რგოლს წარმოადგენდა. იმავდროულად, იგი ძირითადი ტრიბუნა იყო პარტიის სიტყვის ხალხში გასავრცელებლად და ამომრჩევლის მისამხრობად.

უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი იყო ოთხი პოლიტიკური ძალა (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული და საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიები), რომელიც ქვეყანაში მცხოვრებ თითქმის ყველა ეთნიკური უმცირესობის დეპუტატებს აერთიანებდა, რაც სახელმწიფოსა და საზოგადოების დემოკრატიულობის, მისი ჰუმანურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია.

აღსანიშნავია, რომ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებაში წარმოდგენილ პოლიტიკურ პარტიათა თანაფარდობა (130 მანდატიდან 109 სოციალ-დემოკრატებს ეკუთვნოდათ) თითქმის სრულად შეესაბამებოდა ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა ბალანსს. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია (მენშევიკები) თავის რიგებში 80 ათასამდე წევრს მოითვლიდა, რაც რამდენჯერმე აღემატებოდა საქართველოში იმხანად არსებულ ყველა დანარჩენი პოლიტიკური ორგანიზაციის წევრთა საერთო რიცხვს. ამ პარტიას ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილის, ირაკლი წერეთლის, აკაკი ჩხენკელისა თუ სხვათა სახით არც აღიარებული ლიდერები კლებია, მაგრამ რამდენად გამოდგებოდნენ ისინი ქართული ეროვნული სახელმწიფოს მეთაურებად, რომლის საჭესთან სხვადასხვა გარემოების ძალით აღმოჩნდნენ?

მე-20 საუკუნის 10-იანი წლებისათვის საქართველოს თვალსაჩინო პოლიტიკური ელიტა და ევროპული ცოდნა-განათლებით აღჭურვილი ინტელიგენცია გააჩნდა. საერთო იდეის ირგვლივ მათი შეკავშირება, ძალთა გაერთიანება და უნისონში მოქმედება ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის წარმატების საგულისხმო საფუძველს ქმნიდა, თუმცა საზოგადოების პარტიული დანაწევრება, მსოფლმხედველობრივი თუ სოციალურ-კლასობრივი ნიშნით ურთიერთდაპირისპირება ამ შესაძლებლობას საგრძნობლად ასუსტებდა.

ჯერ კიდევ 1908 წელს ნიკო ნიკოლაძე ასეთ კითხვას სვამდა: „ეღირსება კი ოდესმე ჩვენი უბედური ქვეყანა, რომ მის საქმეთა სათავეში, მისი ბედის მეთაურად, მისი საჭიროების გამომხატველად, მისი ენერგიის წარმმართველად თანამედროვე ცოდნით შეიარაღებული წინამძღოლები ჰყავდეს?“ (ნაცვლიშვილი, 1).

გონიერ მოღვაწეს დიდად არც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სათავეში მდგომი სოციალ-დემოკრატები მოსწონდა. ერთი თანამედროვის მოგონების თანახმად, ნიკოლაძე „ხშირად ამბობდა, რომ მენშევიკები ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებენ, ქვეყანას ვერ გაუწევენ მესაჭეობას და ადრე იქნება თუ გვიან, თუ ესენი არ დაუკავშირდებიან კაპიტალისტურ ქვეყნებს - დაიღუპებიან“ (საქართველოს..., ფურც. 26).

ნიკო ნიკოლაძის, როგორც ოპოზიციური ძალის წარმომადგენელი დეპუტატისათვის, ხელისუფლების კრიტიკა თვითმიზანი არასოდეს ყოფილა. რაკი ქვეყნის ბედი, როგორც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრს, მასაც ეკითხებოდა, მართვაზე პასუხისმგებლობასაც მეტ-ნაკლებად იზიარებდა. დამფუძნებელი კრების ერთ-ერთ სხდომაზე იგი ასე მიმართავდა სოციალ-დემოკრატებს: როცა თქვენს საწინააღმდეგოდ გამოვდივარ, ამით ის კი არ მინდა, რომ „თქვენი პარტია და ჩვენი მთავრობა შევასუსტო. ... ჩემზე უფრო ერთგული მომხრე თქვენი პარტიის მმართველებისა და მისგან შექმნილი მთავრობისა, მგონია, თქვენს წრეშიაც ვერ მოიძებნოს“ (ჯანელიძე, 55).

იმის შეახებ თუ როგორ ესმოდათ ზოგადად ეროვნულ-დემოკრატებს ოპოზიციურობა, წარმოდგენას გვიქმნის გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული პარტიის მთავარი კომიტეტის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია: „ოპოზიციაში რომ ვართ, ეს იმას კი არ მოასწავებს რომ, რასაც მთავრობა წაახდენს, არ გვეწყინება ან, სადაც ჩვენი დახმარება საჭიროა, არ დავეხმარებით. ... მაგრამ, როდესაც ხედავ, რომ გაბატონებული პარტია სამშობლოს უფსკრულისაკენ მიაქანებს, შეუძლებელია, მხარი დაუჭირო. ... ოპოზიციაში იმიტომა ვართ, რომ მთავრობის დამღუპველი პოლიტიკა გამოვამზეურო და მაშასადამე მთავრობის მიერ ჩადენილი შეცდომები მისი ხელითვე გავასწორებინოთ“ (მთავარი ..., 1918, 2). ზუსტად ასეთივე აზრია გამოთქმული ეროვნულ-დემოკრატთა ერთ-ერთი იდეოლოგის ვასილ წერეთლის პუბლიკაციაშიც, რომელიც იმავე გაზეთში დაიბეჭდა: „ოპოზიციაში მიტომა ვართ, რომ არ შეგვიძლია ვიკისროთ პასუხისმგებლობა იმ პოლიტიკისათვის, რომელსაც

სოციალისტური მთავრობა აწარმოებს. ... ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობაა თვალი ავუხილოთ მთავრობასა და მისი შეცდომები ნათლად დავანახოთ“.

პარტიის ოპოზიციური საქმიანობა სხვაგვარად ჰქონდათ გააზრებული ფედერალისტებს. მიიჩნევდნენ, რომ ოპოზიცია არ იყო ვალდებული უმრავლესობისათვის „გეგმები ეძლია“. გეგმა-პროექტების შედგენა და განხორციელება, მათი აზრით, მმართველი ძალის კომპეტენციას განეკუთვნებოდა. ოპოზიციას ხელში „კრიტიკის მათრახი“ უნდა ჭეროდა და იმ შემთხვევაში აემოქმედებინა, თუ უმრავლესობა საქმეს სათანადოდ ვერ გააკეთებდა (დამფუძნებელი... 10).

საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილ პოლიტიკურ პარტიებს ოპოზიციურობის საკუთარი ნიშა გააჩნდათ. მემარცხენე ოპოზიცია (სოციალისტ-ფედერალისტები, ესერები) ხელისუფლებას სოციალიზმის პრინციპებიდან გადახვევისათვის აკრიტიკებდა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომლის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი საქართველოს ეროვნულ საბჭოსა თუ დამფუძნებელ კრებაში ნიკო ნიკოლაძე იყო, უფრო კონსტრუქციულ ოპოზიციას განეკუთვნებოდა. ის არ გაურბოდა მმართველ ძალასთან თანამშრომლობას, კრიტიკის პარალელურად, ქვეყნის სათავეში მდგომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და მთავრობას ცალკეულ საკითხზე ალტერნატიულ დასაბუთებულ შეხედულებას სთავაზობდა და ამ გზით ცდილობდა ზეგავლენა მოეხდინა მათ მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამას სასურველი შედეგი მოჰქონდა. ხელისუფლებამ გაიზიარა ეროვნულ-დემოკრატთა თვალსაზრისი და გლეხებს მიწის ნაკვეთები კერძო საკუთრებაში მიყიდვით დაუკანონა (ბენდიანიშვილი, 253).

ნიკო ნიკოლაძე დემოკრატიის პრინციპების მიმდევარი და განუხრელი დამცველი იყო. იგი დიდად აფასებდა ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოებისაგან სასამართლოს გამიჯვნას, ”იქ, სადაც სასამართლო და მისი განაჩენი ხალხის ნდობით სარგებლობს, მართლმსაჯულება მშვიდი ცხოვრების საფუძვლად იქცევა” (ნიკოლაძე, ნ. 2008, 437; 445).

ნიკო ნიკოლაძე აფრთხილებდა მმართველი პარტიის დეპუტატებს, თუ სასამართლოს წარმოებაში გაერევით, ამით ქვეყანაში სამართალს მოჰკლავთო: ასეთ შემთხვევაში „საქართველოს სასამართლოს დაარქმევენ სოციალ-დემოკრატიულ სასამართლოს, და არა ქვეყნის, - მთელი ერის სასამართლოსო“ და დასძენდა: „სიმართლე

ყველასათვის ერთი უნდა იყვეს. ერთი კაცისათვისაც კი თუ დაირღვა სიმართლე, ის სიმართლედ აღარ დარჩება“ (ჯანელიძე, 50; 63).

პოლიტიკური დისკურსის ორგანულ ნაწილად პოლიტიკოსთა საჯარო გამოსვლები მიიჩნევა. ამგვარი გამოსვლის მთავარი ასპარეზი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამფუძნებელი კრება იყო. კრების ტრიბუნას იყენებდა ნიკო ნიკოლაძეც, ხანდაზმულობის მიუხედავად, იგი არც ამომრჩეველთან უშუალო შეხვედრებს გაურბოდა. ალექსანდრე ასათიანის სიტყვით, ნიკო ნიკოლაძის „მოხსენებები პარტიულს ყრილობაზედ, მისი რჩევა-დარიგებანი ახალგაზრდა მეგობრებისადმი, მრავალ ათეულ წელთა მაგალითებით დამძიმებული, და მისი პირადი მაგალითი ... უდიდესი მნიშვნელობის წამახალისებელი ძალა იყო ახალი პარტიისათვის“ (ასათიანი, 141-142).

ნიკო ნიკოლაძის ნააზრევისთვის უცხო იყო პროპაგანდისტული სწორხაზოვნება და ვიწრო პარტიული ხედვა, მისი გამოსვლები და სიტყვები მოკლებული იყო ყოველგვარ ლოზუნგურობას, ანგაჟირებასა და დეკლამატურობას. არ ახასიათებდა აზრის იდეოლოგიზება ან გაზვიადება ლოგიკის საზიანოდ, არ იწონებდა თავს საკუთარი ცოდნითა და მდიდარი გამოცდილებით, არ ჰქონია პრეტენზია, აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ვქადაგებო. ნიკო ნიკოლაძე არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული ორატორული ნიჭით, მაგრამ მისი ყოველი გამოსვლა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ტრიბუნიდან საქმის არსში წვდომით, საგნობრიობითა და აზრის სიცხადით ხასიათდებოდა.

თანამედროვეთა გადმოცემით, ნიკო ნიკოლაძე „არ იყო მჭერმეტყველი, მისი სტილი ნერვიულობას და აზრთა სიჭარბეს მოწმობდა. ... ის უპირატესობას აძლევდა უბრალო, გაუშალაშინებელ ენას, ნოყიერსა და ცოცხალს, ცხადსა და შემჭიდროებულს, თავისუფალს ყოველივე პრანჭიობისა და კეკლუცობისაგან“ (ქიქოძე, 398).

ივანე ზურაბიშვილის სიტყვით, ნიკო ნიკოლაძე ღრუბელივით სვამდა ყოველ ახალ შთაბეჭდილებას, მერე მას გონების ცეცხლში გაატარებდა და თავის ქვეყნისათვის გამოსაყენებლ აზრად გადაადნობდა (ზურაბიშვილი, 118; 137).

შემთხვევითი არ არის, რომ ნიკო ნიკოლაძე საქართველოში „ევროპული დემოკრატიული აზროვნების ერთ-ერთ პირველ მედროშედაა“ მიჩნეული (ქიქოძე, 386).

ნიკო ნიკოლაძემ კარგად იცოდა, რომ სახელმწიფოებრიობამოშ-ლილ ქართველ ხალხს აკლდა აზრთა ურთიერთშეწყნარების, „შეხმატკბილების, შრომის განაწილების და ერთი და იმავე მიზნისაკენ

მწყობრად სიარულის“ პრაქტიკა. დამოუკიდებელი, ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობისათვის ეს ნეგატიური გამოცდილება ხელისშემშლელ ფაქტორად ქცეულიყო და აუცილებელი იყო მისი უკუგდება. ახლა გადაუდებელ ამოცანად დგებოდა საზოგადოებაში ადამიანის „რიგიანობა-ღირსების“ ისეთი ნიშნების დამკვიდრება, როგორიცაა „სხვისი რწმენის თმენა“ და „სხვისი პირადობის პატივისცემა“ (ნიკოლაძე, 1996, 147).

ნიკო ნიკოლაძის აზრით, საქართველოში განსაკუთრებით საჭირო იყო ევროპული საპარლამენტო კულტურის შემოღება, ვინაიდან ფეოდალიზმმა „ბრმა მონური დისციპლინის სიყვარულთან ერთად ქართველებს ინდივიდუალისტური ანარქია გვიანდერძა“. „ვიბრძოლოთ ერთმანეთს შუა, ერთის აზრს მეორის შეხედულება შევატაკოთ, ვეცადოთ ხალხი მონაწილე გავხადოთ ამ ბრძოლისა და ჭკუის მოძრაობისა და მერე ... იმ გადაწყვეტილებას დავადგეთ, რაც უმრავლესობამ მიიღო“, წერდა იგი (ქიქოძე, 390).

ერთ სტატიაში, რომელიც 1918 წლით თარიღდება, ნიკო ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავს ქვეყნის პოლიტიკურ ძალთა შეკავშირების მნიშვნელობას. მისი სიტყვით: „ერთობის დაცვა პოლიტიკურ მოქმედებაში უაღრესი ბედნიერებაა“ და რომ, „რაგინდ სხვადასხვა ფერი ან წინააღმდეგი იყოს მათი საშინაო მოქმედების პროგრამა“, საგარეო პოლიტიკის წარმოებაში პარტიების ერთობა, ეს „მწიფე ერის“ თვისება, მუდმივი უნდა დარჩეს (ჩიკვილაძე, 137).

ნიკო ნიკოლაძისთვის, ვინც თავის პუბლიცისტური წერილებით საზოგადოებას ასწავლიდა, რაოდენ აუცილებელი იყო „ერთი და იგივე დროშის ქვეშ დგომა“, გულდასაწყვეტი იყო, როცა ხედავდა, როგორ ეთიშებოდა ეროვნულ-დემოკრატთა ნაწილი საკუთარ პოლიტიკურ ორგანიზაციას და ახალ პარტიებს ქმნიდა.

ნიკო ნიკოლაძე სავსებით მართებულად მიიჩნევდა, რომ საზოგადო მოღვაწეებს და მათ შორის პოლიტიკოსებს, ჩვეულებრივ, განსაკუთრებით კი კრიტიკულ სიტუაციაში „მძიმე მოვალეობა და პასუხისმგებლობა აწევთ ერისა და შთამომავლობის წინ: ხალხს უნდა გამოუძებნონ მტკიცე, უტყუარი გზა შველისა და წარმატებისა“ (ჩიკვილაძე, 140). საკუთარი ქვეყნის ხსნისა და განვითარების გონივრული გზა ჯერ კიდევ თერგდალეულებმა დასახეს. სამოციანელთა და მათ შორის ნიკო ნიკოლაძის შეხედულებები საგულისხმო და ანგარიშგასაწევი იყო ახალ რეალობაშიც.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე ორი ათეული წლით ადრე გამოქვეყნებულ ერთ

საჟურნალო პუბლიკაციაში ნიკო ნიკოლაძე მიუთითებდა საქართველოს მნიშვნელოვან ჩამორჩენაზე ევროპული სინამდვილისაგან და წერდა: ჩვენი ქვეყანა ჯერაც განვითარების პირველ სტადიას - მხედრულ წეს-წყობილებას ვერ ასცილებია, როცა ევროპა მესამე - საზოგადოებრივ სტადიაზე გადასასვლელად ემზადებაო (ნიკოლაძე, 1894, 129). ნიკო ნიკოლაძე ქვეყნის აღმავლობის შემაფერხებელ მიზეზებზე საუბრისას ყურადღებას ქართული საზოგადოებისათვის ნიშანდობლივ ინდეფერენტიზმზე, უპრინციპობაზე, ეგოიზმსა და უილაჯობაზეც ამახვილებდა და მათი დაძლევისაკენ მოუწოდებდა.

არსებული კრიტიკული ვითარებიდან თავდაღწევის წინაპირობად ქართველი სამოციანელი ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ევროპულად მოწესრიგებას, დაწინაურებული ქვეყნების მეცნიერული იდეების გათავისებას მიიჩნევდა. ნიკო ნიკოლაძე არასდროს გამოდევნებია „მიუწვდომელ ოცნებას“, ის რეალისტური პოლიტიკის მიმდევარი, ფრთხილი და ანგარიშიანი კაცი იყო, მით უფრო საზოგადო და ეროვნულ საქმეში. წინდაუხედაობა, ფუჭი აჩქარება, მოუმზადებლად რაიმე მოქმედების დაწყება ყოველთვის საზიანოდ წარმოედგინა. უპირატესობას არა რადიკალურ, არამედ ევოლუციურ, „ზომიერების გზას“ ანიჭებდა.

ამ გზის ნაწილად გაიაზრებოდა ერობა, რომლის შემოღება საქართველოში რუსეთის საიმპერიო მთავრობას დაუშვებლად მიაჩნდა. ნიკო ნიკოლაძეს არ ჰქონია გადამეტებული წარმოდგენა ერობის შესაძლებლობებზე, მაგრამ მაინც მისი აქტიური მხარდამჭერი და ერთგული იყო. ირწმუნებოდა: „მთელი ჩვენი მომავალი მდგომარეობს თვითმმართველობის პრინციპის განვითარებასა და სრულყოფაში და როცა მას მოსახლეობის თვალში უსამართლოდ სვრიან, ჩემს პირდაპირ მოვალეობად მიმაჩნია, თვითმმართველობის პრინციპის დაცვა“.

ნიკო ნიკოლაძე თბილისის სათათბიროს ხმოსნად ჯერ კიდევ 1878 წელს აირჩიეს. იგი სრულად აცნობიერებდა სათათბიროს მოკრძალებულ როლსა და შეკვეცილ ფუნქციას იმ სინამდვილეში, მაგრამ უარი არ უთქვამს მის წევრობაზე. მეორედ იმავე საკრებულოში ქართველ სამოციანელს უკვე 1919 წელს, თავისუფალ საქართველოში ვხედავთ, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელს. ამ პერიოდს განეკუთვნება მისი ერთი საგულისხმო შეგონება: „ჩვენი ქვეყნის ცხოვრება უზრუნველყოფილი იქნება მარტო მაშინ, როცა საკუთარი სარჩო, წარმოება და იარაღის კეთება გვექნება.

... პოლიტიკური რეჟიმის და წესების შეცვლა არ გააადვილებს საწყალი ხალხის ცხოვრებას, სანამ წარმოების იარაღს ვერ შევიძენთ და საკუთარ სარჩოს და სამოსელს არ გავიჩენთ“ (საქართველოს..., ფურც. 17).

ნიკო ნიკოლაძეს მკაფიოდ გამოკვეთილი შეხედულება გააჩნდა საქართველოს პოლიტიკური სპექტრის შესახებ. მისი აზრით, პოლიტიკური პარტია წარმატებას მაშინ მიაღწევს, თუ იგი „თავის მიზანს, სახსარს, პროგრამას, ხელმძღვანელობას“ საკუთარ ხალხში, მის საჭიროებაში იპოვის და ხალხს „საღი პროგრამითა“ და „ნამდვილი პრაქტიკული მიზნის“ დასახვით გაიყოლიებს.

დღესაც უაღრესად აქტუალურია ნიკო ნიკოლაძის აზრი პოლიტიკური პარტიის შემადგენლობაში ღირსეულ და ავტორიტეტულ პიროვნებათა გაწევრიანების შესახებ. მისი სიტყვით: „პარტიას, რომელსაც შეუძლია დაფასება, თავისკენ მიზიდვა და წარმოჩენა ქვეყნის საუკეთესო ადამიანებისა, თავისუფლად შეუძლია დაუმარცხებლობის იმედი ჰქონდეს მომავალშიც“. ასეთი ადამიანების დაფასება რომ შეძლო, „თავად უნდა იყო ნიჭიერი, რათა დაინახო მათი ღირსება და არ გეშინოდეს მათი მეტოქეობისა“ (ნიკოლაძე, 2003, 421).

საკუთარი სახელმწიფოებრიობის პირობებში ნიკო ნიკოლაძეს შესაძლებლად მიაჩნდა არსებული პოლიტიკური პარტიების „განახლება-გადახალისება“. მიუთითებდა: „დღევანდელი ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს არაფერნაირად არ შეეფერება ჩვენი პარტიული დანაწილება. ... ყველა პარტიას დაუდგა დრო, რომ ჩაფიქრდეს, სხვანაირად შეიმუშაოს პროგრამა და აწარმოოს თავის ძალები იმ მდგომარეობის მიხედვით, რომელიც ჩვენს გარშემოა. თორემ ის ძველი სახელები, ძველი განყოფილება, ძველი უკმაყოფილება ერთი-მეორის წინააღმდეგ მარტო ნგრევის და არა შენების იარაღია“ (ჯანელიძე, 31).

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ისტორიას ამშვენებს მისი კონსტიტუცია, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ მოამზადა და 1921 წლის 21 თებერვალს ერთხმად დაამტკიცა. აღსანიშნავია, რომ ეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტი, რომლის შექმნაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს პოლიტიკურმა პარტიებმა, იმ დროის მოწინავე დემოკრატიული სახელმწიფოების კონსტიტუციებს არაფრით ჩამოუვარდებოდა.

ნიკო ნიკოლაძეს სახელმწიფოს ძირითადი კანონი ცარიზმის პირობებშიც კი რუსეთის იმპერიისათვისაც აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა (ნიკოლაძე, 1996, 149) და, რა თქმა უნდა, დამოუკიდებელ საქართველოში კონსტიტუციის შემუშავებასა და მიღებას გულით

მიესალმებოდა. მითუფრო, რომ ამ კონსტიტუციაში პრეამბულად შეტანილი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის შედგენა ნიკო ნიკოლაძის სახელთანაც არის დაკავშირებული.

კონსტიტუციის დამტკიცება და გამოქვეყნება საქართველოს პირველი რესპუბლიკის უკანასკნელი პოლიტიკური აქტი აღმოჩნდა. 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად ქართული სახელმწიფო დაემხო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სულ რაღაც სამი წელი იარსება, ამ პერიოდში სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი ცოდნა და გამოცდილება დაგროვდა. მისი საფუძვლიანი ჩაწვდომა და აქტუალიზაცია სასარგებლო იქნება თანამედროვე ქართულ რეალობაშიც.

მითითებული ლიტერატურის სია:

1. ჯანელიძე ო. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია „განათლება და ინოვაცია“, გორი, 2012.
2. ნიკოლაძე ნ. ჩემ პოლიტიკაზე, წიგნში - ნიკო ნიკოლაძე 150. საიუბილეო კრებული, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996.
3. პოლიტიკური კომუნიკაცია და საზოგადოება (2011).
1. http://socium.ge/downloads/politikurisociologia/politikuri-komunikacia-da sazogadoeba.pdf.
4. ნაცვლიშვილი პ. რაზე წუხდა 95 წლის წინათ ნიკო ნიკოლაძე, გაზ. „განათლებული საქართველო“, 2003, 22 სექტემბერი.
5. საქართველოს რესპუბლიკის უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 1417, ანაწ. 1, საქმ. 251.
6. ჯანელიძე ო. ნიკო ნიკოლაძე (ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998.
7. მთავარი კომიტეტის განცხადება, გაზ. „საქართველო“, 1918.
8. საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1920 წლის 27 თებერვლის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში.
9. ბენდიანიშვილი ა. საქართველოს ისტორია, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1999.

10. ნიკოლაძე ნ. თხზულებანი, ტ. VIII, ქუთაისი, 2003.
11. ასათიანი ა. ძველი და ახალი მემკვიდრეობა, წიგნი I, ვალანტინეი, 1928.
12. ქიქოძე გ. ნიკოლაძე ნ., წიგნში - გერონტი ქიქოძე, წერილები, ესსეები, ნარკვევები, „მერანი“, თბილისი, 1985.
13. ზურაბიშვილი ი. კარგ ქართველთა ხსოვნას, პარიზი, 1962.
14. ჩიკვილაძე დ. დროსგასწრებული მამულიშვილი, თბილისი, 2003.
15. ჯანელიძე ო. ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, „მეცნიერება“, თბილისი, 2002.
16. ნიკოლაძე ნ. საჭირო ძალა, ჟურნ. „მოამბე“, 1894, №8. 1894.
17. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის ფონდი, ანაწ. №62.

ო. ჯანელიძე

ნიკო ნიკოლაძე და პოლიტიკური დისკურსი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

რეზიუმე

სტატიაში პოლიტიკური დისკურსის სუბიექტებად განხილულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ელიტები, - პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთაც საქართველოს დამფუძნებელ კრებაში თავიანთი საპარლამენტო ფრაქციები გააჩნდათ. ასეთები კი იყვნენ: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული და საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიები.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ნიკო ნიკოლაძე საქართველოს ეროვნულ საბჭოსა თუ დამფუძნებელ კრებაში მემარჯვენე, კონსტრუქციულ ოპოზიციას განეკუთვნებოდა. ის არ გაურბოდა მმართველ ძალასთან თანამშრომლობას, შეეძლო „სხვისი რწმენის თმენა“ და „სხვისი პირადობის პატივისცემა“. კრიტიკის პარალელურად, ქვეყნის სათავეში მდგომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და მთავრობას ნიკოლაძე ცალკეულ საკითხზე დასაბუთებულ ალტერნატიულ შეხედულებას სთავაზობდა და ამ გზით ცდილობდა ზეგავლენა მოეხდინა მათ მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე.

დამფუძნებელი კრების ტრიბუნა ნიკო ნიკოლაძისთვის სიტყვიერი კომუნიკაციის მთავარ ასპარეზს წარმოადგენდა. საქმის ცოდნით, საგნობრიობითა და აზრის სიცხადით გამორჩეული მისი საჯარო გამოსვლები მოკლებული იყო ყოველგვარ ლოზუნგურობასა და ანგაჟირებას, არ ახასიათებდა აზრის იდეოლოგიზება ან გაზვიადება ლოგიკის საზიანოდ. ნიკო ნიკოლაძის ნააზრევისთვის უცხო იყო პროპაგანდისტული სწორხაზოვნება და ვიწრო პარტიული ხედვა. პოლიტიკურ დებატებში მარჯვე და გონივრული არგუმენტაციით ნიკო ნიკოლაძეს ოპონენტთა კეთილგანწყობისა და ნდობის მოპოვება, აუდიტორიის საკუთარი შეხედულების მართებულებაში დარწმუნება შეეძლო.

თანამედროვენი ნიკო ნიკოლაძეს საქართველოში „ევროპული დემოკრატიული აზროვნების ერთ-ერთ მედროშედ“ მიიჩნევდნენ. ქართველი სამოციანელის მრავალმხრივი მოღვაწეობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში ამ შეხედულებას უცილობლად ადასტურებს.

O. Janelidze

Niko Nikoladze and Political Discourse in Democratic Republic of Georgia

Summary

The author discusses political elites of Democratic Republic of Georgia – political organizations that had their parliamentary fractions in the Constituent Assembly of Georgia. These where: Social-Democratic Party of Georgia, Socialist-Federalists of Georgia, National-Democratic and Social-Revolutionary parties.

One of the leaders of the National-Democratic Party of Georgia belonged to the rightist, constructive opposition of the National Council and Constituent Assembly of Georgia. They never avoided cooperation with the ruling force and could "tolerate the beliefs of the others" and "respect the identity of another person". In parallel with criticizing, Nikoladze offered the Social-Democratic Party who was leading the country documentarily proved alternative opinions regarding separate issues and tried to influence the decision-making process.

Tribune of the Constituent Assembly for Niko Nikoladze was the main arena for verbal communication. His public speeches were designated with understanding of the issues and clear thinking without application of slogans and engagement; he did not practice ideologization of thoughts or exaggeration on the expense of logics. Propagandist straight linearism and narrow party visions were strange to him. By means of quick and reasonable argumentation, Niko Nikoladze used to obtain disposition of the opponents and their trust, and could convince the listeners in the rightness of his opinions.

Contemporaries considered Niko Nikoladze to be one of the standard-bearers of "European democratic thinking". Without doubts, activities of this outstanding Georgian figure of the sixties prove this opinion.

ქეთი ჯიჯეიშვილი, გიორგი ჩხიკვიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნიკო ნიკოლაძე - ლიბერალური ნაციონალიზმის თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენელი

ნაციონალიზმის იდეა, რომლითაც განმსჭვალულია ნიკო ნიკოლაძისა და არჩილ ჯორჯაძის შემოქმედება, წმინდა ევროპული წარმოშობისაა. მის შეხედულებებში ეთნოგენეტიკური მიდგომა სავსებით არის დაძლეული და საკითხი გადატანილია სრულიად სხვა დონეზე - ლიბერალური ნაციონალიზმის ფორმატში, რომელიც სოციალურ-პოლიტიკური და მოქალაქეობრივი ზნეობრივი ყოფიერების სიმაღლეზე დგას. მისთვის ნაციონალიზმი და ლიბერალიზმი ერთიანი ცნებაა.

ნ. ნიკოლაძე, ერთი მხრივ, თვლის, რომ ნაციონალიზმი იგივეა, რაც თავდაცვის ინსტიქტი, ის დამახასიათებელია ყოველი ცოცხალი ორგანოსათვის ისევე, როგორც სუნთქვა, სისხლის მიმოქცევა, შიმშილი, ძილი და სხვა. „ნაციონალიზმის აღმოფხვრა შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია წავშალოთ ფერი თმისა, თვალებისა, კანისა“. მაგრამ, ამასთანავე, მისი ნაციონალისტური მრწამსი ლიბერალური იდეებით არის განსაზღვრული, რომელიც შემუშავებული ჰქონდა ცალკეულ პიროვნებებთან, ერებთან და საერთაშორისო პოლიტიკასთან მიმართებაში.

ნიკო ნიკოლაძისათვის უმაღლეს ღირებულებებს წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის დასავლური ლიბერალური პრინციპის აღიარება, რაც გულისხმობს, რომ ყოველ ადამიანს, მიუხედავად მისი რასისა, პოლიტიკური შეხედულებებისა, სოციალური მდგომარეობისა და ეროვნებისა, თანაბარი მორალური ღირებულება გააჩნია. მისთვის ადამიანის უფლებების პატივისცემა გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე სხვა ღირებულებები. ნიკოლაძე არ უშვებს იმ აზრსაც კი, რომ სახელმწიფოს შეუძლია განუკითხავად მოექცეს თავის ხალხს. მან უნდა დაიცვას ის პრინციპები, რომლებიც ადამიანის უფლებების დოქტრინაშია გამოხატული.

პიროვნების თავისუფლების დაცვის კუთხით, ნიკოლაძე ყველა რესპუბლიკაზე მიმზიდველად თვლის ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილებას, სადაც „სრული თავისუფლებაა სიტყვისა, ბეჭდვისა და სვინდისისა, სადაც მოქალაქენი სჯულით ყველანი თანასწორნი არიან, შთამომავლობით ერთს მეორეზედ არავითარი უპირატესობა არა აქვს, მოქალაქენი ისე ფრხთილნი და ეჭვიანნი არიან

თავის კონსტიტუციისა, რომ თავიანთ წარმომადგენლებსაც არ აძლევენ ნებას იმის საფუძვლებს შეეხონ“ (ნიკოლაძე, უცხოეთის მიმოხილვა, 385).

ამრიგად, ნ. ნიკოლაძე ეთნიკური ნაციონალისტებისაგან განსხვავებით აქცენტს მოქალაქეობაზე აკეთებს და საუბრობს საერთო კულტურის ხალხის მიერ თვითმმართველობის უფლების თაობაზე.

ფრიად თანადროულად ჟღერს ნიკო ნიკოლაძის საზრისი მოქალაქედ აღზრდის შესახებ. პუბლიცისტის სიტყვით, საზოგადოება, ავად თუ კარგად, ზრდის ვაჭარს, ტექნიკოსს, ვეტერინარს, პედაგოგს, ინჟინერს, ექიმს, მაგრამ არ ზრდის სამშობლოს სიყვარულით გაჟღენთილ მოქალაქეს: ,,ჩვენ ყველამ მივიღეთ კლასიკური რეალური, ტექნიკური და სასულიერო განათლება, მაგრამ რომელმა ჩვენთაგანმა მიიღო სულ მცირედი პოლიტიკური ან სამოქალაქო აღზრდა? სად, ან ვინ გვასწავლა ჩვენ, რომ განუყოფელი შვილები ვართ ერთი და იმავე სამშობლოსი? რომელ ჩვენთაგანში ცდილობდნენ გამოემუშავებინათ ბავშვობიდან სამშობლოს სიყვარული, ვაჟკაცურად დაცვა სახალხო საქმისა, სახელმწიფოსადმი ერთეული სამსახური, ერთი სიტყვით, რომელ ჩვენგანს ზრდიდნენ მოქალაქედ და არა ჩინოვნიკად?'' და როცა საზოგადოებას მოქალაქეები დაჭირდა, სანთლით საძებარია საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების ერთგული და თავდადებული მოქალაქე. „მოვიმკეთ, რაც დავთესეთ“ (ნიკოლაძე, პირადი არქივი, 90), - კონკრეტულია პუბლიცისტის დასკვნა.

ამრიგად, ადამიანი მოქალაქედ დაბადებიდანვე უნდა აღიზარდოს, პატარაობიდანვე უნდა შეიმეცნოს სამშობლოს სიყვარული და მსახურება, ერთგულება და თავდადება.

ნიკო ნიკოლაძე წერილში „დაწყევლილი საკითხები“, როდესაც იგი ხედავს ხალხის სახელმწიფო ერთეულებად გამიჯვნის პრობლემას, მიუთითებს თუ რა ნიშნის მიხედვით უნდა მოხდეს ხალხის გამიჯვნა და როგორ უნდა დადგინდეს მათი სახელმწიფო საზღვრები, ასკვნის: „თანამედროვე ევროპა ორგანიზირების პროცესს განიცდის და მისი პოლიტიკური მოწყობის საბოლოო ფორმა გაურკვეველია. საჭიროა ამ ფორმის გამონახვა, განსაზღვრა. რა შეიძლება იყოს ეს უცნობი იქსი, რომელმაც უნდა გამოხატოს ევროპის სახელმწიფოების შინაგანი ორგანიზაციების მომავალი და მათი ურთიერთდამოკიდებულება, რაც აუცილებელია ხანგრძლივი მშვიდობის დასამყარებლად კონტინენტზე? რა თქმა უნდა, ვერავინ ვერ გაბედავს ამ კითხვას დადებითი პასუხი გასცეს და, საერთოდ,

ყოველი ვარაუდი ამ მხრივ მოკლებულია ყოველგვარ მტკიცე საფუძველს“ (ნიკოლაძე, პირადი არქივი, 495).

ნ. ნიკოლაძე თვლის, რომ ყველაზე ანგარიშგასაწევი პრინციპი, რომლითაც უნდა მოხდეს სახელმწიფოთა ურთიერთგამიჯვნა, არის ევროპული პრინციპი. „თანამედროვე ევროპული სახელმწიფოები, ბოლოს და ბოლოს, ეროვნების მიხედვით დალაგდებიან, რაგდან ეს არის სახელმწიფოს ორგანიზაციის ყველაზე ანგარიშგასაწევი თანამედროვე პრინციპი“ (ნიკოლაძე, პირადი არქივი, 495).

თუმცა არც იმის ალბათობას გამორიცხავს, რომ შესაძლებელია ამ პრინციპმა არ იმოქმედოს, რადგან „მაშინ წარმოიშობა ცნებათა საშინელი აღრევა. ...როგორც არ უნდა გაანაწილოთ ისინი გეოგრაფიულ რუკაზე, მაინც ვერ შეადგენთ მსხვილ სახელმწიფოს ერთი ტომისაგან ისე, რომ შუაში არ აღმოჩნდეს ოაზისები სხვადასხვა ტომების უმცირესობებისაგან, რომელთაც არც შეერთება სურთ გაბატონებულ ტომთან და არც შერწყმა. ამ მოსაზრებას სხვა მოსაზრებაც ართულებს. ეტყობა ტრაქტატების მეშვეობით ახლა ვეღარ შეცვლი ევროპის რუკას“ (ნიკოლაძე, პირადი არქივი, 495). ამდენად, შესაძლებელია ეროვნული პრინციპის ადგილი დაიკავოს ძალამ, რომელიც შთანთქავს როგორც ეთნოგრაფიულ, ისე იურიდიულ ნიშნებს. ამგვარად, ნიკო საუბრობს სახელმწიფოებრივ ცნობიერებაზე. ეს სახელმწიფოები დაშენებული უნდა ყოფილიყო „ხეირიანი განწყობილება, რიგიანი წესი და კანონმდებლობა“-ზე, რადგან დაუშვებელი იყო რომ „ყველაფერს ერთ კაცზე ეტრიალა“.

მოგვიანებით იგივეს განაცხადებს აშშ-ს 28-ე პრეზიდენტი ლიბერალური ნაციონალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ვუდრო უილსონი - ევროპა უნდა შედგებოდეს ეროვნული სახელმწიფოსაგან, სადაც პოლიტიკური მმართველობა დემოკრატიული იქნება და არა ავტოკრატიული.

აქვე ალბათ, აუცლებლად უნდა დავძინოთ, რომ ვუდრო უილსონისათვის, ისევე როგორც რიგითი დასავლელისათვის ერს ეთნიკური დატვირთვა არ გააჩნია. დასავლურ პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში ეროვნული და ნაციონალური ერთი და იგივეა, რამეთუ ორივე მათგანი თავს იყრის ერთი ცნების ქვეშ - „national“ და უკავშირდება ერთიანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ცნობიერების პრობლემას. საქართველომ ისტორიული განვითარების დასავლეთისაგან განსხვავებული გზა გამოიარა და ჩვენთვის ნაციონალიზმი უფრო მეტად „ჯიშის საკითხი“ იყო და საკუთარი ეროვნული ღირსებების დეკლარირებას უფრო შეესატყვისებოდა,

ვიდრე „სახელმწიფოებრივ აზროვნებას“, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სახელმწიფოებრივი ცხოვრების არცთუ დიდი გამოცდილება გაგვაჩნია. მიუხედავად ამისა, თუ თანამედროვე ქართველი ერის ეთნოგენეზისის პოლიტოლოგიურ ანალიზს მოვახდენთ არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ მის ჩამოყალიბებაში დიდი როლი კავკასიურ თუ არაკავკასიურ ეთნოსუბსტრატთა ნარევობამაც შეასრულა. ნაკლებადაა ცნობილი როგორ მიმდინარეობდა მათი გაქართველების პროცესი და რა მუტაციები გამოიწვია მან ქართული კულტურული მატრიცას „ჰომოგენურ“ განვითარებაში. მაგრამ ის, რაც დღეს „ქართველი ერის“ სახელს ატარებს შეიცავს აღმაშენებლის მიერ გადმოსახლებულ „ყივჩაღურ თუ სხვათა ეთნიკურ სუბსტრატს“ და ამ ფაქტის უარყოფა, ალბათ, თვით ქართულის უარყოფა იქნებოდა. ამ კონტექტსით ქართველობა დგინდება მისი კულტურით. ქართველობის საფუძველს წარმოადგენს თავად ადამიანში ქართული ტრადიციული ღირებულებითი მატრიცის გაცნობიერება. ამგვარი თვით-გაცნობიერების გარეშე საქართველოში მცხოვრების არცერთი ჯგუფი არ წარმოადგენს „ქართველ ერს“ მიუხედავად იმისა იქნებიან თუ არა ისინი „გენეტიკური“, „ძირძველი“ ქართველები. ნიკოლაძის პოზიციას ემხრობოდა თერგდალეულთა გარკვეული ნაწილიც.

ვაჟა წერს: „კაი ქართველიო“, ვამბობთ ხშირად. მაშ, ვინაა კაი ქართველი? - ვისაც უყვარს საქართველო და იმის წყლულებს მალამოდ ედება, ვინც იმის სარგოს ჰფიქრობს და აკეთებს. ასევე ითქმის რუსსა, ფრანგსა, ინგლისელსა, თათარსა და სხვებზედ. სხვა ან რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ქართველობას, რუსობას, ფრანგობას, თუ კი ამ ღირსებას მოკლებული იქნება? ნიკოს ლიბერალური ნაციონალიზმი პიროვნების ღირებულებას აფასებს მისი თავისუფლების კონტექსტში.

სწორედ ასეთი რწმენის საფუძველზე შეიქმნა შემდგომ ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა ადამიანის უფლებათა დეკლარაციის (1948) და ადამიანის უფლება და ფუნდამენტალურ თავისუფლებათა ევროპული კონვენცია (1956).

პიროვნებების მსგავსად, ნიკოლაძის აზრით, ერებიც წარმოადგენენ სუვერენულ ჯგუფებს, რომლებსაც გააჩნიათ თავისუფლება და სხვა უფლებები, პირველ რიგში, თვითგამორკვევის უფლება. ნიკოლაძის ლიბერალური ნაციონალიზმი განმათავისუფლებელ ძალას წარმოადგენს ორი თვალსაზრისით, პირველი - იგი ეწინააღმდეგება ჩაგვრისა და დისკრიმინაციის ნებისმირ ფორმას, ეს მრავალეროვანი იმპერია იქნება თუ კოლონიალური სახელმწიფო, მეორე - იგი მხარს უჭერს

თვითმმართველობის იდეას, რომელიც იქნება კონსიტუციონალიზმზე და წარმომადგენლობით მმართველობაზე ორიენტირებული, რაზედაც წინა თავებში უკვე გვქონდა საუბარი. რაც შეეხება ნიკო ნიკოლაძის მასშტაბურ მიდგომებს საერთაშორისო პოლიტიკის პრობლემატიკის მიმართ, იგი შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ ლიბერალური ნაციონალიზმის პოზიციიდან. როგორც ჭეშმარიტი ლიბერალი, იგი მხარს უჭერს საერთაშორისო კანონიერების დაცვას.

ნ. ნიკოლაძე საერთაშორისო სამართალს ქვეყნის სუვერენიტეტზე მაღლა აყენებს. მას მიაჩნია, რომ ქვეყნის სუვერენობა ერთის მხრივ, ნიშნავს ქვეყნის დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის განხორციელებას, მაგრამ მეორე მხრივ, იგი მაინც შეზღუდული უნდა იყოს, რამდენადაც შემოსაზღვრულია ზოგადსაკაცობრიო იდეალების ჩარჩოებით. ნ. ნიკოლაძის აზრით, როცა სახელმწიფო თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში არღვევს საერთაშორისო სამართლიანობისა და ჰუმანურობის საწყისებს, მაშინ სხვა სახელმწიფოებს უფლება აქვთ ჩაერიონ და აღკვეთონ იგი. როგორც „ოჯახის დამოუკიდებელი არსებობა არ ართმევს საზოგადოებას და სახელმწიფოს იმის უფლებას, რომ ჩაერიოს ოჯახის შინაურ საქმეებში იმ დროს, როცა მაგალითად, ოჯახის უფროსი ტირანივით ექცევა ცოლსა და შვილებს, როცა ჩაჰკეტავს მათ სარდაფში, ჰკლავს შიმშილით და წამებით“ (ნ. ნიკოლაძე, 1917, 538), ასევე სახელმწიფოს დამოუკიდებლობაც ექსტრემალურ სიტუაციაში შეზღუდული უნდა იყოს კაცობრიობის ან სხვა სახელმწიფოთა მიერ.

სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ამგვარი გაგება სრულიად ახალი სიტყვა იყო პოლიტიკის ისტორიაში. სიტყვა, რომელიც მსოფლიოში გახშირებული ეთნოკონფლიქტების, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში სამხედრო ჩარევა პრობლემათა გადაჭრის ერთ-ერთ არსებით მექანიზმს წარმოადგენს.

ამ რეალობის გათვალისწინებით შეიქმნა მოგვიანებით ჰააგის საერთაშორისო სასამართლო და საერთაშორისო სისხლის სასამართლო.

ნიკო გლობალური პოლიტიკის ჭრილში განიხილავს ადამიანთა უფლებების დაცვის პრობლემებს და საუბრობს არა მხოლოდ ქართველების ან ჩვენში არსებული რელიგიური ეთნიკური და გენდერული უმცირესობების სამოქალაქო უფლებების დაცვაზე, არამედ ზოგადად პიროვნების უფლებებზე, როგორც იმპერატიულ კატეგორიაზე.

ასევე „საკაცობრიო“ განზომილება გააჩნია მის ნააზრევს, რომელიც უკავშირდება კვლავ საერთაშორისო სამართლის პრობლემატიკას. მხედველობაში გვაქვს 1789 წელს ფრანგული „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის“ ნიკოლაძისეული ინტერპრეტაცია, რომლითაც მან მთელი კომპლექსურობით დააყენა საკითხი ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის არა მხოლოდ „ცივილიზებული ქვეყნების“ ხალხების პრივილეგიად, არამედ საერთაშორისო პრინციპად გამოცხადების შესახებ. ასეთი მიდგომით მან გადაუსწრო დროს და საფრანგეთის ამომავალი ბურჟუაზიის დიდ იდეოლოგებს და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა შეიძინა.

ნიკო ნიკოლაძის ნაციონალიზმი არათუ არ ქადაგებს უნდობლობას, მეტოქეობასა და ომს, არამედ მისი ნაციომალიზმი ის ძალაა, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს თითოეული ერის გაერთიანებას და ყველა ერის დამეგობრებას ურთიერთპატივისცე-მისა და მათი უფლებების აღიარების საფუძველზე. ამიტომაც კავკასიის მსგავსად ნ. ნიკოლაძე მხარს უჭერდა „ფედერალურ ევროპას“, რადგან მას თვლიდა ისეთ საშუალებად, რომელიც ხელს შეუწყობდა თანამშრომლობისა და ურთიერთდამოკიდებულების განვითარებას ერებს შორის, რომლებიც სხვა მხრივ მთლიანად შეინარჩუნებდნენ თავიანთ იდენტურობასა და ტრადიციებს. ამა თუ ზემოთქმული მიდგომებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, ნიკო ნიკოლაძის ნაციონალიზმი სცდება ეროვნულ ფარგლებს და უახლოვდება ლიბერალურ ინტერნაციონალიზმის იდეებს.

მითითებული ლიტერატურის სია:

1. ნიკოლაძე ნ. უცხოეთის მიმოხილვა, ბულგარია, ჟურნ.: „მოამბე“, №6.
2. ნიკო ნიკოლაძის პირადი არქივი, ანაწერი №1-48.
3. ტოტოჩავა კ. იაკობ გოგებაშვილის პოლიტიკური შეხედულებანი, თბ., 2000.
4. ნიკოლაძე ნ. როგორი რესპუბლიკა? იხ. გაზ.: „საქართველო“, №156, 1917, 19 მკათათვე (ივლისი).

ქ. ჯიჯეიშვილი
გ. ჩხიკვიშვილი

ნიკო ნიკოლაძე - ლიბერალური ნაციონალიზმის თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენელი

რეზიუმე

ნაშრომში გაანალიზებულია ნიკო ნიკოლაძის მოსაზრებები ნაციონალიზმის თაობაზე. ნ. ნიკოლაძე მიიჩნევდა, რომ ლიბერალიზმსა და ნაციონალიზმს საერთო იდეები აქვთ. იგი განსხვავებული რაკურსით განიხილავს მოქალაქეებს ეთნიკური ნაციონალიზმის თვალსაზრისით და საუბრობს საერთო კულტურის მქონე ერებზე, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ პოლიტიკური უფლებები. სტატია ასევე მიმოიხილავს პოლიტიკასა და საერთაშორისო სამართალს.

K. Jijeishvili, G. Chkhikvishvili

Niko Nikoladze as One the Outstanding Representative of Liberal Nationalism

Summary

The author discusses Niko Nikoladze's views on Nationalism. He thinks that Liberalism and Nationalism has common ideas. He is accenting a citizen differently from ethnic nationalism and talks about people of common culture, who must have political rights. The article also deals with politics and International law.

გივი ლობჟანიძე
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

ერთი გამოუქვეყნებელი დოკუმენტის თაობაზე

ნიკო ნიკოლაძე თავის მოგონებებში (წარსულიდან ანუ ამ ასი წლის წინათ) წერს, „ბაბუაჩემი (მამიჩემის მხრით) აბაშიძეების ყმა ყოფილა, როგორც თითქმის ყველა ნიკოლაძე, ის ზემო იმერეთში ცხოვრობდა, სოფ. სკანდეს (ეს სოფელი დღესაც არსებობს თერჯოლის რაიონში. გ. ლ.), რომელიც იმერეთის მეფეების საზაფხულო სადგომი იყო. ბაბუას სახელად მამუკა (მათე) რქმევია, ახალგაზრდობაში მებატონეს გაქცევია და ქართლს გადავარდნილა, ცხინვალის არე-მარეში“ (ნ. ნიკოლაძე, „მოგონებები“, თბ., 1984, გვ.9).

ნიკო ნიკოლაძის ვარაუდით, ეს იყო, ალბათ, მე-18 საუკუნის სამოცდაათიან წლებში. მამუკა ონიაშვილებს ჩასიძებია, ცოლად ტასო შეურთავს, რომელთანაც სამი ვაჟი და სამი ქალი შესძენია. ორი ქალიშვილი ქართლში გაუთხოვებია, დანარჩენი შვილებით ქუთაისს გადასახლებულა, ეს იყო უკვე მე-19 საუკუნის ოციანი წლები.

ნიკო ნიკოლაძის აზრით, იმ დროს იმერეთში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ხელი შეუწყო ბაბუამისს, რომ ყმების სიაში არ მოხვედრილიყო და ქუთაისელ მოქალაქეებში ჩაირიცხა. ამან შეაძლებინა ნიკოლაძეების ოჯახს ისეთ ცნობილ გვარებთან დაახლოება-დამოყვრება, როგორიც იყვნენ: ბაქრაძეები, რაჭველი მხეიძეები, ლორთქიფანიძეები, მიქელაძეები. შემდგომ ამ ურთიერთობებმა დიდად შეუწყო ხელი ნიკოლაძეების ოჯახს წინსვლაში. ნიკო ნიკოლაძის აზრით, მათი წვლილი „არც სულ უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს“. ამას ემატებოდა ისიც, რომ „სრულიად უბრალო, უსწავლელი გლეხისათვის ასეთი მიღწევები მამუკას იშვიათი მეცადინეობის და გონიერების მაჩვენებელი იყო“ (ნ. ნიკოლაძე, „მოგონებები“, თბ., 1984, გვ. 13).

ჩემი, როგორც მკვლევარის, ნიკო ნიკოლაძით დაინტერესება გასული საუკუნის 80-იან წლებში არჩილ ჯორჯაძის თეორიული მემკვიდრეობის შესწავლის პროცესში დაიწყო. მე არჩილ ჯორჯაძის სამართლებრივი შეხედულებებით დავინტერესდი, მაგრამ გვერდი ვერ ავუარე ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, „მეოთხმოციანისა“ და „მეოთხმოცდაათიანის“ წარმომადგენელთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას, დაწყებული ნიკო ხიზანიშვილიდან ივანე ჯავახიშვილამდე.

მახსოვს, გამოსაცემად ვამზადებდი წიგნს „არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები“, რომელშიც ნიკო ნიკოლაძის შესახებაც მქონდა საუბარი. ჩემმა უფროსმა მეგობარმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ჟურნალისტმა, აწ განსვენებულმა შოთა ღვინიანიძემ, ერთი საინტერესო დოკუმენტის ასლი მომაწოდა. საქმე ეხებოდა ნიკო ნიკოლაძის მამას - იაკობს, ბაბუას - მამუკას და მათი გვარის წარმომავლობას. სწორედ იმ წიგნში მინდოდა აღნიშნული დოკუმენტის გამოყენება, მაგრამ პროფესორმა უშანგი სიდამონიძემ მირჩია, რომ თავი შემეკავებინა - მისი გამოქვეყნება სხვა ვითარებაში უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა (ლობჟანიძე გ. ნარკვევები არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივი სამართლებრივი ნააზრევიდან, ქუთაისი, 1992, გვ. 136).

ეს დროც დადგა.

გადაწყდა ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 170-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის ჩატარება. ჩემ არქივში შენახული ეს მასალა მოვიძიე, მისი ნამდვილობა გადავამოწმე, დოკუმენტის ასლი გადავიღე და წინამდებარე კრებულში ვაქვეყნებ. ის შედგენილია ქართულ და რუსულ ენებზე 1853 წლის 7 თებერვალს ოზურგეთის მაზრის უფროსის ს. მაჭავარიანის და მდივნის, ვინმე კულვანოვსკის, მიერ.

„მოწმობა“, რომელსაც ხელს აწერს 14 წარჩინებული თავადი და აზნაური, ამტკიცებს, რომ ნიკო ნიკოლაძის ოჯახი სინამდვილეში წარმოშობით გურიიდანაა. მათი წინაპრები ცხოვრობდნენ ასკანასა და ნიგოითში. ამასთან, ყოველთვის სარგებლობდნენ აზნაურის ღირსების შესაბამისი უფლებებით და იწოდებოდნენ ნიკოლაიშვილებად.

ამ დოკუმენტით ირკვევა, რომ ნიკო ნიკოლაძის ბაბუა - მამუკა ნიკოლაიშვილი - ჯერ კიდევ არასრულწლოვანი წასულა გურიიდან და ნიკოლაძის გვარით ცხოვრობდა გორში, საიდანაც, მოგვიანებით, ოჯახთან ერთად ქუთაისში გადასახლებულა.

საინტერესოა, რომ ნიკო ნიკოლაძის ოჯახთან დაკავშირებით ქუთაისის სახელმწიფო არქივში ამ დოკუმენტის გარდა სხვა მასალაც არსებობს, რომლის საფუძვლიანი შესწავლა და გამოცემა ბევრ კითხვას გასცემს პასუხს.


ЦѢНА 90
КОП. СЕР.



въ ономъ Князей и дворянъ какъ они въ отобранной въ Уездномъ Правленіи сказки отозвались дѣйствительно одно Кутаисскимъ Жителемъ Якову, Ивану и Давыду Николаевичамъ Николадзевымъ, и собственно ручно имъ подписано. въ томъ подписомъ и приложеніемъ казенной печати свидѣтельствуя. Г. Обуреченъ февраля 7 дня 1853 года.

Обуреченскій Уѣздный Начальникъ

Секретарь Корневичъ

„მოწმობა“

მიეცა ესე ჩუენ ქუემოთვე ამისა ხელისმომწერთ ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის უეზდის თავადთა და აზნაურთაგან ქუთაისსა მცხოვრებთ აზნაურთ იაკობ და ივანე მამუკას ძეთა და ძმისწულსა მათსა დავიდ გრიგოლის ძეს ნიკოლაიშვილებთა მისთვის, რომელ ესენი სწარმოებენ გვარისაგან მათ აზნაურთ ნიკოლაიშვილებთა, რომელნიცა ცნობილ არიან უმაღლესად დაწესებულის ქუთაისსა შინა ყოფილის კომისიისაგან. სოფელსა ასკანას და ნიგოითს მცხოვრებნი; საყვარელ, თარხან, სოფრომ, ივანე, ოტია, ფარნაოზ, მიხაილ, ბეჟან და ანანია ნიკოლაიშვილები ნამდვილ არიან სახლის კაცნი მათნი და წინაპარნი პირველთა ჟამსა განსუნებულთა გურიის მთავართა, ყოფილან ერთ მოხარისხენი უკანასკნელთა, და მარადის უსარგებლიეს ყოვლითა მით სიმართლითა ვითარნიცა თვის ეყვიან აზნაურსა ღირსებასა ვითარ ჩუენდამი ცნობილ არს შემდგომად მამა იაკობის და ივანესი, ხოლო დავითისა ბაბუა - მამუკა დავითის ძე ნიკოლაიშვილი მცირე წლოვანობის დროს დაკარგულად შემდგომ მოსვლისა წლოვანებასა შინა დასახლებულა უეზდის ქალაქსა შინა გორს, იწოდებოდა რა ნიკოლაძეთ უკანასკნელ გარდმოსრულ არს აწინდელსა საცხოვრებელსა ქალაქსა ქუთაისსა დასარწმუნებლად რომლისა მოვაწერთ საკუთარსა ხელსა ჩუენსა თებერვლის გ[1]სა დღესა ჩყნგ[2]სა წელსა.

პროპორშჩიკი კზ. გიორგი მაჭუტაძე
პორუჩიკი კნიაზ დათა გუგუნავა
პროპორშჩიკი კნიაზ ყარამან მეზსაბეგის ძე თავდგირიძე
კნიაზი მიხაილ ნაკაშიძე
პროპორშჩიკი ბაგრატ საყვარელას ძე ნაკაიძე
პროპორშჩიკი იასე გიორგის ძე მდივანი
აზნაური ვახტანგ ივნეს ძე ჯაყელი
პროპორშჩიკი კნიაზ გიგო ნაკაშიძე
კნიაზი ბეჟან გუგუნავა
პროპორშჩიკი გიორგი ჯაყელი
აზნაური ალექსანდრე თაყაიშვილი
აზნაური ზაალ ასათიანი
კნიაზი გიორგი მაჭუტაძე
აზნაური ქაიხოსრო კვაშალი

---

[1] - 3

[2] -1853

წინამდებარე დოკუმენტს („მოწმობა“), რომელიც 1853 წლის 7 თებერვალს დამტკიცებულია სახაზინო ბეჭდით, ხელს აწერენ ოზურგეთის მაზრის უფროსი ს. მაჭავარიანი და მდივანი - კულვანოვსკი.

ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი N1, საქმე N235, ფურც. 6, 7.

დეკანოზი მიქაელ ჭაბაშვილი
დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილის ერთი უცნობი ქადაგება

მე-19 საუკუნის 60-იან წლებიდან ქალთა საკითხით დაინტერესება შეიმჩნევა. მის შესახებ მსჯელობენ არა მარტო მწერლები და საზოგადო მოღვაწენი (ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ს. მესხი, გ. წერეთელი), არამედ სასულიერო პირებიც (იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, დეკანოზი პოლიევქტოს კარბელაშვილი).

გავეცნოთ, თუ ვინ იყო პოლიევქტოს კარბელაშვილი. იგი სასულიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის I ნახევარში.

მამა პოლიევქტოსი დაიბადა გორის მაზრის სოფელ ჭალაში 1855 წელს, მღვდლის ოჯახში. სწავლობდა ჯერ გორის მაზრის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში. მსახურობდა თბილისში, გურჯაანსა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა სოფლის ტაძრებში. იყო ჩინებული ლიტერატორი, პუბლიცისტი, მწიგნობარი. პუბლიკაციებს აქვეყნებდა ფსევდონიმებით: „პ. ცხვილოელი“, „ჭალელი“, „სამთვისელი“, „პ. უსიტყველი“. იგი ძირითადად იკვლევდა ქართულ სასულიერო ლიტერატურას და საქართველოს ისტორიას. მისი შრომები გამოცემულია წიგნებად: „კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი“ (1900 წ.), „იერარქია საქართველოს ეკლესიისა“ (1901 წ.), „ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში“ (1902 წ.). დეკანოზ პოლიევქტოსის დიდი შრომით მიიღო ქართველმა მკითხველმა ანტონ კათალიკოსის „მზამეტყველება“ (1892 წ.), „წმიდა მოწამე აბო ტფილელი“ (1899 წ.), „ცხოვრება წმიდა ნინოსი“ (1903 წ.). მან გადაწერა და აღწერა ხელნაწერები და ორიათასამდე სიგელ-გუჯარი, შეისწავლა დავითგარეჯის მონასტრის ბიბლიოთეკა და გადმოიღო წიგნებზე არსებული მინაწერები. ამ ამბავს გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე („ივერია“, 1886, №159). მამა პოლიევქტოსს დიდი გულმოდგინებით შეუსწავლია სვანეთის ეკლესია-მონასტრების სიძველენი. გურჯაანში მან მიაკვლია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერს, რაზეც წერდა „ივერია“ (1880, №3).

ცალკე უნდა აღინიშნოს დეკანოზ პ. კარბელაშვილის დამსახურება ქართული გალობის წინაშე. იგი ამ საქმის საუკეთესო მცოდნე და სპეციალისტი იყო. შეკრიბა და გამოსცა საგალობელთა ნოტები, არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ქართულ გალობას: „ქართული საეკლესიო და საერო კილოები“ (1898 წ.), „სემინარიაში ქართული

გალობის შესახებ“ („დროება“, 1882 წ.), „მწუხრი, ერთხმიანი საეკლესიო გალობა“ (1907 წ.).

დეკანოზ პ. კარბელაშვილს ეკუთვნის „ახალგაზრდა ივერიელის შენანება“ (1874 წ.), „ისტორიული ლეგენდა: კლდემაღალას ციხე“ („დროება“, 1875, №38-39), „თაროს (კეთილი) ანგელოზი“. ეს ნაშრომი უთარიღოა და დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, პ. კარბელაშვილის პირად ფონდში (№1461, საქ. №180). მამა პოლიევქტოსს 1881 წელს უთარგმნია დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზო”.

მამა პოლიევქტოსი იყო საეკლესიო მუზეუმის კომიტეტისა და სასულიერო წოდების ღარიბთა სამზრუნველოს წევრი. იგი გარდაიცვალა 1936 წელს. 2011 წლის 20 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის თავმჯდომარეობით, საქართველოს საპატრიარქოში წმინდა სინოდის სხდომა გაიმართა. წმინდა სინოდის განჩინებით, ერისა და ეკლესიის წინაშე გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის, ძმები კარბელაშვილები წმინდანთა დასში შეირაცხნენ. ეპისკოპოს სტეფანეს (ვასილი) (1858-1936), დეკანოზს – პოლიევქტოსს (1855-1936) და მღვდელ ფილიმონს (1836-1879) ეწოდათ წმინდა აღმსარებელნი. დეკანოზ ანდრიას (1851-1924) და მღვდელ პეტრეს (1860-1924) ეწოდათ წმინდა მღვდელმოწამენი.

წმიდა აღმსარებელ პოლიევქტოს კარბელაშვილის პირად ფონდში (საქართველოს ეროვნული არქივი, №1461) მისი რამდენიმე ქადაგებაა შემონახული. ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ ერთ ჰომილიაზე (საქ. №145), რომელიც 1902 წლის 16 აგვისტოსაა წარმოთქმული ანჩისხატის ეკლესიაში, უფლის ხელთუქმნელი ხატის ანჩის სამღვდელმთავრო ტაძრიდან თბილისში გადმოსვენების 240-ე წლის აღსანიშნავად. „სწორედ 240 წელიწადია მას აქეთ, რაც ხელთუქმნელი ხატი ჩამოასვენეს თბილისში და ნეტარმა კათალიკოზ-პატრიარქმა დომენტიმ დაასვენა აი, ამ ძველს ტაძარში, სადაც დღეს შეკრებილხართ, ძმანო ქრისტიანენო, სწორედ იმ ხელით უქმნელი ხატის სადიდებლად და თაყვანისსაცემლად!” - მიმართავს მქადაგებელი ტაძარში მყოფ მლოცველებს.

თითქოს ქადაგება მთლიანად ამ მოვლენისა და ხატის ისტორიისთვის უნდა მიეძღვნა მოძღვარს, მაგრამ მაცხოვრისა და ავგაროზ მეფის ამბავს, ტილოზე ქრისტეს სახის აღბეჭდვასა და

განკურნებული მეფის მიერ ხელთუქმნელი ხატის ედესის გალავნის კარიბჭის თავზე დასვენების ისტორიას, კონსტანტინოპოლში მისი გადატანის და ხატმებრძოლობის გამო ამ სიწმინდის საქართველოში ჩამოტანის შესახებ მოკლედ მოგვითხრობს მქადაგებელი. ხატის ისტორიიდან მისი მსჯელობა გადადის ადამიანზე, როგორც ღვთის ხატზე და აქვე გულისტკივილით დასძენს: „თუმცა ყველამ კარგად ვიცით, რომ ხატი ღვთისა უნდა ვატაროთ შეუმწიკვლებლად ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ ჩვენ ყოველ დღე ჩვენის უგვანი ქცევით და მოქმედებით შეურაცხებას ვაყენებთ ჩვენს უმაღლეს სამკაულსა – ღვთის ხატებასა“. საზოგადოებრივი ზნეობის დაცემის მიზეზის მაძიებელი მოძღვარი პოულობს სენის სათავეს: „ცხადია, უმთავრესად ჩვენი შვილების აღზრდაში უნდა იმალებოდეს დასაწყისი მაგ ზნეობრივი დაცემისა“. ჰომილეტიკოსი მსმენელთა ყურადღების წარსულში გადატანით აცოცხლებს ძველი საქართველოს ძლიერებისა და ბედნიერების ბურჯის – დედის სახეს, რომლის მთავარ ღირსებასა და სულიერ ძალას წარმოადგენდა ის, რომ „დედა თვით იყო ღრმად მორწმუნე ქრისტიანი. თავის სახლისა და ქმარ-შვილის ბედნიერება ამ ქვეყნად მხოლოდ ქრისტეს მოძღვრებისამებრ ცხოვრებაში ეგულებოდა“. ძველად დედის სრულყოფილი განათლების მთავარი განმსაზღვრელი წმინდა წერილის ცოდნა იყო, რაც ზნეობრივი ცხოვრების მყარ საფუძველს წარმოადგენს. გათხოვილი ქალის მზითვის სამკაული იყო „ღვთისმშობლის დაუჯდომელი, ლოცვანი და ხატი“. საღვთო წერილის კარგი ცოდნა, ლოცვის სიყვარული, წირვა-ლოცვის შეგნებულად მოსმენა სარწმუნოებით აღანთებდა დედის გულს და ქალიც წმინდა ცხოვრებით, პირადი მაგალითის ძალით ზნეობრივად ჯანსაღ თაობას უზრდიდა მამულს.

მამა პოლიევქტოსი თავის ქადაგებაში დედის მთავარ სარბიელს ოჯახში ხედავს, სხვა საქმეს კი მამას ავალებს: „დედა თავისი დაუღალავი შრომით და მუშაობით შინ საუკეთესო აღმზრდელ-მასწავლებელი იყო ერისა და გარეულისათვის, ხოლო მამა გარეთ – ტყეში და მინდორში“. ორი ათასი წლის განმავლობაში საქართველოს სახელოვანი ისტორიის მთავარ საფუძვლად ჰომილეტიკოსს ქრისტიანულ ზნეობაზე დამყარებული აღზრდა მიაჩნია. მოძღვარი ქადაგების ბოლოს მსმენელს სავალალო რეალობას შეახსენებს, ხატავს აქამდე ჩამოქნილი დედის სახის სრულ ანტიპოდს, დედას, რომელმაც ძიძას ჩააბარა შვილის აღზრდის საპატიო და მნიშვნელოვანი მოვალეობა, რომელიც ცდილობს, თავი დააღწიოს საოჯახო საქმეს და ოჯახის გარეთ პოვოს შვება და ბედნიერება.

დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილის ამ ქადაგებას არ ახასიათებს სადღესასწაულო ჰომილიისთვის დამახასიათებელი ამაღლებული პათოსი. მასში არც მხატვრული ხერხების სიუხვე და მრავალფეროვნებაა. ავტორის ენა უბრალოა. ქადაგებაში თითქმის არ არის გამოყენებული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, ციტატები წმიდა წერილიდან. მქადაგებლის ოსტატობაზე მიანიშნებს, ძველი დროის და ავტორის თანამედროვე დედების სახეთა შეპირისპირება მათი მოვალეობისადმი დამოკიდებულების ფონზე. დედის მთავარ მოვალეობად კი მოძღვარს მიაჩნია შვილების ქრისტიანული აღზრდა და ოჯახზე ზრუნვა. სრულად ვაქვეყნებთ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილის ქადაგებას. „თქმული 16 აგვისტოს, 1902 წელს, ანჩისხატის ტაძარში“.

პუბლიკაცია

წმ. აღმსარებელი დეკანოზი პოლიევქტოს კარბელაშვილი

ქადაგება

თქმული 16 აგვისტოს, 1902 წელს, ანჩისხატის ტაძარში

”სნეული ავგაროზი, მთავარი ედესიისა, სასოებას მოკლებული მკურნალთა ხელოვნებისა და ცოდნისა, ყურს მოჰკრავს - ურიასტანში - იერუსალიმისაკენ გამოჩენილი იესო ქრისტე სასწაულებს ახდენსო: ბრმებს თვალს უხილებს, განრღვეულთ ჰკურნავს, მკელობელთა ავლენს და მკვდართა აღადგინებსო, და ისიც მხოლოდ ერთი სიტყვით და არა სხვა და სხვა წამლებითაო. ამიტომ აგზავნის თავის ერთგულ კარისკაცს წერილით იესო ქრისტესთან და იწვევს - მოდი ჩემს ქალაქში და მშვიდობიანად ვიცხოვროთო. მეყურება, რომ ურიებსა სძულხარ და მოკვლასაც გიპირებენო. იესო ქრისტემ უარი შემოუთვალა ედესეაში მოსვლაზედ. მერე მხატვარი გაგზავნა - იესო ქრისტე დახატე და მომიტანე, რომ იმ ხატზე ვილოცო, ეგების მეშველოს რამე და უკურნებელი სენისაგან მოვრჩეო. მხატვარი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერა გზით ვერ მოახერხა დახატვა იესო ქრისტეს სახისა. როგორც გულთამხილავმა, იესო ქრისტემ შენიშნა ამაო შრომა მხატვრისა, მოითხოვა წყალი და დაიბანა პირი. სველი პირის სახე ჩვეულებრივ შეიწმინდა ტილოთი, რომელზედაც სასწაულებრივ გადავიდა სახე იესო ქრისტესი. ამიტომ ამ ხატს შემდეგში ეწოდა ხელთუქმნელი ხატი, ანუ პირველისა. აი, ეს ტილო უბოძა ედესიელ მხატვარსა და გაატანა ავგაროზთან. მან მიიღო სასოებით და სარწმუნოებით იგი ხატი, თაყვანი სცა მუხლმოდრეკით და მაშინვე განიკურნა. გააკრა ფიცარზედ და დაასვენა იგი ქალაქის გალავნის კარიბჭის თავზედ

ყველა შემსვლელ-გამსვლელის თაყვანის საცემლად. გავიდა რამდენიმე ასი წელიწადი. ედესიიდგან ხატი გადაასვენს საბერძნეთის სატახტო ქალაქ კონსტანტინეპოლში, მაგრამ არ გავიდა რამდენიმე წელიწადი, რომ მთელ საბერძნეთში დევნა დაუწყეს ყველა ხატის თაყვანისმცემელს და ვისაც ხატი შეაჩნდებოდა, სტანჯავდნენ და ჰკლავდნენ, ხოლო წმინდა ხატებს სწვავდნენ, ამტვრევდნენ და ზღვას აძლევდნენ. ეს დრო იყო VIII-IX საუკუნეები. ამიტომ ქრისტეს მორწმუნენი ყოვლის ღონისძიებით ცდილობდნენ ხატების დამალვას და მიუდგომელ ადგილას გახიზვნას.

აი, ამ დროს გადმოასვენეს კონსტანტინეპოლითგან ედესიული ხელთუქმნელი ხატი საქართველოში და დაასვენეს ანჩის სამღვდელმთავრო ტაძარში. ღვთის მოყვარე ქართველებმა ჯეროვნად შეამკეს ესრეთი დიდი სიწმინდე თუალ-მარგალიტით და ოქრო-ვერცხლით. განახევრდა მე-15 საუკუნე და კონსტანტინეპოლი და მისი მიდამონი ოსმალებმა დაიმორჩილეს. ამიტომ დასავლეთის მხრიდამ დაიძრა სამღვდელოება საქართველოსკენ და თან მოჰქონდათ: სამღვდელო შესამოსელნი, საეკლესიო წიგნნი, ხატნი და ჯვარნი. სწორედ 240 წელიწადია მას აქეთ, რაც ხელთუქმნელი ხატი ჩამოასვენეს თბილისში და ნეტარმა კათალიკოზ-პატრიარქმა დომენტიმ დაასვენა აი, ამ ძველს ტაძარში, სადაც დღეს შეკრებილხართ, ძმანო ქრისტეანენო, სწორედ იმ ხელით - უქმნელი ხატის სადიდებლად და თაყვანის საცემლად.

ყველა საეკლესიო დღესასწაულს აქვს თვისი მიზეზი და შედეგი და მეტადრე დღევანდელი დღესასწაულისა! თუმცა ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი სახე არის ღვთის სახე, თუმცა ყველამ კარგად ვიცით, რომ ხატი ღვთისა უნდა ვატაროთ შეუმწიკვლებლად ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ ჩვენ ყოველ დღე ჩვენის უგვანი ქცევით და მოქმედებით შეურაცხებას ვაყენებთ ჩვენს უმაღლესს სამკაულსა - ღვთის ხატებასა. მერე სად უნდა ვეძებოთ მიზეზი ესრეთი სამწუხარო მოვლენისა, საიდან უნდა მოუძებნოთ წამალი ეგრეთს ზნეობრივ დაცემასა? ძველია თუ ახალი ეგ სენი? ნათქვამია: „სიმწარე სათავიდან მოსდევს წყაროსაო“. ცხადია, უმთავრესად ჩვენი შვილების აღზრდაში უნდა იმალებოდეს დასაწყისი მაგ ზნეობრივი დაცემებისა. ძველს საქართველოში ყოველი დედა თვით იყო ღრმად მორწმუნე ქრისტიანი. თავის სახლისა და ქმარ-შვილის ბედნიერება ამ ქვეყნად მხოლოდ ქრისტეს მოძღვრებისამებრ ცხოვრებაში ეგულებოდა. სახარების გარეშე ძველს ქართველს ქალს უკეთესი აღარა ეგულვებოდა რა. ამიტომ ყოველი ძველი ქართველი ზედმიწევნით მცოდნე იყო

საღმრთო წერილისა და საღმრთო სჯულისა: უცოდნელობა საღმრთო წერილისა ურჯულოებად მიაჩნდა. ძველად, მეფითგან დაწყებული შეძლებულ გლეხამდე, გათხოვილი ქალის მზითევში საუკეთესო სამკაულს შეადგენდა ღვთისმშობლის დაუჯდომელი, ლოცვანი და ხატი. ჩვენი ძველი ქალი კარგად იყო აღზრდილი და კარგად იცოდა დანიშნულება–მოხმარება დაუჯდომლისა და სხვა თავისუფალ დროს ლოცვების კითხვაში ატარებდა. ხატის წინ დაჩოქილი ხელგანპყრობით ახვეწებდა ღმერთსა თავის ქმარს–შვილსა და ქვეყნიერებასა. ულოცველად არცერთ საქმეს ხელს არ მოავლებდა, მთელი დაუჯდომელი და ლოცვანი ზეპირად იცოდა. საყდარში წირვა-ლოცვას ეხლანდებრ შეუგნებლად როდი ისმენდა: თვით კარგად იცოდა წირვა-ლოცვის წესი, ყოველი სიტყვა მღვდლისა საყდარში სარწმუნოებრივ გრძნობას და სასოებას უძლიერებდა და ამიტომ სარწმუნოებით აღნთებული გული და მისი მთელი არსება სარწმუნოებრივი იყო. პატარა შვილებს თვით აწოვებდა ძუძუს და ენას ადგმევინებდა ღუთით შიშში და სიყვარულში. პატარაობითგანვე ყველა ჰხედავდა თავის სახლში ლოცვასა, ღვთის დიდებასა და ქრისტიანულად ცხოვრებასა. ძველად დედა მხოლოდ თავის სახლში, თავის ქმარ–შვილთან ყოფნაში ჰპოვებდა სიამოვნებას და ნეტარებასა. ამიტომ მთელი ახალგაზრდობა იყო ღმრთის მოშიში, მორწმუნე და მოყვარული საყდრისა და საყდრის მსახურთა. მერე იცით რა შედეგი ჰქონდა ასეთ ცხოვრებასა და ბავშვების აღზრდასა? ყველა ძველ ოჯახში ჰყვაოდა ზრდილობა, ყურმოჭრილი მორჩილება და პატივისცემა დედ-მამისა, უფროსისა, სიყვარული გარჯისა და შრომისა და დაზოგვა ქონებისა. თვით ოჯახი თავდადებული იყო ქვეყნისა და ღმერთის სამსახურზე. დედა თავისი დაუღალავი შრომით და მუშაობით შინ საუკეთესო აღმზრდელი-მასწავლებელი იყო ერისა და გარეულისათვის, ხოლო მამა გარეთ - ტყეში და მინდორში. დედა იყო სახლის შემნახველი, გამომცხობი, მომხარშავი, მომყვანი აბრეშუმის ბამბისა, მქსოველი, მჭრელი და მკერველი, გამკეთებელი ყოველი სანოვაგისა, შემნახველი და დამზოგველი საოჯახო დოვლათისა. ამ გზით აღზრდილმა და ცხოვრებულმა ერმა შექმნა საკუთარი სამეფო, მწერლობა - საერო და სასულიერო, დიდ-მშვენიერნი ტაძარნი, ციხე-სიმაგრენი და მოიპოვა სახელი თავისი თავდადებით სარწმუნოებისა და მამულისათვის. სინა მთის, იერუსალიმის, ათონის მთის, ანტიოქიის და სხვა მონასტრებზე ქართველს ერს მილიონობით დაუხარჯავს, ბევრს შვილი უნაცვლებია იმ მონასტრების დაცვისათვის. ამ გზით აღზრდილმა ქართველმა ერმა დაიცვა თავისი

სამშობლო მიწა–წყალი და თავისუფლება ორი ათასი წლის განმავლობაში. დღეს რაღას ვხედავთ? დღეს, ძმანო და დანო, დაუძლურებულია სარწმუნოებრივი გრძნობა და თვით ჩვენი ცხოვრება სრულიად შეიცვალა: დღეს დედა თავის შვილს სიტყვით და საქმით აღარ უნერგავს პატარას სარწმუნოებასა და ღმერთის სიყვარულსა და შიშსა, აღარც თვით აწოვებს ძუძუს, ეს დიდი საქმე ძიძას ჩააბარა, თვით კი გარბის სახლითგან, რაკი სახლი არაფერ სასიამოვნოს მისთვის არ წარმოადგენს. ახლანდელი ქალი სიამოვნებას ხედავს მხოლოდ თეატრში და უბანში მეზობლობაში უსაგნო ლაპარაკში, ვალსა და ვახშს არ ერიდება, ოღონდ ისიამოვნოს და სხვებს არ ჩამორჩეს, მისი ფიქრი ახალი რამ მოდის ჩასაცმელია, საუკეთესო მკერვალს შეაკერინოს და ჩაიცვას. ქმარი, შვილი მაგდენად არ ეპიტნავება, ყველაზე მაღლა თავის პირად სიამოვნებას აყენებს. რაც მამაკაცისთვის სათაკილოდ არის მიჩნეული, იმასაც არ ერიდება ეხლანდელი ქალი: თამბაქოს წევა დიდად გავრცელებულია ჩვენს დედებში, მუდამ აქა-იქ დროს გასატარებლად სიარული, მუდამ ცუდათ ყოფნა, – აი ყოველ დღიური ეხლანდელი ქალის საქმენი, რომლითაც ბავშვი ყოველდღე ჰხედავს და ინერგავს გულში”.

„დუმილის შეთქმულება“ უცხო
უნდა იყოს საზოგადოებისათვის.
„საზოგადოების გარინდება“
სამშობლოს ხსნა კი არა,
მისი მიძინებაა. და თუ ეს
კიდევ რამდენიმე წელიწადს
გასტანს, მაშინ ამგვარ
მიძინებას შეიძლება სამუდამო
განსვენებაც მოჰყვეს...“

„ჩვენ გვსურს, რომ საზოგადო
სიკეთე შემწყარი, გამომცხვარი,
მარილწაყრილი ჩაგვიცვივდეს
პირში, ჩვენ პირის მოქნევაც
გვეზარება...“

„ეშმაკობა“ სულელების ჭკუაა.“

„სადაც გინდათ იშრომეთ, სადაც
გსურთ ისწავლეთ... ოღონდ კი თქვენი
მამული გიყვარდეთ, ოღონდ კი მის
სასარგებლოდ იშრომეთ, ოღონდ კი
მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე,
მისი სახელის გადიდებაზე, მისი
კეთილდღეობის მოახლოებაზე
იმეცადინეთ...“

„დაკვეწაფოთ თანამედროვე
ცოდნას და გამოცდილებას.
ბედნიერი მდებარეობა უქადის
ჩვენს ქვეყანას ბრწყინვალე
მომავალს, თუ შრომას არ
დაეზარებთ და გონიერათ
ვისარგებლებთ გარემოებით...“